აკაკი სურგულაძე

ნარკვევები
რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917–1921 წწ.)

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 5 4 წ.

შესავალი

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო მსოფლიო იმპერიალისტური სისტემის მსხვრევისა და კომუნიზმის გამარჯვების დიადი ეპოქა.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში მოსპო კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობა, დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა და ამით იხსნა ჩვენი ქვეყანა ეროვნული კატასტროფისაგან, გაათავისუფლა იგი მსოფლიო იმპერიალიზმზე დამოკიდებული ნახევრადკოლონიური ქვეყნის მდგომარეობიდან და საბჭოთა ხალხი გამარჯვების გზაზე გამოიყვანა.

ოქტომბრის რევოლუცია სისხლხორცეულად შეესაბამებოდა რუსეთის თვალუწვდენელი და მრავალეროვანი იმპერიის ყველა მშრომელი კლასის ინტერესებს. აქეტომაც იყო, რომ რუსეთის გმირი პროლეტარიატის თაოსნობით პეტროგრადსა და მოსკოვში დაწყებული, იგი საოცარი სისწრაფით გადაიქცა უდიდესი მასშტაბისა და სიძლიერის სახალხო ტალღად, რომელმაც დაამსხვრია სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის უღელი მთელს ქვეყანაში.

რუსი მუშებისა და გლეხების მხარდამხარ რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებიც დაირაზმნენ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლებში გამოსჭედეს თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ოქტომბრის ტალღა შორს გასცდა რუსეთის იმპერიის ფარგლებს, მან აამოძრავა მსოფლიოს დაჩაგრული მასები, შეარყია საერთაშორისო იმპერიალისტური სისტემა. სოციალისტური სახელმწიფოს სახით 1917 წლის ოქტომბერში შეიქმნა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მტკიცე დასაყრდენი, რომელიც მაგალითია მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ არა მარტო დაამსხვრია ცარიზმის უღელი და რუსეთის ხალხები იხსნა საერთაშორისო იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან, არამედ გზა გაუხსნა ხალხის წიაღში დაგროვილ უდიდეს შემოქმედებით ძალებს, წარმართა იგი საუკუნეობრივ ჩამორჩენილობათა სწრაფი ლიკვიდა-

ციისაკენ. ახალი ტიპის საბჭოთა სახელმწიფოში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ერებმა ერთმანეთს მეგობრული ხელი გაუწოდეს, შექმნეს ერთიანი სოციალისტური ოჯახი და საერთო ძალით მოკლე ხანში განვლეს ეროვნული აღორძინების გიგანტური გზა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ორი ეპოქის მიჯნაა ქართველი ხალხის ისტორიაშიც.

ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოში დასაწყისი მისცა მშრომელი კლასების ხელში ძალაუფლების გადასვლას. მიუხედავად იმისა, რომ შეძლებულმა კლასებმა და კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ მჭიდრო ბლოკი შექმნეს და იმპერიალისტური დასავლეთის დახმარებით მოინდომეს ბატონობის შენარჩუნება, საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით, სამწლიანი შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ შესძლეს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის აღკვეთა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ოქტომბრის რევოლუცია რომ არ ყოფილიყო და რუსი ხალხი რომ არ დაგვხმარებოდა, ქართველ ხალხს სავალალო ხვედრი მოელოდა: ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის დამღუპველი პოლიტიკის შედეგად რევოლუციური რუსეთიდან იძულებით მოგლეჯილს, უნდა გაეზიარებინა ბედი იმ კოლონიური ხალხებისა, რომლებიც ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის უღელქვეშ გმინავენ.

ქართველმა ხალხმა კი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხთან ძმური თანამშრომლობით, დიდი რუსი ხალხის დახმარებით სწრაფად დასძლია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა; საქართველოში განხორციელდა დიადი სოციალისტური გარდაქმნები, აყვავდა ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური კულტურა და ჩვენი ქვეყანა იქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად, რომელიც წარმატებით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

ზემოთქმულიდან ცხადია, თუ რაოდენ დიდი მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის შესწავლას.

ოქტომბრის რევოლუციის ისტორიის მეცნიერული გაშუქების საქმე დიდი წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ ამ მხრივ დღემდე ჩატარებული მუშაობა, როგორც სამართლიანად მიუთითებდა ჟურ—

ნალი „Вопросы истории“ [1], არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს და საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე კვლავ ამ ეპოქის შემდგომი ღრმა მეცნიერული შესწავლის ამოცანა დგას.

ეს გადაუდებელი ამოცანა მთელი სიმწვავით ისმის ჩვენი რესპუბლიკის ისტორიის ამ პერიოდის მკვლევართა წინაშეც, რადგან დღესდღეობით, სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისათვის სამწლიანი გმირული ბრძოლის მეცნიერული ისტორია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შესახებ არსებული ცალკეული წიგნები და ბროშურები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ არიან დაწერილი, მიუხედავად მათი დადებითი მნიშვნელობისა იმ პერიოდისათვის, ამჟამად ვერ აკმაყოფილებენ მკითხველის. მოთხოვნილებას. დაგროვდა ახალი მასალა, წამოიჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც ახალ, განმაზოგადებელ შრომებს მოითხოვენ. მთელი რიგი შრომები დაზღვეული არ არის იდეალისტურ-სუბიექტივისტური ხასიათის შეცდომებისაგან. მათში სათანადოდ არ არის ნაჩვენები მასების შემოქმედებითი აქტივობა, რევოლუციური მოძრაობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში განიხილება განკერძოებულად იმ დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ძვრებისაგან, რომელთაც ადგილი ჰქონდა რუსეთის იმპერიაში, არ არის სათანადოდ შეფასებული რუსეთის პროლეტარიატისა და დიდი ლენინის დამრაზმველი და ხელმძღვანელი როლი ამიერკავკასიის პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საიერიშოდ დარაზმვის საქმეში.

ჩვენი ისტორიკოსების ამოცანას წარმოადგენს გამოავლინონ ჩვენს არქივებში დაცული მდიდარი მასალა, რომელიც ცხადჰყოფს რევოლუციური მოძრაობის განუყოფლობას ამიერკავკასიასა და რუსეთში, იმ დიდს, მუდმივსა და გადამწყვეტ ხელმძღვანელობასა და დახმარებას, რომელსაც ამიერკავკასიელ კომუნისტებს მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის სწორად წარმართვის საქმეში უწევდნენ რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ლენინი და სტალინი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მკვლევართათვის ხელმძღვანელო დებულებები მოცემულია ისეთ პარტიულ დოკუმენტებში, როგორიცაა, კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და

---

[1] О научной разработке истории великой Октябрьской социалистической революции, „Вопросы истории“, № 11, 1953 ₹.

კონფერენციების რეზოლუციები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი. ეს პირუთვნელი დოკუმენტები შეიცავენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა და მისი მომდევნო პერიოდის საერთაშორისო და საშინაო ვითარების მარქსისტულ ანალიზს.

ამ საკითხის მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელ თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის აპრილის ისტორიული თეზისები, შრომები — „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ხელისუფლებას“, „მოსალოდნელი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას“, „სახელმწიფო და რევოლუცია“ და მრ. სხვ. ვ. ი. ლენინის შრომებში უხვადაა სახელმძღვანელო დებულებები ამიერკავკასიასა და საქართველოში შექმნილი კონკრეტული საშინაო და საგარეო ვითარების, ანტანტის იმპერიალისტთა ნამდვილი ზრახვების, ამიერკავკასიის კომუნისტების საბრძოლო ამოცანების შესახებ. განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია ვ. ი. ლენინის წერილი კავკასიელი კომუნისტებისადმი, სადაც არა მარტო დახასიათებულია ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სპეციფიკა, არამედ კონკრეტულადაა მოცემული ის საბრძოლო ამოცანები, რომელთა განუხრელად გატარების გარეშე შეუძლებელი იყო ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების სწრაფი განმტკიცება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ლენინური ანალიზის შემდგომი განვითარება მოცემულია ი. ბ. სტალინის შრომებში — „ოქტომბრის რევოლუცია და რუსი კომუნისტების ტაქტიკა“, „რუსი კომუნისტების სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხისათვის“, „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“, „ლენინიზმის საკითხებისათვის“, „პარტიის სამი ლოზუნგის შესახებ გლეხთა საკითხში“, „ოქტომბრის გადატრიალება და ნაციონალური საკითხი“, „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და სხვ.

ამიერკავკასიასა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მშრომელი მასებისა და მათი ავანგარდის კომუნისტური პარტიის სამწლიანი ბრძოლის მთავარი ეტაპების განსაზღვრისა და მთელი პროცესის სწორი, მარქსისტულ-ლენინური ანალიზისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვთ ი. ბ. სტალინის იმ შრომებს, რომლებიც უშუალოდ ამიერკავკასიის ვითარებას შეეხებიან. შრომები—„ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“, „მდგომარეობა კავკასიაში“, „კავკასიაში არსებული მდგომარეობისათვის“, „ინგლისის იმპერია-

ლიზმის მიერ 26 ბაქოელი ამხანაგის დახვრეტის გამო“, „მდგომარეობა კავკასიაში“, „გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს“, „კომუნიზმის მშენებლობის მორიგ ამოცანაზე საქართველოსა და კავკასიაში“ და მრავალრიცხოვანი დეპეშები ლენინის, შაუმიანის, ორჯონიკიძის სახელზე ფრიად მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენენ.

დიდმნიშვნელოვან პირველწყაროებს წარმოადგენენ აგრეთვე ს. ორჯონიკიძის, ს. მ. კიროვის, ს. შაუმიანის მოხსენებანი, სიტყვები, სტატიები, მათი მიმოწერანი ლენინთან და სტალინთან.

ცნობილია, რომ ს. ორჯონიკიძე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით სათავეში ედგა რკპ (ბ) კავბიუროს და წარმართავდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების მთელ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ს. ორჯონიკიძე დაუცხრომლად ებრძოდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერებს, რომლებიც დასავლეთის იმპერიალისტების დახმარებით ცდილობდნენ ხელისუფლების შენარჩუნებას, ებრძოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტებს, ნაციონალ-უკლონისტებს, რომლებიც ამიერკავკასიის მშრომელთა დაუძინებელ მტრებს წარმოადგენდნენ.

სამოქალაქო ომის წლებში სამხრეთში თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი ს. მ. კიროვი მჭიდრო კავშირში იყო ამიერკავკასიელ კომუნისტებთან და ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას. ს. მ. კიროვის მოხსენებებსა, სიტყვებსა და სტატიებში ლენინურ-სტალინური სიზუსტითაა განსაზღვრული ამიერკავკასიის კომუნისტების ამოცანები.

ს. შაუმიანის მოხსენებებსა და სტატიებში გამოაშკარავებულია მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების კონტრრევოლუციური სახე, ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის გამცემლური საქმიანობა, ასახულია ბაქოს კომუნის—ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების პირველი ციტადელის—ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ; ს. შაუმიანს მოცემული აქვს 1917—1918 წწ. ამიერკავკასიის ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების სწორი დახასიათება და მის ნაშრომებს ამ პერიოდის მკვლევარი ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ აუვლის.

ამ პერიოდის შესწავლაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა პროფ. გ. ვ. ხაჭაპურიძე, რომლის ნაშრომი „საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“ (1954 წ. გამოცემა) ქართული ისტორიული პარტიული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია.

1917—1921 წლებში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ ამიერკავკასიის მშრომელი მასების ძლევამოსილი იერიშები, რასაც შედეგად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება მოჰყვა, ცხადია, წარმოადგენდა დამაგვირგვინებელ ეტაპს იმ ხანგრძლივი რევოლუციური ბრძოლისა, რომელსაც ისინი ათეული წლების მანძილზე ეწეოდნენ რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით და მისი ავანგარდის კომუნისტური პარტიის მეთაურობით და დახმარებით.

იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ქართველ ხალხს, რომელმაც თავისი ბედი ადრევე დაუკავშირა დიდი რუსი ხალხის ბედს, არ ჰქონია სხვა უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, თუ არა სოციალური ჩაგვრისა და ცარიზმის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლება, ამოცანა, რომლის წარმატებით გადაწყვეტა, პირველ რიგში, XX საუკუნის ყველაზე უფრო რევოლუციურ კლასს—რუსეთის პროლეტარიატს ეკისრებოდა. ცარიზმისა და ბურჟუაზიის ექსპლოატატორული სისტემის დამხობისათვის ბრძოლაში რუსეთის პროლეტარიატმა თავის გარშემო შემოიკრიბა იმპერიის ჩაგრული მასები. საქართველოს მშრომელებს, რომელთაც დიდ რუს ხალხთან ხანგრძლივი ისტორიული მეგობრობა აკავშირებდა, თავისუფლებისათვის მებრძოლ დიდ არმიაში ყოველთვის მოწინავე პოზიციები ეჭირათ.

როგორ წარმოგვიდგება ქართველი ხალხის ისტორიულ ცხოვრებაში ის ძირითადი ეკონომიური და პოლიტიკური პროცესები, რომლებმაც საბოლოოდ მოამზადეს ნიადაგი სოციალისტური რევოლუციისათვის?

* * *

ქართველ ხალხს მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. იგი ეკუთვნის მსოფლიოს უძველესი ხალხების რიცხვს.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი წარმატება ქართველმა ხალხმა მოიპოვა X—XII საუკუნეებში, როცა მან შეძლო არაბთა და სელჩუკიანთა თურქების უღლისაგან განთავისუფლება და ერთ ფეოდალურ სახელმწიფოდ გაერთიანება. ამ პერიოდში ქართველმა ხალხმა, ფეოდალური ურთიერთობის რუტინისა და კარჩაკეტილობის მიუხედავად, შექმნა მაღალი მატერიალური და სულიერი კულტურა.

ფეოდალურ საქართველოს გაცხოველებული ურთიერთობა

ჰქონდა არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებთან, არამედ შორეულ ქვეყნებთან, მათ შორის კიევის რუსეთთანაც. რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობის დამადასტურებელია კიევის დიდი მთავრის იზიასლავის მიერ ქართველთა მეფის დემეტრეს ქალიშვილის ცოლად შერთვა, თამარ მეფისათვის საქმროდ რუსი უფლისწულის იური ბოგოლუბსკის შერჩევა, ქართველი მხატვრების მიერ რუსული ეკლესიების მოხატვა და მრ. სხვ.

XIII საუკუნეში საქართველო დაიპყრეს მონღოლებმა, რომლებმაც თითქმის ორი საუკუნის მანძილზე განუწყვეტელი თარეშითა და ძარცვა-რბევით საქართველოს ეკონომიური ცხოვრება, პოლიტიკური სიმტკიცე და კულტურული დონე დიდად დააკვეითეს. თათართა დასუსტებისა და დაცემის შემდეგ განსაკუთრებით XV საუკუნიდან ვითარება არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის ხალხებისათვის მეტისმეტად გართულდა. სამხრეთ-დასავლეთით დამკვიდრდნენ ოსმალო-თურქები, რომლებმაც ჩაჰკეტეს რუსეთთან და ევროპასთან ამიერკავკასიის ურთიერთობის ყველა გზა, მოაქციეს იგი თავის მარწუხში და აგრესიის ობიექტად გაიხადეს.

ამიერკავკასიის აღმოსავლეთით ამავე პერიოდში გაძლიერდა სეფიანთა ირანი. ორი ძლიერი, მაგრამ უკულტურო და უაღრესად აგრესიული მეზობლის—ირანსა და თურქეთს შორის დაუსრულებელი ომების ასპარეზად გახდა ამიერკავკასიის ტერიტორია, რის შედეგადაც იგი სისტემატურ აოხრებას განიცდიდა. ამავე დროს ორთავე მიისწრაფოდა ხელთ ეგდოთ საქართველო, როგორც ახლო აღმოსავლეთში ბატონობის ხელსაყრელი სტრატეგიული პუნქტი და მდიდარი ქვეყანა.

თურქი და ირანელი დამპყრობლები არა მარტო აოხრებდნენ საქართველოს ტერიტორიას და ხალხს ხოცავდნენ, არამედ ყველგან, სადაც კი მცირედი დროითაც ფეხს მოიკიდებდნენ, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ მაჰმადის სჯულს. თურქ და ირანელ დამპყრობლებს ქართველი ხალხის ნაციონალური ტრადიციების სრული ამოძირკვა, მისი ვინაობის გაქრობა სურდათ.

გამუდმებული ომების პირობებში, რასაც თან ახლდა მეურნეობის მოშლა-დაკნინება, საქართველოს შინაგანმა სისუსტემ იმატა. ახალ სამეურნეო და საზოგადოებრივ ვითარებაში მთლიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლა-დაქუცმაცება და ეკონომიური განკერძოება, რაც ჯერ კიდევ მონღოლთა ბატონობის ხანაში დაიწყო, კიდევ უფრო გაძლიერდა. ბატონყმობის ნიადაგზე შექმნილმა

სათავადოების სისტემამ საბოლოოდ დააქუცმაცა საქართველოს პოლიტიკური სხეული.

ქართველი ხალხი გასაოცარი სიმტკიცით და მამაცობით იცავდა თავს. მაგრამ ის დიდი საფრთხე, რომელიც არათუ მცირდებოდა, არამედ თანდათან იზრდებოდა და აღემატებოდა საკუთარი ძალებით თავდაცვის შესაძლებლობას, საქართველოს სახელმწიფო საქმეების მესვეურთ აიძულებდა ეძებნათ მოკავშირე, რომლის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნება.

ასეთ ძალად საქართველოს პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მიიჩნიეს მოსკოვის სახელმწიფო, რომელიც ამ დროისათვის უკვე საკმაოდ მომძლავრებული იყო. მოსკოვის სახელმწიფოს ინტერესები სამხრეთ-აღმოსავლეთით უპირისპირდებოდა ირან-ოსმალეთის ინტერესებს. ასეთ ვითარებაში, ცხადია, მოსკოვის მეფეებთან ურთიერთობის დამყარება და კავშირი ფრიად საიმედო და შექმნილი ვითარებიდან ყველაზე საუკეთესო გამოსავალი უნდა ყოფილიყო საქართველოსათვის. რუსეთთან ურთიერთობის დამყარების პირველი ცდა იყო კახეთის მეფის ლევანის შეთანხმება ივანე IV-თან, რომელმაც ლევანის მფარველობა იკისრა და მას მეციხოვნე ჯარიც ათხოვა.

მომდევნო საუკუნეებში ოსმალურ-ირანული აგრესიის გაძლიერებასთან ერთად მწიფდებოდა რუსეთის მფარველობის აზრიც. უფრო შესამჩნევი ხდებოდა ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები. და თუმცა ამ ნაბიჯებს ირან-ოსმალეთის მხრივ მეტი გააფთრება და ამაოხრებელი შემოსევანი მოჰყვებოდა ხოლმე, საქართველოს პოლიტიკური მესვეურნი გონივრულად არჩეულ გზას არათუ უხეევდნენ, არამედ მეტი დაჟინებითაც მიჰყვებოდნენ მას, რადგან შესანიშნავად ესმოდათ, რომ ეს იყო ერთადერთი და ამასთანავე საუკეთესო გამოსავალი.

XVIII საუკ. მეორე ნახევარში ნიჭიერმა მეფემ და მხედართმთავარმა ერეკლე მეორემ ხელსაყრელ ვითარების მარჯვედ გამოყენებით არათუ შეძლო ქართლ-კახეთის ირანის უღლისაგან განთავისუფლება, არამედ ამიერკავკასიის მუსლიმანური სახანოებიც კი ვასალად გაიხადა. წარმატება მოიპოვა სულიმონ I-მა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ ისევ იჩინა თავი, მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა, რადგან ცენტრალიზაციისათვის მტკიცე ნიადაგი ქვეყნის შიგნით არ არსებობდა, ასეთი ეფემერული გაერთიანების პირობებში შინა და გარე აგრესულ ძალებთან გაჭკლავება შეუძლებელი იყო. ამავე

დროს ერეკლემდე დიდი ხნით ადრე აღებული ვარაუდი რუსეთის მფარველობაზე ახლა რეალურ საძირკველს იდგამდა: პეტრე I-ის ეპოქაში რუსეთი უკვე შეეჯახა ირანსა და ოსმალეთს. ამასთან დაკავშირებით რუსეთის სამეფო კარზე მომწიფდა საქართველოში, როგორც სტრატეგიულად ხელსაყრელ პუნქტში, ფეხისმოკიდების აზრიც.

ამ ორმხრივი დაინტერესების შედეგი იყო 1783 წლის ტრაქტატი, რომელიც სავსებით უპასუხებდა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა ინტერესებს და რუსეთის გეგმებს ახლო აღმოსავლეთში. ამ აქტით ქართველმა ხალხმა წარმატებით დააგვირგვინა ირან-თურქული მტრული გარემოცვიდან განთავისუფლებისათვის სამსაუკუნოვანი გმირული ბრძოლა და თავისი ბედი საუკუნოდ რუსეთს დაუკავშირა. ამ აქტის შემდეგ, ვიდრე საქართველო საბოლოოდ შეუერთდებოდა რუსეთს, რეაქციული ირანის მხრივ მან კვლ ვ იწვნია უაღრესად მძიმე დარტყმა, მაგრამ ეს უკანასკნელი იყო. XIX საუკუნის დამდეგიდან საქართველომ არათუ საბოლოოდ აიცილა თავიდან აგრესია, არამედ მშვიდობა დაიმკვიდრა და შეძლო კიდეც დაებრუნებინა იმ ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც სხვადასხვა დროს ირან-ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული.

საქართველოს ამ პერიოდის მოვლენებს რომ ვიხილავთ, არ შეიძლება მისი ისტორიული ბედი არ შევადაროთ უკრაინის ისტორიულ ბედს. მათ შორის დიდი მსგავსებაა, რადგან უკრაინელი ხალხისათვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე იბრძოდა პოლონელი პანებისა და თათარ-თურქების აგრესიის წინააღმდეგ, არ არსებობდა სხვა გამოსავალი, თუ არა რუსეთთან შეერთება. ამიტომ უმართებულო არ იქნება ქართველი ხალხის მიმართ გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლებიც უკრაინის შესახებაა ნათქვამი საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისებში რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ. „რუსეთთან უკრაინის შეერთებას, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სათავეში მაშინ იდგნენ მეფე და მემამულენი, უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი და რუსი ხალხების შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის... შეუერთდა რა რუსეთს რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში, უკრაინა გადარჩა შლიახტის პოლონეთისა უღელს და სულთნის თურქეთის შთანთქმას“[1].

ცარიზმი წარმოადგენდა ხალხთა საპყრობილეს, იგი დაჟინე-

[1] თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, გვ. 12, 1954 წ.

ბით ნერგავდა განაპირა მხარეებში სიბნელესა და უკიცობას, ხიშ-ტითა და მათრახით იცავდა კაპიტალისტების ბატონობას მუშებზე, მემამულეთა ბატონობას გლეხებზე: ცარიზმი მხარს უჭერდა საქართველოსა და ამიერკავკასიის თავადაზნაურებს, უკრაინელ ფეოდალებს, შუააზიელ ბაებს, ბალტიისპირელ ბარონებს მშრომელი მასების ჩაგვრაში და ხალხის რევოლუციურ გამოსვლებს ტყვიებით უმასპინძლდებოდა.

მაგრამ რუსი და არარუსი ხალხების, კერძოდ, რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობა რომ მხოლოდ ცარიზმის რეაქციულ ღონისძიებათა ჩარჩოებში მოვაქციოთ და განზე დავტოვოთ ის პროცესები, რომლებიც ორივე ხალხის ცხოვრებაში განმსაზღვრელ როლს თამაშობდნენ, ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციამდე მივალთ. ასე იქცეოდნენ ქართველი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტები, რომლებიც ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების „ოქროს ხანას“ წარსულში ხედავდნენ, საქართველოს რუსეთთან შეერთებას განიხილავდნენ როგორც აბსოლუტურ ბოროტებას, განგებ თვალს ხუჭავდნენ იმ ობიექტურად პროგრესულ შედეგებზე, რომლებიც ამ ისტორიულ აქტს მოჰყვა, რუს და ქართველ ხალხებს შორის შურსა და მტრობას აღვივებდნენ და ამით ასრულებდნენ რუსი და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრების—დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების დაკვეთას.

რაში მდგომარეობს ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი ის ობიექტურად პროგრესული პროცესები, რომელთაც ქართველი ხალხის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდათ?

რუსეთთან თანაცხოვრებით ქართველმა ხალხმა არა მარტო თავიდან აიცილა მონობა ირან-ოსმალეთისა, რომლებიც მარქსისა და ენგელსის დახასიათებით „...ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაზე იდგნენ“ და ყველაზე საშინელ ასიმილატორებს წარმოადგენდნენ, არამედ დაიმკვიდრა მშვიდობა და მყუდროება, მოიშუშა ჭრილობები, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გზები გაკაფა და ეკონომიურ მოღონიერებასთან ერთად წინ წასწია თავისი ეროვნული კულტურა.

საქართველოში დამკვიდრებით რუსეთმა შექმნა ხელსაყრელი პლაცდარმი, რომელიც დიდად უწყობდა მას ხელს აღეკვეთა ის აგრესიული ღონისძიებანი, რომლებსაც რუსეთისა და ამიერკავკასიის წინააღმდეგ ახორციელებდნენ ირანი, ოსმალეთი და მათ ზურგს უკან მდგომი ინგლისისა და საფრანგეთის რეაქციული მმართველი წრეები. რუსეთის ომი ირანის წინააღმდეგ (1804—

1813, 1826--1828 წლებში) და თურქეთის წინააღმდეგ (1806—1812, 1828--1829 წლებში) სავსებით შეესაბამებოდა ამიერკავკასიის ხალხების—ქართველების, სომხების, აზერბაიჯანელების ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ ამ ომში ამიერკავკასიის ხალხები რუსეთის არმიის მხარდამხარ იბრძოდნენ და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ამიერკავკასიის ტერიტორიის თურქეთ-ირანის უღლისაგან განთავისუფლებას.

ქართველი ხალხი ასევე ენერგიულ დახმარებას უწევდა რუსეთის არმიას თურქეთის აგენტის შამილის ანტინაციონალური და ანტიხალხური რელიგიური ომების ლიკვიდაციისა და კავკასიის მთიანეთში დამკვიდრების საქმეში.

ამ ომებში რუსეთის მიერ მოპოვებულმა წარმატებებმა საგრძნობლად დაასუსტეს ირანი და ოსმალეთი, ჩაშალეს დასავლეთის კაპიტალისტური სახელმწიფოების ამიერკავკასიის რუსეთიდან ჩამოცილებისა და მიტაცების ვერაგული გეგმები, და, ამრიგად, თავიდან ააცილეს საქართველოს ის დიდი საფრთხე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ემუქრებოდა მას სამხრეთის საზღვრებიდან და ფიზიკურ მოსპობას უქადდა. გარდა ამისა, საქართველომ რუსეთ-თურქეთის 1828—29 წლების ომის შედეგად დაიბრუნა თურქი აგრესორებისაგან დიდი ხნის წინათ მიტაცებული ახალციხის ოლქი, ხოლო რუსეთ-თურქეთის 1877—78 წლების ომის შედეგად — აჭარა და ართვინის ოლქი.

რუსეთთან შეერთებას მოჰყვა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების სწრაფი აღმავლობა. რუსეთთან შეერთებამდე აგრესიული გარემოცვის რკალში მოქცეული საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო მეურნეობიდან განზე იდგა და ირან-ოსმალეთისა და ლეკების განუწყვეტელი თარეშისა და ქართველი თავადაზნაურების თავაშვებული პარტიკულარული მისწრაფებების ვითარებაში მხოლოდ ნგრევას განიცდიდა. განუწყვეტელი ომებისა, შიმშილობისა და ეპიდემიების შედეგად მოსახლეობის რიცხვი თანდათან მცირდებოდა. მარტო 1783—1801 წლებში საქართველოში მოსახლეობის რიცხვი 61 ათასი ოჯახიდან 35 ათას ოჯახამდე შემცირდა. მოსახლეობის რიცხვის ასეთი განუწყვეტელი კლების გამო ქართველი ხალხი გადაშენების გზაზე იდგა.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა (საქართველო—ა. ს.), დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-

შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამაპაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დარჩა"[1]. მშვიდობიანმა პირობებმა შექმნეს ხელსაყრელი ვითარება სამეურნეო ცხოვრების აღმავლობისათვის. საქართველო XIX საუკ. დამდეგიდან რუსეთის მოწინავე, კაპიტალისტური ურთიერთობის გზით მიმავალი ეკონომიური ცხოვრების ფერხულში ჩაება. გასაოცარი სისწრაფით გაიზარდა ქართული მოსახლეობის რიცხვი. თუ, მაგალითად, 1820 წლის აღწერით საქართველოში ქართველი მოსახლეობის რიცხვი 380.000 სულს არ აღემატებოდა, 1865 წლისათვის იგი 1.250 ათასამდე ავიდა, ხოლო 1887 წლისათვის 2.034.6 ათას სულამდე მიაღწია.

რუსეთის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ დაიწყო ფეოდალური პარტიკულარიზმის ალაგმვა, ცალკეულ კუთხეთა შორის ნატურალური კარჩაკეტილობის რღვევა, გაჩაღდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ქართულ სოფლებში, მოსახლეობამ ხელი მოჰკიდა ინტენსიურ მეურნეობას, შესამჩნევი გახდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და ქალაქის მოსახლეობის ზრდა; განვითარების გზაზე მდგარმა რუსეთის კაპიტალიზმმა ქართული ფეოდალური საზოგადოების წიაღშიც იპოვა ნაპრალები და დაიწყო თავისი პოზიციების გამაგრება.

1847 წელს გორის მაზრაში გაიხსნა. შუშის ქარხანა, ტყიბულში დაიწყო ქვანახშირის მოპოვება, 1848 წ. თბილისში აშენდა საპნის ქარხანა, 1850 წელს—მექანიკური და თუჯის ჩამომსხმელი ქარხნები. ფართოდ გაიშალა ვაჭრობა. ქართველი ვაჭრები გამოჩნდნენ რუსეთის იარმარკებზე. 1831 წლის კანონმა უცხოური საქონლის საქართველოზე თავისუფალი ტრანზიტის და შეღავათიანი ტარიფების შესახებ და რუსეთის სავაჭრო კომპანიების დაარსებამ თბილისში დიდად შეუწყეს ხელი ვაჭრობის განვითარებას. 1848 წ. მოსკოველი და ივანოველი მეფაბრიკეების მიერ თბილისში დაარსებულ იქნა „ამიერკავკასიის საცალო ვაჭრობის საზოგადოება". 1854 წ. თბილისის მსხვილი ვაჭრები იცნეს „რუსეთის იმპერიის შთამომავლობით საპატიო მოქალაქეებად".

მწარმოებელი ძალების განვითარება შესამჩნევი გახდა სოფლის მეურნეობაში. გაიზარდა მარცვლეული კულტურის მოყვანა, მეევნახეობა. მოსახლეობამ ხელი მოჰკიდა ინტენსიურ მეურნეო-

---

[1] ი. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, პავლე ინგოროყვას რედაქციით, 1941, გვ. 498.

ბას — შაქრის ლერწმის, ბამბის, თამბაქოს, აბრეშუმის მოყვანას. აქა-იქ გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებიც. 1850 წელს დაარსდა „სოფლის მეურნეობის კავკასიის საზოგადოება“.

გაიზარდა ქალაქების რიცხვი და მისი მოსახლეობა. 1825 წ. საქართველოში 5 ქალაქი იყო. 1850 წლისათვის—12. გაუმჯობესდა სამიმოსვლო გზები. თბილისი რუსეთს ტელეგრაფით დაუკავშირდა.

ეკონომიურმა განვითარებამ აიძულა ცარიზმი საგლეხო რეფორმა გაეტარებინა. „მემამულე-მებატონეთ არ შეეძლოთ ხელი შეეშალნათ სასაქონლო გაცვლა-გამოცვლის ზრდისათვის რუსეთსა და ევროპას შორის, არ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ მეურნეობის ძველი, დაშლის პროცესში მყოფი ფორმები. ყირიმის ომმა ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება. გლეხთა «ამბოხებებმა», რომლებიც განთავისუფლებამდე ფართოდებოდა ყოველ ათწლეულში, აიძულა პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ეღიარებინა, სჯობს გავათავისუფლოთ ზ ე ვ ი დ ა ნ, ვიდრე ქ ვ ე ვ ი დ ა ნ დაგვამხობდნენო“[1].

1861 წლის საგლეხო რეფორმამ, რომელიც თავისი შინაარსით ბურჟუაზიული იყო, ძალზე შეუწყო ხელი კაპიტალიზმის განვითარებას და რუსეთი ბურჟუაზიული მონარქიის გზაზე დააყენა. იგივე ობიექტური პროცესები, რომლებმაც რუსეთში ბატონყმობის გაუქმების აუცილებლობა შექმნეს, საქართველოშიც მომწიფდნენ. საქართველოს ეკონომიური განვითარება და კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობით ზრდა, გლეხთა ანტიბატონყმური აჯანყებები აიძულებდნენ ქართველ თავადაზნაურებსა და მის მფარველ თვითმპყრობელობას აქაც, საქართველოშიც, გაეტარებინათ გლეხთა განთავისუფლების კანონი.

რეფორმის შემდეგ კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში სწრაფი ტემპით წავიდა წინ. რუსეთის კაპიტალიზმმა, გაიკაფა რა გზა განაპირა ოლქებში, ეს მხარეები გადააქცია გასაღების ბაზრად და ნედლეულის წყაროებად. „რუსეთის კაპიტალიზმი,—მიუთითებს ვ. ი. ლენინი,—კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს—ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს,—ჰ ქ მ ნ ი დ ა ბ ა ზ ა რ ს თავისი ფაბრიკებისათვის“[2].

ამიერკავკასიის სწრაფი ეკონომიური ათვისების მიზნით ცა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 127.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

რიზმმა, რომელსაც კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობა უკვე თავის სურვილისამებრ ათამაშებდა, დაიწყო რკინიგზების გაყვანა ამიერკავკასიაში. 1871 წელს გაიხსნა სარკინიგზო ხაზი თბილისსა და ფოთს შორის, 1883 წელს—სამტრედიასა და ბათუმს, თბილისსა და ბაქოს შორის. რკინიგზის ხაზებით ამიერკავკასიის მსხვილი ცენტრები, კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროები დაუკავშირდნენ ცენტრალურ რუსეთს.

საგლეხო რეფორმის შემდეგ სწრაფად წავიდა წინ საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობა საქართველოში. თბილისში გაიხსნა რკინიგზის სახელოსნოები და ამიერკავკასიის რკინიგზის დეპო. მუშაობა დაიწყეს აბრეშუმის, ტყავისა და ფეხსაცმლის ფაბრიკებმა, ჭიათურაში დაიწყეს მარგანეცის მოპოვება, თუჯისჩამომსხმელი ქარხანა აშენდა ჩათახში. ახტალაში მუშაობა დაიწყო სპილენძისსადნობმა ქარხანამ, სამრეწველო საწარმოები შეიქმნა ბათუმში, ფოთსა და სხვა ქალაქებში.

კაპიტალიზმმა გააღრმავა საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია. გლეხური მოსახლეობის დიდი ნაწილის გაპროლეტარებამ შექმნა მუშაპელის დიდი რეზერვი და გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდა. მაგალითად, თბილისის მოსახლეობა 1865 წლიდან 1897 წლამდე 92.875 მცხოვრებით გაიზარდა.

კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ საქართველოში საბოლოოდ დაამსხვრია კუთხური სამეურნეო კარჩაკეტილობა. მან ქვეყანა შეაკავშირა ერთ მთლიან სამეურნეო ერთეულად და განაპირობა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება. XIX საუკ. მეორე ნახევარში დასრულდა მრავალსაუკუნოვანი პროცესი ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებისა, რაც უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში წარმოშვა მუშათა კლასი — ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივი ძალა, რომელიც რუსეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, მარქსისტულ-ლენინური პარტიის დროშის ქვეშ დაირაზმა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის ბატონობის დასამხობად.

ამრიგად, რუსეთთან შეერთებამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ეკონომიური ცხოვრების წინსვლას, რასაც თავის მხრივ მოჰყვა ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაცია, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, ქართველი ხალხის ერად ჩამოყალი-

ბება, საქართველოში მუშათა კლასის წარმოქმნა და რევოლუციური მოძრაობის აღმავლობა.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ შექმნა ფართო შესაძლებლობანი ქართველი ხალხის სულიერი კულტურის სწრაფი განვითარებისათვის.

რუსულმა კულტურამ უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების, არამედ ყველა სლავური ქვეყნის და მთელი მსოფლიოს კულტურის განვითარებაზე.

XIX საუკ. პირველი ნახევრის ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რუსეთის მოწინავე კულტურასთან. ქართული რომანტიზმის ყველაზე დიდმა წარმომადგენლებმა განიცადეს პროგრესული რუსული პოეზიის გავლენა.

თუ ცარიზმის რეაქციული ხროვა, რომლის „კულტურა" თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობისა და ხალხურობის უვაროვისებური ცნებებით ხელმძღვანელობდა და ხიშტითა და მათრახით ნერგავდა სიბნელესა და უვიცობას რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებში, მათი გარუსების პოლიტიკას ახორციელებდა, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული კულტურა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების კოლონიურ ჩაგვრას ებრძოდა, დიდი თანაგრძნობით, სიმპათიებით იყო გამსჭვალული ამ ხალხებისადმი, ხელს უწყობდა მათ გათვითცნობიერებას, განვითარებას.

კავკასია ბევრი რუსი მწერლისათვის, როგორც აღნიშნავდა ბელინსკი, წარმოადგენდა შთაგონების უშრეტ წყაროს. საქართველოში გაატარა თავისი ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი დიდმა რუსმა მწერალმა ა. გრიბოედოვმა. ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა საქართველოში გატარებულ დღეებს ა. პუშკინი. რუსეთიდან გადმოსახლებულმა მ. ლერმონტოვმა ქართულ თემებზე მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები დაწერა. თბილისში დაწერა თავისი ცნობილი „ბავშვობა" ლევ ტოლსტოიმ. თბილისი მყუდრო თავშესაფარი გახდა რუსეთიდან კავკასიაში გადმოსახლებული დეკაბრისტებისათვის, რომლებსაც ადგილობრივი საზოგადოება მეტად გულთბილად და თანაგრძნობით შეხვდა. რუსეთში სწავლას დაწაფებულმა საქართველოს საუკეთესო შვილებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს რუსული კულტურის განვითარებაში. 1827 წელს პეტერბურგში გამოვიდა სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკა", რომელსაც მაშინდელმა რუსულმა საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა. 1827 წელს ცნობილი ქართველი ისტორი-

კოსი თეიმურაზ ბაგრატიონი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული.

ცარიზმის პირობებში სამშობლოში განათლების საშუალებას მოკლებულმა ქართველმა ახალგაზრდობამ XIX საუკ. 40—50 წლებში მასობრივად მიაშურა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს. მოსკოვის, პეტერბურგის, კიევისა და სხვ. უნივერსიტეტებში ქართველი ახალგაზრდები მეცნიერებასთან ერთად ხარბად დაეწაფნენ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებს, რომელთა მებაირახტრეებად განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე რუსეთში გამოვიდნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვები. ისინი აქტიურად ჩაებნენ რუსი ახალგაზრდობის მღელვარე ცხოვრებაში, აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტთა მღელვარებაში, ხალხისანთა ფარულ ორგანიზაციებში. სამშობლოში დაბრუნებული ის ახალგაზრდობა, მოწინავე რუსული კულტურის ტრადიციებზე რომ აღიზარდა, ენერგიულად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებასა და განათლებას. იბრძოდნენ რა ცარიზმის მძიმე კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ, ისინი მთელ ენერგიას ახმარდნენ ეროვნული კულტურის აღორძინებისა და წინწაწევის კეთილშობილურ საქმეებს. მათ ჭეშმარიტად სძულდათ არაკჩეევების, ბენკენდორფების რუსეთი, მაგრამ განუყოფელ კავშირში იმყოფებოდნენ რუს ხალხთან, მის საუკეთესო შვილებთან, მის კულტურასთან და თავიანთი ბრძოლით ხელს უწყობდნენ ახალი რუსეთის დაბადებას. სწორედ ამ ადამიანთა მოღვაწეობით ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარება რუსული კულტურის ზეგავლენით წარიმართა. ქართული კულტურის უდიდესი მოამაგე ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველ მასზე, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს; ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას მან დაამჩნია თავისი ავკარგიანობა... რუსულმა სკოლამ, მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზე. თვითეული ჩვენთაგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულ ჩვენთაგანს მის გამონარკვევზე აუგია თავისი რწმენა, თავისი

მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია"[1].

აკაკი წერეთელი წერდა: „ჩვენ მართლა რომ დიდად ვაფასებთ ძმობას ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომლებსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თავისუფლება"[2].

ცარიზმის რეაქციულ-კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა. ახალი რუსეთისათვის ბრძოლის საერთო ინტერესები და მისწრაფებანი რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ხალხს, მათ შორის ქართველ ხალხს, რაზმავდა ერთიანი საბრძოლო დროშის გარშემო, რომელიც 90-იანი წლებიდან რუსეთში ვ. ი. ლენინმა აღმართა.

* * *

საქართველოს რუსეთთან შეერთება საზარალო აღმოჩნდა ქართველი მსხვილი თავადაზნაურობისათვის, რომელმაც რუსეთის მფლობელობაში დაჰკარგა ის ძველი ძლიერება და პრივილეგიები, რაც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა. იუკადრისა რა რუსეთის იმპერიის „უბრალო ქვეშევრდომობა", ქართველი თავადაზნაურობის ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა შეთქმულების მოწყობა, რომელსაც საქართველოდან რუსეთის განდევნა და აქ მეფეთა ძველი ხელისუფლების აღდგენა უნდა მოჰყოლოდა. ი. ბ. სტალინი შენიშნავს, რომ შეთქმულების მოწყობით ქართველ თავადაზნაურობას **„...უნდოდა «საქართველოს» სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და,** ამგვარად, **მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედ-იღბალი!** ეს იყო **ფეოდალურ-მონარქიული «ნაციონალიზმი»**, რომელმაც... „თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში კლერიკალური ფორმა მიიღო"[3]. ცხადია, ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც ამ შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო წოდებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, წინ ეღობებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1928, გვ. 285.
[2] გაზ. „კლდე", № 6, 1913 წ.
[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32—33.

ქართველ ხალხს აქვს რევოლუციური ბრძოლის მდიდარი ტრადიცია. ეს რევოლუციური ბრძოლები სოციალური დამონებისა და კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. სულის-შემხუთველი ბატონყმური ექსპლოატაციისა და დამამცირებელი ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ საქართველოს მშრომელმა კლასებმა თავიანთი პროტესტი შესანიშნავად გამოხატეს იმ გლეხურ აჯანყებებში, რომელთა ტალღამ XIX საუკუნეში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს გადაუარა. მათ შორის, როგორც ვიცით, ყველაზე ფართო მასშტაბისა იყო გურიის გლეხთა გამოსვლა 1841 წელს და სამეგრელოს გლეხთა გამოსვლა 1857 წელს, რომელთა ჩახშობაში მეფის ჯარებთან ერთად უაღრესად აქტიური მონაწილეობა ქართველმა თავადაზნაურებმაც მიიღეს.

სოციალური და კოლონიური უღლის წინააღმდეგ რომ იბრძოდა, ქართველი გლეხობა არასოდეს არ გამოსულა საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის მოთხოვნით.

გლეხთა აჯანყებები საქართველოში, მიუხედავად თავადაზნაურობისა და გარკვეული ჯგუფების ცდისა, მისთვის ნაციონალისტური ხასიათი მიეცათ, სინამდვილეში წარმოადგენდნენ „...ჩაგრული კლასების სტიქიური აღშფოთების, ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ გლეხობის სტიქიური აჯანყების გამოხატულებას"[1].

ცარიზმის დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აერთიანებდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ძალებს, რაზმავდა მათ დიდი რუსი ხალხის გარშემო, ხალხისა, რომელსაც პოლონელებზე, უკრაინელებზე ან ქართველებზე ნაკლებ როდი სძულდა რომანოვების რეაქციული ხროვა. ცნობილია, რომ რუსმა ხალხმა დეკაბრისტების, რევოლუციურ-დემოკრატების სახით პირველმა აღმართა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის დროშა. რევოლუციონერი-დემოკრატები აქტიურად უჭერდნენ მხარს პოლონელი, ფინელი, კავკასიელი, შუააზიელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რაც ბატონყმობისა და ცარიზმის დესპოტიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული.

60-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები—ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი და მრავალი სხვები, რუს ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობასა და მეგობრობაზე ამყარებდნენ საქართველოს შემდგომი აღორძინების იმედებს. მათ შესანიშნავად ესმოდათ, რომ რუსი ხალხის მხარდაჭერის გარეშე ქართველი ხალხი ვერ შეძ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 118.

ლებდა ეკონომიური ცხოვრებისა და კულტურის წინწაწევას, ვერ შეძლებდა საკუთარი ძალებით გამკლავებოდა აგრესიული მეზობლებისა და მათ ზურგს უკან მდგომი ევროპის იმპერიალისტური ქვეყნების მოძალებას, რომელთაც დიდი ხანია თვალი ეჭირათ საქართველოზე და მისი დამონება სურდათ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 60—70 წლების საქართველოში წარმოადგენდა განშტოებას იმ დიდი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობისა, რომელსაც 50—60-იანი წლების რუსეთში სათავეში რაზნოჩინცული თაობა—რევოლუციონერ-დემოკრატები ედგნენ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ბანაკთან აკავშირებდა ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიული რევოლუციის საერთო კეთილშობილური მიზანი.

XX საუკ. დასაწყისში მსოფლიოს რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. საზოგადოებრივი აზრის რევოლუციურ-დემოკრატიულმა ტრადიციებმა, კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ, მუშათა კლასის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალად გაფორმებამ მყარი ნიადაგი შექმნეს რუსეთში მარქსიზმის გავრცელებისათვის. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ვ. ი. ლენინი, რომელმაც, როგორც მარქსისა და ენგელსის მოძღვრების ერთგულმა მიმდევარმა, არა მარტო დაიცვა მარქსიზმი ოპორტუნიზმისაგან, არამედ ახალ ისტორიულ პირობებში შემოქმედებითად განავითარა იგი და არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს ჩაგრულ კლასებს მისცა იმპერიალისტური მონობისაგან თავის დაღწევის, კომუნიზმის მშენებლობის ბასრი იდეური იარაღი.

მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ და მარქსისტულმა იდეების გავრცელებამ რუსეთის განაპირა მხარეებში აქტიური გამოძახილი პოვეს. „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ მოღვაწეობამ და განსაკუთრებით ლენინის მიერ დაარსებულმა „ბრძოლის კავშირმა“ დასაბამი მისცეს მარქსისტულ ორგანიზაციებს საქართველოში. ქართველი რევოლუციური ახალგაზრდობა ხარბად დაეწაფა მარქსიზმს. რუსეთიდან გადმოსახლებულმა სოციალ-დემოკრატებმა საქართველოში გააჩაღეს ფართო მარქსისტული თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა. რუსი და ქართველი მარქსისტების ვ. აფანასევის, ი. კოგანის, ი. ლუზინის, გ. ფრანჩესკის, ს. ჯიბლაძის, მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, ზ. ჩოდრიშვილის, მ. ბოჭორიძის და სხვათა ხელმძღვანელობით თბილისში და საქარ-

თველოს სხვა ქალაქებში ჩამოყალიბდნენ მუშათა არალეგალური მარქსისტული წრეები, რომლებშიაც საქართველოს მუშა ახალგაზრდებმა მარქსის მოძღვრების შესწავლა დაიწყეს. 90-იანი წლების მიწურულში რევოლუციური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა სტალინი, რომელმაც თავის გარშემო შემოიკრიბა რევოლუციონერები და ამიერკავკასიაში სათავეში ჩაუდგა პროლეტარიატის ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ი. ბ. სტალინმა მის უახლოეს თანამებრძოლებთან წულუკიძესთან, კეცხოველთან, ჯაფარიძესთან, შაუმიანთან, მ. ცხაკაიასთან, ფ. მახარაძესთან ერთად უდიდესი მუშაობა გააჩაღა ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე შექმნისა და გამოწრთობისათვის. ი. ბ. სტალინი ლენინიზმის ბასრი იარაღით დაუნდობლად ანადგურებდა მენშევიკების, ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების რეაქციულ შეხედულებებს, რომლებიც რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხთა შორის შუღლსა და მტრობას აღვივებდნენ. „ნაციონალური კედლების დანგრევა და მჭიდროდ შეკავშირება რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარებისა — რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობაა“ — მიუთითებდა იგი თავის ცნობილ შრომაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“[1].

მუშათა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში წარმოადგენდა რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლის განუყოფელ ნაწილს. „ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარი პროგრამით. ის ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“[2]—წერდა 1901 წელს ი. ბ. სტალინი.

XX საუკ. დასაწყისში, პარტიის მეორე ყრილობაზე წარმატებით დაგვირგვინდა ლენინის ბრძოლა რუსეთში რევოლუციურ-მარქსისტული პარტიის შექმნისათვის. ყრილობამ მიიღო რსდმპ პროგრამა და წესდება, აირჩია ცენტრალური პარტიული დაწესებულებანი. ყრილობას ჰქონდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. მან დასაწყისი მისცა ახალი ტიპის პარტიას, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდებოდა II ინტერნაციონალის რეფორმისტული

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 35.

[2] იქვე, გვ. 6.

პარტიებისაგან. ეს იყო მობრუნების პუნქტი არა მარტო რუსეთის, არამედ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკები ი. ბ. სტალინის მეთაურობით შეუპოვრად იცავდნენ რუსეთის რევოლუციის ლენინურ გზას. ვ. ი. ლენინი კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ინტერნაციონალურ, სოლიდარულ მუშაობას მაღალ შეფასებას აძლევდა. მაქსიმ გორკისადმი მიწერილ წერილში ლენინი აღნიშნავდა, რომ კავკასიაში ქართველები, სომხები, თათრები, რუსები მუშაობენ ერთად სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში ათ წელიწადზე მეტს და ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ნაციონალური საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა.

1905—1907 წლებში რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ კომუნისტური პარტიის მეთაურობით პირველი ძლევამოსილი იერიში მიიტანეს ცარიზმის ბურჯებზე. ამ წლებში საქართველოს მშრომელი კლასებიც საბრძოლო პოსტზე იდგნენ. 1905 წლის 9 იანვრიდან, როცა პეტერბურგში მეფის ჯარებმა მუშათა მშვიდობიან დემონსტრაციას ტყვია დაუშინეს, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში არ დამცხრალა რევოლუციის ხანძარი. მძლავრ პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, მუშათა და გლეხთა ერთიან შეიარაღებულ გამოსვლებში, ქალაქად და სოფლად წითელი რაზმების შეგნებულ მოქმედებაში ნათლად გამოჩნდა მთელი პოლიტიკური აქტივობა საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობისა, რომელთა დამრაზმველ მუშაობას სათავეში ბოლშევიკების პარტია ედგა. რსდმპ III ყრილობამ, რომელიც რევოლუციის აღმავლობის ვითარებაში შეიკრიბა, თავის რეზოლუციებში აღნიშნა, რომ „კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებულმა პირობებმა ხელი შეუწყვეს ჩვენი პარტიის შედარებით უფრო მებრძოლი ორგანიზაციების შექმნას“[1]. ვ. ი. ლენინი კავკასიას მიაკუთვნებდა რუსეთის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის ისეთ ცენტრებს, სადაც ყველაზე ნათლად იყო გამოხატული პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი.

რეაქციის სუსხიან წლებში ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს რევოლუციური ძალების ორგანიზებული უკანდახევა, იატაკქვეშეთის მძიმე პირობებში მასებთან კავშირის შენარჩუნება და რევოლუციური მუშაობის წარმართვა ახალი იერიშების მოსამზადებლად, ამავე დროს გადამჭრელი

---

[1] КПСС в резолюциях и решениях съездов, конференций и пленумов ЦК. Часть I, изд. седьмое, зз 84.

ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკი ლიკვიდატორებისა და ამიერკავკასიაში სოკოსავით მომრავლებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გამოაშკარავებისა და განადგურებისათვის.

რევოლუციური აღმავლობისა და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები, დიდი ლენინის მითითებათა საფუძველზე, უნარიანად ხელმძღვანელობდნენ მშრომელ მასებს, რომლებმაც სუსხიანი რეაქციის შემდეგ რუსეთის პროლეტარიატის მხარდამხარ კვლავ დაიწყეს ორგანიზებული განმათავისუფლებელი ბრძოლა. ომის დროს, როცა მენშევიკები და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები აშკარად დადგნენ იმპერიალიზმის სამსახურში, ბოლშევიკებმა, ცარიზმის მხრივ სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, შეძლეს ამიერკავკასიის მშრომელების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე აღზრდა და ჩაშალეს ცარიზმისა და მის კალთებქვეშ ამოფარებული ნაციონალისტების ბოროტი ცდები გაეღვივებინათ შუღლი ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ მშრომელთა შორის.

ამიერკავკასიის საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონებისა და ბოლშევიკური პარტიის დამრაზმველი მუშაობის შედეგად მშრომელი კლასებისათვის უცხო და მოულოდნელი არ აღმოჩნდა ის მეორე მძლავრი იერიში, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა ცარიზმის წინააღმდეგ მიიტანა და გამარჯვებით დააგვირგვინა.

რა დასკვნები გამომდინარეობენ ზემოთქმულიდან? პირველი ის, რომ საქართველოს შეერთება რუსეთთან იყო უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის ისტორიული აქტი და მობრუნების ეტაპი ქართველი ხალხის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ აქტის შედეგად მტრულ პოლიტიკურ გარემოცვაში მოქცეული ქართველი ხალხი არათუ გადაურჩა სულთანის თურქეთისა და შაჰის ირანის გამანადგურებელ აგრესიას, არამედ ჩაება მსოფლიო ისტორიის ბრუნვაში და მტკიცედ დადგა პროგრესის გზაზე.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ განამტკიცა რუსი და ქართველი ხალხის ტრადიციული მეგობრობა. ადგილობრივი ექსპლოატატორული კლასების სოციალური ჩაგვრისა და ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში ეს მეგობრობა იზრდებოდა და მტკიცდებოდა. რუსი ხალხის სახით ქართველმა ხალხმა შეიძინა დიდი მოკავშირე, ერთგული მეგობარი და

დამცველი თავის სოციალურ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

რუსეთის პროლეტარიატი რუსეთის იმპერიის ჩაგრულ მასებს წინ წაუძღვა ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. რუსეთის პროლეტარიატისა და მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის დიადი თაოსნობა რომ არა, რუსეთის იმპერიის ხალხები საუკუნეობრივი ჩაგვრისა და მონობისათვის იყვნენ განწირული.

ქართველ ხალხს შესანიშნავად ესმოდა, რომ რუსი ხალხის მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე იგი, როგორც პატარა და აგრესიული მეზობლებით გარემოცული ქვეყანა, იმპერიალიზმის მსხვერპლი აღმოჩნდებოდა.

როგორც წინამდებარე ნარკვევში დავინახავთ, ქართველმა ხალხმა იგრძნია 1917 – 20 წლებში რუსეთიდან მოწყვეტილად არსებობის მთელი სიმძიმე. ეს „დამოუკიდებლობა“ სინამდვილეში წარმოადგენდა კონტრრევოლუციური პარტიების სისხლიან კავშირს ჯერ გერმანიისა და თურქეთის, შემდეგ ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტებთან, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა კოლონიად გაიხადეს, გაძარცვეს იგი, გადააქციეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად და სისხლში ჩაახშვეს საქართველოს მშრომელების რევოლუციური გამოსვლები. ამ მძიმე დღეებში ქართველი ხალხის დამხმარე და მხსნელი მხოლოდ საბჭოთა რუსეთი იყო, რომელიც დაეხმარა კიდეც მას მენშევიზმის სისხლიანი დიქტატურის დამხობასა და იმპერიალისტური ინტერვენციის აღკვეთაში.

* * *

წინამდებარე ნარკვევი წარმოადგენს ავტორის მიერ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის წაკითხულ სპეცკურსს. ნაშრომის ასეთი დანიშნულება, ცხადია, ავტორს ზღუდავდა და საშუალებას არ აძლევდა გაეშუქებინა ყველა საკითხი ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრებისა ამ პერიოდში. ავტორი ფიქრობს, რომ ეს ამოცანა აღემატება კიდეც ერთი ადამიანის ძალღონეს და წარმოადგენს ისტორიკოსთა კოლექტივის კეთილშობილურ საქმეს. თუ მიუხედავად მისი ფრაგმენტული ხასიათისა, ამ ნაშრომის გამოქვეყნებას ჩვენ მაინც ვბედავთ, ეს იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტობის გარდა იგი ფართო მკითხველსაც ეროგვარ სარგებლობას მოუტანს და დაეხმარება ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ამ მეტად მღელვარე და რთული პერიოდის ძირითადი პოლიტიკური მოვლენების შეცნობაში.

თავი I

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში

თავის გენიალურ ნაშრომში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ი. ბ. სტალინი მიუთითებს, რომ საზოგადოებაში „...ეკონომიკური განვითარების კანონები წარმოადგენენ ობიექტურ კანონებს, რომლებიც ასახავენ ადამიანთა ნებისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე ეკონომიკური განვითარების პროცესებს“[1]. ადამიანებს არ შეუძლიათ შესცვალონ ან გააუქმონ ეს კანონები. ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ ის, რომ ეს კანონები აღმოაჩინონ, შეიცნონ, შეისწავლონ და გაითვალისწინონ თავიანთ მოქმედებაში საზოგადოებრივი ინტერესებისათვის.

ი. ბ. სტალინმა ამავე ნაშრომში არა მარტო მოგვცა ბუნებისა და საზოგადოების ეკონომიკური კანონების ცნების ზუსტი განსაზღვრა, არამედ ჩამოაყალიბა კიდეც კაპიტალისტური და სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების ძირითადი ეკონომიკური კანონები. თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარ ნიშნებს ი. ბ. სტალინი შემდეგნაირად ახასიათებს: „მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად“[2].

ისტორიული მატერიალიზმი გვასწავლის, რომ საზოგადოებრივ წარმოებას მუდამ აქვს ერთმანეთს შორის განუყოფლად დაკავშირებული ორი მხარე. ერთი ამ მხარეთაგანია საწარმოო ძალები, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის დამოკიდებულებას ბუნებისა და

---

[1] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 6.

[2] იქვე, გვ. 42.

საგნებისადმი. მეორე მხარე—წარმოებითი ურთიერთობა,—ანუ ადამიანთა ურთიერთობა ერთმანეთთან წარმოების პროცესში[1].

ამასთანავე ცნობილია, რომ საწარმოო ძალები წარმოადგენენ წარმოების უფრო მეტად მოძრავ და რევოლუციურ ელემენტს. წარმოების განვითარება და ცვლა ყოველთვის საწარმოო ძალების, პირველ რიგში, წარმოების იარაღების განვითარებისა და ცვლილებიდან იწყება. განვითარების შედეგად პირველად იცვლებიან საწარმოო ძალები, ხოლო მათ შემდეგ და მათთან დამოკიდებულებით და შესაბამისობით იცვლება წარმოებითი ურთიერთობა. საწარმოო ძალები არა მარტო ყველაზე მოძრავი და რევოლუციური ელემენტია საზოგადოებრივ წარმოებაში, არამედ მისი განმსაზღვრელიც არის. წარმოებითი ურთიერთობანი ყოველთვის ყალიბდებიან საწარმოო ძალების მიერ მიღწეული განვითარების დონეს შესაბამისად, მათ ხასიათზე არიან დამოკიდებული.

საწარმოო ძალებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ სრული ზომით განვითარდნენ, თუ მათ ხასიათს, მათ მდგომარეობას შეესაბამებიან წარმოებითი ურთიერთობანი. წარმოებითი ურთიერთობანი არ შეიძლება მეტისმეტად დიდხანს ჩამორჩებოდნენ საწარმოო ძალების ზრდას. ასეთი ჩამორჩენის შემთხვევაში იწყება წარმოების რღვევა, კრიზისი, საწარმოო ძალების დაშლა და გაჩანაგება.

საწარმოო ძალების ხასიათისაგან წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკურმა კანონმა ფეოდალურ საზოგადოებაში გზა გაიკაფა იმით, რომ დამსხვრეულ იქნა მონათმფლობელური წარმოებითი ურთიერთობა და შეიქმნა ახალი, წარმოო ძალების დონისათვის შესაბამისი ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობა. ფეოდალურ საზოგადოებაში საწარმოო ძალების შემდგომი განვითარების, ხოლო ფეოდალური საწარმოო ურთიერთობის ჩამორჩენისა და საწარმოო ძალებისადმი მისი ბორკილად გადაქცევის შედეგად განსაზღვრულ ეტაპზე აუცილებელი შეიქნა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის დამსხვრევა, რაც ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა განახორციელეს. ამ მომენტში კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა შეესაბამებოდა საწარმოო

---

[1] ი. ბ. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, ლენინიზმის საკითხები. მე-11 გამოცემა, გვ. 89—90.

ძალების განვითარების დონესა და ხასიათს, მაგრამ აქაც, განვითარების შედეგად გარკვეული დროის შემდეგ, ეს შესაბამისობა დაირღვა. კოლოსალურად განავითარა რა საწარმოო ძალები, კაპიტალისტური ურთიერთობა მისთვის გადაუჭრელ წინააღმდეგობებში გაიხლართა. თანამედროვე ეტაპზე საწარმოო ძალებსა და კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობას შორის ყველაზე მკაცრი და შეურიგებელი კონფლიქტი არსებობს. კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა საწარმოო ძალების ზრდის ბორკილად არის გადაქცეული, რადგან წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ხასიათი გადაუჭრელ წინააღმდეგობაშია კაპიტალისტური მითვისების კერძო ფორმასთან. კაპიტალიზმმა გაამწვავა კონკურენცია, გააჩანაგა მასა წვრილი და საშუალო კერძო მესაკუთრეებისა, გადააქცია ისინი პროლეტარებად, დაბლა დასწია მათი მყიდველობითი უნარი, რის გამო შეუძლებელი გახდა ჭარბად დამზადებული საქონლის გასაღება. კაპიტალიზმმა საზოგადოებრივი ხასიათი მისცა წარმოების პროცესს იმით, რომ მილიონობით ადამიანებს მოუყარა თავი ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაგრამ ამითვე ძირი გამოუთხარა საკუთარ ბაზას, რადგან წარმოების პროცესის საზოგადოებრივმა ხასიათმა მოითხოვა წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება. საწარმოო ძალების ხასიათსა და წარმოებით ურთიერთობას შორის შეურიგებელმა წინააღმდეგობებმა თავი იჩინეს ჭარბი წარმოების პერიოდულ კრიზისებში, საწარმოო ძალების ნგრევაში, მილიონიანი მასების უმუშევრობასა და შიმშილობაში.

კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდი ხანია გზას იკაფავს საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის სავალდებულო შესაბამისობის კანონი. წამყვანი საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც დაკისრებული აქვს კაპიტალისტური ურთიერთობის დამსხვრევა, საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობას შორის არსებული შეურიგებელი კონფლიქტის მოსპობა ძველი საწარმოო ურთიერთობის დამსხვრევის გზით, არის პროლეტარიატი. მაგრამ პროლეტარიატის ბრძოლა აწყდება გააფთრებულ წინააღმდეგობას მომაკვდავი კაპიტალისტური საზოგადოების ძალების მხრივ. ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მთელ რიგ ქვეყნებში პროლეტარიატმა ჯერ კიდევ ვერ შეძლო დაეძლია მომაკვდავი ძალების წინააღმდეგობა და დაემსხვრია კაპიტალისტური ურთიერთობა. ეს პირველად შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალისტური ურთიერთობის მომსპობი „...ძალა აღმოჩნდა ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით, რომლებიც საზოგადოების უდიდეს უმრავლესობას წარმოადგენენ. ასეთი ძალა

ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა სხვა, კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამაშია იმის საიდუმლოება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო გადაგურებინა საზოგადოების ძველი ძალები, ხოლო საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონმა ჩვენში ფართო გასაქანი პოვა"[1].

როგორი იყო ის ობიექტურად აუცილებელი პროცესები, რომლებმაც რუსეთში გარდუვალი გახადეს კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის დამსხვრევა, როგორ მზადდებოდა ის საზოგადოებრივი ძალა მუშათა და გლეხთა კავშირის სახით, რომელმაც დასძლია მომაკვდავი ძალების წინააღმდეგობა და სოციალისტური რევოლუცია განახორციელა?

XX საუკუნის დასაწყისიდანვე რუსეთის იმპერიამ ფეხი შესდგა კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიაში—იმპერიალიზმში. კაპიტალიზმის მონოპოლისტური ეპოქა პირველ ყოვლისა წარმოების კონცენტრაციასა და შრომის განსაზოგადოებაში გამოიხატა. აღმოცენდნენ მეტალურგიის, ქვანახშირის, ნავთის მადნის დამამუშავებელი და შაქრის მრეწველობის მსხვილი სინდიკატები („პროდამიოტ", „პროდუგოლ", „პროდარუდ", „პროდვაგონ", „ტრუბობ-პროდაჟა", „კროლია", „მედ" და სხვ.), რომლებმაც ქვეყნის ეკონომიკაში დაიკავეს წამყვანი როლი. სინდიკატებმა და ტრესტებმა ხელთ იგდეს მრეწველობის ამ დარგების მონოპოლია 75—80 პროცენტით, ხოლო ზოგ შემთხვევაში 90—100 პროცენტით.

ამასთანავე მრეწველობის, ბანკებისა და ვაჭრობის დარგში მონოპოლისტურ გაერთიანებათა განვითარება მიმდინარეობდა უცხოურ კაპიტალთან მჭიდრო დამოკიდებულების პირობებში. უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად რუსეთისაკენ, სადაც სახეზე იყო იაფი მუშახელი და ნედლეულის მდიდარი წყაროები, გააფთრებით მოისწრაფოდა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის კაპიტალი, რომელიც პირდაპირ მბრძანებლობდა რუსეთის მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში. რუსეთის მეტალურგიაში უცხოური კაპიტალის რაოდენობა შეადგენდა 72%-ს, დონბასის ქვანახშირის მრეწველობაში—70%-ს, ნავთისაში 60%-ს, ელექტროტექნიკურში—90%-ს.

უაღრესად სწრაფი ტემპებით მიმდინარეობდა ბანკების კონცენტრაცია და სამრეწველო კაპიტალის შერწყმა საბანკო კაპიტალთან, ფინანსური კაპიტალის შექმნა. მსოფლიო ომის წინ პე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, გვ. 8—9.

ტერბურგისა და მოსკოვის ბანკებმა მოიპოვეს მონოპოლიური მდგომარეობა და ხელთ იგდეს თითქმის მთელი კაპიტალი, ისინი გამოვიდნენ წარმოების ორგანიზატორებად. ბანკირებისა და მრეწველების ინტერესები ერთმანეთში მჭიდროდ გადაიხლართა.

მიუხედავად კაპიტალისტური განვითარების გიგანტური ნაბიჯებისა, რუსეთი, ამერიკისა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებთან შედარებით, დიდად ჩამორჩებოდა. მაგალითად, 1913 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა რუსეთში 2,5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საფრანგეთში; 4,6-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში; 6-ჯერ ნაკლები, ვიდრე გერმანიაში; 14-ჯერ ნაკლები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა ყველაზე მეტად იგრძნობოდა მეტალურგიულ, ლითონდამამუშავებელ და ელექტრომრეწველობაში.

ტექნიკური აღჭურვილობისა და შრომის ნაყოფიერების მხრივ რუსეთის სოფლის მეურნეობა დაბალ დონეზე იდგა. 1861 წლ. საგლეხო რეფორმის შემდეგ რუსეთში შემორჩნენ მსხვილი მემამულური მეურნეობანი. 1917 წლის მონაცემებით რუსეთის 30 ათასი მემამულური მეურნეობა თითქმის იმდენსავე დესეტინა მიწას ფლობდა, რასაც 10,5 მილიონი გლეხური მეურნეობა. რუსეთის სოფლის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ყოველწლიურად ღატაკდებოდა, შიმშილობდა და იღუპებოდა. მსხვილი მიწათმფლობელობა არა მარტო ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა განვითარებას სოფლად, არამედ არღვევდა და შლიდა მათ.

მსხვილი სამრეწველო და საფინანსო კაპიტალის გვერდით მემამულური ლატიფუნდიების არსებობა, სადაც ფაქტიურად კვლავ ძალაში იყო ფეოდალური ექსპლოატაციის ფორმები, რუსეთის იმპერიალიზმს სპეციფიკურ სამხედრო-ფეოდალურ ხასიათს აძლევდა. აქ მონოპოლისტური კაპიტალიზმი გახლართული იყო წინაკაპიტალისტურ ურთიერთობათა ხშირ ქსელში. ცარიზმის დესპოტიზმსა და ყოვლისშემძლეობას ზედ ერთოდა კაპიტალის სიხარბე და აგრესიულობა. „...მეფის რუსეთი იყო კერა ყოველგვარი ჩაგვრისა— კაპიტალისტურისაც, კოლონიურისაც და სამხედრო ჩაგვრისაც,— ამასთან ამ ჩაგვრას ყველაზე უფრო მხეცური და ბარბაროსული სახე ჰქონდა“[1]. პოლიტიკურად მოუმწიფებელი რუსეთის ბურჟუაზია, დამფრთხალი მუშათა პოლიტიკური მოძრაობის აღმავლობით, წარმოადგენდა ერთგულ მსახურს რუსეთის ცარიზმისა, რომელიც მას (ბურჟუაზიას), გარდა რევოლუციური ტალღისაგან დაცვისა, თავისი

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, მე-11 გამოც., გვ. 5.

შეჯავშნული მუშტით კაპიტალისტური ზემოგების უზრუნველყოფაში ეხმარებოდა. ცარიზმთან ერთად რუსული კაპიტალიზმი დიდად იყო დამოკიდებული უცხოურ კაპიტალზე, რომელიც მტკიცედ იკიდებდა ფეხს სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგში და აქცევდა ცარიზმს ერთგულ მოკავშირედ ქვეყნის გადანაწილების საქმეში. უცხოური კაპიტალის მოძალება რუსეთის ეკონომიურ დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და აბამდა მას კოლონიური ქვეყნის მდგომარეობაში. ცარიზმის სამხედრო-ფეოდალური სისტემა უძლური იყო დაეცვა თავისი ხალხი და ქვეყანა ეკონომიური და ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხისაგან.

ცარიზმი და მის კალთებს ამოფარებული რუსეთის ბურჟუაზია სისხლხორცეულად დაინტერესებული იყვნენ არსებული წარმოებითი ურთიერთობის შენარჩუნებაში და ყოველმხრივ ეღობებოდნენ წინ მუდმივ განვითარებად საწარმოო ძალებს. ძველი, დრომოჭმული ძალების მხრივ ასეთი გაფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად რუსეთის წიაღში იქმნებოდა რევოლუციის ძლევამოსილი ძალა, რომელიც მოწოდებული იყო ცარიზმისა და კაპიტალიზმის დასამხობად.

„პროლეტარიატი, როგორც საზოგადოების ყველაზე მოწინავე და ორგანიზებული კლასი, სისხლხორცეულად დაინტერესებული ბატონყმობის ნაშთებისა და ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობის განადგურებაში, გამოვიდა საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის სავალდებულო შესაბამისობის კანონის გამოყენების მედროშედ. ბოლშევიკურმა პარტიამ—რუსეთის პროლეტარიატის ავანგარდმა მუშათა კლასის ორგანიზაციისა და პოლიტიკური განათლებისათვის თავდადებული ბრძოლით მოამზადა იგი ამ ისტორიული მისიის შესასრულებლად“[1].

მაგრამ, როგორც ვიცით, მეფის რუსეთი იყო არა მარტო კაპიტალისტური ჩაგვრის, არამედ ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის ქვეყანაც, სადაც მილიონობით გლეხობას ახრჩობდა საშინელი სიღატაკე, უმიწობა, მემამულეებისა და კულაკების თვითნებობა. ამიტომ აგრარული საკითხის გადაჭრა რუსეთში იყო საერთო საზოგადოებრივი ამოცანა. პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა ცარიზმისა და კაპიტალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ შესისხლხორცებული იყო გლეხობის ბრძოლასთან ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ. მუშათა კლასისა და გლეხობის ეს საერთო ინტერესები

---

[1] А. П. Василькова, Экономическая платформа большевистской партии накануне Октября, „Вопросы истории“, № 12. 1953, გვ. 45.

ქმნიდნენ ობიექტურ პირობებს მათი კავშირისათვის მომავალ რევოლუციაში. „...ვინც ცარიზმის წინააღმდეგ ხელის აღმართვას მოიწადინებდა, მას აუცილებლად იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა შეეოქმნა ხელი, ვინც უჯანყდებოდა ცარიზმს, ის იმპერიალიზმის წინააღმდეგაც უნდა აჯანყებულიყო, ვინაიდან ვინც ცარიზმს ამხობდა, მას იმპერიალიზმიც უნდა დაემხო, თუ კი მართლა სურდა ცარიზმის არა მარტო დამარცხება, არამედ საბოლოო მოსპობაც"[1]. რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო კავშირი, რომელმაც თავისი გამოხატულება ჯერ კიდევ რუსეთის პირველ რევოლუციაში პოვა, გადაიქცა ძლევამოსილ საზოგადოებრივ ძალად; ეს ძალა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დაემხო რუსეთში მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა, დაემსხვრია ძველი წარმოებითი ურთიერთობა და განეხორციელებინა საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონი.

* * *

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება გვასწავლის, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ომები გარდუვალია, ხოლო კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის — იმპერიალიზმის ეპოქაში, როცა კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისი მწიფდება, ომები არა მარტო გარდუვალი, არამედ აუცილებელი ხდებიან და მსოფლიო ხასიათს იღებენ.

მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის გამოხატულებას, მისი განვითარების პირველ ეტაპს წარმოადგენდა 1914—1918 წლების მსოფლიო ომი. ამ ომში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეჯახა ერთმანეთს ორი იმპერიალისტური ბანაკი, რომელთა გარშემო შემოკრებილი იყვნენ მსოფლიოს დიდი და პატარა ქვეყნები. თითოეული მეომარი სახელმწიფოს მმართველ წრეებს, რომელთა ზურგს უკან კაპიტალისტური მონოპოლიების მესვეურები იდგნენ, მიზნად ჰქონდათ დასახული ნედლეულის წყაროების ხელში ჩაგდება, გასაღების ბაზრების გაფართოება, სხვისი ტერიტორიების დაპყრობა და გაძარცვა.

ეს ომი—ბუნებით იმპერიალისტური, მასშტაბით მსოფლიო—მშრომელთა ინტერესებს უპირისპირდებოდა, რადგან მიზნად ისახავდა არა მათი ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, არამედ მათ კიდევ უფრო დამონებას კაპიტალისტური ექსპლოატაციის განმტკიცებისა და მაქსიმალური მოგების

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 6—7.

უზრუნველყოფის გზით. ცხადია, მშრომელები, რომელთაც კი შეძლეს ამ ომის ხასიათის ამოცნობა, მას უსამართლო, დამპყრობლურ ომად თვლიდნენ და, რადგან ომის მიზნები და შედეგები ერთნაირად საზიანო იყო მსოფლიოს ყველა ქვეყნის ჩაგრული კლასებისათვის, თავიანთ რიგებს იმპერიალისტური ბანაკის საპირისპიროდ ისინი ამჭიდროებდნენ საერთაშორისო მასშტაბით.

მსოფლიო ომის წინააღმდეგ ბიმართულ ამ დიდ მოძრაობაში წამყვანი როლი რუსეთის პროლეტარიატს ეჭირა. ეს სავსებით კანონზომიერიც იყო, რადგან XX საუკ. დასაწყისიდან რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა რუსეთში გადმოინაცვლა. რუსეთის პროლეტარიატმა თავისი მაღალი კლასობრივი შეგნებულობა და რევოლუციური გაქანება ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წლებში გამოამჟღავნა.

ეს იყო შედეგი იმ დიდი დამრაზმველი, მაორგანიზებელი მუშაობისა, რომელსაც ეწეოდა რუსეთში ლენინის მიერ შექმნილი და გამოწრთობილი ბოლშევიკური პარტია.

თუ მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა ევროპასა და ამერიკაში, მენშევიკებმა, ესერებმა და ყველა სხვა ბურჟუაზიულმა და წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა რუსეთში მხარი დაუჭირეს თავიანთი ქვეყნის მთავრობებს მსოფლიო სასაკლაოს მოწყობასა და სხვა ქვეყნების ძარცვაში, ბოლშევიკურმა პარტიამ, პირიქით, ამ ომში პირველ რიგში იმპერიალისტურ მთავრობებზე იერიშის მიტანა და მათი დამხობა მოითხოვა.

მიუთითებდა რა ამ ომში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ამოცანებზე, ლენინი წერდა: „...რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ამოცანაა, განსაკუთრებით და პირველ რიგში, ულმობელი და უცილობელი ბრძოლა ველიკორუსულ და ცარისტულ-მონარქისტულ შოვინიზმთან და რუსი ლიბერალების, კადეტების, ნაროდნიკების ნაწილის და სხვა ბურჟუაზიული პარტიების მიერ ამ შოვინიზმის სოფისტურ დაცვასთან. რუსეთის მუშათა კლასისა და ყველა ხალხის მშრომელი მასების თვალსაზრისით ნაკლები ბოროტება იქნებოდა დამარცხება მეფის მონარქიისა და მისი ჯარებისა, რომლებიც ჩაგრავენ პოლონეთს, უკრაინას და რუსეთის მთელ რიგ ხალხებს, და აღვივებენ ეროვნულ მტრობას ველიკორუსების მიერ სხვა ეროვნებათა ჩაგვრის გასაძლიერებლად და მეფის მონარქიის რეაქციული და ბარბაროსული მთავრობის განსამტკიცებლად"[1].

მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის, „თავისი"

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 4—5.

მთავრობის დამხობის, სოციალ-შოვინისტებთან, ცენტრისტებთან და ყველა ჯურის მოღალატე პარტიებთან კავშირის გაწყვეტის ლოზუნგით შეიარაღებული რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოადგენდა მსოფლიო ომის წინააღმდეგ მიმართულ ყველაზე მრისხანე ძალას. კომუნისტურმა პარტიამ და მის გარშემო დარაზმულმა რუსეთის პროლეტარიატმა არათუ უჩვენეს საერთაშორისო სოლიდარობისათვის ბრძოლის შესანიშნავი მაგალითები, არამედ პრაქტიკულად, პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეძლეს გადამწყვეტი იერიშის მიტანა „საკუთარ" მთავრობაზე—რუსეთის ცარიზმზე და დაამხეს იგი.

* * *

ომი, რომელშიაც რუსეთის მეფე და იმპერიალისტური ბურჟუაზია დიდი „პატრიოტული" ხმაურით ჩაებნენ, ცარიზმისათვის დამღუპველი აღმოჩნდა.

1917 წლის დასაწყისისათვის მსოფლიო ომის დაწყებიდან 30 თვის შემდეგ რუსეთი უკვე განიცდიდა ღრმა კრიზისს, რაც საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის შეუსაბამობით იყო გამოწვეული. მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სათბობი, ტრანსპორტი ომმა განადგურებამდე მიიყვანა. ომის დროს რუსეთმა დაკარგა თავისი სახალხო სიმდიდრის 60%, მაშინ როცა ინგლისის დანაკარგი შეადგენდა 15%-ს, საფრანგეთისა—31%-ს, გერმანიისა—33%-ს, ავსტრო-უნგრეთისა—41%-ს. ომმა გამოიწვია სამხედრო მრეწველობის ზრდა, რაც ხორციელდებოდა მოხმარების საგნების წარმოების შემცირების ხარჯზე. სახალხო მეურნეობამ და ფინანსებმა ვერ აიტანა ომის სიმძიმე. ომის კოლოსალურმა მოთხოვნებმა, ერთი მხრივ, და რუსეთის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილობამ, მეორე მხრივ, მეტად გაამწვავეს ისედაც შეურიგებელი წინააღმდეგობანი. ომს მოჰყვა საწარმოთა მასობრივი დახურვა, უმუშევრობის კოლოსალური ზრდა, შიმშილობა.

ამასთან ერთად ომმა დააჩქარა სოციალისტური რევოლუციის ობიექტური წინამძღვრების წარმოქმნა, გიგანტურად გაზარდა კაპიტალის კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია. „ისტორიის დიალექტიკა სწორედ ისეთია,—წერდა ვ. ი. ლენინი,—რომ ომმა, რომელმაც არაჩვეულებრივ დაჩქარა მონოპოლისტური კაპიტალიზმის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტურ კაპიტალიზმად გადაქცევა, ამით არაჩვეულებრივ მიუახლოვა კაცობრიობა სოციალიზმს"[2].

---

[1] А. П. Василькова, Экономическая платформа большевистской партии накануне Октября, „Вопросы истории", № 12, 1953 წ., გვ. 45.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 438.

მეფის მთავრობას, რომელიც მოკავშირე იმპერიალისტური საბელმწიფოების კარნახით სასაკლაოზე მიერეკებოდა ახალ და ახალ არმიებს, ნამდვილად არ შესწევდა ომის წარმოების უნარი: იგი არ იყო ომისათვის მომზადებული, მეფის მოხელეთა ნაწილი საიდუმლოდ იყო დაკავშირებული ვილჰელმის გერმანიასთან. ყოველივე ამის გამო რუსეთის არმია ფრონტზე ზედიზედ განიცდიდა მარცხს.

ომის წლებში მშრომელი კლასების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. კაპიტალისტებმა და მემამულეებმა მაქსიმალური მოგების უზრუნველსაყოფად კიდევ უფრო გააძლიერეს მუშებისა და გლეხების ექსპლოატაცია.

ცარიზმის დესპოტიზმმა, ბურჟუაზიის ახალ-ახალმა იერიშებმა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებზე, ქვეყნის სამეურნეო ორგანიზმის მოშლამ, აურაცხელმა მსხვერპლმა და მწვავე შიმშილობამ,—გამოიწვიეს მშრომელთა აღშფოთების ზრდა. მშრომელთა რევოლუციურმა მოძრაობამ პურის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ომის მესამე წლის დასაწყისში ისე ძლიერად იჩინა თავი, რომ შეარყია თვითმპყრობელობის მთელი შენობა.

მეფის უგუნური პოლიტიკა, სასახლის ზოგიერთი მოხელის მიდრეკილება სეპარატიული ზავისადმი, უნეში სახელმწიფო მექანიზმი და მისი უილაჯობა ხალხის უკმაყოფილების დათრგუნვის საქმეში, რუსეთის ბურჟუაზიულ მესვეურებს თავიანთი ინტერესებისათვის დამღუპველად მიაჩნდათ. ისინი ცდილობდნენ სასახლის გადატრიალებით მოესპოთ თვითმპყრობელობა, თვით ჩამდგარიყვნენ ხელისუფლების სათავეში და ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებთან ერთად ომი საბოლოო გამარჯვებამდე მიეყვანათ.

ბურჟუაზიის მიერ მოფიქრებული ეს „პატარა რევოლუცია დიდი ომისათვის“ (რომლის მომზადებაში დიდ აქტივობას იჩენდნენ ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეები), ცხადია, პირველ ყოვლისა, აბობოქრებული რევოლუციური მასების დამონებისაკენ იყო მიმართული. ამ ღონისძიების განხორციელებას ისინი აჩქარებდნენ სწორედ იმიტომ, რომ მოსალოდნელი რევოლუცია აეცდინათ თავიდან.

მაგრამ რუსეთის მშიშარა ბურჟუაზიამ, რომელსაც პოლიტიკური ინტრიგებისა და თაღლითობის ისეთი მდიდარი გამოცდილება, როგორიც ინგლისის ან საფრანგეთის ბურჟუაზიას აქვს, არ გააჩნდა, დაგვიანა. 1917 წლის დასაწყისიდან მასების პოლიტიკუ-

რი აქტივობა ისე გაიზარდა, რომ დღის წესრიგში დადგა თვით-მპყრობელობასთან იარაღით ანგარიშგასწორების საკითხი.

1917 წლის 9 იანვარს[1] დაწყებულმა გაფიცვამ თებერვალში შეიარაღებული აჯანყების ხასიათი მიიღო. მუშების გვერდით დადგნენ ფარაჯაგადაცმული გლეხები—ჯარისკაცები. მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები, ფრონტიდან რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ დივიზიები გადმოისროლა, მაგრამ მასების შეტევა იმდენად ძლიერი და ერთსულოვანი აღმოჩნდა, რომ მთავრობის ყოველგვარი ცდა ამაო შეიქნა: ცარიზმი დამხობილ იქნა.

ასეთი უეცარი დაცემა რომანოვთა დინასტიისა, რომელიც 300-ზე მეტი წლის განმავლობაში ბატონობდა რუსეთში, შემთხვევითი სრულიადაც არ ყოფილა. ამ გადატრიალებისათვის აუცილებელი შინა და საგარეო მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის პირობები რუსეთის პირველმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ და მსოფლიო ომმა შეამზადეს. „...პირველმა რევოლუციამ (1905 წ.),—აღნიშნავს ვ. ი. ლენინი,—ღრმად გათხარა ნიადაგი, აღმოფხვრა საუკუნეობრივი ცრურწმენანი, პოლიტიკური ცხოვრებისა და პოლიტიკური ბრძოლისათვის გამოაღვიძა მილიონობით მუშები და ათეულ მილიონობით გლეხები, დაანახვა ერომანეთს და მთელ მსოფლიოს რუსეთის საზოგადოების ყ ვ ე ლ ა კლასი (და ყველა მთავარი პარტია), დაანახვა მათი ნამდვილი ბუნება, მათი ინტერესების ნამდვილი თანაფარდობა, მათი ძალები, მათი მოქმედების საშუალებანი, მათი უახლოესი და უშორესი მიზნები"[2]. ათას ცხრაას ხუთი წლის ამბებმა და მომდევნო კონტრრევოლუციურმა ეპოქამ (1907—1914) გამოამზეურეს რომანოვების ოჯახის დესპოტიზმი, სიდამპლე, გარყვნილება და ამავე დროს უძლურება. „თუ არა 1905—1907 წლების რევოლუცია, თუ არა 1907—1914 წლების კონტრრევოლუცია, ისე შეუძლებელი იქნებოდა რუსი ხალხისა და რუსეთში მოსახლე ხალხების ყველა კლასის ასეთი ზუსტი «თვითგამორკვევა»... ეს რვა დღის რევოლუცია, თუ შეიძლება ასე მეტაფორულად ითქვას, ზუსტად იქნა «გათამაშებული» ათიოდე მთავარი და მეორეხარისხოვანი რეპეტიციის შემდეგ; «მსახიობები» თავით ფეხამდე იცნობდნენ ერთმანეთს, ჩინებულად იცოდნენ თავიანთი როლები, თავიანთი ადგილები, გარემო, პოლიტიკურ მიმართულებათა ყველა რამდენიმე თვალსაჩინო ელფერი და მოქმედების ხერხები"[3].

---

[1] თარიღები ყველგან 1918 წლამდე აღნიშნულია ძველი სტილით (ა. ს.).
[2] ვ. ი ლენინი, თხზ, ტ. 23, გვ. 394.
[3] იქვე. გვ. 394—395.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რუსეთის რევოლუციური კლასების იერიშები წარმატებით რომ დაგვირგვინებულიყო, საჭირო იყო ყველაზე მძლავრი, ყოვლისშემძლე რეჟისორი, რომელსაც უნარი ექნებოდა, ერთი მხრივ, დაეჩქარებინა მსოფლიო ისტორიის პროცესი და ამასთანავე შეექმნა ამ ისტორიის მკვეთრი მობრუნებანი, რომ „...ერთ-ერთი ასეთი მობრუნების დროს ერთბაშად გადაბრუნებულიყო ურემი სისხლითა და ტალახით გათხვრილი რომანოვების მონარქიისა“[1].

ასეთი „რეჟისორი“ აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომი. ომმა კიდევ უფრო გაამწვავა ეკონომიური, პოლიტიკური, ნაციონალური კრიზისები. მან ობიექტური გარდუვალობით დააჩქარა და გაამწვავა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა მეფისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთში გადაიქცა სამოქალაქო ომად ორ მოწინააღმდეგე, ანტაგონისტურად დაპირისპირებულ კლასებს შორის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებაში მუშათა კლასისა და გლეხობის წარმმართველი როლი შეასრულა კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც უზრუნველყო ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ძალთა სწორი განლაგება და მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. თებერვლის რევოლუციამ თვალსაჩინოდ დაადასტურა კომუნისტური პარტიის ხაზის სისწორე, ცხადყო, რომ მხოლოდ პროლეტარიატს გლეხობასთან მტკიცე კავშირში შეუძლია გამარჯვების მოპოვება.

1917 წლის თებერვალში გამარჯვებით დაგვირგვინდა პროლეტარული რევოლუციისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი. მაგრამ ეს რევოლუცია აგრეთვე: „...შინაგან შეურიგებელ წინააღმდეგობებს შეიცავდა. რევოლუცია თავისი ხელით მოახდინეს მუშებმა და გლეხებმა (ჯარისკაცებმა), რევოლუციის შედეგად კი ძალაუფლება გადავიდა არა მუშებისა და გლეხების, არამედ ბურჟუაზიის ხელში“[2].

მუშებმა და ჯარისკაცებმა რევოლუციის პირველსავე დღეებში შექმნეს ნამდვილად რევოლუციური უმაღლესი ხელისუფლება — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

მაგრამ წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა (მენშევიკები, ესერები), რომლებიც საბჭოების შემადგენლობაში მოკალათდნენ, უღალატეს მშრომელი კლასების ინტერესებს და დამფრთხალ ბურ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 395.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 171—172.

ეუაზიას ხელი შეუწყვეს რევოლუციის მონაპოვრით ესარგებლათ. რევოლუციური ხელისუფლების გვერდით მენშევიკთა და ესერთა ფარული შეთანხმებით წამოიზარდა მეორე ხელისუფლება: კაპიტალისტურ-მემამულური და ლიბერალური ბურჟუაზიის მთავრობა. ორი ხელისუფლების ეს თავისებური გადახლართვა თებერვლის რევოლუციის შინაგანი წინააღმდეგობის გამოხატულებას წარმოადგენდა. მუშები და ჯარისკაცები ბარიკადებზე იბრძოდნენ, ხელმძღვანელი კომუნისტები ან გადასახლებასა და საპატიმროში ან ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, წვრილბურჟუაზიულ პარტიათა მესვეურები კი ადგილებს იტაცებდნენ საბჭოებში და უმრავლესობას ქმნიდნენ. ეს პარტიები რევოლუციის ზედაპირზე წამოატივტივა იმ წვრილბურჟუაზიულმა ტალღამ, რომელმაც, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რევოლუციის დღეებში გამოიღვიძა და დაჩრდილა, დათრგუნვა ორგანიზებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც. ცხადია, ერთ-ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ პროლეტარიატის შემადგენლობა (კადრის მუშების 40% არმიაში იყო გაწვეული) არ იყო საკმარისად შეგნებული და აკლდა ორგანიზაცია იმისა, რომ საკუთარი მთავრობა შეექმნა და ხელისუფლება არავისათვის არ გაეყო.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას კიდევ ერთი თავისებურება, ერთი სუსტი მხარე ჰქონდა; მის ბაზას, როგორც ი. ბ. სტალინი მიუთითებს, წარმოადგენდა პეტროგრადი. „შეტაკებები და სროლა, ბარიკადები და მსხვერპლი, ბრძოლა და გამარჯვება უმთავრესად პეტროგრადსა და მის მიდამოებში (კრონშტადტში და სხვ.) იყო. პროვინცია გამარჯვების ნაყოფის მიღებას და დროებითი მთავრობისათვის ნდობის გამოცხადებას სჯერდებოდა"[1]. ამით ისარგებლა ბურჟუაზიამ, დასაყრდენი პროვინციის ინერტულობაში პოვა და ბარიკადებზე წარმოქმნილ რევოლუციურ ორგანოებს—საბჭოებს ხელისუფლება გაუყო.

როგორი პოლიტიკური მოვლენებით ხასიათდებოდა რევოლუციის დღეებში საქართველო—ყოფილი მეფის რუსეთის ერთ-ერთი ტიპიური პროვინცია და განაპირა მხარე?

* * *

მსოფლიო ომის გამანადგურებელი შედეგები მალე გახდა შესამჩნევი ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოში. მეფის მთავრობის დროს საქართველოში ძლიერ სუსტად იყო მრეწველო-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 13.

ბა განვითარებული. ომმა საქართველოს ისედაც სუსტ მრეწველობაზე გამანადგურებელი გავლენა მოახდინა. შემცირდა ნედლეულისა და სათბობის მიწოდება ფაბრიკა-ქარხნებისათვის, მოიშალა ტრანსპორტი, ჩაიკეტა გასაღების ბაზარი. მოგებას დახარბებულმა მეპატრონეებმა იერიშები მუშათა სასიცოცხლო ინტერესებზე მიიტანეს. გაიზარდა ექსპლოატაცია, გაუარესდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები.

ომმა საქართველოს სოფლის მეურნეობას მოსწყვიტა ჯანსაღი მუშახელი. მამაპაპური კვითა და სახნისით დამუშავებული მიწები არასოდეს არ იძლეოდა უხვ მოსავალს. მეტადრე ახლა, ომის წლებში, როცა მოთხოვნილება სურსათზე გაიზარდა, ხოლო მწარმოებელი ძალა მკვეთრად შემცირდა, თავი იჩინა შიმშილობამ. სათესი მიწებისა და ბაღ-ვენახების გავერანებას ზედ დაერთო საქონლის ჭირი, რომელმაც იმსხვერპლა მუშა პირუტყვის თითქმის ნახევარი.

მართალია, ომის პირველ წელს მთავრობისა ~~ბურჟუაზიული~~ პარტიების გამაყრუებელ პატრიოტულ ხმაურში მუშათა საგაფიცვო მოძრაობა საქართველოში შენელდა, მაგრამ 1915-16 წლიდან, მიუხედავად ხელისუფლების უსასტიკესი ზომებისა, კვლავ დაიწყო საგაფიცვო ტალღის თანდათანობითი ზრდა. ეს ტალღა ბაქოდან დაიწყო, შემდეგ თბილისში გადავიდა და მალე ტყიბულს, ჭიათურას, ბათუმს, სამტრედიას და საქართველოს სხვა ქალაქებს მოედო.

ქართველი გლეხობა, რომელმაც 1905—07 წწ. რევოლუციაში თავი ისახელა თვითმპყრობელობასა და მემამულეებზე მედგარი შეტევით, რეაქციის შავბნელი წლების შემდეგ კვლავ იწყებდა გამოფხიზლებას და იარაღს ისხამდა ახალი გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მუშათა და გლეხთა რევოლუციურ ბრძოლებს სათავეში ედგნენ საქართველოს კომუნისტები, რომლებიც თავიანთი დაუღალავი მუშაობით ბრძოლის აუცილებლობისა და გამარჯვების გარდუვალობის რწმენას ნერგავდნენ მშრომელ მასებში. კომუნისტური პარტია საქართველოსა და ამიერკავკასიაში იყო ერთადერთი პარტია, რომელსაც მტკიცედ ეჭირა ხელთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა და ლენინ—სტალინის იდეებით მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის იბრძოდა.

საქართველოს კომუნისტები ყოველ ნაბიჯზე ააშკარავებდნენ და სასტიკად ებრძოდნენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ და წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, რომლებმაც ომის პროპაგანდა და-

იწყეს და „სამშობლოს დაცვის“ ნიღბით ხელს უწყობდნენ მთავრობას მსოფლიოს სასაკლაოზე ხალხის გარეკვის საქმეში.

საქართველოს კომუნისტები დევნისა და რეპრესიების მიუხედავად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მასებთან, აწყობდნენ არალეგალურ კრებებს, ორგანიზაციულ ხასიათს აძლევდნენ მუშათა სტიქიურ გაფიცვებს, ამხელდნენ სამრეწველო კომიტეტების რეაქციულ ხასიათს და აღწევდნენ მისგან მასების იზოლაციას, ფუშავდნენ მეფის მოხელეებისა და ნაციონალური ბურჟუაზიის ხრიკებს ამიერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნული შუღლის ჩამოგდების საქმეში. კომუნისტები ამავე დროს აფხიზლებდნენ ბურჟუაზიულ-პატრიოტული პროპაგანდით გაბრუებულ ჯარისკაცებს, მოუთხრობდნენ მათ სიმართლეს ომის შესახებ. სისტემატური კომუნისტური აგიტაციის შედეგად მეფის არმია იხრწნებოდა, იზრდებოდა ომისადმი ზიზღი, დეზერტირობა. ჯარისკაცებში მტკიცედ იკიდებდა ფეხს რევოლუციური განწყობილება.

მეფის აპარატი განსაკუთრებული გააფთრებით სდევნიდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. მენშევიკური პარტიის ლიდერებს კი მოქმედების თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული, ჰქონდათ ლეგალური გაზეთი („თანამედროვე აზრი“), აწყობდნენ კრებებს, მიტინგებს, პარტიულ კონფერენციებს. ბოლშევიკები კი არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მათ ყოველ ნაბიჯზე დაპატიმრება ელოდათ.

ბოლშევიკებისა და რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ მეფის მოხელეთა ამ გააფთრებულ ღონისძიებებს არ შეეძლო კრიზისის შეჩერება. ომის ყოველი შემდგომი დღე უფრო და უფრო ართულებდა მდგომარეობას: აჩანაგებდა სახალხო მეურნეობას, ამწვავებდა შიმშილს და ზრდიდა მასების უკმაყოფილებას.

1916 წლის ბოლოს და 1917 წლის დასაწყისში განსაკუთრებით მწვავე მდგომარეობა შეიქმნა ბაქოში, სადაც მუშათა ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და ნაციონალურმა ჩაგვრამ უკიდურეს ზომას მიაღწია. ბაქოში კვლავ დაიწყო გაფიცვები. ბაქოელი მუშების რევოლუციურ მოძრაობას თბილისელი მუშებიც გამოეხმაურნენ. გაფიცვები ქალაქად, გლეხთა რევოლუციური გამოსვლები სოფლად, მზარდი სამეურნეო კრიზისი. შიმშილობა,—ყველაფერი ეს ცხადყოფს, რომ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობას საქართველოში მტკიცე ნიადაგი და თანდათანობითი აღმავალი ხასიათი ჰქონდა. იგი იზრდებოდა და მწიფ-

დებოდა იმ დიდი რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობით, რომელსაც რუსეთის მშრომელი კლასები აწარმოებდნენ.

* * *

მენშევიკური ~~პარტიის მოდელატური პოლიტიკა~~ საქართველოს მუშები, გლეხები და ჯარისკაცები თებერვლის ბობოქარი მოვლენებისაგან იზოლირებული აღმოჩნდნენ, რომ არაფერი ვთქვათ მთავრობის ოფიციალური წრეებისა~~ და ბურჟუაზიულ ნაციონალისტური პარტიების~~ შესახებ, რომლებიც, რა თქმა უნდა, ყოველნაირად ცდილობდნენ მიეფუჩჩებინათ პეტროგრადის ამბები, მენშევიკური გაზეთებიც კი პიტერის მუშათა გმირულ იერიშებს დუმილით შეხვდნენ.

მეფისნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ პეტროგრადში მეფის ხელისუფლების დამხობის შესახებ ცნობა უზენაესი მთავარსარდლის შტაბის უფროსის გენერალ ალექსეევისაგან 28 თებერვალს მიიღო. დეპეშაში დაწვრილებით იყო აღწერილი მუშათა და ჯარისკაცთა შეიარაღებული რაზმების მიერ პეტროგრადის ხელში ჩაგდების ამბავი.

მეფის სატრაპი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე, რა თქმა უნდა, მაშინვე შეუდგა ენერგიული ზომების მიღებას, რათა კავკასიაზე რევოლუციის „მავნე გავლენა" არ გავრცელებულიყო. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის მითითებით მეფისნაცვლის თანაშემწემ გენერალმა ორლოვმა თბილისის გუბერნატორ ა. მანდრიკეს მისცა წესრიგის დაცვისათვის საჭირო დირექტივები.

პეტროგრადის მოვლენების კურსში იყვნენ მენშევიკური პარტიის ლიდერებიც, მაგრამ იმ დროს, როცა მთელმა ქალაქმა უკვე იცოდა, რომ რუსეთში რევოლუცია მოხდა, მენშევიკები დუმდნენ და უმალავდნენ ხალხს ამ სასიხარულო ცნობას.

მხოლოდ მას შემდეგ, როცა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ აშკარად აღიარა დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერა, მენშევიკებმაც „თანამედროვე აზრის" ფურცლებზე ამოიღეს ხმა რუსეთში მომხდარი რევოლუციის შესახებ. მაგრამ „თანამედროვე აზრის" მიერ თებერვლის რევოლუციისადმი მიძღვნილ პირველ სტრიქონებში უკვე გამოჩნდა კავკასიელ მენშევიკთა დამოკიდებულება რევოლუციისადმი. „ძველი მთავრობა დაეცა,—ნათქვამია გაზეთის 4 მარტის ნომერში,—სახელმწიფოს ძალაუფლებას სახალხო წარმომადგენლობა დაეპატრონა". ამ წარმომადგენლობაში გაზეთი გულისხმობს არა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს—რევოლუციის ორგანოს, არამედ დროებით მთავრობას—სახელმწიფო

სათათბიროს დროებით კომიტეტს, რომელსაც პეტროგრადელმა მენშევიკებმა და ესერებმა ძალაუფლება ხელში ჩაუგდეს. ბურჟუაზიის წარმომადგენლები გაზეთს მიაჩნია „თავისუფლების, რევოლუციის გამარჯვების მესვეურებად“. აქვე გაკვრითაა ნათქვამი: „პეტროგრადში მუშათა დეპუტატების საბჭო დაარსდა, რომელიც სახელმწიფო დუმის აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად ახალი წყობილების განმტკიცებას შეუდგა“[1]. გაზეთის აზრით, საბჭო არის მხოლოდ დამატება დროებითი მთავრობისა.

როგორ მოხდა, რომ ქართველი მენშევიკები, რომლებიც წლების განმავლობაში მუშებსა და გლეხებს ყურებს უჭედავდნენ თვითმპყრობელობის უკუღმართობის შესახებ, რევოლუციის აუცილებლობაზე გაყვიროდნენ, იმ მომენტში, როდესაც ცარიზმი დაემხო, დაბნეულობას მიეცნენ და სიჩუმე ამჯობინეს?

მენშევიკები გრძნობდნენ, რომ პეტროგრადის რევოლუციისადმი გამოხმაურება ხალხის ხელში ინიციატივის გადასვლას, „წესიერების დარღვევას“, რევოლუციური ორგანოს ნამდვილ დემოკრატიულ საწყისებზე შექმნას გამოიწვევდა. ამ ინიციატივას მენშევიკები არავის დაუთმობდნენ. მათ ამჯობინეს წინასწარ დაეკავებინათ ორგანიზაციული სიმაღლეები, ნელი, წინასწარ გააზრებული გეგმით შეემზადებინათ მასები ზომიერი გარდაქმნებისათვის, შეთანხმებულად ემოქმედნათ მეფისნაცვალთან, რომელიც მზად იყო ეცნო ბურჟუაზიული მთავრობა. სწორედ ამიტომ პირველ რიგში მენშევიკთა ლიდერებმა მეფისნაცვალთან მოთათბირება ამჯობინეს.

4 მარტს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს დანიშნული ჰქონდა თანამდებობის პირთა მიღება. შექმნილი ვითარების გამო რჩევა-დარიგების მიღებისათვის ნიკოლოზთან მივიდნენ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მოვალეობის აღმასრულებელი ჩოლოყაშვილი, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი ნიჟარაძე, თბილისის ქალაქისთავი ხატისოვი, ნოე ჟორდანია და ნ. რამიშვილი[2].

ხატისოვმა აუდიენციის დროს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს პირმოთნეობით განუცხადა, რომ თბილისის მოსახლეობა მიესალმება მისი უდიდებულესობის უმაღლეს მთავარსარდლად დანიშვნას. თუმცა აქვე შიშის ქვეშ დაუმატა,—მოსახლეობაში ეჭვს იწვევს მხოლოდ ის, რომ ბრძანება მთავარსარდლად დანიშვნის შესახებ

---

[1] გაზ. „თანამედროვე ახრი“ № 49, 3 მარტი, 1917 წ.

[2] გაზ. „Тифлисский листок“, № 52, 5 მარტი, 1917 წ.

ხელმოწერილია სენატის მიერ ხელმწიფის უმაღლესი ბრძანებულებით და არა დროებითი მთავრობის მიერო. ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ განუმარტა ხატისოვს, რომ დროებითმა მთავრობამ სანქცია მისცა მის დანიშვნას. ამავე დროს გამოთქვა სიხარული ქალაქის მოსახლეობის ნდობის გამო და გააფრთხილა ხატისოვი— იმოქმედონ ამიერიდან ისე, როგორც ის ბრძანებს, ხოლო ყველა, ვინც გაბედავს და არ იცნობს მის განკარგულებებს, მოხსნილი იქნება და შეცვლილი დროებითი მთავრობის მომხრეთა მიერო[1].

მეფისნაცვალმა სიამოვნებით მიიღო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი, რომლებზედაც, როგორც საუბარში გამოამჟღავნა, საკმაოდ დიდ იმედებს ა-ყარებდა წესრიგის განმტკიცების საქმეში.

აუდიენციის დროს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძემ მენშევიზმის ლიდერებს გააცნო ის ღონისძიებანი, რაც უკვე მიიღო ახალ მოვლენებთან შესაბამისად. აქვე მან გაუზიარა თავისი შეხედულება ახალი მთავრობის დანიშნულებაზე: „მტერი უნდა დავამარცხოთ, მე მგონი თქვენც ეს უნდა გინდოდეთ. რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, სადაც მეც, როგორც ერთ მოქალაქეს, ადგილი მექნება. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგან აქ არავითარი არეულობა არ არის. ბაქოში და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს ჩემის აზრით იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ, კავკასიაში, დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა. მე იმედი მაქვს, რომ ესაწიცანე გაგრძელდებაო"[2] (ხაზი ჩემია—ა. ს.).

მეფის მოადგილესთან აუდიენციის ეს მოკლე ინფორმაცია გამოქვეყნებულ იქნა მენშევიკური გაზეთის „თანამედროვე აზრის" 5 მარტის ნომერში. ეს ნომერი უკვე აღარ გამოიყურება ჩვეულებრივი სახით. პირველ გვერდზე გადაჭიმულია მთავრული ასოებით: „დიდი რევოლუცია". გაზეთი იხსნება ლოზუნგებით:—„მხარი დაუჭირეთ დროებით მთავრობას რეაქციასთან ბრძოლაში!"; „გამოიტანეთ დროებითი მთავრობის თანაგრძნობის რეზოლუციები სახალხო კრებებზე და საზოგადო დაწესებულებებში და ეს დეპეშით აცნობეთ მას პეტროგრადში!".

---

[1] გაზ. „Тифлисский листок". № 52, 5 მარტი, 1917 წ.
[2] გაზ. „თანამედროვე აზრი", № 52, 5 მარტი, 1917 წ.

როგორც ვხედავთ, მენშევიკები „დიდ რევოლუციაზე“ მხოლოდ მაშინ ალაპარაკდნენ, როცა ეთათბირეს ოფიციალური ხელისუფლების მეთაურს და მოისმინეს მისი „კეთილი სურვილები“ ახალი წყობილებისა და დამფუძნებელი კრების გარშემო. ასეთი მოქმედებით მათ ერთხელ კიდევ გაამართლეს ნდობა მეფისნაცვლისა, რომელმაც აუდიენციის დროს სოციალ-დემოკრატია შეაქო და მასთან ხელიხელჩაკიდებული მუშაობის სურვილი გამოთქვა.

მაგრამ ცნობა რევოლუციის შესახებ ხალხში გავრცელდა უფრო სწრაფად, ვიდრე ამას მენშევიკები მოელოდნენ. მშრომელებმა გაიგეს, რომ პეტროგრადის პროლეტარიატმა არათუ დაამხო მეფის ხელისუფლება, არამედ შექმნა კიდეც ახალი ხელისუფლების ორგანოები. ეს იყო უდიდესი სახალხო ზეიმის ნიშანი. დაიწყო მასობრივი მიტინგები, კრებები, მილოცვანი. ამ მხრივ ტონის მიმცემი იყო საქართველოს დედაქალაქი თბილისი. 3 მარტს ხალხმრავალ მიტინგზე ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარსახელოსნოების მუშებმა და ოსტატებმა გამოთქვეს თავიანთი აღტაცება ძველი ხელისუფლების დამხობის გამო. მიტინგს ესწრებოდა 3 ათასზე მეტი კაცი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოსადმი მისალმებაში მუშები წერდნენ: „გამოვთქვამთ თქვენდამი ჩვენს სრულ თანაგრძნობას ძველ ხელისუფლებასთან ბრძოლაში, რომელმაც ქვეყანა მიიყვანა სრულ დანგრევასა და დაცემამდე. განაგრძეთ მთელი ქვეყნისა და ჩვენი კლასის საერთო კეთილდღეობისათვის იქვენს მიერ დაწყებული მუშაობა. ჩვენ თქვენთან ვართ“[1].

თბილისში ყოველდღიურ მოვლენად იქცა მიტინგებისა და მანიფესტაციების მოწყობა, რომლებშიაც მუშებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა ჯარი.

რევოლუციის გამარჯვების ამბავი თბილისიდან სწრაფად გავრცელდა საქართველოს ყველა კუთხეში. საქართველო მოიცვა მშრომელთა საერთო აღტყინებამ. მარტის პირველ ნახევარში მიტინგები ჩატარდა ქუთაისში, ჭიათურაში, ბათუმში, ფოთში, ხონში, სენაკში, აბაშაში, ლანჩხუთში, ხაშურში, გორში, ოზურგეთში და სხვ.[2] გლეხობასთან ერთად მასში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები, მოსწავლეები. ქალაქისა და სოფლის თვალსაჩინო ადგილებზე ისინი გამოდიოდნენ წითელი დროშებით, მღე-

---

[1] გახ. „Тифлисский листок“, № 52, 5 მარტი, 1917 წ.

[2] გახ. „თანამედროვე ახრი“, №№ 54, 55, 56, 57, 1917 წ.

როდნენ რევოლუციურ სიმღერებს, აღარ სცნობდნენ ძველ ხელისუფლებას და თვით იწყებდნენ ახალი ხელისუფლების ორგანოს არჩევას.

ზემოთ ჩვენ მიკუთითეთ იმ რეპრესიებზე, რომლებსაც მიმართავდა კავკასიის მთავრობა ბოლშევიკების მიმართ. სისტემატური დევნისაგან შეშიშვროებული, დაქსაქსული ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში იწყებდნენ ძალების მოკრებას, მაგრამ მაინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ ხელთ აეღოთ ინიციატივა და მასებს სათავეში ჩადგომოდნენ.

ავიღოთ თუნდაც თბილისი. თებერვლის დღეებში ქალაქში რამდენიმე ხელმძღვანელი კომუნისტი თუ მოიპოვებოდა, ისინიც არალეგალურად ცხოვრობდნენ და სხვადასხვა ადგილებში იყვნენ გაფანტული.

მიუხედავად ამისა, კომუნისტებმა მაინც შეძლეს სათავეში ჩადგომოდნენ საბჭოების ორგანიზაციას დედაქალაქში. მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს შექმნის პროცესს შემდეგნაირად აგვიწერს ფ. მახარაძე, რომელიც ამ დროს თბილისში იმყოფებოდა: „პირველი ცნობის მიღებისთანავე ჩვენი პატარა ჯგუფი (ლაპარაკია თბილისელ ბოლშევიკებზე—ა. ს.) გაექანა მუშებისაკენ. სწრაფად შევკრიბეთ მუშები უმთავრესად რკინიგზის რაიონიდან და, ავუხსენით რა მომენტის მნიშვნელობა, წინადადება მივეცით აერჩიათ მუშათა დეპუტატების საბჭო. წინადადება დიდი აღტაცებით იქნა მიღებული და არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც ერთი დღის განმავლობაში უნდა შეესრულებია ყოველივე საორგანიზაციო მუშაობა. მეორე დღესვე უნდა მომხდარიყო თვით საბჭოს არჩევა. ასეც მოხდა. მეორე დღეს (რამდენადაც მახსოვს 2 მარტს, ძველი სტილით) ჩვენ შევიკრიბეთ იმავე ოთახში (ყოფილ მიხეილის ქუჩაზე). აქ მოვიდნენ თითქმის ყველა ქარხნების და ფაბრიკების წარმომადგენლები... მხოლოდ იმ დროს, როცა მეორე კრებაზე საბჭოს ორგანიზაცია უკვე მოვახდინეთ, და ის-ის იყო საბჭო ოფიციალურად უნდა შესდგომოდა თავის მოქმედებას, ამ დროს კრებაზე გამოცხადდნენ ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე და ნ. რამიშვილი. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს, რომ თბილისის მუშების საბჭოს მოწყობის, ორგანიზაციის სათავეში ისინი ვერ მოჰყვნენ, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ბოლშევიკების მეთაურობით და თაოსნობით... ამიტომ ჟორდანიამ, რამიშვილმა და ჯიბლაძემ მოსვლისთანავე ასტეხეს სკანდალი, ის კრება, რომელსაც მე ვთავმჯდომარეობდი, დახურულად გამოაცხადეს

და იგივე კრება ღამის 2 საათზე გადატანილ იქნა სახალხო სახლში, აქ უკვე კრების სრული ბატონ-პატრონი შეიქნენ ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი და ძმანი მათნი"[1].

4 მარტს შეიქმნა თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო. მენშევიკებმა და ესერებმა მაქინაციათა მეოხებით მოახერხეს საბჭოში უმრავლესობის მოპოვება.

თებერვლის რევოლუცია კავკასიის არმიის ჯარებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. ხანგრძლივი და მომქანცველი ომისაგან გაწამებული ჯარისკაცები ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად საკმაოდ გათვითცნობიერებული იყვნენ. პეტროგრადში რევოლუციის შესახებ ცნობის მიღებისთანავე, მიუხედავად ოფიცრების ყოველგვარი ზომებისა—უსასტიკესად დაეცვათ დისციპლინა და თავიდან აეცდინათ რევოლუციის გავლენა არმიაზე, სამხედრო ნაწილებში დაიწყო ჯარისკაცთა მიტინგები და მანიფესტაციები. ტონის მიმცემს წარმოადგენდა თბილისის გარნიზონი, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად იყო მოვლენების კურსში. ოფიცრებმა დაკარგეს ძალაუფლება; ჯარმა დაიწყო ახალი ცხოვრება. ისინი წითელი დროშებით მიემართებოდნენ სახალხო შესაკრებ პუნქტებზე და ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ მიტინგების ორგანიზაციაში, დაცვასა და ჩატარებაში. ამასთან ერთად ცალკეულ ნაწილებში დაიწყო დელეგატების არჩევნები საგარნიზონო კრებისათვის. 6 მარტს თბილისში შედგა ქალაქის გარნიზონის სადელეგატო კრება, რომელმაც აირჩია დეპუტატები ჯარისკაცთა საბჭოსათვის. ამრიგად, მუშათა დეპუტატების საბჭოსთან ერთად თბილისში 6 მარტს შეიქმნა ჯარისკაცთა ორგანოც.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო აღმოჩნდა მენშევიკების, ესერებისა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ხელში.

„რა იყო მიზეზი იმისა, რომ რევოლუციის გამარჯვების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოექცნენ არა მუშათა და გლეხთა ინტერესების ჭეშმარიტი დამცველნი, ამ რევოლუციის შემოქმედი ბოლშევიკები, არამედ მენშევიკები და ესერები, როგორ მოხდა, რომ ხელისუფლებას საქართველოში დაეპატრონა არა პროლეტარიატი, არამედ ბურჟუაზია?

ანალიზს უკეთებდა რა თებერვლის დღეებში რუსეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, ლენინი მიუთითებდა წვრილბურჟუაზიული სტიქიის ტალღაზე, რომელმაც წალეკა ყველაფერი,

---

[1] ფ. მახარაძე, ოთხი წლის წინათ, გაზ. „კომუნისტი", № 10, 1921 წ.

დაიმორჩილა შეგნებული პროლეტარიატი არა მარტო თავისი სიმრავლით, არამედ იდეურადაც. ესე იგი მუშათა ფრიად ფართო წრეებს გადასდო, შეპყარა წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე.

„სწორედ წვრილბურჟუაზიული სტიქიის ამ ტალღამ წამოატივტივა ზედაპირზე მენშევიკებისა და ესერების წვრილბურჟუაზიული პარტიები"[1].

საქართველოში, როგორც აღვნიშნავდით, მრეწველობა და სოფლის მეურნეობა სუსტად იყო განვითარებული. ი. ბ. სტალინი წერდა: „ამიერკავკასიის მეორე, არა ნაკლებ დამახასიათებელი თვისებაა მისი ეკონომიური ჩამორჩენილობა. თუ არ ვიანგარიშებთ ბაქოს, მხარის ამ სამრეწველო ოაზისს, რომელსაც უმთავრესად გარეშე კაპიტალი ამოძრავებს, ამიერკავკასია წარმოადგენს აგრარულ ქვეყანას მეტად თუ ნაკლებად განვითარებული სავაჭრო ცხოვრებით კიდეებზე, ზღვების ნაპირებზე, და პირწმინდა ბატონყმური წყობის ჯერ კიდევ მტკიცე ნაშთებით ცენტრში"[2].

მრეწველობის სუსტად განვითარების გამო საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატი—რევოლუციის ჰეგემონი კლასი ძლიერი არ ყოფილა, მას ჯერ კიდევ აკლდა პოლიტიკური სიმწიფე. მართალია, 1905 წლის რევოლუციაში საქართველოს მუშებმა თავისი მებრძოლი ბუნება უჩვენეს, მაგრამ ამ რევოლუციის შემდეგ, ერთი მხრივ, ცარიზმის რეპრესიულ ღონისძიებათა, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და ლიკვიდატორულ-ობორონცული პარტიების (მენშევიკების) გავლენის შედეგად მუშათა რევოლუციური მოძრაობა მინელდა, ბევრ ადგილებში იგი სრულებით ჩაკვდა. ამას აგრეთვე ხელი შეუწყო მსოფლიო ომმა: მუშათა ის კადრი, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა პირველი რევოლუციის სიმძიმე, ომის წლებში დაქსაქსული აღმოჩნდა. მათ ნაცვლად წარმოებაში მოვიდნენ სოფლის წვრილბურჟუაზიული ელემენტები, რომელთა პოლიტიკური შეგნება დაბალი იყო. მუშათა მოძრაობის შედარებით სუსტი, დაუხვეწელი ხასიათი მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ შეძლებული კლასებისა და ეგრეთწოდებული „სოციალისტური" ინტელიგენციის კოალიციისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა.

ჩვენ ზემოთ მივუთითებდით იმ განუწყვეტელი დევნის შესახებ, რომელსაც ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები

---

[1] საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 218.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 56.

განიცდიდნენ ცარიზმის მხრივ. ბოლშევიკური უჯრედების სისტემატურმა დარბევებმა, ხელმძღვანელი ბოლშევიკების დაპატიმრებამ ბოლშევიკთა დამრაზმველი მუშაობა შეასუსტა. მენშევიკებმა კი, რომელთაც ლეგალური არსებობის გამო პროპაგანდის შესაძლებლობა ჰქონდათ, შეძლეს მასების საკმაო ნაწილი მათი შეხედულებებით მოეწამლათ.

ამიერკავკასიასა და საქართველოში, როგორც ცნობილია, ბატონყმური ურთიერთობის ნაშთები მძლავრად იყო შემორჩენილი. მემამულეები, რომლებიც ვეებერთელა ლატიფუნდიებს ფლობდნენ, ბატონყმური მეთოდებით ეწეოდნენ გლეხობის ექსპლოატაციას, ხოლო ექსპლოატაციით სულშეხუთული გლეხობის აღშფოთებას მთავრობის ჯარების დახმარებით ახშობდნენ. ცარიზმი საქართველოში, ისე როგორც რუსეთის სხვა განაპირა მხარეებში, ასახლებდა კოლონიზატორულ ელემენტებს, მათ პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებდა, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაპირისპირებლად დასაყრდენ ძალას ქმნიდა. ქართველი გლეხი ორმაგი ჩაგვრის—სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის უღელქვეშ გმინავდა. ბუნებრივია, გლეხობის რევოლუციური ბრძოლა მიმართული იყო სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მენშევიკები, ესერები და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები მოხერხებულად იყენებდნენ ქართველი გლეხობის განწყობილებას. რჩებოდნენ რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ჩარჩოებში საერთოდ, ისინი გლეხობას ბატონყმური ნაშთების მოსპობასა და ცარიზმის დამხობას პირდებოდნენ. ერთი შეხედვით თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ეს დაპირებანი განახორციელა—ჩამოგდებულ იქნა მეფე, შედგა ახალი ხელისუფლება, რომელმაც თავის დეკლარაციაში ქვეყანას აუწყა „ახალი ეპოქის“ დასაწყისი. ბუნებრივია, ასეთი სწრაფი გარდატეხის მომენტში ქართველი გლეხობა, განსაკუთრებით მისი კულაკური და საშუალო ფენა, მენშევიკებისა და ესერების მხარეზე აღმოჩნდა.

ანგარიში უნდა გაუწიოს ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან, ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსათვის დამახასიათებელ თავისებურებასაც:

„რუსეთის ფედერაციის განაპირა მხარეებს შორის,—აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი,—ამიერკავკასია, ვგონებთ, ყველაზე დამახასიათებელი კუთხეა ნაციონალური შემადგენლობის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მხრივ. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელი თათრები, თურქები და ლეკები, ოსები და აფხა-

ზები,—ასეთია ამიერკავკასიის შვიდმილიონიანი მოსახლეობის ნაციონალური მრავალფეროვნების არც თუ სრული სურათი"[1].

ცარიზმი განგებ აღვივებდა შუღლსა და მტრობას ამ პატარა ერებსა და ეროვნებებს შორის, მათ ერთმანეთს უსისიანებდა. ამ ერების საერთო ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, მათი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ხშირად იჩრდილებოდა ბრძოლით ურთიერთ შორის, რაც ცარიზმის და ადგილობრივი რეაქციული ძალების მიერ იყო გამოწვეული. ეს კი ფრიად მარჯვე ვითარებას ქმნიდა ...„კლასობრივი ბრძოლის დასაფარავად ნაციონალური დროშებითა და საღარუნოებით..."[2].

თებერვლის რევოლუციის პერიოდში რუსეთის განაპირა მხარეების დაჩაგრულმა ერებმა პირველად იგრძნეს ძალა და მთელი არსებით ჩაებნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. «ნაციონალური ჩაგვრის ლიკვიდაცია»—ასეთი იყო მოძრაობის ლოზუნგი. რუსეთის განაპირა მხარეებში მყისვე დაიფარნენ «საერთო ნაციონალური» დაწესებულებებით. მოძრაობას სათავეში ედგა ნაციონალური, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტელიგენცია[3].

ცარიზმის, როგორც ნაციონალური ჩაგვრის ძირითადი მიზეზის, წინააღმდეგ მასების შეტევითი განწყობილებით რომ სარგებლობდნენ, ნაციონალისტურ-ბურჟუაზიული პარტიები ძირითად ამოცანად ისახავდნენ ნაციონალურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნას „... ერთა თვითგამორკვევის უფლებას განმარტავდნენ,—ამ ბობს ი. ბ. სტალინი,—როგორც განაპირა მხარეების ნაციონალური ბურჟუაზიის უფლებას თავის ხელში აეღო ძალაუფლება და გამოეყენებინა თებერვლის რევოლუცია «თავისი» ნაციონალური სახელმწიფოს შესაქმნელად. რევოლუციის შემდგომი განვითარება არ შედიოდა და არც შეიძლებოდა შესულიყო ზემოთ მოხსენებული ბურჟუაზიული ინსტიტუტების ანგარიშში"[4].

თბილისში, რომელიც ამავე დროს მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ, სავაჭრო და კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, ჯარისკაცები და პოლიციელები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე სამრეწველო მუშები, აქ უფრო მეტად გაბატონებული იყო წვრილი ვაჭრობა და ხელოსნობა და, ბუნებრივია, ადგილი არ ჰქონია ისეთ მწვავე კლასობრივ შეჯახებებს, როგორც მსხვილი სამრეწველო ცენ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 55.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 169.
[4] იქვე.

ტრებისათვის იყო დამახასიათებელი. ეს წვრილბურჟუაზიული მასა თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებისთანავე ერთბაშად გამოფხიზლდა და მოძრაობაში ჩაება. თავი წამოყვეს იმ ადამიანებმა, რომელთაც ათეული წლობით ეძინათ პოლიტიკურად. მათთვის ძნელი როდი შეიქნა სუსტი სამრეწველო პროლეტარიატის დამორჩილება სიმრავლითა და იდეურად. ამ ტალღამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, „...მოიცვა მუშათა ფრიად ფართო წრეები და გადასდო მათ წვრილბურჟუაზიული შეხედულებანი პოლიტიკაზე“[1].

ყველა ამ ფაქტორთა ერთობლიობა მენშევიკურ-ესერულ პარტიებს ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ხელისუფლების ორგანოებში გაბატონებისათვის. იგივე ფაქტორები ბოლშევიკური პარტიისათვის დამაბრკოლებელ როლს თამაშობდნენ. ასეთ ვითარებაში ბოლშევიკებს მთელი ძალები უნდა დაეძაბათ, რათა მასებისათვის დაენახვებინათ ყველა ამ პარტიის სიყალბე, მათი პროგრამის რეაქციული ხასიათი. მათ ყოველ ნაბიჯზე უნდა გაეწიათ ანგარიში ამ თავისებურებათათვის და მთელი მუშაობა წარემართათ იქეთკენ, რომ მასებისათვის აშკარა გაეხადათ წვრილბურჟუაზიული პარტიების პოლიტიკის შენიღბული ბურჟუაზიული ხასიათი, გაეფანტათ ობორონცული ბურუსი და დაერაზმათ ისინი რევოლუციის გასაღრმავებლად, მისი მეორე ეტაპის—სოციალისტური ეტაპის განსახორციელებლად.

მუშათა და ჯარისკაცთა თბილისის მენშევიკურ-ესერულ საბჭოს ქალაქის ბურჟუაზიული თვითმმართველობისათვის ხელიც არ უხლია. პირიქით, იგი ერთ-ერთ „ავტორიტეტულ“ და „რევოლუციურ“ ორგანოდ იქნა აღიარებული. საბჭოს 6 მაისის სხდომაზე მენშევიკი არსენიძე აცხადებდა, რომ ქალაქის თვითმმართველობა უნდა გახდეს „მთელი ადგილობრივი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ცენტრიო“. ამრიგად, იმ ორგანოს, რომელიც თბილისის მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს იცავდა და შეხმატკბილებულად მუშაობდა მეფის ხელისუფლებასთან, მენშევიკები ანიჭებდნენ უპირატესობას მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციური ორგანოს წინაშე. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის მენშევიკურ-ესერული საბჭო არა მარტო უმტკივნეულოდ შეეგუა თვითმმართველობას, არამედ თანდათანობით მის მაჩანჩალადაც გადაიქცა.

როგორც ცნობილია, რუსი მენშევიკები თებერვლის რევოლუ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 53.

ციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად ბურჟუაზიას თვლიდნენ. მათი აზრით, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ხელისუფლების სათავეში უნდა ჩამდგარიყო იგივე ბურჟუაზია, როგორც რევოლუციის ჰეგემონი ძალა და „საერთო ნაციონალური ამოცანების გადაწყვეტისათვის სოციალურად და ფსიქოლოგიურად უფრო მომზადებული“ (პოტრესოვი). შემთანხმებლური პარტიები ამტკიცებდნენ, რომ დემოკრატია, რომელიც, მათი აზრით, დანაწევრებული იყო და არ ჰქონდა პოლიტიკური ორგანიზაცია, ხელისუფლების აპარატის გარეშე ვერ შეძლებდა სახელმწიფოებრივი მანქანის დაუფლებას. ამ „თეორიით“ ამართლებდნენ მენშევიკები და ესერები ბურჟუაზიული მთავრობისათვის ძალაუფლების ნებაყოფლობით გადაცემას, იმ ბურჟუაზიისათვის, რომელსაც მიმდინარე მომენტში, შულგინის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ იცავდა საიმპერატორო ყარაული და, ამრიგად, თვითმპყრობელობისა და ხალხის მხარდაჭერის გარეშე იყო დარჩენილი.

ქართული მენშევიზმის მესვეურები საესებით იზიარებდნეხ მათი რუსი თანამოძმეების შეხედულებებს მიმდინარე რევოლუციის ხასიათისა და მისი მამოძრავებელი ძალების შესახებ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სხდომაზე მიმდინარე მომენტის ლოზუნგის გამომუშავებასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ აღნიშნა: „რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს წარმოადგენდნენ: 1) პროლეტარიატი, 2) არმია და 3) ლიბერალური ბურჟუაზია. ამის შესაბამისად მუშათა დეპუტატების საბჭომ უნდა განსაზღვროს თავისი პოლიტიკური ხაზი. მიმდინარე მომენტში საჭიროა ერთიანობა იმ ძალებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ მეფის ხელისუფლებამ არ გაიმარჯვოს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ბრძოლაშიო“[1]. ჟორდანიას ეს თეზისები მიღებულ იქნა. ამასვე იმეორებდა მენშევიკური გაზეთიც: „კარგად უნდა დავიმახსოვროთ დღევანდელი დიადი რევოლუციის ნიშანდობლივი ხასიათი. ის წარმოებს ორი მოპირდაპირე კლასის—პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის საერთო ხელმძღვანელობით. მაშასადამე, ამ ძალების დღეს გათიშვა, ერთი მეორეზე ამხედრება და განმარტოება გზას გაუხსნის რეაქციას და კონტრრევოლუციასო“[2].

ქართველი მენშევიკები თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ რევოლუციის მოხდენაში თანაბარი დამსახურება მიუძღვით პრო-

---

[1] Протоколы закавказских революционных советских организаций, том I, гз. VI.

[2] გაზ. „თანამედროვე აზრი“, № 52, 5 მარტი, 1917 წ.

ლეტარიატსა და ბურჟუაზიას (სავსებით გამორიცხულია როლი გლეხობისა, რომელსაც მენშევიკები საერთოდ არ თვლიდნენ რევოლუციურ კლასად).

ასეთი პრინციპებით მიმდინარეობდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შექმნა საქართველოს მაზრებსა და სოფლებში: მაგრამ ვინაიდან მაზრებსა და სოფლებში ყოველთვის სჭარბობდა მემამულეებისა და წვრილი ბურჟუაზიის გავლენა, მოხდა ის, რომ ხელისუფლების ორგანოებში მთლიანად შეძლებული კლასების ინტერესების დამცველი აღმოჩნდნენ.

* * *

რუსეთის ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ, რომელიც საბჭოებს ნაკლებ ანგარიშს უწევდა და საერთოდ არ თვლიდა მას კომპეტენტურ და მუდმივ ხელისუფლებად, რევოლუციის პირველსავე დღეებში ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის შექმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომ"). კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები: კადეტები ხარლამოვი და პაპაჯანოვი, მუსავატი ჯაფაროვი, ფედერალისტი აბაშიძე და მენშევიკი ა. ჩხენკელი.

ქართველი მენშევიკები პირველ ხანებში ერთგვარ უხერხულობას გრძნობდნენ ამიერკავკასიის ხელისუფლების აშკარა კონტრრევოლუციური შემადგენლობის გამო. 10 მარტს მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობის შესახებ და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ეს შემადგენლობა თავისი უმრავლესობით არ წარმოადგენს კავკასიის დემოკრატიის ინტერესთა გამომხატველს". აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „საკითხი განსახილველად გადაეცეს მუშათა დეპუტატების საბჭოს საერთო კრებას"[1]. ამით გათავდა ყველაფერი. შემთანხმებლურმა პარტიებმა ამჯობინეს გაჩუმებულიყვნენ და სოლიდარობით მოპყრობოდნენ განსაკუთრებულ კომიტეტს, რადგან იგი წარმომადგენელი იყო იმ მთავრობისა, რომლისთვისაც მხარდაჭერა თებერვლის რევოლუციის შემდეგ მენშევიზმის მთავარ ლოზუნგად გადაიქცა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახით საქართვე-

---

[1] Протоколы закавказских революционных сов. орг., том I, гл. 5.

ლოსა და მთელ ამიერკავკასიაში შეიქმნა ბურჟუაზიული მთავრობა, რომელიც ატარებდა იმავე პოლიტიკას, რასაც დროებითი მთავრობა რუსეთში.

როგორ ესმოდა განსაკუთრებულ კომიტეტს თავისი რწმუნებანი და ფუნქციები ამიერკავკასიაში? სცნობდა თუ არა იგი თავის თავს უზენაეს ხელისუფლებად? ამ კითხვაზე პასუხს მოგვცემს აღმასრულებელი კომიტეტების სამხარეო ყრილობის მასალების შესწავლა. ეს ყრილობა შედგა 18 მარტს განსაკუთრებული კომიტეტის თბილისში ჩამოსვლის პირველ დღესვე.

ყრილობაზე, ბუნებრივია, დაისვა საკითხი, თუ რა უფლებები ექნებოდა მინიჭებული განსაკუთრებულ კომიტეტს. პაპაჯანოვმა ამ კითხვას გასცა გარკვეული პასუხი: „ჩვენი. რწმუნებანი ყველაზე ფართო მასშტაბისაა. ჩვენ ვმოქმედებთ დროებითი მთავრობის სახელითა და უფლებებითო“[1]. ყრილობაზე მწვავე კამათი გამოიწვია საკითხმა—საჭირო იქნება თუ არა შეიქმნას აღმასრულებელი კომიტეტების სამხარეო ორგანო, რადგან ასეთი ორგანოს შექმნა განსაკუთრებული კომიტეტის ფუნქციებს შეკვეცავსო. ამ საკითხის გარშემო მოკამათეები სხვადასხვა აზრისანი იყვნენ. ამიტომ ხარლამოვი იძულებული შეიქნა გამოსულიყო სიტყვით და აღენიშნა, რომ ზოგიერთებს არასწორად ესმით განსაკუთრებული კომიტეტის დანიშნულება. „უმაღლესი სანქცია ჩვენ გვეკუთვნის. ჩვენ ვიმუშავებთ ადგილობრივ საზოგადოებრივ ელემენტებთან კონტაქტში“. ამავე სხდომაზე ჯაფაროვმა განაცხადა გარკვევით: „ჩვენზე რჩება ვეტოს უფლება და ამ უფლებას არავის არ დავუთმობთო“.

ყრილობაზე ბურჟუაზიული მთავრობის კონტრრევოლუციურ, იმპერიალისტურ პოლიტიკაზე არაფერი თქმულა, პირიქით, დროებით მთავრობას და მის წარმომადგენელს ამიერკავკასიაში—განსაკუთრებულ კომიტეტს ყრილობამ სრული ნდობა გამოუცხადა და მასთან კონტაქტური მუშაობისათვის აირჩია სამხარეო საბჭო. როგორც ვხედავთ, რევოლუციის პირველი დღეებიდანვე მენშევიკებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს ბურჟუაზიულ კომიტეტთან, აღიარეს იგი ოფიციალურ უმაღლეს ხელისუფლებად. ამით თითქოს განახორციელეს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ძალთა კოორდინაცია, რაც მათ თებერვლის რევოლუციის ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდათ.

რატომ მოხდა, რომ საბჭოების სამხარეო ყრილობამ, რომელიც ამიერკავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს

---

[1] გაზ. „Закавказская Речь“, № 66, 21 მარტი, 1917.

წარმოადგენდა, ბურჟუაზიულ მთავრობასთან თანხმობით მუშაობის გზა აირჩია? ეს იმიტომ მოხდა, რომ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქების აღმასრულებელ კომიტეტებში მოკალათდნენ ბურჟუაზიისა და მემამულეების წარმომადგენლები, რომელთაც გამონახეს საერთო ენა მენშევიკებისა და ესერების პარტიებთან, „უმტკივნეულოდ შეეგუენ“ ახალ დროებას. თვით ნ. ჟორდანია, რომელიც ყრილობაზე თავის მოხსენებაში ტაქტიკის შესახებ აშკარად იცავდა რევოლუციაში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის თანასწორ დამსახურებას და ყველა პარტიას ერთიანი მოქმედებისაკენ მოუწოდებდა, ეს ჟორდანიაც კი იძულებული იყო მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს 23 მარტის სხდომაზე ეთქვა: „ყრილობა წარმოადგენდა საკმარისად სამწუხარო სურათს. მასში მონაწილეობდნენ ისეთი პირები, რომლებიც ყოველთვის დემოკრატიის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ძალაუფლება კომიტეტებში ჩაიგდეს ხელში უფრო გაბედულმა და ენერგიულმა პირებმაო“[1].

რა თქმა უნდა, ჟორდანია დუმდა იმის გამო, რომ ამ „ენერგიულ და გაბედულ პირებს“ ძალაუფლების ხელში ჩაგდებაში მხარს უჭერდა და აქტიურ დახმარებას უწევდა მენშევიკური პარტია, რომლის ლიდერიც თვით იყო.

ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა შექმნის პირველი დღიდანვე დაიწყო მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესების დაცვა. იგი მშრომელთა ინტერესების საპირისპიროდ მხარში ამოუდგა შეძლებულ კლასებს. ეხმარებოდა ქართველ თავადაზნაურებს, აზერბაიჯანელ ბეგებსა და აღალარებს მიწების მთლიანად შენარჩუნებასა და გლეხობის აღვირახსნილ ყვლეფაში, ფარულად ამზადებდა რევოლუციის ჩახშობას, ამავე დროს ეასების სიფხიზლეს ადუნებდა დაპირებებით, რომელთაც განხორციელება არ ეწერათ.

განსაკუთრებულმა კომიტეტმა თავისი წმინდა რეაქციული მოქმედებით, ისევე როგორც მისმა დამნიშვნელმა დროებითმა მთავრობამ, სწრაფად დაკარგა გავლენა საზოგადოებაში. მისი ღონისძიებანი იმდენად აშკარა კონტრრევოლუციური იყო, რომ ამაზე ფარისევლური ტონით ალაპარაკდნენ მენშევიკური საბჭოებიც კი.

როგორიღა იყო თვით სამხარეო საბჭოს როლი საქართველოში, სარგებლობდა თუ არა იგი იმ კანონიერი უფლებით, რომელიც მას რევოლუციამ მიანიჭა?

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების,

---

[1] Протоколы Закавказских рев. сов. орг., ტ. 1.

როგორც რევოლუციისა და მისი შემოქმედის—ხალხის ხელისუფლების ორგანოს, წინაშე იდგა უმნიშვნელოვანესი ამოცანები: „რევოლუცია რომ მოახდინეს მუშებსა და გლეხებს სურდათ ბოლო მოეღოთ ომისათვის და მიეღწიათ ზავისათვის. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარი ბურჟუაზია კი ცდილობდა მასების რევოლუციური აღფრთოვანება გამოეყენებინა ომის განსაგრძობად, ზავის წინააღმდეგ"[1]. მაშასადამე, საბჭოების წინაშე იდგა ყაჩაღური იმპერიალისტური ომის დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის, ზავის მოპოვების ამოცანა, კაპიტალისტებისა და მემამულეების ყაჩაღური ინტერესებისათვის სოფელსა და წარმოებას მოწყვეტილი მუშისა და გლეხის მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნების ამოცანა.

„სამეურნეო ნგრევა ქვეყანაში და სასურსათო კრიზისი საჭიროს ხდიდნენ კაპიტალებისა და სამრეწველო საწარმოების ექსპროპრიაციას მუშების სასარგებლოდ, მემამულეთა მიწების კონფისკაციას გლეხების სასარგებლოდ, მაშინ როცა მილიუკოვ-კერენსკის ბურჟუაზიული მთავრობა მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესების სადარაჯოზე იდგა და გადაჭრით იცავდა მათ მუშებისა და გლეხების მხრივ ხელყოფისაგან"[2]. მაშასადამე, საბჭოს, როგორც რევოლუციური ორგანოს, წინაშე იდგა მემამულეთა მიწების კონფისკაციის, კაპიტალისტურ წარმოებათა ექსპროპრიაციის ამოცანა—გაბატონებული კლასებისათვის ექსპლოატაციის ეკონომიური საფუძვლის გამოცლის ამოცანა.

„...ცარიზმის მოსპობასა და ხელისუფლების სათავეში ბურჟუაზიის ჩადგომას ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა არ მოჰყოლია. ნაციონალური ჩაგვრის ძველი უხეში ფორმა შეიცვალა ჩაგვრის ახალი, დახვეწილი, მაგრამ სამაგიეროდ უფრო საშიში ფორმით. ლვოვ-მილიუკოვ-კერენსკის მთავრობამ არა თუ კავშირი არ გაწყვიტა ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკასთან, არამედ ახალი ლაშქრობაც მოაწყო ფინეთისა (სეიმის გარეკვა 1917 წლის ზაფხულში) და უკრაინის წინააღმდეგ (უკრაინის კულტურულ დაწესებულებათა განადგურება). უფრო მეტიც: ამ მთავრობამ, თავისი ბუნებით იმპერიალისტურმა, მოსახლეობას მოუწოდა განეგრძო ომი ახალი ქვეყნების, ახალი კოლონიებისა და ეროვნებების დასამორჩილებლად"[3]. მაშასადამე, რევოლუციის ხელისუფლების—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების წინაშე

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 172.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 170.

იდგა ამოცანა: გადაეჭრა ნაციონალური საკითხი—მიეცა ერებისათვის თვითგამორკვევის უფლება.

ამ ამოცანების განხორციელება, ცხადია, შეუძლებელი იყო ბურჟუაზიულ მთავრობასთან შეთანხმებით. საჭირო იყო ძალაუფლების ხელში აღება მთლიანად. საჭირო იყო რევოლუციის შემდგომი განვითარება, მისი სოციალისტურ რევოლუციად გადაქცევა. ორხელისუფლებიანობის არსებობა შეუძლებელი იყო. თებერვლის რევოლუციის ეს წინააღმდეგობანი ახალ, სოციალისტურ რევოლუციას უნდა გადაეჭრა.

ამგვარად, საბჭოები, რომლებიც რევოლუციის ორგანოს წარმოადგენენ, თავიანთი დანიშნულებითა და ამოცანებით დიამეტრალურად უპირისპირდებოდნენ ბურჟუაზიულ მთავრობას. საბჭოების ერთადერთი მიზანი უნდა ყოფილიყო ბურჟუაზიისათვის მის მიერ უკანონოდ მითვისებული ძალაუფლების წართმევა, მთელი ძალაუფლების ხელში აღება.

მაგრამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმა რუსეთში ვერ შეძლეს ამ ამოცანის შესრულება—იმიტომ, რომ მათში გაბატონებულმა შემთანხმებლურმა პარტიებმა ისინი ბურჟუაზიული მთავრობის მოკავშირედ გადააქციეს.

მართალია, საბჭოს ბოლშევიკი დეპუტატების დაჟინებითი მოთხოვნით, რევოლუციური მასების ზეგავლენით საბჭო ხშირად იძულებული იყო მთელი რიგი რევოლუციური ღონისძიებანი გაეტარებინა, მაგრამ საბოლოთ ანგარიშში საბჭოში გაბატონებულმა შემთანხმებლურმა პარტიებმა იგი (საბჭო) ბურჟუაზიული მთავრობის ინტერესებს დაუმორჩილეს.

როგორი მდგომარეობა იყო ამ მხრივ საქართველოში? ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებში ჩვენშიაც დიდი უმრავლესობა მენშევიკებმა და ესერებმა მოიპოვეს. ბოლშევიკები ყველგან უმცირესობას წარმოადგენდნენ, ზოგიერთ საბჭოში მათ თავიანთი დეპუტატი არც კი ჰყოლიათ. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საქართველოში, როგორც წვრილბურჟუაზიულ ქვეყანაში, შემთანხმებლურ პარტიებზე მასების გულდანდობა უფრო ძლიერი იყო და მათი გათვითცნობიერება უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა; ამით უნდა აიხსნას, რომ ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკისადმი წინააღმდეგობას ჩვენში, თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში მკვეთრი გამოვლინება არ ჰქონია და მენშევიკურ-ესერულ საბჭოებსაც ოზაკომთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა დამყარებული.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტისა და საბჭოების მჭიდრო თანამშრომლობიდან გამომდინარე, საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე მომუშავე ზოგიერთი მკვლევარი იმ დასკვნამდე მიდიოდა, თითქოს საქართველოში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ არ შექმნილა ორხელისუფლებიანობა და თითქოს სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურად გადაქცევისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება. ასეთი მოსაზრება მცდარია.

საბჭოები ჩვენშიაც, ისე როგორც რუსეთში, რევოლუციის წიაღიდან აღმოცენდნენ და, მიუხედავად მასში მენშევიკურ-ესერული უმრავლესობისა, მაინც იძულებული იყვნენ ცოტად თუ ბევრად ხალხის ინტერესებისათვის გაეწიათ ანგარიში, განეხორციელებინათ ზოგიერთი დემოკრატიული ღონისძიებანი. ბურჟუაზიული ხელისუფლება კი (ოზაკომი) ამიერკავკასიას დროებითი მთავრობის კარნახით მოევლინა და მისი მიზანდასახულება (ბურჟუაზიული დიქტატურის დამყარება) პრინციპში თვით საბჭოების არსებობასაც კი უპირისპირდებოდა.

არ უნდა დაივიწყოთ ისიც, რომ არა მარტო ამიერკავკასიაში (ბაქო), არამედ საქართველოშიც, მთელ რიგ ადგილებში (სოხუმი, ჭიათურა) საბჭოებში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდათ ბოლშევიკებს, რომლებიც საბჭოს ტრიბუნას ბურჟუაზიული მთავრობის კონტრრევოლუციურ ღონისძიებათა გამოსააშკარავებლად იყენებდნენ და მათ განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით ცდილობდნენ გადაეჭრათ მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები.

ვ. ი. ლენინი, როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლუციის დამახასიათებელ თავისებურებას ორხელისუფლებიანობაში ხედავდა. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სწორედ იმას, რომ „...დროებითი მთავრობის, ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს მთავრობის, გვერდით ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ სუსტი, ჩანასახოვანი, მაგრამ მაინც უეჭველად ნამდვილად არსებული და მზარდი მ ე ო რ ე მ თ ა ვ რ ობ ა: მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები“[1], ლენინი ამავე დროს აღნიშნავდა იმ ფაქტსაც, რომ ეს „ჩანასახოვანი ხელისუფლება დროებით მთავრობას ან პირდაპირი შეთანხმებებით, ან დათმობებით აბარებს პოზიციებს“ და ამის მიზეზია პროლეტარული მასების არასაკმაო შეგნება; გამოდიოდა რა ამ ფაქტიდან,

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 22.

ლენინი თავის ცნობილ აპრილის თეზისებში პარტიას ავალებდა მხოლოდ მოთმინებით, სისტემატურ, დაჟინებით, მასების პრაქტიკულ მოთხოვნებთან შეგუებულ განმარტებას იმისა, თუ რატომ აღმოჩნდა ბურჟუაზია ხელისუფლების სათავეში, რაში იყო პროლეტარიატის ტაქტიკური შეცდომები, როგორ უნდა დაგვეღწია თავი ამ შეცდომებისაგან, რატომ იყო აუცილებელი მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის გადაცემა და სხვ.

აპრილის თეზისებით შეიარაღებული საქართველოს ბოლშევიკები დაუღალავად იბრძოდნენ მასების გასათვითცნობიერებლად, ამხელდნენ მშრომელი კლასების მიერ დაშვებულ ტაქტიკურ შეცდომებს, იბრძოდნენ იმისათვის, რომ საბჭოებში უმრავლესობა მოეპოვებინათ, ამხელდნენ ბურჟუაზიული მთავრობის და ამიერკავკასიაში მისი ფილიალის—ოზაკომის კონტრრევოლუციურ ბუნებას და ამზადებდნენ პოლიტიკურ არმიას სოციალისტური რევოლუციისათვის. ცხადია, საქართველოს თავისებურებისადმი ზედმეტი გამოდევნებით თუ ორხელისუფლებიანობასაც უარვყოფთ, მაშინ საქართველოს ბოლშევიკების მთელი ტაქტიკური ხაზი აპრილიდან ივლისამდე აუხსნელი დარჩებოდა.

რაც შეეხება ზოგიერთ თავისებურებებს, მათ მართლაც ჰქონდათ ადგილი და ისინი საქართველოს პროლეტარიატის სისუსტითა და წვრილბურჟუაზიული სტიქიის სიმძლავრით იყვნენ განპირობებული. ამ თავისებურებათა შესახებ ნაწილობრივ ვილაპარაკეთ ზემოთ, დანარჩენებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

თავი II

საქართველოს ბოლშევიკები სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადებისათვის ბრძოლაში

1. სოციალისტური რევოლუციის ლენინური სტრატეგიული გეგმა

3 აპრილს ვ. ი. ლენინი პეტროგრადში ჩამოვიდა და მთელი გატაცებით ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. 4 აპრილს თავრიდის სასახლეში იგი გამოვიდა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების თათბირზე მოხსენებით ახალი ომისა და რევოლუციის შესახებ. ამ მოხსენების თეზისები გაიმეორა საბჭოების სრულიად რუსეთის დელეგატების — ბოლშევიკებისა და მენშევიკების კრებაზე.

ეს იყო ცნობილი აპრილის თეზისები, რომელშიც დიდმა ბელადმა დასახა ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის ნათელი რევოლუციური ხაზი.

ცნობილია, რომ მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ ეპოქა შექმნა და, როგორც ლენინი ამბობდა, ამ პატარა წიგნაკს მთელი ტომების ღირებულება ჰქონდა. იგივე შეიძლება ითქვას ლენინის აპრილის თეზისების შესახებ; იგი სულ 6 გვერდისაგან შედგება, მაგრამ მასში კონცენტრირებულია მთელი სიბრძნე ბოლშევიკური პარტიისა, ლენინის გენიალური წინასწარგანჭვრეტით გასხივოსნებულია ის ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც უნდა ევლო პარტიას, რათა ქვეყანა ეხსნა კატასტროფისა და კონტრრევოლუციის შემოტევისაგან და რევოლუციის მეორე, სოციალისტური ეტაპი გამარჯვებით დაეგვირგვინებინა.

ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენციაზე, რომელსაც ჩვენი პარტიის ისტორიაში ყრილობის მნიშვნელობა აქვს, ლენინმა აპრილის თეზისები განავითარა და, ამრიგად, რუსეთის ბოლშევიკების წინაშე გადაშალა სამოქმედო პროგრამა, რომელშიც კურსი რევოლუციის მეორე ეტაპის განხორციელებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ იყო აღებული.

მიუთითებდა რა რევოლუციის მეორე ეტაპის განხორციელების აუცილებლობაზე, ვ. ი. ლენინი დროებითი მთავრობის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას არ მოითხოვდა. ამისათვის მტკიცე ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. დროებით ბურჟუაზიულ მთავრობას მხარს უჭერდნენ საბჭოები, სადაც შემთანხმებლური პარტიები უმრავლესობას შეადგენდნენ. ლენინი იმ ეტაპზე ბოლშევიკებისაგან მოითხოვდა განემარტათ მასებისათვის, რომ მხოლოდ საბჭოების ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები: დაამთავროს ომი და დადოს ნამდვილი დემოკრატიული ზავი, ჩამოართვას მიწა მემამულეებს და გადასცეს გლეხობას, დააწესოს მუშათა კონტროლი წარმოებაზე. ლენინი ბოლშევიკებს ავალებდა განემარტათ მასებისათვის, რომ საბჭოები, საბჭოთა ხელისუფლება, ეს არის „რევოლუციური მთავრობის ერთადერთი შესაძლო ფორმა“, რომ ამჟამად საბჭოებში მოკალათებული მენშევიკები და ესერები ლაფში სვრიან, ამახინჯებენ რევოლუციის უმაღლესი ორგანოს მაღალ დანიშნულებას და მას ბურჟუაზიის გავლენას უმორჩილებენ. „ვიდრე უმცირესობას წარმოვადგენთ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკას, ვარკვევთ შეცდომებს და იმავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოებისათვის გადაცემის აუცილებლობას, რათა მასებმა გამოცდილებით დააღწიონ თავი შეცდომებს“[1]. ეს იყო რევოლუციის განხორციელების მშვიდობიანი გზა.

ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემის ლენინურ ლოზუნგს სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლის ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ლენინმა საბჭოები აღმოაჩინა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმა. ეს იყო გენიალური აღმოჩენა მარქსისტულ მეცნიერებაში.

აქვე ლენინი მიუთითებდა მესამე ინტერნაციონალის დაარსებისა და პარტიისათვის სახელწოდების შეცვლის აუცილებლობაზე.

ლენინის თეზისებმა გამოიწვიეს რევოლუციის მტრების—ბურჟუაზიის, მენშევიკებისა და ესერების და აგრეთვე ბოლშევიკურ პარტიაში მიტმასნილი ელემენტების—ბუხარინელებისა და ზინოვიევ-კამენეველთა მხრივ გააფთრებული წინააღმდეგობა, მაგრამ კომუნისტურმა პარტიამ, ლენინმა და სტალინმა რევოლუციის შტრეიკბრეხერებს გამანადგურებელი პასუხი გასცეს, დაიცვეს რა

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 5–6.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მარქსისტულ-ლენინური თეორია.

* * *

გენიალურად განსაზღვრა რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის განვითარების, მისი სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის აუცილებლობა, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა კიდეც სტრატეგიული გეგმა მისი განხორციელებისათვის. სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული იყო რევოლუციური ძალების მთავარი შეტევის მიმართულება და სოციალურ ფრონტზე მილიონიანი მასების შესაბამისი განლაგების სქემა.

შეტევის მთავარი მიზანი რუსეთის იმპერიალისტური მთავრობის დამხობა და ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების—საბჭოთა წყობილების დამყარება იყო.

სტრატეგიულ გეგმას შეესაბამებოდა ძალთა შემდეგი განლაგება: მოძრაობის ძირითადი ძალა პროლეტარიატი, უახლოესი რეზერვი ღარიბი გლეხობა. პროლეტარიატი, როგორც ჰეგემონი რევოლუციისა, თავის გარშემო იკრებს რუსეთის ყველა ხალხის რევოლუციურ ძალებს და მიმართავს მათ სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად. მოძრაობის ლოზუნგი—„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“.

კომუნისტური პარტიის სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის პირველ რიგში აუცილებელი იყო პოლიტიკური არმიის შექმნა, რადგანაც ასეთი არმიის გარეშე, საერთოდ, შეუძლებელია სახალხო რევოლუციის გამარჯვება.

„პოლიტიკური არმია,—მიუთითებს ი. ბ. სტალინი,—სამხედრო არმია როდია. თუ სამხედრო სარდლობა იწყებს ომს უკვე მზა არმიით, პარტიას უხდება თავისი არმიის შექმნა თვით ბრძოლის მსვლელობაში, კლასთა შეტაკებების მსვლელობაში, იმისდა მიხედვით, რაც თვით მასები საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებიან პარტიის ლოზუნგების სისწორეში, მისი პოლიტიკის სისწორეში“[1].

სტალინის ამ ზუსტი და შინაარსით ღრმა განმარტებიდან გამომდინარეობს შემდეგი:

სოციალისტური რევოლუციის განხორციელება შეუძლებელია ორი მოწინააღმდეგე კლასის—ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გადამწყვეტ შეჯახებათა გარეშე. ამ შეჯახებათა პროცესში ბურჟუაზიას, როგორც გაბატონებულ კლასს, შეუძლია გამოიყენოს

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ 6, გვ. 435.

წინასწარ გაწვრთნილი სამხედრო არმია, რომელსაც იგი თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად ეყრდნობა. შემტევ კლასს—პროლეტარიატს ასეთი მზა არმია არა ჰყავს.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ჰყავდა თავისი პოლიტიკური არმია. რომელიც მიზნად ისახავდა ცარიზმის დამხობას. ამ მიზნის განხორციელების შემდეგ პოლიტიკურმა არმიამ თავისი შესაძლებლობანი ამოსწურა. მაშასადამე, ახალი არმიის შექმნისათვის საჭიროა ძალთა გადაჯგუფება, ახალი პოლიტიკური არმიის შექმნა.

ბურჟუაზიული წყობილების დამხობით ყველაზე მეტად დაინტერესებული კლასი პროლეტარიატია, რომელიც ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდის, რომელსაც ისტორიამ კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალისტური. წყობილების შექმნის როლი დააკისრა. მაშასადამე, პოლიტიკური არმიის ჰეგემონი, მისი ძირითადი ბირთვი პროლეტარიატი უნდა იყოს. მაგრამ მარტო პროლეტარიატი როდია დაინტერესებული რევოლუციის ბოლომდე მიყვანით. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ მემამულეებს შეუნარჩუნა მიწები, შეუნარჩუნა პოლიტიკური პრივილეგიები. ღარიბი გლეხობა კვლავ უმიწაწყლოდ დარჩა და ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას განიცდის. მაშასადამე, პროლეტარიატის პირდაპირი რეზერვი სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში არის უღარიბესი გლეხობა. პროლეტარიატმა თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს ეს განუყოფელი მოკავშირე. ამასთანავე მან უნდა მიაღწიოს კულაკობის იზოლაციას, საშუალო გლეხობის ნეიტრალიზაციას, რადგანაც პირველი (კულაკობა) აღარ არის დაინტერესებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გაღრმავებით. ხოლო მეორე—(საშუალო ფენა) ჯერ კიდევ მერყეობს, ეშინია რა თავისი წვრილი საკუთრების დაკარგვისა. სოციალისტური რევოლუციის პირდაპირ რეზერვებს წარმოადგენენ აგრეთვე სხვა ქვეყნების პროლეტარიატი, კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელი მასები, ხოლო არაპირდაპირ რეზერვებს გაბატონებულ კლასებს შორის არსებული წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები და მსოფლიო ომი, რომელიც ამ წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების უკიდურესი გამწვავების შედეგად დაიწყო.

ყველა არმიას ჰყავს თავისი შტაბი, რომელიც წარმოადგენს არმიის ტვინს. იგი წარმართავს ტაქტიკურ ოპერაციებს სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. ასეთი შტაბი

განსაკუთრებით საჭიროა პოლიტიკური არმიისათვის. ყველაზე ფართო, ყველაზე მასობრივი არმიისათვის.

ერთადერთი პარტია, რომელიც პროლეტარიატის მოწინავე, ორგანიზებულ რაზმს წარმოადგენს და მისი კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა, არის კომუნისტური პარტია. იგი შეიარაღებულია მოწინავე რევოლუციური თეორიით—მარქსისტულ-ლენინური თეორიით, იგი ყოველმხრივ დაინტერესებულია წარუძღვეს წინ პროლეტარიატს, მიიტანოს იერიში ბურჟუაზიის ხელისუფლებაზე, დაამხოს იგი და შექმნას ახალი სახელმწიფო წყობილება, სოციალისტური წყობილება. მაშასადამე, პოლიტიკური არმიის მებრძოლი შტაბი კომუნისტური პარტია უნდა იყოს.

კომუნისტურ პარტიას არ შეუძლია გაუზიაროს მასების რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელობა მენშევიკებსა და ესერებს, ვინაიდან ისინი შემთანხმებლები არიან. პირიქით, კომუნისტურმა პარტიამ მენშევიკებისა და ესერების მოღალატური ტაქტიკის სისტემატური მხილებით, მათთან შეურიგებელი ბრძოლით მასებისაგან მათ იზოლაციას უნდა მიაღწიოს.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველ დღეებში რეაქციისა და რევოლუციის ძალთა თანაფარდობა ჯერ კიდევ არ არის პროლეტარიატის სასარგებლოდ. პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობას როდი აქვს ორგანიზებული ხასიათი. კომუნისტური პარტიის ამოცანას შეადგენს ამ მოძრაობაში ორგანიზაციულობის შეტანა, მისი გაფორმება ყველაზე უფრო შესაფერი, მასების დამპყრობი ლოზუნგით. კომუნისტური პარტია მასების წინაშე გამოდის ლოზუნგით—„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“, რადგანაც სწორედ საბჭოები წარმოადგენენ იმ ძირითად საორგანიზაციო ბერკეტს, რომელსაც შეუძლია გააადვილოს მენშევიკებისა და ესერების იზოლაციის საქმე და რომელიც მოწოდებულია მშრომელთა მილიონიანი მასები მიიყვანოს პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამდე.

მაგრამ სახალხო რევოლუციის გამარჯვებისათვის საკმარისი რჟდია მარტოოდენ პარტიული ლოზუნგების სისწორე. საჭიროა კიდევ ერთი აუცილებელი პირობა, სახელდობრ, ის, რომ თვით მასები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ამ ლოზუნგების სისწორეში. პოლიტიკური არმიის ფორმირებისათვის შეუძლებელია ძალაზე, დეკრეტებზე, განკარგულებაზე დაყრდნობა. აქ ძირითადია პარტიის პოლიტიკის სწორი შეხამება მასების მოთხოვნილებებთან, მასების დარწმუნება პარტიის ლოზუნგის სისწორეში, მისი განხორციელების აუცილებლობაში. ამიტომაც საჭიროა პოლიტი-

კურ არმიას მისცე შესვენების პერიოდი, როცა იგი გათვითცნობიერებას შეძლებს, ბოლშევიკური ლოზუნგის სიმართლეში მტკიცედ დარწმუნდება და ამ ლოზუნგს დროშად გაიხდის.

პოლიტიკურმა არმიამ თავისი ფორმირების პროცესში უნდა შეჰქმნას შეიარაღებული რაზმი, რადგან რევოლუციის გამარჯვებისათვის მორალურ უპირატესობასთან ერთად აუცილებელია შეიარაღებული ძალა. ასეთ რაზმს პოლიტიკური არმიის ხელში უნდა წარმოადგენდეს წითელი გვარდია—მოწინავე მუშათა შეიარაღებული ჯგუფები. ასეთ ძალად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთავრობის რეგულარული არმიაც, რომლის ძირითადი მასა ფარაჯაგადაცმული მუშებისა და გლეხებისაგან შედგება და რომელმაც თავისი რევოლუციური სულისკვეთება ნათლად გამოამჟღავნა თებერვლის რევოლუციის გადამწყვეტ დღეებში. ამიტომ პოლიტიკური მუშაობა ჯარში, კომუნისტური ლოზუნგების განუწყვეტელი პროპაგანდა და თანდათანობითი დარწმუნების მეთოდით ძლიერი დამკვრელი მუშტის შექმნა კომუნისტური პარტიის ამოცანაა რევოლუციის განვითარების მიმდინარე ეტაპზე.

პოლიტიკური არმიის ლენინურ-სტალინური მოძღვრება მთლიანად გამომდინარეობს მარქსიზმის ყოვლისმძლე თეორიიდან და წარმოადგენს მის ბრწყინვალე განვითარებას, იგი მთლიანად ეყრდნობა ლენინურ მოძღვრებას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების, მისი სრული გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ.

პოლიტიკური არმიის ლენინურ-სტალინურმა მოძღვრებამ საბოლოოდ გაანადგურა ტროცკის კონტრრევოლუციური, ცრუ „დაზვერვათა თეორია". ტროცკი ერთმანეთში ურევდა პოლიტიკურ და სამხედრო არმიას, იძლეოდა პრიმიტიულ წარმოდგენას ჩვენი პარტიის რევოლუციურ ტაქტიკაზე და ურევდა მას სამხედრო ტაქტიკაში, ვერ ამჩნევდა ცალკეულ ეტაპებს რევოლუციის განვითარებაში. მანვე საბოლოოდ გაანადგურა კამენევის კონტრრევოლუციური „თეორია" ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის და პროლეტარული რევოლუციის პოლიტიკური არმიების იგივეობის შესახებ.

ხელმძღვანელობდა რა ლენინური სტრატეგიით, კომუნისტური პარტია აპრილიდან ოქტომბრამდე შეუსვენებლივ ჰქმნიდა პოლიტიკურ არმიას.

„...1917 წლის მარტში,—აღნიშნავს ი. ბ. სტალინი,—ბოლშევიკებს არ ჰყოლიათ, და არც შეიძლება ჰყოლოდათ მზა პოლიტიკური არმია. ასეთ არმიას ბოლშევიკები მხოლოდ ქმნიდნენ (და, ბოლოს, კიდეც შეჰქმნეს იგი 1917 წ. ოქტომბრისათვის) კლასთა-

ბრძოლისა და შეტაკებების მსვლელობაში 1917 წლის აპრილიდან ოქტომბრამდე, ჰქმნიდნენ მას აპრილის მანიფესტაციითაც, ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებითაც, სარაიონო და საერთო-საქალაქო თვითმმართველობების არჩევნებითაც, კორნილოვშჩინასთან ბრძოლითაც და საბჭოების დაპყრობითაც"[1].

პოლიტიკური არმიის მომზადებას 1917 წ. აპრილიდან ოქტომბრამდე ძირითადად ახასიათებს ორი პერიოდი. პირველი—აპრილი-ივლისი. ეს არის მშვიდობიანი პერიოდი, როცა ხდება მასების გათვითცნობიერება—კომუნისტური პარტიის ლოზუნგის სისწორის შემოწმება. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესმა მოვლენებმა—აპრილის მანიფესტაციამ, ივნისის დემონსტრაციამ, 3—5 ივლისს მუშათა დემონსტრაციის დახვრეტამ ბურჟუაზიული მთავრობის მიერ უდიდესი როლი ითამაშეს პოლიტიკური არმიის ზრდისა და თვისობრივი დაწმენდის საქმეში. ივლისის დემონსტრაცია უკვე წარმოადგენდა სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის საბრძოლო ძალების დათვალიერებას.

მეორე პერიოდი—ივლისი-ოქტომბერი. ამ პერიოდში შეიქმნა სრულიად ახალი ვითარება. ბურჟუაზიული მთავრობის კონტრშეტევაზე გადმოსვლამ პროლეტარიატი და მის გარშემო შემოკრებილი ძალები აიძულეს კურსი აეღოთ შეიარაღებული ბრძოლისკენ ბურჟუაზიული მთავრობის დასამხობად. ახალ ვითარებასთან დაკავშირებით ახალი ტაქტიკური ხაზი კომუნისტურმა პარტიამ გამოიმუშავა პარტიის VI ყრილობაზე, რომელმაც კურსი აიღო შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

შეჯამებულია რა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის კომუნისტური პარტიის გმირული ბრძოლა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წლისთავის თეზისებში ნათქვამია შემდეგი:

„ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამკვიდრებისათვის ბრძოლის მსვლელობაში კომუნისტების პარტია მარტო ხელმძღვანელობდა მშრომელთა მასებს, ამსხვრევდა რა საზიზღარი კაპიტულანტების—ტროცკისტების, ზინოვიეველებისა და რევოლუციის სხვა შტრეიკბრეხერების ყველა ცდას—გადაეცდინათ პარტია ლენინური გზიდან. კაპიტალიზმის ბედი რუსეთში იმ გარემოებამ გადაწყვიტა, რომ პარტიამ ერთიან მძლავრ რევოლუციურ ნაკადად გააერთიანა საერთო დემოკრატიული ბრძოლა მშვიდობისათვის, გლეხთა დემო-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 435.

კრატიული მოძრაობა მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაციისათვის ისე, რომ მემამულეთა მიწა გლეხებს გადასცემოდა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და პროლეტარიატის სოციალისტური მოძრაობა ბურჟუაზიის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის. რაც შეეხება შემთანხმებელ, წვრილბურჟუაზიულ პარტიებს, ყველა მათგანმა (მენშევიკებმა, ესერებმა, ანარქისტებმა) რევოლუციის მსვლელობაში თავი გამოიაშკარავეს, როგორც ანტიხალხურმა პარტიებმა, რომლებიც ისწრაფოდნენ კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებისა და განმტკიცებისაკენ"[1].

ემყარებოდა რა მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერულ თეორიას, კომუნისტური პარტიის სტრატეგიულმა გეგმამ ბრწყინვალედ გაუძღო ისტორიის გამოცდას. 1917 წ. ოქტომბერში პროლეტარიატმა, უღარიბეს გლეხობასთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაანგრია ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფო და ახალი სოციალისტური სახელმწიფო დაამკვიდრა.

ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის სოციალისტური რევოლუციის ლენინური სტრატეგიული გეგმის მიხედვით ერთსულოვნად დაირაზმნენ კომუნისტები ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში. ლენინისა და სტალინის მითითებებმა კონფერენციის დელეგატები, რომლებიც ქვეყნის თითქმის ყველა მებრძოლ პარტიულ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ, სოციალისტური რევოლუციის მომზადების ზუსტი მეცნიერული პროგრამით აღჭურვეს.

ცხადია, ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ბოლშევიკებმა აპრილის თეზისების სახით მიიღეს მომავალი მუშაობის გარკვეული ხაზი, რომლის უნარიანი შეხამება ადგილობრივ პირობებთან უზრუნველყოფდა საქართველოს მშრომელების დარაზმვას სოციალისტური რევოლუციისათვის.

2. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლის რევოლუციის შემდეგ

ზემოთ ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ცარიზმის დროს კავკასიაში მეფისნაცვლის მთელი აპარატი სასტიკად დევნიდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რადგან სწორედ ბოლშევიზმში ხედავდნენ ყველაზე

---

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი (1903—1953), გვ. 18—19.

საშიშ მტერს არსებული წყობილებისათვის. ამ დევნის შედეგად ხელმძღვანელი ბოლშევიკები ციხეებში ან შორეულ მხარეში გადასახლებაში იმყოფებოდნენ. ბოლშევიკური ორგანიზაციები ადგილებზე მოკლებული იყვნენ ცენტრიდან ერთიან და სისტემატურ ხელმძღვანელობას, თეორიულ და პრაქტიკულ დახმარებას. ამის გამო ბევრგან ბოლშევიკური უჯრედების მუშაობა საგრძნობლად შესუსტდა, ხოლო ზოგიერთ ადგილებში ეს უჯრედები განადგურდა კიდეც.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველ თვეებში კომუნისტურმა პარტიამ, როგორც ცნობილია, პოლიტიკური მოქმედების ერთგვარი თავისუფლება მოიპოვა. შედარებით იოლად, პოლიციის განუწყვეტელი დევნის გარეშე, შესაძლებელი გახდა პარტიული მუშაობა, მასების მოზიდვისა და დარაზმვისათვის მრავალნაირი ფორმის გამოყენება (თუმცა თებერვლის „რევოლუციური აღტყინების“ ამ პირველ დღეებშიაც მენშევიკები—მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის—ბოლშევიკური პარტიის დაუძინებელი მტრები—ათასგვარ ხერხებსა და მეთოდებს მიმართავდნენ, რათა ბოლშევიკური უჯრედების აღდგენა-ზრდისათვის ხელი შეეშალათ).

თებერვლის რევოლუციის შედეგ საქართველოს კომუნისტებმა ამოცანად დაისახეს ცალკეული დანგრეული უჯრედების აღდგენა და ზრდა.

პირველ რიგში საჭირო იყო პარტიული უჯრედების ქსელის გაფართოება, შეგნებული მუშებისა და უღარიბესი გლეხების პარტიის რიგებში მოზიდვა და მათზე დაყრდნობით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაჩაღება ქალაქად და სოფლად. განმარტება იმისა, რომ რევოლუცია სრულიადაც არ არის დამთავრებული; ჯერჯერობით განვლილია მისი მხოლოდ პირველი ეტაპი; რევოლუციის სიმძიმე, მართალია, მხოლოდ პროლეტარიატმა და გლეხობამ გადაიტანეს, მაგრამ მისი მონაპოვრით ბურჟუაზია ნებივრობს; ახლანდელი მთავრობა იმპერიალისტურია და მის დაპირებებზე დანდობა თავის მოტყუებაა, მუშათა და გლეხთა ნამდვილი მთავრობა საბჭოებია; ამიტომ მთელი ძალაუფლება საბჭოებს; საბჭოები საქართველოში, მათი მენშევიკური და ესერული შემადგენლობის გამო, მასების თვალის ახვევის ორგანოდ, ბურჟუაზიული პოლიტიკის გატარების ორგანოდ არიან გადაქცეული. კომუნისტებს მასების რწმენაში უნდა დაენერგათ, რომ შემთანხმებლები რევოლუციას ღალატობენ და ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ, საბჭოები პოლიტიკურ კვდომამდე მიჰყავთ, ამიტომ საბჭო-

ებში კომუნისტი დეპუტატების უმრავლესობისათვის უნდა ვიბრძოლოთ. „ახლა,—მიუთითებდა ვ. ი. ლენინი,—დღის წესრიგშია მუშაობის გაფართოება, მასების ორგანიზაცია, ახალი ფენების — ჩამორჩენილი, სოფლის ფენების, შინამოსამსახურეების გამოღვიძება, უჯრედები ჯარში, ახალი მთავრობის სისტემატური, დაწვრილებითი Eutlarvuug -ისათვის (მხილებისათვის) და ძალაუფლების მუშათა დეპუტატების საბჭოების მიერ დაპყრობის მომზადებისათვის. მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შეუძლია პურის, მშვიდობისა და თავისუფლების მოცემა"[1].

პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის წარმატებით გაჩაღებისა და იდეური პროპაგანდის მაღალი დონისათვის აუცილებელი იყო ისეთი ორგანო, რომლითაც პარტია ყოველდღიურად დაელაპარაკებოდა მასებს მისთვის გასაგები ენით, აუცილებელი იყო ბოლშევიკური გაზეთის გამოცემის განახლება. ამ საქმის წამოწყება არ იყო ადვილი, რადგან ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, წლობით დევნის შემდეგ, არ გააჩნდათ საჭირო სახსრები. მიუხედავად ამისა, ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. 1917 წ. 11 მარტს თბილისში გამოვიდა ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი", რომელმაც მალე შემოიკრიბა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების ფართო აქტივი. იგი მშრომელთა საყვარელი გაზეთი გახდა.

გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ" თავიდანვე, ძირითადში, მიმდინარე რევოლუციის შეფასების საკითხში სწორი პოზიცია დაიკავა. ცნობილია, რომ მენშევიკები და ესერები ყველგან პროპაგანდას უწევდნენ რევოლუციის წინაშე ბურჟუაზიის დიდ დამსახურებას. ქართველი მენშევიკების ლიდერები (ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი და სხვ.) სავსებით კანონიერად თვლიდნენ ხელისუფლების გადაცემას ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისათვის და ქადაგებდნენ ლოზუნგს—„მხარი დავუჭიროთ დროებით მთავრობასო". გაზეთმა „კავკაზსკი რაბოჩიმ" აქტიური ბრძოლა გააჩაღა შემთანხმებლური პარტიების ამ ბურჟუაზიულ შეხედულებათა წინააღმდეგ. გაზეთის 4, 5, 6, 8 ნომრებში გამოქვეყნებულ იქნა სტატიები, სადაც გატარებული იყო ის აზრი, რომ თანამედროვე ვითარებაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია არსებითად განსხვავდება იმ რევოლუციებისაგან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ევროპაში. ამჟამად ბურჟუაზია სრულებითაც არაა დაინტერესებული რევოლუციით, რადგან იგი მხარს უჭერს ცარიზმს

[1] ვ. ი ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 313.

ამპერიალისტური ზრახვების განხორციელებაში და ეყრდნობა მეფის აპარატს მასების ყვლეფის საქმეში. „ეს მდგომარეობა,— წერდა გაზეთი,—ბევრი ჩვენი ამხანაგისათვის სრულიად გაუგებარია. ისინი ფიქრობენ, რომ ბურჟუაზიული რევოლუცია ყველგან და ყოველთვის უნდა განხორციელდეს ერთი შაბლონით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში. ისინი ამასთანავე ანგარიშს არ უწევენ არც ადგილს, არც დროს"[1]. გაზეთი ამტკიცებდა, რომ რევოლუციის მამოძრავებელი ძალები არიან ქალაქის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა, რომლებიც სასტიკი ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის გამო ყველაზე მეტად არიან დაინტერესებული არსებული წესწყობილების დამხობაში[2].

გაზეთმა სწორი ხაზი მისცა მკითხველებს მომენტის შეფასების საკითხში. იგი ამტკიცებდა, რომ დროებით მთავრობას თავისი ბურჟუაზიული შემადგენლობისა და იმპერიალისტური ბუნების გამო ოდნავადაც არ შეუძლია მშრომელთა ინტერესების დაკმაყოფილება, რომ განხეთქილება საბჭოებსა და დროებით მთავრობას შორის გარდუვალია, რადგან ერთი წარმოადგენს მუშათა და გლეხთა უმაღლეს ორგანოს, მეორე—ბურჟუაზიის ორგანოს. ამ ორი კლასის ინტერესები კი ერთმანეთს დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან. მუშათა დეპუტატების საბჭოების შესახებ გაზეთი აღნიშნავდა: „ერთადერთ რეალურ ძალას და ამბოხებული ხალხისა და ჯარის ერთადერთ დასაყრდენს წარმოადგენს სწორედ მუშათა დეპუტატების საბჭო. იგი ფაქტიურად თავის თავში ათავსებს მთელი ხალხის ნება-სურვილს და ამ მიმართულებით უკარნახებს, და ვალდებულია კიდეც უკარნახოს, თავისი ნება-სურვილი დროებითი ხელისუფლების ორგანოებს, რასაც მოცემულ მომენტში წარმოადგენს სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტი და სამინისტრო"[3].

გაზეთს თავის პროპაგანდისტულ მუშაობაში ჰქონდა ზოგიერთი შეცდომები. კერძოდ, პირველ ხანებში იგი გვერდს უვლიდა საბჭოების როლის გაბედულ განსაზღვრას, საქართველოს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ბურჟუაზიული შემადგენლობის მკვეთრ მხილებას, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოსა და აღმასრულებელი კომიტეტის მცდარი პო-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 5, 16 მარტი, 1917 წ.

[2] ი ქ ვ ე.

[3] გაზ. „Кавказский рабочий", № 2, 12 მარტი, 1917 წ.

ლიტიკის შეურიგებელ კრიტიკას, „ოზაკომის“ რეაქციული ბუნების დაუყოვნებლივ გამოაშკარავებას და სხვ.

გარდა ამისა, გაზეთის ფურცლებზე მიმდინარე მომენტის, დროებით მთავრობასთან დამოკიდებულებისა და საბჭოების როლის შესახებ არცთუ იშვიათად გამოჩნდებოდა ისეთი სტატიები, რომლებშიც გაპარული იყო მომენშევიკო შეხედულებანი; ამ სტატიათა ავტორები იყვნენ თბილისის ოპორტუნისტთა ხელმძღვანელი ჯგუფის წევრები, რომლებიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მიმართ რევოლუციური დემოკრატიის კონტროლის მენშევიკურ ლოზუნგს ქადაგებდნენ, რითაც ფაქტიურად ძირს უთხრიდნენ პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების დაპყრობის გადაუდებელ ამოცანას.

ოპორტუნისტულ შეხედულებათა ქადაგების ასეთი ცალკეული შემთხვევები უნდა აიხსნას იმით, რომ ამ ჯგუფის ზოგიერთი წარმომადგენლები ახლო დამოკიდებულებაში იყვნენ გაზეთთან, ზოგი თვით რედაქციის შემადგენლობაში შედიოდა.

მიუხედავად ასეთი შეცდომებისა, გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი“ საქართველოში წარმოადგენდა ერთადერთ ბოლშევიკურ გაზეთს (შემდეგ მას გვერდში ამოუდგა გაზ. „ბრძოლა“ ქართულ ენაზე), რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის გარშემო მასების დარაზმვის საქმეში.

* * *

ცნობილია, რომ 1912 წლის პრაღის კონფერენციამ „რსდმპ-დან განდევნა მენშევიკი-ლიკვიდატორები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკების საბოლოოდ ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ პარტიად“[1]. ამ კონფერენციის შემდეგ განსაკუთრებული სიმწვავით გაიშალა ბრძოლა ოპორტუნისტების, მენშევიკი ლიკვიდატორების წინააღმდეგ პარტიის რიგების ზრდისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის.

თებერვლის რევოლუციის პირველსავე დღეებში, როდესაც მენშევიკები უსირცხვილოდ დადგნენ ბურჟუაზიის სამსახურში, პირველხარისხოვან ამოცანად გადაიქცა მათი მოღალატური ტაქტიკის მხილება და დაგმობა. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ შვეიცარიიდან აფრთხილებდა რუს ბოლშევიკებს: „ჩემის აზრით ახლა მთავარია თავი არ გავაბმევინოთ სოციალ-პატრიოტებთან (ან, რაც

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი, გვ. 15.

კიდევ უფრო საშიშია, მერყეევებთან, როგორიც არიან ორგანიზაციული კომიტეტი, ტროცკი და კომპანია) სულელურ „გამაერთიანებელ“ ცდებში და საკუთარ პარტიად განვაგრძოთ მუშაობა თანმიმდევრულ-ინტერნაციონალური სულისკვეთებით“[1].

ამ დროს ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელი ჯგუფის იმ ზოგიერთი წევრების დაჟინებით, რომლებიც შემდეგში მხილებულ იქნენ როგორც ხალხის მტრები[2], დაიწყო მენშევიკებთან ორგანიზაციული გაერთიანების პროპაგანდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჯგუფის გავლენას განიცდიდა და მენშევიკებთან შეთანხმების გზას ადგა ბოლშევიკი ფ. მახარაძე, რომელიც გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ ფურცლებზე მოთავსებულ სტატიაში წერდა:

„ჩვენ ვლაპარაკობთ: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, როგორც ორგანიზაცია, უნდა იყოს მთლიანი. სხვა საქმეა, საბოლოო იდეალების გაგებაში, თუ პროგრამაში შეტანილ იქნება ცოტა თუ ბევრად არსებითი ცვლილებანი. ასეთ შეჭიხვევაში განხეთქილება გარდაუვალია. მაგრამ იქამდე, ვიდრე ყველა ჩვენ, ბოლშევიკებიც და მენშევიკებიც, ვდგევართ ერთიანი პროგრამისა და იმ დიდ ამოცანათა ერთნაირი გაგების ნიადაგზე, რომელთა შესრულება დააკისრა ისტორიამ მუშათა კლასს, ჩვენ კი არ უნდა დავქსაქსოთ ჩვენი ძალები, არამედ უნდა გავაერთიანოთ და შევქმნათ ერთი ძლიერი ორგანიზაცია“[3]. და იქვე: „ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი მტრების დიდად სამწუხაროდ, რუსეთის სოციალ-დემოკრატია გაერთიანდება ერთ ძლიერ ორგანიზაციად. ისტორია ჩვენ გვაძლევს ამის დადასტურებას“. და აქ იგი ავლებდა მიმდინარე მომენტისათვის სავსებით შეუფერებელ პარალელს იმ პერიოდთან, როცა ბოლშევიკებისა და მენშევიკების სტოკჰოლმის გამაერთიანებელი ყრილობა მოხდა.

როგორც ამონაწერიდან ჩანს, ფ. მახარაძე, იმ მომენტში მენშევიკებისა და ბოლშევიკების მიმართულებასა და მისწრაფებას შორის არსებით განსხვავებას ვერ ხედავდა.

თბილისის კომიტეტის ზოგიერთი ოპორტუნისტულად განწყობილი წევრი თანდათანობით დგებოდა მენშევიზმის მხარეზე. ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, კ. ცინცაძე და სხვ. ადგნენ ისეთ პოზიციას, როგორსაც ტროცკი და ზინოვიევი პეტროგრადის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში, იმეორებდნენ იმავე

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 240.
[2] ჟურნალი „ბოლშევიკი“, № 7, 1939 წ.
[3] გახ. „Кавказский рабочий“, № 14, 28 მარტი, 1917 წ.

დებულებებს მომენტის შეფასების, რევოლუციის შემდგომი განვითარების, ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხში. ყოველ ნაბიჯზე უთმობდნენ რა მენშევიკებს, მათ თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციას თავზე მოახვიეს მენშევიკებთან „გაერთიანება". ამ „გაერთიანების" შედეგად 11 მარტს არჩეულ იქნა თბილისის საერთო პარტიული კომიტეტი.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის ოპორტუნისტული „ხელმძღვანელი" ჯგუფის ეს ნაბიჯი იყო არა შემთხვევითი შეცდომა, არამედ მისი მოღალატური საქმიანობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფაქტი. „გაერთიანებამ", რომელიც ბოლშევიკური ორგანიზაციებისადმი ძალად იყო თავზე მოხვეული, რა თქმა უნდა, უარყოფითი როლი ითამაშა. იგი დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ლენინურ-სტალინურ პრინციპებზე აღზრდილ საქართველოს ბოლშევიკების ტრადიციებს.

თუ რამდენად ხელოვნური, მოძველებული და თანამედროვე ეტაპისათვის მავნე იყო ეს „გაერთიანება", ნათლად გამოჩნდა პირველსავე დღეებში, როცა პრინციპული უთანხმოებანი ამ დროს ორ პარტიას შორის კიდევ უფრო გამწვავდა.

ბოლშევიკების წინააღმდეგ იდეურ ბრძოლასთან ერთად მენშევიკები მტრულ ორგანიზაციულ ღონისძიებებსაც არ მოერიდნენ. ასე, მაგალითად, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე 19 აპრილს გამოტანილ იქნა დადგენილება გაზ. „პრავდას" იმ 40.000 ეგზემპლარის დაკავების შესახებ, რომელიც პეტროგრადის მუშებმა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცებს საჩუქრად გამოუგზავნეს[1]. გარდა ამისა კრებამ დაადგინა: „ადგილობრივმა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ორგანომ „იზვესტიამ" გასწიოს წერილობითი კამპანია საერთოდ ბოლშევიკების და, კერძოდ, „კავკაზსკი რაბოჩის" წინააღმდეგ"[2].

კავკასიის მუშებში, ჯარისკაცებში, რევოლუციურ ახალგაზრდობაში მენშევიკური ორგანოს ამ აშკარა კონტრრევოლუციურმა ნაბიჯმა კანონიერი აღშფოთება გამოიწვია. გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის" ფურცლებზე ქვეყნდებოდა საპროტესტო წერილები სხვადასხვა ორგანიზაციიდან. ამ წერილებში დაგმობილი იყო მენშევიკური საბჭოს კონტრრევოლუციური ნაბიჯი. მშრომელები „პრავ-

---

[1] გაზ. „ერთობა" № 28, 22 აპრილი, 1917 წ.

[2] ი ქ ვ ე.

„დის“ აკრძალვის დადგენილების დაუყოვნებლივ გაუქმებას მოითხოვდნენ.

მშრომელების ერთსულოვანმა პროტესტმა მენშევიკები აიძულა უკან დაეხიათ. აღმასრულებელი კომიტეტის 22 აპრილის სხდომაზე გამოტანილ იქნა გადაწყვეტილება „პრავდის“ აკრძალვის დადგენილების გაუქმების შესახებ[1].

საქართველოს ბოლშევიკებმა გააჩაღეს რსდმპ VII (აპრილის) კონფერენციის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდა. გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩში“ დაიბეჭდა მთელი რიგი სტატიები, რომლებიც მენშევიზმის მცდარ ტაქტიკას ამხელდნენ. ამავე სტატიებში მოცემული იყო მიმდინარე მომენტის ბოლშევიკური შეფასება. გაზეთი თანმიმდევრულად აქვეყნებდა აგრეთვე VII (აპრილის) კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციას.

4 ივნისს გამოვიდა რსდმპ კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების გაზეთ „ბრძოლას“ პირველი ნომერი (ქართულ ენაზე). მასში დაბეჭდილი იყო ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები მიმდინარე მომენტის, ომის, დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულების, კოალიციური სამინისტროს, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიმართ დამოკიდებულების, აგრარული საკითხისა და სხვ. შესახებ.

აპრილის კონფერენციამ საქართველოს ბოლშევიკები საბოლოოდ დაარწმუნა, თუ რამდენად მავნე და ხელოვნურია მენშევიკებთან შემარიგებლობის პოლიტიკა, რომელსაც თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობაში მოკალათებული ზოგიერთი პირები იცავდნენ.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის პირადი მითითებების შემდეგ საქართველოს ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ გაწყვიტეს ორგანიზაციული კავშირი მენშევიკურ პარტიასთან.

14 მაისს შედგა თბილისის ბოლშევიკთა საერთო საქალაქო პარტიული კრება, სადაც მოსმენილ იქნა VII (აპრილის) კონფერენციის დელეგატების მ. ცხაკაიასა და ფ. მახარაძის მოხსენებები რსდმპ (ბ) სრულიად რუსეთის VII (აპრილის) კონფერენციის შესახებ.

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ 6 ივნისის და გაზ. „ბრძოლას“ 12 ივნისის ნომრებში გამოქვეყნდა „რსდმპ (ბოლშევიკების) თბილისის კომიტეტის მოწოდება ობორონცებთან გათიშვის შესახებ“, „თბილისის ბოლშევიკების საზოგადო კრებამ,—ნათქვამია მოწო-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 34, 25 აპრილი. 1917 წ.

დებაში,—განიხილა კონფერენციის რეზოლუციები და ერთხმად მიიღო ისინი სახელმძღვანელოდ მთელს თავის მოქმედებაში.

აქედან წარმოსდგა საკითხი თბილისის გაერთიანებულ სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციასთან დამოკიდებულების შესახებ.

ჩვენი პარტია, იმ მიზნით, რომ დაიცვას პროლეტარიატი მისთვის უცხო გავლენისაგან, ვერაფერს ვერ დაუთმობს რევოლუციურ ობორონცობას და სწყვეტს მასთან ყოველივე კავშირს.

ამის გამო, კრებამ დაადგინა—გასწყვიტოს კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც იზიარებს რევოლუციური ობორონცობის შეხედულებას, გამოიწვიოს იქედან ყველა ჩვენი თანამოაზრე—ბოლშევიკი და შეჰქმნას ცალკე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც სდგას რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისზე...“[1].

ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციის ამ გადაწყვეტილებამ მენშევიკების გააფთრება გამოიწვია. ახლა მათ ყოველგვარი ზომიერების გარეშე დაიწყეს ბოლშევიკების წინააღმდეგ თავაშვებული პროპაგანდა. მენშევიკები ხალხს თავს ისე აჩვენებდნენ, თითქოს ისინი უცოდველი არიან, გულწრფელად იცავენ პროლეტარიატის ინტერესებს, დაინტერესებული არიან რევოლუციის გამარჯვებით და ამ მიზნის მისაღწევად სურთ ბოლშევიკებთან მხარდამხარ იბრძოლონ, ხოლო ბოლშევიკები კი პარტიაში გათიშვისაკენ მიილტვიან და ამით რევოლუციის წინაშე ღალატს ჩადიანო. ისინი არ ერიდებოდნენ არავითარ ცილისწამებას, რათა მასების თვალში სახელი გაეტეხათ ბოლშევიკური ტაქტიკისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტივობას იჩენდა მენშევიკების ოფიციოზი—გაზ. „ერთობა“[2].

ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევისათვის მენშევიკების ლიდერმა ნოე ჟორდანიამ ბლოკი შეკრა სოციალ-რევოლუციონერებთან. ეს ორი პარტია, მათ შორის არსებული პროგრამული უთანხმოების მიუხედავად, მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს და ხელი ხელს მისცეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1917 წ. 12 ივნისს სამხედრო ნაწილებიდან მოვლინებული პროპაგანდისტებისა და აღმასრულებელი კომიტეტის სამხედრო სექციის თათბირზე ჟორდანიამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თბილისის გარნიზონში ძლიერდება ბოლშევიკების გავლენა და ამასთან დაკავშირებით მენშევიკ პროპაგანდისტებს წინადადება მისცა მიი-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 67, გაზ. „ბრძოლა“, № 2, 1917 წ.
[2] გაზ. „ერთობა“, № 67, 70, 72, 76, 1917 წელი.

ღონ ყველაზე ენერგიული ზომები, გააძლიერონ აგიტაცია და პროპაგანდა ჯარისკაცებს შორის „ბოლშევიკების დეზორგანიზატორული გამოსვლების წინააღმდეგ". აქვე მან მენშევიკებისა და სოციალრევოლუციონერების პროპაგანდისტებს მიუთითა, რომ არ გაამწვავონ მიტინგებზე დაკრებებზე პარტიული უთანხმოებანი, გამოვიდნენ ერთიანი ძალით. „ახლანდელ მომენტში აუცილებელია სრული ერთიანობა რევოლუციური ძალებისა ბოლშევიკების ტაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად"[1] (ხაზი ჩემია—ა. ს.). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ქართველი მენშევიკები ადვილად პოულობდნენ საერთო ენას ყველა პარტიასთან, რომლებიც კი ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტივობას გამოიჩენდნენ.

მენშევიკებთან ორგანიზაციული გათიშვის შემდეგ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარდა რსდმპ (ბოლშევიკების) საქალაქო პარტიული კრებები, რომლებზედაც არჩეულ იქნა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები.

მენშევიკებთან ორგანიზაციულმა გათიშვამ უაღრესად დადებითი შედეგები გამოიღო. დამოუკიდებელი ბოლშევიკური ორგანიზაციები მალე მოღონიერდნენ და დაუღალავად ჩაებნენ მასების დამრაზმველ მუშაობაში. დამოუკიდებელი სახით მასების წინაშე გამოსვლამ ხელი შეუწყო პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის სწრაფად გამოფხიზლებას. ბოლშევიკური გავლენა გაიზარდა. 25 მაისს თბილისში ყოფ. ალექსანდრეს ბაღში შედგა გრანდიოზული მიტინგი, სადაც ირჩეოდა საკითხი ომისა და ზავის, დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების, „თავისუფლების სესხის", მიწის და სხვ. შესახებ. მიტინგზე მენშევიკი და ესერი ორატორები ჩვეულებრივ მასების მიმაძინებელი მოთაფლული სიტყვებით გამოვიდნენ და ყველა იმ საკითხის გადაჭრას, რასაც პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა მოელოდა, დამფუძნებელ კრებას ანდობდნენ. მაგრამ ტრიბუნაზე გამოჩნდნენ ბოლშევიკი ორატორები, რომელთაც ამხილეს დროებითი მთავრობისა და ამიერკავკასიაში მისი ფილიალის—ოზაკომის კონტრრევოლუციური, იმპერიალისტური პოლიტიკა, ბოლშევიკებმა მიტინგის მონაწილეთა სიმპათია და მხარდაჭერა დაიმსახურეს. მიღებული რეზოლუცია ბოლშევიკური იყო.

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლ. ცენტრ სახელმწ. არქივი. № 5, საქმე 70, გვ. 8.

მეტად საინტერესოა 25 ივნისის ამბები თბილისში. როგორც ვიცით, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იმ მიზნით, რომ მასების რევოლუციური განწყობილება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და მომწიფებული გამოსვლები აეცილებინა, დანიშნა დემონსტრაცია, რომელიც ბოლშევიკთა საწინააღმდეგო ლოზუნგებით უნდა ჩატარებულიყო. მაგრამ პირიქით მოხდა: „მენშევიკებისა. და ესერების ლოზუნგები დროებითი მთავრობისადმი ნდობის შესახებ, ომის განგრძობის აუცილებლობის შესახებ ინთქმებოდა ბოლშევიკური ლოზუნგების უდიდეს მასაში. 400 ათასმა დემონსტრანტმა გაიარა დროშებით, რომლებზეც ეწერა ლოზუნგები: „ძირს ომი!", „ძირს ათი მინისტრი კაპიტალისტი!", „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!"[1]

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ ასეთივე მიტინგი დანიშნა 25 ივნისისათვის. აქ უნდა განეხილათ საკითხები ფრონტზე შეტევის, ორმოცწლიანი ჯარისკაცებისა და მინდვრის სამუშაოთა შესახებ. მენშევიკები მიტინგისათვის წინასწარ ემზადებოდნენ. მათ სურდათ იგი მენშევიკური პარტიისადმი მასების ერთგულების დემონსტრაციად გადაექციათ, მაგრამ აქაც პირიქით მოხდა.

მიტინგს უამრავი ხალხი დაესწრო. „...მოედანზე მოგროვილ ურიცხვ ჯარისკაცების მრავალ წითელ დროშებს ასეთი რევოლუციური წარწერები ამშვენებდა: „ძირს ომი!", „ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი!", „მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს!", „ძირს კერენსკის ანტი-დემოკრატიული ბრძანებები ჯარისკაცების წინაალმდეგ მიმართულნი!", „გაუმარჯოს ფრონტებზე დაძმობილება-დამეგობრებას!", „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!", „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს!", „გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლუციას!", „ძირს შეტევა, ძმათა სისხლისღვრა იმპერიალისტ კაპიტალისტების ინტერესების გულისათვის გამოწვეული!"[2] და მრავალი სხვ.

მენშევიკებს მიტინგისათვის მომზადებული ჰქონდათ ფურცლები, რომლებიც აღსავსე იყო ბოლშევიკებისადმი მიმართული ლანძღვა-გინებით (გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიმ" შემდეგ გამოაქვეყნა ამ პროკლამაციის სრული ტექსტი სათაურით „სამარცხვინო ფურცელი", ამით მან საქვეყნოდ ცნობილი გახადა ეს უსინდისო ბრალ-

---

[1] საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 235.

[2] გაზ. „ბრძოლა", № 6, 3 ივლისი, 1917 წ.

დებანი). მენშევიკი ორატორები თავიანთ გამოსვლებში უხეშად ესხმოდნენ თავს „პრავდას“, ადგილობრივ ბოლშევიკებს. მენშევიკების მხრივ ასეთმა გამომწვევმა გამოსვლებმა აღშფოთება გამოიწვია შეკრებილთ შორის, განსაკუთრებით ჯარისკაცებში, რომლებმაც შემდგომ მენშევიკ ორატორებს არ მისცეს ლაპარაკის ნება.

მიღებულ ბოლშევიკურ რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „ჩვენ კიდევ უფრო დაჟინებით, კიდევ უფრო გადაჭრით მოვითხოვთ, რომ მთელი ძალაუფლება სახელმწიფოში გადავიდეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში“[1].

25 ივნისის გრანდიოზულ მიტინგზე ბოლშევიკების გამარჯვებამ გააფთრებამდე მიიყვანა მენშევიკები. მათ გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე დაიწყეს ცილისწამებით აღსავსე პროპაგანდა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მიტინგის მეორე დღეს, თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ თავის კოლეგებს ნათლად წარმოუდგინა ის „საფრთხე“, რომელიც თითქოს ემუქრებოდა რევოლუციას „შავი ხალხისაგან“;

„ჩვენ ვდგევართ რევოლუციის დიდი კრიზისის წინაშე. ეს კრიზისია შავი ხალხის ბატონობა, რასაც რეაქცია მოჰყვება. შავმა ხალხმა იგრძნო, რომ მასზე უფლება აღარავის აქვს და ამოძვრა ზევით... თუ არ გვინდა რომ იყოს შავი ხალხის ბატონობა, ჩვენ უნდა ვიყოლიოთ შეიარაღებული ძალა და ვაწარმოოთ მტკიცე და მაგარი პოლიტიკა“[2].

როგორც ვხედავთ, ამ სიტყვებით ნ. ჟორდანია გულღიად გამოთქვამდა იმას, რაც დიდი ხანია გულში ედო ბურჟუაზიულ დროებით მთავრობას და რის განხორციელებასაც იგი აშკარად ივლისის დღეების შემდეგ შეუდგა.

ეს მიტინგი მრავალმხრივ არის საინტერესო, მიტინგმა ცხადყო, რომ პროლეტარიატი და ჯარისკაცები—ფარაჯაგადაცმული გლეხობა ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად მენშევიკური და სხვა ბურჟუაზიული პარტიებისადმი რწმენას თანდათანობით კარგავდნენ და ირაზმებოდნენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო. „ამ მიტინგმა ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ ხალხის ფართო მასები, მეტადრე ჯარისკაცებში რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას ანუ

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 65, 27 ივნისი, 1917.

[2] ფ. ჭახარაძე, საბჭოები და ბრძ. საბჭ. ხელისუფლებისათვის საქართველოში. გვ 83.

ბოლშევიკურ პარტიას მაგრად აქვს ძირი გადგმული. ამავე მიტინგზე ნათლად დავინახეთ ისიც, რომ ჩვენი ობორონცების პოზიცია იმავე მასაში ერთობ მკრთალი თანაგრძნობით სარგებლობს"[1].

ამავე მიტინგმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ მენშევიკები სინამდვილეში მუშათა კლასისა და ამ კლასის ავანგარდის—ბოლშევიკური პარტიის უბოროტესი მტრები იყვნენ და ყველა მომენტს და შესაძლებლობას იყენებდნენ იმისათვის, რათა მასების თვალში ამ პარტიისათვის სახელი გაეტეხათ, იგი გზიდან ჩამოეცილებინათ.

მენშევიკები სიტყვიერ ბრძოლას არ დაჯერდნენ. მათ უფრო ენერგიულ ზომებს მიმართეს. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლების (რებრუხას და სხვ.) განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრები.

3—9 ივლისს პეტროგრადის პროლეტარიატისათვის ბურჟუაზიული მთავრობისა და მენშევიკ-ესერების სისხლიანმა ანგარიშგასწორებამ მთელს საქართველოში ფართო გამოხმაურება პოვა, საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში ჩატარდა საპროტესტო მიტინგები, რევოლუციური პროლეტარიატი და უღარიბესი გლეხობა ზიზღით იხსენიებდნენ ბურჟუაზიის სისხლიან ნაბიჯს, მოითხოვდნენ ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემას.

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებმაც სახელმძღვანელოდ მიიღეს რსდმპ (ბ) საინფორმაციო წერილი დროებითი მთავრობის მიერ მუშათა და ჯარისკაცთა დემონსტრაციის სისხლში ჩახშობის გამო, ბურჟუაზიული მთავრობისა და მისი მაჩანჩალა მენშევიკური საბჭოს სისხლიანი ნაბიჯების დაგმობისათვის, ბოლშევიკური ლოზუნგის გარშემო მასების დარაზმვისათვის ფართო მუშაობა გააჩაღეს.

რსდმპ (ბ) თბილისის ორგანიზაციის საერთო საქალაქო კონფერენციამ, რომელიც თბილისში მიმდინარეობდა, პეტროგრადის ივლისის ამბებს სწორი შეფასება მისცა და რეზოლუციაში აღნიშნა შემდეგი: „...რევოლუციის გამარჯვებით დამთავრება შესაძლოა მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი ძალაუფლება გადავა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ცაკ-ის ხელში.

2. რევოლუციური პროლეტარიატისა და ჯარის რევოლუციური ნაწილის 3—5 ივლისის გამოსვლა იმ მიზნით, რომ მთელი ძალაუფლება გადასცემოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 5, 2 ივლისი, 1917 წ.

ტატების სრულიად რუსეთის ცენტრს და გაეჩაღებინათ ბრძოლა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, რის მოწყობასაც ცდილობდა ბურჟუაზია, რომელმაც ნიშანი მისცა თავის წარმომადგენლებს გამოსულიყვნენ მთავრობის შემადგენლობიდან,—მოწმობს ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის პოლიტიკის გაკოტრებას, რომელსაც აწარმოებდნენ წვრილბურჟუაზიული წრეების იდეოლოგები (მენშევიკები და ესერები)"[1].

5 ივლისს ალექსანდრეს ბაღში შემდგარ მიტინგზე, რომელსაც 3000-მდე მუშა და ჯარისკაცი ესწრებოდა, მიღებულ რეზოლუციაში წამოყენებული იყო მოთხოვნა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემის შესახებ[2]. ამავე ბაღში 9 ივლისს შედგა მეორე გრანდიოზული მიტინგი. მუშა და ჯარისკაცი ორატორები აღშფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ კონტრრევოლუციურმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ გამოიტანა დადგენილება რევოლუციის დიდი ბელადის, მშრომელთა უსაყვარლესი ადამიანის ლენინის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. „კონტრრევოლუცია დგამს მოზომილ ნაბიჯს,—ნათქვამია რეზოლუციაში,—ამ დატუსაღებას თან მოჰყვება სხვაც, რათა მიაღწიონ თავიანთ მიზანს,—უმეთაურობ დასტოვონ პროლეტარიატი, ჩამოაცილონ მას თავდადებული მებრძოლები, დახურონ მისი გაზეთები, გადააქციონ იგი სულიერად უძლურად"[3].

ბოლშევიკური რეზოლუციები იქნა მიღებული მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგებზე ბათუმში, ფოთში, ქუთაისში და სხვაგან.

როგორც ვხედავთ, პეტროგრადის ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებმა საქართველოში აქტიური გამოხმაურება გამოიწვიეს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ეს გამოხმაურება მ თ ლ ი ა ნ ა დ ბოლშევიკური ლოზუნგების ქვეშ მიმდინარეობდა.

პეტროგრადის 3—5 ივლისის ამბებმა დაადასტურეს, თუ რამდენად მაღალი იყო იქ პროლეტარიატისა და არმიის რევოლუციური აქტივობა. დემონსტრანტებმა ერთსულოვნად მოითხოვეს დროებითი მთავრობის დამხობა. ბოლშევიკები იმ მომენტში შეიარაღებული გამოსვლის წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ, როდესაც მასების შეკავება შეუძლებელი შეიქნა და ცალკეული გამოსვლები საერთო გრანდიოზულ დემონსტრაციად გადაიზარდა, ბოლშევიკებმა მასში მონაწილეობა მიიღეს იმ მიზნით, რომ მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი მიეცათ.

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 97, გაზ. „ბრძოლა", № 7.
[2] გაზ. „Кавказский рабочий", № 94, 8 ივლისი, 1917 წ.
[3] გაზ. „Кавказский рабочий", № 96, 11 ივლისი, 1917 წ.

პეტროგრადის პროლეტარიატმა ივლისის გამოსვლებში დაადასტურა თავისი მზადყოფნა ძალაუფლების ხელში აღებისათვის. მაგრამ ბოლშევიკები საკვლებით სწორად მოიქცნენ, როცა პეტროგრადის პროლეტარიატის ამ განწყობილებას არ მისცეს გასაქანი და დემონსტრაცია მშვიდობიანი გზით წარმართეს. აჯანყება ობიექტურად მომწიფებული ჯერ კიდევ არ ყოფილა და პარტია ვერ შეინარჩუნებდა გამარჯვებას. ჯერ კიდევ არ იყო დაძლეული პროვინციის ინერტულობა.

„პოლიტიკურად ჩვენ 3—4 ივლისს ხელისუფლებას ვერ შევინარჩუნებდით, რადგან არმიასა და პროვინციას, კ ო რ ნ ი ლ ო ვ ე ლ ო ბ ა მ დ ე, შეეძლო გაელაშქრნა და კიდეც გაილაშქრებდა პიტერზე"—მიუთითებდა ლენინი თავის ცნობილ სტატიაში „მარქსიზმი და აჯანყება"[1].

ასეთ შეფასებას აძლევდა ლენინი პროვინციის პოზიციას და ეს შეფასება, ცხადია, ვრცელდება საქართველოზეც, სადაც წვრილბურჟუაზიული მასა პოლიტიკური თავისუფლებით აღფრთოვანების მდგომარეობაში იმყოფებოდა და უფრო შორს წასვლას ჯერ კიდევ არ აპირებდა.

ი. ბ. სტალინი 1910 წელს სტატიაში „წერილები კავკასიიდან" ახასიათებდა თბილისელი ბოლშევიკების ბრძოლის იმ თავისებურებას, რაც ადგილობრივი ვითარებით იყო გამოწვეული. „ის, რაც ბაქოში „თავისთავად ცხადია", თბილისში ცხადი ხდება მხოლოდ ხანგრძლივი დისკუსიების შედეგად,—ბოლშევიკების შეურიგებელ სიტყვებს დიდი სიძნელით ინელებენ. სწორედ ამით აიხსნება თბილისელი ბოლშევიკების „განსაკუთრებული მიდრეკილება" დისკუსიებისადმი და, პირიქით, მენშევიკების სურვილი—შეძლებისამებრ „თავიდან აიცილონ დისკუსიები"[2].

ი. ბ. სტალინის მიერ ვითარების ასეთი დახასიათება შეიძლება ამ მომენტისთვისაც გავიმეოროთ. ივლისის დღეებში რუსეთის სამრეწველო ცენტრების მუშებსა და პირველ რიგში პეტროგრადის მუშებში დროებითი მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკა უკვე ეჭვს აღარ იწვევდა. მათთვის ცხადი შეიქნა ისიც, რომ მენშევიკური საბჭოები თავიანთი შემთანხმებლური პოლიტიკით ამ მთავრობის მაჩანჩალად, მის დამატებად გადაიქცნენ. ამიტომ პიტერის მუშები მოითხოვდნენ დროებითი მთავრობის დამხობას შეიარაღებული აჯანყებით.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 7.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 201.

მაგრამ ყველაფერი ეს განა ასევე ცხადი იყო საქართველოს პროლეტარიატისა და გლეხობისათვის? რასაკვირველია, არა. მაშინდელი მიტინგების (ამ თითქმის ყოველდღიურ მიტინგებში ნათლად მოჩანს მასების განწყობილება) შინაარსის, მათ მიერ მიღებული რეზოლუციების შესწავლა ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მშრომელი მასების საგრძნობი ნაწილი ისევ მენშევიკებისა და ესერების გავლენის ქვეშ იყო მოქცეული. მაგრამ აქვე მოჩანს ერთი დამახასათებელი ნიშანიც: რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა ბოლშევიკური დროშის ქვეშ დარაზმულთა რიცხვი, ხოლო მენშევიკები და ესერები (რომ არაფერი ვთქვათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებზე) უკვე დღითი დღე კარგავდნენ გავლენას.

ადგილობრივი ვითარების ზემოაღნიშნულ თავისებურებას რომ ითვალისწინებდნენ, საქართველოს ბოლშევიკები კვლავ დაჟინებით განაგრძობდნენ ლოზუნგის „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ პროპაგანდას და აგიტაციას. ქალაქად, ჯარის ნაწილებში, სოფლად გამართულ მიტინგებსა და კრებებზე ბოლშევიკები გამოდიოდნენ შემთანხმებლური პარტიების ორატორების წინააღმდეგ, იქვე, მასების თვალში ხდიდნენ მათ ნიღაბს, ააშკარავებდნენ ბურჟუაზიული მთავრობის და მისი დანამატის—მენშევიკური საბჭოების არსს, მოუწოდებდნენ მასებს მათთან კავშირის გაწყვეტისაკენ. მგზნებარე ბოლშევიკურ სიტყვებს, რომელთაც შესანიშნავად ადასტურებდა ყოველდღიური ცხოვრება, უდიდესი ზეგავლენის ძალა ჰქონდა. მასები ნელა, მტკივნეულად, მაგრამ თანდათან იწყებდნენ გამოფხიზლებას და შემთანხმებლურ პარტიებს ზურგს აქცევდნენ, ბოლშევიკური პარტიის დროშის ქვეშ ირაზმებოდნენ.

* * *

ივლისის ამბების შემდეგ რუსეთის კაპიტალისტური მთავრობა და მისი დამატება—მენშევიკური საბჭო აშკარა შეტევაზე გადავიდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ, დარბეულ იქნა ბოლშევიკური გაზეთები, დააპატიმრეს მთელი რიგი ხელმძღვანელი ბოლშევიკები. დევნა დაუწყეს ბოლშევიკური პარტიის ბელადს ლენინს. ბოლშევიკები იძულებული შეიქნენ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვნენ. დამთავრდა ორხელისუფლებიანობა ბურჟუაზიის სასარგებლოდ, დამთავრდა რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი. დღის წესრიგში ხიშტი იქნა დაყენებული.

ქართველი მენშევიკები ბოლშევიკური ორგანიზაციების დევნისა და რევოლუციურ პროლეტარიატზე შეტევის საქმეში თავი-

ანთ რუს თანამოძმეებს არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ, მათ ლენინიზმის წინააღმდეგ ახლა უფრო გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს. ბურჟუაზიის ლაქიებმა ბოლშევიზმი რევოლუციის მტრადაც კი გამოაცხადეს.

ცნობილია, რომ ივლისის დღეების შემდეგ ვ. ი. ლენინი, რომელსაც ბურჟუაზიული მთავრობა დაპატიმრებას და სამართალში მიცემას უპირებდა, იძულებული შეიქნა ფარულად დაეწყო ცხოვრება. განკარგულებანი ლენინის დაპატიმრების შესახებ დროებითმა მთავრობამ დაგზავნა რუსეთის ყველა მხარეში.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი დროებითი მთავრობის განკარგულებას ლენინის დაპატიმრების შესახებ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა და თავის მხრივ ამ განკარგულების ასლი სათანადო პირებს დაუგზავნა.

„პეტროგრადის საგამომძიებლო ხელისუფლების დადგენილებით დაპატიმრებულ უნდა იქნას ულიანოვ ლენინი, როგორც ბრალდებული—3—5 ივლისს პეტროგრადში შეიარაღებული გამოსვლის საქმეზე. ამიტომაც თქვენ გევალებათ განკარგულება მოახდინოთ ამ დადგენილების დაუყოვნებლივი შესრულებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული პირი გამოჩნდება თქვენდამი რწმუნებულ ოლქში. შედეგების შესახებ გვაცნობეთ.

იუსტიციის მინისტრი—

სწორია: თბილისის სასამართლო პალატის პროკურორის

მდივანი—სტრუკოვი[1].

ზემომოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ ამიერკავკასიის მმართველი ორგანოები, ისევე როგორც პეტროგრადის ბურჟუაზიული მთავრობა, ბოლშევიკური პარტიის აშკარა დევნის გზას დაადგნენ. მათ კონტრრევოლუციის ძალების მობილიზება და შემჭიდროება დაიწყეს, რათა თავიდან აეცილებინათ დღის წესრიგში მდგარი სოციალისტური რევოლუცია და ბურჟუაზიის დიქტატურა განემტკიცებინათ.

საქართველოს ბოლშევიკები არ გადასულან არალეგალურ მდგომარეობაში, როგორც ეს პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ მოხდა. გამარჯვებით თავბრუდახვეული ქართველი მენშევიკები ჯერ კიდევ ითმენდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და ბოლშევიკური პრესის არსებობას. მათ ჯერ კიდევ საკმაოდ მიაჩნდათ ცილისწამებისა და ჭორის მდიდარი არსენალი ბოლშევიკების იზოლაციისათვის. მოხერხებულად ითვალის-

---

[1] საქ. სსრ. ოქტომბრის რევოლუც. ცენტ. სახელმწ. არქივი, ფონდი № 96. საქმე № 91, გვ 260.

წინებდნენ რა მათ განკარგულებებში არსებულ ყველა საშუალებას, საქართველოს ბოლშევიკები დაუღალავად ასრულებდნენ ისტორიის მიერ მათზე დაკისრებულ ამოცანას — საქართველოში სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის პოლიტიკური არმიის მომზადების ამოცანას.

სწორედ ამ მომენტში მიმდინარეობდა თბილისის საბჭოს არჩევნები. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში მენშევიკებმა და ესერებმა გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ბოლშევიკების წინააღმდეგ. მენშევიკებმა, ესერებმა, ფედერალისტებმა, ნაციონალ-დემოკრატებმა და სხვ. პარტიებმა წამოაყენეს თავიანთი საარჩევნო პროგრამა და მასების გადაბირებისათვის ფართო წინასაარჩევნო კამპანია დაიწყეს. ისინი ყოველგვარ საშუალებას—მოტყუებას, ცილისწამებას, მოსყიდვას, ძალადობას (რაც საერთოდ დამახასიათებელია დღევანდელი ბურჟუაზიული „დემოკრატიისათვის") მიმართავდნენ, რათა არჩევნებში კანდიდატთა უმრავლესობა გაეყვანათ.

თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია არჩევნებში დამოუკიდებელი პროგრამით გამოვიდა. ბოლშევიკები ამ პროგრამაში განმარტავდნენ მენშევიკურ-ესერული და ბურჟუაზიული პარტიების უუნარობას მუშათა ინტერესების გადაწყვეტის საქმეში და მიუთითებდნენ, რომ ერთადერთი პარტია, რომელიც მოწოდებულია დაიცვას მშრომელთა ინტერესები—მოაწესრიგოს კომუნალური მეურნეობა, ალაგმოს ბურჟუაზიის თვითნებობა და სპეკულაცია, გადაჭრას სურსათის საკითხი და სხვ., არის ბოლშევიკური პარტია.

მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო კამპანიაში ყველა ბურჟუაზიული პარტია ბოლშევიკების წინააღმდეგ გაერთიანებული ბლოკით გამოდიოდა, ბოლშევიკებმა საბჭოში 8 დეპუტატის გაგზავნა მოახერხეს.

საბჭოს ახალ შემადგენლობაში ადგილების უმრავლესობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მენშევიკებს ხვდათ (50 მენშევიკი, 20 ესერი).

კომუნისტური ფრაქცია, მიუხედავად უმცირესობისა, უნარიანად იყენებდა საბჭოს ტრიბუნას შემთანხმებელთა ბურჟუაზიული პოლიტიკის გამოაშკარავებისა და დაგმობისათვის. ახალი საბჭოს პირველსავე სხდომაზე (7 აგვისტოს) გამოქვეყნებულ დეკლარაციაში კომუნისტებმა გადაჭრით მოითხოვეს მთელი ძალაუფლების გადაცემა რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობისათვის. მხოლოდ მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა და მოჯამაგირეთა დეპუ-

ტატების საბჭოებს—ნათქვამი იყო დეკლარაციაში „შეუძლია გადაჭრას რევოლუციის მიერ წამოწყებული ძირითადი საკითხი"[1].

თბილისის ახალი საბჭო უმრავლესობის ბურჟუაზიული პოლიტიკის გამო ისევ ძველ გზას დაადგა. იგი ბურჟუაზიის ბატონობის ორგანოდ, მშრომელთა მასების თვალის ახვევისა და მოტყუების ორგანოდ დარჩა.

* * *

საქართველოს ბოლშევიკები სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის მასების დარაზმვის საქმეში უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მუშა და ინტელიგენტ ახალგაზრდობას, ნერგავდნენ მათში ბოლშევიზმის იდეებს, ხელს უწყობდნენ მათ ორგანიზაციულად ჩამოყალიბებაში, წარმართავდნენ მათ ბრძოლას ბოლშევიკური ლოზუნგებით.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდობის ერთი ნაწილი (უფრო მეტად ინტელიგენცია) მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებით დაკმაყოფილდა. ამ ნაწილმა, ატარებდა რა შემთანხმებლური პარტიების გავლენას, რევოლუცია დამთავრებულად ჩასთვალა და მენშევიკურ ხელისუფლებას გვერდში ამოუდგა.

მაგრამ ახალგაზრდობის მეორე ნაწილი (მუშათა და ღარიბი გლეხობის წრიდან გამოსული) მალე მიხვდა, რომ რევოლუცია არ არის დამთავრებული, რომ არსებული ხელისუფლება ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებას ემსახურება.

ახალგაზრდობას შორის არსებული ეს ორი მიმდინარეობა ერთმანეთს აშკარად დაუპირისპირდა. მათთვის უკვე შეუძლებელი შეიქნა ერთ ორგანიზაციულ ჩარჩოში არსებობა. ამიტომ „ახალგაზრდა მარქსისტთა" წრეებში ჯერ კიდევ რევოლუციამდე არსებულმა განხეთქილებამ თანდათან მიიღო შეურიგებელი ხასიათი.

1917 წ. 26 მარტს თბილისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის მარქსისტი მოწაფეების კავშირის მეორე კონფერენცია. იგი მენშევიკებმა სახელდახელოდ მოამზადეს. ამიერკავკასიის ბევრი ქალაქი აქ წარმოდგენილი არ ყოფილა. მიაღწიეს რა დელეგატთა თვითნებურ შერჩევას, მენშევიკებმა კონფერენციაზე გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. ბოლშევიკურად განწყობილმა ახალგაზრდებმა შეგნებულად თქვეს უარი კონფერენციაში მონაწილეობაზე და მას ბოიკოტი გამოუცხადეს.

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий". № 121, 1917 წ.

„ამ კონფერენციაზე მოხდა საბოლოო გათიშვა ახალგაზრდა მენშევიკებსა და ახალგაზრდა კომუნისტებს შორის, რასაც მოჰყვა მენშევიკების მთავრობის მიერ ახალგაზრდა ბოლშევიკების დევნა და შევიწროება“[1].

კომუნისტი ახალგაზრდობა თავიდანვე მტკიცედ დადგა მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე. ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსისტებთან ორგანიზაციულად გათიშვამდე ამ წრეში გაერთიანებული ბოლშევიკურად განწყობილი ახალგაზრდები ქუთაისიდან წერდნენ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“: „გულითადად გესალმებით თქვენ—მარქსიზმის მედგარ დამცველებს და ღრმად გვწამს, რომ თქვენი შეხედულებანი მიმდინარე მომენტზე სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება“.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობა ამ დროს გატაცებით ადევნებდა თვალყურს რუსეთის გმირი პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიული დიქტატურის წინააღმდეგ. პროლეტარიატი კვლავ ემზადებოდა ბურჟუაზიასთან გადამწყვეტი შეჯახებისათვის. ქართველი კომუნისტური ახალგაზრდობის წინაშე წამოიჭრა საკითხი—აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ამ მზადებაში. ეს კი პირველ რიგში მათ ორგანიზაციულ ჩამოყალიბებას მოითხოვდა. საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი პირველი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ბ. ძნელაძე იგონებს: „ჩვენ ვღებულობდით მოსკოვის გაზეთებს. ამ გაზეთების გავრცელების საქმეში ჩვენი ახალგაზრდობა მხურვალე მონაწილეობას იღებდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ახალგაზრდა წევრების წინაშე წამოიჭრა საკითხი ახალგაზრდათა კავშირის დაარსების შესახებ“[2].

ასეთი ორგანიზაციის შექმნის პრაქტიკულ ცდებს ჯერ კიდევ აგვისტოში ჰქონდა ადგილი, მაგრამ იგი მხოლოდ ნოემბერში განხორციელდა. 1917 წლის ნოემბერში ნაძალადევის მუშა ახალგაზრდობის კრებაზე, რომელსაც თბილისისა და ამიერკავკასიის ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი მ. ცხაკაია ხელმძღვანელობდა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „ახალგაზრდა სოციალ-ინტერნაციონალისტების“ (სპარტაკის) ორგანიზაციის შექმნის შესახებ.

ამ კრებამ შეიმუშავა ორგანიზაციის წესდება, აირჩია დროებითი კომიტეტი და გამოუშვა მოწოდება კავკასიის ყველა მშრო-

---

[1] გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, № 247, 23 ოქტ., 1932 წ. იხ. საქართველოს ალკკ ცენტრ. კომიტეტის კულტპროპაგანდის განყოფილების თეზისები მოხსენებისათვის „საქართველოს კომკავშირის 15 წელი და მორიგი ამოცანები“.
[2] ბ. ძნელაძე, საქართველოს კომკავშირის ისტორიიდან.

მელისადმი. სპარტაკის მუშაობას სათავეში ჩაუდგა საქართველოში რევოლუციური ახალგაზრდობის მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელი ბ. ძნელაძე.

სპარტაკმა თბილისის კომუნისტ ახალგაზრდობას შორის გააჩაღა ფართო სააგიტაციო და ორგანიზაციული მუშაობა თავის რიგებში ვაჟებისა და ქალების მოზიდვისათვის. ამ მუშაობამ ნაყოფი გამოიღო, სპარტაკის ორგანიზაციების ქსელი მთელ ქალაქს მოეფინა.

3. საქართველოს მუშათა კლასი ოქტომბრის გზაზე

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ფაბრიკები და ქარხნები ისევ კაპიტალისტების ხელში დარჩა. მუშები წარმოებაში მუშაობდნენ იმავე ხანგრძლიობით, როგორც რევოლუციამდე, და იღებდნენ იმდენივეს, როგორც წინათ. თუ ამას დავუმატებთ საშინელ სიძვირეს, რომელიც დღითი დღე იზრდებოდა, ნათელი გახდება მუშათა აუტანელი მდგომარეობა.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა იცავდა კაპიტალისტთა ინტერესებს. იგი ფარულად უწყობდა ხელს ეკონომიურ კონტრრევოლუციას. ზედიზედ იკეტებოდა საწარმონი. უმუშევართა მილიონიანი მასა ქუჩაში ულუკმაპუროდ რჩებოდა. ამავე დროს საწარმოთა პატრონები, ვაჭრები, მევახშეები და სპეკულანტები ზღაპრულ სიმდიდრეს იძენდნენ.

საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, მუშათა მდგომარეობა თებერვლის რევოლუციის შემდეგ თითქმის არ შეცვლილა.

დაინტერესებული იყვნენ რა მაქსიმალური მოგებით, მეფაბრიკეები სრულიადაც არ ზრუნავდნენ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ თბილისის ცენტრალური პურის საცხობის მუშების აუტანელი მდგომარეობის გარშემო წერდა: „ამ საცხობში მუშაობს ას კაცზე მეტი. მათი მდგომარეობა აუწერელია. მგონი არავინ არ ცხოვრობს ისე, როგორც ეს მუშები ცხოვრობენ. ყველაზე უფროსი მოსამსახურე მათგან იღებს 80 მან. როგორ შეიძლება თანამედროვე სიძვირის დროს იცხოვრო ამ ფულით. ქალაქის თვითმმართველობა „მოწყალების მიზნით“ აძლევს მუშებს სადილს, მაგრამ სადილიც არის და სადილიც. მზარეული, პატივისცემის მიზნით, როცა სუპი საკმარისი არ არის—უმატებს წყალს ვედროებით, რომ ეს „ჰიგიენური“ იყოს.. წყალს ცოტათი ათბობენ. ხშირად სადილი არ არის საკმაო და მუ-

შები უსადილოდ რჩებიან. სძინავთ ჰათ როგორც კასრში თევზებს. გაზეთს არ კითხულობენ, ხმაურობენ და კანკალებენ საცხობის გამგის წინაშე"[1].

ხელისუფლების ჩაურევლობით გათამამებულმა მეპატრონეებმა არათუ დააწესეს 8-საათიანი სამუშაო დღე, რაც რევოლუციის ერთ-ერთ საპროგრამო მოთხოვნას შეადგენდა, არამედ, პირიქით, უფრო გაზარდეს სამუშაო დრო, რათა რაც შეიძლება მეტი მოგება მიეღოთ. „ჩვენთვის არ არსებობს არავითარი ნორმალური დასვენება,—ჩიოდა ქუთაისელი მუშა,—დღეს, როცა ყველა მუშა თხოულობს 8 საათიან სამუშაო დღის შემოღებას, ჩვენ დარგში სამაგიეროდ 24 საათის მუშაობაა გაჩაღებული და დღე და ღამის ქირად მხოლოდ 70 კაპიკს ვღებულობთ. ცხოვრება გაძვირებულია 300 პროცენტით და ადვილად წარმოსადგენია, თუ ასეთ პირობებში როგორ უნდა იცხოვროს მუშამ და ისიც ცოლშვილით"[2].

ზოგიერთ წარმოებაში მეპატრონეებმა 8-საათიანი მუშაობა დააწესეს, მაგრამ ეს ღონისძიება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. სინამდვილეში მუშები, ადმინისტრაციის მიერ დაწესებული თვალთმაქცური ღონისძიებების გამო, ისევ 12-13 საათს მუშაობდნენ და იმავე გასამრჯელოს იღებდნენ[3].

მუშებს არ ჰქონდათ ნორმალური ცხოვრების საშუალება, რადგან მენშევიკებს საბინაო საკითხის მოსაგვარებლად ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ. თბილისში საცხოვრებელი სახლები ისევ კერძო მფლობელთა ხელში დარჩა. ქირის სიძვირის გამო ამ სახლებში ცხოვრება მხოლოდ შეძლებულ ფენებს შეეძლოთ, მუშები კი ქალაქის განაპირა ადგილებში გაშენებულ ფარღალალა ქოხმახებში ცხოვრობდნენ, სადაც მათ სიღატაკე და სიბინძურე ალრჩობდათ.

რევოლუციამდე ქართველი მენშევიკები მუშათა ფლას მრავალი დაპირებით კვებავდნენ. 8-საათიანი სამუშაო დღე მათს ერთ-ერთ საპროგრამო მოთხოვნას წარმოადგენდა. მაგრამ, როცა რევოლუცია განხორციელდა და ხელისუფლების სათავეში მოქცეული მენშევიკების წინაშე პრაქტიკულად დაისვა საკითხი დაპირებათა განხორციელების შესახებ, ყველაფერი დავიწყებას მიეცა. მენშევიკებს არ შეეძლოთ უარეყოთ თავიანთი პროგრამა. ისინი მხოლოდ ლაპარაკობდნენ 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების საჭიროება-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 15, 20 მარტი, 1917 წ.
[2] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", № 8, 1917 წ.
[3] გაზ. „ბრძოლა", № 12, 20 აგვისტო, 1917 წ.

ზე, მაგრამ მის პრაქტიკულ განხორციელებაზე არ ზრუნავდნენ. ისინი ერიდებოდნენ სერიოზულ კონფლიქტს წარმოების მეპატრონეებთან. ხელისუფლების უილაჯობითა და შემარიგებელი ბუნებით წათამამებული კაპიტალისტები კი თვითნებურად მოქმედებდნენ.

1917 წ. 21 მაისს თბილისში გაიხსნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობა, სადაც მუშათა საკითხის გარშემო მოხსენებით გამოვიდა მენშევიკი ნ. რამიშვილი. მან ზოგადად ილაპარაკა 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღების საჭიროების შესახებ, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარების ღონისძიებებზე არაფერი უთქვამს. ყრილობამ მუშათა საკითხზე მიიღო რამიშვილის მიერვე წარმოდგენილი რეზოლუცია, სადაც, საერთოდ, აღიარებული იყო რა 8-საათიანი სამუშაო დღის აუცილებლობა, აღნიშნული იყო მისი პრაქტიკული განხორციელებლობის მოტივიც: „იღებს რა მხედველობაში ომიანობის დროის პირობებს, სიეზდს შესაძლებლად მიაჩნია ზედმეტი მუშაობა თავდაცვაზე მომუშავე საწარმოო დაწესებულებებში, სადაც ეს ადგილობრივ პირობათა გამო აღიარებულ იქნება აუცილებელ საჭიროებადო“[1]—ნათქვამი იყო ამ რეზოლუციაში.

მეწარმეთა და მუშათა შორის კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ უებარ საშუალებად მენშევიკებს ე. წ. მომრიგებელი კამერები მიაჩნდათ. ნ. ჟორდანია ჯერ კიდევ 18 მარტს ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე ამბობდა: „რაც შეეხება მუშათა საკითხს, მისი გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებამდე უნდა მივანდოთ მომრიგებელ კამერებსო“.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ყრილობამ თაეის რეზოლუციაში იმავე საკითხზე აღნიშნა: „შრომის ფასის გასადიდებლად მუშათა და მრეწველთა შორის შესაძლებელ კონფლიქტთა მოსაწესრიგებლად სიეზდი გამოსთქვამს მომრიგებელ კამერათა შემოღების საჭიროებას მუშათა და მრეწველთა ორგანიზაციების მხრით თანასწორ წარმომადგენლობით“[2].

რატომ სჭიროდათ მენშევიკებს მომრიგებელი კამერები?

ცნობილია, რომ მენშევიკები მუშათა კლასის მიმართ ფარისევლური სიტყვების მიღმა კაპიტალისტების საქმეს აკეთებდნენ. ისინი ფართო გასაქანს აძლევდნენ კაპიტალისტების „კერძო ინიციატივას“, ხელს უწყობდნენ ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერებას, მის მიერ მრეწველობის საკომანდო პუნქტების დაპყრობას.

---

[1] გაზ. „ერთობა“, № 63, 4 ივნისი, 1917 წ.

[2] ი ქ ვ ე.

მენშევიკების ბურჟუაზიულ პოლიტიკას ნ. რამიშვილი შემდეგნაირად ამართლებდა: „ჩვენ ძალაუნებურად უნდა გვეკეთებინა ბურჟუაზიული დემოკრატიის საქმე... ის მთავრობა, რომელიც ივიწყებს ობიექტურ პირობებს, აკეთებს რეაქციის საქმეს. ამიტომ ჩვენი მიზანი ზომიერი და შეკვეცილი იყო. ჩვენ ამის შემდეგ აღარ ვაღრმავებთ რევოლუციასო"[1]

მენშევიკები ხედავდნენ, რომ მუშათა კლასი პირველი გამაბრუებელი შთაბეჭდილებიდან თანდათანობით ერკვეოდა, თავის მდგომარეობას უფიქრდებოდა და ხედავდა, რომ მის ცხოვრებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გამოფხიზლებული მუშები ერთსულოვნად აყენებდნენ მოთხოვნებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გაფიცვები თანდათან მასობრივი ხდებოდა.

მენშევიკები იმასაც ხედავდნენ, რომ კაპიტალისტები თავისი ნებით არაფერს დათმობდნენ. საჭირო იყო კაპიტალისტებსა და მუშებს შორის ერთგვარი შეთანხმების მიღწევა, გარდუვალი კონფლიქტების ერთგვარი შერბილება და წარმოების შეჩერების თავიდან აცილება. ნ. რამიშვილი მუშათა და გლეხთა დეპუტატების იმავე ყრილობაზე ამბობდა: „რეალური ხელფასი ეცემა, შრომასა და კაპიტალს შორის ხშირად ხდება კონფლიქტი, რომელიც უნდა მოაწესრიგოს მომრიგებელმა კამერებმა და მათვე უნდა შეებრძოლონ მუშების უორგანიზაციო გამოსვლასო"[2].

მართლაც, მენშევიკების ინიციატივით წარმოებებში დაიწყო მომრიგებელ კამერათა შექმნა. მენშევიკებმა მოახერხეს მუშათა მხრიდან კამერებში თავიანთი მომხრეები აერჩიათ.

იცავდნენ თუ არა კამერები მუშების ინტერესებს, ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე სერიოზული გავლენა?

თუ მუშათა მხარის მოთხოვნა რადიკალური იყო და მეწარმეთა ინტერესების შელახვას იწვევდა, მეპატრონეები ასეთ გადაწყვეტილებას სერიოზულ ყურადღებას არ აქცევდნენ, წარმოებას თვითნებურად კეტავდნენ და მუშებს ულუკმაპუროდ ტოვებდნენ. ამას თვით მენშევიკური გაზეთი „სოციალ-დემოკრატი" აღიარებდა. „რას ფიქრობენ ჩვენი ხაზეინები,—წერდა იგი,—ისინი მხოლოდ თავიანთ ჯიბეს უწევენ ანგარიშს, ამას იქით არაფერს

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფონდი 2. მენშევიკების მერვე ყრილობის ოქმები.
[2] გაზ. „ერთობა", № 62, 3 ივნისი, 1917 წ.

ხედავენ, არც თავიანთ მოსამსახურეების დახმარებაზე იწუხებენ თავს და არც მომენტის მნიშვნელობაზე. ეს რომ ასეა, იქედან ჩანს რომ გამოცხადდა თუ არა კამერების დადგენილება მოსამსახურეების ჯამაგირის მიმატების შესახებ, ხაზეინებმა დაიწყეს სისტემატურად მატი დათხოვნა. ზოგი ითხოვს ორს, ზოგი სამს, ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის. ასე რომ ამ მოვლენამ ქუთაისში მასიური ხასიათი მიიღო. ის სცილდება ეკონომიურ ფარგლებს და გადადის პოლიტიკურ სფეროში"[1].

მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილება უყურადღებოდ დატოვეს, მაგალითად, იარალოვის ქარხნის მეპატრონეებმა, ხოლო ადელხანოვის, ტოლესა და თაიროვის ქარხნების მეპატრონეებმა უარი განაცხადეს მომრიგებელი კამერისათვის გასარჩევად გადაეცათ მუშებთან მომხდარი კონფლიქტის საკითხი.

მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილება ხშირად მუშების ინტერესთა საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, და ამიტომ მუშები სამართლიანად ამბობდნენ უარს მის შესრულებაზე. მაგ., რესტორნების მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვასთან დაკავშირებით მომრიგებელ კამერაში მიღებული გადაწყვეტილება გაფიცულებმა არ იცნეს, ვინაიდან ეს გადაწყვეტილება რესტორნების მეპატრონეთა ინტერესებს იცავდა.

19 მაისს თბილისში დაარსდა ცენტრალური მომრიგებელი კამერა, რომელმაც იმთავითვე დაიწყო თვალთმაქცური ვაჭრული პოლიტიკის გატარება. აქ მუშები ვერასოდეს ვერ პოულობდნენ მხარდაჭერას, წარმოების მეპატრონენი ყოველთვის ახერხებდნენ თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ აღძრული საჩივრები. თბილისის ცენტრალური მომრიგებელი კამერის შესახებ გაზეთი „ბრძოლა" სამართლიანად წერდა:

„გარეგნულ შეხედულებით გულუბრყვილო მუშას ზემო აღნიშნული დაწესებულება თავის სახეირო საქმის ორგანო ეგონება.

მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ ჩვენ ეგრეთწოდებულ „პასუხისმგებელ სოციალისტების" მოღვაწეობას (რომელ დარგშიც უნდა ავიღოთ,—კერძოდ მომრიგებელ ცენტრალურ კამერაში), რა. გაუკეთებიათ და რას აკეთებენ დღემდის მუშებისათვის, მაშინ აშკარად დავინახავთ იმ შეურიგებელ-შემრიგებელ თანხმობის ვაჭრული პოლიტიკის ნაყოფს,—რომელსაც დღემდის აწარმოებენ. ამის დამამტკიცებელი საბუთები ბევრია.

ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: მაშინ, როდესაც

---

[1] გაზ. „სოციალ-დემოკრატი", № 76, 1917 წ.

გაუმაძღარ მყვლეფელ ხაზეინებს ვუდგენთ მოთხოვნილებებს შრომის პირობების გაუმჯობესებაზე და ხელფასის მომატებაზე, ხაზეინებიც მაშინვე გარბიან „გასარჩევათ“—უფრო თავიდან ასაცილებლად „ჩვენ“ ცენტრალურ მომრიგებელ კამერაში.

ჩვენმა „პასუხისმგებელ სოციალისტებმა“ თუ შეატყვეს მუშებს გამწვავება, იმ წამსვე აფრენენ ხოლმე „პასუხისმგებელ სოციალისტს“, მოგიყვებიან „ნატაციას“ „დროს შეუფერებელ გაფიცვაზე“.

ამით ილახება ბრძოლის კლასობრივი ხასიათი და ბოლოს თქვენი მოთხოვნილების „გადაწყვეტილებაც“ (ამხანაგებო არ გეგონოთ ორ-სამ დღეში გადაწყვიტონ).

თუ თქვენი მოთხოვნილების მესამედი მოიყვანეს სისრულეში, დიდი იმედია“[1].

ეს ვრცელი ამონაწერი ნათლად ადასტურებს მომრიგებელი კამერებისა და მათი ყბადაღებული დამცველი მენშევიკების თვალთმაქცობას.

*

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში კომუნისტური პარტიის ეკონომიური პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი დებულება წარმოებისა და პროდუქტების განაწილებაზე მუშათა კონტროლის დაწესება იყო. კომუნისტები მოითხოვდნენ ყველა ბანკის ერთ ნაციონალურ ბანკად შეერთებას და მასზე მუშათა დეპუტატების საბჭოს კონტროლის შემოღებას, პროდუქტთა საზოგადოებრივ წარმოებასა და განაწილებაზე კონტროლის დაწესებას.

კომუნისტური პარტიის ეს მოთხოვნა შექმნილი ვითარებით იყო ნაკარნახევი. ომის გამანადგურებელმა შედეგებმა მასები ალაღატაკა. დროებითი მთავრობა ნგრევისა და შიმშილის სალიკვიდაციოდ არაფერს არ აკეთებდა. მუშათა კლასის წინაშე იდგა არჩევანი: ან კაპიტალისტების ნებაზე მიშვება, რასაც უმუშევრობა, სიტიტვლე და შიმშილი მოყვებოდა, ან წარმოებისა და განაწილების საქმეში აქტიური ჩარევა, კაპიტალისტთა თვითნებობის ალაგმვა და საკუთარი ინიციატივით ნგრევისა და შიმშილის თავიდან აცილება. „...არა ვინმეს მოუთმენლობა,—მიუთითებდა ვ. ი. ლენინი,—არა ვინმეს პროპაგანდა, არამედ ობიექტური პირობები, მთელი კულტურის ეს არნახული კრახი, — აი რა გვაიძულებს გადავიდეთ წარ-

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 15, 10 სექტემბერი, 1917 წ.

მოებისა და განაწილების მიმართ, ბანკებისა, ფაბრიკებისა და სხვათა მიმართ კონტროლზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ უამისოდ ათეულ მილიონობით ადამიანს აუცილებელი დაღუპვა მოელის"[1].

ანარქიულ, უსისტემო კაპიტალისტურ მეურნეობას მუშათა კონტროლის სახით უპირისპირდებოდა საზოგადოებრივი კონტროლი, ხალხის სასარგებლოდ წარმოების ორგანიზაცია და მოწესრიგება. ეს იყო პროლეტარიატის მიერ მრეწველობის საკომანდო პუნქტების ხელში აღების პირველი ნაბიჯი.

პეტროგრადის პროლეტარიატმა რევოლუციის პირველსავე დღეებში მთელ რიგ წარმოებაში მუშათა კონტროლი შემოიღო. მარტის ბოლო რიცხვებისათვის საარტილერიო უწყების 12 უმსხვილეს წარმოებაში საწყის ფორმებში უკვე არსებობდა მუშათა კონტროლი. მუშებმა მოითხოვეს 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება, ხელფასის ნორმირება, ყველა მათი ორგანიზაციის ცნობა და სხვ. მუშათა კონტროლი შემოღებულ იქნა აგრეთვე მოსკოვის კიევის, სამხრეთ რუსეთის მთელ რიგ საწარმოებში.

ბოლშევიკები საქართველოში შეუპოვრად იბრძოდნენ წარმოებასა და განაწილებაზე მუშათა კონტროლის ლენინური პროგრამის განხორციელებისათვის. მუშათა და გლეხთა დეპუტატებიս სამხარეო ყრილობაზე ბოლშევიკი დელეგატები (მ. ცხაკაია, ს. ქავთარაძე), აკრიტიკებდნენ რა მენშევიკების თვალთმაქცურ მოქმედებას, კაპიტალისტებთან მათ შემარიგებელ პოლიტიკას, მტკიცედ მოითხოვდნენ მუშათა კონტროლის შემოღებას, ასაბუთებდნენ მის აუცილებლობას წარმოების თანამედროვე ანარქიის მოწესრიგებისა და მრეწველთა თვითნებობის ალაგმვის საქმეში.

მენშევიკები მუშათა კონტროლის შემოღების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. ცნობილია, რომ დროებით მთავრობაში შესული „სოციალისტი" მინისტრები თავის გამოსვლებში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ მუშათა კლასი არაა მომზადებული კონტროლის გატარებისათვის, რომ კონტროლი წარმოებაში ანარქიამდე მიგვიყვანსო. „თქვენ ანგრევთ მრეწველობას, თქვენ კონტროლის დროშის ქვეშ ატარებთ ქარხნების მართვას, თქვენ ქმნით ქაოსს და ანარქიას და ამით წარმოებაში აძლიერებთ საერთო ნგრევასო"[2] — ამბობდნენ ისინი და ცდილობდნენ მუშათა კონტროლისათვის დაეპირისპირებინათ წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლი. ცხადია,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 532.
[2] Труды II Всероссийского съезда советов народного хозяйства, дел. 336

სახელმწიფო კონტროლს, როცა ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა ფარულ-კავშირში იყო კაპიტალისტებთან, მუშათა სასარგებლოდ არავითარი ღონისძიების გატარება არ შეეძლო.

ქართველი მენშევიკები მათი რუსი თანამოძმეების პოზიციას არ ღალატობდნენ. პირველ სამხარეო ყრილობაზე ნ. რამიშვილი აქტიცებდა: „ცალკე მუშების მიერ კონტროლის დაწესება შეუძლებელია, წარმოების ხელში ჩაგდება ანარქიას გამოიწვევს, ეს ნიშნავს თითქოს სოციალიზმს ვანხორციელებდეთ, რაც შეუძლებელია დღევანდელ პირობებში. არ უნდა ვიკვებებოდეთ ილუზიებით — ვითომ ჩვენ შეესძლებთ სოციალური რევოლუციის დაწყებას მაშინ, როცა დასავლეთ ევროპაში, კაპიტალიზმი მძვინვარებს“[1]. ამავე დროს იგი ამტკიცებდა, რომ მუშათა კონტროლი მეწარმეთა მხრივ ლოკაუტს გამოიწვევს, მუშებს მოუხდებათ თვით გაუძღვენ წარმოებას, მათ კი საამისო ძალა არ შესწევთო[2]. წარმოებაზე მუშათა კონტროლს მენშევიკები „პოლიტიკურ სპეკულაციას“, „დეკრეტულ სოციალიზმს“ უწოდებდნენ და ცდილობდნენ ძირი გამოეთხარათ მისი განხორციელებისათვის.

ბოლშევიკებმა ენერგიული ბრძოლის შედეგად შეძლეს ზოგიერთ წარმოებაში მუშათა კონტროლი დაეწესებინათ. თბილისში—არსენალსა და ელექტროსადგურში, ბათუმში—პითოევის ჭურვისდამამზადებელ ქარხანაში, ჭიათურის და ტყიბულის მაღაროებში მუშათა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები უდიდეს როლს ასრულებდნენ. ისინი წარმოადგენდნენ ბოლშევიკების დასაყრდენ პუნქტებს მუშათა მასების დარაზმვის საქმეში. ისინი აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ მეწარმეთა თვითნებობას, სათავეში ედგნენ მუშათა მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეს, იცავდნენ შრომის დისციპლინას და სხვ. ეს იყო კომუნისტების მიერ წამოწყებული უდიდესი მნიშვნელობის პრაქტიკული საქმე, რომელიც თავის შედეგებს იძლეოდა არა მარტო იმით, რომ კაპიტალისტების თვითნებობას წინ ეღობებოდა და მუშათა ცხოვრების კოლექტიური რეგულაციის საშუალებებს იძლეოდა, არამედ იმითაც, რომ მუშათა შორის ნერგავდა კაპიტალის ფრონტისადმი კოლექტიური—ორგანიზებული შეტევის უტყუარი წარმატების რწმენას.

* * *

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოში, ისე როგორც რუსეთისა და ამიერკავკასიის

[1] გაზ. „ერთობა“, № 74, 17 ივნისი, 1917 წ.
[2] იქვე.

წარმოება-დაწესებულებებში, ფართო მოძრაობა გაიშალა პროფკავშირული ორგანიზაციების აღდგენა-შექმნისათვის. რეაქციის შავბნელ წლებში დათრგუნვილი პროფკავშირული მოძრაობა კვლავ აღორძინებას იწყებდა. მარტის თვეში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის მთელ რიგ წარმოება-დაწესებულებებში დაიწყო პროფკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალიბება. თბილისში პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის პირველი თაოსნობა მბეჭდავ მუშებს ეკუთვნით. 12 მარტს თბილისში ჩატარდა მბეჭდავ მუშათა კრება, რომელსაც 400 კაცი ესწრებოდა, აქ მუშებმა გამოთქვეს რწმენა, რომ „მხოლოდ გაერთიანებული ძალებით მუშათა კლასი გააუმჯობესებს თავის მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობას თანამედროვე საზოგადოებაში და მიაღწევს ხალხების სრულ განთავისუფლებას კაპიტალიზმის ჩაგვრისაგან"[1]. კრებამ აირჩია კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა პროფესიული საზოგადოების წესდების გამომუშავება. მალე ასეთი ხასიათის კრებები თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის წარმოებასა და დაწესებულებაში ჩატარდა.

მაისში თბილისში მოეწყო პროფკავშირის ცენტრალური ბიურო, აგვისტოს დასაწყისისათვის მარტო თბილისში არსებობდა 31 პროფკავშირი, რომელიც 30 ათას მუშას აერთიანებდა.

ქართველი მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა პროფესიულ ორგანიზაციებში თავიანთი გავლენა უზრუნველეყოთ. პირველ ხანებში მათ ეს შეძლეს. მოკალათდნენ რა პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში, მენშევიკებმა განიზრახეს პროფკავშირი გადაექციათ „ნეიტრალურ" ორგანიზაციად, ხელიდან გამოეცალათ მისთვის მუშათა კლასის პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის რეალური საშუალებანი. პროფკავშირების მოღვაწეობის უმთავრეს ამოცანად მენშევიკები სატარიფო ხელშეკრულებების მოგვარებას, მომრიგებელი კამერების მუშაობას და სხვა წვრილმან საკითხებს თვლიდნენ. მენშევიკები პროფკავშირული მოძრაობის საუკეთესო მაგალითს ხედავდნენ ინგლისურ ტრედუნიონებში, რომელიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ყველაზე მეტად არის დახელოვნებული მუშათა კლასის მოტყუების საქმეში.

კავკასიის პროფკავშირთა სამხარეო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა თბილისში 26—31 დეკემბერს, მენშევიკი ა. ხელაძე ამბობდა: „ინგლისის ტრედუნიონები შეიძლება დავსახოთ კაპიტალისტების წინააღმდეგ მუშების მოხერხებული ბრძოლის მაგა-

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 3, 13 მარტი, 1917 წ.

ლითის მაჩვენებლად. ისინი გაფიცვას ძლიერ იშვიათად მიმართავენ, მაგრამ მიზანს მაინც აღწევენო"[1].

პროფესიული მოძრაობის ფართოდ გაჩაღებას სერიოზული ყურადღება მიაქცია კომუნისტურმა პარტიამ. კომუნისტები სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლაში პროფესიულ კავშირებს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები სათავეში უნდა ჩადგომოდნენ მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს. მათ კომუნისტურ პარტიასთან ერთად უნდა ეკისრათ წარმოებაში მუშათა კონტროლის შემოღებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა.

ბოლშევიკების სისტემატური პროპაგანდისტულ-საგიტაციო მუშაობის შედეგად წარმოებაში იქმნებოდნენ ბოლშევიკური უჯრედები. პროფკავშირების გამგეობაში მუშებს შეჰყავდათ ბოლშევიკები და წარმოებაზე თავიანთ კონტროლს აწესებდნენ.

პროფკავშირებში კომუნისტური გავლენის ზრდა განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა შემოდგომაზე. ელექტრონზე მომუშავეთა, მეტყავეთა, მეთამბაქოეთა, ლითონზე მომუშავეთა და ნემსით მომუშავეთა პროფკავშირებში გაძლიერდა ბოლშევიკების გავლენა. ტყავზე მომუშავეთა პროფესიული ორგანიზაციის გამგეობის სექტემბრის არჩევნებში ბოლშევიკებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. გამგეობაში არჩეული 14 წევრიდან 9 ბოლშევიკი აღმოჩნდა. გამგეობის პასუხისმგებელ მდივნად ბოლშევიკი აირჩიეს.

* * *

მენშევიკების არაერთგზისმა ცდამ—დაერწმუნებინათ მუშები ხელი აეღოთ გაფიცვებზე, შედეგი ვერ გამოიღო. აპრილის ბოლო რიცხვებიდან საქართველოში უკვე დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა.

პირველი გაფიცვა თბილისში ადელხანოვის ფაბრიკასა და სამრეცხაო-სამღებრო ქარხნებში მოხდა. საწარმოთა პატრონები მონურ პირობებში ამუშავებდნენ მუშებს (მუშებს შორის ქალები ჭარბობდნენ) და გასამრჯელოდ მხოლოდ გროშებს აძლევდნენ, რომლითაც მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაც კი შეუძლებელი იყო.

ქარხნების გაფიცულმა მუშებმა მოითხოვეს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, სამუშაო დღის ნორმირება, ხელფა-

---

[1] Первая кавказская краевая конференция профессиональных союзов, Тифлис, 1918 г., гз. 17.

სის მომატება და სხვ. მეპატრონენი ბოლოს იძულებული გახდნენ მუშებისათვის დაეთმოთ და გაფიცვაც შეწყდა.

საპირველმაისო დღესასწაულის წინა დღეებში ჭიათურის მაღაროს მუშებმა მაღაროს ადმინისტრაციას წარუდგინეს 22 მუხლისაგან შემდგარი მოთხოვნა. მუშები მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, სასწორების კონტროლიორების შეცვლას კეთილსინდისიერი ადამიანებით, აკორდების გაუქმებას, მუშათა მიღება-დათხოვნაზე კონტროლის შემოღებას და სხვ.

მრეწველები პირველ ხანებში ჯიუტობდნენ. მუშებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ გაფიცვა და კიდეც განახორციელეს იგი. მუშათა ასეთი ერთსულოვნება ადმინისტრაციისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ისინი დაფრთხნენ და დათმობა ამჯობინეს. გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

ივნისსა და ივლისში გაფიცვებმა უფრო ფართო ხასიათი მიიღეს. სამეურნეო ნგრევასთან, შიმშილობასთან და მრეწველთა საბოტაჟთან ერთად გაფიცვის მასობრიობას ხელი შეუწყო რუსეთის უდიდეს სამრეწველო ცენტრებში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობამ.

ივნისის ბოლო რიცხვებში გაიფიცნენ თბილისის კლუბებისა და რესტორნების მოსამსახურეები. მათ ელექტროსადგურის მუშებმა დაუჭირეს მხარი. ამავე თვეში სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის ხელმძღვანელობით გაფიცვები დაიწყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, დანდუროვის, ჩილინგაროვის, პოპოვისა და როტინოვის სავაჭროებში.

ივნისის ბოლო რიცხვებში თბილისში გაიფიცნენ პურისმცხობელი მუშები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 29 ივნისის სხდომაზე განიხილა საკითხი პურისმცხობელთა გაფიცვის შესახებ. კომიტეტმა გაფიცვას მხარი არ დაუჭირა. მუშებს მოუწოდა დაეწყოთ მუშაობა[1].

სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში წარმოებებსა და დაწესებულებებში გაფიცვები ხშირი და ხალხმრავალი გახდა. გაიფიცნენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები. გაფიცულ მუშებს ენერგიულ დახმარებას უწევდნენ ის პროფესიული კავშირები, სადაც ბოლშევი-

---

[1] გაზ. „Известия Тифлисского Совета Рабочих и Солдатских депутатов", № 77.

კების გავლენა სჭარბობდა. მაგალითად, თბილისის გაიდამაკინის კონვერტის ფაბრიკაში მთელი სამი თვის განმავლობაში გრძელდებოდა შეუპოვარი ბრძოლა მეპატრონეებსა და მუშებს შორის, „გაფიცვა უკვე გრძელდება 3 თვეს,—წერდა გაზეთი „ბრძოლა" ამ ფაბრიკის მუშათა შესახებ,—ამ ხნის განმავლობაში პროფესიული კავშირი აძლევს დახმარებას გაფიცულებს, რაც შესაჭნევად დაანდა კავშირის ისედაც ღარიბ ქონებას. ბ-ნი გაიდამაკინი კი, როგორც ჩანს, სრულებით იზიარებს რუსეთის იმ მრეწველთა ტაქტიკას, რომლებიც განგებ ხურავენ ქარხნებს, რომ ამნაირად სისრულეში მოიყვანონ რიაბუშინსკის მიერ წარმოთქმული სიტყვები ვაჭარ-მრეწველთა სიეზდზე—„შიმშილის გამხმარი ხელები ჩაახშობს რევოლუციას"[1].

სექტემბერში ბაქოში ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით ჩატარდა გრანდიოზული გაფიცვა, რომელიც პროლეტარიატის გამარჯვებით დამთავრდა. ბაქოს თბილისიც გამოეხმაურა.

ოქტომბერში თბილისში გაიფიცნენ ხე-ტყის სახერხი ქარხნის, თამბაქოს ფაბრიკის მუშები, აფთიაქის მუშა-მოსამსახურეები, საბალნო სახლის მომსახურე პერსონალი და სხვ.

სექტემბერში რუსეთის რკინიგზაზე იფეთქა საყოველთაო გაფიცვამ, რამაც ამიერკავკასიის რკინიგზელ მუშათა ფართო გამოხმაურება და მხარდაჭერა პოვა. დაიწყო მზადება გაფიცვისათვის, მაგრამ მენშევიკებმა და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა გაფიცვის საწინააღმდეგოდ ენერგიული აგიტაცია გააჩაღეს. ქუთაისის რკინიგზის ადგილობრივმა აღმასრულებელმა მენშევიკურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება „ყოველგვარი ეკონომიური გაფიცვა ასეთ მძიმე დროს ჩაითვალოს დამღუპველად და დაუშვებლად. რეკომენდირებული გაფიცვა არ ითვალისწინებს მომენტს, ამიტომ მას არ შეიძლება დაეთანხმოს რკინიგზის შეგნებული დემოკრატია"[2].

მენშევიკებმა და სხვა შემთანხმებლურმა პარტიებმა მიაღწიეს იმას, რომ ჩაშალეს ამიერკავკასიის რკინიგზელთა მონაწილეობა რუსეთის რკინიგზელთა საყოველთაო გაფიცვაში.

საქართველოს მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელობას კომუნისტური ორგანიზაციები ახორციელებდნენ. კომუნისტები სათავეში ედგნენ მუშათა საგაფიცვო კომიტეტის

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 16, 17 სექტ., 1917 წ.

[2] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლ. ცენტრ. სახელმწ. არქივი, ფონდი 22, საქმე № 5582, ფურცელი 21—22.

საქმიანობას, ისინი ცხოველ მონაწილეობას იღებდნენ წარმოების მეპატრონეთათვის წარსადგენი მოთხოვნების შემუშავებაში, ატარებდნენ წინასწარ მუშაობას, რათა გაფიცვას მტკიცე ორგანიზებული ხასიათი ჰქონოდა. კომუნისტები პირადი მაგალითით ნერგავდნენ შეუპოვრობის ჩვევებს გაფიცულთა შორის, ამავე დროს მეთაურობდნენ გაფიცულთა ურთიერთდახმარების ორგანიზაციის საქმეს.

საგაფიცვო მოძრაობაში კომუნისტ მუშებს შეჰქონდათ პოლიტიკური მოთხოვნები. ისინი მუშებს განუმარტავდნენ, რომ შეუძლებელია მეწარმეთა თვითნებობის ალაგმვა მანამ, ვიდრე არსებობს ბურჟუაზიული ხელისუფლება. მუშების ამოცანა პირველ რიგში უნდა იყოს მთელი ხელისუფლების გადაცემა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსათვის, საბჭოდან შემთანხმებლური პარტიების განდევნა და მისი შევსება კომუნისტებით.

კომუნისტი მუშების აგიტაციას საუკეთესო შედეგები მოჰყვა. ოქტომბრის თვეში საგაფიცვო მოძრაობამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

იგი თავს იჩენდა ხოლმე როგორც თბილისის წარმოებებსა და დაწესებულებებში, ისე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამასთანავე აღსანიშნავია ფრიად საყურადღებო მოვლენა: თუ აქამდე მუშათა გაფიცვები ეკონომიურ ხასიათს ატარებდნენ, ოქტომბერ-ნოემბერში უკვე იწყება მობრუნება. გაფიცვები თანდათან იღებდნენ პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ხ ა ს ი ა თ ს. ჯერ კიდევ სექტემბერში თამბაქოს ფაბრიკების მუშებმა თავიანთ საერთო კრებაზე ერთსულოვნად მოითხოვეს თბილისის საბჭოსაგან თამბაქოს ფაბრიკების კონფისკაცია იმ შემთხვევაში, თუ ფაბრიკების ადმინისტრაცია გაეინიანდება და ანგარიშს არ გაუწევს მუშათა მოთხოვნებს.

პოლიტიკური მოთხოვნები საქართველოს მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში ძირითად ადგილს იკავებს რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

4. ქართველი უღარიბესი გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობა თავის 6 მარტის მოწოდებაში დაპირებას იძლეოდა განეხორციელებინა ხალხის მისწრაფებანი, მაგრამ იგი ერთ სიტყვასაც არ ამბობდა გლეხო-

ბისათვის მიწის გადაცემის შესახებ, რაც მათთვის სასიცოცხლო საკითხს წარმოადგენდა. დროებითი მთავრობა თავისი კლასობრივი შემადგენლობითა და ხასიათით მოწოდებული იყო მიწები მემამულეებისათვის შეენარჩუნებინა. ეს ნათლად გამოაშკარავდა მთავრობის არსებობის პირველსავე დღეებში, როცა მან განკარგულება გასცა დაესაჯათ ყაზანელი გლეხები მემამულეთა წინააღმდეგ გამოსვლის გამო.

ბურჟუაზიულ მთავრობას თავისი არსებობის მანძილზე პრაქტიკულად არ განუხორციელებია არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გლეხობის სასარგებლოდ. იგი „სოციალისტი" მინისტრების ხელით მიწის საკითხზე აცხობდა ათასგვარ პროექტებს, რომელთა მიზანი იყო გლეხებისათვის თვალის ახვევა და მემამულეთა ინტერესების ფარული დაცვა.

ლიტონი დაპირებებითა და ბრჭყვიალა პროექტებით კი გლეხობის მოტყუილება ადვილი როდი იყო. ორი რევოლუციის მანძილზე გლეხობა უფრო და უფრო ნათლად რწმუნდებოდა, რომ ბურჟუაზიაზე, კადეტებსა და ესერებზე დაყრდნობა მას ვერაფერს მისცემდა.

ეხებოდა რა 1917 წ. თებერვალ-ოქტომბერში გლეხთა გარევოლუციურების პროცესს, ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „ამ პერიოდის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს გლეხობის შემდგომი გარევოლუციურება, ესერებზე დამყარებული იმედების გაცრუება, გლეხობის ჩ ა მ ო ც ი ლ ე ბ ა ესერებისაგან, გლეხობის ახალი შ ე მ ო ბ რ უ ნ ე ბ ა პროლეტარიატის, როგორც ისეთი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური ძალის, გარშემო პ ი რ დ ა პ ი რ ი დ ა რ ა ზ მ ვ ი ს ა კ ე ნ, რომელსაც შეეძლო ზავამდე მიეყვანა ჩვენი ქვეყანა. ამ პერიოდის ისტორია არის ისტორია ესერების (წვრილბურჟუაზიული დემოკრატია) და ბოლშევიკების (პროლეტარული დემოკრატია) ბრძოლისა გლეხობისათვის, გლეხობის უმრაველესობის მიმხრობისათვის. ამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს კოალიციურმა პერიოდმა, კერენშჩინის პერიოდმა, ესერებისა და მენშევიკების მიერ უარის თქმამ მემამულეთა მიწის კონფისკაციაზე, ესერებისა და მენშევიკების ბრძოლამ ომის განგრძობისათვის, ივნისის შეტევამ ფრონტზე, ჯარისკაცებისათვის სიკვდილით დასჯის შემოღებამ, კორნილოვის აჯანყებამ"[1].

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ საქართველოში გლეხობის მდგომარეობა უცვლელი დარჩა.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 150.

სახნავ-სათეს მიწებს, ტყეს, საძოვრებს ფლობდნენ მემამულეები, რომელთაც წინანდელი პრივილეგიები კვლავ შერჩათ, უმიწაწყლო გლეხობა იძულებული შეიქნა ისევ მემამულეებისათვის მიემართა და მიწის დამუშავების უფლება კაბალურ პირობებში მოეპოვებინა.

„თბილისის, ელიზავეტპოლის, ბაქოს გუბერნიებში, — წერდა ი. ბ. სტალინი 1918 წ. ამიერკავკასიის შესახებ, — დღემდე ბლომად არიან მებატონე თათარი ბეგები და ფეოდალი ქართველი თავადები, რომლებიც უზარმაზარ ლატიფუნდიებს ფლობდნენ. სპეციალური შეიარაღებული ბანდები ჰყავთ და ხელში უპყრიათ თათარ-სომეხ-ქართველ გლეხთა ბედი“[1].

ყაჩაღური ომი, რომლის გაგრძელებას დაჟინებით მოითხოვდნენ ბურჟუაზიული მთავრობა და მისი დამქაში მენშევიკები, სოფელზე გამანადგურებელ გავლენას ახდენდა. სოფლებში არ მოიპოვებოდა ჯანსაღი მუშახელი. ხშირად ის მცირეოდენი ნაკვეთიც კი, რაც გლეხის განკარგულებაში იყო, დაუმუშავებელი რჩებოდა. სურსათის, სამრეწველო საქონლის მკვეთრი ნაკლებობა იგრძნობოდა ყოველ ნაბიჯზე. განსაკუთრებით მძიმე იყო ღარიბი გლეხობის მდგომარეობა.

ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი გლეხობის საკითხში, ისევე როგორც ყოველგვარ საქმეში, მტკიცედ ატარებდა დროებითი მთავრობის რეაქციულ-მემამულურ ხაზს.

რევოლუციის პირველ დღეებში გლეხებს იმედი ჰქონდათ, რომ მემამულეებთან კონფლიქტის შემთხვევაში მათ ინტერესებს ახალი მთავრობა დაიცავდა. ისინი განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე გზავნიდნენ თხოვნის ბარათებს, სადაც აღწერილი იყო მემამულეთა თვითნებური, უკანონო მოქმედებანი. გლეხები თხოვდნენ მთავრობას საქმეში ჩარეულიყო და მემამულეები აელაგმა. მაგრამ ამ თხოვნას არავითარი ფასი არ ჰქონდა. განსაკუთრებული კომიტეტი მათ ზოგჯერ სრულებით არ აქცევდა ყურადღებას, ხოლო ზოგჯერ თავის წარმომადგენელს თუ გზავნიდა, იმისათვის, რომ ხალხი დაპირებებით დაემშვიდებინა. გლეხების თხოვნათა სიხშირით თავმობეზრებული განსაკუთრებული კომიტეტი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების სახელზე დირექტივებს გზავნიდა და მათ ავალებდა ჩაეტარებინათ მუშაობა სოფლად ხალხის დასამშვიდებლად. მაგალითად: ბორჩალოს რაიონის სოფ. ციცკლას გლეხების თხოვნა—მიეცათ მათთვის მემამულეთა მიერ უკანონოდ მითვისებული მიწები „ოზაკომმა“ არ შეიწყნარა, ხოლო ბორჩალოს რაი-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 56.

ონის აღმასრულებელ კომიტეტს 1917 წ. 5 ივნისის თარიღით გაუგზავნა შემდეგი განკარგულება:

ბორჩალოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს.

კომიტეტს ვთხოვ მოახდინოს განკარგულება, გამოუცხადოს ბორჩალოს რაიონის არხანლინსკის საზოგადოების სოფ. ციცკლის მცხოვრებთ მათ მიერ ა. წ. 30 მაისს შეტანილი თხოვნის საპასუხოდ, რომ კერძომფლობელობითი მიწების გლეხთა საზოგადოებების ხელში გადაცემა შეადგენს დამფუძნებელი კრების კომპეტენციას და ამიტომ მათი შუამდგომლობა არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას. ამასთანავე, კომიტეტს ვთხოვ მიავლინოს თავისი წარმომადგენელი, რათა დაარწმუნონ ხსენებული გლეხები, რომ რუსეთის ყველა მოქალაქის მოვალეობას წარმოადგენს დაიცვას სახელმწიფო წესრიგი, თავი შეიკავოს თვითნებობიდან, თვითნებური დატაცებისაგან და დაუცადოს დამფუძნებელ კრებაზე მიწის საკითხის გადაწყვეტასო.

ეს განკარგულება ტიპიური დოკუმენტია. მასში ნათლად მოჩანს გლეხობისადმი ბურჟუაზიული მთავრობის დამოკიდებულების პოლიტიკა.

რევოლუციისაგან ღარიბი გლეხი მიწას და თავისუფლებას მოელოდა, მაგრამ სინამდვილეში ვერც ერთი ვერ მიიღო. სოფლის ბურჟუაზია—კულაკობა წინანდებურად სწოვდა მას სისხლს. ღარიბ გლეხს აღარ შეეძლო მეტის მოთმენა, დამფუძნებელი კრებისათვის ლოდინი, რადგან ხვნა-თესვა კარზე იყო მომდგარი. უმიწაწყლო გლეხობამ დაიწყო მემამულეთა მიწების თვითნებური მითვისება და დამუშავება.

აპრილის დამდეგს სიღნაღისა და თბილისის მაზრებში დაიწყო სახაზინო ტყეების მასობრივი გაჩეხვა. ბორჯომის ტყეებში (რომელიც შეადგენდა მიხეილ ნიკოლოზის-ძის საკუთრებას მაიორატის უფლებით) გლეხებმა ხელი მიჰყვეს საშენი მასალების დამუშავებას, ნადირობას.

თავ. ციციანოვის „საციციანოს მთის“ სახელწოდების მამულში ხიზანთა პირობებში მცხოვრებმა გლეხებმა, რომელთაც 70 ათასი ჰექტარი მიწა ეკავათ, უარი განაცხადეს ეხადათ ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ. მათ მამულიდან გააძევეს ადმინისტრაცია და დაკავებული მიწები თავიანთ საკუთრებად გამოაცხადეს.

გორის მაზრაში გლეხებმა მიწები წაართვეს ერისთავებს. აქვე მათ მამულებიდან გააძევეს კულაკი-მოიჯარადრენი, რომელნიც

ღარიბ გლეხებზე იჯარით მიწას კაბალურ პირობებში აქირავებდნენ.

გლეხთა ერთსულოვანი მასობრივი მოქმედების ფაქტებს ადგილი ჰქონდა დუშეთის მაზრაში, ქუთაისის გუბერნიის მრავალ სოფელში.

მიწების დატაცებისას სოფლის ღარიბი მოსახლეობა ერთსულოვნად გამოდიოდა მემამულეებისა და ხელისუფლების ღონისძიებათა საპასუხოდ, კოლექტიური წინააღმდეგობის ხერხს მიმართავდა. გაზ. „კავკაზსკი რაბოჩში“ დაბეჭდილია ასეთი ცნობა: „ამას წინათ ბორჩალოს რაიონში გლეხ თათართა მიერ მითვისებულ იქნა მემამულეთა მიწები.

დაზარალებულმა მემამულეებმა არაერთხელ მიმართეს სამაზრო კომისარიატს წინადადებით დაუყოვნებლივ დაეპატიმრებიათ დამტაცებელთა მეთაურები.

გაგზავნილ იქნა რაიონული კომისარი 50 შეიარაღებული მილიციონერის და მოხალისის თანხლებით.

ამ სოფლის მოქალაქეებმა უარი სთქვეს გაეცათ მეთაურები იმ მოტივით, რომ მიწები დატაცებულია არა ცალკეულ პირთა მიერ, არამედ ამ სოფლის ყველა გლეხის მიერ.

კომისარმა არ დაუჯერა და დაჟინებით მოითხოვა მეთაურთა გაცემა.

მაშინ ყველა გლეხმა, თავიანთი ბავშვებითა და ცოლებით, თავი მოიყარეს კომისრის გარშემო და განუცხადეს მას: ჩვენ არ გვყავს მეთაურები. თუ გსურთ დამტაცებელთა დაპატიმრება, მაშინ ყველა ჩვენ დაგვაპატიმრეთ, ჩვენი ბავშვები და ცოლები, რადგან ეს მიწები დატაცებულია ჩვენი სოფლის ყველა გლეხის მიერ (ხაზი ჩემია—ა. ს.).

რაიონული კომისარი გაჩუმდა. იგი წავიდა, რომ მოახსენოს თავის უფროსს დამტაცებელ თათართა ამ გმირული გამოსვლის შესახებ“[1].

მემამულეები და სოფლის ბურჟუაზია გლეხთა ერთსულოვანი თვითნებური მოქმედებით შეშფოთებული იყვნენ. ისინი თხოვდნენ განსაკუთრებულ კომიტეტს, საგუბერნიო კომისარიატს მიეღოთ ენერგიული ზომები გლეხების ალაგმვისათვის.

თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის სახელზე გაგზავნილ თხოვნაში აღნიშ-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 165, 5 ოქტომბერი, 1617 წ.

ნავდა, რომ „მიწათმფლობელთა და გლეხთა შორის არსებული მეზავეე ურთიერთობა მოსალოდნელია გადაიქცეს დიდ სახელმწიფო უბედურებად... ჩვენ ვთხოვთ ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტს მოაწყოს მთავრობის დახმარება იმ მიმართულებით, რომ მიწათმფლობელებმა მიიღონ კუთვნილი წილი მოსავლიდან და მიწის საიჯარო გადასახადი თავიანთი საკუთარი მიწებიდან, რომლებიც გლეხების სარგებლობაშია“.

მემამულეები თავის საჩივრებში აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ მთავრობას გაეუქმებინა სოფლის საგლეხო კომიტეტების დადგენილებანი, გაეგზავნა სოფლად შეიარაღებული ძალა გლეხების „დასამშვიდებლად“.

განსაკუთრებული კომიტეტი სრულებითაც არ ერიდებოდა, რამდენადაც ძალა შესწევდა, მიეღო გლეხების მიმართ საგანგებო ღონისძიებანი. თავის არაერთგზის მოწოდებებთან, ახსნა-განმარტებებთან და დაპირებებთან ერთად იგი შეიარაღებული ძალების გამოყენებასაც მიმართავდა[1].

განსაკუთრებული კომიტეტი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო კომისრების სახელზე დაგზავნილ დირექტივაში გლეხთა მიერ მიწა-წყლის ხელში ჩაგდებისა და ტყეების თვითნებური გაჩეხვის შესაჩერებლად მოითხოვდა შეიარაღებული ძალების გამოყენებას.

„კანონის მთელი სისასტიკით დევნილ იქნან ის პირნი, რომელნიც დანაშაულს ჩაიდენენ თვითნებური მოქმედებით“—ნათქვამია ამ დირექტივაში, რომელსაც აზის ა. ჩხენკელის ხელმოწერა. კომიტეტის დირექტივებს პირნათლად ასრულებდნენ საგუბერნიო და სამაზრო კომისრები. ბორჩალოს მაზრის კომისარი კალესნიკოვი განსაკუთრებულ კომიტეტს ატყობინებდა: „მაზრის მოსახლეობა ყველგან შეიარაღებული ძალით ეუფლება კერძო მესაკუთრეთა მიწებს და საზამთრო საძოვრებს. ის არავითარ ანგარიშს არ უწევს დროებითი მთავრობის განკარგულებას, დარწმუნება მასზე არ მოქმედებს. ადგილობრივი ძალებით ამ მოვლენის წინააღმდეგ ვერაფერს გავხდებით, საჭიროა სამხედრო ნაწილების დაჩქარებით გამოგზავნა“[2] (ხაზი ჩემია—ა. ს.).

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს 2 მაისის სხდომაზე განიხილა

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახელმწიფო არქივი, ფონდი 41 საქმე № 13, ოხაკომის სხდომათა ოქმები.

[2] აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს ოქმები. 1917 წ. 2 მაისი.

ბორჩალოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ მაზრაში განლაგებული საკავალერიო ნაწილი მიემგზავრება და კომიტეტი თხოულობს მაზრა არ იქნეს დატოვებული სამხედრო ნაწილების გარეშე[1]. ცხადია, სამხედრო ნაწილები აქ საჭირო იყო გლეხების წინააღმდეგ მოქმედებისათვის. ბიუროომ გამოიტანა დადგენილება აღძრას შუამდგომლობა მაზრაში სხვა ნაწილის გადაყვანის შესახებ.

როგორი იყო აგრარულ საკითხში მენშევიკების მიერ აღებული ხაზი?

ისევე როგორც რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში, აქაც მენშევიკები ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკას იზიარებდნენ.

მენშევიკები გლეხობას უჩიჩინებდნენ — ხელი აეღოთ ყოველგვარ თვითნებურ მოქმედებაზე და ეცადნათ, ვიდრე აგრარულ საკითხს დამფუძნებელი კრება გადაწყვეტდა. დამფუძნებელ კრებამდე კი მენშევიკები გლეხობას, ისევე როგორც მუშებს, სთავაზობდნენ ე. წ. მომრიგებელ კამერებს, რომელთაც მხარეთა შორის კონფლიქტი უნდა გადაეწყვიტა. გლეხთა საკითხი უნდა გადაიჭრას აგრეთვე შეთანხმებით, ე. ი. შეიქმნას სოფლებში მომრიგებელი კამერები, რომლებიც გადაწყვეტს ყოველგვარ უთანხმოებას, წარმოშობილს მიწის საკითხის გარშემო. რაც შეეხება მიწის კონფისკაციის საკითხს, იგი საბოლოოდ გადაწყვეტილი იქნება დამფუძნებელ კრებაზე,—ამბობდა ნ. ჟორდანია 18 მარტს თავის მოხსენებაში საბჭოების სამხარეო ყრილობაზე.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ როგორ წყვეტდნენ ისინი მუშათა საკითხს. ასეთსავე მისიას აკისრებდა მათ ჟორდანია სოფლადაც. ეს იყო გლეხობის დაპირებებით მოტყუება და თვალის ახვევა, სოფლად აგრარული მოძრაობის მიყუჩებისა და მემამულეთა ინტერესების დაცვის მიზნით.

1917 წ. 19 ივნისს თბილისში გაიხსნა გლეხთა სამხარეო ყრილობა, რომლის ხელმძღვანელობა ხელთ იგდეს მენშევიკებმა. ყრილობაზე ისინი თავგამოდებით იცავდნენ მიწის მუნიციპალიზაციის პროგრამას. „მე არ შემიძლია დაგიმალოთ, რომ ის, რასაც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები გპირდებით მიწის საკითხის გადასაჭრელად, ე .ი. მუნიციპალიზაცია მიწისა, არ არის სამოთხე, მაგრამ უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დღეს კაპიტალიზმის ხანაა და სხვა უფრო რადიკალური ზომა მიწათმფლობელობის მოსაგვარებლად არ შეიძლება იყოს"[1]—ასე იხდიდა ბოდიშს ყრილობაზე აგ-

---

[1] გაზ. „ერთობა", № 81, 25 ივნისი, 1917 წ.

რარული საკითხის შესახებ მომხსენებელი მენშევიკი კ. გვარ-ჯალაძე.

ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია გლეხობას პირდებოდა ზოგიერთ შეღავათს, მაგრამ მათი მოგვარება ჩვენთვის ცნობილ მომრიგებელ კამერებს და საადგილმამულო კომიტეტებს ჰქონდათ მინდობილი.

„ცარიელი მინდვრების და სახნავი მიწების შესახებ ყველა საკითხს სწყვეტს მომრიგებელი კამერები. იმ საკითხებს კი, რომლებიც დაკავშირებულია მიწის დამუშავება-დათესვასთან, არჩევს საადგილ-მამულო კომიტეტები“[1], — ნათქვამი იყო ამ რეზოლუციაში.

მენშევიკები ხელს უწყობდნენ აგრეთვე სოფლის ბურჟუაზიას, რათა იგი არ დაზარალებულიყო საიჯარო ქირის მიღების საქმეში. რეზოლუცია აღნიშნავდა: „იჯარის ფულის გადახდა უნდა დარჩეს დამფუძნებელ კრებამდეო“[2].

ყრილობამ აირჩია გლეხთა სამხარეო საბჭო, რომელიც თითქმის მთლიანად მენშევიკური აღმოჩნდა. საბჭომ ადრე გამონახა საერთო ენა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტთან და სავსებით გაიზიარა გლეხობის „დაწყნარების“ საქმეში მის მიერ აღებული ხაზი.

გლეხთა სამხარეო საბჭო გულგრილად ეკიდებოდა გლეხთა საჩივრებსა და მოთხოვნებს, აძლევდა მათ რჩევას დაეცადათ დამფუძნებელ კრებამდე. საკითხის გამწვავების შემთხვევაში კი საბჭო ყოველთვის მემამულეთა მხარეზე იყო. ეხებოდა რა გლეხთა დეპუტატების საბჭოს გულგრილობას ახალქალაქის გლეხობის შევიწროების საქმეში, გაზ. „ბრძოლა“ წერდა: „ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი სავსებით გამოხატავს და იცავს მემამულეების ინტერესებს, ე. ი. იგი ემსახურება კონტრრევოლუციონურ კლასს. იგი წინააღმდეგია არა მარტო იმისა, რომ მიწები გლეხობის ხელში გადავიდეს, არამედ იმისაც კი, რომ გლეხებს რაიმე შეღავათი მიეცეს მემამულის მხრით რაიმე შევიწროებისაგან. თავისთავად იგულისხმება, რომ აქ გასაკვირალი არაფერია, ვინაიდან ამიერკავკასიის კომიტეტი კოალიციური სამინისტროს ორგანოა, და ასრულებს იმას, რასაც მას მთავრობა უბრძანებს. მაგრამ გასაკვირალია მეორე გარემოება, სახელდობრ ის, რომ გლეხთა დეპუტატების საბჭო, რომელიც ვალდებულია გლეხების ინტერესი დაიცვას, ამ საქმეში პილატესავით ხელს იბანს, თითქოს ეს მას არ

---

[1] გაზ. „ერთობა“, № 83, 28 ივნისი, 1917 წ.

[2] ი ქ ვ ე.

ეხებოდეს. ეს საბჭო, როგორც ჩანს, საკუთარი შეუბოჭავს და თავისი გავლენისათვის დაუმორჩილებია დროებითს მთავრობას, რომელიც კაპიტალისტების და მემამულეების ინტერესებს ემსახურება"[1].

ქართველი მენშევიკები ზოგჯერ ბურჟუაზიულ მთავრობაზე მეტ აქტივობასაც იჩენდნენ. ნათლავდნენ რა ხულიგნურ მოქმედებად გლეხობის რევოლუციურ მოძრაობას, ისინი მოითხოვდნენ ყოველგვარი საშუალებით ბრძოლას ამ მოძრაობისა და მისი ორგანიზატორების წინააღმდეგ.

...ყოველგვარი ხელმისაწვდომი საშუალებებით გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს იმათ, ვინც სოფლის ბნელ ხალხს აქეზებს ასეთი ხულიგნური გამოსვლებისათვისო—იმუქრებოდა თბილისის მენშევიკური საბჭოს ორგანო „იზვესტია..."

საქართველოს მშრომელი გლეხობა კარგად ხედავდა, თუ როგორ ღალატობდნენ მას მენშევიკები და ესერები. ამიტომ იგი ზურგს აქცევდა მათ და ირაზმებოდა იმ პარტიის დროშის ქვეშ, რომელიც ნამდვილად იყო დაინტერესებული მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებისათვის.

ი. ბ. სტალინი ნათლად გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვიეს გლეხობის მშრომელი ნაწილის მასობრივი მობრუნება პროლეტარული რევოლუციისაკენ:

„კერენშჩინის პერიოდი უდიდესი საგნობრივი გაკვეთილი იყო გლეხობის მშრომელი მასებისათვის, ვინაიდან მან თვალსაჩინოდ ცხადჰყო, რომ ესერების და მენშევიკების ხელისუფლების დროს ქვეყანა თავს ვერ დააღწევდა ომს, გლეხობა ვერ ეღირსებოდა ვერც მიწას, ვერც თავისუფლებას, რომ მენშევიკები და ესერები კადეტებისაგან განსხვავდებოდნენ მხოლოდ ტკბილი სიტყვებით და ცრუ დაპირებებით, ნამდვილად კი ატარებდნენ იმავე იმპერიალისტურ, კადეტურ პოლიტიკას, რომ ერთადერთი ხელისუფლება, რომელსაც უნარი შესწევს ქვეყანა გზაზე დააყენოს, შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოების ხელისუფლება. ომის შემდგომი გაჭიანურება მხოლოდ ადასტურებდა ამ გაკვეთილის სისწორეს, აჩქარებდა რევოლუციას და მიიქანებდა გლეხთა და ჯარისკაცთა ძილიონნიან მასებს პროლეტარული რევოლუციის გარშემო პირდაპირი დარაზმისაკენ"[2].

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 13, 27 აგვისტო, 1917 წ.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 6, გვ. 151—152.

* * *

კომუნისტური პარტია იყო ერთადერთი პარტია, რომელიც გადაჭრით მოითხოვდა რევოლუციური გზით მემამულეთა მიწათმფლობელობის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, გლეხებისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემას. გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის დელეგატებისადმი მიმართულ წერილში ლენინი აღნიშნავდა: „მთელი მიწა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს. მემამულეთა მთელი მიწები გლეხებს უნდა გადაეცეს გამოუსყიდველად. ეს ცხადია. კამათს იწვევს ის გარემოება, საჭიროა თუ არა გლეხებმა ადგილებზე დაუყოვნებლივ აიღონ მთელი მიწა ისე, რომ არ აძლიონ მემამულეებს არავითარი საიჯარო ქირა და არ დაელოდონ დამფუძნებელ კრებას?

ჩვენი პარტია ფიქრობს, რომ ეს საჭიროა, და ურჩევს გლეხებს ადგილებზე ახლავე, რაც შეიძლება ორგანიზებულად, დაეპატრონონ მთელ მიწას, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ქონების გაფუჭება და მთელი ძალ-ღონე მიმართონ იქითკენ, რომ პურისა და ხორცის წარმოება გადიდდეს, რადგან ფრონტზე ღარისკაცები საშინელ გაჭირვებას განიცდიან“[1].

საქართველოს ბოლშევიკები მტკიცედ იცავდნენ და პრაქტიკულად ახორციელებდნენ გლეხობის საკითხში ლენინურ-სტალინურ პროგრამას, რომელსაც უნდა უზრუნველეყო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის პოლიტიკური არმიის მომზადება. საქართველოს ბოლშევიკებმა თებერვალ-ოქტომბრის პერიოდში შეუპოვარი ბრძოლა ჩაატარეს, რათა განეხორციელებინათ პარტიის სტრატეგიული ლოზუნგი—„პროლეტარიატის კავშირი უღარიბეს გლეხობასთან ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის დიქტატურისათვის“[2].

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში პროლეტარიატის მტკიცე და საიმედო მოკავშირის—ღარიბი გლეხობის შესახებ გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი“ წერდა: „რევოლუციის მატარებელი პროლეტარიატის შემდეგ პირველყოვლისა არის გაღატაკებული გლეხობა, მაგრამ იგი რომ რევოლუციას შევუერთოთ, რევოლუციისათვის აქტიური მებრძოლი რომ გავხადოთ, აუცილებელია ახლავე წამოვაყენოთ ღარიბი გლეხობის ყველაზე უფრო მომწიფებული მოთხოვნები“[3]. ამ მოთხოვნებში გაზეთი გულისხმობდა ყველა მი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 412—443.
[2] ი. ბ. სტალინი. თხზ , ტ. 9. გვ. 225.
[3] „Кавказский рабочий“, № 8, 1917 წ.

წის დაუყოვნებლივ კონფისკაციას და ღარიბ გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში მის გადაცემას[1].

საქართველოს ბოლშევიკები ამხელდნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის კონტრრევოლუციურ ხაზს, ნიღაბს ხდიდნენ მენშევიკების, ესერებისა და სხვა ბურჟუაზიული პარტიების „სოციალისტური“ პროგრამის თვალთმაქცურ ბუნებას, გლეხობის მიმაძინებელ პოლიტიკას და ხელმძღვანელობდნენ გლეხებს მემამულეთა კაბალისაგან განთავისუფლების საქმეში.

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის აგრარულ საკითხში სამოქმედო პროგრამას წარმოადგენდა ი. ბ. სტალინის სტატია—„მიწა-გლეხებს“, რომელიც დაიბეჭდა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ 9 მაისის ნომერში. სტატიამ ღარიბ გლეხობაზე უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა.

ფარდას ხდიდა რა დროებითი მთავრობის მემამულურ-კაპიტალისტურ ბუნებას, მიწათმოქმედების მინისტრის შინგარიოვის თვალთმაქცობას გლეხების მიმართ, ი. ბ. სტალინი ამ სტატიაში წერდა:

„...ჩვენ მივმართავთ გლეხებს, მთელი რუსეთის მთელ ღარიბ გლეხობას—თავის საკუთარ ხელში აიღოს თავისი საქმე და წიხ წასწიოს იგი.

ჩვენ მოვუწოდებთ მათ დაირაზმონ გლეხთა რევოლუციურ კომიტეტებში (სათემო, სამაზრო და სხვ.), მათი საშუალებით ხელში ჩაიგდონ მემამულეთა მიწები და თავისი ნებით დაამუშაონ ისიხი ორგანიზებული წესით.

ჩვენ მოვუწოდებთ გააკეთონ ეს დაუყოვნებლივ,—არ დაელოდონ დამფუძნებელ კრებას და ყურადღება არ მიაქციონ მინისტრთა რეაქციულ აკრძალვებს, რომლებიც ხელს უშლიან რევოლუციის ჩარხის ტრიალს“[2].

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიმ“ მოათავსა აგრეთვე ბოლშევიკთა VII (აპრილის) კონფერენციის რეზოლუცია აგრარულ საკითხზე („კავკაზსკი რაბოჩი“, 13 მაისი), ვ. ი. ლენინის—„ჯარისკაცები და მიწა“ („კავკაზსკი რაბოჩი“, 21 მაისი), მისივე—„ღია წერილი გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატებისადმი“ („კავკაზსკი რაბოჩი“, 28 მაისი), მიწის „თვითნებურად დატაცების“ შესახებ („კავკაზსკი რაბოჩი“, 1 ივნისი) და სხვ. ყველა ეს სტატია, რომლებიც ქართველ ბოლშევიკებს გლეხობამდე

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 8, 1917 წ.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 38.

დაჰყავდათ, ააშკარავებდა აგრარულ საკითხში ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისა და მისი დამქაში პარტიების კოაბტრრევოლუციურ საქმიანობას, ასაბუთებდა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მ'ჯიდრო კავშირის აუცილებლობას.

ბოლშევიკების გადამწყვეტი რევოლუციური ღონისძიებანი აგრარულ საკითხში გლეხების უღარიბეს ფენებში ერთსულოვან გამოხმაურებას და მხარდაჭერას პოულობდა. უმიწაწყლო, ღატაკი გლეხობა მტკიცედ ირაზმებოდა ბოლშევიკური დროშის ქვეშ და უფრო გაბედულად, ორგანიზებულად მოქმედებდა.

ამიტომ იყო, რომ ივნისისა და ივლისის თვეებში გლეხთა თვითნებური, მაგრამ ერთსულოვანი მოქმედება, კიდევ უფრო მასობრივი გახდა. თბილისის, თელავის, თიანეთის, ბორჩალოს, გორის მაზრებში უმიწაწყლო გლეხები უარს ამბობდნენ საიჯარო გადასახადებზე და ნაკვეთებს ინაწილებდნენ ურთიერთ შორის. აგრარული მოძრაობის ტალღა ქუთაისის და აფხაზეთის სოფლებს მოედო. უმიწაწყლო გლეხობის თვითნებური მოქმედების საწინააღმდეგოდ, ე. წ. „აგრარულ უწესოებათა" მოსაგვარებლად ოზაკომმა და მენშევიკურ-ესერულმა სამხარეო საბჭომ 'დამსჯელი რაზმები აამოქმედეს.

ბორჩალოს მაზრის მენშევიკურმა ხელისუფლებამ მოითხოვა გლეხების წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა. სიღნაღის გლეხთა აგრარული მოძრაობის დასამშვიდებლად ადგილობრივმა კომისარმა მოითხოვა სამხედრო ნაწილების განლაგება შემდეგ რაიონებში: დედოფლის წყაროზე—400 კაცი, ველისციხეში—100, ლაგოდეხში—100 და სხვ. ერთი ასეული ჯარის გაგზავნას მოითხოვდა თელავის მაზრის კომისარი.

გუბერნიის ხელისუფლება არ აგვიანებდა ზომების მიღებას ამ უწესობათა დაწყნარებისათვის. 12 სექტემბერს თბილისის საგუბერნიო კომისარი პოპოვი (მენშევიკი) თხოვდა კავკასიის არმიის შტაბის უფროსს: აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დაინიშნოს სამხედრო ნაწილები: თელავის მაზრაში—ერთი ასეული, ბორჩალოს მაზრაში—შულავერში, ბაშკიჩეთში, ეკატერინოფელდში და ჯელალ-ოღლში—100—100 კაცი; თბილისის მაზრაში—ნახევარი ასეული.

ეს დამსჯელი რაზმები გლეხობას ანგარიშს უსწორებდნენ იმ მეთოდით, რაც ცარიზმისათვის იყო დამახასიათებელი.

5. კავკასიის არმიის ჯარისკაცები სოციალისტური რევოლუციის გზაზე

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას კავკასიის არმიის ჯარისკაცები აღფრთოვანებით შეხვდნენ. ჯარის ნაწილებში დაიწყო ასეულებისა და პოლკის კომიტეტების შექმნა. გარნიზონებში აირჩიეს ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეულებისა და პოლკების ჯარისკაცთა კომიტეტების უმრავლესობა, ხოლო გარნიზონის საბჭოს მთელი შემადგენლობა მენშევიკურ-ესერული აღმოჩნდა. მაგ., თბილისის, ბათუმის, ფოთის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში მხოლოდ მენშევიკებმა და ესერებმა იგდეს ხელთ ძალაუფლება.

როდესაც ჩვენ ვიხილავდით მუშათა დეპუტატების საბჭოების შექმნის პროცესს, აღვნიშნეთ, თუ რამ შეუწყო ხელი საბჭოებში ობორონცული პარტიების გამარჯვებას. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა კავკასიის არმიაშიც: ბოლშევიკური ორგანიზაციების სასტიკი დევნის შედეგად რევოლუციის წინა დღით კავკასიის ჯარის ნაწილებში იგრძნობოდა ბოლშევიკური აგიტაციის ნაკლებობა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს კი ჰქონდათ მოქმედების ფართო შესაძლებლობა.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მკვეთრ გარდატეხას, რომელიც რევოლუციას მოჰყვა. აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლებას მოკლებული ჯარისკაცთა მასები უეცრად პოლიტიკური თავისუფლების წინაშე აღმოჩნდნენ, პირველად ისტორიაში ჯარისკაცი ადამიანად იქნა აღიარებული და მას სამშობლოს ბედისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრა. პოლიტიკა, მომავალზე ცხარე მსჯელობანი საერთო მოდად იქცა. გააქტიურდნენ ყველაზე ობივატელი ადამიანებიც კი. ამას ზედ დაერთო ბურუაზიულ-ნაციონალური პარტიების მყვირალა ლოზუნგები სახალხო თავისუფლების შესახებ, კაიზერის იმპერიალისტური გერმანიისაგან „თავისუფალი რუსეთის“ დაცვის მიზნით ომის გაგრძელების აუცილებლობის შესახებ და ყოველივე ამან პირველ დღეებში ჯარისკაცები გააბრუა. მათ რიგებში ობორონცული განწყობილება შეიქმნა.

მაგრამ, რაც უფრო ნათელი ხდებოდა ხელისუფლების სათავეში მოქცეული ბურჟუაზიული მთავრობის და მენშევიკებისა და ესერების კონტრრევოლუციური, იმპერიალისტური ბუნება, მით უფრო იფანტებოდა ობორონცული ბურუსი და ქრებოდა თვითდამშვიდება. ჯარისკაცთა გამოფხიზლებას პირველ რიგში ხელს უწყობდა მგზნებარე ბოლშევიკური პროპაგანდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ თითქოს ომის წინააღმდეგ ბოლშევიკური პროპაგანდას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველ დღეებში აბსოლუტური წარმატება ჰქონდა. პირიქით, პირველად მას, როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლის, ჰქონდა ტაქტიკური წარუმატებლობა, ტაქტიკური მინუსი. „ჩვენი აგიტაცია ომის წინააღმდეგ მუშათა და ჯარისკაცთა შორის 1917 წლის დასაწყისში, კერენსკის დროს, უეჭველად ტაქტიკურ მინუსს იძლეოდა, ვინაიდან მასა ტრიბუნიდან ჩამოათრევდა ხოლმე ჩვენს ორატორებს, სცემდა მათ, ზოგჯერ ნაკუწ-ნაკუწ გლეჯდა, მასა კი არ ეტანებოდა პარტიას, არამედ უკუიქცეოდა მისგან"[1]. მაგრამ ეს იყო დროებითი მოვლენა, ეს იყო ტაქტიკური მანევრი, რომელიც თავისი წარუმატებლობის მიუხედავად ხელს უწყობდა საერთო სტრატეგიული გეგმის წარმატებას.

ჯარისკაცს პირველ რიგში აინტერესებდა მისთვის უსარგებლო, გამანადგურებელი ომის დამთავრება და სახლში დაბრუნება, იგი რევოლუციისაგან მოელოდა ზავს, რომელიც საშუალებას მისცემდა ენახა წლობით მიტოვებული და უპატრონობით გაპარტახებული ოჯახი. ახალი მთავრობა კი ისევ ომს განაგრძობდა.

ჯარისკაცს, რომელიც ომამდე ან მემამულის უღელქვეშ გმინავდა, ან წარმოებაში კაპიტალისტის ექსპლოატაციას განიცდიდა, აინტერესებდა მიწა, რომელსაც იგი თავის სურვილისამებრ დაამუშავებდა, აინტერესებდა ექსპლოატაციის მოსპობა, ნორმალური მუშაობისა და დასვენების უფლების მოპოვება. ახალი მთავრობა კი მიწებს კვლავ მემამულეებს, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებს კაპიტალისტებს უნარჩუნებდა.

ჯარისკაცი იმასაც ხედავდა, რომ მისი ინტერესების საწინააღმდეგო მთავრობის ამ მოქმედებას ქებით იხსენიებდნენ მენშევიკები და ესერები, ყურებს უჭედავდნენ მას დემოკრატიის გამარჯვების შესახებ, ამავე დროს დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერას მოითხოვდნენ.

ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ თავიანთი პროტესტი ჯარისკაცებმა, პირველ ყოვლისა, დეზერტირობით გამოხატეს. რუსი ჯარისკაცი, რომლის მამაცობა და გმირობა სამშობლოს დაცვაში განუზომელი იყო, ახლა ამ უაზრო, უსამართლო, ყაჩაღური ომისაგან მობეზრებული, მიდიოდა ოჯახში, რათა იგი ფეხზე დაეყენებინა. ამით ჯარისკაცი თავისი სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს სრულებითაც არ ღალატობდა.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 70.

კავკასიის სამხედრო ნაწილებში დეზერტირობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. შეშფოთებული სარდლობა ზედიზედ ატარებდა საწინააღმდეგო ღონისძიებებს, მაგრამ შედეგი ნაკლებად ჩანდა. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 13 მარტის სხდომაზე სადგ. ნავთლუღის კომენდანტი ჩიოდა იმის გამო, რომ სადგური სავსეა ფრონტიდან წამოსული ჯარისკაცებით და მოითხოვდა აღმასრულებელი კომიტეტის ჩარევას და სასწრაფო ზომების მიღებას მათი უკანვე დაბრუნებისათვის[1]. თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ცნობით 19 მარტისათვის დუშეთის მაზრაში იყო 4.000 დეზერტირი[2]. საბჭო ზედიზედ სცემდა მოწოდებებს ჯარისკაცებისადმი, თავის წარმომადგენლებს და პროპაგანდისტებს გზავნიდა ნაწილებში, მაგრამ ფრონტიდან თვითნებურად დაძრულთა ნაკადის შეჩერება მაინც შეუძლებელი ხდებოდა.

ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის ესერულ-მენშევიკურმა საბჭომ არმიის მოსალოდნელი „გახრწნის" თავიდან ასაცილებლად მიიღო გადაწყვეტილება პროპაგანდისტთა კოლეგიის შექმნის შესახებ. პროპაგანდისტთა კოლეგიას ნაწილებში უნდა ჩაეტარებინა ახსნა-განმარტებითი მუშაობა ლოზუნგებით: „გარეშე მტრების შეკავება და შინაგანი მტრის განადგურება", „ომის გაგრძელება გამარჯვებამდე", „არმიის დამარცხება საშობლოს დამარცხებაა", „მხარდაჭერა დროებითი მთავრობისადმი" და სხვ. მართლაც, ესერი და მენშევიკი ნაფიცი ორატორები ენერგიას არ ზოგავდნენ, ისინი ცილისმწამებლურ კამპანიას ეწეოდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ, გაკიოდნენ, რომ ბოლშევიკები თავიანთი მოქმედებით ასუსტებენ ფრონტის ხაზს და რევოლუციას აგდებენ საფრთხის წინაშეო და სხვ.

ყველაფერი ეს მენშევიკების მიერ შეთხზული ბოროტი ჭორი იყო. ვ. ი. ლენინი ბოლშევიკების VII (აპრილის) კონფერენციაზე ომის საკითხზე წარდგენილი რეზოლუციის პროექტში აღნიშნავდა: „ეს ომი შეუძლებელია დამთავრდეს იმით, რომ მარტო ერთი მხარის ჯარისკაცებმა უარი თქვან ომის განგრძობაზე, რომ ერთ-ერთმა მეომარმა მხარემ უბრალოდ შეწყვიტოს საომარი მოქმედება.

კონფერენცია კიდევ და კიდევ აცხადებს პროტესტს იმ მდაბალი ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც კაპიტალისტები ჩვენი პარტიის წინააღმდეგ ავრცელებენ, სახელდობრ, ვითომც ჩვენ თა-

---

[1] ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ოქმები, გვ. 16

[2] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 5, საქმე 30, გვ. 40.

ნავუგრძნობდეთ გერმანიასთან სეპარატიულ (ცალკე) ზავს. გერმანიის კაპიტალისტებს ჩვენ ისეთივე ყაჩაღებად ვთვლით, როგორც რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და სხვა კაპიტალისტებს, ხოლო იმპერატორ ვილჰელმს ისეთივე გვირგვინოსან ავაზაკად, როგორც ნიკოლოზ მეორეს და ინგლისის, იტალიის, რუმინეთისა და ყველა სხვა მონარქს"[1].

ბოლშევიკები მოითხოვდნენ არა ფრონტის გაშიშვლებას და გერმანიის იმპერიალისტური არმიისათვის გზის გახსნას, არამედ ძალაუფლების გადასვლას მშრომელი კლასების ხელში. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ომის დაუყოვნებლივ დამთავრება, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოპოვება.

ომი, — განმარტავდა ვ. ი. ლენინი, — მსოფლიოა. ომს აწარმოებენ განსაზღვრული კლასები და იგი წარმოშობილია საბანკო კაპიტალის მიერ. მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ იმით, თუ ძალაუფლება სხვა კლასის ხელში გადავა. თუ ძალაუფლება გაბატონებულ კლასებს შერჩათ — ზავი ვერაფერს შეცვლის. ...ომი არის განსაზღვრული კლასის პოლიტიკის გაგრძელება. ომის ხასიათის შეცვლა—ეს ნიშნავს ხელისუფლების სათავეში მდგომი კლასის შეცვლას.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ფართო საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს კავკასიის ფრონტისა და ზურგის ნაწილებში. თვლიდნენ რა არმიას რევოლუციის შემდგომი გაღრმავებისათვის მნიშვნელოვან ძალად, ბოლშევიკები ცდილობდნენ დაერაზმათ იგი პროლეტარიატსა და უღარიბეს გლეხობასთან ერთად სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად.

რევოლუციის გაღრმავების ბოლშევიკური პროგრამის დანერგვის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბეჭდვით სიტყვას.

გაზეთი „პრავდა", რომელიც თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების მენშევიკურ-ესერული საბჭოს მიერ შექმნილი ყოველმხრივი დაბრკოლების მიუხედავად ჯარისკაცთა მასამდე მაინც აღწევდა, მას არსებულ წყობილებასთან ბრძოლის აუცილებლობის შეგნებითა და მეთოდებით აიარაღებდა. გაზ. „პრავდაში" ჯარისკაცები აღფრთოვანებით კითხულობდნენ რევოლუციის ბელადების ლენინისა და სტალინის სტატიებს, რომლებშიც მოცემული იყო მომენტის ზუსტი შეფასება და მომავლის პროგრამა. გაზეთი ხელიდან ხელში გადადიოდა. თავიანთი გაზეთისადმი უს-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 318—319.

ზღვრო სიყვარულის შედეგი იყო ჯარისკაცთა პროტესტები იმ დროს, როცა თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება „პრავდის“ ფრონტის ნაწილებში აკრძალვის შესახებ. კავკასიის არმიის ჯარისკაცთა შორის ასეთივე პოპულარობით სარგებლობდა „კავკაზსკი რაბოჩი“. იგი ახლო იდგა კავკასიის არმიის ცხოვრებასთან, თავის ფურცლებზე ფართო ადგილს უთმობდა ჯარისკაცთა განწყობილების ასახვას, ნიღაბს ხდიდა მენშევიკების, სოციალ-რევოლუციონერების, სოციალ-ფედერალისტების, ნაციონალ-დემოკრატების, დაშნაკების, მუსავატების და საქართველოსა და ამიერკავკასიაში იმ დროს სოკოსავით გამრავლებული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების რეაქციულ ბუნებას. ჯარისკაცებს უყვარდათ ეს გაზეთი, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მასში კორესპონდენციების მოთავსებით, ამავე დროს მატერიალურად ხელმოკლე გაზეთის ფონდის გასაძლიერებლად არ იშურებდნენ თავიანთ ჯარისკაცურ კაპეიკებს.

ბოლშევიკები არ ჯერდებოდნენ პროპაგანდას გაზეთის საშუალებით. ჯარისკაცთა მიტინგებსა და კრებებზე ბოლშევიკი ორატორები მოუწოდებდნენ მეომრებს არ დაეშვირათ მხარი დროებითი მთავრობისათვის, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის იმპერიალისტებთან და მათთან ერთად განაგრძობდა ადამიანთა უამრავი მასის უმიზნო ხოცვა-ყლეტას. ბოლშევიკები ასაბუთებდნენ, რომ ვიდრე ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელშია, ფიქრი ზავის შესახებ განუხორციელებელი ოცნებაა, რომ ყველა პარტია, გარდა ბოლშევიკებისა, მიუხედავად იმისა, რომ თავის თავს სოციალისტურს უწოდებს, ფარულად უკეთებს ბურჟუაზიას საქმეს, ამიტომ აუცილებელია გამიჯვნა ამ პარტიებისაგან, მათი გაშავება ჯარისკაცთა არჩევით ორგანოებში.

ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა ენერგიული სამზადისი გააჩაღეს ჯარში პარტიული უჯრედების შესაქმნელად, რასაც ჯარისკაცთა მასების გათვითცნობიერებისა და დარაზმვისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ვ. ი. ლენინი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირველსავე დღეებში აყენებდა ჯარში პარტიული ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობას.

მენშევიკები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ჯარში პარტიული ორგანიზაციების შექმნისა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჯარი არ

წარმოადგენს კლასობრივად მთლიან ორგანიზაციას, ამიტომ აქ პარტიულ დაჯგუფებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი, რადგან პარტიული ფრაქციულობა ჯარს საერთო ამოცანის განხორციელებაში შეუშლის ხელს და დისციპლინას დასცემსო.

გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის" ფურცლებზე ბოლშევიკები ასაბუთებდნენ ასეთი „თეორიის" მცდარობას. „ჯარისკაცები რევოლუციონერები არიან, მაშასადამე, ისინი არიან პოლიტიკური მებრძოლები და ჩამოვაშოროთ პოლიტიკური მებრძოლები პოლიტიკისაგან, ეს ნიშნავს გადავაქციოთ ისინი მიმდინარე მოვლენის უსაქმურ და უაზრო მაყურებლად...

დატოვო ჯარისკაცი პარტიის გარეშე, ნიშნავს დატოვო იგი პოლიტიკის გარეშე, ნიშნავს სრულებით გარიყო იგი სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, ნიშნავს დაასუსტო რევოლუციის ძალები და გაზარდო კონტრრევოლუციის ძალები"[1] — წერდა გაზეთი „კავკაზსკი რაბოჩი".

მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის ასპარეზად ბოლშევიკებმა გამოიყენეს კავკასიის არმიის პირველი სამხარეო ყრილობა, რომელიც თბილისში 1917 წლის 23 აპრილს გაიხსნა. ყრილობაზე გაბატონებული პოზიცია მენშევიკებს და ესერებს ეჭირათ. მოპსენებლად მიმდინარე მომენტზე, ომზე, ნაციონალურ საკითხზე, აგრარულ საკითხზე და სხვ. გამოვიდნენ მენშევიკთა ლიდერები, რომლებიც დაჟინებით იცავდნენ და ავითარებდნენ თავიანთ ბურჟუაზიულ შეხედულებებს. ყრილობის ბოლშევიკ დელეგატებს (ს. ქავთარაძე, ყორღანოვი) ჯარისკაცები ხარბად უსმენდნენ; ბოლშევიკებმა მწვავედ გააკრიტიკეს მენშევიკურ-ესერული ლოზუნგები, ფარდა ახადეს „თავისუფლების სესხის" იმპერიალისტურ ხასიათს, დაიცვეს მიწების გლეხობის ხელში დაუყოვნებლივი გადაცემის აუცილებლობა, მოითხოვეს ჯარში პარტიული უჯრედების შექმნა და სხვ. ბოლშევიკმა დელეგატებმა მოხსენების გარშემო შეიტანეს თავიანთი რეზოლუციები.

ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის მიერ ივნისში ფრონტზე შეტევის დაწყებამ აღშფოთება გამოიწვია კავკასიის არმიის ნაწილებში, მათ თავიანთი საპროტესტო ხმა ერთსულოვნად შეუერთეს მთელი რუსეთის პროლეტარიატისა და არმიის ხმას. „ამხანაგებო, ჩვენგან თხოულობენ შეტევას,—წერდა ჯარისკაცი ფრონტიდან,— მაგრამ ამ შეტევის მომხრენი სრულებითაც არ ფიქრობენ იმის შესახებ, რომ როცა ჩვენ ფრონტზე ვანადგურებთ უდანაშაულო

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 37, 28 აპრილი, 1917 წ.

ადამიანებს, იმავე დროს ჩვენ სახლებში სიმშილისა, სიცივისა და სხვა აუტანელი გაჭირვებისაგან იხოცებიან ჩვენი ცოლები და შვილები, ხოლო ცოცხლად დარჩენილნი დაეხეტებიან ქუჩებში. არა, ბატონო ომის მომხრენო, ჩვენ აუცილებლად ვცანით ვინემ ვანადგუროთ უდანაშაულო ადამიანები, ვიხსნათ ჩვენი ცოლები და შვილები სიკვდილისაგან და თავიდან ავიცილოთ ყველა ის საშინელებანი, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდეს ეს უბედური თაობა, რომელიც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასია. ამიტომაც ჩვენ არ გვინდა ომი, არამედ გვინდა ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ"[1].

ჯარისკაცთა მრავალრიცხოვან მიტინგებზე, რომლებიც იმართებოდა როგორც ცალკეულ ნაწილებში, ისე გარნიზონის მასშტაბით ჯარისკაცები ლაპარაკობდნენ ფრონტის საშინელ მდგომარეობაზე, ქვეყანაში გამეფებულ ანარქიაზე, მოითხოვდნენ შეტევის შეწყვეტას, ომის დამთავრებას, მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციური ორგანოსათვის ხელისუფლების გადაცემას.

თბილისში 28 მაისს მოეწყო ჯარისკაცთა გრანდიოზული მიტინგი. მასში მონაწილეობას იღებდნენ ამიერკავკასიის საარტილერიო საყარაულო ბატალიონის, არსენალის მუშათა მეხუთე ასეულის 218-ე პოლკის მეტყვიამფრქვევეთა რაზმის და გარნიზონის სხვა ნაწილების ჯარისკაცები. მიტინგზე მოსმენილ იქნა მოხსენება მიმდინარე მომენტზე. ჯარისკაცები თავიანთ გამოსვლებში გმობდნენ დროებითი მთავრობის განკარგულებას მომავალი შეტევის შესახებ, მოითხოვდნენ ყოფ. მეფის საიდუმლო ხელშეკრულებების გამოქვეყნებას და სხვ.[2].

31 მაისს ალექსანდრეს ბაღში გამართულ დიდ მიტინგზე ჯარისკაცებმა და მუშებმა მოისმინეს სხვადასხვა პარტიების ორატორთა სიტყვები. მათი სიმპათია ბოლშევიკების მხარეზე იყო. მიტინგის შემდეგ,—მოგვითხრობს გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი",—800 ჯარისკაცი ალექსანდრეს ბაღიდან რევოლუციური სიმღერებით გაემართა გიორგიევის ქუჩაზე გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქციისაკენ.

„ჯარისკაცები შედგნენ რედაქციის წინ და მიესალმნენ მას.

რედაქციამ მადლობა გადაუხადა ჯარისკაცებს მათ მიერ მუშათა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩისადმი" გამოთქმული თანაგრძნობის გამო... ჯარისკაცებს დაურიგდათ „კავკაზსკი რაბოჩის" ნომრები და სრულიად რუსეთის (აპრილის—ა. ს.) კონფერენციის რეზოლუცია.

ამის შემდეგ ჯარისკაცებმა მადლობა გამოუცხადეს რედაქ-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 58, 26 მაისი, 1917 წ.
[2] გაზ. „Кавказский рабочий", № 60, 28 მაისი, 1917 წ.

ციას და მშვიდათ დაიშალნენ, დატოვეს რა გაზეთის ფონდში 13 მ. 80 კაპ.“[1].

15 ივნისს 218-ე ქვეითი სათადარიგო პოლკის ეზოში გაიმართა ჯარისკაცთა მიტინგი, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის გარნიზონის ყველა ნაწილიდან მოსული ჯარისკაცები. მიტინგზე ნათლად ჩანდა, რომ ჯარისკაცთა სიმპათია ბოლშევიკების მხარეზე იყო. ისინი აღფრთოვანებით უსმენდნენ ბოლშევიკ ორატორებს[2].

24 ივნისს ალექსანდრეს ბაღში შემდგარ ჯარისკაცთა მიტინგზე, რომელსაც 4000-მდე ჯარისკაცი ესწრებოდა, მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია, სადაც შეტევის გამო გამოთქმული იყო მკაცრი პროტესტი და წამოყენებული იყო ომის დაუყოვნებლივი შეწყვეტის მოთხოვნა[3].

ბოლშევიკური გავლენა სწრაფად ერცელდებოდა ჯარისკაცთა მასებში არა მარტო თბილისის, არამედ ბათუმის, ქუთაისის, ახალციხის, ელიზავეტპოლის და სხვ. გარნიზონებში.

ბათუმის მიდამოებში განლაგებულ 221-ე პოლკის 42-ე და მე-13 კადრის ასეულების საერთო კრებაზე, რომელსაც 640 ჯარისკაცი ესწრებოდა, მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია. კრებამ პროტესტი გამოთქვა თბილისელი ბოლშევიკების დაპატიმრების გამო და მოითხოვა მათი სასწრაფოდ განთავისუფლება[4].

გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ კორესპონდენტი აღნიშნავს იმ სწრაფ გარდატეხას, რომელიც გამოიწვია კერენსკის ბრძანებამ შეტევის შესახებ ალექსანდროპოლის გარნიზონის ჯარისკაცებში. ჯარისკაცები აღფრთოვანებით უსმენდნენ ბოლშევიკ ორატორებს, გმობდნენ ღროებითი მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკას, მოითხოვდნენ ზავის სწრაფად დადებას და სხვ.[5].

პეტროგრადის პროლეტარიატისა და ჯარისკაცების 3—5 ივლისის მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტამ კავკასიის არმიის ნაწილებში რისხვის ტალღა გამოიწვია. კვლავ გაიმართა მიტინგები ცალკეულ ნაწილებში გარნიზონების მასშტაბით. ჯარისკაცები თავიანთ გამოსვლებში და მიღებულ რეზოლუციებში გმობდნენ დროებითი მთავრობის მხეცურ პოლიტიკას, „სოციალისტი“ მინისტრების ღალატს და მოითხოვდნენ გადამწყვეტ მოქმედებას ხელისუფლების რევოლუციური ორგანოს ხელში გადაცემისათვის.

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 66, 4 ივნისი, 1917 წ.
[2] გაზ. „Кавказский рабочий“, № 78, 18 ივნისი, 1917 წ.
[3] იქვე, № 86, 28 ივნისი, 1917 წ.
[4] გაზ. „Кавказский рабочий“, № 89, 2 ივლისი, 1917 წ.
[5] იქვე, № 94, 8 ივლის, 1917 წ.

სამხედრო ნაწილებში დღითი დღე იზრდებოდა ბოლშევიკური გავლენა. აღარ უსმენდნენ ჯარისკაცები მენშევიკ პროპაგანდისტებს, ხშირად ისინი სტვენითა და მუქარით ჩამოჰყავდათ ტრიბუნიდან. სამაგიეროდ ბოლშევიკი ორატორების თითოეულ სიტყვას ტაშით აჯილდოებდნენ.

ბოლშევიკური განწყობილება განსაკუთრებით სჭარბობდა 218-ე ქვეით სათადარიგო პოლკში. მიტინგზე და კრებებზე უმრავლეს შემთხვევაში ბოლშევიკური რეზოლუციები გამოჰქონდათ[1]. 1-ლ ივლისს აღნიშნული პოლკის ჯარისკაცთა მიტინგზე მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ხაზგასმით იყო მოთხოვნილი მთელი ძალაუფლება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს გადასცემოდა[2].

ჯარისკაცთა თბილისის საგარნიზონო საბჭოს პროპაგანდისტთა კოლეგია 12-დან 22 ივნისამდე თავის ანგარიშში იძულებული იყო აღენიშნა, რომ „არიან ნაწილები ...სადაც ბოლშევიკთა შიშველმა ლოზუნგებმა ამა თუ იმ მიზეზების გამო მტკიცე ბუდე დაიდგეს. ასე, მაგალითად, 218 პოლკის ქვეითი სათადარიგო პოლკის საყარაულო ბატალიონების ორთავე ნაწილებში საპიორის ქუჩაზე და კახეთის ქუჩაზე ჯარისკაცთა განწყობილება ისეთია, რომ ისინი მზად არიან ხ ი შ ტ ე ბ ი თ დ ა ი ც ვ ა ნ თ ა ვ ი ა ნ თ ი ლოზუნგები“-ო[3] (ხაზი ჩემია—ა. ს.). ცხადია, ამ შემთხვევაში ჯარისკაცები აღარ კმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ პროტესტებით, არამედ მზად იყვნენ იარაღით ხელში გამოსულიყვნენ თავიანთი რწმენის დასაცავად.

არმიის მენშევიკური სამხარეო საბჭო და თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ცდილობდნენ დედაქალაქი გაეთავისუფლებინათ მათთვის არასაიმედო ნაწილებისაგან. ისინი არჩევდნენ ბოლშევიკურად განწყობილ ჯარისკაცებს და ფრონტზე გზავნიდნენ. მაგალითად, 218-ე საყარაულო ბატალიონი და სხვა ნაწილები, რომლებიც ბოლშევიკურად იყვნენ განწყობილი, სასწრაფოდ გაიყვანეს ქალაქიდან და ფრონტზე გაგზავნეს.

პეტროგრადში ივლისის დემონსტრაციის დახვრეტის შემდეგ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, მენშევიკურ სამხარეო ცენტრებთან სრული შეთანხმებით, შეუდგა აქტიურ მოქმე-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“-ს ფურცლებზე დაბეჭდილია ამ მიტინგებისა და კრებების რამდენიმე რეზოლუცია.

[2] გაზ „Кавказский рабочий“, № 91, 5 ივლისი, 1917 წ.

[3] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლ. ცენტრ. სახელმწ. არქივი, ფონდი 5, საქმე № 70, გვ. 8.

დებას არმიაში ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდის აღსაკვეთად. 15 ივლისს კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს ორგანომ (გაზ. „Голос Красного Совета") გამოაქვეყნა დადგენილება გენერალ პრევალსკის ხელმოწერით, სადაც ნათქვამი იყო:

„...ყოველგვარი მიტინგები და კრებები შეიძლება მოწყობილ იქნას გარნიზონებში მხოლოდ გარნიზონის აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით; პოლკებსა და რაზმებში—პოლკისა და რაზმის კომიტეტების ნებართვით.

ყველა ორატორი, რომელიც კი გამოვა გარნიზონის მიტინგზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას საგარნიზონო აღმასრულებელი კომიტეტის მოწმობით. იმ პირებს, რომლებიც სამხედრო ნაწილის შემადგენლობაში არ შედიან და გამოდიან სამხედრო ნაწილის კრებებზე, თან უნდა ჰქონდეთ აგრეთვე უმაღლესი ადგილობრივი სამხედრო ორგანიზაციის მოწმობები.

ის პირები, რომლებიც მოუწოდებენ ფრონტის მიტოვებას და აგიტაციას ეწევიან შეტევის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ უნდა იქნან დატუსაღებული და გადაცემული სასამართლოზე"[1].

ეს დადგენილება პირდაპირ ბოლშევიკების წინააღმდეგ იყო მიმართული. საგარნიზონო საბჭოებში ჯერ კიდევ ისხდნენ მენშევიკები და ესერები. ისინი არასოდეს არ მისცემდნენ მიტინგის ჩატარების უფლებას იმ ნაწილს, სადაც ბოლშევიკების გამარჯვება იყო მოსალოდნელი. ამავე დროს, კრებაზე მომხსენებლის მანდატს ვერ მიიღებდა ვერც ერთი ბოლშევიკი. შეტევის წინააღმდეგ აგიტაციის სულისჩამდგმელი ბოლშევიკები იყვნენ. მაშასადამე, მათ ამიერიდან დევნა და დაპატიმრება მოელოდათ.

გარდა ამისა, აკრძალულ იქნა გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" მიტანა კავკასიის არმიის ნაწილებში. ეს იყო აშკარა შეტევა რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცთა წინააღმდეგ. აღნიშნავდა რა სამხედრო ნაწილებში ბოლშევიკების დევნა-შევიწროების შესახებ, ვ. ი. ლენინი წერდა:

„ჩვენ განკარგულებაში კი მ ხ ო ლ ო დ ს ი ტ ყ ვ ა ა.

და ეს სიტყვაც სურთ წაგვართვან...

«პრავდას» ფრონტზე არ აჭაჭანებენ. კიეველმა «აგენტებმა» დაადგინეს—«პრავდა» არ გაავრცელონ. «ერობათა კავშირი» თავის კიოსკებში «პრავდას» არ ყიდის. დასასრულ, გვპირდებიან, რომ «სისტემატურად იბრძოლებენ ლენინიზმის ქადაგების წინააღმდეგ»... (მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების «იზვეს-

---

[1] გაზ. „Голос Красного Совета", № 56, 15 ივლისი, 1917 წ.

ტია»). სამაგიეროდ ყოველგვარ ასეთ სტიქიურ პროტესტს, ყოველგვარ ექსცესს, სადაც კი უნდა მოხდეს იგი, ჩ ვ ე ნ გ ვ ა ბ რ ა ლ ე ბ ე ნ.

ესეც ბოლშევიზმთან ბრძოლის ხერხია.

ნაცადი ხერხია.

მასები მოკლებული არიან საშუალებას მიიღონ ნათელი ხელმძღვანელი მითითებანი, ისინი ინსტიქტურად გრძნობენ დემოკრატიის ოფიციალური ბელადების პოზიციის სიყალბეს, არადამაკმაყოფილებლობას,—და იძულებული არიან ხ ე ლ ი ს ც ე ც ე ბ ი თ ე ძ ე ბ ო ნ გ ზ ე ბ ი...

შედეგი კი ის არის, რომ ბოლშევიზმის დროშის ქვეშ თავს იყრის ყველა უკმაყოფილო, შეგნებული რევოლუციონერი, აღშფოთებული მებრძოლი, რომელსაც თავისი ქოხი მონატრებია და რომელიც ვერ ხედავს ომის დასასრულს, ზოგჯერ კი ისეთი ადამიანიც, რომელიც პირდაპირ საკუთარ ტყავს უფრთხილდება...“[1].

მთავრობის რეპრესიების გამო კიდევ მეტად იზრდებოდა უკმაყოფილება კავკასიის არმიის ჯარისკაცებში. თუ როგორ უყურებდნენ ისინი ბურჟუაზიული მთავრობისა და მენშევიკური სამხარეო ცენტრის კონტრრევოლუციურ ნაბიჯებს, ნათლად ჩანს ჯარისკაცის წერილიდან, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზ. „კავკაზსკი რაბოჩში“.

„ამხანაგო ჯარისკაცებო!

კავკასიის არმიას აკრძალული აქვს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ კითხვა. ეს ნიშნავს ჩვენამდე, სომხეთის შორეულ და მაღალ მთებამდე უკვე ვეღარ მიაღწევს მუშათა გაზეთის მართალი სიტყვა. ჩვენს წინააღმდეგ უხვად იყენებენ რეპრესიებს, დღითი-დღე გვართმევენ მოპოვებულ თავისუფლებას. მიმოიხედეთ ამხანაგებო, არა მარტო ბოლშევიკებს, არამედ იმათაც, ვინც რევოლუციის ენით ილაპარაკებს—არ აძლევენ ლაპარაკის უფლებას.

სად არის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება? ჩვენ გვიკრძალავენ ბოლშევიკური წიგნების, ბროშურების და გაზეთების კითხვას და გვდევნიან მათი კითხვისათვის. სად არის კრებების თავისუფლება? ჩვენ გვიკრძალავენ თავშეყრას, მიტინგების მოწყობას „საბრძოლო მოქმედების რაიონში“, ხოლო ეს რაიონი უფროსების სურვილისამებრ იტევს მთელ მოქმედ არმიას.

სად არის კავშირების თავისუფლება? სოც. დემოკრატი ბოლშევიკები, მათი ორგანიზაციები იდევნებიან, მათ წრეებს და თა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 24, გვ. 694—695.

ნამგრძნობებსაც კი აპატიმრებენ. ჩვენ გვიკრძალავენ მოვაწყოთ საარმიო ყრილობები და მონაწილეობა მივიღოთ მასში, ხოლო სად არის პიროვნების ხელშეუხებლობა? დაიწყეს თვითნებური დაპატიმრება, დანაშაულის წარდგენის გარეშე საპატიმროში მოთავსება.

ამასთან ერთად, ჩვენ გვაშინებენ სიკვდილით დასჯით, დახვრეტით, დაშლით, წოდების აყრით, საარჩევნო უფლების ჩამორთმევით, სამარცხვინო ნიშნებით. ჩვენ გვპირდებიან დისციპლინარული სასჯელის აღდგენას, ხოლო არმიის უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობამ—თითქმის მთლიანად კონტრრევოლუციონერებმა — თავი ასწია, გაპბედა ხელყოს ჩვენი კომიტეტები"[1].

არმიის ნაწილებში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში განსაკუთრებით გააქტიურდნენ ესერები, რომლებიც არ ერიდებოდნენ არავითარ ხულიგნურ ხერხებს, რათა შეეჩერებინათ მაების მისწრაფება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ამ მხრივ ესერებმა ადვილად მონახეს საერთო ენა მენშევიკებთან, შექმნეს მათთან ერთად კონტრრევოლუციური ბლოკი და დაიწყეს ცილისმწამებლური თავდასხმები ბოლშევიკების წინააღმდეგ. მიუხედავად ამ გააფთრებული ცდებისა, ისინი ყოველდღიურად კარგავდნენ თანამგრძნობთა რიცხვს და იზოლირებული რჩებოდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია ჯარისკაცთა საგარნიზონო მიტინგი, რომელიც შედგა 25 სექტემბერს ქუთაისში.

არაერთგზისი მოთხოვნის შედეგად, ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებმა მიაღწიეს საგარნიზონო მიტინგის მოწყობას. როცა საერთო სურვილის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა, ქუთაისის საგარნიზონო საბჭოს ესერი და მენშევიკი წევრები აქტიურად მოემზადნენ, რათა ჯარისკაცები მოექციათ თავიანთი გავლენის ქვეშ. მომხსენებლებად მიმდინარე მომენტზე გამოვიდა ესერების წარმომადგენელი. ხალხი მას არ უსმენდა. მდგომარეობის გამოსწორება ცადეს სხვა ორატორებმა, მაგრამ ამაოდ. როცა აღელვებული მასის დამორჩილება და დაწყნარება ვერ შეძლეს, ესერებმა თხოვეს თავიანთ მომხრე ჯარისკაცებს გამოყოფოდნენ მიტინგს და განცალკევებით შეკრებილიყვნენ კლუბში. ამ წინადადებას თანაგრძნობით შეხვდა რამდენიმე ათეული ჯარისკაცი, რომლებიც განცალკევებით იდგნენ. როცა ტრიბუნაზე ბოლშევიკი ორატორები ავიდნენ, ჯარისკაცები მათ აღფრთოვანებით შეხვდნენ. გაგულისებულმა ესერებმა ბოლშევიკ ორატორთა ჯგუფს ქვები დაუშინეს. მიტინგი ამ ხულიგნური მოქმედების გა-

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 131, 22 აგვისტო, 1917 წ.

მო გადადებულ იქნა მეორე დღისათვის. მაგრამ მეორე დღეს, იცოდნენ რა სრული კრახი მოელოდათ, ესერებისა და მენშევიკების წარმომადგენლები მიტინგზე არ მოსულან. ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით მიტინგი წესიერად ჩატარდა. ერთხმად იქნა მიღებული ბოლშევიკური რეზოლუცია[1].

გენერალ კორნილოვის კონტრრევოლუციურ შეთქმულებას კავკასიის არმიის რეაქციულ ოფიცერთა შორის თავისი მომხრეები ჰყავდა. კორნილოვის აგენტები—გენერლები, პოლკოვნიკები და სხვა უმაღლესი ჩინის ოფიცრები დაძრწოდნენ თბილისში და აპზადებდნენ შეიარაღებულ გამოსვლებს რევოლუციის წინააღმდეგ[2].

ჯარისკაცთა მასებსა და დემოკრატიულად განწყობილ ოფიცრობაში კორნილოვის თავხედურმა გამოსვლამ აღშფოთება გამოიწვია. კრებებსა და მიტინგებზე ჯარისკაცები თავიანთ რისხვას გამოთქვამდნენ კერენსკის მთავრობისა და მენშევიკ-ესერების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლებმაც ეს შეთქმულება მოაწყვეს.

2 სექტემბერს ზურგის საავტომობილო სახელოსნოს ჯარისკაცთა კრებაზე ს. ქავთარაძის მოხსენების შემდეგ მიღებულ რეზოლუციაში დაგმობილი იყო კორნილოვის გამოსვლა, როგორც რეაქციული ბურჟუაზიის ცდა ლახვარი ჩასცეს რევოლუციას. რეზოლუცია კიცხავდა შემთანხმებლური პარტიების მოქმედებას. „ესერებისა და მენშევიკების გამცემლობამ და თანამშრომლობამ ბურჟუაზიასთან შეჰქმნა კორნილოვშჩინის მომზადების შესაძლებლობა. იგი ამიერიდანაც საფრთხეს შეუქმნის რევოლუციას, თუ ხელისუფლება მთლიანად არ გადავა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა რევოლუციური ორგანიზაციების ხელში“—ნათქვამია რეზოლუციაში[3].

ჯარისკაცები მოითხოვდნენ კორნილოვის აგენტებისა და მომხრეების დაუყოვნებლივ დაპატიმრებას და გასამართლებას, საკუთარი ინიციატივით ავლენდნენ ასეთ პირებს.

თანდათანობით იზრდებოდა და მწიფდებოდა ჯარისკაცთა მასების უკმაყოფილება ჯარისკაცთა მენშევიკური კომიტეტების, საგარნიზონო საბჭოებისა და სამხარეო საბჭოს მიმართ. ჯარისკაცები უკმაყოფილონი იყვნენ პირველი სამხარეო ყრილობით, სადაც მენშევიკებმა მოახერხეს ყრილობისათვის თავიანთი რეზოლუციების თავზე მოხვევა და ხელმძღვანელ ორგანოებში წარმომადგენლების

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 162, 1 ოქტომბერი, 1917 წ.
[2] გაზ. „Кавказский рабочий“, № 142, 5 სექტემბერი, 1917 წ.
[3] იქვე.

გაყვანა. ისინი მოითხოვდნენ მეორე ყრილობის მოწვევას, სამხარეო ხელმძღვანელობის შეცვლას.

სამხარეო საბჭოს ანტიდემოკრატიული საქმიანობისადმი ასევე მკაცრი პროტესტით არის გამსჭვალული კავკასიის მე-4 მსროლელი საარტილერიო ბრიგადის 1-ლი და მე-2 ბატარეის ჯარისკაცთა საერთო კრებაზე მიღებული რეზოლუცია[1].

ზემოთ მოტანილი ფაქტები და დოკუმენტები, ვფიქრობთ, ცხადყოფენ, რომ ბურჟუაზიული მთავრობისა და შემთანხმებლური პარტიების მიერ „პატრიოტული" აგიტაციით გაბრუებული ჯარისკაცები, მოვლენათა ობიექტური მსვლელობის ვითარებაში თანდათანობით რწმუნდებოდნენ, რომ თებერვლის რევოლუციამ მათ ცხოვრებაში არსებითი ცვლილებები ვერ შეიტანა და რომ საჭიროა რევოლუციის შემდგომი გაღრმავება. ჯარისკაცთა გამოსაფხიზლებლად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური პარტიის დამრაზმველ საქმიანობას. ბოლშევიკებმა ჯარისკაცებს თვალთაგან ჩამოხადეს ობორონცული რიდე და ჩააყენეს ისინი სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის რიგებში. „ბოლშევიკებმა ეს მოამზადეს მთელი თავიანთი პროპაგანდით, აგიტაციით, არალეგალურ-ორგანიზაციული მუშაობით 1914 წ. აგვისტოდან. რა თქმა უნდა, სოციალიზმის გამცემლები, ყველა ერის შეიდემანები და კაუცკები, ამის გამო თავს იძვრენდნენ ლაყბობით ბოლშევიკური აგიტაციით არმიის გ ა ხ რ წ ნ ი ს შესახებ, მაგრამ ჩვენ ვ ა მ ა ყ ო ბ თ იმით, რომ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, როცა გავხრწენით ჩვენი კლასობრივი მტრის ძალები, ხელიდან გამოვგლიჯეთ მ ა ს შეიარაღებული მუშებისა და გლეხების მასები ექსპლოატატორების წინააღმდეგ ს ა ბ რ ძ ო ლ ვ ე ლ ად..."[2] 1917 წ. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის ბოლშევიკებს არმიაში ჰქონდათ დამკვრელი მუშტი, რომელიც ბურჟუაზიულ ხელისუფლებაზე იერიშის მომენტში პარტიის საიმედო და ერთ-ერთ გადამწყვეტ ძალას წარმოადგენდა.

6. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საოლქო ყრილობა

სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის გადამწყვეტ პერიოდში 1917 წ. 26 ივლისიდან 3 აგვისტომდე პეტროგრადში მიმდინარეობდა ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობა, რომელსაც

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 142, 5 სექტემბერი, 1917 წ.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 305.

ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ეს იყო შეიარაღებული აჯანყების მომზადების, კაპიტალისტური წყობილების დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისათვის საბრძოლო ყრილობა.

ყრილობის მუშაობა ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის მხრივ გააფთრებული დევნის ვითარებაში მიმდინარეობდა. რევოლუციის ბელადი ლენინი იძულებული იყო არალეგალურად ეცხოვრა და იგი ყრილობას არ დასწრებია. მაგრამ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული პარტიულ მუშაობასთან და ყრილობას, მისი ერთგული მოწაფეების—ამხანაგების სტალინის, სვერდლოვის, მოლოტოვის, ორჯონიკიძის მეშვეობით ხელმძღვანელობდა.

ყრილობის ორ ძირითად საკითხზე—ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ—მოხსენებით გამოვიდა ი. ბ. სტალინი. ეს მოხსენებანი, რომლებიც შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენენ, ივლისის დღეების შედეგად რუსეთში შექმნილი ვითარების ზუსტ მეცნიერულ ანალიზს შეიცავდნენ და სამოქმედო პროგრამას სახავდნენ. ი. ბ. სტალინმა ცხადყო, რომ ამჟამად, როცა ორხელისუფლებიანობა გაქრა, ხოლო ბურჟუაზიული მთავრობა, ხელთ იგდო რა მართვის საჭე, მთლიანად რევოლუციის განიარაღებას და დათრგუნვას შეუდგა, როცა საბჭოები დროებითი მთავრობის ხელისშემწყობ ორგანოებად იქცნენ,—დაგვრჩა ერთადერთი შესაძლებლობა— ავიღოთ ძალაუფლება დროებითი მთავრობის დამხობით. „რევოლუციის მშვიდობიანი პერიოდი დამთავრდა. დადგა შეტაკებათა და აფეთქებათა პერიოდი"[1].

ყრილობაზე ბოლშევიკური ხაზის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა გააჩაღეს ტროცკისტ-ბუხარინელთა მოღალატურმა ჯგუფებმა. ყრილობამ ი. ბ. სტალინის მეთაურობით მათ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა.

ი. ბ. სტალინმა რენეგატების პროვოკაციულ მტკიცებას თითქოს რუსეთი რევოლუციისათვის მომზადებული არ არის და ამიტომ პირველად ევროპამ უნდა დაიწყოსო, დაუპირისპირა რუსეთში შექმნილი ობიექტური ვითარების გაგება შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებიდან, ამხილა დოგმატიკოსთა მონური ქედმოხრა „კულტურული" ევროპის წინაშე და ცხადყო, რომ რუსეთის ბოლ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3. გვ. 200.

შევიკებს ეკისრებოდათ სოციალიზმისათვის გზის გაკაფვის ისტორიული ამოცანა.

„გამორიცხული არ არის შესაძლებლობა,—ამბობდა ი. ბ. სტალინი,—რომ სწორედ რუსეთი იქნება სოციალიზმისაკენ გზის გამკაფავი ქვეყანა. დღემდე არც ერთი ქვეყანა არ სარგებლობდა ომის პირობებში ისეთი თავისუფლებით, როგორც რუსეთი, და არ უსინჯავს წარმოებისაღმი მუშათა კონტროლის განხორციელება, გარდა ამისა, ჩვენი რევოლუციის ბაზა უფრო ფართოა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში, სადაც პროლეტარიატი დგას ბურჟუაზიის პირისპირ სრულიად განმარტოებული, ჩვენში კი მუშებს მხარს უჭერენ გლეხობის უღარიბესი ფენები... უნდა უკუვაგდოთ დრომოჭმული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მხოლოდ ევროპას შეუძლია მიგვითითოს გზა. არსებობს მარქსიზმი დოგმატური და მარქსიზმი შემოქმედებითი. მე ამ უკანასკნელის ნიადაგზე ვდგავარ“[1].

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებმა რევოლუციური პროლეტარიატი ახალ ვითარებაში შეაიარაღა კონკრეტული სამოქმედო პროგრამით. „VI ყრილობის ყველა გადაწყვეტილება მიმართული იყო პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის მომზადებისაკენ შეიარაღებული აჯანყებისათვის. VI ყრილობამ პარტიას გეზი მისცა უშუალოდ შეიარაღებული აჯანყებისაკენ, სოციალისტური რევოლუციისაკენ“[2]. მიმდინარე მომენტში მთავარი იყო ყველა რევოლუციური ძალის შემჭიდროება, მათი ორგანიზაცია, რათა საერთო ნაციონალური კრიზისის მომწიფების შემთხვევაში გადამწყვეტი იერიშით უზრუნველეყოთ უეპველი გამარჯვება.

* * *

VI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად ენერგიული მუშაობა გააჩაღეს საქართველოს ბოლშევიკებმა. გაზეთ „ბრძოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ცნობა VI პარტიული ყრილობის მოწვევის შესახებ და მიმდინარე მომენტის გარშემო მიღებული რეზოლუცია[3]. გარდა ამისა, ყრილობის დელეგატები და სხვა ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები (მ. ცხაკაია, ს. ქავთარაძე და სხვ.) ბოლშევიკთა ღია კრებებს, სადაც მუშები, ჯარისკაცები და გლეხები ესწრებოდნენ, დაწვრილებით მოუთხრობდნენ ყრილობის შესახებ, პოპულარიზაციას უკეთებდნენ მის გადაწყვეტილებებს[4].

---

[1] ი. ბ. სტალინი, ტ. 3, გვ. 210—211.
[2] საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. სახელგამი, 1939 წ., გვ. 298.
[3] გაზ. „ბრძოლა“, № 12, 20 აგვისტო, 1917 წ.
[4] გაზ. „ბრძოლა“, № 13, 15, „Кавказский рабочий“, № 130, 148, 1917 წ.

ამიერკავკასიაში პარტიული უჯრედებისა და კოლექტივების სწრაფმა ზრდამ, პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგარმა ახალმა ამოცანებმა საკვლევით მოამწიფეს ნიადაგი პარტიული ყრილობის მოწვევისათვის. ბოლშევიკური ორგანიზაციები საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში დამოუკიდებლად მუშაობდნენ. მათ შორის სისტემატური კავშირ-ურთიერთობა არ არსებობდა, ოზაკომისა და მენშევიკურ-ესერული საბჭოების კონტრრევოლუციურ პოლიტიკასთან ბრძოლა კი ძალების შემჭიდროებას, ერთ ხელმძღვანელ ცენტრს მოითხოვდა. ამავე დროს პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭირო იყო სამოქმედო პროგრამის გამომუშავება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

რსდმპ (ბ) თბილისის კომიტეტის 22 აგვისტოს სხდომაზე[1] მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კავკასიის საოლქო ყრილობის მოწვევის შესახებ, ჩამოყალიბდა ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო ბიურო. ბიურომ თავის მიმართვაში პარტიული ორგანიზაციებისადმი ასე განსაზღვრა ყრილობის მოწვევის საჭიროება და მნიშვნელობა: „ჩვენი სიეზდის მნიშვნელობა დაუფასებელი იქნება, როგორც პარტიისათვის, ისე მთელი ოლქის პოლიტიკური ცხოვრებისათვის. იგი მთელს ოლქში ნამუშევარს და იქ გაფანტულ ძალებს თავს მოუყრის, ის საშუალებას მოგვცემს ურთიერთს ჩვენ-ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ და მდგომარეობა გავაცნოთ; ის ყველა ჩვენთაგანისთვის ერთნაირად საჭირო და მნიშვნელოვან მთელ რიგ კითხვებს გამოარკვევს; ის ჩვენს მუშაობას ერთნაირობას მიანიჭებს, შეგვაერთებს და შეგვადუღებს და ორგანიზაციათა შორის საურთიერთო მტკიცე განწყობილება-დამოკიდებულებას დაამყარებს, რითაც საშუალებას მისცემს პარტიას მიზანშეწონილად მოიხმაროს თავისი ძალები და საშუალებანი; იგი ჩვენს მომავალ შემდეგ მუშაობას მიმართულებას მისცემს: ის, უკანასკნელ, მოგვცემს ჩვენ ორგანოს, რომელიც ჩვენი გამაერთიანებელი და ხელმძღვანელი საოლქო ცენტრი გახდება“[2].

კავკასიის ბოლშევიკების საოლქო ყრილობას, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა დღეებში გაიხსნა, წინ უსწრებდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენები:

კონტრრევოლუციური ბურჟუაზია გამალებით ემზადებოდა აშკარა სამხედრო დიქტატურისათვის. წარმოებდა ფარული მოლაპარაკებანი გენერალ კორნილოვთან, რომელსაც, ბურჟუაზიის აზ-

---

[1] იხ. „Кавказский рабочий“, № 135, 26 აგვისტო, 1917 წ.
[2] იხ. „ბრძოლა“, № 15, „Кавказский рабочий“, № 142, 1917 წ.

რით, რუსეთი უნდა ეხსნა რევოლუციის ჭარიშხლისაგან. კორნილოვშჩინის პოლიტიკური განმტიცებისათვის ბურჟუაზიას საჭიროდ მიაჩნდა ძლიერი საერთო რუსული ცენტრის შექმნა. ამ მიზანს ისახავდა მოსკოვის სახელმწიფო თათბირი (ლენინის თქმით „კონტრრევოლუციურ იმპერიალისტთა თათბირი"), რომელიც 12 აგვისტოს მოსკოვში, პეტროგრადის რევოლუციურ მუშათა და ჯარისკაცთაგან მოშორებით, გაიხსნა.

ამ თათბირმა, რომელმაც მიზნად დაისახა რუსეთის კონტრრევოლუციის გაერთიანება და მიიღო კორნილოვის პროგრამა, რევოლუციური პროლეტარიატის რიგებში მრისხანება გამოიწვია. თათბირის გახსნის დღეს მოსკოვში იფეთქა 400 ათასი მუშის გაფიცვამ. მოსკოველ პროლეტარებს რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები გამოეხმაურნენ.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკები მასებს განუმარტავდნენ, რომ თათბირი მიზნად ისახავს სისხლში ჩაახშოს რევოლუცია, წაართვას ხალხს თავისუფლების ყოველგვარი ნატამალი. გაზ. „ბრძოლამ" ამხილა მენშევიკური საბჭოებისა და „სოციალისტი" მინისტრების ახალი ღალატი თათბირის მხარდაჭერის საკითხში, დაახასიათა ეს თათბირი, როგორც კონტრრევოლუციის ახალი ეტაპი და მოუწოდა მასებს მზადყოფნისაკენ, ვინაიდან ბურჟუაზია შეტევაზე გადმოსვლას აპირებდა.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ბურჟუაზიის წაქეზებითა და აშკარა მხარდაჭერით გენერალმა კორნილოვმა დაიწყო შეიარაღებული გამოსვლა სამხედრო დიქტატურის დასამყარებლად. მაგრამ ეს ავანტიურა მასებისათვის ბოლშევიკური პარტიის ფხიზელი ხელმძღვანელობის მეოხებით მოულოდნელი არ აღმოჩნდა. მთელი რუსეთის პროლეტარიატი აღდგა კორნილოვის წინააღმდეგ. პეტროგრადში შეიქმნა ბოლშევიკური წითელი გვარდიის რაზმები, პროვინციებში ჩამოყალიბდა რევოლუციური კომიტეტები, ჯარის ნაწილებში ბოლშევიკების მეთაურობით გაჩაღდა აგიტაცია კორნილოვის წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა კორნილოვის მომხრეთა დაპატიმრება ან გაძევება. მასების გადამწყვეტმა წინააღმდეგობამ კორნილოვის შეთქმულთა ჯარებში რღვევა შეიტანა, გაიხრწნა თვით შეთქმულთა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი. პროლეტარიატის ერთსულოვანი წინააღმდეგობის შედეგად კორნილოვშჩინა განადგურებულ იქნა.

კორნილოვის ავანტიურის განადგურების შემდეგ მენშევიკები და ესერები შემოვლის გზას დაადგნენ. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ე. წ. „დემოკრატიული თათბირის" მოწვევას (სტალინის გამოთქმით

„კორნილოვშჩინის ნაბუშარი“). ამ თათბირს გარკვეული ვერაგული მიზანი ჰქონდა: რევოლუციის აღმავლობის, მისი გამარჯვების წინა დღით, შემთანხმებლები რუსეთს ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს, ე. წ. წინაპარლამენტს თავაზობდნენ. ეს იყო რევოლუციური პოლეტარიატისათვის თვალის ახვევის, გამარჯვებისაკენ მიმავალი ერთადერთი სწორი გზიდან მისი ჩამოშორების თაღლითური ცდა. ბოლშევიკებმა წინაპარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადეს. პარლამენტის ბოლშევიკურ ფრაქციაში შემავალი ტროცკისტების (კამენევი, ფეოდოროვიჩი) დაჟინების მიუხედავად, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო მასში მონაწილეობა.

ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური მაქინაციების საპირისპიროდ რევოლუციური პროლეტარიატი კიდევ უფრო ამჭიდროებდა თავის რიგებს და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდა. კრიზისი მომწიფებული იყო. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აწარმოებდა გაცხოველებულ სამზადისს იერიშის დასაწყებად.

ასე ვითარდებოდნენ მოვლენები, როცა 2 ოქტომბერს, თბილისში გაიხსნა კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საოლქო ყრილობა.

როგორც სამანდატო კომისიის მოხსენებიდან ჩანს, კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ დროისათვის აერთიანებდნენ პარტიის 8636 წევრს[1]. ყრილობას ესწრებოდა 29 დელეგატი (აქედან 3 სათათბირო ხმით). თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებში დარბეული და დაქსაქსული ბოლშევიკური უჯრედები რვა თვის მანძილზე იმდენად გაიზარდნენ, რომ წარმოადგენდნენ სერიოზულ ავანგარდულ ძალას, რომელსაც უკვე ჰყავდა მუშებისა, უღარიბესი გლეხობისა და ჯარისკაცებისაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი პოლიტიკური არმია.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. მოხსენება პარტიული ყრილობისა და პარტიული ცენტრის შესახებ, 2. მოხსენებები ადგილებიდან, 3. მიმდინარე მომენტი, 4. დამფუძნებელი კრება, 5. ნაციონალური საკითხი, 6. ორგანიზაციული საკითხები, 7. პარტიული პრესა, 8. აგრარული საკითხი, 9. არჩევნები, 10. სხვადასხვა.

დელეგატები ყრილობას მოუთხრობდნენ იმის შესახებ, თუ ბოლშევიკური ორგანიზაციების დამრაზმველი მუშაობის შედეგად როგორ ირღვეოდა „მენშევიკების ძალაუფლების ტახტი“, როგორ

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 165. 5 ოქტომბერი, 1917 წ.

ეთიშებიან მასები შემთანხმებლურ პარტიებს, რა ჭირებს, პროკლამაციებს მიმართავენ მენშევიკები და ესერები ბოლშევიკების წინააღმდეგ და სდევნიან მათ, მაგრამ, მიუხედავად ასეთი დევნისა, ფართოვდებოდა მათი გავლენა მასებზე. ყრილობის დელეგატი ა. მიქოიანი, ეხებოდა რა ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო უღარიბესი გლეხობის დარაზმვის პროცესს, მაგალითისათვის ასახელებდა ალავერდის რაიონს. „აქ ბოლშევიკებს,—ამბობდა იგი,—მოხვეჭილი აქვთ დიდი ავტორიტეტი, მუშების სიმპათია მთლიანად ბოლშევიკთა მხარეზეა. ალავერდის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მეწარმეებთან, კულაკებთან, დაშნაკებთან ბრძოლაში მიაღწიეს წარმატებას, უღარიბესი გლეხობა აქტიურად მოქმედებს რევოლუციის მხარეზე“[1].

ყრილობამ მგზნებარე მისალმებით მიმართა ვ. ი. ლენინს. „ყრილობა მტკიცე რწმენას გამოთქვამს,—ნათქვამი იყო ამ მისალმებაში,—რომ ახლო მომავალში რუსეთის მუშათა კლასი და რევოლუციური გლეხობა თავისი ახალი რევოლუციით დაამხობენ მილიუკოვის და მისი ლაქიების კერენსკების ბატონობას და შეუქმნიან შესაძლებლობას ამხანაგ ლენინს გამოვიდეს იატაკქვეშეთიდან და ღიად დაიკავოს ჩვენი პარტიის ბელადის, რუსეთის დიდი რევოლუციის ბელადის პოსტი“[2].

ბოლშევიკების ყრილობის პარალელურად თბილისშივე მიმდინარეობდა მენშევიკების საოლქო ყრილობა. მენშევიკები შეეცადნენ ბოლშევიკების გავლენის შეჩერების ახალი ხერხისათვის მიემართათ. ბოლშევიკების ყრილობას მენშევიკებმა ორგანიზაციული გაერთიანება შესთავაზეს. ამ მანევრის მიზანი ნათელი იყო: მენშევიკებს სურდათ ბოლშევიკებთან გაერთიანების შემდეგ მასებში დაბნეულობა შეეტანათ, ერთიანობის საფარით თავიანთი შემთანხმებლური, რეფორმისტული ლოზუნგები გაეპარებინათ და, ამრიგად, მასები რევოლუციური გზიდან აეცდინათ.

ბოლშევიკების ყრილობამ ამ წინადადებას მტკიცე უარით უპასუხა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბოლშევიკებს არც იდეურად, არც ორგანიზაციულად საერთო არა აქვთ რა მენშევიკებთან. პირიქით, რევოლუციის გაღრმავების ბოლშევიკური ხაზი წარმოადგენს დაპირისპირებულს მენშევიკთა პარლამენტარული, ანუ კონტრრევოლუციური, პროგრამის მიმართ[3].

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 19, „Кавказский рабочий“, № 168, 169, 1917 წ.

[2] Резолюции кавказского краевого съезда РСДРП (большевиков), зз. 16.

[3] გაზ. „ბრძოლა“, № 19. Резолюции кавказского краевого съезда РСДРП (большевиков), зз. 14—15.

მიმდინარე მომენტის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა სტ. შაუმიანი. მან დაწვრილებით განიხილა ივლისის დღეების შემდეგ რუსეთში შექმნილი ვითარება, დაახასიათა კონტრრევოლუციისა და რევოლუციის ბანაკი, ანალიზი გაუკეთა რევოლუციის ძალებს და ხაზი გაუსვა კრიზისის მომწიფებას ახალი რევოლუციისათვის. „დემოკრატიულმა თათბირმა, — ამბობდა იგი, — მჭევრმეტყველურად დაამტკიცა ობორონცების პოლიტიკის გაკოტრება. დემოკრატიის უმრავლესობა კოალიციის წინააღმდეგ წავიდა. წერეთელმა და კომპანიამ საჭირო მთავრობის შედგენა ვერ შესძლეს. ახლად შემდგარი მთავრობა ნდობასა და ყოველგვარ ავტორიტეტს მოკლებულია. წინასწარი „პარლამენტიც“, რომელიც მთავრობის დასაყრდნობ საფუძვლად შექმნეს, თავისთავად არავითარ ძალას არ წარმოადგენს. მთავრობა არ გვყავს. რევოლუციისათვის კი იგი საჭიროა“[1].

მოხსენების დასასრულს შაუმიანმა კავკასიელ ბოლშევიკებს მოუწოდა არ შეუშინდნენ არავითარ დაბრკოლებას, მედგრად გასწიონ წინ იმ მიზნების განსახორციელებლად, რომელნიც თვით ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი, ხელთ იპყრან ძალაუფლება და მიიყვანონ რევოლუცია სრულ გამარჯვებამდე[2].

მიმდინარე მომენტის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ყრილობა კარგად ხედავს, რომ ბურჟუაზია და მისი დამქაშები—კერენსკები და წერეთლები (ყოფილნი და ახლანდელნი) ეგრეთწოდებული სოციალისტი მინისტრები არ დასთმობენ უბრძოლველად თავიანთ პოზიციებს და რომ, მეორე მხრით, გარდა მეფის მთავრობის მემკვიდრეობისა, ისინი გვიტოვებენ ჩვენ რღვევისა და ანარქიის ახალ, მძიმე მემკვიდრეობას და შვიდი თვის განმავლობაში გამცემლური შემთანხმებლური პოლიტიკით გამოწვეულ ხალხის მასების გულგატეხილობას. მაგრამ მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხობის რევოლუციური წარმომადგენლები არ უნდა შეჩერდნენ სიძნელეთა და მსხვერპლთა წინაშე და გაბედულად უნდა შეუდგნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ქვეყნისა და რევოლუციის ხსნას დაღუპვისაგან“[3].

ყრილობის მონაწილეთა შორის იყვნენ ოპორტუნისტები, რომლებიც, იყვნენ რა მენშევიზმის გავლენის ქვეშ, ჯერ კიდევ ადრე (მარტი-აპრილი) ქადაგებდნენ მენშევიზმთან ორგანიზაციული ერთიანობის აუცილებლობას, ხოლო ივლისის დღეებში თბილისის

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 20, 15 ოქტომბერი, 1917 წ.
[2] ი ბ ი ვ ე.
[3] Резолюции Кавказского Краевого съезда РСДРП (большевиков), გვ. 4-

პროლეტარიატს მენშევიკებთან ერთად ურჩევდნენ არ გამოსულიყვნენ მანიფესტაციებით. ახლა ისინი მოითხოვდნენ ძალაუფლების გადაცემას რევოლუციური დემოკრატიისათვის, იმ დემოკრატიისათვის, რომელიც „ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის საფარს წარმოადგენდა“.

ყრილობაზე ოპორტუნისტულად განწყობილი ჯგუფის წევრი მ. ტოროშელიძე რევოლუციის მიზანს დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელებაში ხედავდა. იგი ამტკიცებდა: ნაციონალური ჩაგვრის მოსპობისა და შემსუბუქებისათვის პროლეტარიატი მიისწრაფვის თანმიმდევრული დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილების დამყარების გზით, წყობილებისა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ერის თანასწორუფლებიანობასო[1]. დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა იმ დროს, როცა ყველა ჯგუფის კონტრრევოლუციონერი თავს აფარებდა მის კალთას, როცა ლენინი და სტალინი მოითხოვდნენ შეიარაღებული აჯანყების გზით დროებითი მთავრობის დამხობას და საბჭოების ხელისუფლების დამყარებას, კონტრრევოლუციური ლოზუნგი იყო. ტოროშელიძის პოზიციას სავსებით იზიარებდნენ ყრილობაზე მ. ოკუჯავა, მ. ორახელაშვილი და სხვა ოპორტუნისტები—რევოლუციის შტრეიკბრეხერები და მოღალატენი.

ყრილობის სხდომების სტენოგრაფიული ანგარიში შენახული არ არის, ამიტომ შეუძლებელია აღვადგინოთ მისი მუშაობის სრული სურათი. იძულებული ვხდებით დავკმაყოფილდეთ იმ ინფორმაციული ცნობებით, რომლებსაც ყრილობის მუშაობის შესახებ „ბრძოლა“, „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბაკინსკი რაბოჩი“ ათავსებდნენ. ეს ინფორმაციები მეტად ღარიბია, მაგრამ აქაც შეიძლება გარკვევა იმისა, რომ ყრილობაზე მიმდინარე მომენტის შეფასების, ნაციონალური და სხვა საკითხების ირგვლივ ოპორტუნისტულ შეხედულებათა წინააღმდეგ მკვეთრი ბრძოლა გაიშალა.

ყრილობაზე განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გამოიწვია მოხსენებამ ნაციონალური საკითხის შესახებ.

როგორც ცნობილია, კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა ერთა თვითგამორკვევას სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. მაგრამ კომუნისტებს ერთა თვითგამორკვევისა და მათი სახელმწიფოებრივი გამოყოფის ლოზუნგი ყველა ვითარებისათვის მზა რეცეპტად და დოგმად როდი მიაჩნდათ. გამოყოფის საკითხი ყოველი ცალკე შემთხვევისათვის დამოუკიდებლად, ვითარების მიხედვით უნდ-

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 171, 1917.

გადაწყვეტილიყო. არ შეიძლებოდა ერთმანეთში აერიათ გამოყოფის უფლების აღიარებისა და ამა თუ იმ პირობებში გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი. VII (აპრილის) კონფერენციაზე მოხსენებაში ი. ბ. სტალინი მიუთითებდა: „...მე პირადად, მაგალითად, წინააღმდეგი ვიქნებოდი ამიერკავკასიის გამოყოფისა, ვიღებ რა მხედველობაში საერთო განვითარებას ამიერკავკასიასა და რუსეთში, პროლეტარიატის ბრძოლის განსაზღვრულ პირობებს და სხვ. მაგრამ ამიერკავკასიის ხალხებს მაინც რომ მოეთხოვათ გამოყოფა, ისინი, რასაკვირველია, გამოიყოფოდნენ, და ჩვენის მხრით წინააღმდეგობას არ შეხვდებოდნენ... მე ვფიქრობ, რომ ეროვნებათა 9/10 ცარიზმის დამხობის შემდეგ არ მოისურვებს გამოყოფას. ამიტომაც პარტია წინადადებას იძლევა მოეწყოს საოლქო ავტონომიები იმ ოლქებისათვის, რომლებიც არ მოისურვებენ გამოყოფას (ხაზი ჩემია—ა. ს.) და რომლებიც განსხვავდებიან ყოფაცხოვრების, ენის თავისებურებებით, როგორც, მაგალითად, ამიერკავკასია, თურქესტანი, უკრაინა“[1].

ამრიგად, კონკრეტულ პირობებში ამიერკავკასიისათვის კომუნისტებს მიზანშეწონილად არ მიაჩნდათ გამოყოფა. მხედველობაში იღებდნენ რა საერთო განვითარებას, მუშათა მოძრაობის საერთო პირობებს, კომუნისტები მიუთითებდნენ, რომ ამიერკავკასიის ხალხებს თავიანთი ინტერესების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ რუს ხალხთან კავშირში, მისი ხელმძღვანელობით. პარტიის ეს წინასწარხედვა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ბრწყინვალედ დაადასტურა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიის ხალხები, შევიდნენ რა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციის სახით, ხოლო შემდეგ, როცა ამ ფედერაციამ თავისი ისტორიული როლი შეასრულა, ცალკეულ მოკავშირეთა რესპუბლიკების სახით, ხალხთა დიად სტალინურ ოჯახში აღორძინდნენ და აყვავდნენ, საბოლოოდ გადაწყვიტეს თავიანთი ნაციონალური ინტერესები.

ფ. მახარაძე VII (აპრილის) კონფერენციაზე გამოვიდა ერთა თვითგამორკვევის ლენინურ-სტალინური ლოზუნგის წინააღმდეგ. იგონებდა რა ფ. მახარაძის ამ გამოსვლას, ი. ბ. სტალინი პარტიის XII ყრილობაზე ამბობდა: „1917 წლის აპრილში კონფერენციაზე მე ამხანაგ ლენინთან ერთად ვიბრძოდი ამხ. მახარაძის წინააღმდეგ. მაშინ ის წინააღმდეგი იყო ერების თვითგამორკვევისა, წინააღმდეგი იყო ჩვენი პროგრამის საფუძვლისა, წინააღმდეგი იყო

[1] ი. ბ. სტალინი, თხს., ტ. 3, გვ. 58—59.

ბალხთა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობის უფლებისა. ის ამ თვალსაზრისზე იდგა და იბრძოდა პარტიის წინააღმდეგ. შემდეგ მან შესცვალა თავისი შეხედულება (ეს, რა თქმა უნდა, პატივს დებს მას), მაგრამ მაინც მას ეს არ უნდა დაეიწყებინა!"[1].

კავკასიის ბოლშევიკთა ყრილობაზე ერთა თვითგამორკვევის ლენინურ-სტალინური ლოზუნგების წინააღმდეგ გამოვიდნენ თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობაში მყოფი ოპორტუნისტულად განწყობილი პირები. ისინი ცდილობდნენ ყრილობისათვის თავზე მოეხვიათ აზრი, თითქოს დემოკრატიული რესპუბლიკის გარეშე შეუძლებელია ნაციონალური საკითხის გადაჭრა და, ვიდრე დროებითი მთავრობა არსებობს, ერების ბრძოლა გამოყოფისათვის უმიზნოა. რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში ამიერკავკასიამ უნდა მოიპოვოს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა ახალი ტერიტორიული ერთეულების დადგენით ეკონომიური ნიშნების საფუძველზეო.

ერთა თვითგამორკვევის კომუნისტური ლოზუნგი ყრილობაზე ჰტა�ed დაიცვეს სტ. შაუმიანმა, ა. მიქოიანმა და სხვ. აკრიტიკებდა რა ოპორტუნისტების პოზიციას, შაუმიანი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ ისინი არ ითვალისწინებენ ნაციონალური საკითხის თეორიული დამუშავების დროს ამ ათი წლის მანძილზე მოპოვებულ მიღწევებს, რჩებიან იმავე თვალსაზრისზე, რომელსაც ბოლშევიკების პროგრამა 1913 წლამდე იცავდა. სტ. შაუმიანი მიუთითებდა, რომ ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისათვის ბრძოლა კი არ უნდა შევანელოთ და გადავდოთ რევოლუციის გამარჯვებამდე, არამედ ვაიძულოთ დროებითი მთავრობა მიანიჭოს ერებს უფლება თვით გადაწყვიტონ თავიანთი საკითხი. ფინლანდიამ როდი დაიცადა, ვიდრე რუსეთი ეტყოდა მას თავისი თვითგამორკვევის შესახებ, ასევე უკრაინამაც[2] — ამბობდა შაუმიანი.

სტ. შაუმიანმა გამოააშკარავა ოპორტუნისტთა ლოზუნგის— საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნის ანტიკომუნისტური ბუნება. ლენინმა ჯერ კიდევ 1913 წ. მოითხოვა,—აღნიშნავდა იგი, — ოლქების თვითმმართველობა შეცვლილიყო ოლქების ავტონომიით. ამჟამად თვითმმართველობა არ შეესაბამება პროლეტარიატის ინტერესებს, მოვლენებმა წინ გაუსწრეს ამ მოთხოვნას. ოლქის თვითმმართველობას არ აქვს კანონმდებლობის უფლება, იგი თავის ხელში აერთიანებს კულტურულ და ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 256—257.

[2] გაზ. „Кавказский рабочий", № 171, 12 ოქტომბერი, 1917 წ.

ავტონომია განსხვავდება თვითმმართველობისაგან იმით, რომ მას ჰყავს სეიმი ფართო საკანონმდებლო უფლებით. ჩვენ უნდა ვიცნოთ ოლქის ავტონომია.

ეროვნულ საკითხზე მიღებული რეზოლუცია მოითხოვდა კავკასიის ავტონომიას: „აღიარებს რა ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას მათი თვით სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე, ჩვენი პარტია მოითხოვს დროებითი მთავრობისაგან ამ უფლების დაუყოვნებლივ, აშკარად აღიარებას რუსეთში დასახლებული ყველა ერისათვის და მათს შორის კავკასიის ხალხებისათვისაც. ამასთან ერთად, ყრილობა აცხადებს, რომ ის კავკასიის ერებს არ ურჩევს არც გამოყოფას და არც ფედერატიულ სახელმწიფოთა შექმნას. პირიქით, ვიღებთ რა მხედველობაში ერთა და ტომთა სიჭრელეს და მრავალრიცხოვანობას, და აგრეთვე, მათს ერთმანეთში არევას ჩვენს მხარეში, და, მეორე მხრით, ვითვალისწინებთ რა მუშათა მოძრაობის ერთიანობის ინტერესებს კავკასიაში, ჩვენ მოვუწოდებთ კავკასიის მთელ დემოკრატიას, განურჩევლად ეროვნებისა, უაღრესად მჭიდრო ერთობისა და დაახლოვებისაკენ“[1].

მიღებული რეზოლუციები დამფუძნებელი კრების, წინაპარლამენტში მონაწილეობის და აგრარული საკითხის შესახებ გამომდინარეობდნენ ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და კავკასიელ ბოლშევიკთა წინაშე სახავდნენ ახალ ამოცანებს რევოლუციის შემდგომი გაღრმავების საქმეში.

ყრილობამ კავკასიის რსდმპ ბოლშევიკური ორგანიზაციები გამოაცხადა ერთ სამხარეო ორგანიზაციაში გაერთიანებულად. არჩეულ იქნა რსდმპ ბოლშევიკების კავკასიის საოლქო კომიტეტი[2].

კავკასიის ბოლშევიკების საოლქო ყრილობას ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში თვალსაჩინო როლი უჭირავს. ყრილობამ ორგანიზაციულად დააკავშირა ერთმანეთთან საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები, მისცა მათ მოქმედების ნათელი პროგრამა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობდა, და შექმნა სამხარეო კომიტეტი, რომელიც ამიერიდან ხელმძღვანელობას გაუწევდა ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობას ადგილებზე, უზრუნველყოფდა კონტაქტს მათ შორის და, ამრიგად, გააადვილებდა მებრძოლი მასების დარაზმვას ბოლშევიკური პარტიის დროშის გარშემო სოციალისტური რევოლუციის განსახორციელებლად.

---

[1] Резолюции кавказского краевого съезда РСДРП (большевиков). გვ. 8.
[2] იქვე, გვ. 10.

თავი III

საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის კონტრრევოლუციური კრმისარიატისა და სეიმის პერიოდში

1) ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ძალების ბლოკი ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ

1917 წლის 25 ოქტომბერი უბრწყინვალესი თარიღია კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ამ დღეს რუსეთის პროლეტარიატმა ულარიბეს გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო ბურჟუაზიის დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა. საუკუნეთა მანძილზე დაჩაგრული მასები არა ერთხელ ამხედრებულან ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ, არა ერთხელ მომხდარა რევოლუცია, მაგრამ მშრომელები ან მარცხდებოდნენ, ან რევოლუციის შედეგად ექსპლოატაციის ერთი სახე იცვლებოდა ექსპლოატაციის მეორე სახით. მხოლოდ რუსეთის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეძლეს ექსპლოატატორთა უღლის საბოლოოდ დამხობა, მუშათა და გლეხთა ხელისუფლების დამყარება.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ პირველმა შეანგრია კაპიტალიზმის კარები რუსეთში და შეარყია კაპიტალიზმის სისტემა მთელ მსოფლიოში, შექმნა სოციალიზმის პირველი კერა, პირველი ციტადელი, დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში — კომუნიზმის ერას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ კაპიტალისტურ სამყაროს მიაყენა მომაკვდინებელი ჭრილობა იმით, რომ მის მეტროპოლიებსა და კოლონიებში გადაისროლა რევოლუციის თესლი, პროლეტარიატის დიქტატურის სახით მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მძლავრი და აშკარა ბაზა შექმნა. დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ არა მარტო მოსპო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა, ხალხთა შორის შუღლი და მტრობა, არამედ შექმნა ქვეყნის ეკონომიური, სამხედრო, კულტურული ჩამორჩენის სწრაფი ლიკვიდაციის პირობები, მშრომელთა შეძლებული ცხოვრების მატერიალური საფუძველი, მოამზადა ნიადაგი სოციალიზმის აშენებისათვის, სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ყველაზე უფრო ხალხური რევოლუცია იყო კაცობრიობის ისტორიაში. ამ ხალხურობის გამო მან პეტროგრადიდან სწრაფად იწყო გავრცელება რუსეთში, ისე სწრაფად, რომ ნოემბრიდან თებერვლამდე იგი მთელ ქვეყანას მოედო. ლენინმა ოქტომბრის რევოლუციის ასეთ სწრაფ განვითარებას რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების „ტრიუმფალური მარში" უწოდა.

შიდა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის ტრიუმფალური მსვლელობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სამრეწველო ცენტრების სიჭარბე, სადაც სახეზე იყო ორგანიზებული, რევოლუციურ ბრძოლებში ნაწრთობი მუშათა კლასი. შიდა რუსეთის მოსახლეობის ნაციონალური ერთიანობის გამო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს დასაყრდენი გამოცლილი ჰქონდათ. სხვა მდგომარეობა იყო რუსეთის განაპირა—აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებში. პროლეტარიატი აქ შედარებით ნაკლებად ორგანიზებული იყო, რევოლუციურ მოძრაობას დახვეწილი ხასიათი არ ჰქონია, მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის მკვეთრი სიჭრელე განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მოქმედებისათვის. განაპირა მხარეების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა გაერთიანებული კონტრრევოლუციური ბლოკი შეკრეს შეძლებულ კლასებთან და მიზნად დაისახეს ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ ჯებირის აღმართვა, რევოლუციური რუსეთიდან მასების ჩამოცილება და თავიანთი დიქტატურის დამყარება.

ი. ბ. სტალინი მიუთითებდა, რომ „ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დასაწყისში დაისახა ერთგვარი გეოგრაფიული გამიჯნვა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის. სამოქალაქო ომის შემდგომი განვითარების მსვლელობაში საბოლოოდ გამოირკვა რევოლუციისა და კონტრრევოლუციის რაიონები"[1].

ზემოთქმულ თავისებურებათა გამო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ამიერკავკასია სამხრეთის კონტრრევოლუციის გაგრძელება გახდა.

* *

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ქართველი მენშევიკებისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების უსაზღვრო გაბოროტება და შიში გამოიწვია. მენშევიკები საბჭოთა ხელისუფლე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 313—314.

ბას უნიადაგოს, უტოპიურს უწოდებდნენ, მის სწრაფ დაღუპვას წინასწარმეტყველებდნენ.

მენშევიკები და კომპ. ანტისაბჭოთა აგიტაციას როდი დაჯერდნენ. მათ იგრძნეს, რომ რევოლუცია დღის წესრიგში იდგა საქართველოშიც, რადგან მასების ერთსულოვანი ამხედრებისათვის ნიადაგი ყოველდღიურად მწიფდებოდა. ხელისუფლების სიტკბოს შეჩვეულმა შემთანხმებლებმა მიზნად დაისახეს ძირშივე ჩაექროთ რევოლუციის მოსალოდნელი ხანძარი და თავიანთი დროშის ქვეშ მოუწოდეს ყველა ნაძირალა ელემენტს.

რევოლუციამ ამიერკავკასიის შეძლებული კლასების ძრწოლა გამოიწვია. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე ღონისძიებებში მათ თავიანთი აღსასრულის მოახლოება იგრძნეს. ძველი მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ახლა ისინი „სამშობლოსა და დემოკრატიის ხსნის“ ფარისევლურ ლოზუნგს ამოეფარნენ და დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც ერთა თანასწორუფლებიანობა აღიარა, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს, რომლებიც ურცხვად ვაჭრობდნენ „ერის ინტერესებით“, ხოლო ფარულად ბურჟუაზიულ დიქტატურას ამაგრებდნენ. ამიერკავკასიის შეძლებულ კლასებს, შემთანხმებლებს, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს, ახლა, როცა ჩრდილოეთიდან რევოლუციის ქარიშხალი ჰქროდა, განსაკუთრებით სჭიროდათ მტკიცე ხელისუფლება. ხელისუფლება კი ამ დროს ფაქტიურად აღარ არსებობდა. ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც თავიდანვე მოკლებული იყო ყოველგვარ ავტორიტეტს და დასაყრდენს მასებში, რუსეთში დროებითი მთავრობის დამხობის შემდეგ ფორმალურადაც მოკვდა, აღარ შეიძლებოდა მისთვის დაეკისრებინათ წარმომადგენლობა იმ მთავრობისა, რომელიც უკვე აღარ არსებობდა.

საერთო ინტერესებმა, საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის საერთო პროგრამამ მენშევიკები, დაშნაკები, მუსავატები და შეძლებული კლასები ერთმანეთს უფრო მტკიცედ დააკავშირეს. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მათ მჭიდრო ბლოკი შეკრეს. ამ ბლოკმა იურიდიული გამოხატულება პოვა ამიერკავკასიის კომისარიატში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების მეოცე დღეს, 1917 წლის 14 ნოემბერს, შეიქმნა თბილისში.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობის შექმნაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგენტები, რომელთაც თა-

ვიანთ რეაქციულ მთავრობათა დავალებით მიზნად ჰქონდათ დასახული ამიერკავკასია ჩამოეშორებინათ საბჭოთა რუსეთისაგან და შემდეგ აქ თავიანთი კოლონიური რეჟიმი დაემყარებინათ. ამერიკისა და ინგლისის მმართველი წრეები კარგად ხედავდნენ, რომ ამიერკავკასიის პურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკა მათი ზრახვების პრაქტიკული განხორციელებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა და ამიტომ ამ პარტიათა ბოროტ საქმიანობას, მიმართულს რუსეთისა და ამიერკავკასიის მშრომელი კლასების საბრძოლო მეგობრობის გათიშვისაკენ, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს. საბჭოთა რუსეთისაგან მოწყვეტილი ამიერკავკასია მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესების დამცველი მთავრობით მათ ეხატებოდათ, როგორც ერთ-ერთი მოხერხებული პლაცდარმი საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისა და მუშურ-გლეხური რესპუბლიკის ლიკვიდაციისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსულმა ფ. სმიტმა თბილისში, 10 ნოემბერს, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის შექმნისათვის მზადების დღეებში აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ლანსიგს შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „შაბათს მე დავესწრები სხდომას, სადაც ჩამოყალიბდება ამიერკავკასიის მთავრობა, რომელიც გაერთიანდება სამხრეთ-აღმოსავლეთ ფედერაციაში (დონის, ყუბანის და სხვ. კაზაკური ჯარების თეთრგვარდიული მთავრობა—ა. ს.) და უარს იტყვის დაზავებასა ან სეპარატულ ზავზე“[1]. სმიტთან ერთად ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომელთა კონსულტაციებს მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ, ესწრებოდნენ იმ თათბირს, რომელზედაც კონტრრევოლუციური კომისარიატი ჩამოყალიბდა.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატს საფუძველი ჩაუყარა გაფართოებულმა თათბირმა, რომელიც მოეწყო 11 ნოემბერს თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ქალაქის გამგეობის, საოლქო ცენტრების, კავკასიის არმიის სარდლობისა და იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

თათბირზე რსდმპ (ბოლშევიკების) სამხარეო კომიტეტის წარმომადგენლებმა (ცხაკაია, მახარაძე) გამოაქვეყნეს თავიანთი დეკლარაცია, სადაც დაგმობილი იყო რუსეთიდან ამიერკავკასიის ჩამო-

---

[1] ციტირებულია ჟურნალიდან Вопросы истории, № 11, 1953. იხ. И. И. Минц, Новейшие упражнения американских фальсификаторов истории, გვ. 111.

შორების ცდა. ბოლშევიკებმა ამ თათბირში მონაწილეობაზე უარი თქვეს. მ. ცხაკაია თავის გამოსვლაში მოითხოვდა მთელი ძალაუფლების გადაცემას საბჭოებისათვის, რომელთა არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარებულიყო[1].

კონტრრევოლუციური ბლოკის პარტიები ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნას თავისებურად ასაბუთებდნენ: ბოლშევიკების გამარჯვების შედეგად რუსეთი ანარქიამ მოიცვა, კავშირი რუსეთთან გაწყდა, ამიერკავკასია მარტოდმარტო დარჩა მიტოვებული. ამ საერთო ანარქიის დროს ჩვენ ან უნდა დავღუპულიყავით, ან უნდა შეგვექმნა დამოუკიდებელი ხელისუფლებაო, — ამბობდნენ ისინი. 15 ნოემბრის თარიღით გამოცემულ პრძანებაში ამიერკავკასიის კომისარიატი აცხადებდა: „არაჩვეულებრივ გარემოებათა გამო, რაც გამოწვეულია პოლიტიკური მომენტით და ცენტრალური, ყველასაგან აღიარებული ხელისუფლების უქონლობით, ამა რიცხვს — ჩვენ, ამიერკავკასიის კომისარიატის წევრები შევუდექით ჩვენს მოვალეობათა შესრულებას, ავიღეთ რა ხელში სრული ძალაუფლება ამიერკავკასიის ფარგლებში,. მთავრობის ყველა უწყებათა და მართვა-გამგეობის ყველა პირთა ამიერკავკასიის კომისარიატისადმი უშუალო დამორჩილებით"[2].

* * *

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის დაარსებისათებელმა ნიშნებმა მისი „მოღვაწეობის" პირველსავე დღეებში იჩინა თავი.

ახალი მთავრობა, რომელიც ასე მოულოდნელად და თვითნებურად მოევლინა ამიერკავკასიას, მოკლებული იყო ყოველგვარ დასაყრდენს. მას მხარს არ უჭერდნენ არც მუშები, არც გლეხები. მას არ ჰყავდა არმია. „ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ როდესმე ან სადმე მსოფლიოში არსებულიყოს უფრო საცოდავი და უბადრუკი მთავრობა, ვიდრე არის ამიერკავკასიის კომისარიატი გეგეჭკორიის მეთაურობით,—წერდა სტ. შაუმიანი ამ მთავრობის შესახებ,—კერენსკის მთავრობას, რომელიც ასევე უბადრუკად დასრულდა, მაინც ჰქონდა ხმაურიანი დასაწყისი. ამიერკავკასიის კომისარიატს კი, მისი გამოჩენის პირველსავე დღიდანვე, არ ჰქონია არავითარი რეალური დასაყრდენი და არავითარი მორალურ-პოლიტიკური ავ-

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий", № 200, 15 ნოემბერი, 1917 წ.

[2] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 66.

ტორიტეტი. ეს ავტორიტეტი მას არ ჰქონდა საკუთარ თვალშიც კი"[1].

ამიერკავკასიის კომისარიატს თავიდანვე ღრღნიდა შინაგანი წინააღმდეგობანი. მაშინ როდესაც კომისარიატის შემადგენლობაში შესული ქართველი მენშევიკები, თურქი მუსავატები და სომეხი დაშნაკები ელაქუცებოდნენ ერთმანეთს პირში და გამოთქვამდნენ მისწრაფებას ერთობლივი ძალით ემართათ ამიერკავკასია, პირს უკან ძირს უთხრიდნენ ერთმანეთს, ჰქმნიდნენ ნაციონალურ პოლკებს, რომლებიც კომისარიატისადმი დასაპირისპირებელ რეზერვს წარმოადგენდნენ. დუ ოფიციალურად ხელისუფლების ფუნქციები კომისარიატის ხელში იყო, თითოეულ მხარეში ფაქტიური ხელისუფლების როლს ე. წ. ეროვნული საბჭოები ასრულებდნენ. სტ. შაუმიანის მოსწრებული დახასიათებით „ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტში, რომლის სამწუხარო მოგონებაღა დარჩა, იჯდნენ ქართველი ჩხენკელი, სომეხი პაპაჯანოვი, მუსლიმანი ჯაფაროვი, რომლებიც თავთავიანთ ცალკე კაბინეტებში სწყვეტდნენ „თავიანთი ერის" ბედს. მათ სძულდათ ერთმანეთი, არ ენდობოდნენ ერთმანეთს და აღმოსავლელ ხელისუფალთა მსგავსად ერთმანეთის წასისიანებით, მიყურადებითა და ინტრიგით იყვნენ გართული. ერთიანი ხელისუფლება ამიერკავკასიაში არ არსებობდა. როცა შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, ერთი ჩხენკელის ნაცვლად გამოჩნდა სამი ჩხენკელი, ერთი პაპაჯანოვის ნაცვლად — სამი პაპაჯანოვი და ერთი ჯაფაროვის ნაცვლად — სამი თუ ოთხი ჯაფაროვი.

მაგრამ ამით ამიერკავკასიის მთავრობა არ გაუმჯობესებულა, პირიქით, იგი სამგზის და ოთხგზის გაუარესდა"[2].

ამიერკავკასიის კომისარიატი მჭიდროდ დაუკავშირდა თეთრგვარდიელ გენერლებს და ყოველგვარ დახმარებას უწევდა მათ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენი სამშობლოს ყველაზე მძიმე წუთებში, როდესაც ერთ მხარეზე მუშებისა და გლეხების რევოლუციური ძალები ირაზმებოდნენ, ხოლო მეორე მხარეზე—კონტრრევოლუციონერები—მილიუკოვები, კორნილოვები, კალედინები, კარაულოვები და სხვ., ამიერკავკასიის კომისარიატმა რევოლუციური პეტროგრადის ხელისუფლებას ზურგი შეაქცია და ფაქტიურად კალედინთან და კარაულოვთან შეკრა კავშირი. ასეთ საქციელს კონტრრევოლუციური პარტიები ამართლებდნენ იმით, რომ ამიერკავკასია უპუროდ დარჩებოდა, თუ

---

[1] С. Г. Шаумян, Статьи и речи (1908—1918), 1924 წ., გვ. 120.

[2] იქვე.

ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციურ მთავრობას არ დაეხმარებოდა[1].

ამიერკავკასიის კომისარიატთან სრული თანხმობით მოქმედებდნენ არმიის სამხარეო მენშევიკურ-ესერული საბჭო და კავკასიის არმიის სარდლობა, რომლებიც ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციის ლაშქრობას საბჭოებია წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ხელისუფალნი, მისი სულისჩამდგმელნი მენშევიკები—გეგეჭკორი, ჟორდანია და სხვ., როცა ასე გულუხვად უწევდნენ დახმარებას ჩრდილო კავკასიის თეთრგვარდიელ გენერლებს, წუხდნენ არა იმდენად პურზე, რამდენადაც მოკავშირეზე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ სურდათ ჩრდილო კავკასიაში კონტრრევოლუციის გამარჯვებით შეექმნათ მტკიცე კედელი, რომელიც გაუმკლავდებოდა რუსეთიდან მომავალ რევოლუციის ქარიშხალს.

ამიერკავკასიის კომისარიატმა და სეიმმა არ იცნეს ბრესტის ზავის პირობები. ისინი საგარეო პოლიტიკაში დაადგნენ „დამოუკიდებელ ხაზს", რომელიც სხვა არა იყო, თუ არა მონური ხოხვა თურქი, გერმანელი და ინგლისელი მტაცებელი იმპერიალისტების წინაშე. ატეხეს რა აღვირახსნილი ცილისმწამებლური ღმუილი ბრესტის ზავის „კაბალური პირობების" გარშემო, მენშევიკურმა კომისარიატმა და სეიმმა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თავისი „დიპლომატიით" თურქეთს ხელში ჩაუგდეს არდაგანი, ყარსი, ბათუმი და თურქი დამპყრობლების უშუალო საფრთხის ქვეშ დააყენეს საზღვრისპირა რაიონები. „დამოუკიდებელი" ამიერკავკასია, ხოლო შემდეგ „დამოუკიდებელი" საქართველო, რომელზედაც ასე თავგამოდებით ტრაბახობდნენ მენშევიკები, იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმი.

ამიერკავკასიის კომისარიატის პარალელურად საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გააქტიურდნენ ე. წ. ნაციონალური საბჭოები. საინტერესოა საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნის პროცესი.

ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ქართველი მენშევიკები მასების ზურგს უკან შეუთანხმდნენ სოციალ-ფედერალისტებს და ნაციონალ-დემოკრატებს და მათთან ერთად შექმნეს ე. წ. ინტერპარტიული ნაციონალური საბჭო. გაზ. „ბრძოლამ" ქართვე-

---

[1] С. Г. Шаумян, Статьи и речи, зд. 120.

ლი მენშევიკების ამ კონტრრევოლუციურ ნაბიჯს ადრევე ახადა ფარდა. იგი წერდა: „პარტიის ლიდერები, რომელთაც მენშევიკების საოლქო კომიტეტში მოუყრიათ თავი, მასის დაუკითხავად და მის ზურგს უკან აკეთებენ მეტად სერიოზულ პოლიტიკურ ნაბიჯებს. ისინი მართავენ მოლაპარაკებას მოწინააღმდეგე პარტიებთან, აწყობენ მათთან შეთანხმებას, ქმნიან მუდმივ საერთო ორგანოს შოვინისტებთან და ნაციონალისტებთან და ყოველივე ამას უმალავენ თავის პარტიულ ამხანაგებს და ამავე დროს მოქმედებენ ამ მასის სახელით“[1].

პირველ ხანებში მენშევიკების ლიდერები მალავდნენ ამ საბჭოში მონაწილეობას, რადგან საბჭო თავისი ბუნებით შეუთავსებელი იყო იმ პროგრამასთან, რომლითაც ისინი მასების წინაშე გამოდიოდნენ. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალური მხარე. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ნაციონალური საბჭოების მოქმედება უფრო აქტიური გახდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი მენშევიკები რუსეთში ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, რევოლუციური რუსეთისაგან ჩამოშორების გზას რომ დაადგნენ, მომავალი ხელისუფლების საფუძვლებს ხედავდნენ არა ამიერკავკასიის კომისარიატში, არამედ ამ ნაციონალურ საბჭოში. ისინი ხომ ნოემბრის დასაწყისშივე შეუდგნენ ნაციონალური პოლკების შექმნას, რომლებსაც ეს საბჭო (შემდეგში მთავრობა) უნდა დაყრდნობოდა. პირველი ეროვნული ყრილობაც, რომელიც 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა, დამფუძნებელი კრების ხასიათს ატარებდა[2]. ამ ყრილობის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ნ. ჟორდანია თავის მოხსენებაში, თუმცა მეტისმეტი სიფრთხილით, მაგრამ მაინც გარკვევით მიუთითებდა ყრილობის მიზანზე: ჩვენში არის გადასაჭრელი ორი კითხვა და საჭიროა მათ გარშემო როგორც ნაციონალური, ისე ინტერნაციონალური ძალების გაერთიანება. პირველი კითხვაა ჩვენი ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა და მეორე კითხვაა შექმნა იმ საფუძვლისა, რომელზედაც აგებული იქნება ჩვენი ხალხის თავისუფალი კულტურული განვითარების შენობა. დღევანდელმა ეროვნულმა ყრილობამ ამ შენობას ერთი ქვა უნდა დაუდოს საფუძვლად.

ყრილობა თავისი შემადგენლობით აშკარა კონტრრევოლუციუ-

---

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 21, 22 ოქტომბერი, 1917 წ.

[2] ეს სამართლიანად აქვს შენიშნული ფ. მახარაძეს თავის შრომაში—საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 120.

ური იყო. მასზე დასასწრებად მოწვეული იყვნენ 20-მდე სხვადასხვა საზოგადოებრივი, კულტურული დაწესებულებების, მჭონებელი კლასების, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონტრრევოლუციური მთავრობების წარმომადგენლები, საქართველოს კათალიკოსი კირიონი,—ერთი სიტყვით რევოლუციური რუსეთის დაუძინებელი მტრები. მენშევიკებმა ყრილობაზე საქართველოს „დამოუკიდებლობის" პროგრამა წამოაყენეს, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა, ნაკარნახევი დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ, მხოლოდ ნიღაბი უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში რევოლუციური რუსეთისა და საქართველოს მშრომელი კლასების დაუძინებელი მტრები—მენშევიკები საქართველოს საჯიჯგნად გერმანელ იმპერიალისტებს სთავაზობდნენ.

როგორც ვხედავთ, მენშევიკები, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს მუშათა მოძრაობის საერთო ინტერესებსა და მიზნებზე წინათ ასე ბევრს გაჰყვიროდნენ, ახლა, ნამდვილი სახალხო რევოლუციის გამარჯვებით დამფრთხალნი, კონტრრევოლუციის ყველა ძალასთან კავშირში აღმოჩნდნენ და ამიერკავკასიისა და საქართველოს რუსეთისაგან ჩამოცილების ლოზუნგი წამოაყენეს.

ამრიგად, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატი და „ნაციონალური საბჭოები" წარმოადგენენ კონტრრევოლუციური პარტიებისა და შეძლებული კლასების კოალიციას. ეს კოალიცია მიზნად ისახავდა მუშურ-გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას, უცხოეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დახმარებით საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოთიშვას და მემამულურ-კაპიტალისტური ხელისუფლების შენარჩუნებას. „სოციალიზმი" და „ნაციონალური თვითგამორკვევა", რომლის ნიღაბქვეშ ეს კლასები და პარტიები მოქმედებდნენ, მათი პრაქტიკული საქმიანობისაგან ისევე შორს იყო, როგორც ცა დედამიწისაგან. ამ საეღარუნოებს მიღმა რეალურად მოქმედებდა ყველაზე ბოროტი კონტრრევოლუციური ბლოკი, რომელიც ამიერკავკასიის მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ იყო მიმართული.

2. რევოლუციური სიტუაციის მოგვიფენა საქართველოში 1917 წ. ბოლოს და 1918 წ. დასაწყისში

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოს პროლეტარიატის ცხოველი გამოხმაურება და აქტიური მხარდაჭერა პოვა.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და სხვ. ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში შემდგარ ხალხმრავალ მიტინგებსა და კრებებზე მუშები პეტროგრადელ თანამოძმეთა გამარჯვებას აფასებდნენ, როგორც უდიდეს მოვლენას მათ ცხოვრებაში და ადგილობრივ ბურჟუაზიაზე გადამწყვეტი შეტევის მზადყოფნას გამოთქვამდნენ. „ჩვენ ფიცსა ვდებთ რკინის კედელივით აღვიმართოთ და თავდადებით ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ყველა ძალთა და მათს თავისუფალ და დაქირავებულ მსახურთა წინააღმდეგ“[1]—ამბობდნენ თბილისის არსენალის მუშები სახელდახელო მიტინგზე, რომელიც 27 ოქტომბერს, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა გამარჯვების მესამე დღეს შეიკრიბა.

პეტროგრადის მოვლენები საქართველოს მუშებს ნათლად არწმუნებდნენ, რომ ნამდვილი მუშურ-გლეხური მთავრობა, რომელიც საქმით იცავს მშრომელთა ინტერესებს, საბჭოთა მთავრობაა, რომ მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც წინ მიუძღვის რუსეთის პროლეტარიატს მათ გმირულ ბრძოლაში, შეუძლია ქართველი მუშები ასეთსავე გამარჯვებამდე მიიყვანოს, მენშევიკთა ბატონობა დაამხოს და საბჭოთა ხელისუფლება დაამყაროს.

„ჩრდილოეთიდან მომავალი რევოლუცია,—წერს ი. ბ. სტალინი,—რომელსაც მუშებისათვის ახალი მონაპოვარნი მოჰქონდა, ბუნებრივია, ახალი ბრძოლისათვის ამხედრებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს. მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენის, მძინარე თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას“[2].

საქართველოს მუშებს შორის ბოლშევიზმის გავლენის გაძლიერებამ მენშევიკური პარტიის რიგებში შეშფოთება შეიტანა. ისინი შიშით ალაპარაკდნენ „მუშების გახრწნაზე“ და ამ „ხრწნის“ თავიდან ასაცილებლად მთელი ძალების მობილიზაცია მოახდინეს. ნ. ჟორდანია ჯერ კიდევ 1917 წ. სექტემბერში აფრთხილებდა თანამოაზრეებს—ჩვენი ტაქტიკა ამჟამად ისე უნდა ავაგოთ, რომ მუშათა მასები ჩამოვაშოროთ ბოლშევიკურ გავლენას, რასაც იგი მოუცავსო. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების სამი თვის შემდეგ კი იგივე ჟორდანია ამიერკავკასიის სეიმზე სასოწარკვეთილი ამბობდა: „მუშათა კლასს შორის განწყობილება ბოლშევიკურია. თვით მენშევიკი მუშებიც კი ბოლშევიზმით არიან დაავადებულნო“.

უდიდესი გამარევოლუციურებელი და დამრაზმველი გავლენა

---

[1] „Кавказский рабочий“, № 126.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 65.

ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ცნობას საქართველოს სოფლებზე. 5 ნოემბერს გაზ. „კავკაზსკი რაბოჩიმ“ მოათავსა სტატია „სამიწათმოქმედო პროგრამა“, სადაც ჩამოთვლილი იყო მიწის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტის ძირითადი მუხლები და მოცემული იყო მათი განმარტება. ამ ისტორიულ ღონისძიებებში ღარიბმა გლეხებმა მათი სასიცოცხლო ინტერესების პრაქტიკული განხორციელება დაინახეს. მშრომელი გლეხობის რევოლუციური აქტივობის ზრდის საქმეში დიდი როლი ითამაშა ქართულ სოფლებში მსოფლიო ომის მონაწილე ჯარისკაცთა დაბრუნებამ, რაც ნოემბერში დაიწყო. რუსეთიდან ჩამოსულ ჯარისკაცებს ნახული ჰქონდათ დიდი ოქტომბრის დიადი საქმეები და ნახულისა და განცდილის შესახებ ისინი თანასოფლელებს მოუთხრობდნენ და მათ ადგილობრივი კონტრრევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის რაზმავდნენ. ფრონტიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა სოფლებს მოსდეს აგრარული რევოლუცია.

ამიერკავკასიის კომისარიატმა, გლეხობის მზარდი რევოლუციური აქტიობა რომ შეესუსტებინა, გამოსცა „დეკრეტი“ მიწის შესახებ, მაგრამ იგი მშრომელებს არაფერს არ აძლევდა და ფაქტიურად მიწაზე მემამულეთა საკუთრებას ტოვებდა. ხოფლად გაღვივებული რევოლუციური ნაპერწკლის ჩაქრობა მენშევიკებს არავითარი დეკრეტებითა და სხვა ღონისძიებებით აღარ შეეძლოთ. „ცხადია, ამიერკავკასიის კომისარიატის ფუჭი დაპირებანი გლეხებისათვის მიწის გადაცემის შესახებ,—წერდა ი. ბ. სტალინი,—ვეღარ დააკმაყოფილებდნენ გლეხებს, რომლებიც აგრარულმა ტალღამ მოიცვა. კომისარიატისაგან საქმეს მოითხოვდნენ, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურს“[1]. მშრომელი გლეხობა ემზადებოდა აქტიური შეიარაღებული გამოსვლისათვის.

ეს შეიარაღებული ბრძოლები 1918 წლის დამდეგიდანვე დაიწყო. ლეჩხუმის, გორის, სამეგრელოს, აფხაზეთის მშრომელმა გლეხებმა დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღეს მენშევიკ ხელისუფალთა წინააღმდეგ.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ განსაკუთრებით გააქტიურა კავკასიის ფრონტის ჯარისკაცები. ოთხი წლის ომში დაქანცულ, შიმშილით განაწამებ ჯარისკაცთათვის ამ ყაჩაღური ომის დამთავრება უპირველესი ამოცანა იყო. და აი საბჭოების მეორე ყრილობამ მთელ მსოფლიოს ამცნო დეკრეტი ზავის შესახებ. კავკასიელ ჯარისკაცთა შორის ჯერ კიდევ ადრე დაწყე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 65.

ბული პროცესი ბოლშევიზაციისა უფრო გაღრმავდა. მთელი რიგი გარნიზონები უკვე პრაქტიკულ მოქმედებაზე გადავიდნენ.

ამ მხრივ დამახასიათებელია თბილისის გარნიზონის ნაბიჯი. 28 ოქტომბერს თბილისის 36 სამხედრო ნაწილის წარმომადგენელთაგან შეიქმნა სადელეგატო კრება, რომელიც მენშევიკურ საბჭოებს დაუპირისპირდა და თავისი პროგრამის განხორციელებისათვის ჯარისკაცთა შეიარაღებას შეუდგა.

კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა რევოლუციური განწყობილების ზრდა ნათლად დადასტურდა კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობაზე, სადაც შემთანხმებლური პარტიების კონტრრევოლუციურმა ბლოკმა სასტიკი მარცხი განიცადა და არჩეულ იქნა კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო ბოლშევიკთა შემადგენლობით.

ამრიგად, მუშათა კლასის სახით საქართველოს ბოლშევიკებს ჰყავდათ სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლი სერიოზული ძალა, ქართველი უღარიბესი გლეხობა წარმოადგენდა პროლეტარიატის ყველაზე ერთგულ და საიმედო მოკავშირეს, ხოლო კავკასიის არმიის სახით არსებობდა ორგანიზებული შეიარაღებული ძალა, რომელსაც კონტრრევოლუციასთან შეჯახებაში შეეძლო გადამწყვეტი როლი ეთამაშნა.

სახალხო მეურნეობის ნგრევამ და სასურსათო კრიზისმა, რაც ბურჟუაზიული მთავრობისა და შემთანხმებლური პარტიების უმოქმედობის შედეგად თანდათან ძლიერდებოდა, ბოლოს და ბოლოს კატასტროფული ხასიათი მიიღეს. საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფამ კიდევ უფრო გააღრმავა ანარქია. კონტრრევოლუციის ბლოკი მოკლებული იყო შინაგან სიმტკიცეს და მშრომელთა ერთსულოვან შეტევას შეეძლო იგი დაენგრია.

ასეთი იყო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შინაპირობები საქართველოში.

თვალი გადავაგლოთ ბაქოსა და ჩრდილო კავკასიის მშრომელთა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ პარტიების ცდებმა, ჯებირი აღემართათ საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის, ნაყოფი ვერ გამოიღეს. პეტროგრადისა და მოსკოვის გმირი პროლეტარიატის გამარჯვებით აღფრთოვანებული ამიერკავკასიის პროლეტარიატი ერთსულოვნად დაირაზმა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. მისაბაძ მაგალითს ამ მხრივ ბაქოს პროლეტარიატი წარმოადგენდა.

ბაქოს მუშები ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას აღტაცებით შეხვდნენ. ნავთის სარეწების, ფაბრიკებისა და ქარხნების

მუშებმა, კასპიის ფლოტილიის მეზღვაურებმა ნოემბრის პირველ რიცხვებში გამართულ მიტინგებზე მიიღეს დადგენილებები, სადაც მოითხოვეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოსათვის ხელისუფლების დაუყოვნებლივი გადაცემა.

ბაქოს მუშებმა სტ. შაუმიანის მეთაურობით კონტრრევოლუციური პარტიების წინააღმდეგობის პარალიზებას მიაღწიეს. ასრულებდნენ რა ლენინისა და სტალინის მითითებებს, ბაქოს ბოლშევიკები უკვე 1917 წლის 31 ოქტომბერს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, სარეწაო-საქარხნო, საარმიო და ფლოტის კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, ღებულობენ რეზოლუციას მთელი ძალაუფლების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ხელში გადასვლის შესახებ. მიუხედავად მენშევიკთა, ესერთა, მუსავატელთა და დაშნაკთა კონტრრევოლუციური ბლოკის თავგანწირული წინააღმდეგობისა. ბაქოს საბჭომ 2 ნოემბერს შაუმიანის მოხსენების გამო მიიღო საბჭოების ხელში ძალაუფლების პრაქტიკულად გადასვლის პროგრამა.

კონტრრევოლუციურ ძალებთან ბრძოლის მიზნით ბოლშევიკებმა ლენინისა და სტალინის მითითების თანახმად მოაწყვეს რევოლუციური თავდაცვის კომიტეტ.

1918 წლის მარტ-აპრილში ბ ქოში დაიწყო ნამდვილი სამოქალაქო ომი. რევოლუციურმა პროლეტარიატმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ამ ბრძოლებში. სტ. შაუმიანი ატყობინებდა ლენინს და სტალინს: „ამიერკავკასია შევიდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქტიური შეიარაღებული ბრძოლის პერიოდში. სამი დღის განმავლობაში—30 და 31 მარტს და 1 აპრილს ქალ. ბაქოში გააფთრებული ბრძოლა იყო. იბრძოდნენ, ერთი მხრით, საბჭოთა წითელი გვარდია, ჩვენს მიერ შექმნილი წითელი ინტერნაციონალური არმია, წითელი ფლოტი, რომლის რეორგანიზაციაც ჩვენ მოვახდინეთ მოკლე ვადაში... მეორე მხრით, ველური... დივიზია, რომელშიც ბევრი რუსი ოფიცერია, და ბანდები... რომელთაც „მუსავატის“ პარტია ხელმძღვანელობდა. ორივე მხრიდან ქალაქის ბრძოლებში მონაწილეობას იღებდა 20.000-ზე მეტი კაცი. მოწინააღმდეგე მთლიანად და სავსებით განადგურებულ იქნა“[1].

ამ გამარჯვების შედეგად ბაქოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, შეიქმნა სახალხო კომისართა საბჭო, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებას

---

[1] С. Г. Шаумян, Статьи и речи, (1903—1918 г. г.), 1929 г. გამოცემა, გვ. 144.

—ბანკის, ნავთის სარეწების ნაციონალიზაციას, ქალაქის მომარაგებას სურსათით, კონტრრევოლუციის ნარჩენების ლიკვიდაციას და სხვ.

„...ბაქომ, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელმა, — აღნიშნავს ი. ბ. სტალინი, — თავის გარშემო დარაზმა მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია, ლენქორანიდან და ყუბიდან ელიზავეტპოლამდე"[1], იარაღით ხელში დაიწყო ამიერკავკასიის ხალხთა უფლებების დამკვიდრება.

ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ჩრდილო კავკასიის მშრომელები. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მათ აქტიური ბრძოლა გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

ჩრდილო კავკასიის ბოლშევიკთა აქტიურ ბრძოლას სათავეში ედგა კომუნისტური პარტიის გამოჩენილი მოღვაწე მგზნებარე რევოლუციონერი და ტრიბუნი ს. მ. კიროვი[2].

საბჭოების II ყრილობიდან დაბრუნებული ს. მ. კიროვი 4 ნოემბერს ვლადიკავკაზის საბჭოს სხდომაზე გამოდის მოხსენებით ოქტომბრის დღეებისა და საბჭოების II ყრილობის მუშაობის გარშემო. ს. მ. კიროვი ეწევა რევოლუციის ძალთა შემჭიდროებას, შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ობორონცული პარტიების წინააღმდეგ. ნოემბრის თვეში ვლადიკავკაზელი ბოლშევიკები კიროვის ხელმძღვანელობით მენშევიკებზე გადამწყვეტ გამარჯვებას აღწევენ. ბოლშევიკების მხარეზეა ვლადიკავკაზის გარნიზონი. დღის წესრიგში დაისვა მთელი ძალაუფლების ხელში აღება. მსგავს რევოლუციურ ცენტრს წარმოადგენდა აგრეთვე გროზნო. ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცები მთლიანად ბოლშევიკებს უჭერდნენ მხარს. ისევე როგორც ვლადიკავკაზში, გროზნოში ბოლშევიკებმა საბჭოებში უმრავლესობა მიიღეს.

30 დეკემბერს ვლადიკავკაზის საბჭომ გამოიტანა დადგენილება იცნონ საბჭოთა ხელისუფლება და სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებებს დაემორჩილონ. მაგრამ ამ დადგენილების მიღრე დღესვე მთიელ ოფიცერთა ბანდა, ადგილობრივი კონტრრევოლუციური „მთავრობის" ბრძანებით, თავს დაესხა საბჭოს, გაანადგურა იგი და დაატუსაღა პრეზიდიუმი, რომელსაც სათავეში ედგა შეუდრეკელი ბოლშევიკი ნ. ბუაჩიძე. განადგურებულ იქნა ბოლშე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 104.

[2] С. М. Киров, Избр. статьи и речи: том I, 1912—1921 г., предисловие ко второму изданию.

ვიკური პარტიული კომიტეტიც. საბჭოს მიმართ ასეთივე ძალადობა განმეორდა გროზნოში. ჩრდილო კავკასიაში სამოქალაქო ომი დაიწყო. კონტრრევოლუციის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად ჩრდილო კავკასიის მშრომელები გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ გენ. კარაულოვის და სხვა კონტრრევოლუციურ-თეთრგვარდიულ ბანდებს, ამ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავგანწირვის მაგალითებს უჩვენებდნენ.

ამრიგად, ბაქოსა და ჩრდილო კავკასიის მშრომელებმა ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, სტ. შაუმიანის და ს. მ. კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით, დღის წესრიგში დააყენეს კონტრრევოლუციური მთავრობის დამხობისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საკითხი. როგორც აღვნიშნეთ, ბაქოში გაჩაღებული ნამდვილი სამოქალაქო ომი ბრწყინვალედ მოიგეს მუშებმა, ჯარისკაცებმა, მატროსებმა და დაამყარეს კიდეც საბჭოების ხელისუფლება.

„...რევოლუციური პროლეტარული ბაქო,—წერს ი. ბ. სტალინი, — რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე სცნო საბჭოთა ხელისუფლება და რომელიც დაუღალავად ებრძვის ამიერკავკასიის კომისარიატს, ძილს არ ანებებდა ამიერკავკასიის პროლეტარიატს, მისთვის მისაბაძ მაგალითსა და სოციალიზმის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა“[1].

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბაქოსა და ჩრდილო კავკასიის მუშებისა და გლეხების გმირული ბრძოლა პრაქტიკულ ნიმუშს უჩვენებდა და აღაფრთოვანებდა საქართველოს მშრომელებს.

უდიდესი იყო რუსეთის ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების გავლენა და მხარდაჭერა, საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც ყოველდღიურად ტრიუმფალური ნაბიჯით მიიწევდა ქვეყნის ყველა მხარეში და საქართველოს მშრომელებისათვის უდიდეს იმედს წარმოადგენდა.

ასეთი იყო გარეპოლიტიკური პირობები, რომლებიც ჰქმნიდნენ ხელსაყრელ პირობებს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ცხადია, ყველა ეს შინაგანი და გარეპოლიტიკური პირობა, ერთად აღებული, იწვევდა კრიზისის მომწიფებას, მთე-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 65—66.

ლი პოლიტიკური ვითარების გარევოლუციურებას ამიერკავკასიაში[1].

საქართველოს ბოლშევიკებს ჰქონდათ შესაძლებლობა უნარიანად გამოეყენებინათ რევოლუციური სიტუაცია და მათ მიერ ორგანიზებული პოლიტიკური არმიის შეტევა, ბაქოსა და ჩრდილო კავკასიის მშრომელთა მხარდამხარ, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის წინააღმდეგ წარემართათ.

როგორ იქნა გამოყენებული ეს პირობები?

* * *

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე საქართველოს ბოლშევიკებმა, პირველ ყოვლისა, გააჩაღეს აქტიური აგიტაცია და პროპაგანდა, რომლის მიზანს მსოფლიოში მშრომელთა პირველი ხელისუფლების მნიშვნელობის, მის მიერ განხორციელებული დეკრეტების მასებამდე დაყვანა შეადგენდა. ბოლშევიკები განმარტავდნენ, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის განხორციელებით კაცობრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად დამყარდა აქამდე უუფლებო და ექსპლოატირებული მასების ხელისუფლება, რითაც ოცნება ხორცშესხმულ სინამდვილედ იქცა. ისინი განმარტავდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლის განხორციელებისათვის ბოლშევიკები მასებს რაზმავდნენ, ბურჟუაზიული პარტიების მსგავსად, დაპირებებით კი არ დაიწყო თავისი მოღვაწეობა, არამედ დაუყოვნებლივ შეუდგა ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის დამსხვრევას, ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების ორგანიზაციას და ამასთანავე პრაქტიკულად განახორციელა მიწის ნაციონალიზაცია, კაპიტალისტურ წარმოებათა ექსპროპრიაცია და მსოფლიო ომის დამთავრება. ამ უდიდესი მობრუნების მთელი მნიშვნელობა, მასების შეგნებამდე რომ დაჰყავდათ, ბოლშევიკები მათ მოუწოდებდნენ მთელი ძალები შეემჭიდროებინათ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების დასახმარებლად, რადგან საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაირაზმნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები და რუსეთის შინაგანი კონტრრევოლუცია. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ, რომ პეტროგრადის გმირი პროლეტარიატის მსგავსად აქაც ერთსულოვანი შეტევით მიეღწიათ ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლისათვის[2].

---

[1] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 4, გვ. 66.

[2] გახ. „Кавказский рабочий", № 186, 189, 191, 102, „ბრძოლა", № 25. 26. 27, 28, 1917 წ.

მაგრამ მარტოოდენ აგიტაცია საქმეს როდი შველოდა, საჭირო იყო პრაქტიკული მოქმედება.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს 29 ოქტომბრის სხდომაზე ბოლშევიკების ფრაქციამ წინადადება შეიტანა საბჭოს ახალი არჩევნების შესახებ. ეს სხდომა საერთოდ, როგორც გაზეთი „ბრძოლა“ გადმოგვცემს, წარმოადგენდა ორ მოწინააღმდეგე ბანაკს. თითქმის მთელი ქანდარა დაუპირისპირდა პარტერში მსხდომ საბჭოს წევრების დიდ უმრავლესობას. ქანდარის მსმენელები ღელავდნენ, შფოთავდნენ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყვეტინებდნენ ორატორებს სიტყვას, რაც იწვევდა პრეზიდიუმის მხრიდან მუქარას ქანდარისადმი.

პირველ სხდომაზე თავმჯდომარემ ამის გამო სხდომაც დახურა დროებით.

ქანდარიდან უყვიროდნენ საბჭოს წევრებს: „ჩვენ იმიტომ არ გამოგგზავნეთ აქ, რომ ჩვენი ნება-სურვილების წინააღმდეგ რეზოლუციები მიიღოთ, თქვენ გვიღალატეთ, გაგვყიდეთ და სხვა ასეთი“[1].

ბოლშევიკების წინადადება საბჭოს ხელახალი არჩევნების შესახებ მენშევიკებმა უარყვეს. ბოლშევიკებმა, როგორც გაზეთი აღნიშნავდა, ეს საკითხი საბჭოს გარეთ, თვით მასაში გადაიტანეს.

განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა სადელეგატო კრება, რომელიც, გამოხატავდა რა თბილისის 36 სამხეღრო ნაწილის ინტერესებს, დაჟინებით მოითხოვდა ჯარისკაცთა მენშევიკურ-ესერული საბჭოს გადარჩევას, კავკასიის არმიის მეორე სამხარეო ყრილობის მოწვევას და ჯარის იმ ნაწილების შეიარაღებას, რომელნიც უიარაღონი იყვნენ.

სადელეგატო კრება მოქმედებდა, როგორც დამოუკიდებელი ორგანო. იგი თავისი სახელით სცემდა განკარგულებებს.

სადელეგატო კრების შექმნა იყო კარგად დაწყებული საქმე, ეს იყო ხელისუფლებისაკენ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯი. სადელეგატო კრებას გადაწყვეტილი ჰქონდა თბილისის მენშევიკური საბჭოსათვის არ დაეთმო. წინააღმდეგობის შემთხვევაში ენერგიული ზომებისათვის მიემართა—ძალით ჩაეგდო ხელში იარაღი. სადელეგატო კრებამ აირჩია ცალკე კომისია, რომელსაც დაევალა არჩევნებისათვის ხელმძღვანელობა.

თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სა-

---

[1] ვაბ. „ბრძოლა“, № 23, ნოემბერი, 1917 წ.

დელეგატო კრების საკითხმა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. მენშევიკები ამ ორგანოს უკანონოდ აცხადებდნენ. ვერეშჩაკი მას არალეგალურ დაწესებულებას უწოდებდა და მოითხოვდა მის დაშლას. ჯუღელი შექმნილ მდგომარეობას ორხელისუფლებიანობად ნათლავდა. საბჭოს ბოლშევიკმა დეპუტატებმა სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს[1]. ისინი საბჭოს ერთგვარი ბოდიშით მოახსენებდნენ, რომ სადელეგატო კრების შექმნა საბჭოს დიდი ხნის გადაურჩევლობამ გამოიწვია და ახლა, როცა საბჭომ გადარჩევა დააღგინა, შეიქმნა არანორმალური მდგომარეობა, რაშიაც ბრალი ორთავე მხარეს მიუძღვისო[2].

აღმასრულებელი კომიტეტი სადელეგატო კრებასთან რაიმე შეთანხმებული მუშაობის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მაშინ ბოლშევიკურმა ფრაქციამ გადაწყვეტილება გამოიტანა აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობიდან გამოსულიყო; ბოლშევიკების სამხარეო ცენტრმა, სადაც საკმაო გავლენა ჰქონდა ოპორტუნისტულად განწყობილ ელემენტებს, ფრაქციას წინადადება მისცა უკანვე დაბრუნებულიყო საბჭოში და სადელეგატო კრება დაეშალა. ეს იყო პირველი უკანდახევა, რაც ოპორტუნისტთა ორჭოფული, გამცემლური პოლიტიკის შედეგად მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ თვით საბჭოს ბოლშევიკური ფრაქციის მაშინდელი წევრი ფ. მახარაძეც უკანდახევის ამ პოზიციას სავსებით იზიარებდა. იგი შემდეგაც კი თავის შრომაში აღნიშნავდა, რომ ფრაქციის ნაბიჯი (მენშევიკური საბჭოდან გამოსვლა—ა. ს.) აჩქარებული იყო, იგი საბჭოსათვის ომის გამოცხადებას ნიშნავდაო[3].

როდესაც შემთანხმებლები ასე ყოყმანობდნენ, ფართო მასა გადამწყვეტ მოქმედებას მოითხოვდა. 11 ნოემბერს ნაძალადევში გაიმართა მშრომელთა მიტინგი, რომელსაც სამი ათასამდე კაცი ესწრებოდა. აქ იყვნენ გროზნოსა და ბაქოს მშრომელთა წარმომადგენლები. გროზნოს წარმომადგენელი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა ჩრდილო კავკასიის მშრომელებისა და გროზნოს გარნიზონის ერთსულოვნებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. იგი საქართველოს მშრომელთა მხარდაჭერას მოითხოვდა. ბაქოს წარმომადგენელი სიამაყით ამბობდა: ბაქოში ძალაუფლება სავსებით საბჭოების ხელში გადავიდა და ახლა ამასვე ელიან თბილისიდა-

---

[1] გაზ. „Известия совета рабочих и солдатских депутатов гор. Тбилиси", № 181, 7 ნოემბერი, 1917 წ.

[2] ი ბ ი ბ.

[3] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლ. საქართველოში", გვ. 93.

ნაცო[1]. მიტინგმა მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომლითაც პეტროგრადის რევოლუციურ არმიას მიესალმებოდა და მხოლოდ მუშურ-გლეხურ მთავრობას ცნობდა[2].

შეუძლებელი იყო კონტრრევოლუციური ბლოკის ზრდისათვის დამშვიდებული ცქერა, როცა მასები რევოლუციისათვის მზადყოფნას ამჟღავნებდნენ.

რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალები საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. უნდა მომხდარიყო გადამწყვეტი შეჯახება. ბოლშევიკებმა, მასების მხარდაჭერას და შეიარაღებული გამოსვლისათვის ხელსაყრელ მომენტს რომ ხედავდნენ, მართლაც დასვეს შეიარაღებული აჯანყების საკითხი. შენახული არ არის რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის ამ პერიოდის სხდომათა ოქმები. ამიტომ შეიარაღებული გამოსვლის საკითხის დასმის დათარიღება, ამ საკითხზე ამტყდარი დავის დაწვრილებითი გადმოცემა, მის მომხრეთა ან მოწინააღმდეგეთა არგუმენტების ჩვენება შეუძლებელი ხდება. მიუხედავად ამისა, შეიძლება იმის დადგენა, რომ შეიარაღებული გამოსვლის საკითხი სამხარეო კომიტეტის მსჯელობის საგანი გახდა და მან აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია. ფ. მახარაძე, რომელიც იმ მომენტში გადაჭრით წინააღმდეგი იყო პროლეტარიატის შეიარაღებული გამოსვლისა, არ უარყოფს, რომ შეიარაღებული გამოსვლის საკითხი სამხარეო კომიტეტში დასმულ იქნა. იგი წერს: „ამ ამბებს (ლაპარაკია საბჭოს არჩევნებზე—ა. ს.) წინ უძღოდა მენშევიკების მიერ მოჩმახული პროვოკაცია იმის შესახებ, რომ თბილისის ბოლშევიკების ცენტრმა თითქოს გადასწყვიტა დაუყოვნებლივ მოაწყოს აჯანყება თბილისის საბჭოს წინააღმდეგ. მართალია, ეს საკითხი წამოიჭრა ბოლშევიკების საოლქო კომიტეტში და აარ შეიძლება არ წამოჭრილიყო (ხაზი ჩემია—ა. ს.). ყოველმხრივ განხილვის შემდეგ საოლქო კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ პირობებში აჯანყება მენშევიკურ-ესერული საბჭოების წინააღმდეგ მიზანშეუწონელი იყო“[3] (ხაზი ავტორისაა). იგივე ავტორი მეორე ადგილას შენიშნავს: „ბოლშევიკების ზოგიერთ წრეებში მაინც იყო განზრახვა დაეპყრათ ხელისუფლება სწორედ ამ სამხედრო ორგა-

[1] გაზ. „ბრძოლა“, № 35, 15 ნოემბერი, 1917 წ.

[2] გაზ. „Кавказский рабочий“, № 206, 23 ნოემბერი, 1917 წ.

[3] ფ. მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 94—95.

ნიზაციების დახმარებით. საოლქო კომიტეტის უმრავლესობა და მათ შორის მეც, წინააღმდეგი ვიყავით ასეთი ნაბიჯისა, ვინაიდან ადგილობრივი ორგანიზაციების დახმარების იმედი არ გვქონდა"[1].

როგორც ვხედავთ, შეიარაღებული გამოსვლის საკითხი დაისვა და მას მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. მასალებიდან ირკვევა, რომ შეიარაღებული გამოსვლის თავგამოდებული მოწინააღმდეგეები იყვნენ სამხარეო კომიტეტში მყოფი ოპორტუნისტულად განწყობილი ელემენტები, რომელთაც არ გააჩნდათ რევოლუციის ძალებისადმი რწმენა.

ეჭვს გარეშეა, რომ შეიარაღებული გამოსვლის საკითხი საოლქო კომიტეტში უნდა დასმულიყო ნოემბრის მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი, მას შემდეგ, როცა მენშევიკურ-ესერულმა საბჭომ სადელეგატო კრება დათხოვნილად გამოაცხადა და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნით რევოლუციის დათრგუნვისათვის პრაქტიკული მოქმედება დაიწყეს. ბაქოსა და ჩრდილო კავკასიაში ბოლშევიკები ამ პერიოდში საბჭოებში უმრავლესობას შეადგენდნენ და კონტრრევოლუციასთან გადამწყვეტი ბრძოლას ეწეოდნენ. საბჭოთა ხელისუფლება კი უდიდესი სისწრაფით ვრცელდებოდა რუსეთის ცენტრალური ოლქებიდან სამხრეთისაკენ. საოლქო კომიტეტში ამ საკითხის წამოჭრის დაახლოებით თარიღს იგონებს ფ. მახარაძეც. იგი წერს: რომ ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოში — კავკასიის საოლქო კომიტეტში დასმულ იქნა საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ. ეს იყო დაახლოებით 1917 წლ. ნოემბრის II ნახევარში[2]. ამას გვიდასტურებს სტ. შაუმიანის დეპეშა ი. ბ. სტალინისადმი 23 და 25 ნოემბრის თარიღით. დასასრულ, ამასვე ადასტურებს მენშევიკური საბჭოების სამხარეო ცენტრისა და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო ღონისძიებანი ნოემბრის 26-დან „ბოლშევიკთა გამოსვლის" ცდასთან დაკავშირებით.

საოლქო კომიტეტში ამ მხრივ აზრთა მკვეთრ სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. კონტრრევოლუციური კომისარიატის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების ინიციატორი იყო სტ. შაუმიანი. ფხიზლად აფასებდა რა რევოლუციის ძალთა განლაგებას, შაუმიანი ხედავდა იმ დიდ უპირატესობას, რაც რევოლუციის ძალებს გაა-

---

[1] ფ. მახარაძე, ჩემი მოკლე ავტობიოგრაფია.

[2] ფ. მახარაძე, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირობები საქართვ. გვ. 6.

ჩნდათ. შაუმიანი ვარაუდობდა ამიერკავკასიის პროლეტარიატის ერთობლივ გამოსვლას. თბილისის პროლეტარიატი მხარში ამოუდგებოდა ბაქოს პროლეტარიატს, რომელსაც უკვე შექმნილი ჰქონდა თავისი რევოლუციური ორგანო. კონტრრევოლუციის წინააღმდეგობა ადვილად შეიძლებოდა დათრგუნვილიყო ბოლშევიკური გარნიზონების გამოყენებით.

სტ. შაუმიანის ფხიზელ მოსაზრებას სამხარეო კომიტეტის უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა, აჯანყების საკითხი მოხსნილ იქნა.

ქართველი მენშევიკები და მემარჯვენე ესერები რევოლუციის ძალთა შეფასებაში უფრო ფხიზელი აღმოჩნდნენ, ვიდრე ამიერკავკასიის ბოლშევიკურ საოლქო კომიტეტში მყოფი ოპორტუნისტულად განწყობილი ელემენტები. მენშევიკებმა იგრძნეს, რომ რევოლუციურად განწყობილი პროლეტარიატი და არმია ადვილად გადამწყვეტ მოქმედებას დაიწყებდნენ. საჭირო იყო დასწრება და პირველ რიგში იმ იარაღის ხელში ჩაგდება, რომელიც დღეს თუ ხვალ მუშებსა და ჯარისკაცებს მენშევიკური საბჭოს წინააღმდეგ უნდა მიემართათ. თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა იცოდა, რომ ბოლშევიკურმა ცენტრმა შეიარაღებულ გამოსვლაზე უარი თქვა. მან ისიც იცოდა, რომ აჯანყებისათვის არავითარი საორგანიზაციო ცენტრი შექმნილი არ იყო და შემტევი ძალები ერთმანეთთან ოპერატიული გეგმით დაკავშირებული არ ყოფილან. მაშასადამე, შესაძლებელი იყო ამ მომენტის გამოყენება პროვოკაციისათვის, რომელსაც წარმატების შემთხვევაში თბილისის გარნიზონისა და პროლეტარიატის განიარაღება უნდ მოჰყოლოდა. მოხერხებულად გამოიყენეს რა ბოლშევიკურ ცენტრში შეიარაღებული აჯანყების დღის წესრიგში დაყენების ფაქტი, მენშევიკებმა პროვოკაციისა და ცილისწამების მთელი მანქანა აამუშავეს.

25 ნოემბერს მოწვეულ იქნა მენშევიკების საოლქო და თბილისის კომიტეტების სასწრაფო კრება, რომელმაც კავკასიის ფრონტზე ზავის საკითხთან ერთად განიხილა ცნობა ქალაქში საგანგაშო მდგომარეობის შესახებ ბოლშევიკების აგიტაციასთან დაკავშირებით. კრებამ დაავალა საოლქო კომიტეტს—გამოიყენოს ყველა საშუალება სამოქალაქო ომის თავიდან აცილებისათვის, „რე-

კოლუციური წესრიგის“ დამყარებისათვის მიიღოს გადამჭრელი ზომები“[1].

მენშევიკების საოლქო კომიტეტმა ამ საშუალებათა გამოყენება არ დააყოვნა. მეორე დღეს, 26 ნოემბერს, მოწვეულ იქნა კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრისა და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებული საგანგებო სხდომა. მენშევიკების ლიდერებმა დღის წესრიგში პრაქტიკული მოქმედების საკითხი დააყენეს: „ჩვენ მოვახსენეთ სხდომას ქალაქში შექმნილ საშიშარი მდგომარეობის შესახებ, — იგონებს ნ. ჟორდანია, — სხდომამ მიანდო აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს მიემართა საჩქარო საგანგებო ზომებისათვის. ეს კი იმას ნიშნავდა, — რომ ჩვენ უნდა გამოგვეცხადებია ჩვენი ძალაუფლება, რომელსაც ყველა უნდა დამორჩილებოდა. და გამოვაცხადეთ კიდეც ქალაქში სამხედრო წესები“.

28 ნოემბერს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმოწერით გამოქვეყნდა მოწოდება თბილისის ყველა მცხოვრებისადმი. მოწოდებაში ნათქვამი იყო:

„მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრის დადგენილების საფუძველზე, ამიერკავკასიის კომისარიატის თანხმობით, თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი აცხადებს ქალაქ თბილისში სამხედრო მდგომარეობას.

ეს საგანგებო ღონისძიება გამოწვეულია მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილის საგანგაშო განწყობილებით: უპასუხისმგებლო ჯგუფები და პირები ცდილობენ მიუსიონ ერთი სამხედრო ნაწილი მეორეს და გამოიწვიონ ძმათ საჟლეტი სასაკლაო და პოგრომები“...[2] და სხვ. ამ განმარტებათა შემდეგ აღმასრულებელი კომიტეტი კრძალავდა ყოველგვარ კრებებსა და მიტინგებს ქუჩებსა და მოედნებზე, შეიარაღებული გამოსვლის საგაზეთო პროპაგანდას, ხელისუფლების საწინააღმდეგო მოქმედებას და მოითხოვდა აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებებისადმი ყველა დაწესებულების უსიტყვო დამორჩილებას, ხოლო დამნაშავეებს ამ მხრივ სამხედრო-რევოლუციურ სასამართლოზე გადაცემას პირდებოდა.

გარდა ამისა, მენშევიკებმა თავიანთი გაზეთის ფურცლებზე ვააჩაღეს გაძლიერებული ცილისმწამებლური კამპანია პეტროგრა-

---

[1] გაზ. „Известия“ раб. и солд. депутатов гор. Тбилиси, № 198.

[2] იქვე.

დელი ბოლშევიკების წინააღმდეგ და თბილისელი ბოლშევიკების შესახებ[1].

ეს იყო საბჭოს პირველი ღონისძიება ობივატელური მოსახლეობის დასაფრთხობად და აგრესიულობის გასამართლებლად. ნაშდვილად თბილისის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ინტერესებდა არსენალი, რომელსაც ბოლშევიკი ჯარისკაცები იცავდნენ. ჩვენ უნდა აგვეღო არსენალი, ან უნდა დაეღუპულიყავით -- ასეთი იყო მენშევიკების რწმენა.

აღმასრულებელი კომიტეტი პრაქტიკულ მოქმედებაზე გადავიდა. კონტრრევოლუციურად განწყობილი ელემენტებისაგან შედგენილი რაზმის (რომელსაც ისინი „წითელ გვარდიას" უწოდებდნენ) შესაიარაღებლად აღმასრულებელმა კომიტეტმა მოითხოვა იარაღი და წერილობითი განკარგულება გაუგზავნა არსენალის საარტილერიო საწყობს. აღმასრულებელმა კომიტეტმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ არსენალს ბოლშევიკი ჯარისკაცები იცავდნენ და ისინი იარაღის გაცემაზე არ დათანხმდებოდნენ. მაგრამ ეს იყო საბაბი, რომელსაც აღმასრულებელი კომიტეტი თავისი შემდგომი ნაბიჯების გასამართლებლად ეძებდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, არსენალის ბოლშევიკმა დამცველებმა იარაღის გაცემაზე უარი თქვეს. მაშინ მენშევიკური გვარდია ღამით გაემართა არსენალისაკენ, იარაღის საწყობს თავს დაესხა და ხელთ იგდო იგი. 1-ლ დეკემბერს თბილისის მენშევიკური საბჭოს ორგანოში გამოქვეყნდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემდეგი ცნობა:

„30 ნოემბერი. დილის 11 საათი.

გუშინ, 29 ნოემბერს დილით, აღმასრულებელმა კომიტეტმა არსენალში წარადგინა მოთხოვნა კომიტეტის განკარგულებაში მყოფი წითელი გვარდიის საჭიროებისათვის 2.000 შაშხანის გაცემის შესახებ. არსენალის რაზმმა იარაღის გაცემაზე უარი სთქვა: მაშინ აღმ. კომიტეტმა გადასწყვიტა უარის მთქმელთა დამორჩილება, რისთვისაც იმავე საღამოს, შეიარაღებული ძალით, ერთი გასროლის გარეშე, დაიკავა არსენალი. ამან აღელვება გამოიწვია გარნიზონის ბოლშევიკურ ნაწილებში და 218 სათადარიგო პოლკის მე-4 ბატალიონის ჯარისკაცთა ჯგუფმა 150 კაცის რაოდენობით, თითოობლივ, ღამით მიაღწია რა არსენალამდე, დღეს, 30 ნოემბერს, დილით გააჩაღა უწესრიგო სროლა. მაგრამ ბოლშევიკურ

---

[1] გაზ „Известия"... № 198, 28 ნოემბერი.

ჯგუფს, რომელიც აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულების წინააღმდეგ წავიდა, არავინ მხარი არ დაუჭირა და იგი იძულებული შეიქნა თავის უაზარმაში დაბრუნებულიყო.

გარნიზონში სრული წესრიგია.

შემდგომის შესახებ დამატებით გაცნობებთ"[1].

თბილისის მენშევიკური საბჭოს ამ ნაბიჯმა, როგორც ირკვევა, ბოლშევიკების სამხარეო კომიტეტი ფეხზე დააყენა. ინიციატივა მენშევიკების ხელთ იყო. საჭირო იყო სწრაფი და გადამწყვეტი მოქმედება, მაგრამ ამისათვის კომიტეტი მომზადებული არ ყოფილა. შეიკრიბა საოლქო კომიტეტის სამხედრო შტაბი, სადაც გადაწყდა უბრძოლველად არსენალი არ დაეთმოთ, თუ ამისათვის ცოტაოდენი შესაძლებლობა იქნებოდა. მაგრამ სასწრაფო ეფექტური კონტრღონისძიებების დაპირისპირება შეუძლებელი აღმოჩნდა: არ იყო შედგენილი მოქმედების გეგმა, სამხედრო ნაწილებმა არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა ემოქმედნათ, თვით სამხარეო კომიტეტის წევრები იძლეოდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგო განკარგულებებს. მაგ., გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის" რედაქციის ერთ-ერთი მუშაკი იგონებს: უკვე დილის 11 საათი იყო (ლაპარაკია 30 ნოემბრის შესახებ). რედაქციაში მოდიოდნენ ჯარის სხვადასხვა ნაწილები, რომლებიც თხოულობდნენ, რომ ნება მიეცა ჩვენს კომიტეტს აეღოთ ძალაუფლება. მაგრამ ორგანიზაციამ ამის ნება არ მისცა და საათის 12—1 მენშევიკების ბანდებმა ჩაიბარეს არსენალი, საიდანაც უამრავი იარაღი გამოიტანა ისეთმა ხალხმა, რომლებმაც ვინ იცის შემდეგ ვის წინააღმდეგ გამოიყენეს იგი.

არსენალის რაიონში გაგზავნილ იქნა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული მანქანა, მაგრამ ამ პატარა რაზმის განიარაღება მენშევიკებმა შეძლეს. ინიციატივა რომ ხელში აიღეს, მენშევიკებმა შეძლეს გაემაგრებინათ არსენალის რაიონი. მენშევიკური გვარდიის მხარდასაჭერად მათ ფეხზე დაყენებული ჰყავდათ მათი მომხრე სამხედრო ნაწილები. სასახლესთან განლაგებული იყო ზარბაზნები, რომელთა ლულა არსენალისკენ იყო მიმართული.

იმავე დღეს მენშევიკებმა მოაწყეს გაზეთების „კავკაზსკი რაბოჩის" და „ბრძოლის" რედაქციების დარბევა, ხოლო თანამშრომლები დააპატიმრეს. ნ. ჟორდანია მოხსენებაში თბილისის 29—30 ნოემბრის ამბების შესახებ თავს იმართლებდა: დაპატიმრება მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ გაგზავნილმა ყარაულმა თავის რწმუნებას გადააჭარბაო. ეს იყო მხოლოდ ბოდიშის მოხდა ჩადენილი ფაქ-

---

[1] გაზ. „Известия...", № 201, 1 დეკემბერი.

-ტის შემდეგ. სინამდვილეში ყარაულს, როგორც რედაქციის და ბატალიონის მუშები ადასტურებენ, ხელთ ჰქონდა დაპატიმრების ორდერი.

* * *

მენშევიკური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ რევოლუციური ძალების შემჭიდროებისა და ძალაუფლების ხელში აღებისათვის დაუყოვნებლივი გამოსვლის ნაცვლად საოლქო კომიტეტის ოპორტუნისტულად განწყობილმა უმრავლესობამ კაპიტულაციის გზა აირჩია. მენშევიკების მიერ არსენალის დაკავებისთანავე გაზ. „კავკაზსკი რაბოჩში“ გამოქვეყნდა მოწოდება რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტის ხელმოწერით. ამ მოწოდებაში ოპორტუნისტების პოზიცია მიმდინარე მოვლენების მიმართ განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: „უკვე რამდენიმე დღეა კონტრრევოლუციური ბურჟუაზია და მენშევიკებისა და ესერების ობორონცული პარტიები გაძლიერებით ავრცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს, თითქოს ბოლშევიკების გამოსვლა მზადდებოდა.

ჩვენმა პარტიამ გარკვევით და გადაჭრით განაცხადა, რომ ბოლშევიკები არავითარ გამოსვლას არ ამზადებენ თბილისში...

არცერთი გასროლა, არცერთმა ტყვიამ არ უნდა განგმიროს მუშის გული, ჯარისკაცის გული.

ჩვენ მუდამ დარწმუნებული ვიყავით, რომ მშვიდობიანი გზით შეიძლებოდა იმ საკითხის ლიკვიდაცია, რომლის გამო კონფლიქტი მოხდა.

ჩვენ ახლაც დარწმუნებული ვართ, რომ მთელი საკითხი შეიძლებოდა გადაჭრილიყო სისხლისმღვრელ შეტაკებათა გამოუწვევლად...

ჩვენ ერთხელ კიდევ ვაცხადებთ ჯარისკაცების, მუშებისა და მოქალაქეების წინაშე, რომ ბოლშევიკები არავითარ გამოსვლას არ აწყობენ თბილისში. ასეთ გამოსვლას არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვდა (ხაზი ჩემია—ა. ს.) განსაკუთრებით იმ მომენტში, როდესაც მუშურ-გლეხური მთავრობა განმტკიცდა, გაძლიერდა და ცნობილია რუსეთის დემოკრატიის უდიდესი უმრავლესობის მიერ“[1].

ამ განცხადებამ თბილისის პროლეტარიატის დაბნეულობა გამოიწვია, ხელი შეუწყო რევოლუციური გარნიზონის, თბილისის მოწინავე მუშების აღტყინების შენელებას, მან ხელი შეუწყო დიმარცხებას, მენშევიკებისათვის არსენალის უმტკივნეულოდ ჩაბარებას.

[1] გაზ. „Кавказский рабочий„ № 1917 г.

თავისი მოქმედებით საოლქო კომიტეტის ამ ჯგუფმა თბილისის არსენალი ფაქტიურად გადასცა მენშევიკებს, ვერ გამოიყენა რა მისი დაცვისათვის სახეზე მყოფი ძალები. „თბილისის გარნიზონი 20.000-ზე მეტ კაცს მოითვლიდა და თითქმის ყველა ეს 20.000 ბოლშევიკების მხარეზე იყო" — მენშევიკებისათვის ამ მწარე სინამდვილეს აღიარებდა თვით ჯალათი ვ. ჯუღელი. არსენალს კი რევოლუციის გამარჯვებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი საშუალებით შესაძლებელი იყო რევოლუციური მუშების შეიარაღება, რევოლუციური გლეხობისათვის იარაღის გაგზავნა. ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა თბილისელი ბოლშევიკების განკარგულებაში მყოფ ამ საშუალებას და როცა მან, შემდეგში, არსენალის მენშევიკებისადმი უბრძოლველად ჩაბარების ამბავი გაიგო, უკმაყოფილო დარჩა, იგი ბოლშევიკების დიდ შეცდომად ჩასთვალა.

ამრიგად, ოპორტუნისტების გამცემლური საქმიანობის შედეგად თბილისელმა ბოლშევიკებმა იარაღი დაკარგეს. ეს შემთხვევითი ღალატი როდი იყო, ოპორტუნისტები წინ აღუდგნენ ლენინისა და სტალინის მითითებებს შეიარაღებული ბრძოლით ძალაუფლების აღებაზე.

დაკარგული ჰქონდათ რა რევოლუციის ძალებისადმი რწმენა, ოპორტუნისტულად განწყობილ ელემენტებს მიმდინარე მომენტში შეიარაღებული გამოსვლა მიზანშეუწონლად მიაჩნდათ. ისინი მენშევიკებისადმი არსენალის გადაცემას, რაც ფაქტიურად კონტრრევოლუციის წინაშე კაპიტულაციას მოასწავებდა, მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ. სულ ერთია—ბოლშევიკები იმ პერიოდში ძალაუფლების ხელში აღებისათვის მომზადებული არ იყვნენ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეიარაღებული ბრძოლა მასისათვის გაუგებარი იქნებოდაო—თავს იმართლებდნენ ისინი. ამიერკავკასიის ბოლშევიკებს არც ერთი პოლიტიკური და ტაქტიკური შეცდომაც რომ არ დაეშვათ, მაშინაც კი, ამიერკავკასიის პირობებში, ვერ უზრუნველყოფდნენ ოქტომბრის გამარჯვების შეუჩერებელ მსვლელობასო —ასეთი იყო ოპორტუნისტების რწმენა შემდეგშიაც.

მასებისადმი მოღალატურ, კონტრრევოლუციის წინაშე კაპიტულანტურ შეხედულებებს რომ იცავდნენ, ოპორტუნისტები არათუ ხელს უწყობდნენ არმიის, მუშებისა და გლეხების ინიციატივას ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, არამედ, პირიქით, აფერხებდნენ ამ ინიციატივას, იქვის გესლით შხამავდნენ, განაიარაღებდნენ მას.

ოპორტუნისტთა ეს ჯგუფი იზიარებდა მიმდინარე მომენტისა-

თვის შეუფერებელ, მოძველებულ და ამდენად მავნე შეხედულებას, რაც ხელისუფლების მშვიდობიანი გზით დაუფლების შესაძლებლობაში მდგომარეობდა.

საბჭოების ხელისუფლების მშვიდობიანი გზით დამყარების თვალსაზრისს იცავდა ფ. მახარაძეც. „აშკარა იყო, რომ რევოლუციის ხსნა შეეძლო მხოლოდ ბოლშევიკებს. მაგრამ როგორ, რა გზით. შეიძლებოდა თუ არა და დასაშვები იყო თუ არა აჯანყება არსებული საბჭოების წინააღმდეგ, — კითხულობს ფ. მახარაძე და იქვე უპასუხებს: — დაახლოებით ასე იდგა საკითხი რუსეთში, კერძოდ, პეტროგრადში და მოსკოვში 1917 წლის აპრილის კონფერენციის შემდეგ, სადაც იმ დროს საბჭოებში უმრავლესობა მენშევიკებს და ესერებს ეკუთვნოდა. ბოლშევიკურმა პარტიამ ამხ. ლენინის მეთაურობით გადაისროლა ლოზუნგი საბჭოებში ბოლშევიკური უმრავლესობის შექმნის შესახებ და ეს ამოცანა გადაჭრილ იქნა იქ საუცხოოდ. ამიერკავკასიაში, და კერძოდ, თბილისში ოქტომბრის რევოლუციის დროს უმრავლესობა მენშევიკებს და ესერებს ეკუთვნოდათ და ნ. ჟორდანია ფაქტიურად მართალი იყო, როცა ერთ თავის სიტყვაში, პეტროგრადში მომხდარი ამბების შესახებ, ამბობდა, რომ ჩვენში არავის ჩამოგდება საჭირო არაა, რადგან აქ ძალაუფლება საბჭოების ხელშიაო, რომ ფაქტიურად გამოსვლა აქ მიმართული იქნება საბჭოების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენში პოლიტიკური ხელმძღვანელები არიანო“[1].

როგორც ვხედავთ, ფ. მახარაძე მექანიკურად ავლებდა ანალოგიას აპრილის კონფერენციის პერიოდის პეტროგრადის და მოსკოვის საბჭოსა და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგი პერიოდის თბილისის საბჭოს შორის. ლენინი აპრილის კონფერენციაზე საბჭოებში ბოლშევიკების უმრავლესობის მოპოვებისათვის ბრძოლას მოითხოვდა იმიტომ, რომ საბჭოები მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათში ობორონცული პარტიები ბატონობდნენ. ამ დროს დროებითი მთავრობის კონტრრევოლუციური ბუნება მასისათვის ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არ ყოფილა. ამიტომაც შეუძლებელი იყო აჯანყება მის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იყო 1917 წ. აპრილში. აპრილსა და ოქტომბერ-ნოემბერს შუა კი ძევს 8 თვე, და „...ეს 8 თვე,—როგორც ი. ბ. სტალინი შენიშნავს,—მასების პოლიტიკური განათლებისა და რევოლუციური აღზრდის თვალსაზრისით თამამად შეიძლება გავუთანასწოროთ ჩვეუ-

[1] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭ. ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 91.

ლებრივი კონსტიტუციური განვითარების მთელ ათეულ წლებს, ვინაიდან ეს ნიშნავდა რევოლუციის რვა თვეს"[1]. ამ რვა თვის განმავლობაში მენშევიკურმა საბჭოებმა როგორც პეტროგრადსა და მოსკოვში, ისე თბილისში დაკარგეს მასების ნდობა, ისინი კონტრრევოლუციური მთავრობის დანამატად, სოციალისტური რევოლუციის დაუძინებელ მტრებად გადაიქცნენ. ამ რვა თვის განმავლობაში ბოლშევიკური პარტიის დამრაზმველი მუშაობის შედეგად შეიქმნა უძლიერესი ძალა, ლენინური დროშის ქვეშ დარაზმული რევოლუციური არმია. თბილისის პროლეტარიატი ხედავდა, რომ ამ არმიამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოძმე რუსეთში კონტრრევოლუციურ დროებით მთავრობაზე იერიში მიიტანა, დაამხო იგი და შექმნა საბჭოების ხელისუფლება—მუშებისა და გლეხების წარმომადგენელთა ხელისუფლება. იგი ხედავდა, რომ პროლეტარიატის ამ დიადი ბრძოლის გზაზე მენშევიკები, ესერები და ბურჟუაზიული პარტიები კონტრრევოლუციური მთავრობის ბანაკში იდგნენ, რევოლუციას წინ ეღობებოდნენ, მისი ჩახშობისათვის იბრძოდნენ. იგი ხედავდა, რომ ამიერკავკასიის საბჭოების ცენტრი გაბოროტებით შეხვდა ოქტომბრის რევოლუციას, ყოველმხრივ აქეზებდა კონტრრევოლუციას მის წინააღმდეგ ბრძოლაში, აერთიანებდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციის ძალებს ოქტომბერთან საბრძოლველად. ცხადია, მენშევიკური საბჭოების ამგვარი ნაბიჯები ამიერკავკასიის ყველა მშრომელში ზიზღს იწვევდა. „...ამიერკავკასიის მოსახლეობა თბილისის «მთავრობის» წინააღმდეგია. ამიერკავკასიის მოსახლეობა რუსეთისაგან გამოყოფის წინააღმდეგია"—წერდა ი. ბ. სტალინი 1918 წ. 23 მაისის „პრავდაში"[2]. ფ. მახარაძე კი არასწორად გადმოცემდა თბილისის პროლეტარიატის განწყობილებას— თითქოს მისთვის უცხო, გაუგებარი იქნებოდა თბილისის მენშევიკური საბჭოების წინააღმდეგ იარაღით გამოსვლა. იგი წერდა: „აქ მართლაც არსებობდა თავისებური საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც არსებითად ბურჟუაზიული ხელისუფლება იყო, მაგრამ აჯანყება მის წინააღმდეგ მისი დამხობის მიზნით მასისათვის გაუგებარი დარჩებოდა"[3].

* * *

არსენალის ჩაბარებით სამხარეო კომიტეტმა ხელიდან გაუშვა ძალაუფლების ხელში აღების პირველი შესაძლებლობა. მაგრამ

---

[1] ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 48.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 105.
[3] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 91.

ამის შემდეგ რევოლუციური ძალების დარაზმვა და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მასობრივი ლტოლვა არათუ შენელდა, პირიქით, გაიზარდა. მენშევიკების კონტრრევოლუციური ნაბიჯებით აღშფოთებული თბილისისა და მთელი საქართველოს პროლეტარიატი, რევოლუციური გლეხობა და კავკასიის არმიის ჯარისკაცები ბოლშევიკური დროშის გარშემო ირაზმებიან (მაგალითად, თბილისის საბჭოს არჩევნებში ივლისში ბოლშევიკებმა მიიღეს 5.083 ხმა, ხოლო ნოემბერში—19.157 ხმა), საწარმოებში კვლავ დაიწყო გაფიცვები. ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, სადაც აქამდე მენშევიკების გავლენა ჭარბობდა, თანდათანობით იწყეს გავრცელება ბოლშევიკურმა ლოზუნგებმა. 1918 წლის 25 იანვარს აქ კრებაზე, რომელსაც დაახლოებით 2000 მუშა ესწრებოდა, შაუმიანის მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა ბოლშევიკური რეზოლუცია[1].

დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა სოფლებში. ქართველმა გლეხობამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკის დასამხობად ხელში იარაღი აიღო. სამეგრელოში, აფხაზეთში, ლეჩხუმში და გორში აჯანყებები დაიწყო. აფხაზეთის გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა სოხუმი დაიკავეს, აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. აპრილის პირველ რიცხვებში გლეხთა გამოსვლები დაიწყო ნოქალაქევში, ბანძაში, მარტვილსა და სხვ. „ჩემი სუხუმი ბოლშევიკების ხელშია, და სამეგრელოში ისინი უფრო და უფრო აქტიურნი ხდებიან“ — წერდა თავის დღიურში ქართველი გლეხკაცობის ჯალათი მენშევიკი ვ. ჯუღელი 1918 წლის 4 აპრილის თარიღით და წინ მიუძღოდა მენშევიკურ ბანდებს ამბოხების სისხლში ჩასახშობად.

კავკასიის ფრონტის არმიამ, სადაც მენშევიკების გავლენა ძლიერი იყო, ბრესტის ზავის შემდეგ დაშლა იწყო. ბოლშევიკური ნაწილები მზად იყვნენ შეიარაღებული დახმარება გაეწიათ ამიერკავკასიის პროლეტარიატისათვის კონტრრევოლუციური ბლოკის წინააღმდეგ. არმიის ერთ ნაწილს თბილისზე უნდა გაევლო. ამ მომენტში იგი იყო ყველაზე სერიოზული ძალა, რომელსაც ბოლშევიკთა ხელმძღვანელობით ადვილად შეეძლო გაერეკა კონტრრევოლუციური „მთავრობა“.

ამრიგად, 1918 წლის დასაწყისში საქართველოში კვლავ შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მენშევიკურ-კონტრრევოლუციური ბლოკის დამხობისათვის.

---

[1] გაზ. „Кавказский рабочий“, № 21, 1918 წ.

შეიარაღებული გამოსვლისათვის ხელსაყრელი მომენტის დადგომას ფხიზლად გრძნობდა სტ. შაუმიანი, რომელიც მაშინ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დანიშნული იყო ამიერკავკასიის საქმეთა დროებით საგანგებო კომისრად.

მიუხედავად კონტრრევოლუციური ბლოკის გააფთრებული დევნისა, შაუმიანი ახერხებს რევოლუციურ მასებთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. 31 იანვარს იგი სახელდახელოდ სცემს გაზეთს „კავკაზსკი ვესტნიკ სოვეტა ნაროდნიხ კომისაროვ", სადაც მოუწოდებს ამიერკავკასიის მუშებს, გლეხებს, არმიას დაუყოვნებლივ აიღონ ხელთ ძალაუფლება.

ვ. ი. ლენინი იწონებდა შაუმიანის გაბედულ მოქმედებას კონტრრევოლუციური ბლოკის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის საქმეში. 1918 წლის 14 თებერვლის თარიღით ლენინი წერდა მას: „ძვირფასო ამხანაგო შაუმიან! დიდად გმადლობთ წერილისათვის. აღტაცებული ვართ თქვენი მტკიცე და გაბედული პოლიტიკით. შესძელით შეაერთოთ მასთან უაღრესად ფრთხილი დიპლომატია, რასაც უთუოდ გვიკარნახებს ახლანდელი უძნელესი მდგომარეობა,—და ჩვენ გავიმარჯვებთ"...[1].

როგორც მასალებიდან ირკვევა, სამხარეო კომიტეტში კვლავ დაისვა ამ ხელსაყრელი მომენტის გამოყენების საკითხი, მაგრამ სამხარეო კომიტეტის ოპორტუნისტული უმრავლესობა, მტკიცედ ადგა რა შეიარაღებული გამოსვლის საწინააღმდეგო თვალსაზრისს, ამჟამადაც გულგრილად მოეკიდა აჯანყებისათვის მზადების საქმეს და ხელსაყრელი მომენტი მხედველობიდან გაუშვა.

კომუნისტური პარტიის ბელადები აჯანყებას ყოველთვის უდიდეს ხელოვნებად თვლიდნენ. ოქტომბრის დღეებზე დაკვირვება ცხადად ღაღადებს, თუ როგორ ემზადებოდნენ ლენინი და სტალინი პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღებისათვის. ისინი მეცნიერული სიზუსტით ამუშავებდნენ მომავალ სამოქმედო გეგმებს, წინასწარ ითვალისწინებდნენ ყოველგვარ წვრილმანს, დეტალურად სწავლობდნენ თითოეულ ტაქტიკურ ოპერაციას, ანაწილებდნენ ძალებს, უწყვეტი ძაფებით უკავშირდებოდნენ მასებს და იყენებდნენ ყოველგვარ შესაძლებლობას გამარჯვების საქმისათვის. ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ არა მარტო დღეს, არამედ საათსაც კი.

ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა სტ. შაუმიანის დაჟინებითი მოთხოვნის მიუხედავად ოპორტუნისტების გავლენით შეია-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 349.

რაღებული აჯანყების საკითხი თვითდინებას მიანდო. ეს იმიტომ, რომ მის ოპორტუნისტ „ხელმძღვანელებს", როგორც აღვნიშნავდით, შესაძლებლად მიაჩნდათ კრიზისის მშვიდობიანი გადაჭრა.

მენშევიკებმა კი ამ შემთხვევაშიც, სერიოზული შეფასება მისცეს რა კარზე მომდგარ საფრთხეს, წინასწარ მოამზადეს თავდაცვა. თბილისის ქუჩებში კვლავ გამოჩნდა ზარბაზნები. მათ ყოველი ღონე იხმარეს, რათა შეიარაღებულ ჯარს თბილისზე არ გაევლო. ეს მართლაც მოახერხეს, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. თბილისს რომ საფრთხე ააცილეს, კონტრრევოლუციური კომისარიატის მესვეურებმა — ჟორდანიამ, რამიშვილმა და გეგეჭკორმა ელიზავეტპოლის ნაციონალური კომიტეტის დახმარებით, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ბოლშევიკის ეშელონებს იარაღი აყარეს, რასაც საშინელი ხოცვა-ჟლეტა, საყოველთაოდ ცნობილი შამქორის ტრაგედია მოჰყვა.

* * *

ხელისუფლების დაპყრობას საბჭოებში უმრავლესობის მოპოვების გზით იმ მომენტში არ შეიძლება წარმატება მოჰყოლოდა, რადგან გაბატონებული პარტიები—მენშევიკები და ესერები არჩევნების გაყალბებისათვის ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა ბოლშევიკები გამოეძევებინათ საბჭოს შემადგენლობიდან. ეს ასეც მოხდა. მენშევიკებმა მუშათა დეპუტატების საბჭოში ახალი არჩევნები ჩაატარეს ე. წ. მაჟორიტარული სისტემით. არჩევნებში მასების, დემოკრატიის ინტერესების უგულებელყოფის ეს უხეში მეთოდი მენშევიკებს დაეხმარა ახალი საბჭო მთლიანად მათგან და მემარჯვენე ესერებისაგან შეედგინათ. როგორც ვხედავთ, ოპორტუნისტების მცდარმა ტაქტიკამ გამოიღო საწინააღმდეგო შედეგი. საბჭოში არათუ უმრავლესობა ხვდათ ბოლშევიკებს, არამედ ისინი საბჭოდან სავსებით გამოძევებული აღმოჩნდნენ.

თბილისის საბჭოდან ბოლშევიკების გასვლის შემდეგ, ბუნებრივია, დაისვა საკითხი ბოლშევიკური საბჭოს შექმნის შესახებ. შექმნილ ვითარებაში ეს იქნებოდა ერთადერთი გამოსავალი. მაგრამ სამხარეო ცენტრში ამ საკითხის განხილვისას ოპორტუნისტულად განწყობილმა ელემენტებმა ბოლშევიკური საბჭოს შექმნის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს. ამის შესახებ თვით მახარაძე წერს: „...მენშევიკებმა შემოიღეს არჩევნების დროს ე. წ. მ ა ჟ ო რ ი ტ ა რ უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ა... ეი ასეთი მაქინაციების საშუალებით მენშევიკებმა პირდაპირ გამოდევნეს თბილისის საბჭოდან ბოლშევი-

კები. მენშევიკების ასეთი უხეშობისა და აშკარა ძალადობის საპასუხოდ, ბოლშევიკებში დაიბადა აზრი მენშევიკურ-ესერული საბჭოს პარალელურად შეექმნათ **ბოლშევიკური საბჭო**, მაგრამ ბოლშევიკების ცენტრმა ასეთი აზრი არ მოიწონა"[1] (ხაზი ჩემია—ა. ს.).

მენშევიკებმა მაქინაციების ახალი საშუალებანი გამოიყენეს მუშათა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ყრილობის მოწვევის მომენტში. მენშევიკებმა თბილისის მუშებს ყოველ 500 ამომრჩეველზე მისცეს ერთი დელეგატის წამოყენების უფლება, მაშინ როცა ბაქოს და ჩრდილო კავკასიის მშრომელებს ერთი დელეგატი უნდა წარმოეგზავნათ 2000—2500 ამომრჩეველზე. ამრიგად, ბაქოს 80 ათას ორგანიზებულ მუშას ყრილობაზე ჰყავდა 37 დელეგატი, ხოლო თბილისის გუბერნიის 47 ათას ამომრჩეველს კი—90.

საბჭოს ბოლშევიკმა დელეგატებმა ამხილეს მენშევიკთა ფანდები და კატეგორიულად მოითხოვეს არჩევნებში ყველა ქალაქის თანასწორუფლებიანობა. ამ წინადადებაზე მენშევიკების უარისთქმის შემდეგ ბოლშევიკმა დელეგატებმა ყრილობა დატოვეს. ამის შემდეგ მენშევიკებს აღარ გაძნელებიათ მიეღოთ ბოლშევიკებისადმი, საბჭოთა რუსეთისადმი მტრული რეზოლუცია და რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფა „კანონიერად" ეცნოთ.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა კავკასიის არმიის II ყრილობა. მენშევიკები წინასწარ სამზადისს მიმართავდნენ, რათა ყრილობა თავიანთ სასარგებლოდ წარემართათ. მათ განსაკუთრებით აფიქრებდათ ჯარისკაცთა მასების ბოლშევიკური განწყობილება.

მენშევიკები და ესერები შეეცადნენ ყრილობის ხელმძღვანელობა თავიდანვე ხელთ ეგდოთ. ესერმა დონსკოიმ თავისი თავი ყრილობის თავმჯდომარედ გამოაცხადა. მაგრამ ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციონერ დონსკოის კანდიდატურის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს.

ყრილობის დელეგატმა სტ. შაუმიანმა პირველსავე სხდომაზე დონსკოის ბნელ საქმიანობას ფარდა ახადა და სხვა თავმჯდომარის არჩევა მოითხოვა. ყრილობის მენშევიკმა და მემარჯვენე ესერმა დელეგატებმა ამის გამო საშინელი ღრიანცელი ატეხეს. დონსკოის დაცვა ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურმა ე. გეგეჭკორმა

---

[1] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 96.

იკისრა. საპასუხო სიტყვაში ს. ქავთარაძემ აშკარა საბუთებით ცხადყო, რომ დონსკოის ცხვირწინ, მისი ფარული ხელისშეწყობით ვაგონობით ეგზავნებოდა იარაღი კალედინსა და კარაულოვს თეთრგვარდიელ გენერლებს, მაშინ როცა არმიის მთელი ქონების ერთადერთი დამცველი ეს საბჭო უნდა ყოფილიყო. საბჭოს წევრებმა თვითონვე აღიარეს ამ ფაქტის სისწორე და ამით თავი საუდამოდ შეირცხვინესო[1].

მენშევიკები და მემარჯვენე ესერები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ. დონსკოის კანდიდატურა მოხსნილ იქნა. ეს იყო ბოლშევიკი დელეგატების გამარჯვება.

ყრილობაზე ბოლშევიკებს უმრავლესობა ჰყავდათ. ბოლშევიკებს შეუერთდნენ მემარცხენე ესერებიც. კონტრრევოლუციური პარტიების ბლოკმა მარცხი განიცადა. მიღებული რეზოლუციები მიმდინარე მომენტზე, საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაზე, მიწის, ზავის, მუშათა კონტროლის საკითხებზე ბოლშევიკური, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სულისკვეთებით გაჟღენთილი იყო. ყრილობაზე არჩეულ იქნა საოლქო საბჭო, სადაც ბოლშევიკებს მემარცხენე ესერებთან ერთად 52 ადგილი ხვდათ, ხოლო ყველა დანარჩენ პარტიას — 48[2]. არმიის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი ყორღანოვი. ყრილობა პეტროგრადის სახალხო კომისართა საბჭოსადმი მისასალმებელ დეპეშაში აღნიშნავდა, რომ კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო თავის თავს აცხადებს უმაღლეს ხელისუფლებად სამხარეო სფეროში და სთხოვს ყველა განკარგულება კავკასიის მხრით საბჭოს სახელზე გამოგზავნეთო[3].

კავკასიის არმიის სამხარეო საბჭოს მუშაობის ჩაშლისათვის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა მენშევიკების მეთაურობით ყველა ღონისძიებას მიმართეს. ჯერ მათ ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღეს ამ საბჭოს წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ მისი დაშლისათვის პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმაც არ დააყოვნეს. საბჭოს უმცირესობამ, რომელიც ამ პარტიების ინტერესს ასახავდა, განხეთქილება მოახდინა; მან უმრავლესობის ხელისუფლება არ იცნო, საბჭოს ფუნქცია თვითნებურად მიითვისა და მთელ ქონებას დაეპატრონა. ეს იყო თავხედური უზურპაცია, ზურგის შექცევა იმ ყრილობისა-

---

[1] გაზ. „ბრძოლა", № 55, 14 დეკემბერი. 1917 წ.
[2] გაზ. „Кавказский рабочий", 230, 29 დეკემბერი, 1917 წ.
[3] გაზ. „ბრძოლა", № 66, 30 დეკემბერი, 1917 წ.

თვის, რომელიც კავკასიის არმიის განწყობილებას გამოხატავდა და რომელმაც ეს საბჭო აირჩია.

ამრიგად, მენშევიკებმა და მემარჯვენე ესერებმა შექმნეს მათი ინტერესების გამომხატველი საბჭო, რომელიც ეყრდნობოდა არა კავკასიის არმიას, არამედ კონტრრევოლუციურ კომისარიატს და თავის მოქმედებას ამ არმიის წინააღმდეგ მიმართავდა.

კავკასიის არმიის საბჭოს ბოლშევიკური შემადგენლობა ყორღანოვის მეთაურობით ბაქოში გადავიდა, რათა ბაქოდან ეხელმძღვანელა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის. საბჭოს ეს ნაბიჯი, შეიძლება ითქვას, იმ მომენტისათვის არ იყო მიზანშეწონილი. მენშევიკებისა და სხვა კონტრრევოლუციური პარტიების შემოტევისათვის საბჭოს აქვე უნდა გაეწია წინააღმდეგობა და მის განკარგულებაში არსებული ძალები გამოეყენებინა. ბაქოში გადასვლით კი საბჭო მოწყდა თბილისის პროლეტარიატსა და გარნიზონს და ამით ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატს უნებლიედ დახმარება გაეწია თბილისში მასების რევოლუციური აღტყინების დასათრგუნავად.

* * *

უვნებლად დააღწია რა თავი მისი არსებობისათვის შექმნილ რეალურ საფრთხეს, კონტრრევოლუციური ამიერკავკასიის კომისარიატი ახლა თვით გადავიდა კონტრშეტევაზე. თბილისში გამოწვეულ იქნა „ველური დივიზია", შემუშავებულ იქნა საგანგებო ღონისძიებანი „რევოლუციური წესრიგის" დაცვისათვის. განსაკუთრებულ შიშს მათში იწვევდა სტ. შაუმიანის დანიშვნა კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრად. კომისარიატმა მენშევიკური საოლქო კომიტეტის მითითებით დაიწყო შაუმიანის და სხვა აქტიური კომუნისტების დევნა.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა კომისარიატმა, თბილისს რომ რევოლუციურ ჯარისკაცთა ეშელონები ააცილა, გადაწყვიტა თბილისიდან მოშორებით მათთვის საბოლოოდ გაესწორებინა ანგარიში. ეს ეშელონები მიემართებოდნენ რუსეთში კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად და საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურებს სურვილი აღეძრათ ეს ეშელონები განეიარაღებინათ. ამით კომისარიატი, როგორც ი. ბ. სტალინი მიუთითებს, ორი კურდღლის დაჭერას, ორი საქმის გაკეთებას ცდილობდა: „ერთი მხრივ, იგი სპობდა სერიოზულ რევოლუციურ ძა-

ლას, რუსულ რევოლუციურ არმიას, რომელზედაც შეეძლო უმთავრესად დაყრდნობა მხარის ბოლშევიკურ კომიტეტს; მეორე მხრივ, ამგვარად იგი იღებდა «საჭირო» იარაღს, რათა შეეიარაღებინა ქართული, სომხური და მუსლიმანური ნაციონალური პოლკები, რომლებიც მენშევიკურ-კონტრრევოლუციური კომისარიატის მოავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ"[1].

ეშელონები როდესაც თბილისს გასცდნენ, ნ. ჟორდანიამ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრის სახელით 6 იანვარს კავკასიის ყველა საბჭოს სახელზე დაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„ამიერკავკასიის ყველა საბჭოს...

ვინაიდან რუსეთში მიმავალ სამხედრო ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და, თუ დროებითი ზავი წარმატებით არ დამთავრდა, ნაციონალური ნაწილები შეიძლება ისე დარჩნენ, რომ საკმაო იარაღი არ ექნეთ ფრონტის დასაცავად, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა საბჭოს მიიღონ ზომები მიმავალი ნაწილებისათვის იარაღის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს"[2].

ეშელონებისადმი იარაღის აყრის საკითხი იხილებოდა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა სამხარეო ცენტრში, კავკასიის ფრონტის შტაბში, ამიერკავკასიის კომისარიატში. ეშელონების განიარაღების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორები იყვნენ ჟორდანია, რამიშვილი, გეგეჭკორი, პაპაჯანოვი, ჯაფაროვი და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკის სხვა მესვეურები.

გენერალ-მაიორი ლებედინსკი ფრონტის შტაბის 3 იანვრის თათბირის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ეშელონების განიარაღებისათვის საჭიროა ძალების მობილიზაცია, მაგრამ ამ მიზნისათვის თბილისის შეიარაღებული ძალების გამოყენება სახიფათოა, ვინაიდან, თუ ეს ძალები გაიგზავნა განიარაღების ადგილზე, მაშინ ქალაქი დაცვის გარეშე დარჩება და გართულების შემთხვევაში, რაც უსათუოდ მოჰყვება იარაღის აყრას, თბილისს შეიძლება ეშელონები დაეპატრონონო[3].

4 იანვარს სამხარეო ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე ნ. ჟორდანიამ დააყენა ეშელონებისათვის იარაღის აყრის საკითხი.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., 4, გვ. 64.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 63.

[3] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევ. ცენტრ. სახ. არქივი. ფონდი 1, საქმე 715, ფ. 38—41.

სამხარეო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯარისკაცთა სექციის თავმჯდომარის მოადგილე ელენინი თავის ჩვენებაში აღნიშნავს: „ამა წლის 4 იანვარს სამხარეო ცენტრის გაერთიანებულ სხდომაზე, მობილიზაციის შესახებ მოხსენების წოსმენის შემდეგ, როცა ხალხი დაღლილი იყო, ჟორდანიამ გააკეთა განცხადება, რომ კომისარიატმა გადასწყვიტა ეშელონების განიარაღება. ეს საკითხი სხდომას მოხსენდა იმდენად ნაჩქარევად და გაკვრით, რომ არცერთ დამსწრეს არ გამოუთქვამს თავისი აზრი და კამათის გარეშე კენჭისყრას შეუდგნენ. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა"[1].

ამიერკავკასიის კომისარიატმა გააფრთხილა აგრეთვე ელიზავეტპოლის ნაციონალური კომიტეტი ეშელონებისათვის იარაღის ასაყრელად საჭირო ზომები წინასწარ მიეღოთ. ამ საფუძველზე 7 იანვარს ნაციონალურმა კომიტეტმა დაადგინა განეიარაღებინა ეშელონები „რადაც უნდა დამჯდარიყო"[2]. კომიტეტმა ეს საქმე მუსლიმანთა შეიარაღებულ ბანდებს დააკისრა. სწორედ ამ დროს ელიზავეტპოლში იმყოფებოდა „ველური დივიზია". ეს დივიზია ამიერკავკასიის რევოლუციური ძალების წინააღმდეგ სამოქმედოდ იყო გამიზნული. კომისარიატის ბრძანებით მას ეშელონების განიარაღება დაეკისრა.

7 იანვარს როტმისტრი აფხაზავა თათართა ცხენოსანი პოლკის მეთაურის მაღალოვის სახელზე გზავნის დეპეშას: „მოდის ხუთი შეიარაღებული ეშელონი ქვემეხით, შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარეობის იარაღით".

აფხაზავა, რომელსაც კომისარიატიდან სპეციალური დავალება ჰქონდა—ჯავშნოსანი მატარებელი გამოეყენებინა იმ შემთხვევაში, თუ ეშელონები ნებით იარაღს არ დათმობდნენ, 8 იანვარს ჩავიდა ელიზავეტპოლში. ამავე დღეს გენერალ მდივნისა და გობეჩიას ხელმოწერით აფხაზავასა და მაღალოვს თბილისიდან მიუვიდათ დეპეშა, რომელიც კვლავ მოაგონებდა იარაღის აყრის აუცილებლობას.

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი, შემდეგში, კერძოდ, ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე უარყოფდა ეშელონების განიარაღებაში კომისარიატის უშუალო მონაწილეობას, ამ სისხლიან ტრაგედიას მხოლოდ გა-

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევ. ცენტ. სახელმწ. არქ., ფ. 1, საქმე 715, გვ. 25—29.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 62.
[3] იქვე, გვ. 63.

გებრობას აწერდა. მაგრამ დოკუმენტები საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ და ცხადად ამხელენ ამ ხოცვა-ჟლეტაში კომისარიატის ხელმძღვანელ როლს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა კომისარიატის წარმომადგენლისა და პოლკოვნიკ მაღალოვის ტელეგრაფით საუბრის ჩანაწერი, რომლის მთლიანად მოტანა მიზანშეწონილად ვცანით.

„...მ ე—ს ა ს ა ხ ლ ე ვ ა რ. ჩხენკელი არ არის. აპარატთან ზის მისი ამხანაგი ქარცივაძე და კანტემიროვი.

შ ა მ ქ ო რ ი. გადაეცით მათ, რომ საქმე შემდეგნაირადაა: დაახლოებით დღის პირველი საათისათვის სადგურ შამქორში მოვიდნენ ყველა ეშელონები, რომლებმაც, დაინახეს რა ჩვენი შეიარაღებული ძალების სიჭარბე, გადასწყვიტეს დაარწმუნონ ამხანაგები ჩაგვაბარონ იარაღი. დღეს სამი საათიდან ეს დელეგატები პრინციპულად დაგვთანხმდნენ ჩაგვაბარონ თავიანთი ეშელონების იარაღი. ორი საათის განმავლობაში ჩემთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას — თუ რა პირობებში მოხდეს იარაღის ჩაბარება. ბოლოს, საღამოს 6 საათისათვის დელეგატებმა განმიცხადეს, რომ საბოლოო პასუხს ხვალ დილით მომცემენ. პასუხის მოლოდინში აფხაზავა ჯავშნიანი მატარებლით და მე, ღამეს ვათევთ შამქორში. ყველაფერი რაც სათქმელი მქონდა, მოგახსენეთ.

ს ა ს ა ხ ლ ე. ჩვენ საღამოზე გადმოგვცეს, რომ გზა შამქორსა და დოლიარს შორის აყრილია. მართალია თუ არა ეს?

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. მართალია, აყრილია.

ს ა ს ა ხ ლ ე. ვის მიერ არის აყრილი? ეშელონებისა თუ ჩვენს მიერ.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. საქმე ასეა: საღამოზე მიღებულ იქნა ცნობა, რომ ეშელონებს განზრახული აქვთ ხელთ იგდონ ჯავშნიანი მატარებელი. ეს რომ თავიდან აგვეცდინა, გზა ჩვენ ავყარეთ.

ს ა ს ა ხ ლ ე. გესაჭიროებათ თუ არა თქვენ რაიმე დახმარება, შევსება?

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. სადგურ დოლიარში 17 ეშელონია და სად. აქსტაფაში 3 ეშელონი. ეს უკანასკნელი სამი ეშელონი დღეს მოვიდა. თქვენის მხრივ დახმარება იქნებოდა ნავთლუღიდან ეშელონების შემდგომი მოძრაობის დაუშვებლობა, ვიდრე განიარაღებული არ იქნება ეს ეშელონები.

ს ა ს ა ხ ლ ე. ამგვარად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შესძლებთ ყველა 10 ეშელონის განიარაღებას.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. საჭიროა ვიცოდეთ, ჰქონდა თუ არა სასახლეს მოლაპარაკება ბაქოს დელეგატებთან?

ს ა ს ა ხ ლ ე. გაუგებარია, რომელი მოლაპარაკების შესახებ ლაპარაკობთ თქვენ.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. ამ ეშელონების განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაზე.

ს ა ს ა ხ ლ ე. ამ კითხვაზე პასუხს ეხლავე მიიღებთ (წავიდნენ გასარკვევათ). გვითხარით თქვენი აზრი მოლაპარაკების ხვალამდე გაჭიანურების შესახებ.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. შეიძლება ვივარაუდოთ სხვადასხვა მიზეზები. ერთი მიზეზთაგანი ეს არის დავაგროვოთ უფრო მეტი რეალური ძალა ზედმეტი ეშელონების მოსვლის შემთხვევისათვის. მეორე მიზეზი—უთანხმოება ეშელონებს შორის იარაღის ჩაბარების საკითხზე. დაბოლოს მოლაპარაკება გაჭიანურდა დაბნელებამდე, ხოლო სიბნელეში არ შეიძლება განიარაღების ჩატარება.

ს ა ს ა ხ ლ ე. გკითხარით, ხომ არ არის საშიშროება ეშელონების მხრივ ღამით გამგზავრების შესახებ?

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. ეს გვაქვს მხედველობაში და ვიღებთ სათანადო ზომებს.

ს ა ს ა ხ ლ ე. ასე, ნახვამდის. დელეგატებთან მოლაპარაკება არ ჰქონიათ. ასე რომ არ ვიცით მათ გაიარეს თუ არა. მეტი არაფერი, ველოდებით სასიამოვნო ცნობას.

მ ა ღ ა ლ ო ვ ი. მესმის"[1].

ზემომოყვანილი საბუთი ცხადყოფს, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა ჩაატარა წინასწარი საჭირო სამზადისი ეშელონების განსაიარაღებლად, გადაისროლა რა მაღალოვისათვის დამხმარე ძალა ჯავშნოსანი მატარებლის სახით. იგი აგრეთვე ცხადყოფს, რომ კომისარიატს წინასწარ გათვალისწინებული ჰქონდა ყველა გართულება, რაც ამ განიარაღებას უნდა მოჰყოლოდა და ამიტომ იძლეოდა განკარგულებას დაცვის გაძლიერებაზე, რათა შამქორიდან იარაღის ჩაუბარებლად არც ერთი ეშელონი არ გასულიყო, აქედან, ნათელია, რომ შამქორის სისხლიან ამბებს კომისარიატი მეთაურობდა.

9 იანვარს მაღალოვმა და აფხაზავამ ეშელონებს განუმეორეს იარაღის ჩაბარების კატეგორიული მოთხოვნა, მაგრამ უარი მიიღეს. ამის შემდეგ ისინი შეუდგნენ ძალით განიარაღებას, რასაც მოჰყვა უდანაშაულო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა. ათასობით რუსი ჯარისკაცის გვამით მოიფინა რკინიგზის ხაზი. ეშელონებს ჩამოართვეს 15.000 თოფი, 70 ტყვიამფრქვევი და ორი ათეული

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუც. ცენტრ. სახ. არქ. ფ. 1, საქმე 715, ფ. 44—46.

ზარბაზანი. ეს იარაღი მუსლიმანთა ნაციონალური კომიტეტის ბანდებმა დაიტაცეს.

ამიერკავკასიის კომისარიატის მესვეურებმა საქმის ნამდვილი ვითარების მიჩქმალვის მიზნით შექმნეს კომისია, რომელსაც შამქორის ტრაგედიის მიზეზები უნდა გამოეძია. მაგრამ ეს მიზეზები გეგეჭკორმა, ჟორდანიამ, რამიშვილმა და სხვებმა სხვაზე უკეთ იცოდნენ. კომისიის შექმნის მიზანი კი ის იყო, რომ ნამდვილი დამნაშავეები დაეფარათ და კომისარიატისათვის ეს შავი ლაქა ჩამოერეცხათ.

ამავე მიზანს ისახავდა ე. გეგეჭკორის სიტყვა ამიერკავკასიის სეიმის პირველ სესიაზე 1918 წლის 13 თებერვალს. გეგეჭკორი ბურჟუაზიის პარლამენტური ოინბაზობის ყველა ხერხს მიმართავდა, რათა კომისარიატი ამ ბრალდებიდან უდანაშაულო გამოეყვანა. იგი ტრიბუნაზე ცრემლებს ღვრიდა „შამქორის მსხვერპლთა“ პატივსაცემად, ლაპარაკობდა რევოლუციის მაღალ დანიშნულებაზე, თავისუფლებაზე, ცილს წამებდა გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ (კომისარიატის მიერ ამ გაზეთზე ლაშქრობა რომ გაემართლებინა) და, ამგვარად, თვალთმაქცურად უხვევდა გვერდს თვით შემაძრწუნებელ ფაქტს — უდანაშაულო ჯარისკაცთა დახვრეტას[1].

მაგრამ ამიერკავკასიის მშრომელებმა უკვე გაიგეს შამქორზე დატრიალებული ფაქტი. მათთვის ცხადი გახდა ისიც, თუ ვინ მოაწყო რუსი ჯარისკაცების დახვრეტა. ამხელდნენ რა კომისარიატის თვალთმაქცობას, ბოლშევიკური გაზეთები „კავკაზსკი რაბოჩი“ და „ბრძოლა“ მშრომელებს მოუთხრობდნენ სიმართლეს შამქორის შესახებ. 1918 წლის 2 თებერვალს გაზ. „კავკაზსკი რაბოჩის“ ვრცელი სტატია „სიმართლე ელიზავეტპოლის ამბების შესახებ“ ნიღაბს ხდიდა კომისარიატის ცდას—მოენათლა ელიზავეტპოლის დახვრეტა, როგორც ყაჩაღთა ბრბოების ეშელონებზე თავდასხმის შედეგი და ცხადყოფდა, რომ ეს „ყაჩაღური თავდასხმა თვით კომისარიატის მხრივ მზადდებოდა“[2]. 4 თებერვალს გაზეთმა გამოაქვეყნა რსდმპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა ჯარისკაცებისადმი. საოლქო კომიტეტი აფრთხილებდა ჯარისკაცებს, რომ კონტრრევოლუციური კომისარიატისაგან ისევე მოსალოდნელია ასეთი თავდასხმის განმეორება და მოუწოდებდა მათ მზადყოფნისაკენ[3].

შამქორში დატრიალებულმა ამბებმა ამიერკავკასიის მშრომელებში მძაფრი გულისწყრომა და პროტესტი გამოიწვიეს. მუშათა

---

[1] Закавказский сейм: Стенограф. отчет, зз. 6—7, 8.
[2] გაზ. „Кавказский рабочий“, № 25, 1918 წ.
[3] გაზ. „Кавказский рабочий“, № 26, 1918 წ.

და ჯარისკაცთა კრებებზე და სოფლის მიტინგებზე გამოჰქონდათ რეზოლუციები, რომლებიც გმობდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის კონტრრევოლუციურ საქმიანობას, რეზოლუციები ამიერკავკასიის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

* * *

ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიები—მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა კონტრრევოლუციური „დამფუძნებელი კრება" გარეკეს, შეუდგნენ სამზადისს ამიერკავკასიის სეიმის მოსაწვევად. ამ ორგანოს, მათი თვალსაზრისით, ამიერკავკასიაში მაღალი ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა, ვინაიდან იგი დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიელი დელეგატებისაგან იქნებოდა შედგენილი. სეიმს უნდა გაეკეთებინა ის, რაც კომისარიატმა ვერ შეძლო: მას უნდა გაეფორმებინა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა და დაეკანონებინა კონტრრევოლუციური ხელისუფლება მთელ ამიერკავკასიაში.

სეიმის მოწვევისათვის მზადება კონტრრევოლუციური პარტიებისათვის მეტად მშფოთვარე ვითარებაში მიმდინარეობდა. ყოველი საათობით იზრდებოდა მასების რევოლუციური აქტივობა, რასაც მენშევიკები თავიანთ ენაზე „ანარქიას" უწოდებდნენ. შამქორის ველზე ჯარისკაცთა დახვრეტაში მონაწილე კომისარიატი ახლა უკვე მთლიანად გადადიოდა მშრომელთათვის იარაღით ანგარიშგასწორების პოლიტიკაზე. მენშევიკური გვარდია და სახელდახელო მფრინავი რაზმები დათარეშობდნენ მაზრებსა და სოფლებში, მაგრამ აჯანყების ალი არათუ მცირდებოდა, პირიქით, უფრო და უფრო იზრდებოდა.

თბილისის გუბერნიის კომისარი მენშევიკი ჯაფარიძე, მასების რევოლუციური აქტივობის ზრდით შეშფოთებული, ხსნას თბილისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადებაში ხედავდა. შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე 18 იანვრის თარიღით გაგზავნილ თხოვნაში იგი წერდა: „ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე ენერგიული ზომების მისაღებად ვშუამდგომლობ თქვენს წინაშე, რათა მთელ თბილისის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადეს, ჩემთვის სათანადო რწმუნების მოცემით"[1].

იზრდებოდა მუშათა რევოლუციური სულისკვეთება. იანვარში თბილისის მბეჭდავმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. აშკარა

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 41, საქმე № 259, ფ. 1.

უკმაყოფილება და საგაფიცვო სამზადისი იგრძნობოდა ტყიბულის მაღაროების მუშათა შორის. ამიერკავკასიის რკინიგზაზე, რომელიც მენშევიკებს თავიანთ ციხე-სიმაგრედ მიაჩნდათ, სწრაფად ხდებოდა მუშათა ბოლშევიზაცია. თებერვლის თვეში ვაიფიცნენ შავი ზღვის რკინიგზის მშენებელი მუშები. ორგანიზებული გაფიცვა მოაწყვეს ფოთის ნავსადგურის მტვირთავებმა. ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოს მშრომელი მასა საბოლოოდ შორდებოდა მატყუარა შემთანხმებლებს და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში დგებოდა.

მუშათა და გლეხთა მღელვარებების ჩახშობისათვის მენშევიკ-ხელისუფალნი ერთი წუთითაც არ დაერიდებოდნენ იმ ნაციონალური პოლკების გამოყენებას, რომლებიც მათ ოქტომბერ-ნოემბერში ჩამოაყალიბეს და რომლებზედაც პირველად დიდ იმედებს ამყარებდნენ. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ნაციონალური პოლკებიც „ბოლშევიკური აგიტაციის „მსხვერპლი" გახდნენ". პოლკის ჯარისკაცთა კრებებზე გამოჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომწოდებელი რეზოლუციები. ერკვეოდნენ რა კომისარიატისა და სეიმის კონტრრევოლუციურ საქმიანობაში, ჯარისკაცები—ფარაჯაგადაცმული გლეხები და მუშები მათ დამხობას მოითხოვდნენ. ამრიგად, ნაციონალური პოლკები წარმოადგენდნენ მენშევიკ ხელისუფალთა არა დასაყრდენ, არამედ მტრულ ძალას, რომელნიც თავის მხრივ ჩახშობას საჭიროებდნენ. ასეთი ჩამხშობი ძალა იყო ნაძირალა პირებისაგან შედგენილი რაზმი, რომელსაც მენშევიკები „წითელ გვარდიას" ეძახდნენ.

კონტრრევოლუციური სეიმის მოწვევისათვის სამზადისი კომუნისტებისათვის დაფარული არ აღმოჩნდა. კომუნისტებმა მიზნად დაისახეს ემხილათ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ზრახვები, ცხადეყოთ, რომ სეიმის მოწვევით მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ამიერკავკასიის რევოლუციის დასამარებას ამზადებდნენ. სეიმისადმი აქტიური ბოიკოტის ტაქტიკას ამ უკანონო დაწესებულების მარცხი, მისი წალეკვა უნდა მოჰყოლოდა. მართლაც, ამ მიმართებით გაჩაღებულმა აგიტაციამ უკვე გამოავლინა თავისი შედეგები. თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების წარმოება-დაწესებულებების მუშათა კრებებზე გაისმა სეიმის კონტრრევოლუციური ხასიათის მამხილებელი ხმები. რეზოლუციებში, რომლებიც ამ კრებებზე გამოჰქონდათ, ხაზგასმული იყო საბჭოთა რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარების აუცილებლობა, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის აუცილებლობა.

მშრომელთა რისხვამ ფართო ხასიათი მიიღო, მენშევიკებმა საჭიროდ დაინახეს „ენერგიული ზომების“ მიღება, რაც მათ ენაზე რევოლუციური ორგანიზაციებისადმი იარაღით ანგარიშსწორებას ნიშნავდა. 8 თებერვალს კომისარიატის განკარგულებით გვარდიელთა რაზმებმა მოაწყვეს ბოლშევიკური გაზეთების „ბრძოლის“ და „კავკაზსკი რაბოჩის“ დარბევა. 9 თებერვალს დარბეულ იქნა სომხური ბოლშევიკური გაზეთის „ბანვორი კრივის“ რედაქცია. მენშევიკებმა ყველა ამ გაზეთის გამოცემა აკრძალეს. ამავე დროს თბილისში სამხედრო წესები გამოცხადდა. დაპატიმრებულ იქნა ბოლშევიკები. დაიწყო რევოლუციური ორგანიზაციების მიმართ მკაცრი რეპრესიები.

მაგრამ თბილისის პროლეტარიატს არ ეძინა. 8 და 9 თებერვალი თბილისის წარმოება-დაწესებულებებში გადაიქცა კონტრრევოლუციური კომისარიატის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტისა და აღშფოთების დღედ. ყველგან ჩატარდა მიტინგები. რკინიგზის მუშათა მიტინგმა, რომელსაც 3.000 კაცი დაესწრო, დაადგინა გაფიცვა გამოეცხადებინა იმ შემთხვევაში, თუ სამი დღის განმავლობაში არ მოხდებოდა ბოლშევიკური გაზეთების გამოცემის განახლება და დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლება. პოლიტიკური გაფიცვის გამოცხადება დაადგინეს მბეჭდავებმა, ელექტრონზე მომუშავე, ტოლეს, ბარგარიანცის, ბარენცოვის, არსენალის, მამედ საბეკოვის ქარხნების მუშებმა და მთელ რიგ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა[1].

თბილისის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა მენშევიკი მოძალადეების მხრივ სასტიკი რეპრესიების პირობებში მაინც შეძლეს მუშათა მასებში სეიმის კონტრრევოლუციური მიზნების გამოაშკარავება. აღსანიშნავია, რომ 9 თებერვალს, „კავკაზსკი რაბოჩის“ დახურვის მეორე დღესვე, კომუნისტებმა მოახერხეს გამოეცათ გაზეთი „კავკაზსკაია პრავდა“, რომელშიც დაიბეჭდა მიმართვა ამიერკავკასიის მუშებისა, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი. მიმართვა ამხელდა ამიერკავკასიის კომისარიატის ბნელ საქმიანობას და სეიმის ნამდვილ მიზანს, აქ ნათქვამი იყო:

„...10 თებერვალს ისინი დამფუძნებელი კრების გადაყენებულ წევრთაგან იწვევენ ეგრეთწოდებულ სეიმს, რომელსაც სურთ ჩააბარონ მთელი ძალაუფლება და მით გააუქმონ და დააუძლურონ საბჭოები.

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საარქივო ფონდი, № 33, საქმე 77, გვ. 21—22.

10 თებერვალს ისინი საფლავს უმზადებენ ამიერკავკასიის რევოლუციას და ემზადებიან იმისათვის, რომ ლურსმნით თავი დაუჭედონ მათ მიერ საბჭოსათვის დამზადებულ კუბოს.

ამხანაგო მუშებო, ჯარისკაცებო და გლეხებო! ნუთუ თქვენ ნებას მისცემთ მათ ჩაჰკლან რევოლუციის დიადი მონაპოვარი მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები?

ძირს ამიერკავკასიის კომისარიატი და ბუტაფორიული სეიმი!

გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს!

მთელი ძალაუფლება საბჭოებს!"[1].

თბილისის წარმოებათა საგაფიცვო კომიტეტებმა გადაწყვიტეს სეიმის გახსნის დღეს, 10 თებერვალს, ალექსანდრეს ბაღში საპროტესტო მიტინგი მოეწყოთ. მენშევიკთა მუქარის მიუხედავად მუშათა მიტინგზე გამოცხადდა 3 ათასამდე მშრომელი. მიტინგზე მუშები უიარაღონი მოვიდნენ, მას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ სეიმის კონტრრევოლუციური ბუნების მხილებას ისახავდა მიზნად. მიტინგზე გამოსული მუშები თავიანთ სიტყვებში გმობდნენ კომისარიატის საქმიანობას.

მიტინგის გახსნისთანავე ბაღში შემოვიდა შეიარაღებული ჯარისკაცების ორი ჯსეული, მათ წითელი დროშა გაშალეს და მიტინგის მონაწილეებს, რომლებიც შეიარაღებულ ჯარისკაცთა დანახვამ შეაშფოთა და წასვლას აპირებდნენ, დამშვიდება დაუწყეს. მიტინგის თავმჯდომარე ს. ქავთარაძე მისალმებას აპირებდა, მაგრამ ჯარისკაცები სწრაფად გაიშალნენ, ბაღიდან ყველა გასასვლელი დაკეტეს და უეცრად ასტეხეს შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების სროლა. „უმიზნებდნენ უმთავრესად ესტრადაზე მდგომ პრეზიდიუმს. მოკლულია 8 კაცი და დაიჭრა 20-ზე მეტი. 10 ტყვიით მოჰკლეს ერთი ამხანაგი, რომელიც ქავთარაძეს ჰგავდა და მასავით იყო ჩაცმული; «წითელგვარდიელები» ერთმანეთს უყვიროდნენ, ქავთარაძე უკვე მოკლულიაო. ხალხის ნაწილი გაიფანტა. მეორე ნაწილი მიწაზე გაწვა. სროლამ 15 წუთს გასტანა.

სწორედ ამ წუთს გაიხსნა ამიერკავკასიის გაფართოებული სეიმის პირველი სხდომა, და ჩხეიძე სიტყვას ამბობდა თოფებისა და ტყვიამფრქვევების აკომპანიმენტით, რომლებიც იქვე სასახლის ახლოს კაკანებდნენ"[2].

13 თებერვალს სეიმის სხდომაზე ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე გეგეჭკორი თაღლითურ ცილისწამებას მიმარ-

---

[1] გაზ. „Кавказская правда" № 1, 1918 წ.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 68.

თავდა შაუმიანისა და ამიერკავკასიელი კომუნისტების წინააღმდეგ, რათა კომისარიატის მიერ გადადგმული სისხლიანი ნაბიჯი გაემართლებინა. იგი ლაპარაკობდა კომუნისტი ჯარისკაცების მუქარაზე, კომისარიატის დამხობის ცდაზე, ამიერკავკასიაში კომუნისტური მთავრობის არსებობაზე და განგებ ჩქმალავდა იმ ფაქტს, რომ კომისარიატის ბრძანებით ალექსანდრეს ბაღში უიარაღო მუშები დახვრიტეს. გეგეჭკორმა სეიმის წინაშე საქმე ისე დახატა, თითქოს შეიარაღებული რაზმი ბაღში წესრიგის დასაცავად მივიდა, მაგრამ მიტინგის მონაწილეები პირველი გადავიდნენ იერიშზე და „ერთი მილიციონერი მოკლეს, მეორე განაიარაღეს, მესამე დაჭრეს და მხოლოდ თავდაცვის მიზნით ატეხა რაზმმა სროლა, რასაც ჩვენთვის სამწუხარო შედეგები მოჰყვაო“[1].

გეგეჭკორისა და მენშევიკური პრესის თვითმართლება რომ თაღლითური იყო, ეს უკვე ყველამ იცოდა. მუშათა მრისხანების ტალღა აზვირთდა საქართველოში. საპროტესტო მიტინგები იმართებოდა ფაბრიკა-ქარხნებში. სოფლად, ჯარის ნაწილებში, ყველგან სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ კომისარიატის მოღვაწეობის ამ ფინალს და სეიმის მოღვაწეობის დასაწყისს, როგორც სისხლიანსა და კონტრრევოლუციურს.

მენშევიკებმა 10 თებერვლის დახვრეტის გამოსარკვევად შექმნეს სპეციალური კომისია, რომელსაც მიზნად დაუსახეს მიტინგის დახვრეტაში კომისარიატის მონაწილეობის მიჩქმალვა. საარქივო სამმართველოში დაცული მასალები, კერძოდ, სხვადასხვა პირთა ჩვენებანი ცხადყოფენ კომისარიატის უშუალო მონაწილეობას ამ საქმეში. მაგალითად, კომისიამ დაკითხა გენერალური შტაბის პოლკოვნიკს ი. ფ. ეგოროვს, რომელიც ამ დღეს შემთხვევით ალექსანდრეს ბაღში მოხვდა, თავისი თვალებით ნახა ყველაფერი და შემთხვევით ჭრილობაც მიიღო. პოლკოვნიკმა დაკითხვაზე განაცხადა: „მე წავიკითხე 10 თებერვლის ამბების შესახებ მთავრობის ცნობა, სადაც ნათქვამია, რომ რაზმის მხრივ, რომელმაც სროლა ასტეხა, წინასწარ იყო გაფრთხილებული (მიტინგი—ა. ს.). მე მივდიოდი თვით მიტინგის გვერდით ძალზე ნელი ნაბიჯით, და ვამტკიცებ, ჩემ დროს არავითარი გამაფრთხილებელი განკარგულება გაცემული არ ყოფილა. ბარიატინსკის ქუჩიდან წითელი დროშის გამოჩენისთანავე* იმ წუთშივე სროლა დაიწყო. შემდეგ, მთავრობის იმავე ცნობაში მე წავიკითხე, რომ პირველი გასროლა ბრბოს

---

[1] Закавказский сейм. Стенограф. отчет, ტ. 9—10.

* რაზმი, რომელმაც მიტინგს სროლა აუტეხა, წითელი დროშით შევიდა ბაღში.

მხრიდან მოხდა. მე ვამტკიცებ, რომ არა თუ პირველი, არამედ საერთოდ, არავითარი გასროლა ბრბოს მხრივ არ ყოფილა და მათ შორის, საერთოდ, არცკი ყოფილან შეიარაღებულნი"[1].

ალექსანდრეს ბაღში დახვრეტის ფაქტს თბილისელმა მუშებმა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის მოწყობით უპასუხეს. ამხელდა რა კომისარიატის მიუტეველელ დანაშაულს მშრომელთა წინაშე, საგაფიცვო კომიტეტის პროკლამაცია მუშათა განწყობილების შესახებ მიუთითებდა: „ამ გაფიცვით თბილისის მუშებმა დაგვანახვეს, რომ მათთვის უცხოა ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის ბურჟუაზიის ინტერესები, რომ მათთვის, პირიქით, ახლობელი და საერთოა მთელი რუსეთის მუშათა ინტერესები, რომ ისინი რევოლუციის გასამარჯვებლად წარმოებულ საერთო ბრძოლაში წავლენ არა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ კომისარიატთან და ობორონცულ ცენტრებთან ერთად, არამედ ხელიხელჩაკიდებულნი მხარდამხარ წავლენ მთელი რუსეთისა და მთელი ქვეყნის პროლეტარიატთან ერთად"[2].

ბათუმის მეზღვაურთა საერთო კრებამ ამ დახვრეტის საპასუხოდ შეადგინა დეპეშა ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის სახელზე. დეპეშაში დაგმობილი იყო საბჭოს კონტრრევოლუციური პოლიტიკა, მისი მხარდაჭერა კომისარიატისადმი. მეზღვაურები მოითხოვდნენ კონტრრევოლუციური სეიმის დამხობას და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას[3].

ალექსანდრეს ბაღში მუშათა მიტინგის დახვრეტის ინიციატორები ამხილა და მათთვის პროლეტარული სასამართლო მოითხოვა რსდმპ (ბ) სამხარეო კომიტეტმა თავის პროკლამაციაში. „1918 წ. 10 თებერვალს ამიერკავკასიის მენშევიკების კონტრრევოლუციურმა პარტიამ, რომელიც ამიერკავკასიის კომისარიატის სათავეში დგას, ვერაგულად დახვრიტა რსდმპ (ბ) კომიტეტის მიერ მოწვეული თბილისელი მუშების მშვიდობიანი, უიარაღო მიტინგი...

ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! თქვენ მოწმენი გახდით საშინელი დანაშაულისა, რომელიც ჩაიდინეს იმ ადამიანებმა, თავისთავს რომ სოციალისტებს და მუშათა კლასის მეგობრებს უწოდებენ. მთელი ეს სისხლიანი დანაშაული ჩვენ ჩვენს საკუთარ პროლეტარულ სასამართლოს უნდა გადავცეთ"[4] — ნათქვამი იყო პროკლამაციაში.

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრ. რევ. ცენტრ. არქივი. ფონდი 3, საქ. 717, ფ. 263—268.
[2] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტ. საქ. ფილიალის საარქივო ფონდი, 3.
[3] საქ. სსრ ოქტომბრ. რევ. ცენტრ. არქივი, ფ. 2, ს. 34, ფ. 281—284.
[4] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტ. საქ. ფილიალის საარქ. ფ. № 3, ფ. 1-3.

ასეთ ვითარებაში დაიწყო მუშაობა კონტრრევოლუციურმა სეიმმა, რომელიც მენშევიკების მტკიცებით ამიერკავკასიის დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა. მაგრამ მისი გახსნის პირველსავე დღემ ცხადყო, თუ რა უფსკრული იყო სეიმსა და დემოკრატიას შორის. მანვე ცხადყო, რომ სეიმს დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. იგი ისევე დღემოკლე უნდა ყოფილიყო როგორც კომისარიატი, რომელმაც თავისი არსებობა სამარცხვინოდ დაასრულა და ამიერკავკასიის „ბედი" სეიმს გადააბარა.

* * *

საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკა წარმატებით შეუდგა ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატის ნამსხვრევებზე საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შენებას. დათრგუნვილ იქნა კონტრრევოლუციური კლასებისა და პარტიების მტრული გამოხდომები და წინააღმდეგობანი. მიღებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებმაც გაზარდეს საბჭოთა ხელისუფლების ძალა და ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით და განამტკიცეს მისი პოზიციები.

მაგრამ რუსეთი კვლავ იმყოფებოდა გერმანიასთან ომის მდგომარეობაში და, ვიდრე ეს ყაჩაღური ომი გრძელდებოდა, საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა სავსებით განმტკიცებულად ვერ ჩაითვლებოდა. საჭირო იყო ბრძოლა ომის შეწყვეტისათვის, ბრძოლა სამართლიანი, დემოკრატიული ზავისათვის. საბჭოთა მთავრობამ ეს ბრძოლა შეუპოვრად დაიწყო მიუხედავად იმისა, რომ ანტანტის ქვეყნები და რუსეთის კონტრრევოლუციური კლასები და პარტიები ყველაფერს აკეთებდნენ ამ ზავის ჩაშლისათვის.

მაგრამ 1918 წლის 3 მარტს ზავი ხელმოწერილ იქნა. იმპერიალისტური ანტანტისა და ბოლშევიკური პარტიის შიგნით მოკალათებული მტრების, ანტანტის აგენტების—ტროცკისა და ბუხარინის ვარაუდები ჩაიშალა. კომუნისტურმა პარტიამ წარმატებით გადაჭრა ეს გადაუდებელი საკითხი.

ზავის პირობები მეტად მძიმე იყო. საბჭოთა რუსეთს უნდა დაეცალა ლიტვა, ლატვია და ბელორუსიის ნაწილი. საზავო პირობებით ამიერკავკასიის ტერიტორია—ბათუმისა და ყარსის მიდამოები გერმანიის მოკავშირის—თურქეთის ხელში გადადიოდა. საბჭოთა მთავრობას ზავი უნდა შეეკრა უკრაინის ცენტრალურ რადასთან. ამავე დროს უნდა მომხდარიყო არმიისა და ფლოტის დემობილიზაცია. „აუტანელად მძიმეა ზავის პირობები, მაგრამ ისტორია მაინც თავისას გაიტანს..."—ამბობდა ლენინი. რევოლუციის ბელადი ნათლად ხედავდა, რომ ზავის მეტად მძიმე პირობების მიუხედავად,

ამ პერიოდში იგი საბჭოთა ხელისუფლების ხსნის ერთადერთი საშუალება იყო.

ბრესტის ზავის პირობების წინააღმდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა საშინელი ღრიალი ატეხეს და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ცილისწამების მანქანა აამუშავეს. მსოფლიო ომის მომხრე მენშევიკური პარტია ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი აგენტების ტროცკისტ-ბუხარინელების წაქეზებით გაკიოდა ზავის სამარცხვინო პირობების შესახებ.

მენშევიკებმა ზავის დადება ვერაგულად გამოიყენეს იმისათვის, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია გაეჩაღებინათ. ისინი ამტკიცებდნენ: საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიის ინტერესებს ანგარიში არ გაუწია, გააშიშვლა კავკასიის ფრონტი, ბათუმი და არდაგანი თურქებს ჩაუგდო ხელთ და ამით მშრომელთა ინტერესებს უღალატაო. ზავის ასეთი შეფასება მათ თავიანთი ანტიხალხური ნაბიჯის გასამართლებლად, რევოლუციური რუსეთიდან ამიერკავკასიის გამიჯვნის გასამართლებლად ჭირდებოდათ.

ამიერკავკასიის სეიმის 22 თებერვლის სხდომაზე, სადაც ირჩეოდა საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, ჟორდანიამ მენშევიკური პარტიის ანტიხალხური ნაბიჯის გასამართლებლად შემდეგი ფორმულა გამონახა: „რადგან ჩვენ მიტოვებული ვართ ბედის ანაბარა, რადგან რუსეთმა, რომელიც 100 წლის განმავლობაში აქ გვიცავდა ჩვენ და ასე თუ ისე წესრიგს ამყარებდა, ამაზე უეცრად უარი სთქვა, ამით მან უარი სთქვა საკუთარ ორიენტაციაზე, და ამით ჩვენ მიგვითითა, რომ თვით ჩვენვე დავდგეთ ფეხზე და თვითვე დავიცვათ ჩვენი თავი... როცა არის არჩევანი რუსეთი თუ თურქეთი, ჩვენ რუსებს ვარჩევთ, მაგრამ როცა არის არჩევანი თურქეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებელ ამიერკავკასიასო"[1]. ეს იყო თვალთმაქცური განცხადება: რევოლუციური რუსეთი არათუ ბედის ანაბარა ტოვებდა კავკასიას, არამედ იგი მის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. მაგრამ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა პარტიებმა თვითონვე შეაქციეს ზურგი საბჭოთა რუსეთს, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ გაეთიშათ რუსეთისა და ამიერკავკასიის რევოლუციური ძალები, რათა უზრუნველეყოთ შეძლებული კლასების ბატონობა. რა თქმა უნდა, მენშევიკებმა იცოდნენ, რომ არსებულ ვითარებაში, როცა კავკასია-თურქეთის ფრონტი გაშიშვლებული

---

[1] Закавказский сейм. Ст. отчет, гз. 20.

იყო და კომისარიატს არ გააჩნდა სამხედრო ძალა, შეუძლებელი იყო თურქული იმპერიალიზმის მტაცებლური ბანდის ალაგმვა, მაგრამ მენშევიკები და სეიმის მონაწილე სხვა კონტრრევოლუციური პარტიები ასე ვარაუდობდნენ: თურქ იმპერიალისტებთან საერთო ენის გამონახვა უფრო ადვილია, ვიდრე ბოლშევიკურ რუსეთთანო.

ამიერკავკასიის მდგომარეობა კატასტროფული იყო, მაგრამ მენშევიკებს ყველაზე მეტად აშინებდათ ზრდა ბოლშევიკური გავლენისა, რაც მათ აღსასრულს უქადდა. ხსნას ისინი რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის კავშირის გაწყვეტაში ხედავდნენ და, თუ ეორდანია, როგორც გამოცდილი დიპლომატი, განგებ აფუჩეჩებდა რევოლუციური რუსეთისაგან ზურგის შექცევისა და იმპერიალისტური ქვეყნებისადმი დაახლოების პოლიტიკას, სეიმში ამავე ფრაქციის მეორე წარმომადგენელი ონიაშვილი, თვალთმაქცობაში ნაკლებ დახელოვნებული, პირდაპირ ამბობდა: „ჯერ კიდევ დიდი საკითხია, რომელი საფრთხე უფრო ცუდია ჩვენთვის—ბოლშევიკური თუ თურქული. მე ვამტკიცებ, რომ ორივე ისინი თანაბარია“[1].

მშრომელი კლასების რევოლუციური მოძრაობის თავიდან აცილება სეიმის თითქმის ყველა სხდომის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. სეიმის წევრებს განსაკუთრებით აღშფოთებდა რევოლუციური ბაქოს წარმატებანი.

ბაქოში ამ დროს საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა სეიმმა მარტის ბრძოლები ბაქოში გამოაცხადა, როგორც კავკასიის ეროვნებათა ურთიერთ ხოცვაჟლეტა... 20 მარტს ამიერკავკასიის სეიმის პრეზიდიუმმა და ამიერკავკასიის მთავრობამ სპეციალურ სხდომაზე განიხილეს ბაქოს კომუნის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის საკითხი. ამ სხდომაზე რამიშვილი შეშფოთებით ლაპარაკობდა, რომ ბოლშევიკური მოძრაობა მძლავრად იჩენს თავს არა მარტო ბაქოში, „არამედ მხარის სხვა ნაწილებში“, რომ ამიერკავკასიის „დემოკრატიულ“ ხელისუფლებას საშიშროება ემუქრება. რამიშვილმა გადაჭრით მოითხოვა ნაკრები რაზმის შედგენა, რომლის ორგანიზაცია გენერალ ოდიშელიძეს უნდა დაკისრებოდა. სხდომამ გამოიტანა დადგენილება: „დაევალოს მთავრობას სასწრაფოდ ჩამოაყალიბოს ნაკრები ინტერნაციონალური და ბრძოლის უნარიანი რაზმი ბაქოში ამიერკავკასიის მთავრობის ძალაუფლების აღსადგენად“[2].

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис. 1919. გვ. 221.

[2] საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტ. სახ. არქივ. ფონდი 8, საქმე 4, გვ. 3—7.

მაგრამ ასე ადვილი როდი იყო ნაკრები არმიის შედგენა. ჯერ ერთი, არმია აღარ იყო სანდო, ვინაიდან მასში უფრო და უფრო მტკიცედ იდგამდა ფეხს რევოლუციური განწყობილება. მეორეც, ამ დროს გლეხთა რევოლუციური აჯანყების ალი უკვე მოდებული ჰქონდა ლეჩხუმს, ოსეთს, სამეგრელოს. რამიშვილი რჩევას იძლეოდა ნაკრებ რაზმს ოსი მშრომელების რევოლუციური გამოსვლა ჩაეხშო, ხოლო შემდეგ აქედან ბაქოში გადასულიყო[1]. ამ რაზმის გაგზავნა სეიმმა ვერ მოახერხა, რადგან მან უფრო ადრე შეწყვიტა არსებობა, ვიდრე საკმარის ძალებს თავს მოუყრიდა. თუმცა ქართველმა მენშევიკებმა, შემდეგ გზა გაუხსნეს რა გერმანელ და თურქ ოკუპანტებს საქართველოს ტერიტორიაზე, ფაქტიური დახმარება გაუწიეს მუსავატელებს ბაქოს კომუნის დამხობის საქმეში.

რევოლუციის ვულკანზე მჯდარი კონტრრევოლუციური სეიმის სხდომებზე მენშევიკები ტრაბახობდნენ, რომ კავკასიას დაიხსნიდნენ იმ „სამარცხვინო საზავო პირობებისაგან", რომელნიც თითქოს საბჭოთა რუსეთმა მათ თავზე მოახვია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა იყო ამ პროვოკაციული ტრაბახის ნამდვილი მიზანი. ტრაპიზონში კი სეიმის საზავო დელეგაცია თურქეთის წინაშე დათმობების შესახებ ვაჭრობდა. თურქ იმპერიალისტებს მშვენივრად ესმოდათ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა. ისინი ხედავდნენ, რომ კავკასიის ფრონტიდან რუსი ჯარისკაცების გამგზავრების შემდეგ კავკასიაში არ იყო შეიარაღებული ძალა, რომელიც თურქეთის აგრესიას დაუპირისპირდებოდა. ამიტომ მათ არათუ ბრესტის საზავო პირობებისაგან უკან დახევა, არამედ მისი გაღრმავება და კავკასიისათვის ახალი კაბალური ხელშეკრულების თავზე მოხვევა სურდათ. თურქული იმპერიალიზმის ზრახვები შორს მიდიოდა: ისინი, პირველ ყოვლისა, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაზე ზრუნავდნენ, რადგან „დამოუკიდებელი" ამიერკავკასია, რომელსაც თავდაცვისათვის რეალური ძალა არ გააჩნდა, თურქულ იმპერიალიზმს გზას გაუხსნიდა დამპყრობლური გეგმების წარმატებისათვის. აპაგე დროს „დამოუკიდებელი" ამიერკავკასია თურქეთს ბრესტის საზავო ხელშეკრულებისაგან ათავისუფლებდა და შესაძლებლობას უქმნიდა განეხორციელებინა დიდი ხნის ოცნება—საქართველოს ოკუპაცია. ამ მტაცებლური ზრახვების შესრულების იმედს მათ ისიც უმტკიცებდა, რომ ამიერკავკასიის სეიმში შემავალი მუსავატური ფრაქცია თურქეთის წინაშე კაპიტულაციას ფარულად ამზადებდა. საზავო დელეგაციაში შემავალ მენშევიკ, მუსავატ და დაშ-

[1] საქ. სსრ ოკტ. რევოლუც. ცენტ. სახელმწ. არქივი, ფ. 8, საქმე 4, გვ. 3—7.

ნაკ წევრებს შორის ფარული მტრობა სუფევდა. დელეგაციამ ვერ მიაღწია ვერავითარ შეთანხმებას. იგი მზად იყო ბრესტის ზავის პირობები მიეღო, მაგრამ თურქი ოკუპანტების არმია უკვე კავკასიის სამხრეთ რაიონების დაპყრობას ახორციელებდა.

ამგვარად, მენშევიკების სეპარატიული პოლიტიკის შედეგად საქართველოს სამხრეთი რაიონები კვლავ თურქეთის ყაჩაღების საჯიჯგნი ობიექტი გახდნენ. თურქებმა აიღეს ყარსი, ბათუმი და ოზურგეთი. ისინი თბილისს ემუქრებოდნენ. მენშევიკებმა გამოაცხადეს მობილიზაცია, მაგრამ არმიისათვის საჭირო იარაღი, ტანსაცმელი, სურსათი მათ არ გააჩნდათ. საუკუნეობრივი მტრისა და მტაცებელი მეზობლის წინააღმდეგ ქართველი ხალხი აღდგა. საქართველოს მშრომელები ქმნიდნენ მოხალისეთა რაზმებს, მიდიოდნენ ფრონტზე და მუსრს ავლებდნენ თურქეთის მძარცველურ ჯარებს. მაგრამ უუნარო მთავრობამ ვერ შეძლო ხალხის პატრიოტული აღტყინებისათვის გაძღოლა. ამიერკავკასიის „ფედერაციულ რესპუბლიკას“ არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნდა, ხალხს იგი ძულდა. ამავე დროს მთავრობაში შემავალი მუსავატელი კონტრრევოლუციონერები თურქეთს თვითვე ეპატიჟებოდნენ რევოლუციური ბაქოს წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის კომუნისტებს არ გამოპარვიათ თურქეთის იმპერიალიზმის მაქინაციები. კომუნისტები, ამხელდნენ რა კონტრრევოლუციური პარტიების გამყიდველურ პოლიტიკას, ამიერკავკასიის მშრომელებს მოუწოდებდნენ რევოლუციურ რუსეთთან განუყოფლობისაკენ. მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკას შეეძლო ამიერკავკასიის ხსნა თურქული იმპერიალიზმის კლანჭებიდან.

კომუნისტების ინიციატივით შეკრებილ მიტინგებზე საქართველოსა და სომხეთში გამოჰქონდათ რეზოლუციები საბჭოთა რუსეთთან განუყოფლობის შესახებ, რევოლუციური ბაქოსათვის დახმარების შესახებ. მუშები და გლეხები მოითხოვდნენ შეიარაღებული აჯანყების გზით საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რასაც თურქეთის გეგმების ჩაფუშვა მოჰყვებოდა.

მენშევიკები თურქეთის ფრონტზე წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მასების ბოლშევიკურ განწყობილებას ასახელებდნენ. საკუთარი უილაჯობა და გაკოტრება რომ დაეფარათ, ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს მთავრობისა და ხალხის ღონისძიებას ბოლშევიკები შლიანო. ეს აშკარა ტყუილი იყო. პირიქით, თურქეთის ჯარების შემოჭრას საქართველოში კომუნისტები დიდ უბედურებად თვლიდნენ და ხალხის პატრიოტული მოძრაობის მოთაეედ გამოდიოდნენ. რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი ამი-

ერკავკასიის მშრომელების მიმართ თავის მოწოდებაში აღნიშნავდა: „სამხრეთიდან გვიტევს დესპოტური თურქეთი, რომელიც კავკასიასა და სამხრეთ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებას და რევოლუციას სიკვდილით ემუქრება. დადგა გადამწყვეტი საათი! რევოლუციის უფრო ძლიერი მტერი წინ გადაეღობა ჩვენს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის კავკასიაში. ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარისკაცებო! რევოლუციური მოვალეობის სრული შეგნებითა და ღირსებით ყველანი იარაღთან!"[1].

ცხადია, არც იმპერიალისტურ თურქეთს, არც იმპერიალისტურ გერმანიას არ უფიქრია ბრესტის საზავო ხელშეკრულებათა პატიოსნად შესრულება. ისინი ყოველთვის ეძებდნენ ხელსაყრელ შემთხვევას წაეგლიჯათ რუსეთისა და ამიერკავკასიისათვის მეტი ტერიტორია და თავს მოეხვიათ მათთვის უფრო კაბალური ვალდებულებანი. ისინი, როგორც ჩასაფრებული მხეცები, მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. ამიერკავკასიის სეიმი თავისი კონტრრევოლუციური, ანტიხალხური პოლიტიკით იბრძოდა არა იმისათვის, რომ იმპერიალისტებისათვის ამის საშუალება მოესპო, პირიქით, თვითვე ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს თურქული და გერმანული აგრესიის წარმატებისათვის. ამგვარად, საბჭოთა რუსეთისადმი სიძულვილით გაბოროტებული, იგი ამიერკავკასიის ხალხებს მტაცებლური ქვეყნების ანაბარად ტოვებდა.

საბჭოთა მთავრობისათვის ცხადი იყო, რომ ამიერკავკასიის „მთავრობის" სიბეცე ტანჯვასა და აოხრებას უქადდა თურქეთ-კავკასიის საზღვარზე მოსახლე სომხებსა და ქართველებს. საბჭოთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარიატმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც იგი მოაგონებდა გერმანიას დაეცვა ბრესტის საზავო პირობები და თურქეთის გათამამებული ჯარებისათვის შემდგომი წინსვლა აეკრძალა. „თურქეთის არმია,—ნათქვამია ამ დოკუმენტში,—წინ მიიწევს ბათუმის, ყარსისა და არდაგანისაკენ. ანგრევს ქვეყანას და ანადგურებს გლეხურ მოსახლეობას. სომხების შემდგომი ბედისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება გერმანიას, რადგან მისი დაჟინებით იქნა წამოყვანილი რუსეთის ჯარები სომხეთის ოლქებიდან, ახლა კი მასზეა დამოკიდებული შეაკავოს თურქეთის ჯარი შურისძიებისა და გაბოროტების ნიადაგზე წარმოშობილი ჩვეულებრივი ექსცესებისაგან... სახალხო კომისართა საბჭო დარწმუნებულია, რომ თქვენ მიერ იქნება მიღებული აუცილებელი

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტ. საქ ფილიალი, ფონდი, № 223. ფ. 2.

და მხოლოდ თქვენზე დამოკიდებული ზომები თურქეთის მთავრობაზე ზემოქმედებისათვის, რათა ბოლო მოეღოს მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებას ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა არდაგანში"[1].

მაგრამ ამიერკავკასიის სუსტი წინააღმდეგობით გათამამებული თურქი იმპერიალისტები საზავო ხელშეკრულების პირობებს ანგარიშს არ უწევდნენ. ამიერკავკასიის ხალხის წინაშე ჩამოწოლილი იყო ნაციონალური დამოუკიდებლობის დაკარგვის რეალური საფრთხე.

ასეთი მძიმე ვითარება მთლიანად ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის მესვეურთა უგუნური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. ვ .ი. ლენინი, ანალიზს უკეთებდა რა კავკასიის მდგომარეობას 1918 წლის მაისში, აღნიშნავდა, რომ „...კავკასიის საზღვარზე ეს გაურკვეველი მდგომარეობა შეიქმნა გეგეჭკორის მთავრობის ყოვლად შეუწყნარებელი მერყეობის გამო, მთავრობისა, რომელმაც თავდაპირველად განაცხადა, რომ ბრესტის ზავს არ სცნობდა, შემდეგ კი დამოუკიდებლობას აცხადებს ისე, რომ არ გვეუბნება, თუ რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება ეს... გერმანიას და თურქეთს, როგორც დამხმარე სახელმწიფოს, ამიტომ შეეძლოთ კვლავ და კვლავ წინ წამოეწიათ ისე, რომ არაფერზე პასუხი არ გაეცათ, არაფრისათვის ყურადღება არ მიექციათ და განეცხადებინათ: ჩვენ ავიღებთ იმას, რისი აღებაც შეგვიძლია, ჩვენ არ ვარღვევთ ბრესტის ზავს, იმიტომ, რომ ამიერკავკასიის არვია მას არ სცნობს, იმიტომ რომ კავკასია დამოუკიდებელიაო"[2].

1918 წლის 22 აპრილს სეიმმა ამიერკავკასია „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" გამოაცხადა. გადადგა 1918 წ. 14 თებერვალს შედგენილი მთავრობა ე. გეგეჭკორის მეთაურობით.

სეიმის დავალებით 23 აპრილს ახალი კაბინეტის შედგენას შეუდგა ჩხენკელი. მან აქ დაიკავა თავმჯდომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. კაბინეტის შეცვლას მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა, შეხედულებანი იგივე რჩებოდა. ხოლო, რაც უფრო რთულდებოდა საქმე ფრონტზე, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერი მესვეურები მით უფრო უკან-უკან იხევდნენ და თურქებს ახალ-ახალ დათმობებს სთავაზობდნენ. თურქეთის ჯარები კი შეტევას განაგრძობდნენ და მიიწევდნენ საქართველოს სიღრმეში.

---

[1] Внешняя политика СССР. 1917—1944 годы. Сборник документов, ტ. I, გვ. 73.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 453—454.

მაგრამ ყველაფერი რიგზე არ იყო თვით გერმანია-თურქეთის ბანაკში. ამიერკავკასიის სიღრმეში თურქეთის წინსვლა სრულებითაც არ შედიოდა გერმანიის მთავარსარდლობის გეგმებში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თურქეთის მიერ ბრესტის საზავო ხელშეკრულების ასეთი უხეში დარღვევა ქმნიდა გერმანია-რუსეთის საზავო ხელშეკრულების ჩაშლის საშიშროებას. გერმანიას კი ახლა მეტისმეტად უჭირდა და სიმშვიდე წყუროდა აღმოსავლეთის ფრონტზე; მეორეც, თურქეთს თავისი სახელმწიფო არმიის დიდი ნაწილი დაჯგუფებული ჰყავდა ამიერკავკასიის წინააღმდეგ. ეს ძალა კი გერმანიას სხვა მიმართულებით—პალესტინა-მესოპოტამიის ფრონტზე ესაჭიროებოდა. გარდა ამისა, რატომ უნდა შესულიყო თურქეთი ამიერკავკასიაში და დაპატრონებოდა იგი ბაქოს ნავთს ან საქართველოს მარგანეცს, როცა ყველაფერი ეს თვით გერმანიას სჭიროდა, და, ბოლოს, განა თურქეთის გაძლიერება, გარდა საშიშროებისა, რაიმეს უმზადებდა გერმანიას? ასე მსჯელობდნენ გერმანელი პოლიტიკოსები. თურქეთ-გერმანიის ბლოკის შიგნით ბრძოლა ღრმავდებოდა აგრეთვე ყირიმის, ბულგარეთისა და სხვა მრავალ საკითხზე.

გერმანელმა იმპერიალისტებმა საკუთარი ინტერესების კარნახით გადაწყვიტეს თურქეთ-ამიერკავკასიის დავაში ჩარეულიყვნენ, ამიერკავკასიის „დამცველის" როლი ეკისრათ და ამ საფარქვეშ შეექმნათ საკუთარი ეკონომიური ბაზა და სამხედრო პლაცდარმი კავკასიაში.

1918 წლის 15 მაისს საბჭოთა მთავრობამ ამიერკავკასიის „მთავრობას" მიმართა ნოტით, სადაც გამოთქმული იყო სურვილი, რომ დაწყებულიყო მოლაპარაკება. მაგრამ საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკება არ შედიოდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ მესვეურთა გეგმებში. სამაგიეროდ დაშნაკები, მუსავატელები და მენშევიკები ფარულად ცდილობდნენ თავიანთი ხალხის ინტერესები მიეყიდათ დასავლეთის იმპერიალისტებისათვის. საქართველოს ნაციონალურმა საბჭომ, რომელიც ფედერაციული მთავრობის დაშლის პირობებში საქართველოს ამიერკავკასიიდან გამოყოფას და ხელისუფლების ორგანოების მითვისებას ამზადებდა, 1918 წლის 14 მაისის სხდომაზე გამოიტანა გადაწყვეტილება მიემართა გერმანიის საზავო დელეგაციის წარმომადგენელ ფონ ლოსოვისთვის, რათა მას თავისი ჯარები საქართველოში შემოეყვანა და „გარეშე საფრთხისაგან საქართველოს დაცვა ეკისრა".

თურქი ოკუპანტები კი მოიწევდნენ ამიერკავკასიის სიღრმეში. ფედერაციული მთავრობა პანიკამ მოიცვა. 26 მაისს სეიმის წევ-

რები შეიკრიბნენ იმისათვის, რომ საბოლოოდ დაშლილიყვნენ. წერეთელი სეიმის მოღვაწეობის უნაყოფობაში ბრალს სდებდა მუსავატებს, რომელთაც თურქულ იმპერიალიზმთან ფარულად კავშირი ჰქონდათ. მუსავატები გათიშვის მიზეზად მენშევიკებს თვლიდნენ. ასეთ გადაბრალებაში სეიმის მთელი ხუხულა დაინგრა, საბოლოო დადგენილება, როგორც ეპიტაფია, ავლენდა სეიმის არსებობის უნაყოფობას: „იმის გამო, რომ ომისა და ზავის საკითხებზე თავი იჩინა შეხედულებათა მკვეთრმა სხვადასხვაობამ იმ ხალხთა შორის, რომლებმაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკა შექმნეს და ამიტომაც შეუძლებელი გახდა ერთი ავტორიტეტული ხელისუფლების არსებობა, რომელიც ამიერკავკასიის სახელით ილაპარაკებდა, სეიმი აღნიშნავს ამიერკავკასიის დაშლის ფაქტს და აბარებს თავის რწმუნებას"[1].

ქართველ მენშევიკებს, რომლებიც სეიმის უკანასკნელ სხდომაზე ამიერკავკასიის გაერთიანებული მთავრობის არსებობის შეუძლებლობაზე გაჰყვიროდნენ, უკვე ადრევე მომზადებული ჰქონდათ ორგანო, რომელსაც „დამოუკიდებელი საქართველოს" მესვეურობა უნდა ეკისრა. ეს იყო ეროვნული საბჭო. იგი 1917 წლის ნოემბერში იქნა არჩეული საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე, რომელიც მთლიანად კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლებისაგან შედგა. აქამდე ეროვნული საბჭო განაგრძობდა არსებობას, როგორც მენშევიკების ფარული რეზერვი უავტორიტეტო კომისარიატისა და სეიმისათვის დასაპირისპირებლად. და ახლა, როცა მომენტი დადგა, „საქართველოს ეროვნული საბჭო სრულიად მოულოდნელად ევლინება ქვეყანას, როგორც „სამშობლოს მხსნელი" დაწესებულება! მენშევიკებს, ამ დახელოვნებულ ჯამბაზებს, გამოჰყავდათ იგი ისტორიის სცენაზე. ეს მოხდა 1918 წლის 26 მაისს"[2].

იმ დარბაზში, სადაც რამდენიმე საათის წინ სეიმის საბოლოო სხდომა მიმდინარეობდა, გაიხსნა მისი უკანონო მემკვიდრის ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ გერმანიის ჯარების უფროსი გრაფი შულენბურგი თავისი ოფიცრებით, თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე, ქართველი ოფიცრობა. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ეს წუთი მონათლა ტრაგიკულ,

---

[1] Документы и материалы внешней политики Закавказья и Грузии, Тифлис, 1919 წ., გვ. 330.

[2] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. № 125.

მაგრამ ქართველი ერისთვის ისტორიულ აქტად, როცა „მოკვდა ერთი სახელმწიფო და ამავე დარბაზში საფუძველი ეყრება მეორე სახელმწიფოს". ჟორდანია იქვე მიუთითებდა, რომ ამ ორ სახელმწიფოს—უკვე მკვდარსა და ახლადშობილს შორის არ არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა. ეს უკვე მიუთითებდა, რომ მენშევიკები თავიანთი კონტრრევოლუციური პოლიტიკის ბოლომდე ერთგული რჩებოდნენ.

26 მაისის სხდომაზე საქართველო „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ" გამოცხადდა. პოლიტიკური წყობილების ფორმად აღიარებულ იქნა „დემოკრატიული რესპუბლიკა".

ჩვენ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რამდენად დამოუკიდებელი შეიქნა საქართველო, ან რამდენად დემოკრატიული იყო მისი პოლიტიკური მმართველობა. პირველი შთაბეჭდილებისათვის საკმარისია ეროვნული საბჭოს 14 მაისის დადგენილება გერმანიის იმპერიისათვის საქართველოს ბედის ჩაბარების შესახებ და ამ იმპერიის წარმომადგენლის მონაწილეობა „დემოკრატიული" საქართველოს დაბადების „ტრაგიკულ" აქტში. მოვლენის ასეთი საწყისი საქართველოს დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების მძიმე უღელს უქადდა. ეს ასეც მოხდა.

თ ა ვ ი IV

სამეურნეო ნგრევა მენშევიკურ საქართველოში

მენშევიკური პარტიის მესვეურები საქვეყნოდ ტრაბახობდნენ იმის შესახებ, რომ საქართველო შინაურ ცხოვრებაში დამოუკიდებელია, რომ მისი ეკონომიკა მკვიდრ საფუძველს ემყარება და სულ მალე საქართველო ღონიერ და ეკონომიურად აყვავებულ სახელმწიფოდ გადაიქცევაო.

მაგრამ მენშევიკური დიქტატურის სამი წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიური ცხოვრებისათვის ერთი თვალის გადავლებაც კი საკმარისია, რომ ჩვენს წინაშე სრულიად საწინააღმდეგო სურათი წარმოდგეს.

ცნობილია, რომ რუსეთის ცარიზმი ყოველმხრივ აფერხებდა საქართველოში, როგორც კოლონიურ ქვეყანაში, მრეწველობის წინსვლას. ამიტომაც ჩვენში მრეწველობის დარგები სუსტად იყო განვითარებული, იმდენად სუსტად, რომ ამ მხრივ მეფის რუსეთსაც კი საგრძნობლად ჩამორჩებოდა. მაგალითად, მექანიკური ძრავების სიმძლავრე საქართველოში ერთ სულზე ათჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე რუსეთში.

მსოფლიო ომმა საქართველოს ისედაც სუსტი მრეწველობა თითქმის მთლიანად გაანადგურა. ნედლეულისა და სათბობის უქონლობის გამო მთელი რიგი საწარმოები დაიხურა. სამეურნეო ნგრევა, რაც მსოფლიო ომის დროს დაიწყო, კვლავ გაგრძელდა მენშევიკთა ბატონობის მთელ პერიოდში. საქართველოს მრეწველობის ყველა დარგი შეუჩერებლივ მიექანებოდა დაქვეითებისაკენ.

მრეწველობაში კაპიტალისტების შეუზღუდველმა ბატონობამ, რასაც ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მენშევიკები, დასავლეთის იმპერიალისტური ქვეყნების თარეშმა, მათთვის წარმოების მთელი რიგი დარგების გადაცემამ მოშალეს ქვეყნის სამეურნეო ორგანიზმი. ეკონომიური კორნილოვშჩინა თანდათანობით ძლიერდებოდა. უგეგმობამ და თვითნებობამ ბოლოსა და ბოლოს სრული ანარქია და წარმოების კატასტროფული შემცირება გამოიწვია. 1920 წლისათვის მრეწველობის საწარმოთა უდიდესი ნაწილი ან სულ აღარ არსებობდა, ან თუ მუშაობდა, მეტად მცირე დატვირთვით.

მსოფლიო ომისა და მენშევიკების პარპაშის მთელ პერიოდში ენერგეტიკის, სათბობი მეურნეობის, მთამადნეულის დამუშავების დარგებმა მძიმე დარტყმა განიცადეს.

ელსადგურების ნომინალური სიმძლავრე 8.000 კილოვატს შეადგენდა. აქედან რეალურად გამოყენებული იყო 5,5—6,0 ათასი კილოვატი. ქვანახშირის ამოღება 1919 წელს 1913 წელთან შედარებით ორჯერ იყო შემცირებული. ცნობილია, რომ საქართველოს მარგანეცს მსოფლიო ბაზარზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მსოფლიო ომის წინ მისი ხვედრითი წონა 35—40 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ მენშევიკების ბატონობის ხანაში მარგანეცის ამოღება საქართველოში თითქმის შეწყდა. 1918 წლისათვის მისი ხვედრითი წონა 1,59 პროცენტამდე, ხოლო 1921 წლისათვის ნულამდე დავიდა. საქართველოში არ არსებობდა მძიმე მრეწველობის მთელი რიგი დარგები. მსუბუქი მრეწველობის საწარმოები უმთავრესად შინამრეწველური ხასიათისა იყვნენ. მათი პრიმიტიული ტექნიკა მწყობრიდან გამოდიოდა. წარმოების განახლებაზე არავინ ზრუნავდა, შრომის ნაყოფიერება ეცემოდა.

1920 წლ. ოქტომბერში ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ანგარიში ასეთ სურათს იძლევა:

„ლითონის მრეწველობა. კოქსის, ნედლი ლითონის (თუჯი, რკინა), საწარმოო იარაღის უქონლობის გამო სულს ღაფავს. გარდა ამისა, მუშა ხელის სიძვირე ისეთ მდგომარეობაში აყენებს მრეწველობას, რომ დღეს თუ ხვალ ის უსათუოდ ჩაკვდება.

ხე-ტყის მრეწველობა. თბილისში არსებულ 17 სახერხი ქარხნიდან მუშაობს მხოლოდ ორი, მიზეზია მიწათმოქმედების სამინისტროს მიერ ხე-ტყის შეძენის შეზღუდვა და ხერხების უქონლობა.

ტყავის მრეწველობა. საქართველოში არსებული ტყავის ქარხნების მუშაობა თითქმის განახევრებულია, ერთის მხრივ, ნედლი მასალის—ტყავის, ხოლო, მეორეს მხრივ, საღებავის სიმცირის გამო.

ზეთის და საპნის მრეწველობა ბამბის თესლის და ქონის უქონლობის გამო კრიზისს განიცდის.

ქიმიური მრეწველობა, ერთის მხრივ, გოგირდის სიმჟავის და, მეორეს მხრივ, მარილის, თრიმლის და მუხის ქერქის უქონლობის გამო სულს ღაფავს.

სამთომადნო მრეწველობა. გარდა ჭიათურის მაღაროებისა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ცოტათი გამოცოცხლდა, თითქ-

მის მთელი სამთომადნო მრეწველობა საქართველოში შეჩერებულია. მართალია მუშაობს ტყიბულის მაღაროები, მაგრამ დღევანდელი სათბობი მასალის საერთო შიმშილის დროს შესაძლებელი იქნებოდა მაღაროების მუშაობის გაათკეცება, რომელიც სახელმწიფოს დიდ შემოსავალს შემატებდა. ალავერდის სპილენძის ქარხანა შეჩერებულია საწარმოო თანხის უქონლობის გამო. ასეთივე მდგომარეობაშია კვარცხანის სპილენძის ქარხანა.

ელექტრო მრეწველობა. მანქანების შეუსვენებლობის და ურემონტობის გამო მთელი ეს მრეწველობა ´ უსაშინლეს კრიზისს განიცდის...“[1].

კომენტარი ზედმეტია. მენშევიკ ხელისუფალთ მრეწველობის მართლაც საავალალო მდგომარეობა აიძულებდათ ობიექტურად აესახათ მათთვის ეს არასახარბიელო სინამდვილე.

მძიმე მდგომარეობაში იყო სოფელი. სოფლის მეურნეობა, რომლის მოშლა და რღვევა მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო, აგრეთვე კატასტროფისკენ მიექანებოდა. ნათესების ფართობის შემცირებამ, მესაქონლეობის პროდუქტიულობის დაცემამ, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანა-იარაღების უქონლობამ (ძველი უკვე გაცვდა), სოფლის სისტემატურმა დარბევებმა, ჯანსაღი მუშახელის სიმცირემ სოფლად სიღატაკე და შიმშილობა გააბატონეს.

შემოდგომის პურის ნათესს 1913 წელს ეჭირა 167,8 ათასი ჰექტარი, 1921 წლისათვის შემცირდა 100 ათას ჰექტარამდე. სიმინდის ნათესები 1913 წელთან შედარებით შემცირდა 100 ათასი ჰექტარით. თუ 1913 წ. მარცვლეულის საერთო მოსავალი 38 მილ. ფუთს შეადგენდა, 1920 წლისათვის იგი 35 მილ. ფუთამდე დავიდა. საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე არ აღემატებოდა 50 ფუთს. მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა მევენახეობა, რომელიც მუდამ საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენდა. 1921 წლისათვის ვენახების ფართობი 29,5 ათას ჰექტარამდე შემცირდა. ახალი ვაზების ჩაყრაზე არავინ ფიქრობდა, პირიქით, დამშეული გლეხობა ვენახებს კაფავდა, რათა მის ადგილზე პური ან სიმინდი დაეთესათ. ვაზებიս უმრავლესობა მობერდა. ფილოქსერა და სხვა დაავადებანი ანადგურებდა ვენახებს. მოუვლელობის შედეგად ყოველწლიურად ნადგურდებოდა დაახლოებით 1 — 1,5 ათასი ჰექტარი ვენახის ფართობი.

---

[1] საქ. სსრ. ოქტ. რევ. ცენტ. სახ. არქივი. ფ. 12-ს, საქ. 94, ფ. 72.

ყველაზე მეტად ჩამორჩენილი იყო მეცხოველეობის დარგი. 1917 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოს გლეხური მეურნეობათაგან 14,9 პროცენტს საერთოდ არ ჰყავდა პირუტყვი, 37 პროცენტს არ ჰყავდა ძროხა. ჭირმა მუსრი გაავლო ისედაც მცირერიცხოვან საქონელს.

მოშლილი იყო სატრანსპორტო მეურნეობა. რკინიგზაზე განძეულების ხანგრძლივმა შეუცვლელობამ, რელსების გაცვეთამ, შემადგენლობის დაზიანებამ, საწვავის უქონლობამ მოძრაობის საქმე ჩიხში მოამწყვდიეს. საკმარისია ითქვას, რომ მატარებლები, მაგ., თბილისიდან ბათუმამდე მგზავრობას 4-5 დღეს უნდებოდნენ. გრაფიკი სისტემატურად დარღვეული იყო, რკინიგზა ყოველთვის დეფიციტს იძლეოდა.

სახალხო მეურნეობის მოშლილი ორგანიზმის საუკეთესო ილუსტრაციაა მენშევიკური საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც ყოველწლიურად დეფიციტით მთავრდებოდა. მაგ., „1918-1919 წლის ბიუჯეტის შემოსავალი უდრიდა 174.250 ათას მანეთს, ხოლო გასავალი—663.507 ათას მანეთს, ე. ი. დეფიციტი აღწევდა 489.253 ათას მანეთს, ანუ 73—40%. 1919—1920 წელს ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენდა 2481,7785 მან. ანუ ბიუჯეტის მთელი მოცულობის 76,3 პროცენტს".

ფინანსური სისტემის მოშლა, სპეკულაციისა და სიძვირის ზღაპრული ზრდა მენშევიკებს აიძულებდა განუწყვეტლივ ემუშავებინათ ფულის საბეჭდი დაზგა და მოეჭრათ ბონები. 1918—1919 წწ. მოჭრილ იქნა 1.333.975 ათასი მან. ბონი, ხოლო 1919 წლიდან 1921 წლამდე 16.976.000 ათასი მან. ბონი. 1918 წ. ოქტომბერს მანეთი ბონზე ფასობდა 4 მან., ხოლო 1921 წ.—2.000 მანეთს.

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი 1919 წ. ასე ახასიათებდა ქვეყნის ფინანსურ მდგომარეობას: „გამოშვებულმა ქაღალდის ნიშნებმა უკვე დიდი ხანია დაჰკარგეს თავისი დანიშნულება...

ფულის მიმოქცევა ქვეყანაში ძირშივე შერყეულია. ფულადი მიმოქცევის არხების მეტისმეტად გაჭედილობას თან მოჰყვა ამ მდგომარეობიდან გამომდინარე შედეგები,—ვაჭრობისა და მრეწველობის სისუსტე საერთოდ. ფულადი ბაზრის იზოლირება, საკომერციო კრედიტის საშინელი სიძვირე, უცხოური კურსების მერყეობის გაუგონარი ამპლიტუტა..."[1].

---

[1] საქ. სსრ. ოქტ. რევ. ცენტ. სახელმწიფო არქივი, ფ. 24-ს, ფ. 118, ფ. 3.

მენშევიკური პარტიის მესვეური ეორდანია, საქართველოს ფინანსურ კატასტროფას რომ აღიარებდა, თავს ასე იმართლებდა: „საქართველოს სახელმწიფო ხაზინას... 1917 წ. ოქტომბრიდან ცალი კაპეიკი არ მიუღია რუსეთიდან (ან რატომ უნდა მიეღოთ, როცა მათ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას ზურგი შეაქციეს და მის წინააღმდეგ ბრძოლაში დასავლეთის იმპერიალისტებს დაუკავშირდნენ—ა. ს.). აღვილად წარმოიდგენთ ჩვენს ფინანსურ გაჭირვებას. ხოლო როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ხაზინა სრულიად ცარიელი იყო... მართალია, შემოსავლის წყარო ფინანსური თვალსაზრისით ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, მაგრამ ბონების ბეჭდვის მეტი სხვა გზა არ გვქონდა. ხაზინის შემოსავალი პირველ იანვრამდე ყოფილა სულ 96.188.000 მან., ხოლო გასავალი კი იყო 342.244.000 მან. დეფიციტია 246.086.000, რაც დაიფარა ბონების გამოშვებით“[1]. 1920 წ. ოქტომბერში ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დეპარტამენტი მთავრობის თავმჯდომარეს სწერდა: „წრეევანდელი ბიუჯეტი, რასაკვირველია, დამაფიქრებელია. ეჭვს გარეშეა დეფიციტი უზარმაზარი იქნება. ჩვენ გვაშინებს ამ დეფიციტის რაოდენობის აღნიშვნა...“[2].

მოთქვამდნენ რა ხაზინის სიცარიელეზე, მენშევიკები ხალხმწიფო ქონების შევსებას მოელოდნენ გლეხობისათვის ტყავის გაძრობით. ყბადაღებულ „მიწის რეფორმას“, რომელიც თვალთმაქცურად იყო შედგენილი და გლეხობის გაძარცვას ითვალისწინებდა, უნდა მოეცა მთავრობისათვის ორასი მილიონი მანეთი. მაგრამ ფინანსურ გაკოტრებას ვერც ასეთი ღონისძიება შველოდა.

1919 წლ. 7 ნოემბრის თარიღით საქართველოს მთავრობის სახელზე გაგზავნილ მოხსენებით ბარათში, რომლის ავტორი მენშევიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერთაგანია, აღიარებულია მწარე სინამდვილე: „სახელმწიფოს ეკონომიური ორგანიზმი ძირშივე შერყეულია, სამშობლოს სამეურნეო მდგომარეობა ახლოა კატასტროფასთან, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს არა მარტო ყველა ნაყოფი უკანასკნელი დროის ვეებერთელა შრომისა (ალბათ, კაპიტალისტებისა და მემამულეების სასარგებლოდ—ა. ს.), არამედ შესწყვიტოს თვით საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა... (ფაქტიურად იგი უკვე შეწყვეტილი იყო—ა. ს.). მიმოხილვას უკეთებს რა მრეწველობის ცალკეული დარგების მდგომარეობას, ავტორი შენი-

---

[1] საქ. დამფუძნ. კრების სტენოგრაფიული ანგარიში 1919 წ. 14 მარტის სხდომისა, გვ. 5.

[2] საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტ. სახ. არქივი, ფ. 12-ს. საქ. 94, ფ. 63,

შნავს „...10 თვის განმავლობაში 1918 წ. თებერვლიდან ნოემბრამდე, განუწყვეტლივ, საქართველო განიცდიდა საშინელ უბედურებას—ნავთის უქონლობას. მთელმა რიგმა საწარმოებმა თავიანთი წარმოება მინიმუმამდე დაიყვანეს. ზოგიერთი საწარმო სრულებით გაჩერდა. ლითონდამამუშავებელი მრეწველობა, რომელსაც ესაჭიროება შემოსატანი ქვანახშირი (დონეცისა), ახლა სავსებით პარალიზებულია.

წარმოების იარაღები, რომლებიც არ განახლებულა და არ შეერემონტებულა 1914 წლიდან, უვარგისნი არიან და შრომის ნაყოფიერების საკალალო ეფექტს იძლევიან... თბილისში არსებული ბამბის ფაბრიკები უმოქმედოდ დგანან ნედლეულის და დამხმარე მასალების (კაუსტიკური სოდა და ქლოროვანი კირი) უქონლობის გამო...“[1].

საარქივო ფონდებში არსებული მასალები საქართველოს სოფლის მეურნეობის დაცემის კიდევ უფრო მძიმე სურათს გვიხატავენ.

ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტი, 1919 წლისათვის აღწერდა რა ქვეყნის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, ასეთ დასკვნას აკეთებდა:

„...ვაჭრობისა და მრეწველობის მამოძრაველებელი ცენტრები დაზიანებულია.

ამან თავის მხრივ გამოიწვია საწარმოო პროცესების დამბლა; საწარმოო პროდუქციის რაოდენობის კატასტროფული შემცირება. ვაჭრობა დანგრეულია, ან მისი ჯანსაღი ელემენტები უკუგდებულია და სულს ღაფავს. მისმა არაჯანსაღმა ნაწილმა ხელი მიჰყო სპეკულაციას, რომლითაც ახლა დაავადებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგი.

სოფლის მეურნეობა ჩაიკეტა თავის ნატურალურ ციკლში, მოახდინა თავისი ბაზრის ლოკალიზაცია და თითქოს მოსწყდა ქვეყნის სახალხო-მეურნეობრივი საერთო ცხოვრებიდან.

ჯერჯერობით ჩვენ კიდევ ვიღებთ საქონელს საზღვარგარეთიდან ზღაპრულ ფასებში ჩვენში ჯერ კიდევ დარჩენილი მარაგის ხარჯზე. მაგრამ თუ მომავალშიაც ასე გაგრძელდება, აღარ შეიქმნება ფასეულობათა ექვივალენტური რაოდენობა, ჩვენ ვეღარ შევძლებთ გადახდას. მაშინ მოხდება კატასტროფა, ქვეყნის ეკონომიური სიკვდილი ყველა თავისი საშინელი შედეგებით...“[2].

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 24, საქმე 118, ფურც. 1—25.

[2] საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტ. სახ. არქივი, ფ. 24-ს, საქმე, 118 ფ. 2C•

1919 წელს მენშევიკები უკვე გრძნობდნენ, რომ სწრაფად მიექანებოდნენ ეკონომიური კატასტროფის გზაზე. 1920 წელს ისინი უკვე კატასტროფის წინაშე აღმოჩნდნენ. ამას თვით მათი ლიდერი ნ. ჟორდანია აღიარებდა.

1920 წელს, 13 ოქტომბერს, თბილისის საბჭოს დარბაზში მოწვეულ ეკონომიურ თათბირზე ჟორდანია ასე ხატავდა მათი სამწლიანი მოღვაწეობის შედეგად შექმნილ მდგომარეობას: „ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიურის მხრივ ჩვენ კატასტროფისკენ მივისწრაფვით. შემდეგ ეს რამდენჯერმე იქნა განმეორებული, ასე რომ ამ სიტყვებს კიდეც შეეჩვივნენ თითქოს და არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ. მაგრამ დღეს ეს სიტყვები უკვე გამართლებულია: დღეს თვითეული ჩვენგანი გრძნობს, თვითეული მწვავედ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისკენ,—ჩვენ უკვე მივედით იქამდე"[1].

ამრიგად, მენშევიკურ პარტიას, რომელიც თავის თავს „დემოკრატიული" საქართველოს სამეურნეო-კულტურული მშენებლობის დარგში წამყვან ძალად თვლიდა და ამ მხრივ მრავალ ცრუდაპირებებს იძლეოდა, სრულებითაც არ შესწევდა უნარი თავი გაერთმია ამ საქმისათვის. სამეურნეო ნგრევა ძლიერდებოდა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგები დეგრადაციას განიცდიდნენ. მოშლილი იყო ქვეყნის სამეურნეო ორგანიზმი. მემამულეები და კაპიტალისტები სრულ თვითნებობას იჩენდნენ. უცხოური კაპიტალი მტკიცედ იკიდებდა ფეხს მრეწველობაში. სპეკულაცია ზღაპრულად იზრდებოდა. ბნელი ძალები ათასგვარი მაქინაციებით ჯიბეებს ისქელებდნენ. ხალხი შიმშილობდა. სახალხო დოვლათი ნადგურდებოდა.

მენშევიკები ურცხვად ლაყბობდნენ მუშათა ეკონომიური პირობების გაუმჯობესების შესახებ, სინამდვილეში კი კაპიტალისტების ინტერესებს იცავდნენ. ისინი ლაყბობდნენ სოციალიზმის შესახებ, სინამდვილეში კი ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრებას უწყობდნენ ხელს. წარმოების მეპატრონეთ სრული თავისუფლება ეძლეოდათ მუშების დაქირავებისა და მათი დათხოვნის საქმეში. მენშევიკების კანონმდებლობა სრულ თავისუფლებას აძლევდა კაპიტალისტებს, მაგალითად, რევოლუციურად განწყობილი მუშების წარმოებიდან გარეკვაში. თითქოს მუშების ინტერესების დასაცავად შექმნილი იყო შრომითი სასამართლოები, მაგრამ ამ თვალსა-

[1] გაზ. „ერთობა", № 235, 1920 წ.

ბევრ ორგანოებში მენშევიკები ისხდნენ და საკითხს ყოველთვის წარმოების მეპატრონეთა სასარგებლოდ წყვეტდნენ.

1918 წლის იანვარში ამიერკავკასიის კომისარიატმა გამოსცა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. ეს უფლება მუშებმა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით მოიპოვეს და ამ მხრივ მენშევიკების გულუხვობა მხოლოდ მომხდარი ფაქტის ფიქსაციით განისაზღვრებოდა. მაგრამ ეს კანონი სინამდვილეში ვერ განხორციელდებოდა. მენშევიკები, ყოველმხრივ უწყობდნენ რა ხელს კაპიტალისტური მრეწველობის ინიციატივას, აძლევდნენ რა მათ ფართო უფლებებს წარმოების ორგანიზაციაში, ამტკიცებდნენ რა მათ პოზიციებს ეკონომიკასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ამით თვითვე უთხრიდნენ საფუძველს მათ მიერ მიღებულ კანონს. კაპიტალისტები თავიანთი საჭიროების მიხედვით საზღვრავდნენ სამუშაო დროს. წარმოების მეპატრონეთა მოთხოვნით მენშევიკებმა ნება დართეს შემოეღოთ ზედმეტ საათებში მუშაობა—სანარდო სისტემა (ვითომ „მუშების მოთხოვნით"). ამავე დროს ზოგიერთ წარმოებაში 8-საათიანი სამუშაო დღე ბრძანებით იქნა გაუქმებული. მაგალითად, გენერალ მდივანის განკარგულებით 8-საათიანი სამუშაო დღე აკრძალულ იქნა სამხედრო უწყებაში. ყველა, ვინც ამას არ დაემორჩილება, დაუყოვნებლივ დაითხოვეთ სამსახურიდანო—უბრძანებდა მდივანი ადმინისტრაციული განყოფილების უფროსს.

თანდათან უფრო უარესდებოდა მუშათა მატერიალური მდგომარეობა. ბაზარზე გამეფებული იყო ზღაპრული სიძვირე. პროდუქტებზე ფასები ყოველდღე იზრდებოდა, ხოლო მუშათა ხელფასი თითქმის იგივე რჩებოდა. მენშევიკებმა ვერ შეძლეს დაედგინათ ხელფასის ის დონე, რომელიც მუშათა საარსებო მინიმუმს უზრუნველყოფდა. 1919 წელს შექმნილი ე. წ. სატარიფო პალატა, რომელსაც თითქოს დაკისრებული ჰქონდა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევა და სხვადასხვა დარგის მუშებისათვის ხელფასის განსაზღვრა, ფაქტიურად ისევ მეწარმეთა საქმეს აკეთებდა. პარიტეტულ საფუძველზე შედგენილი პალატის სხდომაზე ყოველთვის დამქირავებლები ჭარბობდნენ და საკითხს მათ სასარგებლოდ წყვეტდნენ, ხოლო მუშათა კანონიერ მოთხოვნებს აქ „წამგლეჯობისკენ" მისწრაფებით ხსნიდნენ.

მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუარესების საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიტანოთ შრომის მინისტრის ამხანაგის ერაძის მოხსენება მთავრობის თავმჯდომარის სახელზე 1919 წლის 11 ოქტომბრის თარიღით. მინისტრის ამხანაგი იძულებულია აღია-

როს, რომ „მუშათა კლასის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. შეუსაბამობა რეალურ და ნომინალურ ხელფასს შორის კიდევ უფრო გაიზარდა, რაც შემდეგი ციფრებიდან ჩანს. თუ საფუძვლად ავიღებთ საშუალო ხელფასსა და პირველი მოთხოვნილების საგნებზე საშუალო ფასებს 1914 წლისათვის, მივიღებთ შემდეგ რიგს ციფრებისას:

წლები	ფასები პროდუქტებზე	ხელფასი
1914	100	100
1915	115,38	106,28
1916	176,91	123,85
1917	276,92	148,54
1918	1167,69	419,41
1919		
აპრილი	6430.77	1616,41
სექტემბ.	7546,15	2182,43

მუშა ცხოვრობს ახლა 3—5-ჯერ უფრო ცუდად, ვიდრე იგი ცხოვრობდა 1914 წელს.

იმისათვის, რომ 1914 წლის მდგომარეობა აღვუდგინოთ მუშას, ერთდროული დახმარების გარდა, საჭიროა მივცეთ 182 მან. ხელფასი დღეში. 1917 წ. მუშის მდგომარეობას რომ შევუფარდოთ, ხელფასი უნდა უდრიდეს 105 მანეთს დღეში, მაშინ როცა იგი ამჟამად 52 მანეთს იღებს. ...ქალაქის მოსახლეობა, მუშებს გარდა, თითქმის მთლიანად სპეკულაციას ეწევა. ამას თვალსაჩინოდ მოწმობს თუნდაც ის აუარებელი ოდენობა ვაჭრებისა, რომლებიც ამჟამად არიან და ეს მაშინ, როდესაც სასაქონლო შიმშილს განვიცდით. რჩებიან მხოლოდ მუშები, რომლებიც უპუროდ და უფეხსაცმელოდ არიან. მუშები უკვე დიდი ხანია ფაქტიურად აღარ იყენებენ 8-საათიან სამუშაო დღეს. ისინი თანახმანი არიან იმუშაონ 16 საათი, ოღონდ კი გამოიმუშავონ ცხოვრებისათვის აუცილებელი სუმა, მაგრამ ტრაგედია იმაშია, რომ ზედმეტი სამუშაოც არ არის. მრეწველობა დაეცა და ის, რაც დარჩა, ჩქარობს ლიკვიდაცია მოახდინოს და თავისუფალი კაპიტალი სპეკულაციისათვის მიმართოს.

მუშები ვერ პოულობენ ხსნას და იღუპებიან. სიკვდილიანობა მუშათა შორის მატულობს რამდენიმეჯერ და სიკვდილის პროცენტი მაღლა იწევს.

ასეთია ობიექტური სურათი"[1].

---

[1] საკ. სსრ ოქტ. რევოლ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 24, საქმე 69, ფ. 2—7.

ბაზარზე გამეფებულ ზღაპრულ სიძვირეს ასახავს შემდეგი ცხრილი:

პურის საბაზრო ფასები (მანეთობით) თბილისში[1].

პურეულის დასახელება	1913 წ.	1917 წ.	1918 წ.	1919 წ. ივლისი-აგვისტო	1920 წ. ივლისი-აგვისტო
ფუთობით					
1. ხორბალი	1.35	6,39	120.00	—	900 00
2. სიმინდი	0,85	2.96	50 00	—	535 00
3. ქერი	0,92	5.15	76.33	146,67	545 00
4. შვრია . .	1,07	3.51	33.66	—	—
5. ხორბლის ფქვილი					
შემოზიდული	2.55	7,60	—	674,00	1075.00
ადგილობრივი	1,60	6,62	127.00	518 20	—
გირვანქობით					
7. ბრინჯი	0.11	0.44	3.77	16.53	28.41
8 ბურღული .	0,05	0,17	—	—	—
9. პური ფურნის			—		
I ხარ.	0.05	0,15		11.81	—
II „	0.04	0,10	1.12	10 50	
III „	0,03	—	0 85	6 9	16.7

ეს, მართლაც, ობიექტური სურათია, რომელიც შრომის მინისტრმა გულღიად გადაუშალა მთავრობას, რათა თვით ხელი დაებანა. შრომის მინისტრს, დაავიწყდა ამ მოხსენებისათვის ეთქვა, რომ ასეთი საშინელი მდგომარეობა მათი უგუნური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა.

მუშებს ჯოჯოხეთურ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. წარმოების უშიშროებისათვის, მუშათა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის, ჯანმრთელობისა და კულტ-მომსახურებისათვის არავინ არ ზრუნავდა. მოვიყვანთ კიდევ ერთ დოკუმენტს. რომელიც მენშევიკი მოხელის მიერაა შედგენილი და რომლის ობიექტურობაში არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ, რადგან აქ თავშეკავებით, მტკივნეულად არის გადმოცემული მენშევიკებისათვის მწარე სინამდვილე.. ეს არის ზ. გურულის მოხსენება მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარისადმი ტყიბულის შახტებში მუშათა მდგომარეობის შესახებ. დოკუმენტში ნათქვამია: სამუშაო ტყიბულის შახტებში, განსაკუთრებით მისი მოუწყობლობის გამო, პირდაპირ კატორღულია. მაღაროში გზებიც და სამუშაო ადგილებიც წყლიანტალახიანია და არავის არ მოსვლია აზრად სავალ გზებზე ფიცრები

[1] პაატა გუგუშვილი, მარცვლეული მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954. გვ 84

დაეგო. თაღები დაქცეულია, მოსალოდნელია ცეცხლის გაჩენა და მაღაროს აფეთქება. სარეწაოში ძალზე გავრცელებულია მცირეწლოვანების შრომა და ისიც ისეთ ჯოჯოხეთურ სამუშაოზე, როგორც მექანიკური სარჩევია, სადაც, გარდა იმისა, რომ მანქანა თხოულობს გაძლიერებულ ყურისგდებას, წარმოუდგენელი მტვერია (გაზნარევი) გავრცელებული.

მუშათა ტანჯვას აუარესებს ასეთივე აუტანელი ბინები... ბევრ მათგანში ზევიდან წყალი წვეთავს, ხოლო კედლებიდან ქარი ისე დაუბერავს, როგორც სურს. ჭერი და იატაკი დაძველებულია, დამპალია, ამავე დროს სავსებით დაუსუფთავებელია როგორც ბინები, აგრეთვე ეზოები და ახლომახლო ადგილი... ყველა ამასთან კიდევ უფრო უბედურება ისაა, რომ ასეთი ბინებიც სამყოფი არაა და მუშებს, რომ ცის ქვეშ არ ეთიათ ღამეები, თვით მოუწყვიათ კარვები ნამტვრევი ფიცრებისაგან, სადაც პირუტყვთაც გაუჭირდებოდათ ცხოვრება. ასეთ კარვებში მუშები ბნელაში ცხოვრობენ, ვინაიდან გასანათებლად ნავთი არ ეძლევათ.

...ორი ათასი მუშიდან სამრეწველოში რაღაც ათამდე ადგილიანი საავადმყოფოა და ისიც უყურადღებოდ მიგდებული. სიცხიან ავადმყოფებს ისტუმრებენ სახლში, რომელთაგან ცოტა ბრუნდება.

... სამწუხაროდ მინისტრს არავითარი ზომა არ მიუღია ამ ჯოჯოხეთური პირობების ოდნავ მაინც შესასუსტებლად. პირიქით, ეს პირობები გაუუვარესებია იმით, რომ მეტი ნახშირის მისაღებად მუშათა რიცხვი მოუმატებია, ხოლო ბინის აშენებაზე ზრუნვა კიდევ მიწერ-მოწერაშია. გაუუვარესებია კიდევ იმით, რომ ფულს მესამე თვეზე აძლევენ...[1]

მუშებზე უკეთეს მდგომარეობაში არც მოსამსახურეები იყვნენ. ისედაც დაბალ ხელფასს, რომელსაც საშინელი სპეკულაციის პირობებში ორ-სამ დღეს თუ შეეძლო მათი გამოკვება, ისინი წელიწადში 3-4-ჯერ თუ ღებულობდნენ. საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს „მთავრობის“ გადასახადთა და ხაზინათა სამმართველოს უფროსის მიმართვა ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორისადმი. აქ ნათქვამია შემდეგი:

„ყველასათვის ცხადია დღეს, რომ ახლანდელი ჯამაგირით მოხელეს შეუძლია თავი გაიტანოს მხოლოდ ათი დღით, დანარჩენ დროს კი, რომ არ დაიმშეს, იძულებულია წვრილ-წვრილად ჰყიდოს

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლ. ცენტრ. სახ. არქივი, ფონდი 868, საქმე 62, ფურ. 122—124.

ბაზარში თავისი ოჯახის ავეჯეულობა და ხშირად უკანასკნელი ტანსაცმელიც. მაგრამ მოკლე ხანში გასაყიდი ნივთებიც გამოილევა და მაშინ მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება.

თუ მე, შედარებით, უკეთეს პირობებში მყოფი, მწვავედ ვგრძნობ ჩემი ჯამაგირის სიცოტავეს და ოჯახის რჩენის საკითხი ხშირად სასოწარკვეთილებაში მაგდებს, თუ მე, ხშირად ღღიური სარჩოს სასყიდლად ტანსაცმელს ვყიდი ხოლმე, რაღა თქმა უნდა, რომ დიდ გაჭირვებას უნდა განიცდიდნენ უმცროსი მოხელენი; მე ვიცი, რომ ბევრ ჩემ მოხელეს და მათ ოჯახებს მთელი კვირაობით ცხელი საჭმელი არ ეშოვებათ და უმეტესი ნაწილი მოხელეებისა სამსახურში მშიერი მოდის...“[1]

თბილისის ქალაქის გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა თვალნათლივ არის წარმოდგენილი იმ მოწოდებაში, რომელიც 1919 წელს, 27 მარტს, საგაფიცვო კომიტეტმა გამოსცა. აქ ნათქვამია:

„ჩვენი მშიერი დედების, ცოლებისა და ბავშვების ოხვრა-კვნესა გვაიძულებს ჩვენ, გაჭირვებულთ და შიმშილით გატანჯულთ, ფიზიკური ძალ-ღონის უქონლობის გამო, მივატოვოთ საამუშაო...

უკვე მეორე წელია, რაც ჩვენ ქრონიკულად მთელ ხამ თვეობით ვერ ვღებულობთ საარსებოდ ისედაც არასაკმარის ჯამაგირს... სანამ მოთმენა შეიძლებოდა, ჩვენ უკანასკნელ პერანგს ვყიდდით და ვითმენდით, რადგან ვიცოდით, რომ ჩვენი გაფიცვა საშინლად იმოქმედებდა ქალაქის ღარიბ ნაწილზე.

ყველა საშუალება ამოიწურა, მაგრამ ჩვენ მაინც დიდხანს ვეზიდებოდით ჩვენს მძიმე ჯვარს და ვიდექით ჩვენს პოსტებზე.

მუშები შიმშილისაგან ფეხზე ვეღარ დგებიან.

უკანასკნელ დღეებში ჩვენ იმის მოწმენიც ვართ, რომ მთელ რიგ შემთხვევებში შიმშილისაგან დასუსტებული ქალაქის მოსამსახურეებს გული მისდით.

ყველგან შეხვდებით გაფითრებულ, დასუსტებულ, მშიერ მოსამსახურეებს, რომლებიც გროშებს თხოულობენ ნახევარი გირვანქა პურის სასყიდლად.

23 თებერვალს, მუშაობის დროს მოსამსახურეს გული შეუწუხდა, როცა მას ქაფური შეუშხაპუნეს და გრძნობაზე მოიყვანეს, მან შიმშილით განაწამებმა, გაფითრებულმა და ღონემიხდილმა

---

[1] საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს საისტორიო მოამბე, ნაკვ. 7, თბილისი, 1953 წ. გვ. 48.

ძლივს წარმოსთქვა. „ცოტა რამ საჭმელი მაინც მომეცით, მეოთხე დღეა არაფერი მიჭამიაო“.

თვით ინჟინრებიც კი აღიარებენ თავიანთ ოფიციალურ მოხსენებებში, რომ მუშები ყოველდღე ათობით ეცემიან შიმშილისაგან.

64 მოსამსახურიდან ერთ დაწესებულებაში 13 კაცი დაიღუპა ხოლერით და ტიფით რამდენიმე თვის განმავლობაშიო“[1].

აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ მოსამსახურეები საქართველოს რაიონებში. 1918 წ. 13 დეკემბრის თარიღით საქართველოს მთავრობის სახელზე გაგზავნილია მასწავლებელთა პროფესიული კავშირის ხობის გამგეობის დეპეშა, სადაც ნათქვამია შემდეგი:

„გვშია, გვწყურია, გვცივა, იწამეთ ღმერთი, დაგვაკმაყოფილეთ გასული თვეების ჯამაგირებით მაინც, თუ მომატება შეუძლებელია... მასწავლებელთა აუტანელი გაჭირვება და ცრემლები მაიძულებენ უფლების გადაჭარბებას და ამ დეპეშის პირდაპირ გამოგზავნას“[2].

ასეთი მძიმე იყო მდგომარეობა იმათთვის, ვინც მუშაობდა და ასე თუ ისე დაიმედებული იყო, რომ შიმშილით არ მოკვდებოდა. მაგრამ ყველაზე სავალალო იყო იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებსაც არავითარი სამუშაო არ ჰქონდათ. უმუშევართა არმია საქართველოში ყოველთვიურად იზრდებოდა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ საწარმოები ნედლეულისა და სათბობის უქონლობის გამო ზედიზედ იხურებოდნენ. 1919 წლისათვის შრომის ბირჟის მიერ აღრიცხული იყო 8.900 უმუშევარი. ეს ციფრი, რა თქმა უნდა, დიდად იყო შემცირებული. უმუშევრები, რომლებიც მთავრობისაგან არავითარ დახმარებას არ ღებულობდნენ, მშიერ-ტიტველი ეყარენ შრომის ბირჟის წინ, მაგრამ უშედეგოდ. კაპიტალისტები დაქირავებას ბირჟის დაუკითხავად აწარმოებდნენ.

როგორღა იყო მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა გლეხობის მიმართ?

ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორიც იყო საქართველო, გლეხობის მიმართ დამოკიდებულებას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით გლეხთა მდგომარეობა უცვლელი დარჩა. 1917 წელი მენშევიკებმა მოთაფლული დაპირებებით გაატარეს. გლეხობას ისინი

---

[1] საგაფიცვო კომიტეტების უწყებები № 1, 1919 წლ. 21 მარტი.

[2] საქ. სსრ ოქტ. რევოლ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 19, საქმე 18, ფ, 1.

ატყუებდნენ დამფუძნებელი კრების მოწვევით, სადაც თითქოს მშრომელთა სასიცოცხლო საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. სინამდვილეში კი, როგორც ეს ჩვენ ზემოთ ვნახეთ, ისინი ყოველმხრივ იცავდნენ მიწაზე მემამულეთა ძველ უფლებებს, აიძულებდნენ გლეხებს ეხადათ საიჯარო გადასახადი და ემუშავნათ კაბალურ პირობებში. გლეხთა კანონიერ მოთხოვნას მიწების მათთვის გადაცემის შესახებ ოზაკომი და მენშევიკურ-ესერული სამხარეო საბჭო დამსჯელი ექსპედიციებით უმასპინძლდებოდნენ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ასეთი მოთაფლული დაპირებებით ფონს გასვლა აღარ შეიძლებოდა. საბჭოების II ყრილობაზე მიღებულმა დეკრეტმა მიწის შესახებ საქართველოს გლეხობაზე უდიდესი გამარევოლუციურებელი გავლენა მოახდინა. სოფლად აგრარული რევოლუციის ტალღა აგორდა. კონტრრევოლუციურ კომისარიატს ქართველმა გლეხობამ. მტკიცედ მოსთხოვა მათი ინტერესების დაკმაყოფილება. აქ ლამაზი სიტყვები საქმეს ვეღარ შველოდა. ი. ბ. სტალინი წერს: „ცხადია, ამიერკავკასიის კომისარიატის ფუჭი დაპირებანი გლეხებისათვის მიწის გადაცემის შესახებ ვეღარ დააკმაყოფილებდნენ გლეხებს, რომლებიც აგრარულმა ტალღამ მოიცვა, კომისარიატისაგან საქმეს მოითხოვდნენ, მაგრამ არა კონტრრევოლუციურს, არამედ რევოლუციურს"[1].

მასების რევოლუციური აქტივობის ზრდამ, აგრარული მოძრაობის აზვირთებამ საქართველოს რაიონებში მენშევიკები აიძულეს შედგომოდნენ საგლეხო რეფორმის გატარებას. 1918 წლის 7 მარტს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა კომისარიატმა, დიდი ყოყმანისა და მსჯელობის შემდეგ, გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ. დეკრეტი თვალთმაქცურად იყო შედგენილი. იგი არსებულ მდგომარეობაში არავითარ მნიშვნელოვან ცვლილებას არ ითვალისწინებდა. მემამულეთა მფლობელობა კვლავ ხელშეუხებელი რჩებოდა.

დეკრეტის მიხედვით მემამულეებს უნდა ჩამორთმეოდათ „ნორმაზე მეტი" მიწები. მაგრამ როგორი იყო ეს „ნორმა?" დეკრეტის მეორე პუნქტში შემდეგი იყო ნათქვამი: „ჩამორთმეული მამულის ყოფილი მფლობელისათვის დატოვებული ფართობის რაოდენობა განისაზღვრება: ა) 7 დესეტინით, თუ ჩამოსართმევი მამული ისეთ რაიონშია, სადაც ძვირფასი კულტურები მოჰყავთ, ბ) 15 დესეტინით—მარცვლეული მეურნეობის რაიონში; გ) 40 დესეტინით — უპირატესად მესაქონლეობის რაიონებში"[2].

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ 4. გვ. 65.
[2] გაზ. „ერთობა", № 56, 1918 წ.

თუ გავითვალისწინებთ მიწის სივიწროვეს საქართველოში, „ნორმები“ საკმაოდ დიდი იყო და მემამულეებს საშუალებას აძლევდა დაქირავებული შრომით მსხვილი მეურნეობა მოეწყოთ. მაგრამ ეს ნორმებიც ფიქტიური იყო, ვინაიდან დამატებითი ინსტრუქციები და განმარტებები ამ ნორმებს შესამჩნევად ადიდებდა დ. ფაქტიურად მემამულეს უნარჩუნებდა ძველ მფლობელობას. მემამულეებს ნება დაერთოთ აერჩიათ საუკეთესო მიწები თავისთვის, შეენარჩუნებინათ ინვენტარი, ამავე დროს მოეწყოთ მიწის ფიქტიური გაყოფა (რამდენიმე ნორმის შენარჩუნების მიზნით). მეორე მუხლის პირველ შენიშვნაში ნათქვამია: „საოლქო და საგუბერნიო სამიწათმოქმედო კომიტეტებს ნება ეძლევათ, ადგილობრივი პირობების შესაბამისად, ამ სტატიის თანახმად მფლობელისათვის დატოვებული მიწის ნორმა გაადიდონ პირველი კატეგორიის შემთხვევაში—10 დესეტინამდე, მეორე კატეგორიის შემთხვევაში—20 დესეტინამდე და მესამე კატეგორიის მიწის შემთხვევაში 50 დესეტინამდე“[1]. ეს კიდევ ცოტაა. 1918 წლის 2 მაისის განმარტებით, რომელიც ამიერკავკასიის სეიმის მიერ არის გამოცემული, „კერძო მფლობელობისათვის ჩამორთმეული მამულები ან მათი ნაწილები, რომელთაც განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო ღირებულება აქვთ, სამხარეო ან სათანადო საგუბერნიო საადგილმამულო სამმართველოს განკარგულებით შეიძლება, მეურნეობის ჯეროვან სიმაღლეზე შენარჩუნებისათვის, დროებით დაუტოვოს წინანდელ მფლობელს“[2].

ამ განმარტების საფუძველზე მემამულეები და კულაკები თითქმის მთლიანად ინარჩუნებდნენ მათ განკარგულებაში არსებულ მიწებს.

დეკრეტის გამოცემას მხოლოდ დეკლარაციული მიზანი ჰქონდა. მას თითქოს სიმშვიდე უნდა შეეტანა აჯანყების ალში გახვეულ საქართველოს სოფლებში. მაგრამ, როდესაც საქმე ამ ისედაც კუდმოკვეცილი დეკრეტის პრაქტიკულ განხორციელებაზე მიდგა, აქ კვლავ ჩვეულებრივი უკანდახევა დაიწყო. მეტად ნიშანდობლივია თვით მენშევიკური ოფიციოზის „ერთობას“ აღიარება: „კანონის ასრულების საქმეში (ლაპარაკია დეკრეტზე მიწის შესახებ—ა. ს.) სეიმი ვერ იმოქმედებს ისეთი ერთსულოვნობით, როგორც მისი მიღების დროს. ამ მხრივ კანონს უფრო დეკლარაციის, განცხადების ხასიათი აქვს.

---

[1] გაზ. „ერთობა“, № 56. 1918.

[2] მიწათმოქმედების სამინისტროს კანონების, ინსტრუქციების და განმარტებების კრებული. გვ. 54.

მართლაც როგორ შეიძლება საქვეყნოდ გამოაცხადო გლეხებს მიწებს ნუ მისცემთო? ეს ხომ აღშფოთებას გამოიწვევდა გლეხობაში და არსებულ ანარქიას კიდევ უფრო გააძლიერებდა. ამიტომ კანონი მიწის ჩამორთმევის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული, მაგრამ როცა საქმე მის ასრულებაზე მიდგება, ეს ერთსულოვნება. ეშვი არ არის, გაქრება და რეალური ინტერესები წამოყოფენ თავს"[1].

აქ კომენტარები ზედმეტია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ „რეალური ინტერესები", ცხადია, მემამულეთა და კულაკობის ინტერესებს გულისხმობენ, რომელთა დასაცავად მენშევიკური მთავრობა ენერგიას არ ზოგავდა.

სეიმმა ისე დაასრულა თავისი ხანმოკლე და სამარცხვინო არსებობა, რომ მის მიერ მიღებული დეკრეტი პრაქტიკულად არ განუხორციელებია. მხოლოდ 1919 წ. 28 იანვარს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი ჩამორთმეული მიწების გლეხებისათვის გადაცემის შესახებ. მაგრამ როგორ უნდა მომხდარიყო ეს გადაცემა? მენშევიკური მთავრობა აქაც გლეხობის გაძარცვას აპირებდა. გლეხობას მთავრობის განკარგულებაში არსებული მიწა უნდა შეეყიდა. ამავე დროს მიწაზე მენშევიკებმა იმდენად მაღალი ფასები დააწესეს, რომ ღარიბ გლეხობას მისი შეძენა სრულიადაც არ შეეძლო. მაგალითად, პირველი კატეგორიის სახნავი მიწა ერთი დესეტინა დას, საქართველოში ღირდა 1.500 მანეთი, მეორე კატეგორიისა—1.000 მანეთი, მესამესი—600 მანეთი, საძოვრები—300 მანეთი. აღმოსავლეთ საქართველოში პირველი კატეგორიის ერთი დესეტინა მიწა ღირდა 1.200 მანეთი, მეორე კატეგორიისა—1.000 მანეთი, მესამესი—600 მან., საძოვრები—200 მანეთი.

მეტად სასაცილოა ამ მძარცველური ღონისძიების მენშევიკური დასაბუთება. მენშევიკური პარტიის მე-8 საოლქო ყრილობაზე მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი ასეთ „ბრძნულ" მოსაზრებას აყენებდა: „გლეხობასაც არ სწამს უფასო შენაძენი—მისახვედრია: გლეხი მესაკუთრეა, მას საკუთრებად მიაჩნია ის, რაშიაც ფული ან შრომა გაუღია. ...ეს ღონისძიება გლეხს დაამშვიდებს და გახდის მას ჩვენი მთავრობის დამცველად. მიწათმფლობელისადმი სიძულვილის მიუხედავად, გლეხი მაინც ჩუმ-ჩუმად ყიდულობს მისგან მიწას. ეს ნათელი მაჩვენებელია გლეხის წყურვილისა—შეიძინოს მიწა საკუთრებაში. თუ ჩვენ მის ამ წყურვილს არ დავაკმაყოფილებთ, იგი ჩვენ ზურგს შეგვაქცევს".

---

[1] გაზ. „ერთობა", № 54, № 8, მარტი, 1918 წ..

„ერთობის“ ფურცლებზე მენშევიკები თავს ასე იმართლებდნენ: „ჩვენ დავადგინეთ, რომ მიწა უფასოდ ჩამოერთვას მებატონეს, მაგრამ ჩვენ არ გვითქვამს, რომ უფასოდვე დაურიგდეს გლეხებსო“.

გლეხების ზურგიდან აძრობილი ტყავით მენშევიკებს სურდათ მათი მოშლილი საფინანსო სისტემის წესრიგში მოყვანა და დაცარიელებული ბიუჯეტის შევსება. იგივე ხომერიკი ამბობდა: „ჩვენი ფულის კურსი ეცემა. თუ ხაზინა ვერ გამონახავს მნიშვნელოვან სუმას, მხოლოდ ფულების ბეჭდვა ჩვენ გაგვანადგურებს. ამჟამად გლეხებს ფული აქვთ. მათ შეუძლიათ მიწა შეიძინონ. გუშინ საქონელი ღირდა მანეთი, დღეს უკვე 10 მანეთი ღირს. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შეეძელით შეგვექმნა ფულის სისტემა. ჩვენ მივვარდებით ფულის დაზგას და ვსცემთ ბონის ფასს. თუ ვერ დავარწმუნეთ გლეხი, რომ ამგვარი მდგომარეობა მათაც დაღუპავს, ჩვენი საქმე უიმედო იქნება. არის კიდევ ერთი მოსაზრება—მიწა ჩვენ მოგვცა რევოლუციამ. მაგრამ რევოლუცია მოახდინა არა მარტო გლეხობამ და ამიტომ, მისი მონაპოვარით ყველამ უნდა ისარგებლოს. სამართლიანი იქნება, თუ გლეხობა მიწას მიიღებს და მისი ღირებულების ნაწილს საერთო სალაროში შეიტანს... რა მხრითაც არ უნდა მივუდგეთ საკითხს, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მიწა უნდა დავარიგოთ საკუთრებათ და ფასით“.

მიწის ნაკვეთზე ასეთი მაღალი ფასების გადახდა სოფლის შეძლებულ გლეხობას თუ შეეძლო. ამრიგად, „დეკრეტით“ ყველაზე მეტად კულაკურმა ფენამ ისარგებლა, რომელმაც შეიძინა მთავრობიდან მიწები და ხელი მიჰყო მის დამუშავებას დაქირავებული შრომით. 1920 წელს, თებერვალში, მენშევიკურმა მთავრობამ გააუქმა ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის თებერვლის დადგენილება მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ. ეხლა კი ხელფეხი მემამულეებსაც გაეხსნათ. ჩამორთმეული მიწების ნაწილი მთავრობამ თავის განკარგულებაში დაიტოვა და მისი სარგებლობისათვის გლეხობას დაუწესა ფეოდალური დროის ღალა და ბეგარა.

დიდი მთავრის ყოფილ მამულში (ბორჯომის ხეობა), მაგ., გლეხობას საძოვრებით სარგებლობისათვის გაუგონარ თანხას ახდევინებდნენ. 1919 წ. 21 აგვისტოს ნომერში „რაბოჩი ბიულეტენი“ გვაუწყებს:

„აგვისტოს პირველ რიცხვებში, ზემოთ აღნიშნული მამულის გამგე (ლაპარაკია ბორჯომის მამულზე) შ. ხუნდაძემ გასცა განკარგულება, რომ გლეხებმა, რომელთაც სათიბი აქვთ ბაკურიანის რაიონში, წარმოადგინონ მამულის სამმართველო ფერმაში ან ქ.

ბორჯომში მოთიბული ბალახის ერთი მეექვსედი. ასეთი გადასახადი უდრის საშუალოდ წელიწადში 3.000 მ. თვითეულისაგან"[1].

როცა გლეხებმა მოითხოვეს ამ გადასახადისაგან განთავისუფლება, მენშევიკურმა მთავრობამ ხუნდაძის სახით ასეთი განკარგულება გასცა:

„ვინც თივას არ მიიტანს დანიშნულ ადგილზე, მას მოსავლის ნახევარს წაართმევენ... ვინც არ შეასრულებს მოთხოვნას და ბრძანებას არ დაემორჩილება, გადასახლებული იქნება ან ციხეში ჩავსვამთ".

ამგვარად, მენშევიკების აგრარულმა კანონმა სოფლად პრივილეგიური მდგომარეობა ისევ მემამულეებს შეუნარჩუნა. ამავე დროს გააძლიერა კულაკური ფენა. ღარიბი და საშუალო გლეხობა მოტყუებული, პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. მენშევიკების ასეთი პოლიტიკა გლეხობის მიმართ ორიგინალური არ ყოფილა. გავიხსენოთ მეფის მინისტრის სტოლიპინის აგრარული რეფორმა, რომლის მიზანს აგრეთვე სოფლად ახალი კულაკური ფენების გაძლიერება შეადგენდა. მენშევიკურ მთავრობას, ისე როგორც სტოლიპინს, სურდა სოფლად შეექმნა დასაყრდენი გლეხური „ანარქიის" წინააღმდეგ ბრძოლაში.

მშრომელი გლეხობის მდგომარეობა მენშევიკების დიქტატურის დროს იმდენად გაუარესდა, რომ ცარიზმის შავბნელი ხანაც კი ტკბილად მოსაგონარი ხდებოდა. მათ განკარგულებაში არსებული მცირე ნაკვეთის დასამუშავებლად მშრომელ გლეხებს არც საჭირო იარაღები გააჩნდათ, არც მუშა პირუტყვი ჰყავდათ. სიმინდსა და ხორბალს მემამულეები და კულაკები განგებ მალავდნენ, რომ ყველაზე დიდი გაჭირვების დროს დიდი მოგებით გაეყიდათ. სპეკულაცია ახრჩობდა სოფელს. შიმშილობა საქართველოს ყველა მაზრას მოედო. 1919 — 1920 წლების განმაელობაში მთავრობის სახელზე საქართველოს ყოველი მხრიდან მოდიოდა ასეთი დეპეშები:

შორაპანი. 1920 წლ. 17 თებერვალი.

„1-ლი თებერვლიდან მთელ მაზრაში შიმშილობა დაიწყო. ყოველდღე მრავალი დამშეული ხალხი გვაწყდება ერობაში, რომელთა მოთხოვნა ჩვენ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ, რადგან ყველა ჩვენს შუამდგომლობაზე თქვენ უარი გვითხარით"[2].

ან „1920 წ. 4 მარტი. სენაკი.

---

[1] Рабочий бюллетень, № 4. 1919 წ.

[2] საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 24, საქმე 198, ფურც. 39.

„მთელ მაზრაში შიმშილობა შემოდგომიდანვე დაიწყო. დამშეული ხალხი მოითხოვს შველას“[1].

ან „ქალაქ ონის მცხოვრებნი განიცდიან საშინელ შიმშილს, თავზარდაცემული ხალხი დაკეტილ ფურნეებს შეჰყურებს“. და მრავალი სხვ.

მენშევიკური მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკით გაბოროტებული დამშეული გლეხობა იარაღით ხელში გამოდიოდა საკუთარი ინტერესების დასაცავად. იგი მენშევიკური ხელისუფლების დამხობაში ხედავდა თავის ხსნას და, ბოლშევიკური პარტიის გარშემო დარაზმული, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იბრძოდა. აგრარული რევოლუცია მენშევიკური დიქტატურის მთელ მანძილზე არ შეწყვეტილა, მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები ტყვიაწამალს არ ზოგავდნენ.

კულტურის ზრდა-აყვავება ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების წინსვლაზეა დამოკიდებული. თუ ამა თუ იმ სახელმწიფოში სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგები—სოფლის მეურნეობა და მრეწველობა დაცემის გზაზეა დამდგარი, თუ ქვეყნის სამეურნეო ორგანიზმი საერთოდ მოშლილია და დეგრადაციას განიცდის, იქ, რა თქმა უნდა, კულტურის აღმავლობის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია. პირიქით, ჭკნობას იწყებენ ხალხის შემოქმედებითი წიაღიდან აღმოცენებული ყლორტები.

მენშევიკური დიქტატურის ეკონომიური ნგრევის ზემონაჩვენები სურათი ამავე დროს ქართველი ხალხის კულტურის დონის დაქვეითებაზეც მეტყველებს. ეკონომიურად გაღატაკებული ქვეყნის უბედურებას თან ერთოდა დაუსრულებელი ომები მოძმე ერებთან, შინაური „ანარქიის“ მოსპობისათვის ბრძოლის საბაბით საქართველოს ქალაქებისა და სოფლების პერიოდული აოხრება, პარპაში უცხოეთის იმპერიალისტებისა, რომლებიც დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ ჩვენი ხალხის ძვირფას ტრადიციებსა და მრავალსაუკუნოვან კულტურას. აღვივებდნენ რა ხალხთა შორის მტრობასა და სიძულვილს, კარებს უღებდნენ რა დასავლეთის იმპერიალისტებს, იცავდნენ რა მემამულეთა და კაპიტალისტთა კლასის ინტერესებს, მენშევიკები აფერხებდნენ ქართული კულტურის განვითარებას, სპობდნენ კულტურის ძეგლებს, გზას უკაფავდნენ ერისთვის უცხო, მავნე, ევროპის კაპიტალისტური სამყაროს დამპალ ბურჟუაზიულ იდეებს.

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრ. სახელმწ. არქივი, ფ. 24, საქმე 198, ფ. 20.

ჩიხში იყო მომწყვდეული სახალხო განათლების საქმე. ცნობილია, რომ რუსეთის ცარიზმი—„ხალხთა საპყრობილე“ ეროვნული კულტურის განვითარებას ყოველმხრივ აფერხებდა საქართველოში. 1915 წლისათვის საქართველოში იყო 1.674 დაწყებითი, 48 არასრული საშუალო და 40 საშუალო სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი ყველა ტიპის სკოლაში 156,7 ათასს აღწევდა (მოსახლეობის 6 პროცენტი). მშრომელთა შვილებისათვის დახშული იყო განათლების გზა. სკოლების ეს მცირე რიცხვიც ცარიზმს რუსიფიკატორული პოლიტიკის გასატარებლად ჭირდებოდა. მშობლიურ ენას და ლიტერატურას ყველგან დევნიდნენ. ყოველი 100 კაციდან მხოლოდ 20 იყო წერა-კითხვის მცოდნე.

მენშევიკების სისხლიანი ბატონობის ხანაში მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. შემცირდა სკოლების რიცხვი, შემცირდა მასწავლებელთა რიცხვი. სასკოლო მშენებლობა ჩაკვდა. სკოლის ძველი შენობების რემონტი არ წარმოებდა და ბევრგან იგი ინგრეოდა. სკოლის შენობებში მენშევიკური არმიის ნაწილები და გვარდიის მოთარეშე რაზმები იყენენ მოკალათებული. დაიმტვრა სასკოლო ინვენტარი, რომლის განახლების სახსრები განათლების სამინისტროს არ გააჩნდა. საერთო უსახსრობისა და შიმშილობის ხანაში დიდად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობა. სოფლის მოსახლეობა ერიდებოდა სკოლაში ბავშვების შეყვანას, რათა სწავლასთან დაკავშირებული ხარჯებისათვის თავი აერიდებინა. შიმშილობდნენ მასწავლებლები. განათლების სამინისტროს და საქართველოს მთავრობის სახელზე რაიონებიდან მოდიოდა შემაძრწუნებელი დეპეშები. 1918 წ. 29 ოქტომბერს ზუგდიდის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი განათლების მინისტრს სწერდა:

„ჩვენი მდგომარეობა აუტანელია. არ გვაქვს ტანისამოსი, არ გვაქვს ფეხსაცმელი, თავზე დასახურავი და რაც უფრო საჭიროა ადამიანის არსებობისათვის,—სანოვაგე ვერ გვიყიდია საკმარისათ, რადგან ფული არ გვაქვს და ჯამაგირები არ გვყოფნის. ჩემი თანამშრომლები უჩივიან ბედს და უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. მათი უკმაყოფილება იზრდება, ვინაიდან ის მცირე ჯამაგირები, რომლებიც მათ აქვთ, ოთხ-ხუთ თვეს იგვიანებს. ზუგდიდის ფოსტის კანტორაში ფულის ნიშნები არასოდეს არ არის და, როცა მოვა ხაზინიდან ფული, იმასაც სამაზრო კომისარიატი იტაცებს მილიციონერებისათვის, სხვები კი რჩებიან უფულოდ“[1]. ასეთივე შინაარსის მოხსენებები, საჩივრები, თხოვნის ფურცლები მოდიოდა ოზურგე-

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 139, საქმე 326, ფ. 13.

თის, ონის, თელავის და საქართველოს სხვა რაიონებიდან, მაგრამ ყველა ისინი უპასუხოდ დაუკმაყოფილებელი რჩებოდნენ.

ჩამკვდარი იყო სამეცნიერო მუშაობა, მენშევიკების პერიოდში საქართველოში არ დაწერილა სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა არც ერთ საკითხზე. მეცნიერები შიმშილობდნენ. პროგრესული იდეების მატარებელნი შევიწროებასა და დევნას განიცდიდნენ. მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო ბაზა საქართველოში არ არსებობდა.

1918 წელს კერძო პირების, ენთუზიასტ-მეცნიერთა ჯგუფის (პროფ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი და სხვ.) ინიციატივით მოსახერხებელი შეიქნა თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა. ეს ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება იყო და ქართველი მეცნიერები ნიადაგს ამისათვის დიდი ხნით ადრე ამზადებდნენ. მაგრამ ქართული უნივერსიტეტი, რომელიც კერძო შემოწირულებათა თანხაზე იყო დაყრდნობილი და მთავრობისაგან არავითარ დახმარებას არ იღებდა, ძლივსღა არსებობდა. სულ რაღაც 4-5 აუდიტორია ჰქონდა მას დათმობილი ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობაში.

მენშევიკური მთავრობა არათუ დახმარებას უწევედა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ნორმალურად წარმართვაში, არამედ, პირიქით, ხელს უშლიდა მას. მენშევიკები შეშინებული იყვნენ, რომ უნივერსიტეტი—მეცნიერებისა და კულტურის კერა არ გადაქცეულიყო რევოლუციური მოძრაობის კერად. მას ფხიზლად უთვალთვალებდნენ მთავრობის აგენტები, ხოლო კედიას გვარდიის თავხედი ოფიცრები და ჯარისკაცები ხშირად მიმართავდნენ ჩხრეკა-დაპატიმრებას.

1918 წ. 9 ოქტომბერს, როცა უნივერსიტეტში ჯერ კიდევ სწავლა დაწყებული არ ყოფილა და მხოლოდ მისი ორგანიზაცია მიმდინარეობდა, მენშევიკური გვარდიის ნაწილებმა უკვე მოაწყვეს საფუძვლიანი ჩხრეკა. ამას გვაუწყებს უნივერსიტეტის რექტორის პროფ. მელიქიშვილის პროტესტი განათლების მინისტრის სახელზე 1918 წლის 7 ოქტომბრის თარიღით, სადაც შემდეგია ნათქვამი: „შაბათს 5 ამ თვეს ნაშუადღევის 4 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში მოსულა, როგორც თვითონ განუცხადებია, საგანგებო რაზმის უფროსი ნოდია რაზმელების თანხლებით და შესდგომია შენობის ჩხრეკას. უნივერსიტეტის მსახურთა განცხადებაზე, რომ მათ ნება არა აქვთ უნივერსიტეტის გამგეობის დაუკითხავად შენობაში ვინმე შემოუშვან, ბ. ნოდიას სიტყვიერი და ერთისთვის მოქმედებითაც შეურაცხყოფა მიუყენებია, იარაღით დამუქ-

რებია და იძულებულ უყვია მსახურნი—საპროფესორო ოთახი და კანცელარია გაეღოთ. ბ. ნოდიას არ შეუწყნარებია მსახურთა თხოვნა—უნივერსიტეტის გამგეობის ერთი წევრისათვის მაინც ეცნობებიათ საქმის ვითარება და ისე მოეხდინათ ჩხრეკა.

ბ-ნო მინისტრო, თქვენ, რასაკვირველია, კარგად მოგეხსენებათ, რომ უნივერსიტეტის ავტონომიის ერთი უმთავრესი გარანტია მდგომარეობს იმაში, რომ უნივერსიტეტის შენობაში რექტორის ნებადაურთველად არავის ნება არ აქვს შევიდეს, თუგინდ საგანგებო რაზმსაც.

გაცნობებთ რა ბ. მინისტრო, ნოდიას მიერ უნივერსიტეტის ავტონომიის ყოვლად უმიზეზოდ შელახვას და ჩხრეკის დროს ელემენტარული კანონების დარღვევას, გთხოვთ პასუხი მოსთხოვოთ ბ. ნოდიას და უნივერსიტეტი უზრუნველყოთ შემდეგში ასეთი შემთხვევისაგან.

რექტორი, დამსახურებული პროფესორი (ხელმოწერა)"[1].

საერთო დაცემულობა ბატონობდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. შემტევი ნაციონალიზმი, ინდივიდუალისტური განწყობილებანი, პესიმიზმი, დეკადენტური მოტივები ბატონობდნენ პოეზიაში. მენშევიკების ხანაში საქართველოში არ დაწერილა არც ერთი ოდნავ მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოები, პირიქით, ქართული მხატვრული ლიტერატურის კლასიკური ტრადიციები დავიწყებას მიეცა და ღრეევას განიცდიდა. ლიტერატურამ დაივიწყა ხალხის სამსახური, იგი ინდივიდუალური მოტივების ნაჭუჭში მოექცა, „დემოკრატიული" საქართველოს სახოტბო ლექსები და მოოხრობები ნაძალადევი, პირმოთნული, მხატვრული ღირებულების მხრივ დაბალი იყო. ხალხის ნამდვილ აზრებსა და იდეებს კი გზა ჰქონდათ დახშული.

ის პერიოდი ამავე დროს ქართული ენის წარყვნითაც ხასიათდება. იმდროინდელი ლიტერატურული ნაწარმოებები, ქართული პრესა ნათლად მოწმობენ ენის პროვინციალიზმებით დანაგვიანებას. ილიას, აკაკის, გოგებაშვილის სუფთა, დახვეწილი ქართული დავიწყებას მიეცა.

დაქვეითება-დაკნინებასა და მწვავე შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა ქართული თეატრი. მსახიობები შიმშილობდნენ და, ლუკმა-პურისათვის საჭირო გროშები რომ ეშოვათ, ცალ-ცალკე ჯგუფებად იკრიბებოდნენ და იაფფასიანი, მდარე რეპერტუარით

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 11, საქმე 2, გვ. 93.

მომთაბარეობდნენ საქართველოში. სახელმწიფო თეატრი უსახსრობის გამო არ არსებობდა.

ქართული თეატრი ისეთ მძიმე მატერიალურ პირობებში იმყოფებოდა, რომ „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ოპერის თეატრის დირექტორი იძულებული იყო თითქმის მუხლმოდრეკით ეთხოვა მოწყალება ინგლისის მისიისათვის.

მენშევიკურ ცრუპარლამენტში ნაფიც ორატორებს ხშირად უყვარდათ საქართველოს უძველესი კულტურის გახსენება, მაგრამ ამ კულტურის დაკნინება, რომ მათი შავბნელი საქმიანობის შედეგი იყო, ამაზე, რა თქმა უნდა, დუმდნენ.

მენშევიკური მთავრობა არ ზრუნავდა ხალხის ჯანმრთელობაზე. ომისა და შიმშილისაგან გამოწვეული გადამდები სნეულებანი ხალხს მუსრს ავლებდა. ინგლისელი იმპერიალისტების კოლონიურმა ჯარებმა საქართველოში შემოიტანეს გადამდები ავადმყოფობანი—დეზინტერია და ტროპიკული მალარია (მალტის ციებ-ცხელება); მშრომელები მოკლებული იყვნენ სამედიცინო დახმარებას. 1919 წლისათვის საქართველოში მხოლოდ 41 საავადმყოფო, 48 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება და 17 საფერშლო და საბებიო პუნქტი არსებობდა. საშუალოდ 7.407 მცხოვრებზე მოდიოდა ერთი ექიმი. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში აფთიაქებიც კი არ ყოფილა გახსნილი. მთელ სამხრეთ ოსეთს მომსახურებას უწევდა ერთი აფთიაქი.

ასეთია მენშევიკური მთავრობის სამწლიანი ბატონობის მოკლე, არასრული სურათი. ასე „აშენებდნენ“ ისინი „დემოკრატიულ“ საქართველოს. მენშევიკი მესვეურები, რა თქმა უნდა, ხედავდნენ, რომ, რაც დრო გადიოდა, „დემოკრატიული“ საქართველოს მშენებლობის საქმე არათუ წინ იწევდა, არამედ უფსკრულისაკენ მიექანებოდა. მათ ჯერ კიდევ ადრევე იგრძნეს, რომ დამოუკიდებლივ ქვეყნის მართვის არც სახსრები, არც უნარი არ გააჩნდათ. იცავდნენ რა მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს, იყვნენ რა შრომელი მასების დაუძინებელი მტრები, ცხადია, ისინი რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის საწინააღმდეგო ბანაკში აღმოჩნდნენ. ხსნის ერთადერთ ღუზას მათთვის იმპერიალისტური ევროპა და ამერიკა წარმოადგენდნენ. პარიზში მენშევიკური მთავრობის დელეგაცია მოკავშირეთა საბჭოს წინაშე პირდაპირ მათხოვრობდა, ხოლო საქართველოში ჯერ გერმანელი, შემდეგ ინგლისელი იმპერიალისტები თავიანთ ქვეყანაში ეზიდებოდნენ ქართველი ხალხის სიმდიდრეს. საქართველოს გაპარტახებითა და მისი უილაჯო მთავ-

რობის უსუსურობით კარგად სარგებლობდნენ იმპერიალისტი ყაჩაღები, რომლებიც ამზადებდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიის გადაქცევას მეორე ინდოეთად. საქართველო გაეხვია ანტანტის ბადეში. ამის შესახებ ჩვენ ცალკე თავში გვექნება ლაპარაკი.

მენშევიკები ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტების დახმარებით იმედოვნებდნენ „დემოკრატიული" საქართველოს აშენებას. მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რომ ისინი ამავე დროს თავის თავს სოციალისტებსაც უწოდებდნენ. როგორ უნდა შეეთავსებინათ მათ სოციალისტური იდეები ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტების გეგმებთან? ეს არ იყო ძნელი, იმიტომ, რომ სოციალიზმი მათ სიტყვის მასალად სჭიროდათ, სინამდვილეში კი, როგორც ზოგჯერ წამოსცდებოდათ ხოლმე, ბურჟუაზიის დიქტატურას ამკვიდრებდნენ. 1918 წლის 16 ივნისს ნ. ჟორდანია გარკვევით ამბობდა:

„თქვენ გგონიათ, რომ, რაკი მთავრობა სოციალისტურია, მან სოციალიზმი უნდა განახორციელოს. ეს ბოლშევიკების შეხედულებაა. ჩვენ კი სხვანაირად ვფიქრობთ. ჩვენ ვამბობთ: როცა სოციალიზმი განხორციელდება სხვა ქვეყნებში, მაშინ იგი ჩვენშიაც განხორციელდება".

ჟორდანია იმასაც ვერ მალავდა, რომ მისი მთავრობა ემსახურებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას იგი სათანადო თეორიულ დასაბუთებასაც აძლევდა. აი მაგალითად:

„ეჭვს გარეშეა, რომ ყოველგვარი სახელმწიფო, ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით ვერ დააღწევს თავს საქართველოს სახელმწიფო. ამისაგან თავის დაღწევა წმინდა უტოპიაა, და ჩვენ მას ოდნავადაც არ ავყვებით".

ამ სიტყვებით ჟორდანია ხატავდა მემარჯვენე სოციალისტების სახეს. ამიტომ იყო, რომ მეორე ინტერნაციონალის მესვეურები, ბურჟუაზიის აგენტები, დე გასპერის და სარაგატის, ბლიუმისა და შუმახერის მასწავლებლები კაუცკი და კამპანია, რომლებმაც მენშევიკური საქართველო მოიარეს, ტაშს უკრავდნენ მენშევიკურ პოლიტიკას.

ამრიგად, მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესების დამცველმა მენშევიკურმა მთავრობამ სამწლიანი არსებობის მანძილზე საქართველო კატასტროფის პირამდე მიიყვანა, მოშალა მისი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, გაამეფა ნგრევა, გაპარტახება და შიმშილი, საწარმოო ძალების ნგრევა და გაჩანაგება გამოიწვია. წარმოებითი ურთიერთობა არათუ შეესაბამებოდა საწარმოო ძალების ხასიათს, არამედ, პირიქით, მისი განვითარების ბორკი-

ლად იყო გადაქცეული. მემამულეები, კაპიტალისტები და მათი დამცველი მენშევიკური მთავრობა უცხოეთის იმპერიალისტთა ხიშტებზე დაყრდნობით—ერთი სიტყვით საზოგადოების ბნელი და დრომოჭმული ძალები გააფთრებით ებღაუჭებოდნენ ძველს, ებღაუჭებოდნენ არსებულ წარმოებით ურთიერთობას და ხელს უშლიდნენ საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონის მოქმედებას.

მაგრამ მათი ცდა ამაო იყო. ქვეყნის შიგნით ხანგრძლივ ბრძოლაში იწრთობოდნენ და იზრდებოდნენ რევოლუციური ძალები. იზრდებოდა პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის საბრძოლო კავშირი. მას სათავეში ედგა კომუნისტური პარტია, რომელსაც გზას ოქტომბრის დროშა უნათებდა. ამ ძალამ მოძმე რუსი პროლეტარიატის დახმარებით შეძლო დრომოჭმული ძალების დამარცხება.

თავი V

„დემოკრატიული“ საქართველო დასავლეთის იმპერიალისტთა ბრძოლებში

1. გერმანელ-თურქი ოკუპანტები საქართველოში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დამფრთხალმა იმპერიალისტურმა ქვეყნებმა რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკის დამხობისა და კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების აღდგენისათვის ენერგიული მზადება დაიწყეს. რეაქციული ბანაკის მესვეურები, დაიმედებულნი იმით, რომ შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელ ინტერვენტთა ჯარების შეტევას საბჭოების ახალგაზრდა რესპუბლიკა ვერ გაუძლებდა და დამარცხდებოდა, საქვეყნოდ გაყვიროდნენ, რომ სულ მალე რუსეთში აღდგენილი იქნება „წესრიგი“, რომ უნიადაგო საბჭოთა ხელისუფლება ერთი ან ორი კვირა, სულ ბევრი ორი-სამი თვე თუ გაძლებსო. იმპერიალისტური ბანაკის ამ ხმაურს ბანს აძლევდნენ ქართველი მენშევიკები. მენშევიკური პარტიის მესვეურთა ყოველი სიტყვა კონტრრევოლუციურ კომისარიატსა თუ სეიმში, „დემოკრატიული“ მთავრობის სხდომებზე თუ პრესაში აღსავსე იყო ბოლშევიკების ლანძღვა-გინებით და „ბრძნული წინასწარმეტყველებით“ საბჭოთა ხელისუფლების სწრაფი დაცემის შესახებ.

მაგრამ სინამდვილეში პირიქით ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლება დღითი დღე მტკიცდებოდა. მისი სასიცოცხლო ძალები უფრო და უფრო იზრდებოდნენ. ბრესტის ზავის შემდეგ შესვენების პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ გატეხა ბურჟუაზიის სამეურნეო ძლიერება და თავის ხელში აიღო სახალხო მეურნეობის მბრძანებლური სიმაღლეები, დაამსხვრია ბურჟუაზიული სახელმწიფო აპარატი, დაიწყო გადასვლა ახალ სოციალისტურ ეტაპზე — შეუდგა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლების მშენებლობას.

ბოლშევიკური პარტია მტკიცედ შეუდგა უთაურობის, მცონარობის, უდისციპლინობის ლიკვიდაციას. გაშალა სოციალისტური შეჯიბრება წარმოებაში, ალაგმა სპეკულანტები, ჩარჩ-ვაჭრები, რომლებიც საერთო გაჭირვების დროს ხალხის ზურგზე გამდიდრებას აპირებდნენ.

პარტიამ კომუნისტური წესრიგი დაამყარა სოფლად: მოაწყო სოფლად მუშათა ლამჭრობანი, ღარიბთა კომიტეტების საშუალე-

ბით დაუნდობელი ბრძოლა გააჩაღა კონტრრევოლუციურ კულაკობასთან, რომელიც პურს მალავდა. კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლამ, ღარიბი გლეხობისადმი პროლეტარული სახელმწიფოს დახმარებამ საბჭოთა ხელისუფლება განამტკიცეს სოფლად და შეამზადეს ნიადაგი საშუალო გლეხობის გადასაყვანად საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე.

კომუნისტურ პარტიას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ საერთაშორისო იმპერიალიზმი საბჭოთა რესპუბლიკაზე გადამწყვეტ დარტყმას ამზადებდა, რომ რუსეთის შინაურ კონტრრევოლუციას, რომელსაც უმთავრესად ყაზახთა ზედაფენებისა და კულაკობის სახით ჰყავდა ადამიანთა ერთგვარი რეზერვები, იარაღით, ფულით, სურსათით აიარაღებდა ანტანტა და სხვადასხვა ფრონტიდან ერთდროული შემოტევისათვის რაზმავდა. ამიტომ იყო, რომ პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევდა სოციალისტური სამშობლოს დამცველი არმიის, წითელი არმიის მშენებლობას. ეს ახლადშობილი არმია პარტიისა და მთავრობის ენერგიულ ღონისძიებათა შედეგად სწრაფად იზრდებოდა, მისი რიგები ფართოვდებოდა მუშათა და გლეხთა ახალ-ახალი კადრებით, რომლებიც მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დასაცავად.

1918 წლის პირველ ნახევარში უკვე განხორციელდა ორი ანტისაბჭოთა ძალის—უცხოურისა და შინაურის გაერთიანება. დაიწყო უცხოეთის ინტერვენცია საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ინგლისელმა, ამერიკელმა, ფრანგმა და იაპონელმა იმპერიალისტებმა თავიანთი ჯარები გადმოსხეს რუსეთის ტერიტორიაზე. მათივე მხარდაჭერით ამოქმედდნენ თეთრგვარდიელი გენერლების —კორნილოვის, ალექსეევის, დენიკინის თეთრგვარდიული არმიები და ჩეხოსლოვაკელთა კორპუსი, თავი წამოყო კულაკურმა ზედაფენამ ვოლგასა და ციმბირში, ესერულად განწყობილმა მუშებმა ამბოხება დაიწყეს ვოტკინსკისა და იჟევსკის ქარხნებში.

დამთავრდა შესვენების პერიოდი და დაიწყო სამოქალაქო ომი, რუსი მუშებისა და გლეხების ომი საბჭოთა ხელისუფლების გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ კომბინირებულ ლაშქრობაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ კაიზერის გერმანია და მისი მოკავშირე თურქეთი. მართალია, ფორმალურად გერმანია-თურქეთს არ შეეძლოთ ანტანტის ინტერვენციაში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან ისინი ამ ბლოკთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, მართალია, მათ საბჭოთა ქვეყანაზე აშკარა თავდასხმა

არ შეეძლოთ, რადგან საბჭოთა რუსეთსა და გერმანია-თურქეთს შორის საზავო ხელშეკრულება არსებობდა, მაგრამ იმპერიალიზმის შინაგანი ბუნება კაიზერის გერმანიასა და თურქეთს უკარნახებდათ სოციალიზმის პირველი კერის წინააღმდეგ ბრძოლაში ისევ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მხარეზე ყოფილიყვნენ. გერმანელი იმპერიალისტები ყველა ზომას მიმართავდნენ, რათა საბჭოთა ხელისუფლება დაემხოთ. ისინი აქეზებდნენ და მხარს უჭერდნენ თეთრგვარდიელ გენერლებს კრასნოვსა და მამონტოვს, რომლებმაც დონის ოლქიდან დაიწყეს ლაშქრობა საბჭოების წინააღმდეგ. გერმანელი ოკუპანტები დათარეშობდნენ უკრაინაში, ძარცვავდნენ უკრაინელ მუშებსა და გლეხებს, ხოლო უკრაინელი ხალხის მოღალატე მთავრობას—თეთრგვარდიულ რადას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქეზებდნენ. დადეს რა ხელშეკრულება მენშევიკურ საქართველოსთან და მუსავატურ აზერბაიჯანთან, გერმანელმა იმპერიალისტებმა ამიერკავკასია რუსეთს ჩამოაცილეს, გამოაცხადეს მათი დამოუკიდებლობა, რათა თავისუფლად ეძარცვათ ეს ქვეყნები და საბჭოთა რუსეთზე თავდასხმისათვის სამხედრო პლაცდარმად გადაექციათ. იმპერიალისტური თურქეთის დახმარებით მუსავატები უტევდნენ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების ციტადელს—ბაქოს კომუნას.

ამრიგად, მსოფლიო გაითიშა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: იმპერიალისტურ და სოციალისტურ ბანაკად. ყველა ქვეყნის იმპერიალისტები თანაბარი გააფთრებით უტევდნენ საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც, საერთაშორისო მუშათა კლასის თანაგრძნობითა და მხარდაჭერით გამხნევებული, საკუთარი ძალებით იგერიებდა ამ შემოტევას და იმპერიალისტების ყველა გეგმას ზედიზედ ფუშავდა.

მოექცნენ რა ხელისუფლების სათავეში, მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატები ამიერკავკასიის მშრომელებს არწმუნებდნენ თითქოს ისინი ამ „საერთო ანარქის“ პირობებში დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდნენ და დემოკრატიას განამტკიცებდნენ, თითქოს ორი ბანაკის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მათ არ შეეხება და სხვ. მაგრამ ეს იყო თვალთმაქცობა, რადგან შექმნილ ვითარებაში ამიერკავკასიის „დემოკრატიულ რესპუბლიკათა“ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი სასაცილო იყო, იგი არავის არ სჯეროდა. მიუხედავად თვალთმაქცობისა, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ პარტიებს არ შეეძლოთ ხალხისათვის დაემალათ ის ფაქტი, რომ საბჭოთა რუსეთისათვის ზურგის შექცევა ნაკარნახევი იყო სოციალიზმის იდეისადმი დაუძინებელი მტრობით, რომ გერმანული იმპერიალიზმისათვის კარების გახსნა და მათი ჯარების შემოყვანა ამიერ-

კავკასიაში ნიშნავდა მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავათელების საბოლოო გადაბარგებას იმპერიალიზმის ბანაკში და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საკუთარი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ ომის დაწყებას.

ქართველი მენშევიკები კარგად ხედავდნენ, რომ საქართველოს მშრომელები საბჭოთა რუსეთისაგან ზურგის შექცევას და იმპერიალისტური გერმანიისათვის კარების გახსნას მათ არ აპატიებდნენ და, გერმანელთა ჩამოსვლის ნამდვილი მიზანი რომ დაეფარათ, მათ ქართველი ხალხის წინაშე ასეთი განცხადება გააკეთეს:

„საქართველოს მთავრობა აუწყებს მოსახლეობას, რომ თბილისში ჩამოსული გერმანელთა ჯარები მოწვეულია თვით საქართველოს მთავრობის მიერ და მათს ამოცანას შეადგენს საქართველოს მთავრობასთან სრული თანხმობითა და მისი მითითებით დაიცვან დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრები"[1].

ამ განცხადების მიზანი, ცხადია, ხალხისათვის თვალის ახვევა იყო. სინამდვილეში მენშევიკები სწორედ გერმანელთა დახმარებით ფიქრობდნენ გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობას საქართველოში და თავიანთი დიქტატურის განმტკიცებას.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკა" გაფორმებულიც კი არ ყოფილა და გერმანელთა საზავო დელეგაციასთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 14 მაისის სხდომაზე გერმანელთა მოწვევის მიზანი ასე განსაზღვრა:

„ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს შესაძლებელია, დასტოვოს საქართველოში გერმანელი ტყვეები და ოფიცრები და მიანდოს მათ სამხედრო ორგანიზაცია, რომ საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა ჰქონდეს გამოიყენოს ეს ჯარი წესრიგის დასამყარებლად ქვეყნის შიგნით და ანარქიასთან საბრძოლველად"[2]

საქართველოს ტერიტორიაზე გერმანული პოლკების შემოსვლის პირველი დღიდანვე ცხადი გახდა, თუ როგორ ესმოდათ ოკუპანტებს საქართველოს დამოუკიდებლობა ან წესრიგის დაცვა. გერმანელმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დაიწყეს თავისუფალი პარპაში და მბრძანებლობა. ისინი აბუჩად იგდებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, თვითნებურად იჭრებოდნენ სახლებში და მაროდიორობას ეწეოდნენ. „დამოუკიდებელი", დემოკრატიული მთავრობა კი ამ ფაქტების წინაშე თავს განგებ იყრუებდა.

---

[1] გაზ „ბორბა", № 92, 1918 წ.

[2] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, ფ. 7, საქმე 1, გვ. 70.

რით უნდა ემართლებინათ თავი მენშევიკებს ხალხის წინაშე? რით უნდა აეხსნათ მათ დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღესვე საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის არმიის შემოყვანა და მისი პარპაში? ცხადია, გასამართლებელი საბუთი არ არსებობდა, მაგრამ მენშევიკური მთავრობის ოფიციოზმა „ერთობამ", რომელიც თვალთმაქცობაში საკმაოდ დახელოვნებული იყო, ამ აღმაშფოთებელ ფაქტსაც თავის გამართლება მოუძებნა. 1918 წ. 28 მაისს „ერთობა" წერდა: „ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წვრილი ერების ბედი დიდი სახელმწიფოების ხელშია, ამიტომ სრულ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია. არა თუ ჩვენისთანა ღარიბი და მცირერიცხოვანი ერი, კარგი მოზრდილი სახელმწიფოებიც არ არიან სავსებით თავისუფალნი დიდი სახელმწიფოების ეკონომიური და პოლიტიკური გავლენისაგან". გაზეთი აქ ფრთხილად, შემპარავი ტონით ამხელდა მენშევიკური პარტიის თვალსაზრისს და ასამარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. ამავე გაზეთში მეორე ადგილას უფრო გარკვევით არის მოტივირებული გერმანული ორიენტაციის „აუცილებლობა": „ქართველი ერის პოლიტიკა პირველყოვლისა, მის საკუთარ ძალებზე უნდა ემყარებოდეს. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ ეს ძალები არ არის საკმარისი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის, საჭიროა კიდევ გარეშე ძალა, რომელიც ზურგს გაუმაგრებს საქართველოს დამოუკიდებლობას. როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ამიერკავკასიისკენ მიისწრაფვიან ოსმალეთს გარდა: გერმანია, ინგლისი და რუსეთი. ოსმალეთს ჩვენი მიწასთან გასწორება უნდა, ინგლისი შორს არის, ბოლშევიკური რუსეთი ჩვენზე მოდის მხოლოდ შურის საძიებლად. მაშასადამე, თავისთავად იხსნება საკითხი ამ სახელმწიფოთა ორიენტაციისა. დარჩა გერმანია. არის თუ არა გერმანია დაინტერესებული ჩვენი ბედით? თუ ოდნავ მაინც გავითვალისწინებთ საერთაშორისო ომის მსვლელობას, ჩვენ დავინახავთ, რომ ამიერკავკასიაში ჩასახულია ძლიერი ეკონომიური ინტერესი გერმანიისა. ომის საწარმოებლად გერმანიას ჭირდება ნედლი მასალა, რომელიც მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში. გერმანელი მრეწველები უკვე შეუდგნენ ჭიათურაში შავი ქვის (მარგანეცის) დამუშავებას. მაშასადამე, ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკას ამიერკავკასიაში წინ უდგას გერმანიის ეკონომიური ინტერესები საქართველოში". გაზეთი შემთხვევით არ იხსენიებს „ბოლშევიკურ რუსეთს", რომელიც სინამდვილეში არავის არ ემუქრებოდა. საბჭოთა რუსეთი სრულებით არ ემუქრებოდა საქართველოს, პირიქით, აფრთხილებდა მას არ

მოქცეულიყო ევროპის იმპერიალისტ-მტაცებელ სახელმწიფოთა კლანჭებში. მაგრამ სწორედ ამ დროს თვით საქართველოს მშრომელები იარაღით ხელში ებრძოდნენ მენშევიკურ მთავრობას, საქართველოს ყველა კუთხეში აგრარული რევოლუცია იყო დაწყებული. ხალხი მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლებას, იგი იარაღით ფიქრობდა მენშევიკური მთავრობის დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ამ ბრძოლას სათავეში ქართველი ბოლშევიკები ედგნენ, და, რა თქმა უნდა, მენშევიკური პარტია, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკის დაუძინებელი მტერი იყო, გაყვიროდა იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები საბჭოთა რუსეთის აგენტები არიან, რომ თითქოს ბოლშევიკური რუსეთი საქართველოზე შურის საძიებლად მოდის. ნამდვილად კი ისინი თვითონ ფიქრობდნენ საქართველოს მუშებზე და გლეხებზე შურისძიებას გერმანული ხიშტებით. აი რატომ სჭიროდათ მათ დამოუკიდებლობის აბრა, ხოლო ამ აბრის ქვეშ გერმანულ ხიშტებზე დაყრდნობილი კონტრრევოლუციური დიქტატურა.

მიუთითებდა რა მენშევიკური მთავრობის დამოუკიდებლობის თვალთმაქცურ თამაშზე, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ვისგანაა დამოუკიდებელი გეგეჭკორის მთავრობა? საბჭოთა რესპუბლიკისაგან იგი დამოუკიდებელია, მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმისაგან იგი ცოტათი დამოკიდებულია, და ეს ბუნებრივიცაა"[1].

ხოლო 1918 წ. 29 ივლისის სიტყვაში ლენინი, რომელსაც უკვე ხელთ ჰქონდა საქართველოს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ გერმანული საოკუპაციო ჯარებისა და მენშევიკური დამსჯელი რაზმების შეთანხმებული მოქმედების უტყუარი ფაქტები, მიუთითებდა, რომ „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა,—სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ..."[2].

ცხადია, გერმანიის იმპერიალიზმის ინტერესებში სრულებითაც არ შედიოდა საქართველოს „დემოკრატიული მთავრობის" დაცვა. მას სრულებითაც არ ეხალისებოდა ეჟელიტა გერმანელი ჯარისკაცები ქართველ მუშებთან და გლეხებთან ბრძოლაში; და თუ ამას იგი მაინც აკეთებდა, იმისათვის, რომ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები ამოძრავებდა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 454.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

1918 წლ. 9 ივნისს ლუდენდორფი გერმანიის კანცლერს პერტლინგს წერდა: „საქართველოში ჩვენ საშუალება მოგვეცემა ვანვამტკიცოთ ჩვენი ძლიერება უმნიშვნელო ძალების გამოყენებით. . თუ ჩვენ საქართველოში მოვიპოვებთ დასაყრდენ პუნქტს, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კავკასია თანდათან დამშვიდდება და საშუალება მოგვეცემა მივიღოთ იქედან ჩვენთვის უაღრესად საჭირო ნედლეული". და წინადადებას იძლეოდა ამ საქმისათვის გამოყენებინათ იმჟამად ბერლინში მყოფი აკაკი ჩხენკელი.

ვინც ლუდენდორფის მოგონებებს 1914 — 1918 წწ. ომზე დაკვირვებით გაეცნობა[1], დაინახავს, რომ კაიზერის გერმანიის ერთ-ერთი ბურჯთაგანი ლუდენდორფი საკმაო სიზუსტით მოგვითხრობს გერმანიის ნამდვილ ზრახვებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ გერმანიას საქართველოსკენ იზიდავდა სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები. გერმანელებს კარგად ესმოდათ ამიერკავკასიის რკინიგზის სტრატეგიული მნიშვნელობა. სწორედ ამ გზით შეიძლებოდა ჯარების გადაყვანა ჩრდილოეთ ირანში და იქედან ინგლისელების განდევნა. ლუდენდორფი ამ გეგმის განსახორციელებლად ვარაუდობდა საქართველოს ჯარების გამოყენებას. ამავე დროს, როგორც იგი აღნიშნავს, აპირებდა მუშახელის შეგროვებას ადგილობრივი მოსახლეობიდან, რომელსაც არმიაში გასაწვევი მუშები უნდა შეეცვალა გერმანიაში.

ეკონომიური ინტერესები უფრო ფართო იყო. 4-წლიან ომში სისხლისაგან დაცლილ გერმანიას აკლდა სამრეწველო ნედლეული, სურსათი. კავკასია კი თავისი წიაღისეული სიმდიდრეებით, სიუხვითა და მრავალფეროვნებით სასოწარკვეთილებამდე მისულ გერმანელ იმპერიალისტებს დიდ იმედებს უნერგავდა. აქ იყო მარგანეცი, ქვანახშირი, ნავთი, ხე-ტყე. გერმანელებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ბაქოს ნავთი. საქართველოში დამკვიდრების შემდეგ კი მათთვის ბაქოში შესვლაც არ უნდა გაძნელებულიყო. მით უმეტეს, რომ განჯაში ჩამოყალიბებული კონტრრევოლუციური მუსავატური მთავრობა თვით ეპატიჟებოდა გერმანელებსა და თურქეთს ბაქოს კომუნის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბაქოში შესვლით გერმანელებს შეეძლოთ ხელთ ეგდოთ ვეებერთელა მარაგი ნავთისა, რომლის გაზიდვა უზრუნველყოფილი იქნებოდა ბაქო-ბათუმის რკინიგზით. საქართველოში გერმანიის ჯარები ჯერ კიდევ

[1] Э. Людендорф. Мои воспоми ания о войне, 1914—1918 гг., том II вз. 219—221.

არ იყვნენ შემოსული, რომ გერმანელი მრეწველები უკვე დაეპატრონენ ჭიათურის მარგანეცს[1].

გერმანელი იმპერიალისტების პოლიტიკურ მიზანს შეადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის გადაქცევა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო პლაცდარმად. კაიზერის გერმანიის საოკუპაციო ჯარები, მენშევიკურ მთავრობასთან შეთანხმებით საქართველოში გაჩაღებულ რევოლუციურ მოძრაობას რომ ახშობდნენ, ამავე დროს ამზადებდნენ საბჭოთა რესპუბლიკაზე დარტყმას. პირველ რიგში ისინი უმიზნებდნენ ბაქოს, მით უმეტეს, რომ ბაქოს კომუნის წინააღმდეგ გაერთიანებული მუსავატური, თურქული, მენშევიკური და დაშნაკური ძალები ხელებს უწვდიდნენ გერმანიის სარდლობას ამიერკავკასიაში. საბჭოთა ხელისუფლების ციტადელი ამიერკავკასიაში—ბაქო მთელ ძალებს იკრებდა, რათა ბაქოში გერმანელი ოკუპანტები არ შეეშვა და არ მიეცა მისთვის კავკასიის ნავთი. სტ. შაუმიანი ლენინსა და სტალინს ატყობინებდა:

„11 ივნისს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის ჯარის მესამე ეშელონი. 8 ივნისს ფოთში სამი ტრანსპორტიდან გადმოსხდნენ გერმანიის ჯარები არტილერიით... ჩვენი ჯარები მხნედ არიან, წესრიგი სანიმუშოა, ფლოტი გმირულად დაიცავს საბჭოთა ხელისუფლებას, მუშების განწყობილება, მიუხედავად თითქმის სამი თვის შიმშილისა, ძალიან აწეულია, უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლებენ. „ცოცხლები არ ჩავვარდებით და გერმანელ მტაცებლებსაც არავითარ ნავთს არ დავუტოვებთო",—ამბობენ მუშები"[2]

ამრიგად, მენშევიკური მთავრობისა და კაიზერის გერმანიის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდნენ: პირველს თავისი კონტრრევოლუციური დიქტატურის განსამტკიცებლად გერმანიის არმია ჭირდებოდა, ხოლო მეორეს — მზად იყო გაეწია ეს სამსახური, რადგან სამაგიეროდ იგი საჩუქრად იღებდა საქართველოს თავისი მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსებითა და სტრატეგიული რკინიგზით. ასეთი მუხანათური გარიგების დროს, ცხადია, ოდნავადაც არ ყოფილა გათვალისწინებული ქართველი ხალხის ინტერესები, მისი მისწრაფება, პირიქით, ეს გარიგება ხალხის ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამიტომ ეჩქარებოდა კაიზერის გერმანიას საქართველოს რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის" იურიდიული გაფორმება, ე. ი. ამ

---

[1] Карл Мюльман. Германо-турецкий военный союз в мировой войне. გვ. 207—208.

[2] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 13, ს. 8, გვ. 1.

„დამოუკიდებელი“ რესპუბლიკის ცნობა საბჭოთა მთავრობის მიერ. ამის შემდეგ გერმანიის იმპერია თავის გეგმებში აღარ იქნებოდა შეზღუდული ბრესტის საზავო პირობებით. 1918 წ. 22 ივნისს რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში ფონ-კულმანი დაჟინებით მოითხოვდა, რათა გერმანიის მთავრობას გაეჩაღებინა მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან ამიერკავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ცნობის საკითხზე. ფონ-კულმანი ამბობდა, რომ გერმანიის მთავრობამ უკვე იცნო საქართველოს რესპუბლიკა დე-ფაქტოდ, რომ გერმანიის იმპერიასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის უკვე დამყარებულია მეგობრული ურთიერთობა და სხვ. ცხადია, ფონ-კულმანს სურდა, ამ ახალი შენაძენის ძარცვაში სავსებით დამოუკიდებელი ყოფილიყო. მაგრამ საბჭოთა მთავრობას, რომელიც გერმანიის ამ ახალ აგრესიულ აქტში ხედავდა საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს, არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა ეს ფაქტი. საბჭოთა მთავრობისათვის ცხადი იყო ისიც, რომ კაიზერის გერმანია საქართველოს ტერიტორიაზე ამზადებდა ახალ პლაცდარმს სოციალისტურ რესპუბლიკაზე შეტევისათვის. ი. ბ. სტალინი წერდა სტ. შაუმიანს:

„ჩვენი საერთო პოლიტიკა ამიერკავკასიის საკითხში იმაში მდგომარეობს, რომ გერმანელები ვაიძულოთ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის საკითხები ოფიციალურად აღიარონ რუსეთის შინაურ საკითხებად, რომელთა გადაწყვეტაში გერმანელები ვერ მიიღებენ მონაწილეობას. სწორედ ამიტომაც, ჩვენ არ ვცნობთ გერმანიის მიერ ცნობილ საქართველოს დამოუკიდებლობასო“...[1].

კაიზერის გერმანიის მესვეურები არც კი ფარავდნენ თავიანთ მომავალ გეგმებს კოლონიურ საქართველოში. საქართველო გერმანულ გეგმებში გამოიყურებოდა ისე, როგორც ინდოეთი ინგლისის იმპერიალიზმის მფარველობაში. როცა ბერლინში საქართველოს დელეგაციის წევრი ზ. ავალიშვილი შეეკითხა სიმონსს, თუ როგორ ესახება მას მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში, ამ უკანასკნელმა უპასუხა: „ფორმით ეს ჩვეულებრივი დიპლომატური წარმომადგენელია, არსებითად იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინგლისის რეზიდენტი დამოუკიდებელი ინდოეთის სახელმწიფოშიო“[2]. როგორი დამოუკიდებ-

---

[1] Документы по истории гражданской войны в СССР. ტ. 1, გვ. 289—290.

[2] Авалов. Независимость Грузии в международной политике, Париж, 1924, გვ. 83.

ლობა ჰქონდა ინდოეთს ინგლისის იმპერიალიზმის კლანჭებში, ეს ავალიშვილს და სიმონსს კარგად ესმოდათ.

გერმანელი ოფიცრები ინსტრუქტორებად დანიშნეს მენშევიკური მთავრობის არმიაში. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რისთვის ჭიროდა ლუდენდორფს საქართველოს არმია და მას ამ მიზნით გერმანელ ტაქტიკაზე წრთვნიდა. უკვე 11 ივლისს თბილისში, გოლოვინის პროსპექტზე „შედგა საქართველო-გერმანიის ჯარების პარადი. სამივე გვარის იარაღის ჯარები (ქვეითი, კავალერია და არტილერია) ჩამწკრივდნენ სასახლიდან დაწყებული დიდი ტაძრის მიმართულებით. ...მთავრობის მეთაურმა ჩამოუარა ჯარების მწკრივს. დიდების ტაძართან ნ. ფ. რამიშვილმა სიტყვით მიმართა გერმანიის ჯარებს, მიესალმა მათს ჩამოსვლას კავკასიაში და გამოსთქვა რწმენა, რომ პირისპირ მდგომი გერმანიისა და საქართველოს ჯარები ერთმანეთთან სრული კონტაქტით შესძლებენ წესრიგის დაცვას ჩვენს ქვეყანაში. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა შულენბურგმა, რომელმაც გამოსთქვა რწმენა, რომ ამიერიდან გერმანიის საიმპერატორო ჯარები და საქართველოს რესპუბლიკის ჯარები მუდმივ მეგობრულ ურთიერთობაში იქნებიან და ერთმანეთის ინტერესებს დაიცავენ“[1].

გერმანელი კოლონიზატორების შემოსვლას ქართველი ხალხი მტრულად შეხვდა. ხშირი იყო შეტაკება გერმანელ ჯარისკაცებთან და ოფიცრებთან. ქართველი ხალხის ასეთი ცივი, მტრული დახვედრა მალე იგრძნეს გერმანული კოლონიზაციის მესვეურებმა. 1918 წლ. 24 ივნისს თბილისში ჩამოვიდა გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და ბულგარეთის დელეგაცია. ნ. ჟორდანიასთან საუბარში, ეხებოდა რა საქართველოს მშრომელთა დამოკიდებულებას გერმანიის ჯარისადმი, გერმანიის დელეგაციის მეთაური ფონ კრესი, აღნიშნავდა, რომ „ქართველი ხალხი უარყოფითად ეკიდება გერმანელთა ყოფნას საქართველოში, ამავე დროს გერმანიის ჯარები მოვიდნენ აქ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობის სურვილის თანახმადო“[2]. მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია კი, ცდილობდა რა გერმანელი ბატონების დამშვიდებას, თავს იმართლებდა და უპასუხებდა, რომ „საქართველოში გერმანელთა ყოფნით ქართველი ხალხის უკმაყოფილება—გაუგებრობაა“.

ჟორდანიამ და მის გარშემო შემოკრებილმა მინისტრებმა სა-

---

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში 1918 წ., დოკუმენტებისა და მასალების კრებული, გვ. 53—54.

[2] გაზ. „ბორბა“, № 102, 1918 წ.

სურველი შთაბეჭდილება მოახდინეს ფონ კრესზე. მონარქისტი ფონ კრესი მალე დარწმუნდა, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობისათვის სოციალიზმი მხოლოდ ცარიელი, საფარი ფრაზა და პრაქტიკაში ისინი დიდი ხანია საკმაოდ დიდი მანძილით დაშორდნენ სოციალიზმს. საინტერესოა ამ მხრივ ფონ კრესის წერილობითი მოხსენება აღნიშნული შეხვედრის შესახებ: „თუ არ მივიღებთ მხედველობაში წმინდა გარეგნულ მხარეს, ჩემზე მინისტრებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს, რამდენადაც შეიძლება ითქვას პირველი საუბრის მიხედვით... მათ ღირსეულად ეჭირათ თავი, ზოგჯერ პასუხის მოცემის დროს დარცხვენილად იღიმებოდნენ, როცა იძულებული იყვნენ ეღიარებინათ, რომ სოციალიზმია ზოგიერთი ლოზუნგი ცხოვრებაში მიუღებელია. მეტად საინტერესოა თვალყურის დევნება როგორ ნაკლებად შეგუებულნი აღმოჩნდნენ ცხოვრებასთან სოციალისტური იდეები, როგორც კი დაიწყეს მათი პრაქტიკული გატარება. სინამდვილეში ეს ბატონები პირობების ზეგავლენით უკვე დიდიხანია აღარ არიან სოციალ-დემოკრატები“[1].

ეს, რა თქმა უნდა, მენშევიკების ზუსტი დახასიათება იყო, რასაც გენერალი ფონ კრესი თავისდა უნებურად იძლეოდა. მასაც კი არ გაუჭირდა საქართველოს მენშევიკური მთავრობის შემადგენლობაში დაენახა ის გადაგვარება, რაც თვით საქართველოს მშრომელებისათვის დიდი ხნიდანვე უკვე ცნობილი იყო.

ფონ კრესს განსაკუთრებით მოწონდა ეს მთავრობა მისი პრაქტიკული საქმიანობის გამო, საქმიანობისა, რომელიც სოციალიზმის იდეების საბოლოო ღალატსა და მონარქისტული გერმანიის ბრძანების ქვეშ სამსახურს ნიშნავდა. მას სურდა წაეხალისებინა ჟორდანია და მისი კამპანია. სწორედ ამიტომ წერდა ფონ კრესი გერმანიის მთავრობას: „სასურველი იქნებოდა გვეჩუქებია საქართველოს ხელმძღვანელ პირთათვის—ნოე ჟორდანიისთვის, ჩხენკელისათვის, რამიშვილისათვის, ჩხეიძისთვის, გიორგაძისთვის, ეურულისთვის, ლორთქიფანიძისთვის, ბარათაშვილისათვის, გედევანოვისათვის, ანდრონიკოვისათვის, კედიასათვის, ვაჩნაძისათვის ვერმანული ორდენები...“[2]. მბრძანებელი მოწყალებას იღებდა და ასაჩუქრებდა თავის ლაქიებს. ლაქიები კი ერთგულ სამსახურს აღუთქვამდნენ.

გერმანელი იმპერიალისტები, რომელთა ინტერესების ერთგული აღმსრულებელი იყვნენ პრუსიელი ოფიცრები და ფელდფებელები, საქართველოში ისე მოკალათდნენ, როგორც კოლონიურ

[1] გაზ. „კომუნისტი“, № 282, 9 დეკემბერი, 1933 წ.

[2] იქვე.

ქვეყანაში. გერმანელებმა ხელთ იგდეს საქართველოს რკინიგზა, ხოლო საქართველოს მთავრობას დააკისრეს მარტოოდენ რკინიგზის მომსახურება. მათ ხელთ იგდეს აგრეთვე საქართველოს საზღვაო ნავსადგურები. რკინიგზასა და საზღვაო ნავსადგურებში თავიანთი კომენდატურები შექმნეს, რომლებიც არ ცნობდნენ საქართველოს მთავრობის განკარგულებებს და მოქმედებდნენ საოკუპაციო ჯარის სარდლობის ბრძანებათა თანახმად. გერმანიის სარდლობის კონტროლქვეშ მოექცა აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფი, ბანკები, სამინისტროებში დანიშნულ იქნენ გერმანელი მრჩეველები და თვით დამფუძნებელი კრების ოქმებიც კი შესათანხმებლად გერმანიის წარმომადგენლობას ეგზავნებოდა.

გერმანელი ოკუპანტები აშკარად, ყოველგვარი ცერემონიის გარეშე ერეოდნენ საქართველოს მთავრობის შინაურ საქმეებში და კარნახობდნენ მთავრობის შემადგენლობას მათთვის საჭირო საქმეების დაუყოვნებლივ შესრულებას. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები გერმანელი კოლონისტები, რომელთა შორის საკმაოდ ბევრი ჯაშუში და დივერსანტი იყო, გერმანიის ჯარების დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ. ბორჩალოს მაზრის გერმანელმა კულაკებმა თავი აიშვეს და გააორკეცეს ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა.

გერმანელი ოკუპანტები იცავდნენ ქართველი მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებს. მიწათმფლობელებმა იგრძნეს რომ საქართველოში გერმანელთა ჯარების შემოსვლით დადგა ხელსაყრელი მომენტი გარევოლუციურებულ გლეხობასთან ანგარიშის გასწორებისა და ისინი პირადად მიმართავდნენ გერმანიის სარდლობას დახმარებისათვის. 1918 წლის 2 სექტემბერს მემამულე დ. კედიბერაშვილმა გერმანიის დელეგაციას მიართვა თხოვნა, სადაც იგი აღნიშნავდა გლეხების თვითნებურ მოქმედებას და დელეგაციას სთხოვდა დახმარებოდა ჯარებით მისი ძველი პრივილეგიების აღდგენაში[1]. ასეთივე ხასიათის თხოვნა გაუგზავნა დელეგაციას მემამულე თაიროვმა.

გერმანელები, ცხადია, მზად იყვნენ შეესრულებინათ მემამულეთა სურვილი. გერმანელი ოკუპანტები თავის თავზე იღებდნენ რევოლუციურად განწყობილი სოფლების დაშოშმინებას იარაღით. 1918 წლის 14 სექტემბრის თარიღით გერმანელთა დელეგაციის თავმჯდომარე ოტო ფონ კრესი ნ. რამიშვილის სახელზე გზავნის შემდეგ მიმართვას:

---

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. § 92.

„ბატონო მინისტრო! პატივი მაქვს გამოვუგზავნო თქვენს აღმატებულებას დედანი ჩემდამი მომართული მოხსენებისა და ამასთანავე გაცნობოთ, რომ მე მზადა ვარ სოფელ არახლოსა და ყიზილსოში ბოროტების აღმოსაფხვრელად თქვენს განკარგულებაში გამოვგზავნო გერმანელთა ჯარი.

...მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებრივი უშიშროებისათვის და თქვენს ქვეყანაში ნორმალური პირობების აღსადგენად, სავსებით აუცილებელია ამ და მსგავს შემთხვევაში, ბოროტმოქმედების გამოელინებისთანავე, დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას სამხედრო ხასიათის ზომები, რათა დამაშინებელი მაგალითი მიეცეს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც გამოსვლებისადმი აქვთ მიდრეკილება.

დავშთები თქვენი აღმატებულების დიდად პატივისმცემელი ოტო ფონ კრესი"[1].

შინაგან საქმეთა მინისტრ რამიშვილისადმი პირდაპირ კარნახს წარმოადგენს ფონ კრესის წინადადება 1918 წ. 22 სექტემბრის თარიღით: „ბატონო მინისტრო! მე გავიგე, რომ დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყოლია ყველა ჩემ ცდასა და ზეპირ თხოვნას, რითაც მე პატივი მქონდა მიმემართა თქვენი აღმატებულებისა და ბატონ მინისტრ-თავმჯდომარისადმი იმის შესახებ, რომ, თანახმად მთავრობის დადგენილებისა, გლეხებს 1917 წლის მოსავლის საიჯარო ქირა გადაეხადნათ გორის მაზრის მემამულეებისათვის. პირიქით, როგორც ჩანს, მდგომარეობა დღითიდღე სულ უფრო უარესდება, რადგან მემამულეები ერთხმად აცხადებენ, რომ მათ, მოკვლის შიშით, ვერ გაუბედნიათ თავიანთ მამულებში მისვლა კუთვნილი თანხების ასაკრებად.

ვიღებ რა მხედველობაში ასეთს აუტანელს მდგომარეობას, ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოგმართოთ წინადადებით—დაუყოვნებლივ შეიქმნას კომისია, რომლის შემადგენლობაში შევა საქართველოს მთავრობის ორი წარმომადგენელი, მემამულეების ორი წარმომადგენელი და დელეგაციის ერთი წარმომადგენელი. ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოარკვიოს ის საერთო თანხა, რაც ჯერ კიდევ ასაღები აქვთ სხვადასხვა მემამულეებს, შემდეგ კი შეუდგეს კუთვნილი საიჯარო ქირის აკრებას. ამ უკანასკნელი ამოცანის წარმატებით შესასრულებლად კომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, აგრეთვე გერმანელთა სპეციალურმა სამხედრო რაზმმა"[2].

---

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 104—106.

[2] იქვე. გვ. 110—111.

გერმანელი კოლონისტები ასევე ერეოდნენ მუშათა საკითხში. ხელთ იგდეს რა საქართველოს წიაღისეული სიმდიდრეები, მათ სურდათ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ამოეღოთ ქვანახშირი, მარგანეცი და გაეზიდათ გერმანიაში. ამიტომ ისინი უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მაღაროებში მუშები გაფიცვებს აწყობდნენ და ადამიანურ მოპყრობას მოითხოვდნენ. მუშათა უკმაყოფილების წინააღმდეგ მათ ერთი საშუალება ჰქონდათ—იარაღი. ისინი ჩიოდნენ საქართველოს მთავრობის მესვეურებთან, რომ ენერგიული ზომების გარეშე შეუძლებელია შრომის ნაყოფიერების ზრდა. ენერგიული ზომები მათ ენაზე მოთავე მუშების დაპატიმრებას, ცემას, დათხოვნას ნიშნავდა.

1918 წ. 22 აგვისტოს გერმანიის დელეგაცია საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ მიმართვაში, აღნიშნავდა რა ქვანახშირის საწყობების დაცარიელებას საქართველოში, რაც გერმანიისათვის მეტისმეტად საზიანო იყო, ურჩევდა კიდეც მთავრობას, თუ რა ზომებით შეიძლებოდა ქვანახშირის მოპოვების გადიდება.

„ამ მაღაროების (ლაპარაკია ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებზე—ა. ს.) არასაკმაო შრომისუნარიანობის მთავარ მიზეზს უეჭველად წარმოადგენს მუშათა გაფიცვა. მე ვფიქრობ, რომ უეჭველად, აუცილებელია... თუ მუშები... დაუყოვნებლივ არ შეუდგებიან მუშაობას, მაშინ საჭიროების შემთხვევაში ძალით იქნას გაყვანილი ისინი სამუშაოზე. ჩემის აზრით, გაცილებით უფრო სოციალურია ის, თუ მთავრობა იღებს ზომებს მუშათა მასის პატარა ნაწილის წინააღმდეგ, რომელიც აყენებს გადაჭარბებულ მოთხოვნებს, ვიდრე ის, თუ ენერგიული ზომების მიუღებლად მთავრობას საქმე იქამდე მიყავს, რომ არა მარტო მოძრაობა და მასთან ერთად ვაჭრობაც და ქვეყნის კეთილდღეობაც სწყდება, არამედ საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკა იწვევს თავის მიმართ საყვედურებს, რომ მას არ სურს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი...“[1].

გერმანელთა ჯარები მოკალათებული იყვნენ თბილისში, ქუთაისში, ფოთში, გორში, საჭტრედიაში, ახალსენაკში, თეთრ წყაროში, ოჩამჩირეში, ბორჩალოს შაზრასა და სხვაგან. ისინი აქ ეგზეკუციის, დამსჯელი რაზმების როლს ასრულებდნენ. გერმანელი ოფიცრები ანგარიშსაც არ უწევდნენ საქართველოს მთავრობას, ადგილობრივ ხელისუფლებას და თვითნებურად აწერდნენ გადასახადებს სოფლის მოსახლეობას, გადაუხდელობის შემთხვევაში ძალით აგროვებდნენ მას ოჯახებიდან, ამავე დროს ძარცვავდნენ ად-

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 82.

გილობრივ მცხოვრებლებს. მენშევიკური მთავრობის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე საქართველოს ყველა რაიონიდან მოდიოდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ცალკეული მცხოვრებლების საჩივრები გერმანელთა ძალადობასა და უწესობაზე, მაგრამ გერმანიის სარდლობის მონა-მორჩილი მთავრობა დუმდა.

1918 წლის 13 აგვისტოს თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

„გერმანელთა რაზმი, რომელიც მოვიდა სოფელ სარვანში (ბორჩალო), მოითხოვს კოლონისტების სასარგებლოდ 150.000 მანეთის გადახდას სამი საათის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრება მთელი სოფლის გადაწვით. მოსახლეობა არ არის. უმორჩილესად გთხოვთ დაგვიცვათ ძალადობისაგან. (საქმე) შეაჩერეთ გამორკვევამდე.

სოფლის კომისარი ახმედ ბადალ-ოღლი"[1].

24 აგვისტოს თარიღით იმავე კომისრის სახელზე ასეთი დეპეშა მოვიდა დუშეთის მაზრიდან:

„როგორც მცხეთის რაიონის კომისარი იტყობინება, გერმანელთა რაზმის მიერ, რომელიც იქ იმყოფება, მუხრანის მოსახლეობაზე დადებულია 35.000 მანეთის კონტრიბუცია. მცხეთის რაიონის კომისარი, რომელიც მოსახლეობის თხოვნით მივიდა იქ, დაპატიმრებულ იქნა, ხოლო შემდეგ განაიარაღეს და გაუშვეს, ამავე დროს მას ჩამოართვეს რაღაც ხელწერილი, განიარაღებულია აგრეთვე მისი თანმხლები მილიციელი"[2].

მენშევიკური მთავრობა და გერმანელი ოკუპანტები გრძნობდნენ, რომ ქართველი გლეხობა, რომელსაც ეზიზღებოდა ისინი, იარაღს ისხამდა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბრძოლის ცეცხლი უკვე დანთებული იყო მთელ რიგ რაიონებში და რომ იგი საერთო ხანძრად არ გადაქცეულიყო, ისინი მოსახლეობის განიარაღებას ახდენდნენ. ამას თან ახლდა ძალადობა, დაპატიმრება და ცემა-ტყეპა. თეთრი წყაროს რაიონიდან 1918 წლის 15 ივლისის თარიღით თბილისის გუბერნიის კომისრის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

„გატყობინებთ, რომ თეთრი წყაროს რაიონში გერმანელებმა, სოფ. ასურეთის მცხოვრებლებმა 25 კაცის შემადგენლობით, 15 გერმანელი ჯარისკაცისა და ერთი გერმანელი ლეიტენანტის თანხლებით, განაიარაღეს რამდენიმე სოფელი თეთრი წყაროს რაიონში;

---

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, 1918 წ., გვ. 81.

[2] იქვე, გვ. 86.

ამასთან განიარაღებისას გლეხების მიმართ იღებდნენ მკაცრ რეპრესიულ ზომებს: ქალებსა და მამაკაცებს როზგებით ცემდნენ და სისხლს ადენდნენ, კლავდნენ გლეხების ძაღლებს, იჭრებოდნენ სახლებში და ახდენდნენ ჩხრეკას. გლეხობა ტერორიზებულია. იყო მილიციელების განიარაღების რამდენიმე შემთხვევა. გერმანელები სრულიად არ უწევენ ანგარიშს ადმინისტრაციას და აცხადებენ, რომ თვითონ ისინი კარგად დაამყარებენ წესრიგს ჩვენში"[1].

ასე ამყარებდნენ გერმანელი კოლონიზატორები წესრიგს. მათ საქართველო უკვე კოლონიად მიაჩნდათ და ისე იქცეოდნენ, როგორც მოესურვებოდათ. გერმანელი მთვრალი ჯარისკაცები და ოფიცრები დაეხეტებოდნენ ქალაქში, რკინიგზის სადგურებში, ლანძღავდნენ მშვიდობიან მოქალაქეებს, ხშირი იყო დაცემის, მკვლელობის, ქალთა გაუპატიურების შემთხვევები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნი უძლური იყვნენ მათ წინაშე, ისინი მოხსენებით ბარათებს გზავნიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე, სამინისტროში კი „სტუმრების" წინაშე ქედს იხრიდნენ და დუმდნენ. პირიქით, მინისტრები თვითვე უწყობდნენ ხელს ოკუპანტებს ეძარცვათ საქართველო.

გაზ. „ბორბა" 1918 წ. აქვეყნებს ასეთ ცნობას.

„ფინ(ანსთა) მინ(ისტრის) ამხ. გ. ნ. ნიკოლაძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი იმ საქონელთა სტატისტიკური მონაცემების შეგროვების საკითხის შესახებ, რომელთა გატანა შეიძლება საქართველოდან გერმანიაში. გასატანად პირველ რიგში გათვალისწინებულია თამბაქო, სპილენძი, მარგანეცი, ღვინო, თხილი, დაფნის ფოთოლი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, მინერალური წყლები, ხეტყე და ა. შ. ამასთანავე გერმანიას მიენიჭება საქართველოდან ყველა ჩამოთვლილი საქონლის გატანის უფლება"[2].

გერმანელებიც ეზიდებოდნენ ყველაფერს, რასაც იტაცებდნენ ძალადობით და რასაც სთავაზობდნენ ქართველი მენშევიკები, ქართველი მუშები და გლეხები კი შიმშილობდნენ. თვით ფონ კრესის აღიარებით გერმანელებმა საქართველოდან გაიტანეს 31000 ტონა მარგანეცი, 66,7 ტონა სპილენძი, 360 ტონა მატყლი, 45 ტონა ძონძები, 40350 ცალი ცხვრის ტყავი, 340 ცალი რეზინის სალტე, 1201 ცალი ავტოსაფარი და სხვა. სამაგიეროდ,—აცხადებდა ფონ კრესი, გერმანელებს განზრახული ჰქონდათ საქართველოში შემოეზიდათ გერმანული საქონელი, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა ჯერჯერობით,

---

[1] გერმანელი ოკუპანტები საქართველოში, გვ. 69.
[2] გაზ. „ბორბა" № 122, 1918 წ.

რადგან... გერმანიის ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაშია და საქონლის ყოველგვარი მარაგი ამოწურულიაო[1].

ასე პარპაშობდნენ გერმანელი ოკუპანტები საქართველოში. მაგრამ მათი ბატონობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1918 წლის შემოდგომაზე, დასავლეთის ფრონტზე დამარცხების შემდეგ, გერმანელ ოკუპანტებს ამიერკავკასიაში აღარ ედგომებოდათ. პრუსიელი იუნკრობის ვარაუდები უკრაინისა და ამიერკავკასიის მიტაცებაზე სამარცხვინოდ ჩაიშალა. საბჭოთა ჯარების ზედიზედ დარტყმებმა, პარტიზანულმა მოძრაობამ ოკუპანტების ზურგში, უკრაინისა და ამიერკავკასიის მშრომელთა ზიზღმა და აღშფოთებამ სასწრაფოდ ააღებინეს ხელი კოლონიზატორებს თავიანთ გეგმებზე. 1918 წლის 26 დეკემბერს ფოთიდან გავიდა გერმანიის საოკუპაციო ჯარების უკანასკნელი ეშელონი. მენშევიკმა ხელისუფლებმა სევდიანად გააცილეს მათივე საიმედო მფარველები.

მენშევიკური მთავრობა შეუდგა ახალი მფარველის გამოძებნას იმპერიალისტების ბანაკში.

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ ამიერკავკასიის „დამოუკიდებლად" გამოცხადება დიდი ხელისშეწყობა იყო აგრესიული თურქეთისათვის; მას შეეძლო ამიერიდან ადვილად დაერღვია ბრესტის ზავის პირობები და ამიერკავკასიისათვის, რომელსაც თავდაცვის რეალური საშუალებანი არ გააჩნდა, უფრო კაბალური პირობები წაეყენებინა.

ეს ასეც მოხდა. საზავო კონფერენციამ, რომელიც ტრაპეზუნდში შეიკრიბა, შეწყვიტა თავისი მუშაობა. თურქმა იმპერიალისტებმა, გათამამებულებმა იმით, რომ ამიერკავკასიამ ვერ შეძლო მათთვის სერიოზული სამხედრო ძალის დაპირისპირება, დაიწყეს შემოჭრა საქართველოს სიღრმეში, დაიკავეს ახალქალაქი და ოზურგეთის მაზრა. დამშეული თურქი ასკერები ნთქავდნენ ყველაფერს, უმოწყალოდ ყლეტდნენ უდანაშაულო ადამიანებს, ცეცხლს უკიდებდნენ სოფლებს, იტაცებდნენ განძეულობას.

11 მაისს, ბათუმში, განახლდა ამიერკავკასიის ფედერაციისა და თურქეთის საზავო დელეგაციების მოლაპარაკება. ახლა თურქ დამპყრობლებს მეტი მადა გაეხსნათ: მათ ივარაუდეს, რომ საქართველოში ბატონობისა და ბაქოს ნავთის ხელში ჩაგდე-

[1] გახ. „საქართველოს რესპუბლიკა", 19 ნოემბერი, 1918 წ.

ბისათვის პირველ რიგში ამიერკავკასიის რკინიგზის დაკავებაა საჭირო, უკვე 14 მაისს ხალილ ბეიმ (თურქების დელეგაციის მეთაური) აცნობა ამიერკავკასიის დელეგაციას, რომ თურქეთის ჯარები, ინგლისის წინააღმდეგ ირანის ფრონტზე ოპერაციების გასაშლელად, სასწრაფოდ გადაყვანილი უნდა იქნან ალექსანდროპოლ-ჯულფას რკინიგზის ხაზით[1]. ხალილ-ბეი ამ მოთხოვნილებას დასძენდა: „ამასთან ერთად, მე არ შემიძლია დავკარგო არც ერთი წუთი ჩვენთვის ამ შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად"-ო. 15 მაისს თურქთა ჯარებმა მიიტანეს იერიში ალექსანდროპოლის რკინიგზაზე. ალექსანდროპოლი თურქებმა ღამით დაიკავეს[2], საშინლად ააოხრეს, დახოცეს ასობით მშვიდობიანი მცხოვრები. ამიერკავკასიის ჯარებმა უკან დაიხიეს, ხოლო ამიერკავკასიის მთავრობამ ნება დართო თურქებს ესარგებლათ რკინიგზის ხაზით, რის დაწვრილებითი პირობები ბათუმის კონფერენციაზე იქნებოდა შემუშავებული.

ამიერკავკასიის დელეგაციამ განაცხადა პროტესტი თურქეთის ჯარების მიერ ამიერკავკასიის რესპუბლიკის საზღვრების დარღვევის გამო, რადგან მისი დამოუკიდებლობა თვით „ბრწყინვალე პორტას" მიერ იყო აღიარებული. მაგრამ ასეთ პროტესტებს არავითარი ძალა აღარ ჰქონდა.

თურქეთის მთავრობა აშკარად აცხადებდა: რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება არ შეიძლება გახდეს მოლაპარაკების საფუძველი[3].

ახლა აშკარა გახდა, რომ თურქი იმპერიალისტები მთელ საქართველოს უმიზნებდნენ, კიდევ მეტი, მათ ამიერკავკასიის ოკუპაცია სურდათ. ეს იმპერიალისტური მისწრაფებანი უფრო გარკვევით მოჩანს იმ ულტიმატუმიდან, რომელიც 1918 წლის 26 მაისს წარუდგინა ამიერკავკასიის დელეგაციას თურქეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ხალილ ბეიმ, აქ იგი ამიერკავკასიაში მოსახლე თურქი და მუსლიმანური პირების უშიშროების უზრუნველყოფისა და მათდამი დახმარების მომიზეზებით, პირდაპირ მოითხოვდა კავკასიის ტერიტორიაზე თავისი ჯარების თავისუფალ გაშვებას.

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, 1919 г., зд. 269—270.

[2] Кавказское слово, № 116, 1918.

[3] Документы и материалы по внешней политике Закавказья Грузии, зд. 272.

ეს კატეგორიული მოთხოვნა ამიერკავკასიის სრული ოკუპაციის შემზადებას მოასწავებდა. თურქი იმპერიალისტები, რომლებიც უკვე გაურიგდნენ მუსავატებს ბაქოს კომუნის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის შესახებ, ვარაუდობდნენ, რომ დაეპატრონებოდნენ მთელ ამიერკავკასიას.

მაგრამ სწორედ ამ თარიღს დაემთხვა ამიერკავკასიის სეიმის დაშლა.

26 მაისს სახელდახელოდ შეკოწიწებულმა „დემოკრატიული რესპუბლიკის" მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. რამიშვილმა ხალილ ბეის გაუგზავნა შეკითხვა: 27 მაისს, საღამოს 9 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას მოუვიდა ულტიმატუმი, რომელიც ოტომანთა საიმპერატორო მთავრობის მიერ გაგზავნილი იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობის მისამართით.

მაქვს პატივი გთხოვოთ მაუწყოთ შეეხება თუ არა ეს ულტიმატუმი საქართველოს რესპუბლიკას?[1].

თურქეთი ამიერკავკასიაში მომხდარ ცვლილებას სრულებითაც არ აქცევდა ყურადღებას და თავის გეგმებს არათუ კვეცავდა, პირიქით, აფართოებდა. თურქეთის მმართველი წრეები კარგად ამჩნევდნენ, რომ ამიერკავკასიის დანაწევრების შემდეგ მისი დაპყრობის რეალური შესაძლებლობანი უფრო იზრდებოდა. ხალილ ბეიმ ასეთი პასუხი გაუგზავნა რამიშვილს: „ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის შექმნა არაფერს არ ცვლის იმ პირობებში, რომელმაც განაპირობა 26 მაისის ნოტა, საიმპერატორო დელეგაციას მიაჩნია, რომ იგი, ბუნებრივია, საქართველოს რესპუბლიკასაც შეეხებაო"[2].

მენშევიკურ მთავრობას არ შესწევდა არავითარი ძალა უარეყო თურქი იმპერიალისტების ეს ყაჩაღური მოთხოვნა. მენშევიკ დიპლომატებს ბრესტის საზავო პირობები ახლა სანატრელი გაუხდათ. ისხდნენ რა რევოლუციის ვულკანზე, მენშევიკებმა ამჯობინეს ისევ თურქულ იმპერიალიზმთან მოეხდინათ გარიგება.

1918 წლის 4 ივნისს საქართველოს „დემოკრატიულ რესპუბლიკასა" და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა „მშვიდობისა და მეგობრობის" ხელშეკრულება. ასეთივე ხელშეკრულება თურქეთთან დადეს აგრეთვე დაშნაკებმა და მუსავატებმა.

თურქეთის მიერ ამიერკავკასიისათვის თავზე მოხვეული ხელშეკრულება შეუდარებლად უფრო მძიმე იყო, ვიდრე ბრესტის სა-

---

[1] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, гз 339.
[2] იქვე. გვ. 340.

ზავო პირობები. თურქეთის ხელში გადადიოდა ბათუმისა და ართვინის ოლქები, ყარსის, არდაგანის, ოლთის, კაგიზმანსკის ოლქები, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, ერევნის გუბერნიიდან—სურმალინსკის მაზრა, ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრების სამი მეოთხედი, ერევნის მაზრის ნახევარი და შარურო-დარალაგეზსკის მაზრის ერთი მეხუთედი[1].

საზღვარი ამიერკავკასიის ტერიტორიასთან სრულიად არ ითვალისწინებდა ბუნებრივ სიმაგრეებს. თურქებს მცირეოდენი საბაბის შემთხვევაში შეეძლოთ გადაელახათ ეს გაუმაგრებელი საზღვრები და კვლავ შეჭრილიყვნენ ქვეყნის სიღრმეში.

ის ტერიტორია, რომელიც საქართველომ დაკარგა ბათუმის ხელშეკრულებით, უდრიდა 10.000 კვ. კილომეტრს 350 ათასი მცხოვრებით. სომხეთიდან თურქებმა ამავე ხელშეკრულებით მოიტაცეს 28.000 კვ. კილომეტრი ტერიტორია 900.000 მცხოვრებით, მაშინ როცა ბრესტის საზავო პირობების თანახმად ამიერკავკასიიდან თურქეთს უნდა გადასცემოდა 12.421 კვ. ვერსი[2]. განსხვავება მეტად დიდია. ამ ხელშეკრულებით თურქეთი დაეპატრონა ისეთ ტერიტორიებს, სადაც ქართული და სომხური მოსახლეობის პროცენტი 67-ს უდრიდა, ხოლო თურქებისა—30 პროცენტს. მაგრამ საზავო პირობები მარტო ამით როდი ამოიწურებოდა. საქართველოს მთავრობა კისრულობდა დაეთმო თურქეთისათვის საქართველოს რკინიგზები ჯარის გადასაყვანად და საჭურვლის გადასაზიდად. ამ ჯარების გადაყვანა უნდა მომხდარიყო საქართველოს რესპუბლიკის ხარჯებით და პერსონალით ოტომანთა დელეგაციის თავმჯდომარის მითითების თანახმად, ამავე დროს საქართველოს მთავრობას უნდა განეიარაღებინა მის განკარგულებაში არსებული სამხედრო ფლოტი, უნდა დაეშალა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული მოხალისეთა რაზმები[3].

ამგვარად, პირობები თურქული იმპერიალიზმის პარპაშისათვის ამ კაბალური ხელშეკრულებით სავსებით უზრუნველყო მენშევიკურმა მთავრობამ. მაგრამ ჩვენ ზემოთ უკვე მივუთითებდით, თუ როგორი წინააღმდეგობა სუფევდა მოკავშირეების — გერმანია-

---

[1] Д. С. Заприев. К новейшей истории северо-восточных вилаетов Турции. 1947 г., зз. 69.

[2] იქვე.

[3] Документы и материалы по истории внешней политики Закавказья и Грузии, 1919, зз. 358.

თურქეთის ბანაკში. გერმანულ იმპერიალიზმს სრულებითაც არ აინტერესებდა ამიერკავკასიაში თურქეთის გაბატონება. ეს მას თვით უნდოდა. ამიტომ გერმანელი ოკუპანტები, რომლებიც ამ დროს თავს უკვე საქართველოს ბატონ-პატრონად გრძნობდნენ, წინ აღუდგნენ თურქი იმპერიალისტების ზრახვებს. თურქეთი იძულებული შეიქნა დაჰყოლოდა თავისი ძლიერი მოკავშირის ნება-სურვილს. იგი შემდგომი აგრესიული ნაბიჯებისაგან თავს იკავებდა.

შეუძლებელია ყველა იმ ბოროტების აღწერა, რასაც თურქი დამპყრობლები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ჩადიოდნენ. ისინი არაფერს არ ზოგავდნენ იმისათვის, რომ საქართველოს მიწა-წყალზე, რომელიც მათ ხელში ჩაუვარდათ, წაეშალათ ქართველობის ნიშანწყალი. ბათუმში მათ მოსპეს ქუჩების ქართული სახელწოდებანი. ისინი ფარულად აწიოკებდნენ და ჟლეტდნენ ქალაქის ქართულ მოსახლეობას. ახალციხესა და ახალქალაქში ისინი წვავდნენ ქართველთა სახლ-კარს, არ ინდობდნენ ძუძუმწოვარა ბავშვებს. მოსახლეობა, რომელსაც თურქმა ჯარისკაცებმა წაართვეს ყოველგვარი სურსათ-სანოვაგე და სახლ-კარი დაუწვეს, შიმშილით იხოცებოდა.

თურქი ოკუპანტები თვითნებურად არღვევდნენ ბათუმის საზავო ხელშეკრულებას. ჯარისკაცთა ცალკეული ბანდები სისტემატურად აწყობდნენ თარეშს საზღვრისპირა რაიონებში და ძარცვავდნენ ხალხს. 1918 წლის ოქტომბერში თრიალეთიდან იტყობინებოდნენ, რომ თურქთა ბანდები გადმოვიდნენ საზღვარზე, ეწევიან მტაცებლობას, იტაცებენ ჯოგებს, ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობასო[1]. განსაკუთრებით გათამამდნენ თურქები ბორჩალოს რაიონში. მთავრობის სახელზე გამოგზავნილ დასმენაში ბორჩალოდან იუწყებიან, რომ „თათართა ბანდები იკრებიან ოჯახებში, აუპატიურებენ ქალებს, მიჰყავთ ტყვედ მამაკაცები, ცეცხლს უკიდებენ შენობებს"[2]. ბაკურიანიდან გამოგზავნილ 1919 წლის 10 მარტის დეპეშაში ნათქვამია: „ჯავახეთის სოფლები სარონიზი, ბოერა, გოგოშენი, კოტელა, ბარალეთი და სხვანი თათრებმა გაანადგურეს, ქონება მთლად დაიტაცეს, ათი წლის ქალები გააუპატიურეს, ბევრი წაიყვანეს, ასობით ხალხი დახოცეს და განაგრძობენ განუსაზღვრელ სისასტიკეს. გთხოვთ საჩქარო ზომებს საშველად"[3].

1919 წლის იანვარში თურქეთის ჯარისკაცთა ბანდები მეორედ შეესიენ აბასთუმანს. აბასთუმნიდან გამოგზავნილ დეპეშაში ნათ-

---

[1] საქ სსრ ოქტ. ოევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 13, ს. 18, ფ. 64.
[2] იქვე, ფ. 11, ს. 490, ფ. 2.
[3] იქვე, ფ. 48, საქმე 366, ფ. 12—13.

ქვამია, რომ მათ „დაატყვევეს 300 ქართველი, შერეკეს ერთ შენობაში, თვითონ დათარეშობენ, ბევრი მათგანი ჩახოცეს ოჯახებში. ცულით დაჩეხეს აბასთუმნის ეკლესიის შესავალი კარები, გაიტანეს 5 ფუთამდე ვერცხლის განძეულობა, 500.000 მანეთის განძეული, მოაოხრეს ყველაფერი"[1].

ახალქალაქის რაიონში თურქთა ოკუპაციის შედეგად გაწყდა რამდენიმე ათასი მცხოვრები. შიმშილობა, გადამდები ხენი,—აი რა იყო ახალქალაქის მცხოვრებთა ხვედრი. თურქებმა „გაიტაცეს ყველა ლოგინი, ტანისამოსი, სამეურნეო იარაღები; მთელ რაიონში ვერ ნახავთ ერთ წალდსაც... თვით ახალქალაქი მარტო ნანგრევებისაგან შესდგება. როგორც სოფლებში, ისე ქალაქში დაბრუნებული ხალხი ცხოვრობს უკარო და ღია ფანჯრიან სახლებში, უჭეროდ და უიატაკოდ.

ხურსათის მხრივ აუწერელი გაჭირვებაა. თითქმის ყოველ სახლში შეხვდებით შიმშილისაგან ლოგინზე დავარდნილს, უმეტესად დედაკაცებს და ბავშვებს. ბალახის ჭამით ყველას ტუჩები დახეთქილი და ღრძილები ჩაშავებული აქვთ. აუარებელ ოჯახში მთლად გაწყვეტილია მამაკაცობა. ყოველ დილას აუარებელი ხროვა მშიერი ხალხისა აწყდება ქალაქს, რომ ერთი ლუკმა პური იშოვოს"— ნათქვამია ახალქალაქის რაიონში ნამყოფი კომისიის ანგარიშში[2].

ასევე ააწიოკეს და გააპარტახეს ველურმა თურქმა ასკერებმა ახალციხის რაიონი[3].

თურქი იმპერიალისტები ყოველ ნაბიჯზე უხეშად არღვევდნენ ბრესტის საზავო ხელშეკრულების პირობებს. ბათუმში მათ გაათამაშეს რეფერენდუმის კომედია. სინამდვილეში ხმის მიცემა წარმოებდა ღიად, თურქ შეიარაღებულ ასკერთა თანდასწრებით. ქართული მოსახლეობა დაყენებულ იქნა შეუზღუდველი ტერორის წინაშე. როცა საქართველოს მთავრობამ პროტესტი განაცხადა რეფერენდუმის ასე საჯაროდ გაყალბების გამო, თურქეთის მთავრობა დამცინავი ტონით მოაგონებდა „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას", რომ ბრესტის საზავო ხელშეკრულებაზე უარი თვით საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ იგი ძალაში აღარ არის და ბათუმი ოტომანთა იმპერიის მიერ თურქეთის ტერიტორიის შემადგენლობაში არის ჩართულიო.

სწორედ ამ დროს საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც ბრესტის ზავის მძიმე პირობები იმიტომ მიიღო, რომ საბჭოთა რესპუბლიკა

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 11, საქ. 218. ფ. 9.
[2] იქვე, ფ. 44, ს. 142, ფ 1—4.
[3] იქვე, ფ. 11, ს. 217, ფ. 13—14.

დაღუპვისაგან გადაერჩინა, 1918 წლის 20 სექტემბრის განცხადებით გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ის ნაწილი, რომელიც საბჭოთა რუსეთისა და ოტომანთა იმპერიის ურთიერთობას შეეხებოდა.

თურქ დამპყრობლებს ამიერკავკასიის ტერიტორიაზე პარპაში დიდხანს არ დასცალდათ. პალესტინასა და მაკედონიის ფრონტზე თურქეთის ჯარების სასტიკმა დამარცხებამ თურქეთი აიძულა კაპიტულაციაზე წასულიყო. სამხედრო მოქმედება ანტანტასა და თურქეთს შორის შეწყდა. მუდროსის ზავის თანახმად თურქეთი იძულებული შეიქნა 1918 წლის დეკემბრის დასაწყისში მოეხდინა თავისი ჯარების ევაკუაცია ამიერკავკასიის ტერიტორიიდან. ამგვარად, გერმანელ დამპყრობლებს უკან თურქი დამპყრობლებიც მიჰყვნენ.

მაგრამ საქართველოს მშრომელებს მოსვენება მაინც არ ეწერა. მენშევიკური მთავრობა, რაც ხელიდან გერმანული ხიშტები გამოეცალა, კვლავ ეძებდა ახალ ძალას, რომელსაც იგი დაეყრდნობოდა. ასეთი რეალური ძალა ახლა ანტანტის ბანაკში უნდა მონახულიყო. „დამოუკიდებელი საქართველოს" კარები იხსნებოდა ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტებისათვის.

* * *

სანამ გადავიდოდეთ საქართველოში ინგლის-ამერიკული აგრესიის მიმოხილვაზე, საჭიროა მოკლედ გავარკვიოთ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ „მთავრობათა" ურთიერთდამოკიდებულება. ამ საკითხის გარკვევა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს, ჯერ ერთი, მასში, თუ რამდენად ანტიხალხური იყო მენშევიკური, დაშნაკური და მუსავატური პარტიების პოლიტიკა, რამდენად ეწინააღმდეგებოდა იგი ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებს, მათ ისტორიულ ტრადიციებს და, მეორე მხრივ, როგორ უწყობდა ხელს მტაცებელ იმპერიალისტებს ადვილად დამკვიდრებულიყვნენ ამიერკავკასიაში.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამიერკავკასია ნაციონალური შემადგენლობის მრავალფეროვნების მხრივ შორეული წარსულიდანვე წარმოადგენდა რუსეთის განაპირა მხარეებს შორის ყველაზე დამახასიათებელ კუთხეს. ქართველები და რუსები, სომხები და აზერბაიჯანელი თათრები, თურქები და ლეკები, ოსები და აფხაზები ამიერკავკასიაში ცხოვრობდნენ ერთმანეთში შერეულად, დაქუცმაცებულად, ისე, რომ არც ერთ ამ ნაციონალურ ჯგუფს არ ჰქონია ნაციონალური ტერიტორიის მკვეთრად მოხაზული საზღვრები.

ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მოსახლე ამ ნაციონალური ჯგუფების არსებობის შენარჩუნებისათვის, მათი ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ურთიერთ შორის მშვიდობისმოყვარე, მეგობრული ურთიერთობის დამყარება და განმტკიცება. ასეთი კეთილმეგობრული ურთიერთობის გარეშე ამიერკავკასიის ტერიტორია გადაიქცეოდა მუდმივი შუღლის, ქიშპობის, ძმათამკვლელი ომების ასპარეზად, რაც დაასუსტებდა ამ ხალხებს, სისხლიდან დასცლიდა მათ, ხოლო ამიერკავკასიის მტაცებელ მეზობლებს საშუალებას მისცემდა დაემონებინათ ისინი.

ამიერკავკასიის ხალხებს თავიანთი ვრცელი და მღელვარე ისტორიის მანძილზე შესანიშნავად ესმოდათ მათ წინაშე მდგარი ეს პირველხარისხოვანი ამოცანა. ამიტომაა, რომ ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას შორეული წარსული და ღირსეული ტრადიციები გააჩნდა. ძველთაგანვე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხი მამაცურად ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებს—რომაელებსა და ბიზანტიელებს, არაბებსა და მონღოლებს, თურქებსა და ირანელებს.

XII საუკუნის გენიალურმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ განადიდა ადამიანთა საბრძოლო მეგობრობა. მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება რომელიმე მხატვრული ქმნილება, რომელიც ისე სიყვარულითა და გატაცებით უმღეროდეს უცხო ტომის შვილთა — ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის—ერთმანეთისადმი სიყვარულსა და თავდადებას, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია მოცემული. მეგობრობისადმი ასეთი შეხედულება რუსთაველის მხრივ არ შეიძლება შემთხვევით აიხსნას. თავისი ეპოქის უდიდეს ჰუმანისტს და მოაზროვნეს ესმოდა ამ მეგობრობის ძალა, განსაკუთრებით ამიერკავკასიის ვითარებაში.

XIX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიის ხალხებმა თაკიანთი ბედი რუს ხალხს დაუკავშირეს. ამ ისტორიული მნიშვნელობის აქტმა საზღვარი დაუდო მტაცებელი მეზობლების ირანისა და თურქეთის მადას—ხელთ ეგდოთ ამიერკავკასიის მდიდარი მიწა-წყალი და მასზე მოსახლე ხალხებისათვის მონობის მძიმე უღელი დაედგათ. ქართველმა, სომეხმა და აზერბაიჯანელმა ხალხებმა, რომლებიც გარედან შემოსევის საფრთხისაგან უკვე დაცული იყვნენ, თავიანთი ძალები ქვეყნის აღორძინებისაკენ მიმართეს. მეფის რუსეთის პოლიციური რეჟიმის სისასტიკის მიუხედავად, რუს ხალხში მათ პოვეს ჭეშმარიტი თანამოძმე და მეგობარი ხალხი, რომელიც

ქმნიდა მსოფლიოში ყველაზე მაღალ კულტურას და იმავე დროს იკრებდა ძალებს ძალადობისა და ჩაგვრის სისტემის დასამხობად.

ცარიზმის შოვინისტურმა, რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ ამიერკავკასიის ხალხებში გააძლიერა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ფეოდალური დაქუცმაცების თანდათანობითმა მოსპობამ, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვამ და განვითარებამ ამიერკავკასიის ხალხები ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ დააკავშირა, გააძლიერა მათი ურთიერთ გავლენა. მართალია, 60—70 წლებში სომეხი და ქართველი ინტელიგენტების ერთ ნაწილს შორის ადგილი ჰქონდა შუღლსა და ქიმპობას, მაგრამ, როგორც ამას მიუთითებს ს. ორჯონიკიძე,—„მას არასოდეს არ ჰქონია რამდენადმე შესამჩნევი ფესვები ურთიერთ შორის ძმურად მცხოვრებ ხალხებს — ქართველებსა და სომხებს შორის. ეს შუღლი აღმოცენებული იყო სომეხი ვაჭრების მიერ საქართველოში, და განსაკუთრებით თბილისში, ვაჭრობასა და მრეწველობაში სრული ბატონობისა და დაპყრობის გამო. აქ ერთმანეთს ებრძოდნენ გაკოტრებული ქართველი თავადაზნაურობა და თავადაზნაურული ინტელიგენცია და სომეხი ვაჭრები და სომხური ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რომელთა ხელში აღმოჩნდა ქართველი თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული და გაყიდული სახლები და მიწები. ვიმეორებ, საქართველოსა და სომხეთის მშრომელ მასებს შორის ნაციონალური ურთიერთდამოკიდებულების გამწვავების თვალსაზრისით ამ ფაქტს არასოდეს არავითარი გავლენა არ ჰქონია"[1].

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები, მშრომელი მასების ინტერესების ჭეშმარიტი დამცველები საქართველოში ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, სომხეთში ხაჩატურ აბოვიანი და მიქელ ნალბანდიანი, აზერბაიჯანში მ. ფ. ახუნდოვი და ს. ა. შირვანი, რუსი ხალხის საუკეთესო შვილების — გერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის იდეებზე აღზრდილნი, საკუთარი სამშობლოს ღირსების დაცვისა და კულტურის განვითარებისათვის რომ იბრძოდნენ, ყოველთვის სათუთად იხსენიებდნენ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციულ მეგობრობას ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის, იღწვოდნენ, რათა ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცებულიყო.

საქართველოს სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი ცნობილ სომეხ დრამატურგს გაბრიელ სუნდუკიანცს შემდეგ სტრიქონებს უძღვნიდა:

---

[1] Орджоникидзе, Избр. статьи и речи, გვ. 174, ОГИЗ-ის გამოცემა, 1939 წ.

„შენ სომეხი ხარ და მე ქართველი
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა“.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში ახალ საფეხურს წარმოადგენდა XIX საუკ. მიწურული და XX საუკუნის გარიჟრაჟი, როცა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა დიდი ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია. როგორც ცნობილია, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ნაციონალური საკითხი აქტუალურ საკითხად იქცა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მას ამიერკავკასიაში, ვინაიდან ნაციონალური საკითხის მხოლოდ მარქსისტული გადაჭრა უზრუნველყოფდა კავკასიის მრავალეროვანი პროლეტარიატის რევოლუციური ძალების შემჭიდროებასა და მათ დაკავშირებას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობასთან. დიდი ლენინის მოწაფემ და თანამებრძოლმა ი. ბ. სტალინმა იმთავითვე განსაზღვრა, რომ ცარიზმისა და ბურჟუაზიის ბატონობის დამხობისათვის ბრძოლაში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობას უნდა ემოქმედნათ რუსეთის მოწინავე, გმირულ პროლეტარიატსა და რევოლუციურ გლეხობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთი ავანგარდის—რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ.

ი. ბ. სტალინი უდიდეს მუშაობას ეწეოდა ამიერკავკასიის რევოლუციური ორგანიზაციების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე შექმნისა და გამოწრთობისათვის, ამიერკავკასიის მშრომელთა ურთიერთობის სიყვარულის სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. იგი დაუნდობლად ამხელდა და ანადგურებდა მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების, ფედერალისტების და სხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების რეაქციულ პოლიტიკას, რომელიც ამიერკავკასიის ხალხების გათიშვისა და მათ შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებისაკენ იყო მიმართული. აშუქებდა რა ამიერკავკასიის რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების ამ ნაყოფიერ მუშაობას, ლენინური „ისკრა“ წერდა: „კავკასიელი ამხანაგები გადაჭრით წინააღმდეგნი არიან რასობრივი (ნაციონალური) ორგანიზაციებისა; თითოეული კომიტეტი წარმოშობიდანვე მუშაობდა ყველა ენაზე

და წარმოადგენდა ყველა ქალაქის მუშებს ეროვნების განურჩევლად, მიუხედავად იმისა, თუ ვისგან შედგებოდა თვითონ კომიტეტი. კავშირის კომიტეტი კავკასიაში მომუშავე ამხანაგების ადგილობრივი კომიტეტის წარმომადგენელთა ყრილობამ აირჩია იმის მიუხედავად, თუ რომელ რასას ეკუთვნოდა ესა თუ ის ამხანაგი"[1].

აწარმოებდა რა დაუნდობელ ბრძოლას ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიებისა და ჯგუფების წინააღმდეგ, ი. ბ. სტალინი მეცნიერულად ასაბუთებდა ყველა ეროვნების პროლეტარიატის მტკიცედ შემჭიდროების აუცილებლობას.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და მიმდინარეობის პერიოდში გამოსული ბოლშევიკური გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა" ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი" ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე, „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკი" — რუსულ ენაზე, „ახალი დროება" ქართულ ენაზე, „კაინ" სომხურ ენაზე, „ნოხოსქ"—სომხურ ენაზე, „ბაკინსკი რაბოჩი"—რუსულ ენაზე, „ბანვორი ძაინ"—სომხურ ენაზე, „ქოჩ-დევეტ"—სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და სხვ., მტკიცედ იცავდნენ რა ლენინურ პრინციპებს, ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ამიერკავკასიის ხალხთა საბრძოლო მეგობრობის გაღრმავებასა და განმტკიცებას.

ატარებდა რა ნაციონალური ჩაგვრის, ნაციონალური შუღლის გაღვივების პოლიტიკას, მეფის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობდა ერთმანეთისათვის მიესია ამიერკავკასიის ხალხები და ამ შუღლისა და ურთიერთ მტრობის ვითარებაში განემტკიცებინა თავისი ბატონობა. მაგრამ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით კავკასიელ ბოლშევიკთა დამრაზმველი მუშაობის წინაშე უძლური იყო ცარიზმისა და ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების ზრახვები—მოეწამლათ ამიერკავკასია ნაციონალიზმის შხამით. „...თუ კავკასიელებმა მოახერხეს, წერს ი. ბ. სტალინი,—სომეხ და თათარ მუშებს შორის ნაციონალური უთანხმოების დაძლევა, თუ მათ მოახერხეს მოსახლეობის უშიშარყოფა ხოცვა-ყლეტისა და ერთმანეთისათვის ტყვიის დაშენის შესაძლებლობისაგან, თუ ბაქოში, ნაციონალური ჯგუფების ამ კალეიდოსკოპში, ახლა უკვე შეუძლებელია ნაციონალური შეტაკებანი, თუ იქ მოხერხდა მუშების ჩაბმა მძლავრი მოძრაობის ერთიან კალაპოტში,—ამაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა კავკასიის სოციალ-დემოკრა-

[1] გაზ. „ისკრა", № 50, 15 (ოქტომბერი), 1903 წ.

ტიის ინტერნაციონალურმა წყობამ"[1].

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა, სელტ იგდეს რა ძალაუფლება შეძლებული კლასების მხარდაჭერით, გაემიჯნენ საბჭოთა რუსეთს. სომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი მათ უცხოეთის იმპერიალისტთა ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმად გადააქციეს. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით ეწეოდნენ მშრომელთა ტრადიციული თანამეგობრობის მოშხამვას, ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ მოძმე ერებს, რათა ისინი სისხლიდან დაეცალათ და შეესუსტებინათ ერთიანი რევოლუციური ფრონტი. „ნაციონალური სიძულვილი, ურთიერთ ინტრიგები, ერთმანეთის ძარცვა და წაქეზება გახდა დაშნაკების, მუსავატელების და მენშევიკების პოლიტიკური სიბრძნის საფუძველი"[2]—მიუთითებს ს. ორჯონიკიძე.

ამიერკავკასიის ნაციონალისტური მთავრობების აგრესიული ნაციონალიზმის პოლიტიკა იქამდე მივიდა, რომ „თვითეული ამ პატარა ქვეყანათაგანი მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული აღმოჩნდა, რამაც საქართველოს და სომხეთს მოაკლო რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს—ბათუმით მიმავალი საქონელი. აღარას ვამბობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ყლეტაზე (სომეხ-თათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. საკვირველი არ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა"[3].

დაშნაკური სომხეთისა და მენშევიკური საქართველოს კონტრრევოლუციურ მთავრობათა ნაციონალური პოლიტიკის შედეგი იყო ის ძმათამკვლელი შეტაკებანი, რასაც ადგილი ჰქონდა მენშევიკურ საქართველოსა და მუსავატურ აზერბაიჯანს შორის, მუსავატურ აზერბაიჯანსა და დაშნაკურ სომხეთს შორის, დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის 1918 წლის ზაფხულ-შემოდგომაზე. ამასთანავე დაშნაკებისა და მუსავატების დაპყრობითი ზრახვები მეტად შორს მიდიოდა. ბორჩალოს მაზრას მუსავატები თა-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 393.

[2] **С. Орджоникидзе, Избр. статьи и речи, გვ. 120.**

[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 104—105.

ვიანთ ტერიტორიად თვლიდნენ. ასევე დაშნაკები პრეტენზიას აცხადებდნენ არა მარტო ბორჩალოსა და ჯავახეთზე, არამედ თბილისსა და ბათუმზედაც კი. თითოეული მთავრობა საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანის მიზნით ვითომ ენერგიას არ ზოგავდა სადავო ტერიტორიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის და კონფერენციის მოწვევას მოითხოვდა. მაგრამ ფარულად თვითვე უთხრიდნენ ძირს კონფერენციის მუშაობას. მაგ., დაშნაკებმა არ გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის „დემოკრატიულ რესპუბლიკათა" კონფერენციაზე. დეკემბრის პირველ რიცხვებში კი დაიწყეს შეიარაღებული მოქმედება ბორჩალოს რაიონში მენშევიკური ჯარის წინააღმდეგ. დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები და თურქეთი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ნაციონალური შუღლის გაღვივებაში. სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის ძმათამკვლელი ომები მათ მიაჩნდათ თითოეული მხარის შინაურ საქმეებში ჩარევის საუკეთესო საშუალებად. დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი უებსტერი თოფურიძესთან საუბარში მიუთითებდა საქართველოში სომხური კაპიტალის გაბატონებულ მდგომარეობაზე და პირდებოდა მენშევიკურ მთავრობას „დახმარებას" სომხური კაპიტალის ინგლისური კაპიტალით შეცვლაში[1]. თურქებმა ლორის რაიონი რომ დასტოვეს, ერთდროულად შესთავაზეს მენშევიკურ და დაშნაკურ მთავრობებს დაეკავებინათ ეს რაიონები. გერმანელმა კოლონიზატორებმა მოიმადლიერეს გულუხვი მასპინძელი—საქართველოს მენშევიკური მთავრობა იმით, რომ ლორის რაიონი მათ აკუთვნეს, მაშინ როცა დაშნაკურმა მთავრობამ ამ რაიონიდან მენშევიკური ჯარების განდევნისათვის შეიარაღებული კონფლიქტი წამოიწყო. ამხელდა რა იმპერიალისტური გერმანიის როლს დაშნაკურ-მენშევიკური ჯარების შეტაკებათა მოწყობაში, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი თავის მიმართვაში ამიერკავკასიის მშრომელებისადმი წერდა: „ამიერკავკასიიდან გერმანელების წასვლისთანავე უიმისოდაც მწვავე ნაციონალური მტრობა გადაიზარდა სომხეთსა და საქართველოს შორის აშკარა ომის ფორმაში. ამ ომის მიზეზები უნდა ვეძიოთ იმ ნაციონალურ უთანხმოებაში, რომელსაც ასე გულმოდგინედ სთესდა ორთავე მხარის ბურჟუაზია, რომელთაც მხარს უჭერდნენ მენშევიკებისა და დაშნაკების „სოციალისტური" პარტიები. საბაბი გახდა ბორჩალოს მაზრის გადაცემა თურქების მიერ სომხებისადმი, გერ-

---

[1] საკ სსრ ოქტ. რევოლ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 13 ს. 99, ფ. 9.

მანელების მიერ—ქართველებისადმი. გერმანულ-თურქულ იმპერიალიზმმა არ დააყოვნა სიკვდილის წინაც კი შეესრულებინა თავისი მისია: დაეთესა უთანხმოება ხალხებს შორის, რომ მათ სისუსტეზე აეგო შემდეგ თავისი კეთილდღეობა"[1]. დაშნაკურ მთავრობას შემუშავებული ჰქონდა ფართო ხასიათის დაპყრობითი გეგმები. საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გააჩაღა ყოველგვარი ზომიერებას მოკლებული ანტისომხური ნაციონალისტურ-შოვინისტური პროპაგანდა. დავა ამ ორ კონტრრევოლუციურ მთავრობას შორის იმით დამთავრდა, რომ საქმეში ჩაერივნენ ინგლისელები და, ერთი ხალხური ზღაპრის მსგავსად, სადავო ლუკმა თვით გადაყლაპეს—სადავო ტერიტორია მათ ნეიტრალურ ზონად გამოაცხადეს და მასში თავიანთი პიკეტები ჩააყენეს. ნაციონალისტური გველეშაპი კი, რომელიც ასეთი ძმათამკვლელი ომის პირობებში შესანიშნავ საკვებს პოულობდა, გაიბერა, გასივდა. მეგობრობის ტრადიციები დავიწყებას ეძლეოდა. ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიები ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ და ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს ერთმანეთს უსისიანებდნენ. მხოლოდ კომუნისტური პარტია, ხალხთა ძმობის, ინტერნაციონალისტური სოლიდარობის პარტია ამხელდა კონტრრევოლუციურ მთავრობათა პოლიტიკას, მიუთითებდა ამ შეტაკებათა უაზრობაზე და ამიერკავკასიის პროლეტარიატს მოუწოდებდა დარაზმულიყო ერთი საერთო დროშის ქვეშ კონტრრევოლუციურ მთავრობათა დასამხობად და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

* * *

საქართველოს მშრომელები, რომლებიც გერმანელთა ხიშტებზე დაყრდნობილ მენშევიკურ დიქტატურაში თავიანთ დაუძინებელ მტერს ხედავდნენ, მიუხედავად „დემოკრატიული მთავრობის" რეპრესიული ღონისძიებებისა, გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად გამოფხიზლებული მასები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ ბურჟუაზიის შენიღბული დიქტატურის დამხობა და გერმანულ-თურქული ინტერვენციის აღკვეთა საქართველოში შესაძლებელი იყო მხოლოდ იარაღით. მხოლოდ რუსეთის მუშებთან და გლეხებთან ერთად განუყოფელი ბრძოლა რეაქციული ძალების წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გაათავისუფლებდა მათ სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან. ამიტომ იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, კონტრრევოლუ-

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 1318, ს 32, ფ. 112

ციური კომისარიატისა და სეიმის პერიოდში, და განსაკუთრებით 1918 წელს საქართველოში გერმანელი ოკუპანტების პარპაშის თვეებში სახალხო მოძრაობის ტალღა თანდათანობით იზრდებოდა და მასობრივი ხდებოდა.

მეტად მძიმე ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, რომელთაც მენშევიკები და გერმანელი ოკუპანტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე დევნიდნენ. ბოლშევიკების საოლქო ხელმძღვანელობა ჩრდილო კავკასიაში იყო გადასული. ბოლშევიკების თბილისის ბიურო და „პროფკავშირული არალეგალური ცენტრი" მენშევიკი და გერმანელი აგენტების სისტემატური თვალთვალის პირობებში ვერ ახერხებდნენ საქართველოს მაზრებთან და სოფლებთან განუწყვეტელი ურთიერთობის დამყარებას. ამიტომ, შეიძლება ითქვას, მშრომელი გლეხების ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის აკლდა ხელმძღვანელი, წარმმართველი ხელი. გლეხთა აჯანყება ხან ერთ მაზრაში იფეთქებდა, ხან მეორე მაზრაში. მენშევიკები გერმანული ხიშტების დახმარებით გლეხთა სპორადულ გამოსვლებს შედარებით იოლად უსწორდებოდნენ, რადგან გვარდიას მანევრირების საშუალება ჰქონოდა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელი გლეხობის რევოლუციური ბრძოლის მიმდინარეობა მოკლედ ასე წარმოგვიდგება: ჯერ კიდევ 1918 წლის თებერვალში გლეხთა შეიარაღებული აჯანყება დაიწყო ლეჩხუმის მაზრაში. ამ მაზრაში საკმაოდ იყვნენ დასავლეთის ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომელთაც ნახული ჰქონდათ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შედეგები რუსეთის სოფლებში. ამ გაბოლშევიკებულმა ჯარისკაცებმა თანასოფლელებში გააჩაღეს საბჭოთა ხელისუფლებისათვის სასარგებლო აგიტაცია. მშრომელი გლეხობა თანდათანობით ირაზმებოდა ბოლშევიკური ლოზუნგების გარშემო და, როცა მენშევიკურმა ხელისუფლებამ მაზრაში რამდენიმე ბოლშევიკი დააპატიმრეს, მშრომელი გლეხობის სიძულვილმა და რისხვამ მენშევიკ მოღალატეთა მიმართ ერთბაშად იფეთქა.

აჯანყებაში მონაწილეობდა მთელი მაზრის მშრომელი მოსახლეობა. მენშევიკურ მთავრობას გაუჭირდა მისი ჩაქრობა და ბლოკადის გზა აირჩია. მან მთელი ლეჩხუმი კანონგარეშე გამოაცხადა და შეკრა მისასვლელი გზები, მოსახლეობას შეუწყვიტა სურსათ-სანოვაგის მიწოდება.

ლეჩხუმის გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლას ორგანიზებულობა აკლდა. აჯანყების მოთავენი დაკავშირებული არ ყოფილან ცენტრთან და მეზობელი მაზრების ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან.

მთელი რიგი სამხედრო ექსპედიციების შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ მოახერხა გაეტეხა აჯანყებულთა წინააღმდეგობა. მაგრამ ლეჩხუმის მოსახლეობის დამორჩილება საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო.

უფრო ფართო ხასიათი ჰქონდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მოწყობილ გლეხთა აჯანყებას სამეგრელოსა და აფხაზეთში.

ჯერ კიდევ მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში გლეხთა შეიარაღებული მოძრაობა დაიწყო ნოქალაქევში, ბანძასა და მარტვილში. მონაწილეობდა დაახლოებით 600-მდე გლეხი. მენშევიკებმა აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნეს ჯარის ნაწილები, ქუთაისის სარეზერვო მილიცია, გვარდია. რამდენიმე შეტევის შემდეგ აჯანყებულ გლეხთა რაზმები იძულებული შეიქნენ აფხაზეთში გადასულიყვნენ.

მაგრამ მენშევიკებმა ამოსუნთქვაც კი ვერ მოასწრეს, რომ სამეგრელოში ისევ აზვირთდა გლეხური მოძრაობის უფრო ძლიერი ტალღა. მას სათავეში ედგა მენშევიკების ტყვეობიდან გაქცეული მამაცი ბოლშევიკი საშა გეგეჭკორი. გლეხთა რევოლუციური რაზმები შეიქმნა თითქმის ყველა სოფელში. სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში შეიარაღებულ რაზმელთა რიცხვმა ათასამდე მიაღწია. აფხაზეთში აჯანყებულმა გლეხებმა ხელთ იგდეს გაგრა, გუდაუთი, ხოლო 6 აპრილს—სოხუმი. აფხაზეთში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება. მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციის მოსალოდნელი შეტევისათვის გასამკლავებლად, სურსათის შემოსატანად, სპეკულაციის აღსაკვეთად და სხვ. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა გაზეთი „სუხუმსკაია პრავდა“. დაიწყო ახალი ხელისუფლების შენება.

მენშევიკურმა მთავრობამ სამეგრელო შინაურ ფრონტად გამოაცხადა. მენშევიკურმა ჯარებმა ადგილობრივი კონტრრევოლუციის დახმარებით შეძლეს აფხაზეთისა და სამეგრელოს იერიშით აღება.

გლეხთა ყველაზე დიდი აჯანყება მოხდა დუშეთის მაზრაში 1918 წელს. კავკასიის სამხარეო კომიტეტმა და ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტმა ჯერ კიდევ 1918 წლის დასაწყისში ამ მაზრაში დაგზავნეს პარტიული მუშები და პროპაგანდისტები. მივლინებულმა ამხანაგებმა ადგილობრივ ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში გაზაფხულზე ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღეს. მიმდინარეობდა მენშევიკური მთავრობის წინააღმ-

დეგ აჯანყების პრაქტიკული სამზადისი—გლეხთა რაზმების შედგენა, მათი მომარაგება იარაღით და სხვ. ბოლშევიკებს გათვალისწინებული ჰქონდათ დუშეთის გლეხობის შეიარაღებული გამოსვლა დაეკავშირებინათ საქართველოს სხვა მაზრებში უკვე მიმდინარე აჯანყებებთან და, ამგვარად, მენშევიკური მთავრობა გლეხთა ყოველთაო აჯანყების ფაქტის წინაშე დაეყენებინათ.

მენშევიკური მთავრობის მეძებრებს მხედველობიდან არ გამოეპარათ დუშეთის მაზრის გლეხობის სამზადისი. მათ გადაწყვიტეს თვით დაესწროთ და განეიარაღებინათ გლეხობა, დაესჯათ მოთავეები და, ამრიგად, საწყისშივე ჩაეკლათ განზრახული გამოსვლა. 16 ივნისს მენშევიკურმა გვარდიამ ალყა შემოარტყა სოფ. ძოსაქციელის გლეხთა რაზმებს და მათთვის იარაღის ჩამორთმევას შეუდგა. 17 ივნისს გვარდიელები ამავე მიზნით სოფ. წილკანში გადავიდნენ, მაგრამ ამ სოფლის გლეხობის მოსაშველებლად მეზობელი სოფლებიც აღდგნენ. გლეხთა რაზმები გარს შემოერტყნენ გვარდიას და დააყრევინეს იარაღი. ეს ფაქტი დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყების სიგნალი გახდა. აჯანყებულმა გლეხებმა შეადგინეს სამხედრო-რევოლუციური შტაბი. შემუშავებულ იქნა მოქმედების ოპერატიული გეგმა.

შტაბმა სწორად ივარაუდა, რომ პირველ რიგში აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, მცხეთის მიდამოების გამაგრება, რათა მენშევიკებისა და გერმანელ ოკუპანტთა სამხედრო ნაწილებისათვის გზა გადაეღობათ, მეორე მხრივ, დარიალსა და ყაზბეგში დაბანაკებული მენშევიკური რაზმის დამარცხება და გადასასვლელის ხელში ჩაგდება; ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა კავშირი თერგის ოლქთან, სადაც საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა.

ივნისის თვეში დუშეთის რევოლუციურმა გლეხებმა რამდენიმე მამაცური ბრძოლა გადაიხადეს. მათ სასტიკად დაამარცხეს მენშევიკური არმიის დიდი რაზმი, ტყვედ ავდეს 250 კაცი, 7 ტყვიამფრქვევი, დიდი საომარი მასალა და სურსათი. ამავე დროს ხელთ იგდეს დარიალის უღელტეხილი. ამის შემდეგ უკვე დაწყო სამზადისი თბილისის მიმართულებით გალაშქრებისათვის. დუშეთის აჯანყებული გლეხობისათვის მხარისდაჭერა გადაწყვიტეს თიანეთის მაზრის რევოლუციურმა გლეხებმა, მათ ცალკე რაზმები შექმნეს და დუშეთში გადმოვიდნენ. აჯანყების რკალი ფართოვდებოდა. მენშევიკები ზედიზედ მარცხს განიცდიდნენ.

დუშეთის გლეხთა რაზმების ასეთმა წარმატებამ მენშევიკური მთავრობა საგონებელში ჩააგდო. მან მობილიზაცია გაუკეთა მთელ ძალებს. დახმარებისათვის მიმართა გერმანელ ოკუპანტებს. ქართ-

ველი ხალხის დაუძინებელმა მტრებმა, სასიკვდილო საფრთხის წინაშე რომ აღმოჩნდნენ, პირფერობით აღსავსე, პროვოკაციული მოწოდებით მიმართეს ქართველ ხალხს. ამ გულამაჩუყებელ მოწოდებაში ისინი გოდებდნენ: თითქოს დემოკრატიას საფრთხე ემუქრება და ყველა მშრომელი მოვალეა მის დამცველად გამოვიდესო, მაგრამ ამ თაღლითურ მოთქმას გასავალი აღარ ჰქონდა. საქართველოს მშრომელი გლეხობა ცხადად ხედავდა, რომ სწორედ მენშევიკებმა მიიყვანეს საქართველო დაღუპვის კარამდე, წაგლიჯეს ხალხს მიწა და თავისუფლება, ლაფში ამოსვარეს რევოლუციის წითელი დროშა. სწორედ ამიტომ იღებდა ხალხი ხელში იარაღს, რათა მისი ინტერესების მოღალატე მთავრობა დაემხო.

25 ივნისს დუშეთში შეკრებილმა გლეხთა ყრილობამ დუშეთის მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. არჩეულ იქნა აღმასრულებელი კომიტეტი. დაიწყო რევოლუციურ ღონისძიებათა გატარება.

მენშევიკებმა დუშეთის წინააღმდეგ დიდძალი ჯარი დაძრეს. ბებრის ციხესთან ბრძოლაში მენშევიკების მხარეზე მონაწილეობდნენ გერმანელთა ჯარები. აჯანყებულებს უშენდნენ ზარბაზნებს, მოქმედებდა გერმანელთა თვითმფრინავი. ჭარბი ძალების იერიშის მოგერიება აჯანყებულებმა ვერ შეძლეს და უკან დაიხიეს. გართულდა მდგომარეობა დარიალის რაიონშიც. საშა გეგეჭკორის რაზმმა, რომელიც დუშეთის გლეხობის დასახმარებლად გამოემგზავრა კავკავიდან, პირველად წარმატებას მიაღწია (წაართვა მოწინააღმდეგეს 500 თოფი, 6 ყუმბარმტყორცნი, 2 ტყვიამფრქვევი და სხვ.), მაგრამ შემდეგი წინსვლისას აღმოჩნდა მენშევიკური მთავრობის მრავალრიცხოვანი ჯარის გარემოცვაში და უთანასწორო ბრძოლის შემდეგ გაარღვია რკალი და უკან დაიხია. მენშევიკებმა ამავე დროს განახორციელეს დუშეთზე სამი მხრიდან შეტევა და აიღეს იგი.

დუშეთის მაზრის გლეხთა აჯანყება დამარცხდა. მენშევიკები სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების ხელმძღვანელებს. ბევრი მათგანი დახვრიტეს. მენშევიკმა გვარდიელებმა და ჯარისკაცებმა აიწიოკეს სოფლები. გლეხობას უფრო მძიმე უღელი დაადვეს.

აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი ის იყო, რომ იგი იზოლირებული აღმოჩნდა. გლეხების ნაადრევმა გამოსვლამ ვერ პოვა აქტიური მხარდაჭერა სხვა რაიონების მხრივ. მენშევიკებს საშუალება მიეცათ მოეხდინათ ძალთა მანევრირება. დიდი აქტიურობა გამოიჩინეს გერმანელმა ოკუპანტებმაც.

მაგრამ მენშევიკების შინაური ფრონტი ამით როდი მოისპო. გლეხთა აჯანყებანი კვლავ იჩენდნენ თავს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში. მენშევიკებისათვის მეტად საშიში ხასიათი მიიღო საჩხერის რაიონის გლეხთა გამოსვლამ. მენშევიკთა დამსჯელმა რაზმებმა საჩხერეში დაწვეს რამდენიმე ათეული სახლი, დახვრიტეს 24 კაცი, ციხეში დაამწყვდიეს 80 კაცი. აჯანყების მრავალ მონაწილე გლეხს თოფის ზუმპებით ცემეს. მოსახლეობის ჭირნახული გააჩანაგეს.

სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში ისევ გრძელდებოდა გლეხთა მღელვარებანი და შემოდგომაზე სამეგრელოს გლეხთა მოძრაობამ კვლავ ისეთი ფართო ხასიათი მიიღო, რომ მენშევიკებს ახალი დამსჯელი ექსპედიციების გაგზავნა დასჭირდათ.

ცხადი იყო, რომ საქართველოს რევოლუციური გლეხობა, იწრთობოდა რა სამოქალაქო ომის მკაცრ სკოლაში, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თანდათან ააქტიურებდა თავის მოქმედებას და მენშევიკური ხელისუფლების დამხობას აჩქარებდა. ცხადი იყო, რომ გერმანელ ოკუპანტებს, მენშევიკური ხროვის როგორი მხარდაჭერაც არ უნდა ჰქონოდათ, არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხის დამონება, ხალხისა, რომელსაც გამარჯვების იმედებს უნერგავდა და მამაცურ ბრძოლაში აღაფრთოვანებდა რუსეთის მუშების და გლეხების შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოეთის იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ.

2. ინგლის-ამერიკელი ოკუპანტები საქართველოში 1918—1920 წწ.

ამერიკის იმპერიალიზმის მთელი ისტორია ძალმომრეობის, ხალხთა დამონებისა და ძარცვის სისხლიანი ისტორიაა. დიდმა ლენინმა ამერიკის იმპერიალიზმს „ყველაზე მტაცებლური", „ყველაზე აგრესიული", „ყველაზე უსირცხვილო", „ცოფიანი იმპერიალიზმი" უწოდა.

ამერიკელი იმპერიალისტები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ სხვა ქვეყნებში შეჭრილიყვნენ და ეძარცვათ იგი. ისინი განუწყვეტლივ აწარმოებდნენ ომებს ხალხთა დასამონებლად. ხარბი ამერიკელი მილიარდერები XIX საუკუნიდანვე ცდილობდნენ რუსეთის მდიდარი ადგილების დაპყრობას. ბაქოსა და მაიკოპის ნავთის საბადოები, ურალისა და ციმბირის ხე-ტყის მასივები, ციმბირის რკინიგზა და სამხრეთის ქვანახშირი იმპერიალისტ ქოფაკებს მოსვენებას არ აძლევდნენ.

პირველ მსოფლიო ომში აშშ-ის მილიარდერებმა ზღაპრული მოგება მიიღეს. მათ ხელი მოითბეს არა მარტო გერმანია-ავსტრო-უნგრეთის ბლოკის, არამედ ანტანტის ხარჯზეც, რომლის მოკავშირედ გამოვიდნენ ისინი პირველ მსოფლიო ომში.

ამერიკული იმპერიალიზმი პირველი მსოფლიო ომის დასაწყისიდანვე მეფის რუსეთში ფარულად აბამდა თავის ქსელს და ცარიზმისადმი დახმარების ნიღბით რუსეთის მდიდარ და ვრცელ ტერიტორიაზე ფეხის მოკიდებას ცდილობდა. ეკონომიურად დაუძლურებული და პოლიტიკური კრიზისის წინაშე მყოფი ცარიზმი უარს როდი ამბობდა ამერიკელი მმართველი წრეების მიერ შემოთავაზებულ „დახმარებაზე". მაგრამ, როგორც ცნობილია, ცარიზმს ვერც ამ „დახმარებამ" უშველა და იგი რევოლუციის შეტევით დაიმსხვრა. ოკეანესგაღმელმა კოლონიზატორებმა ცარიზმის დამხობის შემდეგ კერენსკის ბურჟუაზიულ მთავრობას ლაქუცი დაუწყეს და სამსახური შესთავაზეს რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. მათი აქტივობის ნამდვილ მიზანს ააშკარავებს დროებითი მთავრობის კარზე მყოფი ამერიკელი ელჩის ფრენსისის წერილი პრეზიდენტ ვილსონისადმი, სადაც ნათქვამია შემდეგი: დადგა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი რუსეთ-

ზე ამერიკული გავლენის გაძლიერებისათვის, კერძოდ, ვლადივოსტოკისა და ციმბირის რკინიგზებზე კონტროლის დაწესებისათვისო.

ამერიკელი იმპერიალისტები, დროებით მთავრობას რომ ფინანსურ „დახმარებას“ სთავაზობდნენ, ამავე დროს მისი რეალიზაციის გზებსაც მიუთითებდნენ: დროებით მთავრობას უნდა ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ლანსინგი ფრენსისს სწერდა, რომ, თუ დროებითი მთავრობა ვერ შეძლებს რევოლუციური მოძრაობისათვის ანგარიშგასწორებას, ამერიკა იძულებული გახდება ეს დახმარება შეწყვიტოს. რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობა პირნათლად ასრულებდა ამ დაკვეთას. სწორედ ამერიკელი ჯალათების დახმარებით ვარაუდობდა კერენსკის ხროვა სასამართლო კომედიის გათამაშებას, რომელსაც პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის, ლენინისათვის სიკვდილის განაჩენი უნდა გამოეტანა.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის ნებართვით რუსეთში პარპაშობდნენ ამერიკელთა ათასგვარი „მისიები“ და „დელეგაციები“. ეს შენიღბული ჯაშუშები დროებით მთავრობას სთავაზობდნენ სამსახურს რკინიგზების, „წითელი ჯვრის“ და სხვ. საქმის ორგანიზაციაში, ნამდვილად კი ამერიკისადმი რუსეთის ბურჟუაზიული მთავრობის დამონებას, რუსეთის ტერიტორიის ხელში ჩაგდებას და მის ძარცვას ამზადებდნენ.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ამერიკისა და ევროპის იმპერიალისტთა გაოფთრება და შიში უკიდურესობამდე მიიყვანა.

ცნობილია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ გაარღვია საერთაშორისო იმპერიალიზმის ფრონტი, შეარყია მისი ბურჯი ყველა ქვეყანაში. ოქტომბრიდან კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა.

ოქტომბრის რევოლუციამ იმპერიალისტურ ქვეყნებში დასაბამი მისცა პროლეტარული და კოლონიური რევოლუციების ეპოქას. „გადაისროლა რა რევოლუციის თესლი როგორც იმპერიალიზმის ცენტრებში, ისე მის ზურგში, დაასუსტა რა იმპერიალიზმის ძლიერება «მეტროპოლიებში» და შეარყია მისი ბატონობა კოლონიებში,—ოქტომბრის რევოლუციამ ამით კითხვის ქვეშ დააყენა **მთლიანად** მსოფლიო კაპიტალიზმის თვით არსებობა“[1].

ამიტომ იყო, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიამ და პირველ რიგში ყველაზე უფრო აგრესიული ქვეყნის—ამერიკის შეერთებუ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხს., ტ. 10, გვ. 262.

ლი შტატების ბურჟუაზიამ „...მორიგ ამოცანად დაისახა რუსეთში განხორციელებული გარღვევის ლიკვიდაცია და ამისათვის შეაგროვა თავისი თავისუფალი ძალები (რეზერვები) საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ...“[1].

საბჭოთა ხელისუფლების მიერ საბჭოების II ყრილობაზე მიღებული დეკრეტი ზავის შესახებ ამერიკელ იმპერიალისტებს ლახვარივით მოხვდათ გულში. ამ დეკრეტის განხორციელება მოასწავებდა ამერიკელთა ფართო გეგმების ჩაშლას. ლანსინგი ვილსონს სწერდა, რომ დეკრეტი ზავის შესახებ წარმოადგენს „ყველა ქვეყანაში არსებული სოციალური წესრიგის არსებობის საფრთხეს“ (ლანსინგს მხედველობაში ჰქონდა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ამერიკის „სოციალური წესრიგი“); ლანსინგი შემდეგ წერილშიც გოდებდა: „ჩვენ ყოველგვარ იმედებზე ხელი უნდა ავიღოთ, თუ ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში დარჩებიანო“.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამერიკის მმართველმა წრეებმა ოქტომბრის რევოლუციის მეორე დღიდანვე დაიწყეს საბჭოთა რესპუბლიკის ბლოკადის განხორციელება. მათ უარი თქვეს სურსათის გაგზავნაზე რუსეთში მანამ, ვიდრე „ბოლშევიკები ხელისუფლების სათავეში იქნებიან და ეცდებიან განახორციელონ ზავის დადების თავიანთი პროგრამა“[2].

რუსეთში იმპერიალიზმის ფრონტის გარღვევით დამფრთხალი ამერიკელი რეაქციონერები განსაკუთრებით შეაშფოთა ევროპის პროლეტარიატის საბრძოლო აქტივობის ზრდამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ისინი ენერგიასა და სახსრებს არ ზოგავდნენ, რათა დახმარება გაეწიათ ევროპის ბურჟუაზიული მთავრობებისათვის პროლეტარული მოძრაობის ლიკვიდაციის საქმეში. ამერიკა ამ დროს მსოფლიო ასპარეზზე გარკვევით გამოვიდა როგორც საერთაშორისო ჟანდარმი, როგორც მსოფლიო მასშტაბით გაჩაღებული განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის ინიციატორი.

ამერიკელმა რეაქციონერებმა გადაწყვიტეს პირველ რიგში მოესპოთ საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც მათ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და კოლონიებში გაჩაღებული მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავედ მიაჩნდათ.

ი. ბ. სტალინი წერდა: „იმ მომენტში, როდესაც რუსეთის რევოლუცია ძალღონეს ძაბავს თავის მონაპოვართა დასაცავად, იმპერიალიზმი კი ცდილობს ბოლო მოუღოს მას,—ამერიკის კაპიტალი

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 90.

[2] პოსპელოვი, ლენინის გარდაცვალების XXVII წლისთავის შესახებ.

მილიარდებით ამარაგებს კერენსკი-მილიუკოვ-წერეთლის კოალიციას იმისათვის, რომ საბოლოოდ ალაგმოს რუსეთის რევოლუცია და ძირი გამოუთხაროს დასავლეთში მზარდ რევოლუციურ მოძრაობას"[1].

ვ. ი. ლენინმა 1918 წ. 27 ნოემბერს მოსკოვის პარტიული მუშაკების კრებაზე ამხილა „ამერიკელი მილიარდერების მსახური, სვავი კაპიტალისტების მსახური ვილსონი" და მისი ხროვა, რომლებიც ინგლისელ იმპერიალისტებთან ერთად ევროპის ხალხებს ბორკილებში ჭედავდნენ და თავისუფლების შუქს უხშობდნენ.

„...აღმოჩნდა,—ამბობდა ვ. ი. ლენინი,—რომ ინგლისელები და ამერიკელები გამოდიან რუსეთის თავისუფლების ჯალათებად და ჟანდარმებად, როგორც ეს როლი სრულდებოდა რუსეთის ჯალათის ნიკოლოზ I დროს... ახლა ეს როლი იკისრეს ვილსონის აგენტებმა. ისინი ახშობენ რევოლუციას ავსტრიაში, ისინი ჟანდარმების როლს ასრულებენ, ისინი ულტიმატუმს უყენებენ შვეიცარიას: პურს არ მოგცემთ, თუ არ ჩაებმებით ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. ისინი უცხადებენ ჰოლანდიას: არ გაბედოთ თქვენთან საბჭოთა ელჩების შემოშვება, თორემ მოგელით ბლოკადაო. მათ უბრალო იარაღი აქვთ—შიმშილის თოკი. აი რით ახრჩობენ ისინი ხალხებს"[2].

ამერიკის მმართველმა წრეებმა უარი თქვეს საბჭოთა მთავრობის ცნობაზე, ისინი ყოფილ მეფის გენერლებს კალედინსა და დუხონინს საბჭოების დასამხობად აქეზებდნენ და ყოველმხრივ დახმარებას პირდებოდნენ. ამერიკისა და ევროპის იმპერიალისტური მთავრობები ამზადებდნენ ინტერვენციას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ყოველმხრივ ცდილობდნენ ჩაეშალათ საბჭოთა რესპუბლიკის საზავო მოლაპარაკება გერმანიასთან. ამერიკის ელჩი რუსეთში ფრენსისი თავის მთავრობას აშკარად ურჩევდა დაეწყო ვლადივოსტოკის ოკუპაცია. ეწეოდნენ რა ფარულ ჯაშუშურ საქმიანობას, ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის წარმომადგენლები რუსეთში, ამავე დროს მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ადგილობრივ თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციასთან კომბინირებული მოქმედების შესახებ. მათ გადაწყვიტეს ვოლოგდაში შეექმნათ საერთო რუსული კონტრრევოლუციური მთავრობა, რომელიც საბჭოებია ხელისუფლებას დაამხობდა და მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატონობას აღადგენდა. ყველაფერი ეს კეთდებოდა მაშინ, როცა

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 268.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 246.

ამერიკის იმპერიალიზმის მოდარაჯე ქოფაკი ვილსონი კონგრესის წინაშე მშვიდობის ყალბი ფრაზებით გამოდიოდა და რუსი ხალხისადმი „მეგობრულ განწყობილებაზე" ლაყბობით საზოგადოებრივ აზრს ატყუებდა.

1918 წლის გაზაფხულზე იმპერიალისტთა ჯარები შეიჭრნენ მურმანსკის მხარეში. ივნისის დასაწყისში მათ ხელთ იგდეს კემი, სოროკა, ხოლო თვის ბოლოს—ონეგი. ამერიკელთა მონაწილეობით არხანგელსკში მომხდარმა კონტრრევოლუციურმა გადატრიალებამ იმსხვერპლა ათასობით საბჭოთა ადამიანი. ამერიკელებმა დაიწყეს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მდიდარი რაიონების ოკუპაცია. 16 აგვისტოს ვლადივოსტოკში შეიჭრა ამერიკელთა 9-ათასიანი არმია. ციმბირის დაპატრონების მიზნით ამერიკელები სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევდნენ თეთრგვარდიელ გენერალ კოლჩაკს.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და რუსეთის ტერიტორიის დატაცების საქმეში ამერიკელ იმპერიალისტებთან ერთად იარაღით მოქმედებდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და იაპონიის იმპერიალისტები. იმპერიალისტურმა იაპონიამ ჯარები შეიყვანა შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისელი და ფრანგი ოკუპანტები შეიჭრნენ მურმანსკის მხარეში.

ამერიკელი იმპერიალისტები ციმბირითა და არხანგელსკით არ კმაყოფილდებოდნენ, ისინი თავიანთ სისხლიან თათებს სამხრეთ რუსეთის სიმდიდრეებისკენაც იშვერდნენ. ამერიკული მისიები, ჯაშუშები დაძრწოდნენ სამხრეთ რუსეთში, კავშირს კრავდნენ სამხრეთის კონტრრევოლუციის მესვეურებთან, აღუთქვამდნენ მათ ყოველმხრივ დახმარებას. სამხრეთში ამერიკელთა ყველაზე საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა გენერალი დენიკინი, რომლის ბანაკში ამერიკელებს ჰყავდათ საკუთარი წარმომადგენლობა ადმირალ მაკ-კოლის მეთაურობით. 1919 წ. თებერვალში სამხრეთის რაიონებში—უკრაინაში, ყირიმში, ბესარაბიაში, ჩრდილო კავკასიაში გაცხოველებით მუშაობდა ამერიკელთა მისია პოდპოლკოვნიკ რიგსის მეთაურობით, რომელიც დაზვერვითი და ჯაშუშური საქმიანობით ყოველმხრივ უწყობდა ხელს სამხრეთის კონტრრევოლუციას საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო კავკასიით, რომლის ბუნებრივი სიმდიდრენი და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმს გამდიდრების ახალ პერსპექტივებს უსახავდა.

ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს სიზმარშიც ელანდებოდათ ბაქოს ნავთობი, საქართველოს მარგანეცი. 1918 წელს ინგლისური ეკონომიური ჟურნალი „ნირ ისტ“ („ახლო აღმოსავლეთი“) წერდა, რომ „ნავთობის მხრივ ბაქოს ბადალი არა ჰყავს. ბაქო ნავთობის უდიდესი ცენტრია მსოფლიოში. თუ ნავთობი დედოფალია, მაშინ ბაქო მისი ტახტია“.

ამ „ტახტის“ ხელში ჩასაგდებად ინგლისელ იმპერიალისტებს უნდოდათ გამოეყენებინათ ამიერკავკასიის მაშინდელი კონტრრევოლუციური „მთავრობები“, რომლებიც მზად იყვნენ ყოველგვარი სამსახური გაეწიათ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისათვის.

„კავკასიის ნავთობის კომპანიის“ თავმჯდომარე ლონდონში 1916 წლის დეკემბერში საჯაროდ აცხადებდა:

„ბრიტანეთის კუნძულების ისტორიას ჩვენთვის არასოდეს არ მოუცია ასეთი სასურველი შემთხვევა ბრიტანეთის სამფლობელოებისა და ბრიტანეთის ვაჭრობის მშვიდობიანი გაფართოებისათვის, მეორე ინდოეთის ან მეორე ეგვიპტის შექმნისათვის.

რუსეთის ნავთის მრეწველობა, ფართოდ დაფინანსებული და კარგად ორგანიზებული ბრიტანულ საწყისებზე, იმპერიის უდიდესი შენაძენი იქნებოდა“.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამიერკავკასიის შეძლებულმა კლასებმა და კონტრრევოლუციურმა პარტიებმა (მენშევიკებმა, მუსავატელებმა, დაშნაკებმა) საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მჭიდრო ბლოკი შექმნეს და ჩამოაყალიბეს ე. წ. ამიერკავკასიის კომისარიატი, რომლის მთავარ მიზანს ამიერკავკასიაში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების შენარჩუნება შეადგენდა.

კონტრრევოლუციური კომისარიატი და სეიმი მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, ისინი საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მებრძოლ თეთრგვარდიელ გენერლებს გულუხვად ეხმარებოდნენ და ევროპის იმპერიალისტურ ქვეყნებს უკავშირდებოდნენ.

მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობით აღსავსე და ხალხის თვალში გაკოტრებული სეიმი, აგრეთვე მის მიერ შეკოწიწებული „ფედერაციული რესპუბლიკა“ როგორც ვნახეთ, ხუხულასავით დაიშალა. გაბატონებულმა კონტრრევოლუციურმა პარტიებმა ამიერკავკასიამ ცალკეულ ერთეულად გათიშეს და თითოეულ მათგანში თავიანთი სისხლიანი დიქტატურა დაამყარეს.

ქართველი მენშევიკები თავიანთ შავბნელ საქმიანობაში არაფრით არ განსხვავდებოდნენ დღევანდელი მემარჯვენე სოციალის-

ტებისაგან. ისინი, ისევე როგორც დღევანდელი მემარჯვენე სოციალისტები, თავიანთ თავს სოციალისტებს უწოდებდნენ, მაგრამ მათ საქმიანობაში სოციალიზმის ნატამალიც კი არ იყო. პირიქით, ისინი სოციალისტური სახელმწიფოს ისეთივე დაუძინებელი მტრები იყვნენ, როგორც კაუცკი და ბლიუმი, სარაგატი და შუმახერი, ეტლი და ბევინი. ისინი განამტკიცებდნენ ექსპლოატატორთა კლასის ბატონობას, ხოლო ხალხის რევოლუციურ სულისკვეთებას ადუნებდნენ ათასგვარი განუხორციელებელი დაპირებებითა და თვალთმაქცური სიტყვებით. ისინი—ჟორდანია და გეგეჭკორი, ჩხენკელი და წერეთელი—კარს უღებდნენ ევროპისა და ამერიკის იმპერიალისტებს და ყოველმხრივ დახმარებას უწევდნენ მათ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე როგორც დღეს მემარჯვენე სოციალისტები კარს უღებენ ამერიკულ იმპერიალიზმს, მონურად ხოხავენ მის წინაშე და თავიანთ ქვეყანას აქცევენ ამერიკული იმპერიალიზმის პლაცდარმად საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ სოციალ-გამყიდველმა მენშევიკებმა პირველად ხელშეკრულება დადეს გერმანელ იმპერიალისტებთან და მათ უფლება მისცეს ეძარცვათ ჩვენი ქვეყანა იმ სამსახურის საფასურად, რომელსაც მათ გერმანული ხიშტები უწევდა მშრომელთა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობაში.

მაგრამ გერმანელ იმპერიალისტებს როდი დასცალდათ.

მენშევიკურ მთავრობას, მიუხედავად მისი „დამოუკიდებლობისა", როგორც ამ მთავრობის ერთ-ერთი მესვეური ე. გეგეჭკორი აცხადებდა, ერთი წუთითაც არ შეეძლო არსებობა რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე. საქართველოს მშრომელებმა ვერც კი მოასწრეს გერმანელი ჯარისკაცების ძალადობის დამთავრების შემდეგ ამოესუნთქათ, რომ მენშევიკებმა ხელი გაუწოდეს ახალ ბატონებს — ინგლისელ-ამერიკელ დამპყრობლებს, რომლებიც დიდი ხანია ოცნებობდნენ ამიერკავკასიის მიტაცებაზე, რისთვისაც ახლა ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა მიეცათ.

ამგვარად, ქართველმა მენშევიკებმა სწრაფად შეიცვალეს ორიენტაცია. ინგლისელ იმპერიალისტებსაც ეს უნდოდათ. კავკასიის დამონება შინაგანი ძალებით მათ უფრო ადვილად შეეძლოთ. „ჟორდანია და წერეთელი ჩქარობენ შეცვალონ თავიანთი ორიენტაცია გერმანიიდან ინგლისზე, მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმს ეს ორიენტაციაც არ უნდა, ამის გარეშეც საქართველო და მთელი კავკა-

სია ჩართულია „სიტის ბანკირთა“ გავლენის სფეროში“[1]—წერდა გაზეთი „ჟიზნ ნაციონალნოსტეი“.

ინგლისელმა ინტერვენტებმა 1918 წელს, ზაფხულში, გადამწყვეტი დახმარება გაუწიეს დაშნაკების, მუსავატელებისა და ესერების კონტრრევოლუციურ ბლოკს ბაქოს კომუნის დამხობისა და ბაქოს 26 კომისრის მხეცურად დახვრეტის საქმეში, რითაც ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის მშრომელი მასების ხსოვნაში დასტოვეს ჯალათების სახელი.

ჩვენ წინა თავში ელაპარაკობდით ბაქოს პროლეტარიატის გმირულ თაოსნობაზე, პროლეტარიატისა, რომელმაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხელთ აიღო ძალაუფლება ბაქოში და მშრომელთა სასიცოცხლო საკითხების პრაქტიკულ გადაწყვეტას შეუდგა. როგორ წარიმართა შემდეგ კომუნის მოღვაწეობა და რა პირობებში მოხდა მისი დაცემა?

ბაქოს პროლეტარიატის გმირულმა თაოსნობამ ამიერკავკასიის მშრომელ გლეხობაში ცხოველი გამოხმაურება პოვა. საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად აღდგნენ აზერბაიჯანისა და მთელი ამიერკავკასიის სოფლები. 2 მარტის სხდომაზე საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება შეამჟიდროოს თავის გარშემო მთელი ამიერკავკასიის მშრომელი მასები. და დაამხოს ამიერკავკასიის სეიმის ხელისუფლება.

ბაქოს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად კონტრრევოლუციის ძალები შეტევაზე გადავიდნენ. 18—20 მარტს, ბაქოს ქუჩებში მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები. ბოლშევიკური რაზმები, წითელი გვარდია, ინტერნაციონალური პოლკები გმირულად იგერიებდნენ მუსავატური ნაწილების, ველური დივიზიის, დაშნაკური ბანდების შემოტევას. განსაკუთრებულ მამაცობას იჩენდა ბოლშევიკთა ის ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ამხანაგი მიქოიანი, რომელმაც ამ ბრძოლებში ჭრილობაც მიიღო. საბჭოთა რაზმებმა სახელოვნად დაიცვეს თავისი ქალაქი. ბაქოში, აზერბაიჯანის მთელ რიგ მაზრებში მუსავატური კონტრრევოლუცია დამარცხებულ იქნა.

მარტის სამოქალაქო ომში გამარჯვებამ საბჭოთა ხელისუფლების პოზიციები ბაქოში კიდევ უფრო განამტკიცა. 25 აპრილს შეიქმნა ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა კომისრად არჩეულ იქნა ს. შაუმიანი, საგუბერნიო კომისრად—აზიზბეკოვი, შინა-

---

[1] გაზ. Жизнь национальностей, 16 მარტი, 1919 г.

გან საქმეთა კომისრად ჯაფარიძე, სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარედ—ფიოლეტოვი, მიწათმოქმედების კომისრად—ვეზიროვი, შრომის კომისრად—ზევინი და სხვ. სახალხო კომისართა საბჭომ გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც მითითებული იყო, რომ იგი მჭიდროდ იქნება დაკავშირებული რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებასთან და ცხოვრებაში ურყევად გაატარებს მუშურ-გლეხური მთავრობის ყველა დეკრეტსა და განკარგულებას.

საბჭო შეუდგა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესების პრაქტიკულ გადაწყვეტას: გამოქვეყნებულ იქნა დეკრეტი ნავთის მრეწველობის, კასპიის სავაჭრო ფლოტის, ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ, ბეგებს, ხანებს, მელიქებს, მემამულეებს ჩამოერთვათ მიწები და გადაეცა მშრომელ გლეხობას, შემოღებულ იქნა 8-საათიანი სამუშაო დღე. ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს ბაქოს კომუნა ახორციელებდა კონტრრევოლუციური პარტიებისა და ძალების გააფთრებული საბოტაჟისა და წინააღმდეგობის ვითარებაში. მაგრამ კონტრრევოლუციის მაქინაციებს ზედიზედ ფუშავდა რევოლუციური აღტყინება ბაქოს პროლეტარიატისა, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სიცოცხლის ფასად დაეცვა მუშურ-გლეხური ხელისუფლების მონაპოვარი. 7 ივნისს ს. შაუმიანი, აცნობებდა რა ვ. ი. ლენინს სახალხო კომისართა მიერ ჩატარებული პირველი ღონისძიებების შესახებ, აღნიშნავდა: „ჩვენი საშინაო მდგომარეობა ისეთია, რომ ყველა ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებას შევძლებდით უმტკივნეულოდ და ბრწყინვალედაც. სურსათის მხრივ მუშათა მძიმე მდგომარეობის მიუხედავად (ორ თვეზე მეტია მუშები ნამდვილად შიმშილობენ), ჩვენ თავს მტკიცედ ვგრძნობთ. მაგრამ ვნახოთ, როგორი იქნება ჩვენი სამხედრო მდგომარეობა უახლოეს დღეებში. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, ბაქო გადაიქცევა სანიმუშო შრომის კომუნად“.

ბაქოელ ბოლშევიკებს კარგად ესმოდათ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნავთს საბჭოთა სახელმწიფოსათვის, რომელიც ეწეოდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას თეთრგვარდიელ კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ. ბაქოს პროლეტარიატი ნავთის მრეწველთა ძველი აპარატის მხრივ საბოტაჟისა და მუშაობის მძიმე პირობების (შიმშილობა, პრიმიტიული ტექნიკა) მიუხედავად, აღწევდა ნავთის ამოღების ზრდას და გზავნიდა მას საბჭოთა რუსეთის ფრონტებზე. უმოკლეს ვადებში ბაქოდან ასტრახანში გაგზავნილ იქნა 80 მილიონი ფუთი ნავთი.

სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, რომელთა მიზანს პროლეტარიატის დიქტატურის განმტკი-

ცება, სოციალისტური სახელმწიფოს საფუძვლების აშენება წარმოადგენდა, გააფთრება გამოიწვია ამიერკავკასიელ ბურჟუებსა და მემამულეებს შორის, მათი ინტერესების დამცველ კონტრრევოლუციურ პარტიებს შორის. ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ ჩააფიქრა დასავლეთის იმპერიალისტები, რომელთაც ხელიდან ეცლებოდათ, ერთი მხრივ, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტევის მოხერხებული პლაცდარმი და ბაქოს ნავთი, ხოლო, მეორე მხრივ, იქმნებოდა სოციალისტური რევოლუციის ახალი მძლავრი ფორპოსტი, რომელმაც შეძლო რევოლუციის თესლი აღმოსავლეთის კოლონიებში გაეღვივებინა.

საბჭოთა ბაქოს წინააღმდეგ შეტევისათვის მუსავატელებმა თავიანთ ბანდებთან ერთად დაძრეს იმპერიალისტური თურქეთის ჯარები, რომლებიც თავის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლივ გაატარა საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ. თურქეთთან ერთად მუსავატელებს აქტიური დახმარება აღუთქვეს გერმანელმა იმპერიალისტებმა, რომელთა ჯარები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მოწვევით შინაურულად მოკალათდნენ ამიერკავკასიაში. უკვე ივნისში საბჭოთა ბაქოს გერმანულ-თურქულ-მუსავატურ ბანდებთან მოუხდა პირველი შეტაკება.

ადგილობრივი კონტრრევოლუციისა და გერმანია-თურქეთის საინტერვენციო ძალების გაერთიანებული შეტევის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლებში წითელი არმიის ნაწილები გასაოცარ სიმამაცეს იჩენდნენ. ფრონტზე მიდიოდნენ პროლეტართა ახალ-ახალი ნაწილები. მებრძოლთა პირველ რიგებში კომუნისტები იდგნენ.

ამ დღეებში აზერბაიჯანისა და მთელი ამიერკავკასიის მშრომელთა გულისყური მიმართული იყო ჩრდილოეთისაკენ. მათ სჯეროდათ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მონაპოვართა დასაცავად ამიერკავკასიელ ხალხს დახმარებას გაუწევდა რუსი ხალხი, მისი გმირული წითელი არმია. 13 ივლისს შაუმიანი სწერდა ლენინს: „მდგომარეობა ფრონტზე უარესდება. მარტოოდენ ჩვენი ძალები არაა საკმარისი. აუცილებელია სოლიდარული საბჭოდრო დახმარება რუსეთიდან. მე დეპეშა გავუგზავნე სტალინს ასტრახანსა და ცარიცინში: გთხოვთ გასცეთ განკარგულება“.

ცენტრალური საბჭოთა მთავრობა რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად ყველა ღონისძიებას ხმარობდა იმისათვის, რომ პროლეტარული ბაქო თურქ-გერმანელთა ჯარების ოკუპაციისაგან გადაერჩინა. ბაქოში გაიგზავნა დიდძალი იარაღი, საჭურველი, ფული. რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ ბაქოს ნავ-

თის მრეწველობისათვის გაიღო 100 მილიონი მანეთი, ბაქოში მოვიდნენ ჯავშნიანი ავტომანქანები, რაზმები პეტროვკსიდან, რომლებიც ბაქოს პროლეტარებთან ერთად დაუყოვნებლივ ჩაებნენ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა თვით ბაქოში. ესერებმა შეთქმულება მოაწყვეს. მუსავატურ-დაშნაკური და ესერული პარტიების აგენტებმა ინგლისის დაზვერვასთან ერთად წამოაყენეს დაჟინებითი მოთხოვნა ინგლისელთა ჯარების მოწვევის შესახებ, რომელთაც თითქოს უნდა შეეკავებინათ თურქეთ-გერმანიის ჯარების შეტევა. 16 ივლისს ბაქოს საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დაშნაკების, ესერებისა და მენშევიკების ლიდერებმა დაჟინებით დააყენეს ინგლისელთა მოწვევის საკითხი. ბოლშევიკებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ წინადადებას. ს. შაუმიანმა ამხილა კონტრრევოლუციური პარტიების ფარული კავშირი იმპერიალისტებთან და ცხადყო, რომ იგნლისელთა მოწვევა ბაქოს კომუნის დამხობას, ამიერკავკასიის ინგლისელ იმპერიალისტთა კოლონიად გადაქცევას გამოიწვევდა.

16 ივლისს საბჭომ ხმის მცირე უმრავლესობით მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია, რომელიც ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის ამ მოღალატურ წინადადებას სასტიკად გმობდა. მაგრამ კონტრრევოლუციამ თავის გამცემლური მუშაობა კიდევ უფრო გააცხოველა. ქალაქში დარხეულ იქნა ათასი პროვოკაციული ხმები, მოღალატეები ყველგან გაჰყვიროდნენ, რომ დღეს თუ ხვალ თურქები და გერმანელები ქალაქში შევლენ, რომ ერთადერთი ხსნა ინგლისის დახმარებაა, რომელიც ამასთან ერთად სურსათსაც მოგვიტანსო.

25 ივლისს შედგა ბაქოს საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელზედაც 500 კაცი ესწრებოდა. შაუმიანმა და ბაქოელმა ხელმძღვანელმა კომუნისტებმა კვლავ დაგმეს ინგლისელთა მოწვევის მუხანათური წინადადება. შაუმიანმა გამოაქვეყნა ლენინისა და სტალინის დეპეშა ამ საკითხზე, სადაც რევოლუციის ბელადები დამღუპველად თვლიდნენ ინგლისელ ინტერვენტთა მოწვევას და ბაქოს საბჭოს ავალებდნენ საბჭოების მეხუთე ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში ურყევად გატარებას. კენჭისყრის შედეგად, ხმის მცირე უმრავლესობით (257 ხმა 208-ის წინააღმდეგ) გაიმარჯვა ესერების, დაშნაკებისა და მენშევიკების კონტრრევოლუციურმა ბლოკმა. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ თავიდანვე მოიხსნა პასუხისმგებლობა ამ მოღალატური ნაბიჯისათვის და 1918. წლის 31 ივლისს თავისი რწმუნებანი ჩააბარა.

ამრიგად, ბაქოს პროლეტარიატის ენერგიული ბრძოლების მიუხედავად, ივლისის თვის ბოლოსათვის კონტრრევოლუციური პარტიების ბანდებისა და უცხოური ინტერვენციის ჯარების რკალში მომწყვდეულ ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება დაეცა. ბაქოს სახალხო კომისართა საბჭოს ხელმძღვანელთა სერიოზული შეცდომა, რამაც აგრეთვე ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების დაცემას, იყო ის, რომ მათ ვერ შეძლეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების, ლენინისა და სტალინის მითითებების მტკიცედ გატარება, ვერ შეძლეს დროზე მოეღოთ ბოლო ინგლისური იმპერიალიზმის დაშნაკურ-მუსავატურ-ესერულ-მენშევიკური აგენტურის პროვოკაციული აგიტაციისათვის.

1 აგვისტოს, ბაქოში შეიქმნა კონტრრევოლუციური მთავრობა — ე. წ. „ცენტროკასპიის დიქტატურა", რომელშიც შევიდნენ ბაკები, დაშნაკები და მუსავატელები. ბაქოს საბჭო დათხოვნილ იქნა. დააპატიმრეს სტ. შაუმიანი.

4 აგვისტოს „ცენტროკასპიის დიქტატურის" ხელისშეწყობით ბაქო დაიპყრეს ინგლისელმა ინტერვენტებმა, რომელთაც დაუყოვნებლივ დაიწყეს რევოლუციურ-პროლეტარული ციტადელისათვის სისხლიანი ანგარიშის გასწორება, ბაქოს ნავთის ყაჩაღური გაზიდვა, ქალაქის სიმდიდრეთა დატაცება. ბაქოს კომისრები დაპატიმრებულ იქნენ. ბაქოსკენ ამავე დროს მოიწევდნენ გერმანელ-თურქთა ჯარები. ინგლისელმა ოკუპანტებმა მიატოვეს ქალაქი. 15 სექტემბერს ბაქო გერმანია-თურქეთის ნაწილებმა დაიპყრეს. 14 სექტემბერს ა. მიქოიანმა შეძლო ბაილოვის ციხეში დაპატიმრებული კომისრების განთავისუფლება. კომისრები მოთავსდნენ გემ „ტურკმენზე" და გასცილდნენ ქალაქს, სადაც უკვე დაძრწოდნენ თურქთა შემოჭრილი ბანდები.

17 სექტემბერს გემი „ტურკმენი" კრასნოვოდსკში მივიდა. კრასნოვოდსკში ამ დროს თარეშობდნენ ინგლისელი ოკუპანტები, რომლებიც ადგილობრივ ესერულ ხელისუფლებასთან ერთად მხეცურად უსწორდებოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელებს. ინგლისელი ოფიცრების კარნახით ესერებმა ბაქოს კომისრები დააპატიმრეს.

შუა აზიაში ბრიტანეთის მისიის მეთაურმა გენერალმა მოლესონმა, მისიის წარმომადგენელმა ინგლისელმა კაპიტანმა რედჟერალდ ტიგ-ჯონსონმა და ესერებმა ფუტნიკოვმა, დურეკინმა, კუნმა და სხვ. რომლებიც ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიე-

ბთან და ინგლისის მთავრობასთან სრული შეთანხმებით მოქმედებდნენ, გადასწყვიტეს ბაქოელი კომისრების მხეცურად დასჯა.

გენერალი მოლესონი შემდეგ, იგონებდა რა ბაქოელი კომისრების ჩასვლას კრასნოვოდსკში, აღნიშნავდა, რომ ბაქოელი კომისრების ჩასვლა კრასნოვოდსკში იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა. რუსეთის ამ უმსხვილეს აგიტატორებს შეეძლოთ ეს მხარე ბოლშევიკური გაეხადათ და რაღა ეშველებოდა მაშინ ჩვენს გეგმებს. მართალია, ბაქოელი კომისრები უიარაღონი იყვნენ, მაგრამ ისინი ფლობდნენ ცეცხლმსროლელზე უფრო მძლავრ იარაღს—გამოცდილი აგიტატორის ძალას, რომელიც მასას იპყრობს და ბოლშევიკურს ხდისო.

ჯალათები თავიანთ მხეცურ ანგარიშგასწორებას მეტად ჩქარობდნენ. ციხეში კომისრებს აუტანელი რეჟიმი შეუქმნეს. ამავე დროს სასწრაფოდ შეადგინეს საგანგებო ჩქარი მატარებელი, რომელშიც მოათავსეს დასახვრეტი კომუნარები და გზას გაუყენეს.

20 სექტემბერს, ღამით, კრანსოოდსკიდან 207 კილომეტრის დაცილებით, ქვიშიან უდაბნოში ინგლისელმა-ესერელმა ჯალათებმა 26 გმირი კომისარი დახვრიტეს. მამაც კომუნარებს სიკვდილის ჟამსაც კი თავი არ მოუხრიათ. კომუნიზმისათვის ბრძოლის მადიდებელი ლოზუნგები იყო მათი უკანასკნელი ამოძახილი.

1918 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში, ბაქოში, ინგლისელთა ჯარებით შევიდა გენერალი ტომსონი. ამავე დროს ინგლისელთა დესანტები გადმოსხმულ იქნა ბათუმში. ინგლისელთა განზრახვა ამ აქტით ნათლად გამოსჭვიოდა: მათ სურდათ დაპატრონებოდნენ იმ მაგისტრალს, რომელიც ბაქოდან ბათუმამდე ნავთის გადაჩქვას ეწეოდა. დაიწყო ამიერკავკასიაში ინგლისელთა თავაშვებული პარპაში.

ინგლისის სარდლობამ ბაქოში ხან-ხოისკის მიანდო აზერბაიჯანის მთავრობის შექმნა. მაგრამ ეს „მთავრობა“ სათამაშო ტიკინას წარმოადგენდა გენერალ ტომსონის ხელში; იგი თვითნებურად განაგებდა ქვეყანას და ინგლისელ იმპერიალისტებს აძარცვინებდა მას.

ინგლისის იმპერიალიზმის შემოჭრას ბაქოში ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ კონტრრევოლუციური პარტიები—მუსავატელები, დაშნაკები, ესერები. ერთადერთი პარტია, რომელიც ხალხის ნამდვილ ინტერესებს გამოხატავდა, იყო კომუნისტური პარტია; იგი მთელი ძალებით ებრძოდა ინტერვენტების მოწვევის მოღალატურ პოლიტიკას. ლენინი სიამაყით აღნიშნავდა კომუნისტური პარტიის ამ დამსახურებას.

1918 წლის ოქტომბერში ანტანტასა და თურქეთს შორის ხელმოწერილმა მუდროსის ზავმა ამერიკისა და ბრიტანეთის იმპერიალიზმს თურქეთსა და მთელ ახლო აღმოსავლეთში ბატონობის გზები გაუკაფა. ამ ზავით ამერიკისა და ინგლის-საფრანგეთის ფლოტს გაეხსნა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები. ამერიკამ, ინგლისმა და საფრანგეთმა მოიპოვეს თურქეთში სტრატეგიული პუნქტების შექმნის უფლება; მათვე განახორციელეს იმ ტერიტორიების ოკუპაცია, რომლებიც წინათ თურქეთის არმიას ეკავა. თურქეთის იმპერიალიზმი თავისი ყაჩაღური პოლიტიკის გაკოტრების შედეგად დასავლეთის იმპერიალიზმის ყურმოჭრილი მონა გახდა.

მუდროსის ზავის მე-15 მუხლის თანახმად, ანტანტამ უფლება მიიღო დაეკავებინა ის ტერიტორიები, რომლებიც ოკუპირებული იყო თურქეთის ჯარების მიერ. ოდნავადაც არ უწევდნენ რა ანგარიშს ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილს, ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტებმა დაჩქარებით იწყეს ამიერკავკასიის ოკუპაცია.

მენშევიკური მთავრობისათვის, რომელსაც ბატონობის შესანარჩუნებლად საკმარისი ძალები არ გააჩნდა და რომელიც თავის გადარჩენას იმპერიალისტებისადმი მონური მორჩილებით ვარაუდობდა, ინგლისელ-ამერიკელ დამპყრობთა გამოჩენა საქართველოში „სასურველი სტუმრობა“ იყო. საქართველოს ცრუპარლამენტის 1919 წლის 3 იანვრის სხდომაზე ე. გეგეჭკორი აღნიშნავდა: „ჩვენთან გამოცხადდნენ ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლები, რომელთაც ბედმა არგუნა გამარჯვება გერმანიის კოალიციაზე. საქართველოს მთავრობას თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი უშიშრად და შეურცხვენლად ხვდება მათ“. გეგეჭკორის ეს სიტყვები სავსებით ააშკარავებენ მენშევიკური მთავრობის მონურ მორჩილებას ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმისადმი, რომელიც კავკასიაში იმიტომ იკიდებდა ფეხს, რომ იგი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადაექცია. ამავე დროს ეძარცვა მისი ბუნებრივი სიმდიდრენი, ეპარპაშა აქ ისევე, როგორც ინდოეთსა და ეგვიპტეში.

ამერიკა-ინგლისის იმპერიალიზმი, რომლის ძირითად მიზანს საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება, რუსეთში კაპიტალისტური რეჟიმის აღდგენა და შემდეგ ქვეყნის დამონება შეადგენდა, არა თუ მოწონებით ხვდებოდა განაპირა რაიონებში შექმნილ ნაციონალურ „მთავრობებს“, პირიქით, მათ ხელშემშლელადაც კი თვლიდა. 1918 წლის 2 დეკემბერს კავკასიაში დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალ ტომსონი თავის განცხადებაში

იეწყებოდა: „მოკავშირე სახელმწიფოები, ისე როგორც რუსეთის ახალი მთავრობა უფაში, რომელთანაც ერთად ისინი (მოკავშირეები—ა. ს.) მოქმედებენ, არ სცნობენ არავითარ დამოუკიდებელ ერთეულებს (Независимых образований), რომლებიც აღმოცენდნენ რუსეთში და მათთან, როგორც ასეთთან, არავითარი ურთიერთობა არ ექნებათ.

მათი (მოკავშირეების—ა. ს.) მოღვაწეობის ამოცანები მდგომარეობს შემდეგში: ა) რუსეთის ხელისუფლების სახელით კავკასიაში წინანდელი მეფისნაცვლის რეჟიმის აღდგენა... ბ) კავკასიის განთავისუფლება გერმანელი ჯარებისა და ბოლშევიკებისაგან, რომლებთანაც მოკავშირეები ომის მდგომარეობაში იმყოფებიან, გ) ინგლისის სარდლობა ახორციელებს მხარის ოკუპაციას მასში წესრიგის დაცვის მიზნით, მაგრამ სრულებითაც არ აქვს განზრახვა ჩაერიოს მის შინაურ საქმეებში. ადგილობრივი ჯარები ემორჩილებიან ინგლისის სარდლობას და განიხილებიან როგორც რუსეთის ჯარები...“[1] და სხვ.

აქ გარკვევითაა ჩამოყალიბებული ინგლისის იმპერიალიზმის გეგმები, თუმცა მასში შეპარებულია ჩვეულებრივი იმპერიალისტური სიცრუე იმის შესახებ, თითქოს ოკუპანტები ქვეყნის შინაურ საქმეებში არ ჩაერევიან. ეს დაპირება იყო. სინამდვილეში პირიქით მოხდა. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება ამიერკავკასიის შინაგანი საქმეების ფაქტიური მმართველი გახდა.

ცრუპარლამენტის სხდომებზე, გაზეთების ფურცლებზე, მიტინგებსა და კრებებზე მენშევიკები იძულებული იყვნენ ვარდისფრად შეელამაზებინათ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებთან მათი დამოკიდებულება. ისინი ცრუობდნენ, როცა ამბობდნენ, საქართველო შინაურ საქმეებში დამოუკიდებელი დარჩება, ანტანტის ხელისუფალთა მოქმედება საქართველოში ჩვენს ნება-სურვილს დაექვემდებარებაო. სინამდვილეში პირუკუ მოხდა: „სტუმრები“ შეუზღუდველი მბრძანებლები გახდნენ, მენშევიკური მთავრობა კი მათი ნება-სურვილის მორჩილი აღმსრულებელი შეიქნა.

მენშევიკური მთავრობის დამღუპველი, ანტიხალხური პოლიტიკა სხვაგვარ შედეგს ვერც გამოიღებდა.

ი. ბ. სტალინი 1919 წლის 22 აპრილის სტატიაში „ორი ბანაკი“ შემდეგნაირად განსაზღვრავდა მსოფლიოში ძალთა განლაგებას:

---

[1] ციტირებულია დ. ენუქიძის შრომიდან: Крах империалистической интервенции в Закавказье. Тбилиси. 1951. გვ. 147.

„მსოფლიო გადაჭრით და საბოლოოდ გაიყო ორ ბანაკად: იმპერიალიზმის ბანაკად და სოციალიზმის ბანაკად.

იქ, მ ა თ ს ბანაკში, არიან ამერიკა და ინგლისი, საფრანგეთი და იაპონია მათი კაპიტალებით, შეიარაღების საშუალებებით, ნაცადი აგენტებით, გამოცდილი ადმინისტრატორებით.

აქ, ჩ ვ ე ნ ს ბანაკში, არის საბჭოთა რუსეთი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკებით, ევროპის ქვეყნებში მზარდი პროლეტარული რევოლუციით, საბჭოთა რუსეთი, რომელსაც არა აქვს კაპიტალები, არა ჰყავს ნაცადი აგენტები, გამოცდილი ადმინისტრატორები, სამაგიეროდ ჰყავს გამოცდილი აგიტატორები, რომლებსაც უნარი შესწევთ განმათავისუფლებელი ცეცხლით აღაგზნონ მშრომელთა გული.

ამ ორი ბანაკის ბრძოლა შეადგენს მთელი თანამედროვე ცხოვრების ღერძს, ამ ბრძოლით არის აღსავსე ძველი და ახალი სამყაროს მოღვაწეთა ახლანდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი შინაარსი"[1].

ორი ბანაკის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, იმპერიალიზმისა და სოციალიზმის ბრძოლაში რუსეთის განაპირა მხარეები — ყირიმი, პოლონეთი, თურქესტანი, კავკასია და სხვ. წარმოადგენდნენ არა თვითმიზანს, არამედ საბრძოლო ასპარეზს.

ასეთ ვითარებაში განაპირა მხარეების მთავრობათა პოლიტიკა ცხადი და გარკვეული იყო, მათთვის არსებობდა ორი არჩევანი. მსოფლიოს ორი ბანაკის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში მათ შეეძლოთ აერჩიათ ან სოციალიზმის ბანაკი, ანდა იმპერიალიზმია ბანაკი.

„ა ნ რუსეთთან ერთად, და მაშინ—განაპირა მხარეების მშრომელი მასების განთავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან;

ა ნ ანტანტასთან ერთად, და მაშინ—გარდუვალი იმპერიალისტური უღელი.

მესამე გამოსავალი არ არსებობს"[2].

ქართველმა მენშევიკებმა, საბჭოთა რუსეთის ამ დაუძინებელმა მტრებმა, ანტანტის იმპერიალიზმისადმი სამსახური აირჩიეს. მათი მოჩვენებითი დამოუკიდებლობა სინამდვილეში ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების მიერ საქართველოს სრულ ოკუპაციას და დამონებას ნიშნავდა.

ინგლისის იმპერიალიზმი ამიერკავკასიასა და საქართველოში

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ 254.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ.. ტ. 4, გვ. 384.

მოვიდა, როგორც დამპყრობელი. ამიერკავკასია მას თავის კოლონიად მიაჩნდა და მოსვლის პირველი დღიდანვე მის ეკონომიურ ათვისებას შეუდგა. დამახასიათებელია, რომ ბათუმში მოსვლის პირველი დღიდანვე ინგლისელებმა მოიკითხეს ნავთსადენი მილების მდგომარეობა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის წესრიგში მოყვანას[1]. ინგლისის იმპერიალიზმის ეკონომიური ინტერესები ბაქოს ნავთობის, ამიერკავკასიის წიაღისეული სიმდიდრეების ხელში ჩაგდებას და ექსპლოატაციას ითვალისწინებდნენ. ამასთანავე ინგლისის იმპერიალიზმი შიშობდა, რომ ამ მხრივ მას მეტოქე არ ჰყოლოდა. უებსტერი მენშევიკური „მთავრობის" ბათუმის წარმომადგენელთან საუბარში 1918 წლ. 7 დეკემბერს აღნიშნავდა, რომ მიუხედავად ინგლისსა, საფრანგეთსა და ამერიკას შორის სამოკავშირეო და მეგობრული ხელშეკრულებისა, თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი ინტერესები და ინგლისი თავის ინტერესებს განუხრელად განახორციელებს. ვინაიდან ინგლისს სამხრეთ აზიაში დიდი ინტერესები აქვს, იგი არ დაუშვებს, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფოს ჰქონდეს გავლენა კავკასიაზე. ინგლისის ანგარიშებს არ შეესაბამება აგრეთვე, რომ რუსეთი რაიმე როლს თამაშობდეს კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში[2]. მაქსიმალურ მოგებას დახარბებულ ყაჩაღ ინგლისელ იმპერიალისტებს აშინებდა, კოლონიური ლუკმის მოცილედ რომ მოკავშირეები არ გამოსულიყვნენ.

ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკური ინტერესები საქართველოში მთლიანად უკავშირდებოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის იმპერიალისტურ პოლიტიკას. იმავე საუბარში უებსტერი გულახდილად აღიარებდა, რომ ინგლისელებს რუსეთის მიმართ აქვთ ერთი მიზანი — ბოლშევიზმის ჩახშობა[3]. ეს მიზანი მენშევიკური მთავრობის პოლიტიკას პირდაპირ ემთხვეოდა. ამიტომ მენშევიკები ახალ „სტუმრებს" დიდი თავაზიანობით ექცეოდნენ და ერთგულ სამსახურს პირდებოდნენ.

ინგლისელ ოკუპანტებს ამიერკავკასიაში თან ჩამოჰყვა ამერიკის მისია, რომლის მიზანს შეადგენდა ნიადაგის მომზადება კავკასიაში ამერიკელთა დამკვიდრებისათვის. 1918 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ამერიკული მისია ბაქოდან თბილისზე გავლით ბათუმში ჩავიდა. თბილისში მისიას საუბარი ჰქონდა ევგენი გეგეჭ-

---

[1] საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 13-ს, ფ. 7
[2] იქვე.
[3] იქვე.

კორთან, ხოლო ბათუმში—საგარეო საქმეთა მინისტრის აძხანაგთან თოფურიძესთან. საქართველოს არქივსაცავებში შემონახულია ამ საუბრის ჩანაწერი[1], რომელიც თვალნათლივ შეტყველებს ამერიკელთა ზრახვებზე. ბისიის მეთაური, როგორც თოფურიძე აღნიშნავს, იყო ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორი, საერთაშორისო სამართლის პროფესორი ჯედსონი. ჯედსონის პირველი შეკითხვა, რომელიც მის გაკვირვებას გამოხატავდა, შემდეგი იყო:

„კ ი თ ხ ვ ა: როცა ჩვენ თბილისში ვიყავით, იქ დიდი დღესასწაული იყო. ყველგან ფრიალებდა წითელი ალმები, თვით ჯარისკაცთა თოფებზეც კი. შემდეგ ქალაქში შედგა ჯარების პარადი. რატომ თქვენ ყველგან გაქვთ წითელი ალმები, და არა ნაციონალური?".

გაკვირვებული პროფესორი თოფურიძემ ჩქარა დაამშვიდა და აუხსნა, რომ აქ საშიში არაფერია, რომ „ბოლშევიკურ საფრთხესთან" ამ დროშებს საერთო არაფერი აქვთ. შემდეგ ჯედსონმა დასვა პირდაპირი კითხვა: „მართალია თუ არა, რომ თქვენი მთავრობა სოციალისტურია?

მან აქაც დამამშვიდებელი პასუხი მიიღო: „რასაკვირველია, არა. მთავრობა, ისე როგორც ეს სხვა ქვეყნებშია, ერთიანებს მთავარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს. მინისტრთა კაბინეტი, როგორც ასეთი, არა სოციალისტურია, მაგრამ მთავრობაში შედიან სოციალისტები" (თუ როგორი „სოციალისტები" იყვნენ ისინი, ამის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.—ა. ს.). ამის შემდეგ ჯედსონი საქმიან მხარეზე გადავიდა და ფრთხილად, მაგრამ საკმაოდ ნათლად ჩამოაყალიბა ამერიკელ იმპერიალისტთა ნამდვილი ზრახვები:

კ ი თ ხ ვ ა: „თქვენ იცით, რომ ინგლისი და ამერიკა ცნობილია პრინციპების გატარების საქმეში და მთელ მსოფლიოში წესრიგის დამყარების გეგმებში მეგობრები არიან, მათ შორის არსებობს სრული ერთიანობა და სოლიდარობა. ამიტომ ჩვენ გვსურდა გვცოდნოდა, შეგიძლიათ თუ არა თქვენ სასარგებლო იყოთ ინგლისისათვის და, თავისთავად იგულისხმება, ჩვენთვისაც, ბოლშევიკებთან ბრძოლისა და წესრიგის აღდგენის საქმეში?".

როდესაც ამ კითხვაზეც სასურველი პასუხი მიიღო, ჯედსონი შეუდგა რჩევა-დარიგებას. თოფურიძე ანგარიშში აღნიშნავს: „პროფესორმა ჯედსონმა განმიცხადა, რომ მოკავშირეებს არ შეუძლიათ და არც მიმართავენ საქართველოს დახმარებისათვის, მაგ-

---

[1] საქ სსრ ოქტ. რევ. ცენტ. სახ. არქივი, ფ. 13-ს, საქ. 121, ფ. 21—28.

რამ ასეთი წინადადების გაკეთება შეეძლო თვით საქართველოს მთავრობას. ეს,—აღნიშნა ჯედსონმა,—ფრიად სასარგებლო იქნებოდა საქართველოსათვისო, და იქვე განაცხადა, რომ ამას იგი ლაპარაკობს არაოფიციალურად, მაგრამ რჩევას იძლევა როგორც ამერიკის მოქალაქე. ეს წინადადება მან ერთხელ კიდევ განიმეორა. ეს იყო ცხადი მითითება იმაზე, რომ საქართველო პრაქტიკულად უნდა მიეკედლოს შეთანხმების სახელმწიფოებს, როგორც მოკავშირე".

ჯედსონის შემპარავ სიტყვებში ნათლად გამოსჭვივის კოლონიური ქვეყნების დაპყრობის ამერიკული ტრადიციული პოლიტიკა: საქართველო პატარა ქვეყანაა. დაე, მან თვითონ მოგვმართოს თხოვნით, ჩვენ მოვალთ, როგორც მშველელნი. საზოგადოებრივი აზრისთვის ასე სჯობს. შემდეგ კი ჩვენ ვიცით. საერთაშორისო სამართლის პროფესორმა ყველაფერი ეს იცოდა, როგორც ორჯერ ორი. რარიგად გავს ყოველივე ეს დღევანდელი ამერიკელი აგრესორების „დახმარებას" ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისადმი!

ოკუპანტები ამიერკავკასიაში ისევე იქცეოდნენ, როგორც კოლონიურ ქვეყნებში.

ინგლისელ-ამერიკელი გენერლები მთავრობას პირდაპირ უკარნახებდნენ საგარეო და საშინაო პოლიტიკის კურსს. საშინაო პოლიტიკის დარგში ამერიკა-ინგლისის წარმომადგენლებს მენშევიკებისათვის სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ყველა საშუალებით ცდილობდნენ ჩაეხშოთ მასების რევოლუციური სულისკვეთება. ოკუპანტები ამ მხრივ დიდ გულუხვობას იჩენდნენ და მენშევიკ მმართველებს იარაღით ეხმარებოდნენ. ინგლისელ-ამერიკელ დამპყრობთა მოსვლისთანავე გენერალ-მაიორი მაღალოვი საქართველოს სამხედრო მინისტრს სთავაზობდა ასეთ წინადადებას:

„მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით მე დამებადა აზრი შევქმნათ კორპუსი ბოლშევიკებთან საბრძოლველად მოკავშირე სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ჩემს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, ინგლისელები თანახმა იქნებიან მოგვცენ

ამ საქმისათვის ყველა აუცილებელი საშუალება, როგორც, მაგალითად, ფული, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და საჭურველი"[1].

ქართველი მენშევიკებისათვის ოკუპანტთა ხიშტები ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად რეალურ ძალას წარმოადგენდა. 1919 წლის 18 იანვარს ლენინის რადიოგრამაზე იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოში, ს. ქავთარაძე უპასუხებდა:

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობა ვერ გაბედავს იომოს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ინგლისი აიძულებს მას ამისათვის. ბაქოში დაახლოებით ორი ათასამდე ინგლისელი ჯარისკაცია. ბაქოს პროლეტარიატმა ჩაატარა ბრწყინვალე პოლიტიკური გაფიცვა ინგლისელთა წინააღმდეგ. თბილისში ყველა ჩვენი ამხანაგი დაპატიმრებულია. ქუთაისში მუშაობა მიმდინარეობს იატაკქვეშ, გაცილებით უფრო მძიმე პირობებში, ვიდრე ცარიზმის დროს იყო"[2].

ოკუპანტები თავისუფლად ურევდნენ ხელს საქართველოს შინაურ საქმეებში. მათ თვითონ იკისრეს რკინიგზის მართვაგამგეობა, ერეოდნენ სასამართლო წარმოებაში, კონტროლს უწევდნენ საფინანსო პოლიტიკას. ისინი ავალდებულებდნენ მენშევიკებს კონტროლი გაეწიათ ქართული პრესისათვის, რათა მას „მოკავშირეთა" პოლიტიკისათვის ქება-დიდება შეესხა.

„საქართველოში შენიშნავს ლ. ფიშერი,—ინგლისელებმა შინაურულად მოიკალათეს. მათ თავიანთ ხელში აიღეს სახელმწიფო ბანკის, ფოსტა-ტელეგრაფის, სასამართლოს და სხვ. გამგებლობა, ხელი მიჰყვეს საპოლიციო და სასურსათო ფუნქციების შესრულებას. მენშევიკურ მთავრობას საქართველოში ისინი უკარნახებდნენ, რომელი კომუნისტი დაეპატიმრებინათ, რომელი არ გამოეშვათ ციხიდან. ინგლისელთა საბედნიეროდ მენშევიკები ისევე ერთგულად ასრულებდნენ ბრიტანელი გენერლის ბრძანებას, როგორც რამდენიმე თვის უკან გერმანელი პოლკოვნიკის ინსტრუქციებს"[3].

ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ დენიკინზე. საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი უ. ჩერჩილი ცნობილ რუს კონტრრევოლუციონერს სავინკოვს რუკაზე აჩვენებდა დენიკინის არმიის განლაგებას და თავმომწონედ დასძენდა: „აი, ჩემი არმია"

---

[1] საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახ. არქივი, ფონდი 12, საქმე 39, ფურცელი 137.

[2] სსრ კავშირის ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 3, საქმე 596, ფ. 1—2.

[3] Л. Фишер, Империализм нефти. გვ. 24—25.

ინგლისელ-ამერიკელმა ოკუპანტებმა ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადააქციეს. ისინი ადგილობრივ მარიონეტულ მთავრობებს უკარნახებდნენ, ხელი არ შეეშალათ დენიკინის მოქმედებისათვის, პირიქით, ყოველმხრივ დახმარებოდნენ მას. ინგლისელი გენერალი ბიჩი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას ურჩევდა დენიკინთან შეთანხმებულ მოქმედებას და 1919 წ. 24 მაისის საუბარში არწმუნებდა: „შეთანხმება დენიკინთან, რომელიც ბოლშევიზმს ებრძვის, ძლიერ აამაღლებდა საქართველოს ცივილიზებული მსოფლიოს თვალში"[1].

დენიკინის „მოხალისეთა არმიასა" და „დემოკრატიული" საქართველოს ჯარებს შორის სოჭის საკითხზე წამოჭრილი ჭაუგებრობის მოგვარება ინგლისელმა გენერლებმა ითავეს.

ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალი ამიერკავკასიაში 1919 წ. 27 ივნისის თარიღით გაცემულ ბრძანებაში მიუთითებდა:

„ამიერკავკასიის მთავრობებმა თავი უნდა შეიკავონ მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ყოველგვარი აგრესიული მოქმედებისაგან და გენერალ დენიკინთან შეთანხმებით უზრუნველყონ მისთვის ნავთისა და სხვა მასალის მიწოდება, მათ არ უნდა დაუშვან ამ მასალების ხელში ჩაგდება ბოლშევიკების მიერ.

ამ პირობათა შეუსრულებლობა გამოიწვევს მომავალში ბრიტანეთის გეგმების შეცვლას და მისი უდიდებულესობის მთავრობას აიძულებს წინააღმდეგობა არ გაუწიოს დენიკინს სამხრეთ საზღვრის გადალახვაში"[2].

მორჩილი მენშევიკური მთავრობა ამ ბრძანების პასუხში აღნიშნავდა: „საქართველოს მთავრობას საბოლოოდ გადაწყვეტილი აქვს წინააღმდეგობა არ გაუწიოს იმ გეგმის შესრულებას, რომელიც ნაკარნახევი იყო ბრიტანეთის სარდლობის მიერ კონსტანტინოპოლში და რომელიც ჩამოყალიბებულია თქვენს წერილში".

ინგლისელი იმპერიალისტები ბათუმში ისე გაბატონდნენ, რომ ვალდებულადაც კი არ ჩათვალეს თავი საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან რაიმე წინასწარი შეთანხმება დაედოთ. ბათუმი მათ დენიკინის სამხედრო მომარაგების ბაზად გადააქციეს. აქედან გაჰქონდათ ამიერკავკასიაში ნაძარცვი ნედლეული და ქონება. ინგლისელებმა შექმნეს ე. წ. „დამოუკიდებელი" აკარა, სადაც ჩამოაყალიბეს მარიონეტული მთავრობა პირწავარდნილი რეაქციონე-

---

[1] „Красный архив", 1927, ტ. XXI, გვ. 148.
[2] გაზ. „Борьба", № 140, 27 ივლისი, 1919 წ.

რის კადეტ მასლოვის მეთაურობით. „დამოუკიდებელ“ აჭარაში ინგლისელებმა თვით იკისრეს ბანკის, ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობა, შექმნეს თავიანთი პოლიცია. როცა ბათუმის მოსახლეობამ ამ საშინელი უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, ინგლისელმა გენერალმა მას სასტიკი რეპრესიებით უპასუხა. ბათუმის მოსახლეობამ ინგლისელთა პარპაშის პერიოდში დაკარგა ის ელემენტარული უფლებებიც კი, რაც ცარიზმის დროს ჰქონდა. აჭარის ცალკეულ ადგილებში ინგლისელები მმართველებად დენიკინელ ოფიცრებს ნიშნავდნენ.

ინგლისელ-ამერიკელი ოკუპანტები ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ამიერკავკასიის ხალხთა შორის შუღლისა და მტრობის გაღვივებას, ხოლო, როცა ეს შუღლი და მტრობა საომარ მდგომარეობად გადაიზრდებოდა, ისინი მომრიგებლის როლს კისრულობდნენ, რათა ამით ახალი ნადავლი ეშოვნათ. ასე, მაგალითად, ინგლისმა იკისრა საქართველოსა და სომხეთის კონტრრევოლუციურ მთავრობათა მორიგება საზღვრის საკითხზე და სადავო ტერიტორია (ალავერდის სპილენძის საბადოები) გამოაცხადა „ნეიტრალურ ზონად“, რომელიც შემდეგ თვითონ მიიტაცა.

ქართველი ხალხი კარგად ხედავდა, რომ ინგლისელი ოკუპანტების მოსვლისთანავე ქვეყანაში კიდევ უფრო გამწვავდა შფოთი და არეულობა, გახშირდა ძმათამკვლელი ომები. მენშევიკური მთავრობა იძულებული იყო ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის. ინგლისური იმპერიალიზმის მოტრფიალე ნ. ჟორდანია გაუბედავი ტონით შესჩიოდა ინგლისელ გენერალს:

„მოკავშირეების ჩვენთან მოსვლამდე ჩვენ არავისთან არ ვომობდით და არსად მტრები არ გვყოლია. ყველა გარემომცველთან ჩვენ მშვიდობიან ურთიერთობაში ვცხოვრობდით. მოკავშირეთა მოსვლის შემდეგ სურათი მკვეთრად შეიცვალა. ჩვენ განუწყვეტლივ ვომობთ... ,ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, თითოეული ქართველის გონებაში იჭრება მოუშორებელი აზრი: რატომ ყველაფერი ეს ხდება ჩვენს ტერიტორიაზე მოკავშირეთა მოსვლის შემდეგ?“[1].

ამიერკავკასიაში მოკლე ხნით პარპაშის დროს ინგლისელებმა გაძარცვეს და გააპარტახეს ეს მხარე. მათ ინგლისში გაზიდეს 26 მილიონი ფუთი მარგანეცი, 29.830 ათასი ფუთი ნავთი, აგრეთვე ჩაი, თამბაქო; ინგლისელებმა მიიტაცეს და ინგლისში წაიღეს რუსეთის სახელმწიფო ბანკის ბაქოს განყოფილების განძეულობა.

ამიერკავკასიის მოსახლეობა ამ დროს შიმშილს განიცდიდა.

---

[1] „Красный архив“. 1927, ტ. XXI, გვ. 130—131.

ინგლისელები იძლეოდნენ დახმარების დაპირებას, მაგრამ ეს დახმარება არსად ჩანდა. პირიქით, ისინი ბლოკადას აცხადებდნენ და კონსტანტინოპოლიდან გემებს ბათუმის ნავსადგურში არ უშვებდნენ. შიმშილის გაძვალტყავებული ხელის ყელში წაჭერა—აი ბრიტანული იმპერიალიზმის პოლიტიკა ამიერკავკასიის დასამორჩილებლად. 1919 წლის მაისში გენერალ კორესთან შეხვედრისას ე. ვეგეპკორი საყვედურით ამბობდა:

„ჩვენსკენ არ უშვებენ არც ერთ დატვირთულ გემს საზღვარგარეთიდან, მაშინ როცა კონსტანტინოპოლში დაგროვდა ყოველგვარი საქონლის ვეებერთელა მარაგი. ნუთუ არ შეიძლება ჩვენი სანაპიროებიდან ბლოკადის მოხსნა და ჩვენთვის რაიმეს გამოგზავნა? ეს, ასე ვთქვათ, საზეიმოდ აღნიშნავდა თქვენს ჩამოსვლას და დიდ როლს ითამაშებდა ჩვენს ურთიერთობაში. გუშინ თქვენ გთხოვეთ, გენერალო, გელაპარაკოთ გულწრფელად ყველაფერზე. და აი, მე გეტყვით, რომ ჩვენს მხარეში ბრიტანეთის ძალების მოსვლიდან 7 თვის განმავლობაში ჩვენ ინგლისიდან არ მიგვიღია არც ერთი ნივთი, არც ერთი მარცვალი“.

ინგლისელი და ამერიკელი ინტერვენტები — საბჭოთა ქვეყნის ეს დაუძინებელი მტრები—ყველა ზომას მიმართავდნენ „ბოლშევიკური საფრთხის“ მოსასპობად. მათი ხელები დასვრილია ასობით და ათასობით მამაცი, პატიოსანი, თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის სისხლით. ინგლისელების კარნახით მენშევიკებმა დენიკინს გადასცეს ბოლშევიკთა დიდი ჯგუფი, რომელიც საქართველოს სამხედრო გზით ჩრდილო კავკასიიდან მოემგზავრებოდა. ინგლისელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ახალციხეში ბოლშევიკი ჯარისკაცების დახვრეტაში.

ამიერკავკასიაში ინგლისის საოკუპაციო ჯარების სარდალი გენერალ-მაიორი უოკერი მენშევიკური „მთავრობის“ საგარეო საქმეთა მინისტრს წერდა:

„...ყველა ბოლშევიკი, რომლებიც შემოვლენ საქართველოში, დაპატიმრებულნი უნდა იქნან მცხეთაში მტკიცე მეთვალყურეობის ქვეშ. მე ვთხოვ თქვენს აღმატებულებას მომცეს წერილობითი გარანტია ამის შესახებ“[1]. უოკერი მოითხოვდა საქართველოში ბოლშევიკების წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიული ზომების მიღებას, დაპატიმრებულთა გადაცემას ბრიტანეთის ხელისუფლებისათვის. ამავე დროს უოკერი რჩევას იძლეოდა—საქართველოს სამხედრო გზის დაცვა მიენდოთ ინგლისელი ჯარებისათვის, რომ დენიკინისა-

[1] ინგლისელ-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში, გვ. 52.

გან ლტოლვილი ჯარისკაცებისათვის საქართველოში გზა დახშული ყოფილიყო[1].

ინგლისელი ოკუპანტების იმპერიალისტურ კოლონიურ პოლიტიკას გაბედულად ამხელდა ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა" თავის ფურცლებზე იგი ათავსებდა ოკუპანტთა მაბილებელ მასალებს, მოუწოდებდა საქართველოს მშრომელებს ებრძოლათ მენშევიკური კონტრრევოლუციისა და ინგლის-ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ, მიებაძათ რუსი თანამოძმეებისათვის. ინგლისის ხელისუფლებას არ გამოპარვია „ვოლნას" ეს მოქმედება და მენშევიკურ მთავრობას ბრძანება მისცა გაზეთის გამოცემის აკრძალვის შესახებ[2]. ინგლისელი ბატონების კარნახით მენშევიკურმა მთავრობამ აკრძალა გაზეთის გამოცემა, მის მაგ ნომრებს კონფისკაცია უყო, ხოლო რედაქციის შემადგენლობა დააპატიმრა[3].

ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, რომელთა ტერიტორიაზეც კი ამერიკელმა და ინგლისელმა ინტერვენტებმა ფეხი შედგეს, საშინელი სიძულვილით ხვდებოდა ოკუპანტებს. ოკუპანტთა ჯარები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აბუჩად იგდებდნენ და მთელ რიგ ძალადობას მიმართავდნენ, ქართველებს ჭირივით ეზიზღებოდათ. თითქმის ყოველდღე ადგილი ჰქონდა შეტაკებას. სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, საქართველოს მშრომელები ანგარიშს უსწორებდნენ მოძალადეებს. ხშირი იყო ინგლისელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მკვლელობა. საქართველოს არქივსაცავებში მოიპოვება მრავალი საბუთი, რომლებიც მეტყველებენ ინგლისელთა თვითნებობასა და ძალადობაზე, ეს არის მაზრის კომისრების, ერობათა თავმჯდომარეების მოხსენებანი შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელზე. მაგალითად, გორის მაზრის ერობის თავმჯდომარე მთავრობის თავმჯდომარის სახელზე 1919 წლის 27 მაისის თარიღით გზავნის შემდეგ დეპეშას:

„ინგლისის ჯარების ნაწილები, რომლებიც გორში მოდიან, უდიდეს აღშფოთებას იწვევენ მოქალაქეებში თავისი უმსგავსო მოქმედებით ყველას მიმართ განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და მდგომარეობისა. ქალები და ბავშვები ერიდებიან ქუჩაში სიარულს, რომ არ გახდნენ (ინგლისელების) თვითნებობის მსხვერპლი. შესაძლებელი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ვშუამდგომლობ აუხსნათ (ინგლისის) მისიას, შთააგონოს თავის წარმომადგენ-

[1] ინგლისელ-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში, გვ. 52, 55.
[2] იქვე, გვ. 88.
[3] იქვე, გვ. 89.

ლებს, რათა აღმოფხვრილ იქნას ამგვარი საქციელი, რაც დაუშვებელია კულტურულ ქვეყანაში".

ინგლისელი მოძალადეები ცემდნენ რკინიგზის მოსამსახურეებს, თვითნებურად ერეკებოდნენ შენობებიდან მცხოვრებლებსა და დაწესებულებებს, იჭრებოდნენ ოჯახებში, ხვრეტდნენ უდანაშაულო ადამიანებს.

შორაპნის სამაზრო ერობის თავმჯდომარე მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარისადმი გაგზავნილ დეპეშაში 1919 წლ. 5 იანვრის თარიღით ინგლისელი ოკუპანტების თავხედობის შესახებ შემდეგს წერდა: „5 იანვარს 16 საათზე ყვირილიდან წამოვიდა ინგლისის ეშელონი. ერთმა ოფიცერთაგანმა არ მიიღო არავითარი ახსნა-განმარტება რკინის გზის ტექნიკური მხარის შესახებ; დატყვევებული, სადგურიდან გაიყვანეს სადგურის მორიგე თორაძე და სადგურის უფროსის მოადგილე მიმინოშვილი. სამხედრო ბრძანება გაიცა. ორთავე დახვრეტის წინ დააყენეს, რაც არ იქნა შესრულებული, რომელიღაც ხელმძღვანელის წყალობით. იგივე ოფიცერი ცინიკურად დასცინოდა ჩვენ წესს, საზოგადოება უაღრესად აღშფოთებულია ასეთი ძალმომრეობით და დაცინვით, მოითხოვს დაკმაყოფილებას"[1].

ინგლისელი ოკუპანტების უხეშობა და ძალადობა ყოველგვარ საზღვრებს გადასცდა. მშრომელები აღშფოთებული იყვნენ. რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა კავშირის მენშევიკური ცენტრალური გამგეობაც კი იძულებული გახდა პროტესტით აღსავსე წერილი მიეწერა საქართველოს მთავრობისათვის: „რკინიგზელთა პროფესიული კავშირის ცენტრალური გამგეობა, რომელიც მოწოდებულია დაიცვას თავის წევრთა ინტერესები, პროტესტს აცხადებს ინგლისელთა სარდლობის წარმომადგენლების ძალადური მოქმედების წინააღმდეგ და ამასთანავე თანაგრძნობას უცხადებს დაზარალებულ ამხანაგებს. ამასთანავე სთხოვს საქართველოს მთავრობას ამ ფაქტის გამო ინგლისის მისიასთან გამართოს მოლაპარაკება, დანიშნოს კვლევა-ძიება, დამნაშავენი მისცეს პასუხისგებაში და მიუთითოს, რომ მსგავსი მოქმედება ინგლისელი სარდლობის ცალკეული პირების მხრივ მომავალში აღარ განმეორდეს"[2].

—აი „კულტურული" ხალხი!,—დაცინვით ამბობდნენ ქართველები უზრდელ ინგლისელ ოფიცრებსა და ჯარისკაცებზე და ეროდებოდნენ მათთან პირდაპირ შეხვედრას, მალავდნენ ქალებსა და

---

[1] ინგლისელ-ამერიკელი ინტერვენტები საქართველოში, გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 44.

ბავშვებს. ასე ამყარებდა „წესრიგს“ ინგლისის იმპერიალიზმი თავის კოლონიაში.

„კავკასია კვნესის,—წერდა გაზ. „ეიზნ ნაციონალნოსტეი“,—ინგლისის იმპერიალიზმის უღელქვეშ. როცა მტაცებლური გერმანულ-თურქული იმპერიალიზმი ყველაფერს იტაცებდა, რის მოტაცებაც შეიძლებოდა და კავკასია გაძვალტყავებამდე მიიყვანა, ინგლისელები მაშინ კავკასიის ხალხებს ოქროს გორებს ჰპირდებოდნენ. და აი, გერმანელებმა და თურქებმა დასტოვეს კავკასია, ეს „ბარბაროსები“ ინგლის-საფრანგეთის „დემოკრატებმა“ შეცვალეს. მაგრამ ამ ცვლილებით კავკასიის მშრომელთა მდგომარეობა ოდნავადაც არ გაუმჯობესებულა. ანტანტის იმპერიალიზმი არა ნაკლებ მტაცებლური აღმოჩნდა, ვიდრე გერმანული“[1]

ქართველი ხალხი გმობდა მენშევიკების გამცემლურ პოლიტიკას, რომელმაც ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმს კარები გაუხსნა. საქართველოს მშრომელები ნათლად ხედავდნენ, რომ საქართველო მის „სოციალისტ“ მესვეურებს დაღუპვამდე მიჰყავთ, რომ მისი ხსნა შეუძლია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც რუსეთის მშრომელთა მონაპოვარს მტკიცედ იცავს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებში. საქართველოს მშრომელები მტკიცედ ირაზმებოდნენ ბოლშევიკური პარტიის გარშემო, რომელიც, მენშევიკი და ინგლისელი ჯალათების რეპრესიების მიუხედავად, არალეგალური მუშაობის მძიმე პირობებშიაც არ სწყვეტდა კავშირს მასებთან და მათ ლენინ-სტალინის დროშის გარშემო რაზმავდა.

ამხელდა რა ინგლისელი ოკუპანტების მხეცობას, ბოლშევიკური ორგანიზაციების წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკური მთავრობისა და ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების შეთანხმებულ მოქმედებას, რკ (ბ) თბილისის კომიტეტი თბილისელი მუშებისა და ჯარისკაცებისადმი მიმართულ მოწოდებაში წერდა:

„ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! ამ მრისხანე მომენტში, როცა ჩვენზე მოიწევს საგარეო და საშინაო კონტრრევოლუცია, თქვენ არ შეგიძლიათ გაჩუმება და არც უნდა გაჩუმდეთ. თქვენ ღირსეული პასუხი უნდა გასცეთ საქართველოს მთავრობის უკანასკნელ თავდასხმას, მთავრობისა, რომელმაც სირცხვილის ყოველგვარი გრძნობა დაჰკარგა. თქვენ ბაქოს პროლეტარიატის მსგავსად, რომელიც აგრეთვე ხან-ბეკური მთავრობის უღლის ქვეშ გმინავს, თქვენი მძლავრი ხმა უნდა აღიმაღლოთ მოძალადეთა წინააღმდეგ,

[1] გაზ. „Жизнь национальностей“, 11 მაისი, 1919 წ.

პროტესტი უნდა განაცხადოთ და მოითხოვოთ ყველა დაპატიმრებული ამხანაგის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, მუშათა ბეჭდვითი სიტყვისადმი დევნის შეწყვეტა, მაშინ როცა კონტრრევოლუციურ პრესას ისინი მფარველობენ. ამხანაგებო! მოითხოვეთ დაპატიმრებულ ამხანაგთა განთავისუფლება! ძირს ყველა საშინაო და საგარეო დენიკინელები! ძირს მუშათა კლასის გამცემლები და მოღალატენი! ძირს მსოფლიო მტაცებელნი—იმპერიალისტები. გაუმარჯოს მუშურ გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში!..[1].

ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები მედგრად იბრძოდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ. მშრომელთა რისხვა ხშირად ინგლის-ამერიკელ კოლონისტებს აიძულებდათ დათმობაზე წასულიყვნენ. 1919 წლის გაზაფხულზე ბათუმში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ჩატარდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცულები მოითხოვდნენ ინგლისელთა მიერ ჩამოყალიბებული ბათუმის კონტრრევოლუციური საბჭოს გარეკვას. ინგლისელებმა გაფიცვის მოთავეები დააპატიმრეს, მაგრამ ხალხის რისხვამ უფრო იმატა და ინგლისელი ხელისუფალნი იძულებული გახდნენ თავიანთ სასტიკ პოლიციურ რეჟიმში შემამსუბუქებელი ცვლილება შეეტანათ.

ანტანტა საქართველოს თავის ოკუპირებულ ტერიტორიად ოცლიდა და იქ ჯარების შეცვლას თვითნებურად ახდენდა, ისე რომ ამის შესახებ არც კი ატყობინებდა მენშევიკურ მთავრობას. ამ მხრივ საინტერესოა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა და ბრიტანელი გენერლის კორეს 1919 წლის ივლისის საუბრის ჩანაწერი:

„მ თ ა ვ რ ო ბ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: ...მითხარით, რით აიხსნება იტალიელების მოსვლა საქართველოში?

გ ე ნ ე რ ა ლ ი კ ო რ ე: გენერალ ტომსონის წერილის თანახმად, ისინი მოდიან აქ იმისათვის, რომ ჩვენი ჯარები შეცვალონ.

მ თ ა ვ რ ო ბ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: დიდი ხნით?

გ ე ნ ე რ ა ლ ი კ ო რ ე: რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ყველაფერი გადაეცემა იტალიელებს, ხოლო შემდგომი მოქმედების ხაზი ჩემთვის უცნობია...

მ თ ა ვ რ ო ბ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: იტალიელები დამოუკიდებელნი იქნებიან თავის მოქმედებაში, თუ იმოქმედებენ ინგლისელთა დირექტივების თანახმად?

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი. ფ. 3 საქ. 231.

გ ე ნ ე რ ა ლ ი კ ო რ ე: ისინი იმოქმედებენ ისევე, როგორც ინგლისელები, ანტანტის სახელით"[1].

ინგლისის საოკუპაციო ჯარების იტალიელებით შეცვლის ნამდვილი მიზეზი, რაზედაც ინგლისელი გენერლები დუმდნენ, იყო ინდოეთსა და ეგვიპტეში მდგომარეობის გამწვავება, რაც აუცილებელს ხდიდა იქ ახალი ძალების გადასროლას.

იყო სხვა, ცხადია, არამეორეხარისხოვანი მიზეზებიც: ეს იყო ამიერკავკასიის პროლეტარიატის გმირული წინააღმდეგობა ბრიტანელი ოკუპანტებისადმი, ის მასობრივი პროტესტები, რასაც საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მუშები და გლეხები გამოთქვამდნენ ოკუპანტთა წინააღმდეგ; სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატის სიმპათიები საბჭოთა რუსეთისადმი; მილიონობით უბრალო ადამიანები, ანტანტის მიერ შექმნილი მოშხამული ატმოსფეროს მიუხედავად, ირაზმეპოდნენ გმირულად მებრძოლი რუსეთის პროლეტარიატის მხარეზე. 1919 წლის ივლისის ბოლოს ნაბოკოვი, რუსეთის თეთრგვარდიული მთავრობის წარმომადგენელი ლონდონში, დენიკინს დეპეშით აცნობებდა: „ჩერჩილმა მთხოვა გაგაფრთხილოთ, რომ ზამთრის კამპანიასთან დაკავშირებით მოგვიხდება ჯარების თანდათანობითი გაყვანა ყველა ფრონტიდან, რაც გამოწვეულია მუშათა განწყობილებით. შემპირდა, რომ ყოველგვარი საჭურვლით დახმარება ძველსავე ფარგლებში დარჩება..."[2].

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოლაშქრე ამერიკელ და ინგლისელ იმპერიალისტებს აშკარა ინტერვენციის მოწყობისათვის ხელფეხს უბორკავდნენ ამერიკა-ინგლისის პროლეტარები, მილიონობით უბრალო ადამიანები, რომელთაც რუსეთის მუშებისა და გლეხების ბრძოლა თავისუფლებისათვის იმედებს უღვივებდა და აღაფრთოვანებდა. გმირი წითელი არმიის წინსვლას და საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებას ისინი აღტაცებით ადევნებდნენ თვალყურს, აშკარად გამოთქვამდნენ თავიანთ რისხვასა და სიძულვილს რეაქციული მმართველი წრეებისადმი, რომლებიც ერთი ავანტიურის ჩაშლის შემდეგ მეორეს ამზადებდნენ. ინგლისელი მუშები აცხადებდნენ: საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომს არ დავუშვებთო. 1920 წლის ივლისში, როცა ინგლისის მმართველმა წრეებმა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ინტერვენციისათვის მზადება დაიწყეს, ინგლისის პროლეტარიატმა ამ ვერაგულ ღონისძიებას

---

[1] „Красный архив", ტ. XXI, გვ. 154.
[2] „Исторический журнал", № 2, 1940, გვ. 154.

დიდი პოლიტიკური გაფიცვით უპასუხა. სწორედ ამ ხანებში შექმნილმა ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ გამოსცა სპეციალური მანიფესტი, სადაც მოითხოვდა ბრიტანეთის გემების გამოწვევას საბჭოთა წყლებიდან და ინგლისის არმიის გამოყვანას პოლონეთიდან. ინგლისის მუშების ინიციატივით შექმნილმა „მოქმედების საბჭოს“ დელეგაციამ პრემიერ მინისტრს გაუგზავნა კონფერენციაზე მიღებული რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამი იყო შემდეგი: „თუ რუსეთის წინააღმდეგ იწარმოებს პირდაპირი ომი პოლონეთის მხარდაჭერის გზით ან არაპირდაპირი—ვრანგელისათვის დახმარების აღმოჩენის გზით,—ეს ნიშნავს თოფისწამლით სავსე კასრთან ასანთის მიტანას, რის შედეგს ამჟამად ვერავინ განსაზღვრავს“[1].

იმპერიალისტური სახელმწიფოების პროლეტარიატის ბრძოლა მშვიდობისათვის ხელ-ფეხს უბორკავდა მათ რეაქციულ მმართველებს, აიძულებდა იმპერიალისტებს ხელი აეღოთ ახალი ომის გაჩაღებაზე, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციაზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე დიდი სტალინი ხაზს უსვამდა ჩვენი ქვეყნის კომუნისტური პარტიისადმი მოძმე კომპარტიების მხარდაჭერის, საზღვარგარეთელი მოძმე ხალხების ნდობის, თანაგრძნობის დიდ მნიშვნელობას და მიუთითებდა შემდეგ მაგალითზე:

„როცა ინგლისის მუშებმა 1918—1919 წლებში, საბჭოთა კავშირზე ინგლისის ბურჟუაზიის შეიარაღებული თავდასხმის დროს, მოაწყვეს ომის წინააღმდეგ ბრძოლა ლოზუნგით „ხელები შორს რუსეთისაგან“, ეს იყო მხარდაჭერა, მხარდაჭერა უწინარეს ყოვლისა თავისი ხალხის ბრძოლისა მშვიდობისათვის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირისათვის მხარდაჭერაც“.

საბჭოთა სახელმწიფოს მშრომელებს მხარს უჭერდნენ ამერიკის მუშებიც, რომლებმაც გამოიტანეს დადგენილება—მიეცემათ ევროპელი ამხანაგებისათვის, გამოეცხადებინათ საყოველთაო გაფიცვა და არ დაეშვათ იმპერიალისტურ მთავრობათა ჩარევა რუსეთის საქმეებში, იძულებული გაეხადათ ისინი, რათა დაეცვათ ნეიტრალიტეტი რუსეთ-პოლონეთის ომში. სწორედ ამერიკელი მუშების ერთსულოვნებით დაშინებული დრეზელი (აშშ-ის წარმომადგენელი ბერლინში) თავის მოხსენებაში აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კოლბს დაეინებით ურჩევდა უარი ეთქვა პოლონეთისათვის დახმარებაზე.

---

[1] Р. Ольша, „Пролетариат держав Антанты в борьбе против интервенции в Советскую Россию“, Вопросы истории, № 10, 1947, зз. 120.

„ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან!“—თანდათან მრისხანედ გაისმოდა ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, იტალიელი, ბელგიელი მუშების შეძახილები. საბჭოთა ხელისუფლებაში ისინი მათი მომავალი თავისუფლების ციტადელს, საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დასაყრდენ ძალას ხედავდნენ.

* * *

ამიერკავკასიაში ინგლისელ-ამერიკელთა შემოსელისთანავე ადგილობრივ მარიონეტულ მთავრობებს იმედი მიეცათ, რომ ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოები იცნობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობას. ამ მთავრობათა დელეგატები პარიზში, სადაც საზავო კონფერენციაზე შეკრებილი იყვნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, ხან ერთ, ხან მეორე სახელმწიფოს გავლენიან მოხელეებთან ეწეოდნენ მოლაპარაკებას, სთხოვდნენ დახმარებას, აღუთქვამდნენ სამსახურს, მაგრამ საქმე დაპირებებს არ სცილდებოდა.

საქმე ისაა, რომ „დამოუკიდებელი“ საქართველოს ან „დამოუკიდებელი“ აზერბაიჯანის ცნობა ჯერჯერობით ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტთა ზრახვებს არ შეესაბამებოდა. ეს იყო დრო, როცა ჯერ კოლჩაკი, ხოლო შემდეგ დენიკინი დიდ იმედებს იძლეოდა. ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს თეთრი გენერლების არმია ყველაზე საიმედო ძალად მიაჩნდათ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. თეთრი გენერლები კი მთლიანი და განუყოფელი რუსეთის პრინციპს აღიარებდნენ. და განა ღირდა კოლჩაკთან ან დენიკინთან წაკიდება საქართველოს ან აზერბაიჯანის „მთავრობათა“ გულისთვის, რომელთაც იცნობდა თუ არ იცნობდა დასავლეთი, სულ ერთია, მონური მორჩილების გარდა სხვა გზა მაინც არ გააჩნდათ?

სწორედ ამიტომ „დამოუკიდებელი“ საქართველოს ცნობაზე მენშევიკურ მთავრობას ინტერვენტებმა პირობა, მართალია, 1918 წ. დეკემბერშივე მისცეს, მაგრამ მისი შესრულება 1920 წლის მიწურულამდე გაჭიანურდა და ისიც ანტანტის გეგმების გადასინჯვასთან იყო დაკავშირებული. ამაზე ქვემოთ.

ამერიკელი იმპერიალისტების გაუმაძღარი თვალი მიპყრობილი იყო სომხეთისაკენაც. ამერიკის აგრესიული გეგმები კიდევ უფრო გამოაშკარავდნენ პარიზის საზავო კონფერენციაზე. ამერიკას სურდა სომხეთის კოლონიად გადაქცევა. მუდროსის ზავის შემდეგ ამერიკას მისცა სომხეთის ხელში ჩაგდების რეალური შანსები

და ამერიკელი მილიარდერები მათი ერთგული ქოფაკის ვილსონის პირით პარიზის კონფერენციაზე ალაპარაკდნენ დაღუპვის კარამდე მისული სომხეთისათვის დაუყოვნებლივი „დახმარების“ აღმოჩენის შესახებ.

ამერიკელი იმპერიალისტები მარტო სომხეთით სრულებითაც არ კმაყოფილდებოდნენ, მათ თვალი ეჭირათ კონსტანტინოპოლზე. 1919 წლის მაისში ლოიდ-ჯორჯისა და კლემანსოს თანხმობით აშშ-ს უნდა მიეღო მანდატი კონსტანტინოპოლზე, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე, მარმარილოს ზღვაზე და პატარა სასაზღვრო ტერიტორიაზე, რომლის საზღვრები გარკვეული იქნებოდა აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების შეთანხმებით. აქვე სამანდატო ტერიტორიაში ჩართული იყო სომხეთიც.

რა თქმა უნდა, ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტურ წრეებს სრულიადაც არ მიაჩნდათ სასურველად კონსტანტინოპოლსა, ანატოლიასა და სომხეთში ამერიკელთა დამკვიდრება. ამიტომ იყო, რომ ლოიდ-ჯორჯი და კლემანსო ფარულად ამზადებდნენ ამერიკელთა გავლენისათვის ძირის გამოთხრას და თავიანთი გავლენის გაფართოებას. კლემანსო შეშფოთებით აცხადებდა: „თუ ამერიკას კონსტანტინოპოლს გარდა კიდევ მივცემთ სომხეთს და მათს შორის მდებარე ანატოლიას, ეს მთელ ევროპაში განხეთქილებას გამოიწვევსო“.

პარიზის კონფერენციაზე მშვიდობისა და ხალხთა შორის უთანხმოების მოწესრიგების ლოზუნგს ნიღაბჩამოფარებული ვილსონი სომხეთის ან ანატოლიის მიმართ დიდ ინტერესს ვითომ არც კი იჩენდა, მაგრამ მისი აგენტები სხვადასხვა მისიების სახით სწორედ ამ დროს დაძრწოდნენ კონსტანტინოპოლში, თურქეთის სხვა ქალაქებსა და პროვინციებში, რათა ამერიკის გავლენა გაეძლიერებინათ, ამერიკის მანდატის მომხრეები გაეჩინათ და თურქეთში ამერიკის ბატონობისათვის ნიადაგი მოემზადებინათ. კერძოდ, ამ მიზანს ემსახურებოდა გ. კინგისა და ჩ. კრეინის მეთაურობით ამერიკელთა ოფიციალური კომისია, რომელმაც 1919 წ. გაზაფხულზე „გამოარკვია“ სირია, პალესტინა, კონსტანტინოპოლი და სხვა ადგილები. კომისია გავლენიან თურქ მოხელეებს არწმუნებდა, რომ, თუ ამერიკამ თურქეთის მანდატი არ მიიღო, თურქეთი საშინელი მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდება, რადგან თურქეთს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია საკუთარი სახსრებით იცხოვროს, იგი განწირულია გაღატაკებისათვისო.—„თქვენ არა გაქვთ არც მრეწველობა, არც ვაჭრობა, არც ფიზიკური და გონებრივი აქ-

ტიკობა"[1],—ასე ცინიკურად ელაპარაკებოდნენ ამერიკელი მისიონერები თურქებს და არწმუნებდნენ ამერიკის ღონისძიებათა მხსნელ ხასიათში. თურქი ხალხის ინტერესების მოღალატენი საკუთარი თანაუგრძნობდნენ ამერიკელ „მფარველებს". ქვეყნის მომხრეები ჰალიდე ედიბი, ბეკირ სამი ბეი, გენერალი ალი ფუადი, კარა ვასიფი და სხვები ამერიკელ ბატონებს აღუთქვამდნენ ამერიკის მანდატისადმი თურქეთის „ერთსულოვან მხარდაჭერას".

ვილსონის აგენტები ამერიკის ბატონობისათვის ნიადაგის მოსამზადებლად ენერგიულ მუშაობას ეწეოდნენ დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ საქართველოშიც.

1919 წლის ივნისში საზავო დელეგაციების მეთაურთა საბჭოს პარიზში გამოიტანა გადაწყვეტილება სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისრის პოსტზე ამერიკელი პოლკოვნიკის ჰასკელის დანიშვნის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამი იყო: „აშშ-ის პოლკოვნიკი ვ. ნ. ჰასკელი ინიშნება აღნიშნული საბჭოს მიერ უმაღლეს კომისრად სომხეთში აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათა სახელით, იგულისხმება, რომ პოლკოვნიკი ჰასკელი იმავე დროს პასუხისმგებელი იქნება სომხეთისადმი დახმარების ყველა იმ ღონისძიებისათვის, რასაც ახორციელებენ სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც ამ ქვეყანაში მოქმედებენ. აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობათა ყველა წარმომადგენელს, რომლებიც იმყოფებიან სომხეთში, საქართველოში, აზერბაიჯანში და კონსტანტინოპოლში, დაუყოვნებლივ უნდა მიეთითოს გააჩაღონ თანამშრომლობა პოლკოვნიკ ჰასკელთან და გაუწიონ მას დახმარება".

სომხეთში მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ამერიკელი პოლკოვნიკი ჰასკელი სომეხ დაშნაკთა შორის გულმოდგინედ ეწეოდა ამერიკის მანდატის პროპაგანდას. ჰასკელი პარიზის საზავო კონფერენციის სახელზე 1919 წლის ივლისს გაგზავნილ წერილში მოითხოვდა სომხეთისადმი „სასწრაფო დახმარებას", შიშს გამოთქვამდა ინგლისელთა ჯარების ევაკუაციის გამო და ვილსონს რჩევას აძლევდა დაეჩქარებინათ სომხეთის საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა. ჰასკელი სომხეთის შეუზღუდველ მმართველად გრძნობდა თავს. იგი ერეოდა არა მარტო დაშნაკური მთავრობის, არამედ საქართველოს მენშევიკური მთავრობის შინაურ საქმეებში, ურჩევდა მათ გაეძლიერებინათ დენიკინისადმი დახმარება, ამიერკავკასი-

---

[1] Д. Миллер, Американский план захвата Константинополя и проливов в 1919 году ЖК. „Вопросы истории", № 39, 1951, გვ. 75.

ის მთავრობათა სახელით თვითონ აწარმოებდა მოლაპარაკებას დენიკინთან და სხვ.

თავის წერილებში ჰასკელი მიუთითებდა სომხეთის მძიმე სასურსათო მდგომარეობაზე, მაგრამ იქ, პარიზში, ვილსონმა და მისმა ხროვამ შესანიშნავად იცოდნენ, თუ რას ნიშნავდა სასურსათო დახმარება ჰასკელის ენაზე. სასურსათო დახმარების საბაბით ამერიკა სომხეთში უნდა დამკვიდრებულიყო და იგი თავის კოლონიად, გასაღების ბაზრად და ამავე დროს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად გადაექცია. ამერიკელ ინტერვენტებს სურდათ სომხეთი თავის კოლონიად გაეხადათ. ამერიკულ პრესაში უკვე ქვეყნდებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ რა ბუნებრივ სიმდიდრეებს შეიცავს სომხეთი. სომხეთი ამერიკელ რეაქციულ მმართველებს მიაჩნდათ სტრატეგიულ პუნქტად, ბარიერად, რომელიც თურქეთს ჰყოფს ბოლშევიკებისაგან; ამავე დროს სომხეთი, მათი აზრით, იყო ის დასაყრდენი პუნქტი, საიდანაც შემდეგ ამერიკული გავლენა მთელ ახლო აღმოსავლეთში უნდა გავრცელებულიყო. ამერიკელ იმპერიალისტთა წარმომადგენელი ჯერარდი „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფურცლებზე 1919 წლის 6 ივლისს წერდა: სომხეთი უნდა იქცეს ამერიკული ცივილიზაციის ფორპოსტად აღმოსავლეთში.

ჰასკელი კარგად ხედავდა, თუ რა ზიზღსა და აღშფოთებას იწვევდა უცხოელ ავანტიურისტთა პარპაში ამიერკავკასიის მშრომელთა შორის; იგი გრძნობდა, რომ ადგილობრივი ხალხების დამორჩილება მხოლოდ სამხედრო ძალის გამოყენებით შეიძლებოდა. ჰასკელმა პარიზში საბჭოს სახელზე გაგზავნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მისი მისია სომხეთში წარმატებით იმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეყრდნობა მოკავშირეთა საბჭოდრო ძალებს. ჰასკელი მოითხოვდა მის განკარგულებაში გაეგზავნათ ამერიკელთა ქვეითი ბრიგადა, რომელიც შეძლებდა „ეხსნა მდგომარეობა“.

ამერიკელ იმპერიალისტებს ვითომ აწუხებდათ მოსახლეობის შიმშილი, ისინი „ქველმოქმედებასაც“ არ ივიწყებდნენ, ხალხისათვის სამუშაოს გამონახვას ცდილობდნენ. ამერიკულმა კომიტეტმა თბილისში მოაწყო საქსოვი ფაბრიკა, სადაც მუშებად მოიყვანეს სომეხი ლტოლვილები. ხანგრძლივი შიმშილით დაუძლურებული სომეხი მშრომელები ყოველგვარ პირობებზე თანახმა იყვნენ, ოღონდ კი ლუკმა-პური მიეღოთ. და აი, ამ თითქმის უფასო მუშახელის ხარჯზე ამერიკელმა იმპერიალისტებმა შემოსავლის ახალი წყარო გაიჩინეს. ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა“ სტატიაში „ექსპლოატაცია ქველმოქმედების ნიღბით“ ამხელდა ამერიკელთა ოი-

ნებს და გვიხატავდა მოტყუებული მუშების საკალალო მდგომარეობას.

„ამერიკელთა მოსვლისთანავე თბილისში გაიხსნა ლტოლვილთა დახმარების ამერიკული კომიტეტის საქსოვი ფაბრიკა.

მუშა ხელი მზადაა.

თურქეთის სამხრეთიდან ლტოლვილები, რომელთაც დაკარგეს მთელი თავისი მეურნეობა, მამები, ქმრები და საბოლოოდ განადგურდნენ, მოიწვიეს ფაბრიკაში. ისინი კაპიკებზე ჰყიდიან სამუშაო ძალას.

ფაბრიკის ადმინისტრატორები, მასების დამშეული მდგომარეობის გამო, უმოწყალოდ ყელეფენ მათ, ისქელებენ საკუთარ ჯიბეებს"[1].

გაზეთი შემდეგ მიუთითებს, რომ ამერიკელთა ამ თავაშვებულებას არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს ადგილობრივი ხელისუფლება, ამიტომ ისინი კიდევ უფრო გათამამდნენ და თვითნებურად, უსინდისოდ იქცევიანო[2].

ამერიკელი აგენტები თურქეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ნიადაგს ამზადებდნენ ამერიკის ბატონობისათვის. ამერიკის გენერალური კონსული კონსტანტინოპოლში რევანდალი პარიზში აშშ-ის დელეგაციას სწერდა:

„შორსმჭვრეტელი ამერიკელები, რომლებიც ამ მხარეებში იმყოფებიან, დაჟინებით მოითხოვენ ამიერკავკასიის ჩართვას მანდატის რომელიმე სქემა*, რომლის მიღება ჩვენს მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია თურქეთის მიმართ. ამიერკავკასია განსაკუთრებით მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ მას არ შეუძლია მმართველობა დამოუკიდებლად, საზღვარგარეთის ხელმძღვანელობის გარეშე". ასე სწამებდა ცილს ამიერკავკასიის ხალხებს ვიგინდარა ამერიკელი გენერალი.

მალე პარიზში ჩავიდა თვით პოლკოვნიკი ჰასკელი და გარკვევით წამოაყენა ამიერკავკასიის ოკუპაციის გეგმა. იგი აცხადებდა: კავკასიაში მეტად მძიმე მდგომარეობაა და არავითარი ცვლილება არ მოხდება, სანამ სამი რესპუბლიკა არ გაერთიანდება ერთი ადმინისტრაციის ქვეშ. ვიდრე საქართველო და აზერბაიჯანი ჩემი რწმუნების გარეშე არიან, მოკლებული ვარ შესაძლებლობას ეფექ-

---

[1] გაზ. „ვოლნა" 17 ივნისი, წ. № 7, 1919.

[2] იქვე.

* არსებობდა მანდატის ორი სქემა: პირველი—ამერიკის მანდატი მთელ თურქეთზე, მეორე სომხეთსა და კილიკიაზე. ამავე დროს მეორე სქემით ამერიკას მანდატი უნდა მიეღო აგრეთვე მთელ კავკასიაზე, „ვიდრე გადაწყდებოდა რუსეთის საკითხი".

ტურად შევასრულო ის მოვალეობა, რაც მე, როგორც სომხეთში ასტანტის წარმომადგენელს, მაკისრიაო.

ამ განცხადების შემდეგ სხდომაზე ამერიკის წარმომადგენელმა ჰასკელმა წაიკითხა 5 ივლისს მიღებული რეზოლუცია, რომელიც უკვე მოტანილია ზემოთ, და მოითხოვა მასში „პატარა შესწორების“ შეტანა: სიტყვა „სომხეთის“ შემდეგ „საქართველოს“ და „აზერბაიჯანის“ ჩამატება. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამერიკელი კომისრის რწმენება ამიერიდან მთელ ამიერკავკასიაზე უნდა გავრცელებულიყო. ამიერკავკასიაში ამერიკელთა გაბატონება სრულებითაც არ უპასუხებდა ინგლისელთა ინტერესებს. ამიტომაც რეზოლუციის შესწორების წინააღმდეგ გაილაშქრა ინგლისის წარმომადგენელმა ეირე კროუმ. ჰასკელმა თავისი წინადადება მოხსნა. ცხადია, ჰასკელისა და კროუს ზურგს უკან იდგნენ ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები, ერთმანეთს ეცილებოდნენ კავკასიის ძარცვაში. ამერიკული ნავთის კომპანია „სტანდარტ-ოილი“ შეშფოთებული იყო ბაქოში ინგლისელთა დამკვიდრებით. თავის მხრივ ინგლისური ნავთის კომპანიას „როიალ დეტჩზელს“ და ინგლის-ირანის კომპანიებსაც აშინებდათ ამერიკის შეჭრა კავკასიაში.

ამერიკელი იმპერიალისტები აჩქარებდნენ პრეზიდენტ ვილსონს, მანდატის საკითხი პარიზის კონფერენციაზე თავის გადაწყვეტას უახლოვდებოდა. პრეზიდენტს ესაჭიროებოდა უფრო დაწვრილებითი ცნობები ამიერკავკასიის შესახებ, მას ესაჭიროებოდა ამიერკავკასიის ხელისუფალთა თანხმობა. ამიტომ გადაწყდა სამანდატო ტერიტორიების დათვალიერება ადგილებზე მომხდარიყო. გენერალ ჯემს ჰარბორდის მეთაურობით შეიქმნა სპეციალური მისია, რომელსაც მიეცა პრეზიდენტის ინსტრუქცია—შეესწავლა ამიერკავკასია და შეედგინა დაწვრილებითი ანგარიში ქვეყნის „პოლიტიკურ, სამხედრო, გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ ეკონომიურ და სხვ. მდგომარეობათა შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იქნებოდა ამ ქვეყნისადმი ამერიკელთა მომავალ ინტერესებთან და პასუხისმგებლობასთან“.

პარიზიდან ექსპედიცია სასწრაფოდ გამოემგზავრა ახლო აღმოსავლეთისაკენ, გაიარა კონსტანტინოპოლი, ანატოლია, კილიკია, ჩრდილო სირია, დიარბეკერი, ხარპუტი, სივასი, ერზინჯანი, არზრუმი, ყარსი და ჩავიდა ერევანში, საიდანაც შემდეგ გაემგზავრა თბილისში, ბაქოსა და ბათუმში. ექსპედიციის დაუწერელი ინსტრუქცია ითვალისწინებდა ჯაშუშურ საქმიანობას. მისიას უნდა გაეჩაღებინა ამერიკული პროპაგანდა, სამოთხედ დაეხატა „ცხოვრების ამერიკული წესი“ და ადგილობრივი მთავრობებისათვის ჩაეგონე-

ბინა, რომ მათი ერთადერთი გამოსავალი მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური სიძნელეებიდან მხოლოდ ამერიკელია მანდატი, ამერიკელთა მფარველობა იქნებოდა. მისია ყველგან აწარმოებდა მთავრობის პირთა დაკითხვას, ესაუბრებოდა კონტრრევოლუციურ პარტიათა წარმომადგენლებს და ეწეოდა მათ გადაბირებას. ერთი თვის შემდეგ ექსპედიციამ მუშაობა დაამთავრა, პარიზს გაემგზავრა და პრეზიდენტს წარუდგინა ვრცელი ანგარიში.

ანგარიშის მთავარი დასკვნები მიუთითებდნენ ამიერკავკასიის მძიმე მდგომარეობაზე. განსაკუთრებით მუქი ფერებით იყო დახატული „ბოლშევიზმის საფრთხე". სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებს არ შეუძლიათ საკუთარი ძალებით ხანგრძლივად იარსებონ. ყველა მათგანს სჭირდება მანდატი. ამავე დროს აუცილებელია, რომ მანდატი ამიერკავკასიაზე ერთ სახელმწიფოს ეკუთვნოდესო. მისიის ანგარიშში პირდაპირ თავხედურად იყო მითითებული, რომ „ბათუმი უნდა გადაიქცეს ამიერკავკასიაში ამერიკელთა ბაზად", რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სრული ძალაუფლება უნდა ჰქონდეთ ყველა იმ ტერიტორიაზე, სადაც სომხები ცხოვრობენ, — არა მარტო სომხეთში, არამედ რუსეთში, საქართველოში და აზერბაიჯანში.

ანგარიშისათვის ობიექტური ელფერის მისაცემად მისია, მანდატის სასარგებლო მოტივებთან ერთად, მიუთითებდა იმ სიძნელეებზე, რომლებთანაც მანდატის მიღება და ქვეყნის მართვა იყო დაკავშირებული (დიდი სახსრები, ინგლისის კონკურენციის საშიშროება და სხვ.). მაგრამ ჰარბორდს—ანგარიშის ავტორს და ადრესატს— პრეზიდენტ ვილსონს ერთმანეთის კარგად ესმოდათ.

ამგვარად, მისიამ წარმატებით შეასრულა ამერიკელი იმპერიალისტებისა და მისი მოდარაჯე ქოფაკის ვილსონის დაკვეთა.

ახლო აღმოსავლეთი იღუპება, მას შველა ესაჭიროება,—ლაპარაკობდა ეს ანგარიში. და ამ შველაზე ასე ხმამაღლა ამერიკელი ოკუპანტები გაყვიროდნენ სწორედ მაშინ, როცა პარიზის კონფერენციის დღის წესრიგში იდგა ახლო აღმოსავლეთზე მანდატის საკითხი. ჰარბორდის მისიის ანგარიში მიმართული იყო იქითკენ, რომ დაეჩქარებინა ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა ამერიკელთა სასარგებლოდ, ე. ი. ამერიკული იმპერიალიზმისათვის მიეცა თურქეთისა და ამიერკავკასიის ძარცვის რწმუნება.

პარიზის კონფერენციაზე ამერიკელთა დელეგაცია თავის პრეტენზიებს მარტოოდენ თურქეთით ან ამიერკავკასიით როდი ფარგლავდა. ამერიკელ რეაქციონერთა მთავარი მიზანი, როგორც ზემოთ მივუთითებდით, რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა,

რუსეთის დაყოფა და მისი ცალკეული ტერიტორიების მიტაცება იყო.

ამერიკელთა ბინძური ზრახვების მამხილებელი დოკუმენტია ის რუკა, რომელიც პარიზის კონფერენციის წინ მოამზადა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

რუკაზე მოხაზული იყო მომავალი რუსეთის საზღვრები. ამ საზღვრებს გარეთ რჩებოდა ბალტიისპირეთი, ბელორუსია, უკრაინა, ამიერკავკასია, ციმბირი და შუა აზიის ოლქები. რუკის დამატებაში ნათქვამი იყო: „მთელი რუსეთი უნდა დაიყოს დიდ ბუნებრივ ოლქებად, თითოეული თავისი განსაკუთრებული ეკონომიური ცხოვრებით. ამასთან არც ერთი ოლქი არ უნდა იყოს ისე საკმარისად დამოუკიდებელი, რომ შეძლოს ძლიერი სახელმწიფოს შექმნა"[1].

ამ რუკიდან ნათლად ჩანს ამერიკელ კოლონიზატორთა მიზანი: ჩამოაცილონ რუსეთს განაპირა ოლქები, შექმნან იქ მარიონეტული ბურჟუაზიული მთავრობები, რომლებიც ამერიკის მონამორჩილი იქნებიან და ხელს შეუწყობენ მას კოლონიურ ძარცვაში.

როგორც ზემოთ მივუთითებდით, იმპერიალისტური ბანაკის საომედო ძალასა და დასაყრდენს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოადგენდნენ კოლჩაკის, დენიკინისა და იუდენიჩის არმიები, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ინგლისურ-ამერიკული იარაღით და კომბინირებულად უტევდნენ საბჭოთა რუსეთის სასიცოცხლო ცენტრებს. მაგრამ მტკიცე ზურგს მოკლებული ყაჩაღური არმიები, რომლებიც ხელყოფდნენ სიხლით მოპოვებულ თავისუფლებას და თან მოჰქონდათ არა მარტო მემამულეთა და კაპიტალისტთა, არამედ ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის უღელიც, არმიები, რომლებიც ზიზღსა და აღშფოთებას იწვევდნენ თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა გულში, გაიხრწნენ, გადაგვარდნენ და დაიმსხვრნენ წითელი არმიისა და მშრომელი ხალხის ერთსულოვანი, გმირული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შედეგად.

„კონტრრევოლუციის დამარცხება ამჯერად იმდენად მოულოდნელი და უეცარი იყო, რომ იმპერიალისტური გერმანიის დამმარცხებლები, ანტანტის ბებერი მგლები, იძულებული გახდნენ საქვეყნოდ გამოეცხადებინათ: «იარაღით ბოლშევიზმის დამარცხება არ

---

[1] А. Е. Кунина, Провал американских планов завоевания мирового господства в 1917—1920 гг. зз. 81.

შეიძლებაო»[1],—წერდა ი. ბ. სტალინი 1919 წლის 26 დეკემბერს „პრავდაში“.

ამავე დროს ყოველდღიურად იზრდებოდა ევროპისა და ამერიკის მშრომელთა სიმპათია და მხარდაჭერა საბჭოთა ქვეყნისადმი. ლოზუნგი—„ხელები შორს საბჭოთა რუსეთისაგან“ მილიონობით ებრალო ადამიანის ლოზუნგად იქცა. იმპერიალიზმის მესვეურებმა აშკარად იგრძნეს თავიანთ ფეხქვეშ ნიადაგის რყევა, რევოლუციური ვულკანის ხმაური. ასეთ პირობებში თავისუფლებისა და პროგრესის წინააღმდეგ დაუფარავი, აშკარა ლაშქრობა სასიკვდილო საფრთხესთან იყო დაკავშირებული და ტაქტიკის დაუყოვნებლივ შეცვლას მოითხოვდა: საჭირო გახდა ინტერვენციის აშკარა ფორმიდან ფარულ ფორმაზე გადასვლა. მართალია, ფარული ფორმა უფრო რთული, უფრო სამძიმო იყო, ვიდრე აშკარა ჩარევა, მაგრამ სამაგიეროდ იგი უფრო შეეფერებოდა „ცივილიზებული“ და „ჰუმანური“ ანტანტის ნიღაბს.

ი. ბ. სტალინი მიუთითებდა: „ამრიგად, იმპერიალიზმი იარაღის ჟღარუნის პოლიტიკიდან, აშკარა ინტერვენციის პოლიტიკიდან, იძულებულია გადავიდეს შენიღბული ინტერვენციის პოლიტიკაზე, სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მცირე და დიდი დამოკიდებული ერების ჩათრევის პოლიტიკაზე“[1]. ახალ ვითარებაში იმპერიალიზმის ქოფაკები სხვა ენაზე ალაპარაკდნენ. ვილსონმა, ლოიდ-ჯორჯმა და კლემანსომ დასაშვებად ჩათვალეს ბოლშევიკებთან მოლაპარაკება. გაისმა ხმები საბჭოთა რუსეთთან ზავის დადების შესაძლებლობის შესახებ და სხვ.

ყველაფერი ეს მოასწავებდა მხოლოდ ტაქტიკის შეცვლას, ბრძოლის ახალ ფორმებსა და მეთოდებზე გადასვლას, რაც იმპერიალისტთა პირველი მარცხითა და შინაგანი სისუსტით იყო ნაკარნახევი. ბრძოლა ორ სისტემას შორის, იმპერიალიზმისა და სოციალიზმის ბანაკს შორის არათუ სუსტდებოდა, პირიქით, უფრო ძლიერდებოდა და დაძაბულ ხასიათს იღებდა.

ფარული ინტერვენციის გეგმის წარმატებას ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ვარაუდობდნენ რუსეთის განაპირა მხარეების კონტრრევოლუციურ მთავრობებზე დაყრდნობით. მათ განიზრახეს, რომ პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ფინეთი, უკრაინა, ამიერკავკასია, სადაც ძალაუფლება ხელთ ეპყრათ ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციურ პარტიებს, დაეფინანსებინათ და

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 312.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 271.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებათ. რკპ (ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენციაზე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „ანტანტის მეორე ხერხი, მისი ბრძოლის მეორე სისტემა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ წინააღმდეგ გამოეყენებინა პატარა სახელმწიფოები... გამოყენებული იყო ზეგავლენის ყოველგვარი საშუალება —ფინანსური, სასურსათო, სამხედრო, რათა აეძულებინათ ესტლანდია, ფინეთი და აგრეთვე, უთუოდ, ლატვიაც, ლიტვაც და პოლონეთიც, აეძულებინათ სახელმწიფოთა მთელი ეს ციკლი შემოეტია ჩვენ წინააღმდეგ“[1].

ამგვარად, ფარული ინტერვენციის მიზნად კვლავ რჩებოდა საბჭოთა რუსეთის დაჭუცმაცება, საბჭოთა ხელისუფლების მოსპობა. განაპირა ქვეყნებს უნდა შეესრულებინათ პლაცდარმის როლი.

„ესტლანდია და ლიტვა, უკრაინა და ყირიმი, თურქესტანი და ციმბირი, პოლონეთი და კავკასია, ბოლოს, თვით რუსეთი—თვითმიზნები კი არ არიან, არამედ მხოლოდ ბრძოლის ასპარეზი, სადაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა ორი ძალა: იმპერიალიზმი, რომელიც ისწრაფის განამტკიცოს მონობის უღელი, და სოციალიზმი, რომელიც იბრძვის მონობისაგან განთავისუფლებისათვის“[2]— მიუთითებდა ი. ბ. სტალინი.

იმპერიალიზმის ფარული ზრახვების განხორციელებაში საიმედო ძალას წარმოადგენდნენ რუსეთის განაპირა მხარეების ბურჟუაზიულ-კონტრრევოლუციური მთავრობები, რომლებიც იძულებული იყვნენ საკუთარი მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის დასათრგუნავად და თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად დახმარება ეთხოვათ იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის. განაპირა ქვეყნების მთავრობებისადმი ამ დახმარებას რომ აშკარა ინტერვენციის ხასიათი არ ჰქონოდა, პარიზის კონფერენციაზე უკვე ალაპარაკდნენ ნაციონალურ მთავრობათა დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.

იმპერიალისტური ბანაკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამიერკავკასიის პლაცდარმს. ი. ბ. სტალინი მიუთითებდა: „რევოლუციისათვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო იმით, რომ იგი ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 194—195.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 254—255.

ეკონომიური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი—ბაქო, ბათუმი—თავრიზი, ბათუმი—თავრიზი—არზრუმი).

ყოველივე ამას ითვალისწინებს ანტანტა, რომელსაც ამჟამად ხელთ აქვს კონსტანტინოპოლი, შავი ზღვის ეს გასაღები, და სურს შეინარჩუნოს აღმოსავლეთისაკენ ამიერკავკასიაზე მიმავალი პირდაპირი გზა.

ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებს ფეხს კავკასიაში, ვინ ისარგებლებს ნავთითა და აზიის სიღრმეში მიმავალი უაღრესად მნიშვნელოვანი გზებით, რეკოლუცია თუ ანტანტა, — ეს არის მთელი საკითხი"[1].

1920 წლის დასაწყისში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საკითხი ოთხთა საბჭოს დღის წესრიგის მთავარ საკითხად იქცა. ბრიტანეთის დელეგაციამ წარმოადგინა თავისი მემორანდუმი, რომელიც სამხედრო ექსპერტებს გადაეცა. საინტერესოა სამხედრო ექსპერტის საერთო დასკვნა:

„თუ შეუძლებელია ბოლშევიზმის დამარცხება მის საკუთარ ტერიტორიაზე, მაშინ შესაძლებელი უნდა იყოს შევაჩეროთ იგი ზოგიერთ საშიშ გზაზე, როგორიცაა, მაგალითად, კავკასია. ამ მიზნით განხილული უნდა იქნეს კავკასიაში სამხედრო ბარიერის მოწყობის საკითხი. ვიღებთ რა მხედველობაში ადგილობრივ მთავრობათა მდგომარეობის არასიმყარეს და მათი სამხედრო ძალების მოუმწიფებლობას, ეს ბარიერი პირველ რიგში უნდა მოეწყოს ევროპის ჯარების დახმარებით"[2].

სამხედრო ექსპერტის დასკვნები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ბაქოს მნიშვნელობას, რომლის დაცვა მოხერხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები გაბატონდებოდნენ კასპიის ზღვაზე.

პრემიერ-მინისტრთა საბჭოზე, სადაც ინგლისის პროექტს და ექსპერტის დასკვნას იხილავდნენ, წამოიჭრა საკითხი ახალი, აშკარა სამხედრო ინტერვენციის მოწყობის შესახებ. ითვალისწინებდა რა წინა ინტერვენციების მწარე გამოცდილებას, ლოიდ-ჯორჯი მოითხოვდა ამიერკავკასიის „მთავრობებისადმი" იარაღით, ფულითა და სურსათით დახმარებას, მარშალი ფოში კი კავკასიაში ევროპის ჯარების გაგზავნას, ე. ი. აშკარა სამხედრო ლაშქრობის იდეას აყენებდა.

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 444.

[2] Б. Е. Штейн, „Русский Вопрос" на Парижской мирной конференции (1919—1920 г.г.), გვ. 350.

მაგრამ აქვე წამოიჭრა საკითხი: მზად არიან თუ არა ამიერკავკასიის „მთავრობები“ გამოიყენონ ეს დახმარება? ამავე დროს ხომ საჭიროა ასეთი დახმარების აუცილებლობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შექმნა? ვიდრე ანტანტა ამიერკავკასიას დახმარებას გაუწევდეს, მას დასაბუთება უნდა მიეცეს, ე. ი. უნდა შეიქმნას ვერსია ბოლშევიზმის აგრესიის შესახებ: ბოლშევიზმი თავდასხმას ამზადებს ამიერკავკასიის რესპუბლიკებზე, რესპუბლიკები იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას, ანტანტა კი, როგორც „დამოუკიდებლობის“, „დემოკრატიულობის“ დამცველი, დაეხმარება მათ თავდაცვის ორგანიზაციაშიო,—ასე მჭობდნენ ცხვრის ქურქში გახვეული მგლები.

ამ ვერსიის განსამტკიცებლად საჭირო იყო ამიერკავკასიის „მთავრობათა“ დელეგაციების დასტური. ამიტომ საბჭომ საჭიროდ ჩასთვალა მოესმინა დელეგაციებისათვის, რომლებიც დერეფანში იცდიდნენ.

კლემანსომ საქართველოსა და აზერბაიჯანის დელეგაციებს მიწვევისთანავე ანიშნა, საიდან დაეწყოთ ახსნა-განმარტება: ჩვენ ვფიქრობთ, თქვენ მოგვცემთ ინფორმაციას ამიერკავკასიაზე მოსალოდნელი ბოლშევიკური თავდასხმის, აგრეთვე იმ სახსრების შესახებ, რომელნიც თქვენ თავდაცვისათვის მოგეპოვებათო. მიმართულება გარკვეული იყო. დელეგაციის წარმომადგენლებმა ადვილად გაიგეს, თუ რა ჰანგზე უნდა ემღერათ და „ბოლშევიზმის საფრთხე“ მეტად მუქი ფერებით დახატეს. ამავე დროს დელეგატებმა დაიწყეს გოდება საკუთარი სახსრების სიმცირეზე. წერეთელი პირდაპირ მოითხოვდა მოკავშირეთა ჯარების გაგზავნას საქართველოში.

საბჭომ გადაწყვიტა ეცნოთ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „დამოუკიდებლობა“ დე-ფაქტოდ, ამავე დროს გაეგზავნათ მათთვის იარაღი, სურსათი და საჭურველი.

დამახასიათებელია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკათა „დამოუკიდებლობის“ ცნობისთანავე ინგლისურმა პრესამ დიდი განგაში ასტეხა „ბოლშევიზმის აგრესიის“ შესახებ, თითქოს საბჭოთა ჯარები აწყობდნენ თავდასხმას ამიერკავკასიაზე, ირანისა და თურქეთისაკენ გზის გაკაფვის მიზნით. ინგლისური იმპერიალისტური პრესის ეს ხმაური მიზნად ისახავდა ანტანტის ახალი ფარული ინტერვენციის გამართლებას.

საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის „დამოუკიდებლობის“ ცნობა ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობისათვის. ნაციონალისტური მთავრობები

რუსეთის განაპირა მხარეებში ანტანტას საფარად ესაჭიროებოდა. ძირითადი მიზანი საბჭოთა რუსეთის მოსპობა, ხოლო შემდეგ მისი დამონება და გაძარცვა იყო.

საბჭოთა რუსეთის მიმართ ანტანტის იმპერიალისტების ნამდვილ მიზნებს რომ ააშკარავებდა, გაზეთი „ეიზნ ნაციონალნოსტეი" წერდა: „ჩვენ ოდნავადაც არ გვაკვირვებს ანტანტის მიერ ამას წინათ საქართველოსა და ლიტვის დამოუკიდებლობის ცნობა. ჩვენ არაფერი გვაქვს ამ სახელმწიფოთა ცნობის საწინააღმდეგო, რადგან სიტყვით და საქმით არა ერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი ერთგულება ჩვენს მიერვე აღიარებული ერების თვითგამორკვევისადმი. მაგრამ თუ ამის შესახებ ამჟამად ჩვენ მაინც ვლაპარაკობთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ ხაზი გავუსვათ რამდენად საქართველოს და ლიტვის ახლანდელი სახელმწიფოების მოღვაწეები, რომელთაც პარიზისა და ლონდონის სამინისტროთა ზღურბლები აატალახეს, იმისათვის რომ მათთვის ანტანტის მიერ ცნობა გამოეძალათ, დანაშაულებრივ შეუფასებლობას იჩენდნენ იმ შედეგისადმი, რაც ამას შემდგომ მოჰყვება.

გეგმა, რომელსაც ამჟამად ანტანტა ისახავს, ცბიერი და ვერაგულია.

გვარტყამს რა რკალს ჩვენდამი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები, რომელთა მადის გაღვიძება მცირეოდენი საჩუქრებით ადვილია, ანტანტა ჯერ კიდევ არ ჰკარგავს იმედებს ანგარიში გაგვისწოროს"[1].

იმპერიალისტური ბანაკის ამ ფარულ, ვერაგულ ზრახვებს განხორციელება არ ეწერათ. ამიერკავკასიის პროლეტარიატი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მძიმე და შეუპოვარ ბრძოლებში სჭედდა თავის ბედს, ამზადებდა ხალხის ინტერესების მოღალატე კონტრრევოლუციურ მთავრობათა დამხობას.

---

[1] გაზ. „Жизнь национальностей", 13 თებერვალი, 1921 წ.

საქართველოს კომუნისტური პარტია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და უსხლური ინტერვენციის წინააღმდეგ მშრომელი კლასების ბრძოლის საშიაეში 1918—1920 წლებში

ჩრდილო კავკასიაში 1918 წლის ივნისის დასაწყისში, სწორედ იმ დღეებში, როცა იქ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი გადავიდა, საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა მეტისმეტად გართულდა. საბჭოებმა, რომლებიც აქ ახლად ორგანიზებული და წელმოუმაგრებელი იყვნენ, ვერ შეძლეს ჩრდილო კავკასიის მცირე ეროვნებათა შორის ცარიზმისა და ბურუჟაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მიერ გაღვივებული შუღლისა და მტრობის მოსპობა. ინგუშები და ჩეჩნები დაერივნენ ოსებს. კაზაკების შეძლებულმა ფენამ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება სძულდა, დრო იხელთა და დაიწყო საბჭოების ლიკვიდაცია. ამ საერთო არეულობის პერიოდში წამოტივტიეიდნენ მენშევიკი და ესერი ავანტიურისტი ოფიცრები—ბიჩერახოვი, მამულოვი, სემენოვი და სხვ. კონტრრევოლუცია შეუდგა ენერგიულ სამზადისს საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციისათვის. მათი პრაქტიკული მოქმედება დაიწყო 5 ივნისს ინგუშების გამოსვლით, ისინი თავს დაესხნენ სადგურ ტარსკაიას. წაქეზებული კაზაკები ინგუშების სოფელს ბორდაბოსს შეესივნენ. გაჩაღდა კაზაკ-ინგუშების ომი. ეს იყო საბაბი. კონტრრევოლუციის შტაბი კი ამ დროს მთავარ შეტევას ამზადებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა მოკლეს თერგის ოლქის საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, მგზნებარე რევოლუციონერი კომუნისტი ნოე ბუაჩიძე. ბიჩერახოვმა ულტიმატუმი წარუდგინა მოზდოკის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და წითელი არმიის რაზმების განიარაღება და იარაღის მისთვის გადაცემა მოითხოვა. მისმა ბანდებმა ხელთ იგდეს ქალაქი და შექმნეს „თერგის კაზაკურ-გლეხური საბჭო“, რომელსაც სათავეში კონტრრევოლუციონერი ბიჩერახოვი ჩაუდგა. ჩრდილო კავკასიაში დაიწყო კონტრრევოლუციის პარპაში.

სწორედ ამ მძიმე დღეებში ჩავიდა თერგის ოლქში სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი სერგო ორჯონიკიძე, რომელიც აქა-

მდე ცარიცინსა და ეკატერინოდარში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციის განადგურებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის გაჩაღებულ გმირულ ბრძოლებს. 10 ივლისს სერგო პიატიგორსკში გამოვიდა მშრომელთა დიდ მიტინგზე, 11 ივლისს ჯავშნიანი მატარებლით მივიდა ვლადიკავკაზში და სათავეში ჩაუდგა კონტრრევოლუციური ამბოხების ლიკვიდაციის საქმეს. კონტრრევოლუციის ძალები თეთრი კაზაკების, ინგუშებისა და ჩეჩნების შეძლებული ფენებიდან თანდათან იზრდებოდა. მათ განსაკუთრებული გააფთრებით შეუტიეს გროზნოსა და ვლადიკავკაზს. ორი დღის განმავლობაში გასაოცარი გმირობით იცავდნენ თავიანთი ქალაქის კედლებს გროზნოს მშრომელები. თეთრ გენერალთა ბანდების ყოველგვარი ცდა—გაეტეხათ მშრომელთა წინააღმდეგობა მარცხით დამთავრდა. კონტრრევოლუციამ მნიშვნელოვანი ძალებით ალყა შემოარტყა აგრეთვე ყიზლარს, მაგრამ ვერც მისი აღება შეძლო. მალე კაზაკთა რიგებში ხრწნა დაიწყო. მშრომელი კაზაკობა, რომელიც თანდათან ერკვეოდა ვითარებაში, წითელი არმიის მხარეზე გადადიოდა. თეთრების ფრონტი გარღვეულ იქნა ნოვოპავლოვსკისთან. მტერი პროხლადნაიაში გამაგრდა, მაგრამ საბჭოთა ნაწილებმა იგი პროხლადნაიადანაც გარეკეს. თეთრი ბანდები ყველა ხერხს ემიმართავდნენ გროზნოს ხელში ჩაგდებისათვის. ქალაქის კედლებთან წარმოებდა გაფთრებული ბრძოლები. გროზნოს მშრომელებს ყოველდღიურად უხდებოდათ კონტრრევოლუციონერთა ბანდების შეტევის მოგერიება. ქალაქის გმირულ დაცვას მეთაურობდა ს. ორჯონიკიძე. ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში უდიდეს როლს თამაშობდნენ პარტიზანული რაზმები, რომელთა რიცხვი ოკუპირებულ ტერიტორიაზე დღითი დღე იზრდებოდა. გროზნოს მშრომელებისა და ზურგის პარტიზანული რაზმების მამაცური ბრძოლების შედეგად მტერი მოგერიებულ იქნა. მან დაიწყო თერგისკენ უკანდახევა. წითელი რაზმები გამაგრდნენ. ახლა მთელი ფრონტით დაიწყო შეტევა და თერგის რესპუბლიკაში თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის ლიკვიდაცია. ამ საქმეში ჩაებნენ ახლად ფორმირებული XII არმიის ნაწილები.

15 ნოემბერს სერგო ლენინს უდეპეშებდა ჩრდ. კავკასიაში წითელი არმიის სახელოვან გამარჯვებათა შესახებ:

„გროზნოს სადგურის გაწმენდის შემდეგ 13-ში დილით კაზაკთა სამი ასეული გაუბიცებით, წითელი დროშით გადმოვიდნენ ჩვენ მხარეზე სტანიცა სამაშკინსკისთან, რის შემდეგ თვით სტანიცა დაკავებულ იქნა გასროლის გარეშე, შემდეგი სტანიცები რო-

მანოვსკაია და ერმოლოვსკაია ჩაგებარდნენ აგრეთვე უბრძოლველად. ღღეს დილით ვლადიკავკაზიდან გროზნოში ჩავიდა ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი, ჩვენს მიერ წამოღებულ იქნა 9 ქვემეხი, 2 ჯავშნიანი მატარებელი, ჯავშნიანი ავტომობილი, 100 ჭურვი, შაშხანების, ვაზნების დიდი რაოდენობა, 12 ტყვიამფრქვევი, ბომბმტყორცნი, მინმტყორცნი, ამფეთქებელი ყუთები. შემხვევი მასალა და სხვა სამხედრო ქონება, რომელთა რაოდენობის გარკვევა გრძელდება, კაზაკთა შორის სრული გახრწნა სუფევს. პოლკოვნიკმა, რომელიც კონტრრევოლუციონერთა ბანდების ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, თავი მოიკლა. სხვა ოფიცრები გაიქცნენ. მშრომელი კაზაკობა საბჭოთა ჯარებს წითელი დროშებით, პურმარილით შეხვდა.

...გამარჯვებასთან დაკავშირებით ვლადიკავკაზში ჩატარდა მიტინგები და მანიფესტაციები. წითელი არმიის განწყობილება შესანიშნავია. კაზაკები მასობრივად ეწერებიან წითელ არმიაში"[1].

ცხადია, ასეთ პირობებში კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ დასახული თავდაპირველი გეგმა უნდა შეცვლილიყო. შეუძლებელი იყო ახლა ფიქრი იმაზე, რომ აჯანყებული ქართველი გლეხობის დასახმარებლად თერგის საბჭოთა რესპუბლიკას რაიმე ეღონა. ახლა თვით ამ რესპუბლიკის არსებობა კითხვის ქვეშ იდგა, ვინაიდან კონტრრევოლუციის ძალები მას ყოველი მხრიდან უტევდნენ. პირველ რიგში საჭირო იყო დახმარება თერგის სახკომსაბჭოსადმი, აქ კონტრრევოლუციური ძალების ლიკვიდაცია და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება. ამის შემდეგ შეიძლებოდა ფიქრი საქართველოს მშრომელებისათვის რეალურ დახმარებაზე. ამავე დროს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ საგანგებოდ გაამაგრა ჩრდილო კავკასიის საზღვრები. დარიალის ხეობაში მენშევიკი გვარდიელები ისხდნენ, რომლებიც თავისუფლად ატარებდნენ კონტრრევოლუციონურ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, მაგალითად, პოლკოვნიკ დაბილჩენკოს რაზმებმა, ვლადიკავკაზთან რომ მარცხი განიცადეს და წითელი ჯარების მარწუხში მოხვდნენ, თავშესაფარი მენშევიკურ საქართველოში პოვეს. მამისონის უღელტეხილით ისინი ოსეთში გადავიდნენ, შემდეგ ქუთაისში ჩავიდნენ. მენშევიკურმა ხელისუფლებამ ისინი სტუმართმოყვარეობით მიიღო, ფოთამდე გაატარა. აქ კი ისინი გემებში ჩასხდნენ და დენიკინთან შესაერთებლად გაემგზავრნენ. ინგლისელი ოკუპანტები, რომლებიც მაშინ ამიერკავკასიაში უკვე მოკალათებული იყვნენ, ენერ-

---

[1] Красный архив, ტ. 5, გვ. 6.

გიულ დახმარებას უწევდნენ ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციურ ბანდებს. ეს მაშინ, როცა მენშევიკურ საქართველოს ჩრდილო კავკასიის მშრომელებისა და მათი ინტერესებისათვის მეჩრძოლი ბოლშევიკებისათვის საზღვარი მტკიცედ ჰქონდა ჩაკეტილი. ბოლშევიკებს იჭერდნენ, ან ადგილზევე უსწორებდნენ ანგარიშს, ან ჩრდილო კავკასიის კონტრრევოლუციონერთა ბანდებს სთავაზობდნენ. ფ. მახარაძე, რომელიც მაშინ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა და ჩრდილო კავკასიაში იყო, ასე აგვიწერს იქ შექმნილ მდგომარეობას:

„კავკასიის საოლქო კომიტეტი ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ მეტად ცუდ პირობებში ჰოხვდა. როცა ის ასეთ ნაბიჯს სდგამდა, დარწმუნებული იყო იმაში, რომ მას მოქმედებისათვის ფართო ასპარეზი გაეხსნებოდა და მკვიდრი ნიადაგიც ექნებოდა. გამოირკვა, რომ არც ერთი იყო და არც მეორე. საბჭოთა ხელისუფლება ძლივსძლივობით მხოლოდ თვით კავკავში თუ ბოგინობდა, ირგვლივ კი ფუსფუსებდნენ და თარეშობდნენ კონტრრევოლუციური ძალები, ყაზახობა, მეფის ოფიცრობა და სხვ. საბჭოთა რუსეთთან არავითარი კავშირი არ იყო, და არც არავინ იცოდა, თუ რა ხდებოდა იქ. მაგრამ ყველაზე უფრო ცუდი ის იყო, რომ საოლქო კომიტეტი დღიდან ჩრდილო კავკასიაში გადასვლისა, თითქმის სრულიად მოწყვეტილი შეიქნა საქართველოდანაც. ერთადერთი გზა—საქართველოს სამხედრო გზა—მენშევიკებს გაკავებული ჰქონდათ დარიალში და ყაზბეგში და იქ გავლა მეტად სახიფათო იყო. საგანგებო კურიერი ამ გზით ვერ წავიდოდა. მაა უნდა გადაელახა მთები და კლდეები. ასე რომ რაიმე საყურადღებო ცნობის მიღება გვიანდებოდა მთელი კვირაობით, ხშირად თვეობითაც. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს მთელი ამიერკავკასია დასერილი იყო ფრონტებით, თითქმის ყოველ ფეხის გადადგმაზე იდგნენ და გამვლელ-გამომვლელთ გზას უღობავდნენ. ამნაირად, საოლქო კომიტეტი მომწყვდეული დარჩა მეტად ვიწრო ფარგლებში და ამიტომ იყო, რომ ცნობების თავის დროზე მიღების მხრით ის მეტად არახელსაყრელ პირობებში მოექცა"[1].

ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრები ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ ჩრდილო კავკასიაში გაჩაღებულ სამოქალაქო ომში კონტრრევოლუციური ბანდებისა და დენიკინის არმიის წინააღმდეგ ბრძოლას. ამავე დროს, რამდენადაც

---

[1] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 161—162.

ეს მოსახერხებელი იყო, კავშირს ამყარებდნენ თბილისის ბიუროსთან, ეხმარებოდნენ საქართველოს აჯანყებულ გლეხებს სამხედრო ძალებით, გზავნიდნენ დირექტივებს.

საქართველოში ბოლშევიკთა არალეგალური რევოლუციური მუშაობის სათავეში იდგა ბოლშევიკური ორგანიზაციის თბილისის კომიტეტი; მაგრამ მენშევიკური დიქტატურის ვითარებაში ბოლშევიკური კომიტეტის მუშაობა მეტისმეტად გაძნელებული იყო. მენშევიკების აგენტები დაძრწოდნენ ქალაქში. მცირეოდენი იქვიც საკმარისი იყო მოქალაქის დასაპატიმრებლად. გვარდიისა და გერმანელთა ჯარები თარეშობდნენ საქართველოს სოფლებში. ბოლშევიკებს არ გააჩნდათ საკუთარი ბეჭდვითი ორგანო. ბოლშევიკური უჯრედები აღგილებზე ვერ ახერხებდნენ ცენტრთან სისტემატურ დაკავშირებას.

საქართველოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობისადმი სისტემატური ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ყველაზე უფრო მოსახერხებელ საშუალებას ისევ პროფკავშირები წარმოადგენდნენ. მართალია, პროფესიულ კავშირებში მენშევიკები ბატონობდნენ და ისინი ყოველ მხრივ ცდილობდნენ მიეძღვნებინათ მასების რევოლუციური სულისკვეთება, მაგრამ მენშევიკთა პრაქტიკული საქმიანობის სურათი იმდენად სავალალო იყო და კონტრრევოლუციურად გამოიყურებოდა, რომ მუშათა მასები ნელ-ნელა ერკვეოდნენ „მთავრობის" რეაქციულ არსში, მათ აღარ სჯეროდათ მენშევიკ ორატორთა ლამაზი სიტყვებისა, ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებდნენ. პროფკავშირთა არალეგალური ბოლშევიკური „მუშათა ცენტრი" აფართოებდა და აწრთობდა თავის კადრებს —ბოლშევიკ აგიტატორებს, რომლებიც მუშათა მასებს განუმარტავდნენ მთავრობის კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და მოუწოდებდნენ მათ მტკიცედ დარაზმულიყვნენ თავიანთი უფლებების დასაცავად და ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლად.

ბოლშევიკურ ცენტრს თბილისში კარგად ესმოდა, რომ შექმნილ ვითარებაში შეიარაღებულ აჯანყებაზე ფიქრი არ შეიძლებოდა. ეს ხელსაყრელი შემთხვევა ადრევე იქნა ხელიდან გაშვებული. ამჟამად კი მთავრობას გერმანული ხიშტები იცავდნენ. ხოლო ბოლშევიკური ორგანიზაციები ნაწილობრივ განადგურებული, ნაწილობრივ იატაკქვეშ გადასული იყვნენ. მთავრობა ჯერ კიდევ „დამოუკიდებლობას" ინარჩუნებდა. მუშათა და გლეხთა ერთობლივი გამოსვლის ორგანიზება ვერ ხერხდებოდა. ცალკეული გამოსვლები კი დამარცხებისათვის იყო განწირული. ითვალისწინებდნენ რა ამ მდგომარეობას, ხელმძღვანელი ბოლშევიკები მთელ ყურადღებას

ამახვილებდნენ პოლიტიკური არმიის გაძლიერებაზე, რაც მენშევიკური დიქტატურის მთელი საქმიანობისათვის ფარდის ახდით, რეკოლუციური მასების თვითდარწმუნებით უნდა მომხდარიყო.

მენშევიკები ახშობდნენ მუშათა გაფიცვებს და, მიუხედავად მათი „სოციალისტური" განწყობილებისა, საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლას იმით ასაბუთებდნენ, რომ „დემოკრატიული საქართველო" ახალგაზრდაა, მას ეკონომიური მოღონიერება ესაჭიროება, ხოლო გაფიცვები ანარქიას იწვევენ, შრომის ნაყოფიერებას სცემენ, ეს კი ქვეყანას ასუსტებს. რა თქმა უნდა, მენშევიკები დუმდნენ იმის შესახებ, რომ მუშების მდგომარეობა აუტანელი იყო, ხოლო კაპიტალისტები ჯიბეებს ისქელებდნენ, რომ მეფის მთავრობის შემდეგ ფაქტიურად მუშათა მდგომარეობა არ შეცვლილა და კაპიტალისტთა თვითნებობა, აღვირახსნილი ექსპლოატაცია ისევ გრძელდებოდა. ამის შესახებ მენშევიკები ვერაფერს იტყოდნენ, რადგან ისინი კაპიტალისტთა ინტერესების გამომხატველი იყვნენ და ბურჟუაზიის ეკონომიური ბატონობის გარეშე ვერც კი წარმოედგინათ „დემოკრატიული საქართველო".

ბოლშევიკები კი, პირიქით, მუშებს განუმარტავდნენ, რომ მათი ინტერესების დაცვა, ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ ერთსულოვანი მოქმედებით არის შესაძლებელი. გაფიცვა, თუკი იგი კარგად არის ორგანიზებული, თუკი მუშათა მოთხოვნა მტკიცე და ერთსულოვანია, გამარჯვებით დამთავრდება, წარმოების მეპატრონეები იძულებული გახდებიან მიიღონ მუშათა მოთხოვნები. ამხელდნენ რა მენშევიკების ბურჟუაზიულ პოლიტიკას მუშათა საკითხში, ბოლშევიკები პროლეტარულ მასებს განუმარტავდნენ, რომ კაპიტალისტები და მენშევიკები ფარული მოკავშირეები არიან, რომ ისინი არასოდეს არ უღალატებენ ერთიმეორეს, ამიტომ საჭიროა ბრძოლა მათ წინააღმდეგ. საჭიროა წარმოებებში მუშათა კონტროლის დაწესება, კონტროლისა, რომელიც ალაგმავს კაპიტალისტებს, დაიცავს მუშათა ინტერესებს.

ბოლშევიკურ აგიტაციას ჰქონდა თავისი პრაქტიკული შედეგი: საგაფიცვო მოძრაობა იზრდებოდა. კონფლიქტი მუშებსა და მეწარმეებს შორის ღრმავდებოდა. მარტო 1918 წლის შემოდგომაზე თბილისში ადგილი ჰქონდა 1600 კონფლიქტს მუშებსა და მეწარმეებს შორის, ქუთაისში—684-ს. საგაფიცვო მოძრაობაში განსაკუთრებულ აქტივობას ტყიბულის მაღაროს მუშები იჩენდნენ. ამ მოძრაობაში საქართველოს რკინიგზაც ებმებოდა.

მენშევიკები ქება-დიდებას ასხამდნენ მათ მიერ გამოცემულ აგრარულ კანონს, იგი ერთ-ერთ მორიგ „დემოკრატიულ ღონის-

ძიებად“ მიაჩნდათ. ამავე დროს, აჯანყების ალში გახვეული საქართველოს რაიონებს რომ ხედავდნენ, იძულებული ხდებოდნენ ამ არასასიამოვნო ფაქტებისათვის თავისებური დასაბუთება მიეცათ. გლეხები ბუნებით კონტრრევოლუციონერები არიან, ამავე დროს მათი შეგნება დაბალია. ეს აჯანყებებიც მხოლოდ გლეხთა მასები გაუნათლებლობით აიხსნება, ის იგივეა, რაც კონტრრევოლუციური ვანდეა რევოლუციური საფრანგეთის წინააღმდეგ — „აჯყიროდნენ ისინი და ასეთ გაბოროტებულ ხმაურში ცეცხლს უკიდებდნენ აჯანყებულ სოფლებს, აწიოკებდნენ გლეხთა ოჯახებს, ხვრეტდნენ და სახრჩობელებზე გზავნიდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელებს.

ბოლშევიკები ააშკარავებდნენ მენშევიკთა აგრარული კანონის თვალთმაქცურ ხასიათს, განუმარტავდნენ მასებს, რომ ეს კანონი მემამულეთა და სოფლის ბურჟუაზიის — კულაკობის სასარგებლოდ არის შედგენილი, ვინაიდან მთავრობამ მემამულეებს ჩამოართვა უმნიშვნელო რაოდენობა მიწისა, ისიც უვარგისი, ამავე დროს ჩამორთმეულ მიწებზე დააწესა მაღალი გამოსასყიდი თანხა, რომლის გაღება მხოლოდ კულაკებს შეუძლიათ. ბოლშევიკები ეწეოდნენ საბჭოთა მთავრობის მიერ გატარებული მიწის დეკრეტის პროპაგანდას და პირუთვნელი ფაქტებით ცხადყოფდნენ, რომ მშრომელი გლეხობის სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია. ბოლშევიკური აგიტაციის შედეგად იზრდებოდა ღარიბი გლეხობის რევოლუციური შეგნება და ზოგიერთ რაიონში იგი ისეთ დონეს აღწევდა, რომ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აქტიური შეიარაღებული ბრძოლის სახეს იღებდა. ბოლშევიკები სათავეში ედგნენ ამ ბრძოლას, აწრთობდნენ მასებს სამოქალაქო ომის ქარცეცხლში.

მენშევიკები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაჰყვიროდნენ, რომ რუსეთში ანარქიაა, ბოლშევიკები დღეს თუ ხვალ დამარცხდებიან, „საქართველოს დემოკრატიას“ რუსეთში შექმნილი პირობების გამო არ შეეძლო უარი არ ეთქვა რუსეთის ორიენტაციაზე, რუსეთმა მიატოვა საქართველო და სხვ. ამ ფანდებით ისინი ამართლებდნენ საქართველოში გერმანელი ოკუპანტების მოწვევას, ამავე დროს ამტკიცებდნენ, რომ გერმანელები არ ერევიან საქართველოს შინაურ საქმეებში, „დემოკრატიული მთავრობა“ სუვერენულია და სხვ.

ბოლშევიკები განმარტავდნენ, რომ რუსეთის მუშებმა და უღარიბესმა გლეხობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით 1917 წლის ოქტომბერში განახორციელეს დიდი სოციალისტური

რევოლუცია, რომელმაც პირველად შეძლო გაერღვია მსოფლიოს იმპერიალიზმის ფრონტი და შეექმნა სოციალისტური რევოლუციის პირველი კერა, პირველი დასაყრდენი. საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთში პრაქტიკულად გადაჭრა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები: მისცა მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნებში ალაგმა კაპიტალისტთა თვითნებობა და დააწესა მუშათა კონტროლი, განახორციელა დემოკრატიული და უანექსიო ზავი. სწორედ ამიტომაა,— მიუთითებდნენ ბოლშევიკები,—რომ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, ხელისუფლებისა, რომლის დასამხობად აღდგა კაპიტალისტური სამყარო და შინაური კონტრრევოლუცია, დაირაზმნენ რუსეთის მუშები და გლეხები, ისინი არ დათმობენ თავიანთ მონაპოვარს, ომის ქარცეცხლში ნაწრთობი წითელი არმია მამაცურად უმკლავდება შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციას, რადგან წითელი არმიის ძალა მშრომელთა მხარდაჭერაში მდგომარეობს, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება კი არ სუსტდება, არამედ, პირიქით, დღითი დღე მტკიცდება და, ანგრევს რა ბურჟუაზიულ სახელმწიფო აპარატს, ახალს, სოციალისტურ აპარატს ამტკიცებს.

ბოლშევიკები განუმარტავდნენ მშრომელებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია პრაქტიკულად წყვეტენ ბურჟუაზიული ხელისუფლების დროს მუდამ გადაუწყვეტელ ნაციონალურ საკითხს. რუსეთის ცარიზმისა და დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დროს დაჩაგრულმა, უუფლებო ერებმა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიიღეს ეროვნული თავისუფლება, საბჭოთა მთავრობა აღიარებს ყველა ერთა თანასწორუფლებიანობ სუვერენულობას, რაც კონკრეტიზებულია ჩაგრულ ერთა დეკლარაციაში. მიუთითებდნენ რა მენშევიკთა დამღუპველ სეპარატიზმზე, ბოლშევიკები მასებს მოაგონებდნენ რუსი და ქართველი ხალხის ისტორიულ მეგობრობას, მათ ერთიან ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. საქართველოს მუშები და გლეხები კვლავაც მხოლოდ საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხების მხარდამხარ უნდა დაირაზმონ, დაამხონ მენშევიკთა დიქტატურა, რომელიც საქართველოში იმპერიალისტურ ქვეყნებს იწვევს და მათი ზარბაზნებით მშრომელებს უმასპინძლდება. თვალსაჩინო, ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული ფაქტებით ბოლშევიკები ცხადყოფდნენ, რომ დასავლეთის იმპერიალისტებმა საქართველო თავიანთ კოლონიად გაიხადეს, ისინი ეზიდებიან საქართველოს სიმდიდრეს, მაშინ როცა ხალხი შიმშილით იხოცება. ისინი აბუჩად იგდებენ ქართველებს, შეურაცხყოფენ და, თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს არ ასცდება დამონებული კოლონიური ქვეყნების ბედი.

ბოლშევიკების ამ სააგიტაციო მუშაობას ჰქონდა უდიდესი დამრაზმველი მნიშვნელობა. საქართველოს ღარიბი გლეხები და მუშები მტკიცედ მოითხოვდნენ იმპერიალისტურ დასავლეთთან კავშირის გაწყვეტას, ისინი მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა რუსეთთან ერთიანობას. მუშათა და გლეხთა მრავალრიცხოვანი მიტინგების რეზოლუციებში მკვეთრად გამოსჭვივის ეს მოთხოვნა. ეს ლოზუნგი იყო წაწერილი აჯანყებული ქართველი მშრომელი გლეხების დროშებზე. ახასიათებდა რა კავკასიაში მენშევიკური დიქტატურისა და კონტრრევოლუციური მთავრობების ანტიხალხური იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგს, ს. მ. კიროვი აღნიშნავდა: „მოსახლეობამ უკვე შეიგნო, რომ თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა, წესრიგი კავკასიაში არა გერმანელთა და თურქთა ხიშტებით მოიპოვება, არამედ საკუთარი ხელებით, რომელმაც მაღლა უნდა ასწიოს საბჭოთა რუსეთის დროშა"[1].

მენშევიკები ამტკიცებდნენ, რომ მათი ნაციონალური პოლიტიკა ერთა თანასწორუფლებიანობას ემყარება, ისინი პატივისცემით ეპყრობიან საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნების ადამიანებს, მაგრამ სინამდვილეში პირუკუ მოქმედებდნენ. მენშევიკურ საქართველოსა და დაშნაკურ სომხეთს შორის ძმათამკვლელი ომის გამოწვევაში მენშევიკებმა სომეხ დაშნაკებზე ნაკლები როლი როდი ითამაშეს. ამავე დროს ამ ომის პროცესში მათ გააჩაღეს აღვირახსნილი ანტისომხური პროპაგანდა, დაიწყეს უდანაშაულო სომეხი მშრომელების დატუსაღება, ეს ომი მათ იმისათვის გამოიყენეს, რომ მოეშხამათ ქართველი და სომეხი ხალხის ტრადიციული მეგობრობა და გაეთიშათ ქართველ-სომეხ მშრომელთა ძალები საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს ბოლშევიკები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნიღაბს ხდიდნენ მენშევიკების კონტრრევოლუციურ პოლიტიკას ნაციონალურ საკითხში, ააშკარავებდნენ მენშევიკებს როგორც ნაციონალშოვინიზმისა და ერთიმეორის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა წასისიანების პოლიტიკის ორგანიზატორებს. სწორედ ომის დღეებში რკპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტმა და ბოლშევიკური ორგანიზაციების თბილისის კომიტეტმა მოწოდებით მიმართეს საქართველოსა და სომხეთის მშრომელებს—არ წამოგებულიყვნენ მათ კონტრრევოლუციურ მთავრობათა ანკესზე, შეეწყვიტათ ერთმანეთის უმიზნო ხოცვა-ჟლეტა. მუშათა პროფესიული კავშირების კრებებზე, სადაც ამ ომის საკითხი იხილებოდა, ბოლშევიკები გამოდიოდ-

---

[1] С. М. Киров, Статьи и речи. 1912—1921, зд. 50.

ნენ მენშევიკური მთავრობისა და დაშნაკი ავანტიურისტების ბნელი საქმეების მკაცრი კრიტიკით. პროფესიულ საბჭოთა და მათი გამგეობების გაერთიანებულ სხდომაზე ომის საკითხთან დაკავშირებით ბოლშევიკებმა შეიტანეს რეზოლუცია, რომელიც მიუთითებდა, რომ ომი გააღვივეს სომეხმა და ქართველმა შოვინისტებმა, რომ ეს არის ხელოვნურად შექმნილი ატმოსფერო კაცთმოძულეობის ინსტინქტების გასაღვივებლად, რომ სომეხი და ქართველი ხალხი ერთიანი ძალით უნდა შეებრძოლოს ამ ომსა და მის ინიციატორებს.

„გაუმარჯოს საქართველოს და სომხეთის მუშებისა და დემოკრატიის სოლიდარობას! ძირს ნაციონალური სიძულვილი და შეცდომა!“—ნათქვამი იყო რეზოლუციაში.

ბოლშევიკები საქართველოს მშრომელებს მიუთითებდნენ, რომ ამიერკავკასიის პროლეტარიატის ძალა მის საბრძოლო მეგობრობაში მდგომარეობს. მენშევიკებს, მუსავატებსა და დაშნაკებს განგებ სურთ გათიშონ და დაასუსტონ ეს ძალა, ამიტომ ამიერკავკასიის მშრომელები კიდევ უფრო უნდა შემჭიდროვდნენ კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ და მხარდამხარ იბრძოლონ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. კომუნისტურ აგიტაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რევოლუციური მასები ამ ომს უყურებდნენ როგორც უცხოს, მათთვის თავზე მოხვეულ ომს. მენშევიკური მთავრობის სამობილიზაციო მოწოდებას ისინი არ ეხმაურებოდნენ. მენშევიკური მთავრობა იძულებით მიერეკებოდა ამ ომში თავისი არმიის ჯარისკაცებს. ასევე უხალისოდ ეხმაურებოდნენ ომს სომეხი მშრომელები. კონტრრევოლუციურმა მთავრობებმა მიზანშეწონილად ცნეს ომის შეწყვეტა, მით უმეტეს, რომ ამას უკარნახებდა ამ დროს ამიერკავკასიაში მოსული უცხო ძალა — ინგლისის იმპერიალიზმი.

მსოფლიო ომში კაიზერის გერმანიის დამარცხებამ ინგლის-ამერიკელ და ფრანგ იმპერიალისტებს შესაძლებლობა მისცა მთელი ყურადღება საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მიემართათ. უკრაინიდან და ამიერკავკასიიდან გერმანელთა ჯარების ევაკუაციის შემდეგ ეს ტერიტორია ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს. ინტერვენტებმა შავ ზღვაში შემოიყვანეს თავიანთი სამხედრო ფლოტი, ხელთ იგდეს კასპიის ზღვის სამხედრო გემები, შეიჭრნენ თურქესტანში. გაიხადეს რა რუსეთის სამხრეთი და აღმოსავლეთი

დასაყრდენ პუნქტად, ამავე დროს მოამარაგეს რა იარაღით, სურსათით და ტანსაცმლით კოლჩაკის, დენიკინისა და იუდენიჩის თეთრგვარდიული არმიები, დასავლეთის იმპერიალისტებმა საბჭოთა რესპუბლიკა ყოველმხრივ ჩაკეტეს და მისი ბლოკადა გამოაცხადეს.

საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე ჩამოწოლილი პირველი მძიმე განსაცდელი—კოლჩაკის შეტევა აღმოსავლეთიდან რუსეთის მუშებმა და გლეხებმა გმირულად მოიგერიეს.

კოლჩაკისა და იუდენიჩის დამარცხების შემდეგ იმპერიალისტების იმედები გადატანილ იქნა დენიკინის „მოხალისეთა არმიაზე", რომელიც ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტთა დაკვეთითა და დახმარებით „მთლიანი და განუყოფელი" მონარქისტული რუსეთის აღსადგენად იბრძოდა სამხრეთში.

გერმანელი ჯარების ევაკუაციის შემდეგ, როცა შავი ზღვის ნავსადგურები ნოვოროსიისკი და ტუაფსე ანტანტის იმპერიალისტთა ჯარებმა დაიკავეს, დენიკინის „მოხალისეთა არმიის" მომარაგებისათვის შექმნილ იქნა მტკიცე ბაზა. საუკეთესოდ აღჭურვილმა, საომარი მასალით მომარაგებულმა დენიკინის ჯარებმა ინგლის-ამერიკელთა კარნახით დაიწყეს შეტევა XI არმიის წინააღმდეგ. რიცხობრივად ჭარბი და გაწრთვნილი არმიის შემოტევას, რაშიაც მონაწილეობას იღებდნენ გენერლების — ვრანგელის, გაიმანის ულოგაის, პოკროვსკის რჩეული ნაწილები, მართალია, XI არმიის შემადგენლობა გმირულად შეხვდა და თავგანწირვით იცავდა ყოველ ზღუდეს, მაგრამ პოზიციების შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. ტიფის საშინელმა ეპიდემიამ, საომარი მასალის, ტანსაცმლის უქონლობამ და შიმშილმა XI არმიის რიგებში ხრწნა შეიტანა. 1919 წ. იანვარში დენიკინის ნაწილებმა დაიკავეს მინერალნიე ვოდის, პიატიგორსკის, კისლოვოდსკის რაიონები, ხოლო იანვრის ბოლოსათვის ისინი ვლადიკავკაზს მიადგნენ.

XI არმიის ნაწილები იძულებული შეიქნენ ასტრახანისაკენ დაეხიათ. სერგო ორჯონიკიძე ჩრდილო კავკასიის ხელმძღვანელ კომუნისტებთან ერთად (აქვე იყო ფ. მახარაძე) ჩრდილო კავკასიის მთებში გაიხიზნა, რათა დენიკინის ბანდების წინააღმდეგ აემხედრებინა მთელი გლეხკაცობა. ამგვარად, დენიკინის არმიამ დაიკავა ჩრდილო კავკასია, იქ მემამულური ხელისუფლების აღდგენას შეუდგა.

ჩრდილო კავკასიაში დენიკინის გაბატონება საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის სასურველ მოვლენას წარმოადგენდა. მთავრობის მესვეურები გახარებული იყვნენ იმით, რომ დენიკინმა ააშორა მათ ჩრდილოეთიდან „ბოლშევიზმის საფრთხე". მართალია,

ბალხის წინაშე მენშევიკებს არ შეეძლოთ აშკარად გამოეთქვათ ეს სიხარული, ვინაიდან დენიკინი თვითმპყრობელური რუსეთის აღდგენის ლოზუნგით აწარმოებდა ომს და ასეთი ლოზუნგი „სოციალისტი მინისტრების" პროგრამასთან შეუთავსებელი იყო, მაგრამ მენშევიკები ფარულად ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ დენიკინს, ამავე დროს აძლევდნენ სრულ გარანტიას, რომ მენშევიკური საქართველო არასოდეს არ შეუშლიდა ხელს მოხალისეთა არმიის შეტევას ბოლშევიზმის ცენტრებზე.

შექმნილ ვითარებაში საქართველოს ბოლშევიკების წინაშე წამოიჭრა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანა: ჩამოეხადათ ნიღაბი მენშევიკური მთავრობის თვალთმაქცური მოქმედებისათვის, მასები დაერწმუნებინათ იმაში, რომ მენშევიკები მხოლოდ სიტყვიერად ებრძოლებენ დენიკინს, განგებ გაჰყვირიან მონარქისტული არმიის საშიშროებაზე, სინამდვილეში მას ყოველმხრივ უწყობენ ხელს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ მენშევიკები ინგლისელ-ამერიკელი ინტერვენტების კარნახით, რომლებიც ამიერკავკასიაში თავიანთ თავს შეუზღუდველ ბატონებად თვლიან, მონაწილეობენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის კომბინირებულ ლაშქრობაში. ბოლშევიკებს მასების ერთსულოვანი დარაზმვის შედეგად უნდა ჩაეშალათ მენშევიკებისა და დენიკინის ფარული ბლოკი და მენშევიკური საქართველო, რომელსაც დენიკინი მისთვის საიმედო ზურგად თვლიდა, მის წინააღმდეგ მრისხანე ფრონტად უნდა გადაექცინათ.

ამავე დროს ბოლშევიკებს უნდა ემხილათ ინგლის-ამერიკელი კოლონიზატორების ნამდვილი ზრახვები, გაექარწყლებინათ მენშევიკების ბიერ შეკოწიწებული სიცრუე იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლისი და ამერიკა „დემოკრატიულ" საქართველოს მხსნელად მოევლინენ და ნათელეყოთ, რომ ინგლის-ამერიკელმა იმპერიალისტებმა, დაიმონეს რა ამიერკავკასია, ეწევიან მის უწყალო ძარცვას. ამავე დროს შექმნეს აქ პლაცდარმი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ ნიშნავდა, პირველ ყოვლისა, ბრძოლას საქართველოს შიგნით მენშევიკური დიქტატურისა და მათი მხარდამჭერი ამერიკელ-ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა რუსეთის გმირული პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის მხარდამხარ უნდა წარმართულიყო, რადგან ანტანტისა და ამერიკული იმპერიალიზმის შემოტევის მთავარი ფრონტი სწორედ რუსეთში იყო გაშლილი და საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის მთავარ

წარმმართველ ძალას სწორედ რუსეთის მშრომელი მოსახლეობა შეადგენდა.

ამ ამოცანის განხორციელება მასებისადმი ყოველდღიურ ოპერატიულ ხელმძღვანელობას მოითხოვდა. პირველ რიგში აუცილებელი იყო ქალაქებსა და სოფლებში ბოლშევიკური უჯრედების ქსელის აღდგენა, გაფართოება და განმტკიცება. ჩრდილო კავკასიაში შექმნილი ვითარების შემდეგ რკპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის წევრთა იქ დარჩენას აზრი ეკარგებოდა. ისინი მთებში ჩაკეტილი და საქართველოს მოვლენებისაგან სავსებით იზოლირებული იყვნენ. 1919 წლის დამდეგს საოლქო კომიტეტის წევრებმა მოახერხეს ფარულად თბილისში დაბრუნება.

როგორც ვნახეთ, 1918 წელი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის მეტად მძიმე ვითარებაში მიმდინარეობდა. მენშევიკური გვარდიის დამსჯელი ღონისძიებანი ყველაზე მწვავედ კომუნისტებზე ვრცელდებოდა. მათ ხვრეტდნენ, ციხეებში ამწყვდევდნენ, საქართველოს ტერიტორიიდან აძევებდნენ. მენშევიკური გვარდიის თარეშის შედეგად ბოლშევიკური ორგანიზაციები ბევრგან განადგურდა. კომუნისტები დაქსაქსული იყვნენ. ოპერატიული კავშირი ცენტრსა და ადგილობრივ პარტიულ უჯრედებს შორის შესუსტებული იყო. ცხადია, იმ დიდ ამოცანათა გადასაჭრელად, რომელიც საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე წამოიჭრა, საჭირო იყო წინასწარი ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება, კერძოდ, ბოლშევიკური ორგანიზაციების აღრიცხვა-შემოწმება, დანგრეული უჯრედების აღდგენა-განმტკიცება, პარტიულ მასასთან ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების მჭიდროდ დაკავშირება, არალეგალური „მუშათა ცენტრისადმი“ ხელმძღვანელობის გაძლიერება.

1919 წლის დასაწყისში არჩეულ იქნა რკპ (ბ) თბილისის კომიტეტის ახალი შემადგენლობა. პარტიულმა კონფერენციამ ზემოთ აღნიშნული საკითხების მოსაგვარებლად სპეციალური ღონისძიებები შეიმუშავა და მათი განხორციელებისათვის ადგილებზე პარტიული მუშაკები დაგზავნა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ რკპ (ბ) საოლქო კომიტეტის ოპერატიულმა ღონისძიებებმა საქართველოში არალეგალური პარტიული მუშაობის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს: გაფართოდა ბოლშევიკური უჯრედების ქსელი თბილისში. ბოლშევიკთა რიგებს შეემატნენ ახალი ადამიანები, მოწინავე მუშების, მოსამსახურეების ხარჯზე. პროფკავშირულ ორგანიზაციებში უფრო მკვეთრად, გაბედულად დაისახა მუშათა მოთხოვნები-

თბილისელმა ბოლშევიკებმა შეძლეს, მაგალითად, ქალაქის გამგეობის მუშათა გაფიცვა, რომელიც ეკონომიური მოთხოვნებით დაიწყო, პოლიტიკურ გაფიცვად გადაექციათ.

`გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებდნენ ქუთაისის ბოლშევიკები. ქუთაისის ბოლშევიკური საგუბერნიო კომიტეტი აფართოებდა და ამტკიცებდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ქალაქის საწარმოებში, ჭიათურის, ტყიბულის მაღაროებში, ხელმძღვანელობდა იმერეთისა და სამეგრელოს სოფლებში პარტიულ მუშაობას. ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელობით ფოთის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა თვალსაჩინოდ გააფართოეს თავიანთი რიგები. მათ ამავე დროს უმრავლესობა მოიპოვეს პროფესიულ ორგანიზაციებში და თავიანთი დეპუტატი გაიყვანეს პროფესიული კავშირის საბჭოში. აგვისტოში, ფოთში, ჩატარდა არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც დასახა პარტიული მუშაობის შემდგომი გაფართოების კონკრეტული ღონისძიებანი და აირჩია რკპ (ბ) ფოთის კომიტეტი, რომელიც შეუდგა შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში რკპ (ბ) საოლქო კომიტეტის დირექტივების განხორციელებას.

გაიზარდნენ და განმტკიცდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები ბათუმში. ბათუმის საოლქო კომიტეტის რეორგანიზაციის შემდეგ ქალაქისა და სოფლების პარტიულ უჯრედებთან კავშირი გაფართოვდა. ბათუმში განსაკუთრებით ძლიერ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ სანაპიროსა და საზეინკლო სახელოსნოების პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც შემოკრებილი ჰყავდათ მუშათა დიდი უმრავლესობა. რკპ (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით ბათუმის საოლქო კომიტეტი, ეწეოდა რა ბათუმელი მენშევიკებისა და ქალაქში მოკალათებული ინგლისელი იმპერიალისტების კონტრრევოლუციური საქმიანობის სისტემატურ მხილებას, რაზმავდა ბათუმისა და მისი რაიონების მშრომელებს შეიარაღებული აჯანყებისათვის.

აფხაზეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1918 წლის მთელ მანძილზე სათავეში ედგნენ მშრომელთა გმირულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ბრძოლის დღეებში ბოლშევიკური პარტიის რიგები შეივსო ასობით ახალი ადამიანებით, რომლებიც შემოწმებული იყვნენ ომის ქარცეცხლში, როგორც პარტიის საქმისათვის თავდადებული მებრძოლები. მართალია, მენშევიკურმა არმიამ და გვარდიამ შეძლეს აფხაზეთის გლეხთა აჯანყების დამარცხება და ცეცხლითა და მახვილით მოიარეს მთელი აფხაზეთი,

მაგრამ ბოლშევიკური ორგანიზაციები იატაკქვეშეთ მუშაობაზე გადავიდნენ, ისე, რომ მასებთან კავშირი არ გაუწყვეტიათ. 1919 წლის მარტში, სოხუმში, არალეგალურად ჩატარდა ბოლშევიკების პარტიული კონფერენცია, სადაც მიღებულ იქნა ღონისძიებანი შექმნილ ვითარებაში პარტიული მუშაობის წარმართვისათვის, ამავე დროს არჩეულ იქნა რკპ (ბ) სოხუმის დროებითი საოლქო კომიტეტი. კომიტეტი თავის შემადგენლობაში აერთიანებდა 32 ბოლშევიკურ უჯრედს პარტიის 320 წევრის რაოდენობით[1]. მენშევიკური ხელისუფლების მიერ შევიწროებულმა, იატაკქვეშეთში ჩარეკილმა ბოლშევიკებმა აფხაზეთში მუშაობის ცენტრი გადაიტანეს[1]. პროფესიულ ორგანიზაციებში, რათა მუშათა კადრების შემოკრება ბოლშევიკური დროშის გარშემო უზრუნველეყოთ პროფესიულ ორგანიზაციებში ბოლშევიკური აგიტაციის გაჩაღებით. ბოლშევიკებმა შეძლეს პროფესიული კავშირების ცენტრალურ ბიუროში 18 კომუნისტის გაყვანა, მაშინ როცა ესერებისა და მენშევიკების ბლოკმა ბიუროში 7 დეპუტატის გაყვანა შეძლო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ოსეთის მშრომელების ბრძოლაში იზრდებოდნენ და იწრთობოდნენ სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები. 1919 წლის დასაწყისისათვის სამხრეთ ოსეთში უკვე არსებობდა პარტიული კომიტეტები როკში, ჯავაში, ქემულეთში, ნონისში, კოდორში, ცხინვალში, წუნარში, ყორნისში, ოქონაში, ორთევ-ბელოთში და სხვ.[2]. რკპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე ჯავაში 1919 წ. 12 ივნისს შეიკრიბა არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც შექმნა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი. მენშევიკური მთავრობის ნაციონალისტური, ანტიხალხური პოლიტიკის პირობებში მოშხამული ატმოსფეროს გაფანტვისათვის სამხრეთოსეთელი კომუნისტები ეწეოდნენ დაუღალავ მუშაობას ოსი მშრომელი მასების დასარაზმავად საქართველოს მშრომელების მხარდამხარ მენშევიკურ მთავრობაზე იერიშის მიტანისათვის. შეიარაღებული აჯანყებისათვის ფარული სამზადისი მიმდინარეობდა დიდი წარმატებით. ოსეთის ბოლშევიკური ორგანიზაციის როლი და ავტორიტეტი სწრაფად იზრდებოდა. იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები თელავის, გორის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკისა და სხვ. მაზრებში.

---

[1] გ. ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1954, გვ. 325.

[2] იქვე, გვ. 320.

საქართველოს ბოლშევიკური უჯრედების ორგანიზაციულ განმტკიცებას და იდეურ წრთობას დიდად უწყობდა ხელს ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა“, რომლის გამოცემა რკპ (ბ) თბილისის კომიტეტმა დაიწყო 1919 წლის 9 ივნისს. გაზეთ „ვოლნას“ ფურცლებზე მხილებული იყო მენშევიკური მთავრობის სახე, მათი კავშირი ანტანტის ბანდებთან და დენიკინთან. გაზეთი თითოეულ კომუნისტამდე, რევოლუციონერ მუშებსა და გლეხებამდე დაჰყავდა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების დირექტივები, იგი ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ზრდიდა მასებს, მოუწოდებდა კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ამიერკავკასიის მშრომელთა ერთიანობისაკენ.

ბოლშევიკებმა ენერგიული მუშაობა გაანაღეს აგრეთვე მენშევიკურ არმიაში. მენშევიკური არმია ფარაჯაგადაცმული გლეხებისა და მუშებისაგან შედგებოდა, რომელსაც სათავეში ედგა ყოფილი მეფის თავადაზნაურული ოფიცრობა. ჩვენ წინა თავებში გექონდა ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ იკიდებდა ფეხს ბოლშევიკური გავლენა ჯარისკაცთა შორის და რატომ გახდნენ მენშევიკები იძულებული მთელი რიგი ეროვნული პოლკები დაეშალათ. მენშევიკებმა გადაახალისეს არმია, „გაწმინდეს“ იგი არასაიმედო ელემენტებისაგან, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. ჯარისკაცთა უკმაყოფილება იზრდებოდა, მენშევიკური არმიის ხრწნა გრძელდებოდა.

მენშევიკური არმიის ჯარისკაცები შიმშილობდნენ. მათ არ ჰქონდათ ტანსაცმელი, ხელფასს თავის დროზე ვერ იღებდნენ. გენერალი გედევანიშვილი სამხედრო მინისტრის გიორგაძის სახელზე გაგზავნილ საიდუმლო დეპეშაში აღნიშნავდა, რომ ჯარისკაცებს არ აქვთ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ისინი ფეხშიშველი ეწევიან საყარაულო სამსახურს, რომ დრტვინვა ჯარისკაცთა შორის იზრდება და განსაკუთრებული წარმატება აქვს ბოლშევიკურ იდეებსო[1]. ჯარისკაცი მ. ხუხუნაიშვილი 1919 წელს ნ. ჟორდანიასადმი გაგზავნილ განცხადებაში აღნიშნავდა:

„ყველა ჯარისკაცი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. მათ არ აქვთ საკმარისი საჭმელი. არ აქვთ ტანსაცმელი. სამხედრო ნაწილს არ აქვს საშუალება თავის დროზე მიიღოს ფული... ხედავ, რომ შენს საჭიროებაზე არავინ არ ზრუნავს, გაჭირვებას განიცდი, დამხმარე არავინ არ არის, როგორც მოწყალებას ხანდისხან გად-

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, ფ. 40, § 9, გვ. 139.

მოგიგდებენ საჭმელს და ტანსაცმელს, ხან კი არა. ჩვენ, ჯარისკაცებს ხშირად თვითონ მოგვაქვს საჭმელი სახლიდან, მ[illegible] წყეულ წელიწადს სახლშიაც არაფერი არ გაგვაჩნია"[1].

ჯარისკაცები შურით უყურებდნენ გვარდიას, რომელსაც მენშევიკური მთავრობა ყველაზე მეტად ენდობოდა და არაფერს არ აკლებდა. გვარდიასა და არმიას შორის შუღლი და მტრობა ბუნებრივი იყო: თუ გვარდია წარმოადგენდა აზნაურების, ვაჭრების, სპეკულანტების, კონტრაბანდისტების, ყაჩაღების ბრბოს, თუ აქ იმიტომ ეწერებოდნენ გადაგვარებული ელემენტები, რომ ხალხი ეძარცვათ და აეწიოკებინათ, ჯარისკაცები ქალაქისა და სოფლის პატიოსან მშრომელთა შვილები იყვნენ და ისინი მწვავედ განიცდიდნენ მათი მშობლებისა და თანამოძმეების მწარე ხვედრს. გასაგებია, რომ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გაჩაღებული რევოლუციური მოძრაობის ჩასაქრობად მენშევიკური მთავრობა ყოველთვის იყენებდა გვარდიას, ხოლო საგარეო ომებში — არმიას, რომელსაც პატრიოტიზმის ყალბი ფრაზებით წინასწარ ყურებს უჭედავდა.

მენშევიკების დიქტატურის პერიოდში ჯარისკაცები მოკლებული იყვნენ მოქალაქეობრივ უფლებებს. მაშინ, როცა ყველა თავადაზნაური, მღვდელი, ჩარჩ-ვაჭარი და სპეკულიანტი „დემოკრატიულ საქართველოში" საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობდა, ამ უფლებას მოკლებული იყვნენ ჯარისკაცები—მშრომელთა შვილები. მენშევიკები გრძნობდნენ ამ „უხერხულობას" და თავს სამხედრო მინისტრის გიორგაძის პირით შემდეგნაირად იმართლებდნენ:

„ჩვენ იმიტომ ჩამოვართვით არმიას საარჩევნო ხმის უფლება, რომ არმიამ თავისი დანიშნულება უნდა შეასრულოს, გამოცდილებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ არმია არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, რადგან ყაზარმებში პოლიტიკამ მიიღო მახინჯი სახე, არმიის დისციპლინა დაეცაო და ა. შ."[2].

ცხადია, მენშევიკი მინისტრის გულისტკივილი სულ სხვა იყო. მას სწორედ ის აშინებდა, რომ ყაზარმებში ჯარისკაცთა შორის თანდათან იწყებდა გავრცელებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის იდეები და შეშინებულ მთავრობას ამიტომაც სურდა ჩაეკეტა არმია, გაეთიშა იგი ხალხისაგან, გაეთიშა პოლიტიკისაგან.

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, ფ. 40, ს. § 9, გვ. 141.

[2] იქვე, გვ. 141.

მაგრამ ეს გათიშვა შეუძლებელი იყო. ბოლშევიკი აგიტატორების მართალი სიტყვა ჯარისკაცთა ყაზარმებში მხურვალე გამოხმაურებას პოვებდა. ეროვნულ პოლკებში იქმნებოდნენ ბოლშევიკური არალეგალური უჯრედები, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ ჯარისკაცთა მასების დასარაზმავად მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა ბოლშევიკური პროკლამაციებს, რომლებსაც ბეჭდავდნენ რკპ (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი და რკპ (ბ) თბილისის კომიტეტი. პროკლამაციები ბოლშევიკი აგიტატორებისა და ჯარისკაცთა აქტივის მეშვეობით ფართოდ ვრცელდებოდა ჯარისკაცთა მასებში, იგი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ჯარისკაცებისადმი მიმართული ბოლშევიკური პროკლამაციები ვრცელდებოდა საქართველოს ყველა რაიონში, საიაც კი სამხედრო ნაწილები იდგნენ: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სამტრედიაში და სხვ.

1919 წლის 16 თებერვალს პოლკოვნიკი აბაშიძე პირველი ქვეითი დივიზიის სახელზე გაგზავნილ დასმენაში აღნიშნავდა:

„გირდგენთ რა ამასთან ერთად კომუნისტური პარტიის მოწოდებას, რაც უკანასკნელ ხანებში ვრცელდებოდა სამტრედია-ნატანების რაიონში, გთხოვთ თქვენს შუამდგომლობას, რათა უფლება მომეცეს მოვახდინო ჩხრეკა სამტრედიის რკინიგზაზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სოფლებსა და ქალაქებში, რომ ამით ვებრძოლო ასეთ არასასურველ შემთხვევებს.

დამატება: მორიგი ოფიცერის № 3 დასმენა და ორი ცალი კომუნისტური მოწოდება.

საქართ. განსაკუთრებული მუსულმანური ბატალიონის უფროსი პოლკოვნიკი აბაშიძე“[1].

ეს მდგომარეობა დიდად აშფოთებდა მთავრობას, იგი შიშსა და პანიკას იწვევდა მენშევიკური არმიის თავადაზნაურულ გენერლებში, რომლებიც მეფის მთავრობის დამხობის შემდეგ თავისუფლად, შეუფერხებლად მოკალათდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე და განაგრძობდნენ ძველი მეთოდებით ჯარისკაცთა ტანჯვა-წვალებას.

არმიის ხელმძღვანელი წრეების შეშფოთებას ჯარში ბოლშევიკური გავლენის ზრდის გამო ნათლად ადასტურებს შემდეგი დოკუმენტი:

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალი. ფ. 40, საქმე № 9, ფ. 143.

სრულიად საიდუმლოდ. სასწრაფოდ.

სამხედრო სამინისტროს კანცელარიას.

„გენერალურ შტაბის განყოფილებაში და შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ცნობების თანახმად უკანასკნელ დროს სამხედრო ნაწილებში და რესპუბლიკის დაწესებულებებში ჯარისკაცთა შორის ძლიერდება ბოლშევიკური პროპაგანდა, ამასთან ერთად ეწყობა ჯარისკაცთა სპეციალური მიტინგები. სამხედრო მინისტრმა ბრძანა ამ მოვლენას ყველაზე სერიოზული ყურადღება მიაქციონ და მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიიღონ ყველაზე ენერგიული ზომები. ჯარისკაცთა შორის საფანადო საუბრების ჩატარების გარდა, აუცილებელია ოფიცრებისა და უფრო საიმედო ჯარისკაცების საშუალებით დაწესდეს მკაცრი თვალთვალი ყაზარმებისა და იმ ადგილებისადმი, სადაც უფრო ხშირად დაიარებიან ჯარისკაცები. საეჭვო პირები საერთოდ არ დაუშვათ ყაზარმებში, ხოლო აგიტატორები დაუყოვნებლივ დააპატიმრეთ და წარუდგინეთ ადგილობრივ მილიციას პასუხისგებაში მისაცემად“[1].

სამხედრო მინისტრის კანცელარიაში სხვადასხვა ქალაქებში განლაგებული სამხედრო ნაწილების უფროსთაგან ზედიზედ მოდიოდა დასმენები ჯარისკაცთა შორის ბოლშევიკური განწყობილების ზრდის შესახებ. დამახასიათებელია ის შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფოთში. ფოთელმა ჯარისკაცებმა და მატროსებმა, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ბოლშევიკებს, ერთ-ერთ მიტინგზე ორგანიზებულად აიგლიჯეს მენშევიკური სამხრეები. აღნიშნული ფაქტის გამო გენერალ-მაიორი არტემიძე სამხედრო მინისტრისადმი საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა... „ქალაქ ფოთში მესამე რაზმში ადგილი ჰქონდა შემდეგ შემთხვევას: ჯარისკაცებმა ბოლშევიკურად განწყობილ პირთა გაელენით მოაწყვეს კრება და დაადგინეს მოხსნან სამხრეები იმ მიზეზით, რომ ასეთ სამხრეებს ატარებენ თვით დენიკინელებიც კი“[2].

ამრიგად, 1919 წლის დასაწყისიდანვე რ. კ. პ. (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობით გაფართოვდნენ და განმტკიცდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები. საქართველოში მუშებსა, გლეხებსა და ჯარისკაცებს შორის გაჩაღდა ენერგიული ბოლშევიკური პროპაგანდა, რომლის მიზანს შეადგენდა პოლიტი-

---

[1] ჭარეს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი ფ. 40, ს. 9, გვ. 143.

[2] იქვე, გვ. 145.

კური არმიის მომზადება მენშევიკურ კონტრრევოლუციურ მოძალ-
ობაზე იერიშის მისატანად.

1919 წლის მარტში, მოსკოვში, შეიკრიბა რკპ (ბ) VIII ყრილ-
ობა. ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა ვ. ი. ლენინის უშუალო
ხელმძღვანელობით. მისი ისტორიული გადაწყვეტილებანი აიარა-
ღებდნენ ბოლშევიკურ პარტიას სოციალისტური საზოგადოების
აშენებისათვის ბრძოლაში.

ყრილობის მუშაობაში ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო
პარტიის ახალი პროგრამის მიღება. ძველი პროგრამა, რომელიც
მიღებულ იქნა 1903 წელს რსდმპ II ყრილობაზე, უკვე სრულები-
თაც აღარ შეესაბამებოდა იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რომლებიც
ბოლშევიკური პარტიის წინაშე საბჭოთა წყობილების დამყარების
შემდეგ დაისახა. ახალ პროგრამაში, რომელიც ვ. ი. ლენინისა და
ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით იქნა შემუშავებული, ნათლად
აისახა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში პარტიის წინაშე
მდგარი ამოცანები.

პარტიის ახალ პროგრამაში მოცემული იყო კაპიტალიზმისა და
მისი უმაღლესი სტადიის—იმპერიალიზმის ღრმა ანალიზი, მეცნიე-
რულად იყო განზოგადებული საბჭოთა ქვეყანაში პროლეტარიატის
დიქტატურის გამოცდილება, დამუშავებული იყო საკითხი საბჭოთა
სახელმწიფოს კლასობრიობის შესახებ. პროგრამა მიუთითებდა სო-
ციალიზმისათვის ბრძოლაში ბოლშევიკური პარტიის კონკრეტულ
ამოცანებზე — „ბურჟუაზიის ექსპროპრიაციის მიყვანა ბოლომდე,
ქვეყნის მეურნეობის გაძღოლა ერთიანი სოციალისტური გეგმით,
პროფკავშირების მონაწილეობა სახალხო მეურნეობის ორგანიზა-
ციაში, შრომის სოციალისტური დისციპლინა, სპეციალისტთა გა-
მოყენება სახალხო მეურნეობაში საბჭოთა ორგანოების კონტრო-
ლით, საშუალო გლეხობის თანდათანობით და გეგმაშეზომილად
ჩაბმა სოციალისტური მშენებლობის მუშაობაში“[1].

VIII ყრილობაზე გამანადგურებელი დარტყმა განიცადა ბუხა-
რინმა, რომელიც საშუალო გლეხთან ურთიერთობის საკითხში იცა-
ვდა მენშევიკურ-ტროცკისტულ შეხედულებებს. ბუხარინი და პია-
ტაკოვი ყრილობაზე ილაშქრებდნენ აგრეთვე პროგრამაში ერთა
თვითგამორკვევის უფლების შეტანის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა

---

[1] საკავშირო კ. პ (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 283.

თავდაყირა დააყენა ბუხარინ-პიატაკოვის მაკნე დიდმპყრობლურ-შოვინისტური შეხედულებანი.

პარტიის VIII ყრილობამ სერიოზული ყურადღება დაუთმო საშუალო გლეხისადმი დამოკიდებულების საკითხს. ცნობილია, რომ VIII ყრილობამდე პარტია ატარებდა საშუალო გლეხის ნეიტრალიზაციის პოლიტიკას, იბრძოდა რა იმისათვის, რომ საშუალო გლეხი არ დამდგარიყო კულაკის, ბურჟუას მხარეზე. ბოლშევიკური პარტიის ბრძოლამ, საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკულმა საქმიანობამ საშუალო გლეხის ორიენტაცია საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მიმართა. „საშუალო გლეხი წუწუნებდა და მერყეობდა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შორის, სანამ ბურჟუაზიას ვამხობდით, სანამ საბჭოების ძალაუფლება ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული, რის გამო გვიხდებოდა მისი ნეიტრალიზება. საშუალო გლეხმა იწყო ჩვენსკენ მობრუნება, როცა იგი უკვე რწმუნდებოდა, რომ ბურჟუაზია «სერიოზულად» დამხობილია, რომ საბჭოების ძალაუფლება მტკიცდება, კულაკს ამარცხებენ, წითელი არმია იმარჯვებს სამოქალაქო ომის ფრონტებზე. სწორედ ასეთი გარდატეხის შემდეგ გახდა შესაძლებელი პარტიის მესამე სტრატეგიული ლოზუნგი, რომელიც ლენინმა პარტიის VIII ყრილობაზე მოგვცა: ღარიბ გლეხობაზე **დაყრდნობით** და საშუალო გლეხთან **მტკიცე კავშირის** დამყარებით — წინ, სოციალისტური მშენებლობისათვის“[1].

საშუალო გლეხობის მიმართ აღებულმა ახალმა ხაზმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სამოქალაქო ომში. გლეხობამ მხარი დაუჭირა საბჭოებს, ზურგი შეაქცია თეთრგვარდიელებსა და ინტერვენტებს. გლეხობის დახმარებით პროლეტარიატის დიქტატურამ დაამარცხა ყველაზე საშიში მტერი.

VIII ყრილობამ განიხილა აგრეთვე სამხედრო საკითხი.

სამხედრო მშენებლობაში ლენინურ-სტალინური ხაზის წინააღმდეგ გამოვიდა ე. წ. „სამხედრო ოპოზიცია“, რომელიც იცავდა არმიაში პარტიზანშჩინის შეხედულებებს და მტკიცე, რეგულარული არმიის შექმნის წინააღმდეგ გამოდიოდა.

„სამხედრო ოპოზიციის“ გამოსვლას სათანადო პასუხი გასცეს ლენინმა და სტალინმა. ყრილობამ დაარტყა აგრეთვე მოღალატე ტროცკის, რომლის არასწორი ხელმძღვანელობა ამ ოპოზიციის წარმოქმნის ერთ-ერთი მიზეზი იყო. ყრილობაზე მიღებული ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი სამხედრო საკითხზე ხელს უწყობ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 9, გვ. 231—232.

დნენ წითელი არმიის განძტკიცებას, მის შემდგომ დაახლოებას პარტიასთან.

ყრილობამ განიხილა აგრეთვე პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, საბჭოების მუშაობაში პარტიის ხელმძღვანელი როლის საკითხი.

იმ დიდ ამოცანებთან შესაბამისად, რომელიც პარტიის წინაშე დაისახა სოციალისტური რეოლუციის შემდეგ, ყრილობამ მიიღო ლენინისძიებანი პარტიის რიგების განმტკიცებისათვის. პარტიის რიგებში მოზღვავებული ახალი შემადგენლობა მოითხოვდა ამ რიგების გადახედვას და მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას. ეს იყო პარტიის რიგების პირველი წმენდის დასაწყისი. VIII ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიული და საბჭოთა მშენებლობის დარგში მთელი სიცხადით მიუთითებდნენ ლენინ—სტალინის პარტიის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალის, უდიდეს როლზე.

ბოლშევიკური პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმოადგენდნენ სახელმძღვანელო პროგრამას საქართველოს ბოლშევიკებისათვის, რომლებიც რკპ (ბ) უშუალო ხელმძღვანელობით, ლენინისა და სტალინის წინამძღოლობით, გმირულ ბრძოლებს ეწოდნენ მენშევიკური დიქტატურისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ.

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო დარაზმული ამიერკავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები VIII პარტიული ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე აუმჯობესებენ თავის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას, ბოლშევიკური დროშის ქვეშ იკრებენ ახალ-ახალ ძალებს, აფართოებენ პოლიტიკური არმიის შემადგენლობას და ამზადებენ გადამწყვეტ იერიშს საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

VIII ყრილობაზე მიღებულმა ახალმა პროგრამამ, საშუალო გლეხობისადმი გამომუშავებულმა პოზიციამ მეტი სიცხადე და კონკრეტულობა შეიტანეს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში. პარტიის რიგების შემოწმება ქმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ გაედევნათ შემთხვევით მიტმასნილი, პარტიისათვის უცხო ელემენტები.

ბოლშევიკური პარტიის VIII ყრილობამ მოწოდებით მიმართა პარტიულ ორგანიზაციებს—კიდევ უფრო მჭიდროდ დაერაზმათ თავიანთი რიგები, ყოფილიყვნენ ფხიზლად და გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისა და უცხოელი ინტერვენტებისათვის.

„ყრილობა გადაპრით მოუწოდებს პარტიის ყველა მუშაკს გააორკეცოს სიფხიზლე და ენერგია. თეთრგვარდიელების და მათი შეგნებული და შეუგნებელი აგენტების და დამქაშების ყველა ღონისძიებებსა და ცდებს უნდა გაუწიოთ გადამწყვეტი წინააღმდეგობა"—ნათქვამი იყო მოწოდებაში.

ყრილობის ეს მოწოდება საქართველოს ბოლშევიკებს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა. საჭირო იყო ძალთა მობილიზაცია თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, კერძოდ, დენიკინის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, არმიისა, რომელიც ჩრდილო კავკასიის დაპყრობის შემდეგ სოციალისტური სახელმწიფოს სასიცოცხლო ცენტრებისაკენ მიძვრებოდა.

დენიკინის თეთრგვარდიული ძალებისა და ინგლის-ამერიკული ინტერვენციის წინააღმდეგ გმირული ბრძოლა გააჩაღეს ბაქოს ბოლშევიკებმა. 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ ბაქოს ბოლშევიკები, გადავიდნენ რა არალეგალურ მუშაობაზე, კვლავ ახალი ენერგიით იწყებენ მასების მობილიზებას კონტრრევოლუციური მუსავატური მთავრობის დამხობისათვის. 1919 წლის თებერვალში, ბაქოში, ჩავიდა ანასტას მიქოიანი, რომელიც ხელიდან გაუსხლტა დაშნაკ-ესერელ ჯალათებს. თებერვლის დამლევსა და მარტის დამდეგს ჩატარდა რკპ (ბ) ბაქოს საერთო საქალაქო არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც აირჩია ბაქოს კომიტეტი. მუსავატური მთავრობისა და ინგლისელი ოკუპანტების რეპრესიების მიუხედავად აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციები ისევ მტკიცდებოდნენ და რაზმავდნენ აზერბაიჯანის პროლეტარიატს საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ბოლშევიკებმა მოუწოდეს ამიერკავკასიის პროლეტარიატს გაერთიანებული ფრონტით მოეწყოთ შეტევა დენიკინის წინააღმდეგ. ამ შესანიშნავ ინიციატივას საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ. თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმისა და სოხუმის ფაბრიკა-ქარხნებში გამართულ კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში მუშები მიესალმებოდნენ დენიკინის თეთრგვარდიული ხროვის წინააღმდეგ გადამწყვეტ მოქმედებას. რეზოლუციები მუქარით მიმართავდნენ მენშევიკურ მთავრობას — ხელი აეღო ბოლშევიკური ორგანიზაციების რბევაზე და ორგანიზაციებისათვის ლეგალური არსებობის ნება დაერთო, ხელი შეეწყო ანტიდენიკინური მუშურ-გლეხური ფრონტისათვის.

ჩვენ ზემოთაც მივუთითებდით, რომ დენიკინი, რომელიც „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ აღდგენის ლოზუნგით იბრძოდა, სრულებითაც ანგარიშს არ უწევდა არც საქართველოს, არც სომხეთისა და არც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობას. ამიერკავკასია მას ერთიანი მონარქისტული რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდა. ცხადია, ამიერკავკასიის „დამოუკიდებელი“ მთავრობანი დენიკინის ამ ლოზუნგს ვერ შეურიგდებოდნენ. მაგრამ კონტრრევოლუციურ მთავრობათა ბუნება ადვილად ეგუებოდა იმ რეჟიმს, რომელსაც დენიკინის არმია დაპყრობილ ტერიტორიაზე ამყარებდა. საბჭოთა ხელისუფლების სიძულვილი და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა დენიკინსა და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერთა ძალებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა. ისინი ასე მსჯელობდნენ: ჯერ მთავარია რუსეთში „წესრიგის“ აღდგენა (ე. ი. თვითმპყრობელობის აღდგენა), რაც შეეხება დამოუკიდებლობის საკითხს, ამაზე შემდეგაც შეიძლება ვილაპარაკოთ. მენშევიკები დენიკინის წინააღმდეგ მხოლოდ იარაღს აყალარუნებდნენ. ისინი, დენიკინის საშიშროებაზე რომ გაყვიროდნენ, ამით მასებს თვალებს უხვევდნენ, სინამდვილეში კი ინგლისელი ოკუპანტების დაკვეთით იმავე დენიკინს ენერგიულ დახმარებას უწევდნენ.

მენშევიკ მესვეურთა ეს ვერაგული პოლიტიკა როდი იყო დაფარული ბოლშევიკური პარტიისათვის. მაგრამ საჭირო იყო ამ თვალთმაქცობის მხილება ფართო მასების თვალში, საჭირო იყო გამოაშკარავება იმისა, რომ მენშევიკთა სიტყვა და საქმე ერთმანეთს არასოდეს არ ემთხვევა. და ყველაფერი ეს რომ ცხადი ყოფილიყო, ბოლშევიკებმა მენშევიკებს შესთავაზეს წინადადება — გაერთიანებული ძალებით გაეჩაღებინათ ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ. აქ საჭირო იყო კონკრეტული პასუხი: ან ჰო, ან არა. და სწორედ აქ გამომჟღავნდებოდა მათი ნამდვილი სახე.

1919 წლის აპრილში ბაქოს „ცენტრალურ მუშათა კონფერენციამ“ მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის პროფესიული ორგანიზაციების ყრილობის მოწვევის შესახებ, სადაც აგრეთვე მონაწილეობას მიიღებდნენ ჩრდილო კავკასიის, დაღისტნისა და იმერკასპის წარმომადგენლები. ბაქოში ყრილობის მოწვევის პროექტმა მენშევიკები დააფრთხო. მათ ივარაუდეს, რომ აქ ისინი უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ და კაუჩუკის რეზოლუციებს გასავალი არ ექნებოდა. მენშევიკებმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ ყრილობის მუშაობაში და ამით ამხილეს თავიანთი თავი, როგორც დენიკინის ფარულმა მოკავშირეებმა. მაგრამ ყრილობაზე მონაწილეობის მიღება მოითხოვეს საქართველოს მთელმა რიგმა პროფე-

სიულმა ორგანიზაციებმა და, მიუხედავად მენშევიკური პროფსაბჭოს წინააღმდეგობისა, ბაქოში მაინც გაგზავნეს დელეგატები.

ყრილობაზე მონაწილეობის უარისთქმით გამოწვეული უხერხულობა რომ დაეფარათ, მენშევიკებმა გადაწყვიტეს მოეწვიათ საქართველოს პროფკავშირთა დამოუკიდებელი ყრილობა. ბაქოს ბოლშევიკებმა ამიერკავკასიის ძალთა ერთიანობის მიღწევისათვის გადაწყვიტეს თბილისის ყრილობის ტრიბუნაც გამოეყენებინათ და გამოგზავნეს სპეციალური დელეგაცია ა. მიქოიანის ხელმძღვანელობით.

ა. მიქოიანმა ყრილობას მოუთხრო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც ახორციელებდა ბაქოს პროლეტარიატი დენიკინის წინააღმდეგ შეტევის მოსამზადებლად, მან მოითხოვა ბაქოსა და თბილისის პროლეტარიატის ძალთა გაერთიანება. ყრილობას გადააცა ბაქოელი მუშებისა და მატროსების ერთსულოვანი სურვილი— შეემჭიდროებინათ რიგები და ხელი შეეშალათ საბჭოთა რუსეთზე დენიკინის შეტევისათვის.

მენშევიკური პროფესიული ორგანიზაციების ყრილობას დენიკინის წინააღმდეგ არ მიუღია არავითარი პრაქტიკული ღონისძიება. ყრილობაზე მენშევიკთა მიერ ატეხილი ხმაური შემდეგ თანდათანობით მიყუჩდა. ბაქოს პროლეტარიატი კი მუსავატური მთავრობის რეპრესიების მიუხედავად პრაქტიკულ მოქმედებაზე გადავიდა. მისის პირველ რიცხვებში მოეწყო გრანდიოზული პოლიტიკური გაფიცვა ბაქოში. გაფიცულებმა მოთხოვეს მუსავატურ მთავრობას და ინგლისელ ინტერვენტებს მოეხსნათ ბლოკადა საბჭოთა რუსეთისათვის და დაეშვათ ასტრახანში ნავთის გატანა. გაფიცვა საბარიკადო ბრძოლაში გადაიზარდა.

დენიკინის წინააღმდეგ სამოქმედო კონკრეტული ამოცანა დაუყენა რკ (ბ) თბილისის კომიტეტმა, რომელმაც 7 ივნისის პროკლამაციით მიმართა საქართველოს მშრომელებს:

„ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წევრებისათვის დენიკინის შესახებ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე მერყეობა და ეჭვები. ჩვენი წმინდა მოვალეობაა ვიბრძოლოთ მის წიააღმდეგ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ასეთია ჩვენი რევოლუციური და პარტიული მოვალეობა ჩვენი რუსი ამხანაგების წინაშე, ამხანაგების, რომლებიც ასე მამაცურად და დაუღალავად მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით უკვე ორი წელია ებრძვიან დენიკინის, კოლჩაკის ბანდებსა და მათი მხარდამჭერი იაპონურ-ამერიკული, ინგლის-ფრანგულ-იტალიური, ჩეხოსლოვაკური და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ჩვენ ყველა ზი-

მას ვიხმართ, რომ წმინდათა წმინდათ შევასრულოთ ჩვენი ამოცანა, მაგრამ ამისათვის ჩვენ სრული შესაძლებლობა უნდა გვქონდეს. ხელფეხ შეკრულნი, ციხეებში გამომწყვდეული და საქართველოს ტერიტორიიდან გადასახლებულნი ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას მივმართოთ მოსახლეობას ჩვენი რევოლუციური სიტყვით, გავლენა მოვახდინოთ მათ შეგნებაზე ჩვენი რევოლუციური ბეჭდვითი სიტყვის მეშვეობით, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას მონაწილეობა მივიღოთ იმ დიდ შეტაკებაში, რომელიც აუცილებელი ხდება საქართველოს საზღვრებში.

მოითხოვეთ ჩვენი პარტიის, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ლეგალიზაცია, პარტიისა, რომლის დროშა უკვე ფრიალებს და შიში და პანიკა შეაქვს მჩაგვრელთა, მთელი მსოფლიოს სისხლისმსმელთა გულებში. მოითხოვეთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების თავისუფლება პროლეტარიატის პარტიისათვის, რომელიც ჩაკეტილია იატაკქვეშეთში, მოითხოვეთ მისი ლეგალიზაცია"[1].

ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმმა ამ ხანებში მენშევიკურ საბჭოსა და პროფკავშირულ ცენტრს მიმართა შემდეგი წინადადებით: „თბილისი, სასახლე. დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს. დენიკინის მზარდი საშიშროებისა და შავი რეაქციის შეტევისაგან ამიერკავკასიის დაცვის მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატის გაერთიანება, მათი მოქმედების კოორდინაცია.

ამ მიზნით ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმი თავისთავზე იღებს ინიციატივას მოიწვიოს საბჭოებისა და მუშათა პროფესიული ორგანიზაციების ყრილობა. ყრილობა მოწვეული უნდა იქნას თბილისში არაუგვიანეს 15 ივნისისა.

თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ ყრილობის მოსამზადებლად შეარჩიოთ წარმომადგენლები, რომლებიც ჩვენს წარმომადგენლებთან ერთად შეადგენენ საორგანიზაციო კომისიას.

საჩქაროდ ველით პასუხს.

მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმი"[2].

ბაქოს პროლეტარიატის ამ კონკრეტულ წინადადებაზე უარისთქმა მენშევიკებმა ვერ გაბედეს. მათ წარმომადგენელიც კი შეარჩიეს საორგანიზაციო კომისიისათვის, მაგრამ ეს პირველი ღონის-

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფონდი 3, საქმე 230.

[2] გაზ. „ეოლნა", № 1, 9 ივნისი, 1919 წ.

ძიებანი. როგორც შემდეგ გამოაშკარავდა, თვალთმაქცური იყო. ყრილობის მოწვევის საკითხი მენშევიკებმა დასვეს თბილისის საბჭოში, სადაც ისხდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესთა დამცველები, დენიკინის თანამგრძნობნი. საბჭომ გამოიტანა დადგენილება გაერთიანებული ყრილობის მოწვევის მიზანშეუწონლობის შესახებ. რეზოლუციაში ნათქვამი იყო „საქართველოს და ბაქოს პროლეტარიატს შეუძლიათ ცალკ-ცალკე დაირაზმონო“.

უარი თქვეს რა ყრილობის მოწვევაზე, მენშევიკებმა ახლა აშკარად (ამ დროს დენიკინი წარმატებით მიიწევდა საბჭოთა რუსეთის ცენტრისაკენ, მენშევიკები მხნედ გრძნობდნენ თავს) დაიწყეს შეტევა რევოლუციური ორგანიზაციების წინააღმდეგ, ორგანიზაციებისა, რომლებიც მშრომელებს რაზმავდნენ დენიკინთან საბრძოლველად. მენშევიკებმა დახურეს ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნა“, გააჩაღეს ბოლშევიკების გააფთრებული დევნა, ამავე დროს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გასცა საიდუმლო განკარგულება— ბოლშევიკური ორგანიზაციის დაპატიმრებული წევრები დაეხვრიტათ გზაშივე. საპატიმროში მიყვანამდე „გაქცევის ცდის“ მომიზეზებით[1]. ამგვარად, მენშევიკებმა, როგორც მიუთითებდა ბოლშევიკური გაზეთი „რაბოჩი“, ლოზუნგი „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად“, შეცვალეს ლოზუნგით „ყველანი ბოლშევიკების წინააღმდეგ“.

მენშევიკური მთავრობის სასტიკი რეპრესიები, მათ მიერ ამიერკავკასიის პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის გათიშვა, მაშინ როცა დენიკინის საფრთხე დღითი დღე იზრდებოდა, საქართველოს ბოლშევიკებს აიძულებდა დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლა არალეგალურად წარემართათ. შექმნილმა ვითარებამ პარტიას უკარნახა საყოველთაო აჯანყების მომზადება საქართველოში მენშევიკური მთავრობისა და მისი მხარდამჭერი ინგლისელი ოკუპანტების წინააღმდეგ.

1919 წლის ზაფხულში დაიწყო დენიკინის „მოხალისეთა არმიის“ გააფთრებული შეტევა. წითელი არმიის შტაბებში მოკალათებული ტროცკისტები დეზორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდნენ და მტერს უადვილებდნენ წინსვლას. თეთრგვარდიელთა ჯარებმა

---

[1] გ. ხაჩაპურიძე. საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, გვ. 182.

დაიკავეს უკრაინა, ორიოლი; საბჭოთა რესპუბლიკის წინაშე ჩამოწვა სასიკვდილო საფრთხე, გააფთრებული მტერი საბჭოთა ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრს—მოსკოვს უმიზნებდა. თეთრგვარდიელები და მათი დამხმარე იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთ თავს გამარჯვებულად თვლიდნენ. საბჭოთა რესპუბლიკის დაცემა მათ რამდენიმე დღის საქმედ მიაჩნდათ.

ბოლშევიკურმა პარტიამ თეთრგვარდიელი ურდოებისაგან საბჭოთა რესპუბლიკის დასაცავად ფეხზე დააყენა რუსეთის მშრომელი მასები. ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი: „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად". ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დენიკინის განადგურების ორგანიზაციისათვის სამხრეთის ფრონტზე მიავლინა ი. ბ. სტალინი, რომელმაც უკუაგდო დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლის ტროცკის მიერ შედგენილი მოღალატური გეგმა და შეიმუშავა დენიკინის განადგურების გენიალური გეგმა. ეს გეგმა ითვალისწინებდა წითელი არმიის დარტყმებს ხარკოვი-დონბასი-როსტოვით. სტალინის გეგმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ იქნა და წითელი არმიის გმირული ნაწილები დაიძრნენ შეტევაზე, ეს იყო 1919 წლის ოქტომბრის მეორე ნახევარში.

ლენინის ლოზუნგი „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად" მთელი რუსეთისათვის საბრძოლო ლოზუნგად იქცა. არა მარტო საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელები, არამედ ადგილობრივი კონტრრევოლუციური მთავრობების მიერ რუსეთიდან იძულებით გამოთიშული განაპირა მხარეების მშრომელები ბოლშევიკების ხელმძღვანელობით ამ ლოზუნგის ქვეშ გაერთიანდნენ და მთელი თავიანთი შესაძლებლობით ჩაებნენ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ შორის ერთი პირველთაგანი იყო ამიერკავკასიის პროლეტარიატი, რომელმაც მთელი თავისი ძალები დენიკინის ზურგში საბრძოლო მოქმედებისათვის დარაზმა.

საქართველოს ბოლშევიკები ხედავდნენ, რომ ამჟამად, ადგილობრივი შესაძლებლობის პირობებში, ლენინის ლოზუნგის წარმატებით განხორციელება და დენიკინის წინააღმდეგ მოქმედი საბჭოთა არმიისათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა იქნებოდა საყოველთაო აჯანყება მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. მისი დამხობა, საქართველოდან ინგლის-ამერიკელი ინტერვენტების განდევნა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა საქართველო—დენიკინის საომედო ზურგი—გადაქცეულიყო მის საწინააღმდეგო ფრონტად.

როგორც ვიცით, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მშრო-

მელთა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხი დადგა 1919 წლის გაზაფხულზე, როცა რკპ (ბ) ამიერკავკასიის საგხარეო კომიტეტი თბილისში დაბრუნდა. სერგო ორჯონიკიძემ, რომელიც ივნისის პირველ რიცხვებში არალეგალურად ჩამოვიდა თბილისში, ხელმძღვანელ ბოლშევიკებს დაუსახა მოქმედების კონკრეტული გეგმა; ამ გეგმით მიმდინარეობდა მუშათა და გლეხთა რაზმების შედგენა სოფლებში, იარაღის შეძენა, მენშევიკური არმიაში ბოლშევიკური უჯრედების შექმნა და სხვ.

1919 წლის ზაფხულში, როცა დენიკინის საფრთხე გაიზარდა, ხოლო თეთრგვარდიელ გენერალთან მენშევიკური მთავრობის ფარული კავშირი ცხადი გახდა, საქართველოს ბოლშევიკები შეიარაღებული აჯანყების მომზადებას მეტი სისწრაფითა და ენერგიით შეუდგნენ.

19 აგვისტოს, თბილისში, მოწვეულ იქნა საგუბერნიო პარტიული კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ და პარტიულ ორგანიზაციებს მისცა კონკრეტული მითითებანი უახლოეს ხანში აჯანყების მოსამზადებლად. შეიქმნა სამხედრო კომიტეტი, რომელსაც ევალებოდა აჯანყების უშუალო მომზადება და მისი წარმართვა. სამხედრო კომიტეტმა ოპერატიული ხელმძღვანელობის მიზნით რაიონებში შექმნეს სამხედრო სამეულები. პარტიულ ორგანიზაციებს დაევალა მოქმედი რაზმების ორგანიზაცია.

თბილისის საგუბერნიო კომიტეტმა კონფერენციის დამთავრების შემდეგ გამოსცა პროკლამაცია; ცხადია, პროკლამაციაში არ შეიძლებოდა მითითებული ყოფილიყო შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რადგან, თუ ეს პროკლამაცია ხელში ჩაუვარდებოდა მთავრობის აგენტებს, ზიანის მეტს არაფერს მოიტანდა. მაგრამ საგუბერნიო კომიტეტი, ახასიათებდა რა შექმნილ ვითარებას, ბოლშევიკებისათვის გასაგებ ენაზე მიუთითებდა კონფერენციის მიერ აღებულ კურსზე.

„ამხანაგებო! რევოლუციის საქმე დღეს ჩვენში განსაცდელშია, მენშევიკებმა ჩვენ გაგვცეს, საჭიროა დროზე ვუშველოთ საქმეს, საჭიროა ყველა ძალების ამოძრავება, საჭიროა პარტიული მუშაობის გაორკეცება, საჭიროა არსებული ორგანიზაციების გამაგრება და ახლების დაარსება, მხოლოდ ასეთი მუშაობა დაიხსნის რევოლუციას, მხოლოდ ასეთი მუშაობით ჩვენ შეგვეძლება საბჭოთა მთავრობის შექმნა ჩვენშიც.. მხოლოდ ამ გზით ბოლოს მოვუღებთ კაპიტალისტების და მემამულეების ბატონობას მუშა ხალხზე. თბილისის გუბერნიის კომიტეტი მოუწოდებს ყველა ადგილო-

ბრივ ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრს შეუწყვეტელი და ენერგიული მუშაობისათვის. ამ ბანაგებო! პარტიული და რევოლუციური დისციპლინა და სიფრთხილე, სიმტკიცე და გამბედაობა — აი რას თხოულობს დღევანდელი მომენტი ჩვენგან"[1].

საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების საკითხს მიეძღვნა ქუთაისის საგუბერნიო პარტიული კონფერენცია, რომელიც სექტემბერში ჩატარდა. ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობა გაიშალა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

შეიარაღებული აჯანყების ფარული მომზადების ვითარებაში, სექტემბრის ბოლო რიცხვებში შეიკრიბა რკპ (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელსაც ესწრებოდა საოლქო კომიტეტის ბიუროს ბიურო. პლენუმს უნდა განეხილა შეიარაღებული აჯანყების მზადების მიმდინარეობა, დაესახა უკანასკნელი მოსამზადებელი ღონისძიებანი და დაენიშნა აჯანყების თარიღი. მაგრამ საოლქო კომიტეტში აღმოჩნდნენ პირები, რომლებმაც „მეტისმეტი სიფრთხილე" გამოიჩინეს და აჯანყების დანიშვნა ნაადრევად მიიჩნიეს. ესენი იყვნენ საოლქო კომიტეტის ოპორტუნისტულად განწყობილი ელემენტები (მ. ოკუჯავა, კ. ცინცაძე, მ. ტოროშელიძე), რომელთაც არ სწამდათ გამარჯვება, რომლებმაც, როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ხელსაყრელი ვითარება 1917 წ. მიწურულში არ გამოიყენეს და ხელი შეუწყვეს კონტრრევოლუციურ ძალებს ჩაეხშოთ რევოლუცია.

მაგრამ საოლქო კომიტეტის მეორე პლენუმმა, რომელიც ამავე საკითხს მიეძღვნა, გადაჭრით დაგმო აჯანყების მოწინააღმდეგეთა პოზიცია, დაახასიათა შექმნილი ვითარება როგორც ყველაზე ხელსაყრელი მომენტი საყოველთაო აჯანყებისათვის და გამოიტანა გადაწყვეტილება—შეიარაღებული აჯანყების დღედ 24 ოქტომბრის დაწესების შესახებ (სამხარეო კომიტეტმა აჯანყების დღედ განგებ აირჩია 24 ოქტომბერი—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაწყებასთან დაკავშირებული თარიღი).

საბოლოოდ დაზუსტებული გეგმის თანახმად აჯანყება ერთდროულად დაიწყებოდა საქართველოს ყველა რაიონში. ნიშანს

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფ. 3, საქმე 244.

თბილისი მისცემდა, სადაც მუშები და გარნიზონის ჯარისკაცები დაიკავებდნენ ყველა უმნიშვნელოვანეს დაწესებულებას.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა ჩამოაყალიბა სამხედრო-რევოლუციური შტაბი. შტაბმა თავისი რწმუნებულები დაგზავნა ყველა რაიონში, დაიწყო სტრატეგიულ პუნქტებში იარაღის ფარული გადაზიდვა, რომელსაც შემდეგ სამხედრო სამეულები ანაწილებდნენ რაზმებს შორის.

სამზადისი უკვე დამთავრებული იყო. 22 ოქტომბერს თბილისში შეიკრიბა საგარნიზონო საბჭოს კრება, რომელსაც ესწრებოდნენ სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრები. მაგრამ კრებას მიაგნეს ინგლისელებისა და მენშევიკების აგენტებმა, რომელთაც უკვე მიღებული ჰქონდათ ცნობა შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ეძებდნენ ხელმძღვანელი შტაბის კვალს. ამგვარად, დაპატიმრებულ იქნა აჯანყების მეთაური ორგანო. აჯანყება ჩაიშალა.

მენშევიკურმა მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები, რათა აჯანყების მოთავეები დაეპატიმრებინათ. საქართველოს ყველა რაიონში დაიგზავნა დეპეშა:

„სასწრაფო. სამხედრო.

ფოთი, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ონი, ცაგერი, გორი, დუშეთი, სიღნაღი, თელავი, ახალციხე, ახალქალაქი. მილიციის უფროსებს, ქუთაისის ადმინისტრაციული ინსპექტორის თანაშემწეს, ასლი სამაზრო კომისრებს და საქალაქო მილიციის უფროსებს.

სამინისტროში მიღებული ცნობებით ხვალ დილით უნდა დაიწყოს შეიარაღებული ბოლშევიკური აჯანყება, რასაც მინისტრის დავალებით გაცნობებთ სათანადო ზომების მისაღებად.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი აფაქიძე"[1].

მენშევიკებმა თბილისში ფეხზე დააყენეს გვარდია, რაიონებში ამოქმედდა მენშევიკური მილიცია. დაიწყო მასობრივი დაპატიმრებანი.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა სწორად განსაზღვრა, რომ ახლა, როცა აჯანყების უშუალო ხელმძღვანელი ცენტრი ჩავარდა და რაიონებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა შეუძლებელი შეიქნა, როცა მენშევიკებმა წინასწარ ფეხზე დააყენეს მთელი ძალები, აჯანყებამ დაკარგა მოულოდნელობის უპირატესობა, დაკარგა სწრაფი შეტევის შესაძლებლობა. ცენტრიდან ხელ-

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევ. ცენტრ. სახ. არქივი, ფ. 11ა ს. 311. ფ. 33.

მძღვანელობის გარეშე აჯანყება სტიქიურად განვითარდებოდა და იგი თავდაცვაზე გადავიდოდა, რაც ყოველი აჯანყებისათვის დაღუპვის მომასწავებელია. უკეთესი იქნებოდა ახლა თავის შეკავება, ძალების შენარჩუნება და სამზადისის თავიდან დაწყება. ამ მიზნით პარტიულ ორგანიზაციებს ეცნობა საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება აჯანყების გადადების შესახებ. მაგრამ ყველა რაიონში ამ ცნობამ დროზე ვერ მიაღწია.

ლაგოდეხში, სამტრედიაში, გურიაში, გორში და სხვა რაიონებში მშრომელი გლეხობა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით იარაღით ხელში გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, მაგრამ ეს ცალკეული გამოსვლები მენშევიკებმა სისხლში ჩაახშეს.

1918 წლის გლეხთა აჯანყებების მიმოხილვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ მას აკლდა ორგანიზებულობა. წინასწარ მოუმზადებელი, სტიქიურად აღმოცენებული და ერთმანეთთან დაუკავშირებელი შეიარაღებული გამოსვლების სისხლში ჩახშობას ახერხებდა მენშევიკური მთავრობა, რომელსაც დახმარებას არ აკლებდნენ გერმანელი ოკუპანტები.

სულ სხვა მდგომარეობაა 1919 წელს. 1919 წლის ზაფხულში სერიოზული სამზადისი ჩაატარეს პარტიულმა ორგანიზაციებმა აჯანყების მომზადებისათვის. ეს სამზადისი წარმოებდა საქართველოს პროლეტარიატისა, რევოლუციური გლეხობისა და არმიის რიგებში. მას ყველგან წარმატება ჰქონდა.

საქართველოს პროლეტარიატი, რომლის შეგნების მოწავლისათვის მენშევიკები არავითარ საშუალებას არ თაკილობდნენ, დღითი დღე რწმუნდებოდა „დემოკრატიული მთავრობის“ მატყუარობაში და მას ზურგს აქცევდა. იზრდებოდა საგაფიცვო მოძრაობის ტალღა თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროებში, ბათუმის, ქუთაისის, ფოთის, სამტრედიის, ხაშურის წარმოებებში. მუშებსა და მეპატრონეებს შორის არსებული კონფლიქტები თანდათან ღრმავდებოდა. მუშათა შორის ხარბად ვრცელდებოდა ბოლშევიკური პროკლამაციები. მუშათა მძლავრი პროფკავშირული მოძრაობა, რომელსაც ბოლშევიკები უდგნენ სათავეში, მიმართული იყო დენიკინისა და მენშევიკური მთავრობის ფარული გარიგების წინააღმდეგ. ბოლშევიკური უჯრედები საწარმოებში მტკიცდებოდნენ. ახალ-ახალი ადამიანები შედიოდნენ პარტიის რიგებში. შიშილით გაძვალტყავებული, მოტყუებული, უუფლებო

მუშები ძალას იკრებდნენ, მჭიდროდ ირაზმებოდნენ ბოლშევიკური დროშის გარშემო მენშევიკებისა და უცხოელი ინტერვენტების პარპაშის აღსაკვეთად.

თბილისის მუშათა შეუპოვრობისა და ერთსულოვანი მოქმედების თვალსაჩინო მაგალითია 1919 წლის მარტში ქალაქის გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვა, რომელიც რკპ (ბ) თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩატარდა. გაფიცვის მიზეზი, ცხადია, მუშათა აუტანელი მდგომარეობა იყო.

ქალაქის გამგეობის მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვის ჩაშლისათვის მენშევიკური პროფესიული საბჭო, ქალაქის აღმასკომი და სხვა ორგანოები ყოველ ზომას მიმართავდნენ, მაგრამ ბოლშევიკური არალეგალური ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული გაფიცვა მსხვილ პოლიტიკურ მოძრაობად იქცა, რომელსაც გამოეხმაურნენ არა მარტო საქართველოს, არამედ მოძმე აზერბაიჯანის მშრომელები.

„ყველა პროლეტარულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს ჩვენ მივმართავთ კიდევ უფრო შეამჭიდროვონ თავიანთი რიგები და მხარი დაუჭირონ გაფიცულ ამხანაგებს პროლეტარიატის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით; ჩვენის მხრივ პროტესტს ვაცხადებთ პროფესიული კავშირების საბჭოს წინააღმდეგ, რომელიც გაფიცვას წინ აღუდგა და ამით უღალატა კლასობრივ ბრძოლას“—წერდნენ თბილისის თუჯის ჩამომსხმელი და მექანიკური ქარხნის მუშები თავიანთ რეზოლუციაში. ხოლო ბაქოს მუშათა კონფერენციამ თბილისელი მუშების გაფიცვის შესახებ მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა ამხანაგების მოხსენება თბილისში გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ, ბაქოს კონფერენცია აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის მოქმედება, რაც გაფიცვის ჩაშლითა და გაფიცულ ამხანაგთა წინააღმდეგ რეპრესიული ზომების მიღებით გამოიხატა, ისეთი აქტია, რომელიც მუშათა ერთ ნაწილს მეორის წინააღმდეგ ამხედრებს...

მიესალმება რა თბილისელ ამხანაგებს, რომლებიც თავიანთი სამართლიანი მოთხოვნებისათვის იბრძვიან, და სასტიკად კიცხავს რა თბილისელი მთავრობის მოქმედებას, კონფერენცია მოუწოდებს საქართველოს პროლეტარიატს მთელი ამიერკავკასიისა და რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გაერთიანდეს კონტრრევოლუციის წი-

ნააღმდეგ საერთო ძალით და სოციალისტური წყობილების დასაბ-ყარებლად"[1].

გაფიცულ მუშათა ერთსულოვნობამ და ორგანიზებულობამ მენშევიკური მთავრობა აიძულა ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო.

თბილისისა და საქართველოს წარმოებებში წინასწარ ჩატარებული სამზადისი მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ საყოველთაო შეიარაღებული გამოსვლისათვის იძლეოდა აჯანყებაში მუშათა მასების ავანგარდული მონაწილეობის სრულ გარანტიას. მაგრამ აჯანყების ცენტრის ჩავარდნის შემდეგ ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის მითითების თანახმად პროლეტარიატმა გამოსვლისაგან თავი შეიკავა.

ასეთივე წარმატება ჰქონდა ბოლშევიკების მუშაობას მენშევიკურ არმიაში. ბოლშევიკური გავლენა იმდენად ღრმად იყო ფესვგადგმული, რომ ბოლშევიკებს იგი სერიოზულ ძალად მიაჩნდათ აჯანყების წარმატებით დაგვირგვინებაში. 23 ოქტომბერს, ღამით, თბილისის ოპერაციებში ყველაზე აქტიური მონაწილეობა სწორედ მენშევიკური არმიის ჯარისკაცებს უნდა მიეღოთ. 22 ოქტომბერა არმიის წარმომადგენელთა შეკრებას სწორედ მეორე დღის მოქმედების გეგმა უნდა დაეზუსტებინა. მაგრამ შეკრებილთ შორის, როგორც ფ. მახარაძე აღნიშნავს, „აღმოჩნდა ერთი იუდა გამცემელი პროვოკატორი, რომელმაც მთელი ეს კრება იქვე კედიას განსაკუთრებულ რაზმს დააკერინა"[2].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რაიონებში მიმდინარე აჯანყებების ჩასაქრობად მენშევიკები იყენებდნენ მხოლოდ გვარდიას და მილიციის რაზმებს და არა არმიას, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ. მილიცია და გვარდია კი, რომელიც, როგორც აღვნიშნავდით, ყოფილი მეფის ოფიცრებისაგან, გაკოტრებული აზნაურებისაგან, ვაჭარ-სპეკულანტებისა და ყაჩაღებისაგან შედგებოდა, დიდ ხალისსა და ენერგიას იჩენდნენ მცხოვრებთა ხოცვა-ყლეტასა და რბევა-აწიოკებაში.

როგორი მდგომარეობა შეიქმნა საქართველოს რაიონებში? როგორი ხასიათი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლას იმ ადგილებში, სადაც ვერ მიუსწრო რკპ (ბ) კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივამ აჯანყების გადადების შესახებ?

---

[1] გ. ხაჭაპუოიძე. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, 1954 წ., გვ. 268—269.

[2] ფ. მახარაძე, საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, გვ. 182.

24 ოქტომბერს, დილით, ლაგოდეხის გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა რკპ (ბ) სიღნაღის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით დაიწყეს მოქმედება. დაკავებულ იქნა რაიონის ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი. მათ ხელთ იგდეს აგრეთვე იარაღის საწყობი და მშრომელ გლეხკაცობას იარაღი დაურიგეს. ცხადია, ლაგოდეხელი ბოლშევიკები დარწმუნებული იყვნენ, რომ ასეთივე გამოსვლა საქართველოს ყველა რაიონში მიმდინარეობდა. მაგრამ ლაგოდეხში მოულოდნელად გამოჩნდა გვარდიელთა დიდი რაზმი, რომელმაც ადგილობრივ მილიციასთან ერთად დაიწყო აჯანყებულთა რაზმების წინააღმდეგ მოქმედება. გვარდიისა და მილიციის გაერთიანებულმა რაზმებმა, რომლებიც კარგად იყვნენ შეიარაღებული, შეძლეს აჯანყებულთა შევიწროება. რაზმის დიდმა ნაწილმა ტყეს შეაფარა თავი. მოთავეები დაატუსაღეს.

მენშევიკურმა გვარდიამ და მილიციამ დასაწყისშივე ჩაახშეს გამოსვლა აგრეთვე თელავის მაზრაში. თელაველი ბოლშევიკების მხარეზე გლეხთა შეიარაღებული რაზმების გარდა უნდა ემოქმედნათ მეექვსე ათასეულის ჯარისკაცებს. აჯანყების მონაწილეთა რიცხვი 465-მდე აღწევდა. მაგრამ ჯერ კიდევ 22 ნოემბერს მთავრობის ძალებმა შეძლეს მოთავეთა დატუსაღება. ამავე დროს თელავის სამაზრო ცენტრებში ჩაყენებულ იქნა გაძლიერებული ძალები.

საყოველთაო აჯანყების საერთო გეგმაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფოთის ბოლშევიკური ორგანიზაციის გამოსვლას, რომელსაც, წარმატების შემთხვევაში, მოჰყვებოდა სამხედრო ხომალდების ხელში ჩაგდება. აჯანყებაში მონაწილეობდნენ სამხედრო ხომალდების ჯარისკაცები, მესამე ქვეითი პოლკის ჯარისკაცები, ქალაქისა და ნავსადგურის მუშები. მაგრამ ფოთის მენშევიკურმა ხელისუფლებამ ცენტრიდან მიღებული დირექტივის შემდეგ აამოქმედა გვარდია და მილიცია. მეზღვაურთა შორის ერთი პროვოკატორიც აღმოჩნდა. გვარდიამ მოახერხა ხელთ ეგდო აჯანყების ხელმძღვანელი შტაბი 25 კაცის რაოდენობით. ფოთის მილიციის უფროსი ნოდია ატყობინებდა შინაგან საქმეთა მინისტრს:

„ოცდაოთხში უნდა მომხდარიყო ბოლშევიკთა შეიარაღებული გამოსვლა. 23-ში ჩვენ მათ ეს შესაძლებლობა მოვუსპეთ. დატუსაღებულია 20 ხელმძღვანელი. დატუსაღება გრძელდება. მოხსენება ფოსტით 740.

მილიციის უფროსი ნოდია[1].

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტ. საქ. ფილ. ფ. 40, საქ. 9. გვ. 140.

აქტიურად დაიწყეს მოქმედება გორის მაზრის მშრომელებმ... 25 ოქტომბერს ხაშურის საორთქმავლო დეპოს მუშებმა, გლეხებმა და ჯარისკაცებმა, რომელთა რიცხვი 600-მდე აღწევდა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დაიკავეს მთელი რიგი სოფლები—აბენამდე. ამ სოფლებში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, არჩეულ იქნა რევოლუციური კომიტეტები. აჯანყებულთა რაზმებმა გადაწყვიტეს ხაშურის აღება, მაგრამ, როდესაც მიღებულ იქნ ცნობა ცენტრიდან აჯანყების გადადების შესახებ, ხაშურის ... მოხსნილ იქნა. გორისა და ხაშურის მენშევიკურ ხელისუფლებას თბილისიდან მოუვიდა გვარდიელთა რაზმები, რომელთა დახმარებით ადგილობრივმა მილიციამ შეძლო სოფლებში მენშევიკური ხელისუფლების აღდგენა. აჯანყების მოთავეები გაიდაროვი, თიბილაშვილი, აბულაძე, სამხარაძე, გიკალეკი დახვრიტეს. დაიწყო რეპრესიები, აჯანყების მონაწილე გლეხთა სახლ-კარის აწიოკება.

გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე სამტრედიაში, კულაშში, კუხში, სენაკის მაზრაში, მაგრამ აჯანყებულთა აქტივობა შენელდა მას შემდეგ, როცა მიღებულ იქნა ცნობა ცენტრიდან გამოსვლის გადადების შესახებ. აჯანყების მოთავეებმა მიიღეს ზომები გამოსვლების სწრაფი ლიკვიდაციისათვის, რათა ნაკლები მსხვერპლი გაეღოთ და ძირითადი ძალები მომავალი გამოსვლისათვის შეენარჩუნებინათ.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ 24 ოქტომბრის გამოსვლები, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ იყო ორგანიზებული და თითქმის ყველგან აჯანყებულებმა შეძლეს კიდეც პირველი წარმატების მოპოვება, საბოლოოდ უშედეგოდ დამთავრდა ცენტრის ჩავარდნისა და ამის საფუძველზე საოლქო კომიტეტის მიერ გაცემული განკარგულების შედეგად. მაგრამ ცენტრი, როგორც ფ. მახარაძე აღნიშნავს, „მაინც ფიქრობდა ბრძოლის გაგრძელებას. ამ მიზნით დაჩქარებით შედგენილ იქნა ახალი სამხედრო შტაბი და რამდენიმედ თვით აჯანყების გეგმაც. ახლა გამოსვლები პირველად უნდა დაწყებულიყო პროვინციაში, რომელსაც შემდეგ ტფილისი უნდა გამოხმაურებოდა. გამოსვლების ვადად დაინიშნა 8-9 ნოემბერი“[1]

8-9 ნოემბრის გამოსვლისათვის სერიოზულად ემზადებოდა ოზურგეთის მაზრის გლეხობა. სამაზრო კონფერენციაზე ბოლშევიკებმა შეიმუშავეს გამოსვლის კონკრეტული გეგმა. მაზრა დაიყო სამოქმედო რაიონებად. თითოეულ რაიონში შეიქმნა შტაბი, შერ-

---

[1] ფ. მახარაძე. საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში, ეკ 154.

ჩეულ იქნა ასისთავები და ათასისთავები. სარაიონო შტაბებს ხელმძღვანელობდა სამაზრო შტაბი, რომელიც მოქმედებდა რკპ (ბ) სამაზრო კომიტეტის ინიციატივით, ხოლო ასისთავები და ათასისთავები დაკავშირებული იყვნენ სოფლის კომუნრედებთან. აჯანყება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სუფსის, ნატანების, ხიდისთავის, ერკეთის, ნაგომარის და სხვ. რაიონებში. მაგრამ გამოსვლის წინა დღეებში აქ განმეორდა ის, რაც თბილისში მოხდა 22 ნოემბერს. დატუსაღებულ იქნა გურიის კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

9 ნოემბერს, დილით, აჯანყება დაიწყო. აღებულ იქნა ჩოხატაური, ლანჩხუთი. შეიარაღებული რაზმი ჩოხატაურიდან ოზურგეთისაკენ დაიძრა, მაგრამ სტიქიურმა უბედურებამ შეანელა აჯანყებულთა შეტევის ტემპი. კოკისპირული წვიმების შედეგად ადიდდა მდინარეები, ხიდები წაღებულ იქნა. აჯანყებულებმა ვერ შეძლეს მდ. სუფსის გადალახვა. მთავრობამ კი სასწრაფო ზომები მიიღო და გვარდიელებისა და მილიციელთა რაზმების საშუალებით შეძლო აჯანყებულთა ცალკეული კერების ლიკვიდაცია. აჯანყებულმა რაზმებმა დაუშვეს მთელი რიგი ტაქტიკური შეცდომები: დააგვიანეს ოზურგეთზე შეტევა, ვერ უზრუნველყვეს ჩოხატაურის გამაგრება, ვერ შეძლეს რკინიგზის ხაზის დაუყოვნებლივ აყრა, ამან კი მთავრობას შესაძლებლობა მისცა გამოეთხოვა ავანტურისტ გოგუაძისა ჯავშნიანი მატარებელი.

გურიის გამოსვლა 3-9 ნოემბერს მარცხით დამთავრდა. მთავრობამ დაატუსაღა აჯანყების მოთავეები, რომელთაგან ნაწილი ადგილობრივ დახვრიტეს (8 კაცი), ხოლო ნაწილი ქუთაისის საპატიმროში გაგზავნეს.

8-9 ნოემბერს გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა გორის მაზრაში, მეჯვრისხევსა და ახალქალაქის რაიონებში, მაგრამ უშედეგოდ. მენშევიკ ხელისუფალთა გააფთრება ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. გვარდიელთა და მილიციელთა რაზმები დაძრწოდნენ საქართველოს რაიონებში, წვავდნენ სოფლებს, აპატიმრებდნენ და ხვრეტდნენ აჯანყების მოთავეებს. საველე სასამართლოებს სასწრაფოდ გამოჰქონდათ განაჩენები. მძვინვარებდა თავაშვებული ოთხი ტერორი, ისეთი, როგორიც საქართველოს მშრომელებს ცარიზმის შავბნელ დროსაც კი არ ახსოვდათ.

1919 წლის ოქტომბერ-ნოემბრის შეიარაღებულ აჯანყებას საქართველოში, მიუხედავად მისი დამარცხებისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

აჯანყებამ ნათლად გამოამჟღავნა, რომ მენშევიკური მთავრო-

ბის კონტრრევოლუციურმა საქმიანობამ აავსო ხალხის მოთმინების ფიალა, რომ საქართველოს მშრომელები საბოლოოდ დაადგნენ მენშევიკთა დიქტატურის იარაღით დამხობის გზას.

აჯანყებამ გააცოცხლა მენშევიკთა მიერ შეთხზული მითი იმის შესახებ, თითქოს მენშევიკური „დემოკრატიული სამოთხის" წინააღმდეგ მხოლოდ საქართველოს ჩამორჩენილი რაიონები მოქმედებდნენ. 1919 წ. ნოემბერში გურიაში დატრიალებულმა ამბებმა ცხადყვეს, რომ არავითარი გამიჯვნა ე. წ. „ჩაქორჩენილ" და „მოწინავე" რაიონებს შორის არ არსებობდა, რომ მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ ერთნაირი მებრძოლი სულისკვეთებით იყვნენ გამსჭვალული საქართველოს ყველა კუთხის მშრომელები.

აჯანყებამ თავისი წვლილი შეიტანა დენიკინის წინააღმდეგ საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლაში[1]. საქართველოს რაიონებში აჯანყების პერიოდში დენიკინი იძულებული შეიქნა რამდენიმე პოლკი გადმოესხა ქართველი მენშევიკების დასახმარებლად.

აჯანყებაში გამოვლინდა მტკიცე ორგანიზატორული როლი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისა, რომლებმაც მენშევიკური ხელისუფლების თავაშვებული პარპაშის მიუხედავად არალეგალური, იატაკქვეშა მუშაობის მძიმე პირობებში შეძლეს მასზრების მობილიზაცია, მათი დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგის გარშემო.

აჯანყებამ ნათელყო, რომ მენშევიკური მთავრობის დამხობა, რომელიც თავის არსებობას მხოლოდ ინტერვენტთა ჯარების დახმარებითა და თავადაზნაურულ ავანტურისტთაგან შედგენილი გვარდიით ინარჩუნებს, არ არის შორეული მომავლის საქმე და კარგად ორგანიზებული გამოსვლის შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ეს აჯანყება წარმოადგენდა მკაცრ გაკვეთილს საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის. აჯანყების დამარცხების კონკრეტულ მიზეზთა გარკვევა, დაშვებული შეცდომების გამოსწორება ხელს შეუწყობდა პარტიას მომავალი აჯანყების უკეთ ორგანიზებაში.

დასასრულ, აჯანყებამ, მიუხედავად მენშევიკური ხელისუფლების სასტიკი დამსჯელი ღონისძიებებისა, არათუ შეამცირა საქართველოს მშრომელი მასების ბრძოლის წყურვილი, არათუ გატეხა მათი ნებისყოფა, არამედ, პირიქით, გაასალიდევა, გაანმტკიცა მებრძოლთა რიგები და შეამზადა ნიადაგი მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ გადამწყვეტი და საბოლოო შეტევისათვის.

---

[1] საქ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტ. სახელმწ. არქივი. ფონდი 11, საქმე 307, ფ. 7.

მენშევიკური კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს კომკავშირი. კომუნისტური პარტიის მეთაურობით საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციები თავის გარშემო იკრებდნენ საქართველოს მუშა და გლეხ ახალგაზრდობას, მონაწილეობდნენ მუშათა საგაფიცვო მოძრაობაში, გლეხთა შეიარაღებულ გამოსვლებში, ძმურ სოლიდარულ კავშირს ამყარებდნენ აზერბაიჯანისა და სომხეთის რევოლუციურ ახალგაზრდობასთან, რითაც ფუშავდნენ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ზრახვებს მოძმე ერების წაკიდების საქმეში, ამხელდნენ მენშევიკური მთავრობის ფარულ კავშირს თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციასთან და მგზნებარე მოწოდებებით ხელს უწყობდნენ დენიკინის წინააღმდეგ სახალხო მოძრაობის ტალღის აზვირთებას. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და მის განმტკიცებაში.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ 1917 წლის მიწურულში ლისში შექმნილმა ახალგაზრდა სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა ორგანიზაციამ, „სპარტაკმა", რომელიც საქართველოში ლენინური კომკავშირის პირველი ჩანასახი იყო, აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის მშრომელი მასების იმ დამრაზმველ მუშაობაში, რომელსაც ეწეოდა კომუნისტური პარტია 1917 წელს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პერიოდში.

„სპარტაკის" ორგანიზაციების ქსელი სწრაფად გაიზარდა და 1918 წლის დასასრულისათვის იგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობდა.

1919 წლის აპრილის დასაწყისში ჩატარდა „სპარტაკის" ორგანიზაციების თბილისის პირველი საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელსაც 50 დელეგატი ესწრებოდა. კონფერენციამ, რომელსაც ყრილობის მნიშვნელობა ჰქონდა, მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციურ ორგანიზაციებს დარქმეოდა „ახალგაზრდათა კომუნისტური ორგანიზაცია—„სპარტაკი". კონფერენციამ მიიღო აგრეთვე წესდება, რომელიც საფუძვლად დაედო ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს საქართველოსა და სომხეთში. კონფერენციამ შეიმუშავა „დეკლარაცია მუშა ახალგაზრდობისადმი" და აირჩია კომუნისტური კავშირის თბილისის

კომიტეტი ბორის ძნელაძის მეთაურობით. რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილებით ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტს დაეკისრა კომკავშირის ამიერკავკასიის დროებითი ცენტრალური კომიტეტის მოვალეობის შესრულება.

წარმოადგენდა რა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ერთგულ თანაშემწეს, კომკავშირი თბილისის კომიტეტის მეთაურობით, რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის მითითებათა საფუძველზე, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდობის დასარაზმავად ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. კომკავშირმა გააჩაღა ფართო პოლიტიკური კამპანია დენიკინის წინააღმდეგ. თავის მგზნებარე მიმართვაში ახალგაზრდობისადმი კომკავშირი მოუწოდებდა მუშა და გლეხ ახალგაზრდებს კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ შემოიკრებულიყვნენ მებრძოლ კოლექტივად და მენშევიკი, დაშნაკი და მუსავატი „ხელისუფალნი" იძულებული გაეხადათ, შეეწყვიტათ ყოველგვარი კავშირი და ფარული მოლაპარაკება დენიკინთან, გამოეცხადებინათ ომი მის წინააღმდეგ, დაეპატიმრებინათ დენიკინის აგენტები და სხვა რეაქციული პირები.

„ჩვენ მივმართავთ ყველა მშრომელებს,—ნათქვამი იყო მოწოდებაში,—და კერძოდ ამიერკავკასიის ქალაქებისა და სოფლების პროლეტარულ ახალგაზრდებს მხურვალე რევოლუციური მოწოდებით, რათა გაერთიანდნენ გარეშე და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლისათვის.

ჩვენ მოვუწოდებთ: „ძირს დენიკინი! გაუმარჯოს რევოლუციურ ბრძოლას დენიკინის წინააღმდეგ!".

კომკავშირელი ახალგაზრდები ქალაქად და სოფლად წარმოადგენდნენ მგზნებარე ორატორებს. ისინი არა მარტო ავრცელებდნენ მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ მიმართულ პროკლამაციებს, რომელსაც რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და კომკავშირის თბილისის კომიტეტი ბეჭდავდნენ არალეგალურად. არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გლეხთა შეიარაღებული რაზმების ორგანიზაციებში, მუშათა პოლიტიკური გაფიცვებისა და დემონსტრაციების მოწყობაში.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობათა გააფთრებული დევნისა და რეპრესიების ვითარებაში კომკავშირის თბილისის კომიტეტმა რკპ (ბ) სამხარეო კომიტეტის მითითებით შეძლო ამიერკავკასიის რევოლუციური ახალგაზრდობის საოლქო კონფერენციის მოწვევა ბაქოში 1919 წლის 22 სექტემბერს. ეს იყო პერიოდი,

როცა კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტი ამზადებდა საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებას დენიკინის ზურგში ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. ამ ვითარებაში აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი რევოლუციური ახალგაზრდობის საბრძოლო ერთიანობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. საოლქო კონფერენციამ, რომელსაც საქართველოდან 7 დელეგატი ესწრებოდა (ბ. ძნელაძე, დ. კაჭარავა, ვ. იმედაძე და სხვ.), შეაჯამა განვლილი მუშაობა, განიხილა მომავალი მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, კონფერენციამ მიიღო ახალი წესდება, აირჩია კომკავშირის საოლქო კომიტეტი და შეიმუშავა დეკლარაცია ამიერკავკასიის მშრომელი ახალგაზრდობისადმი, სადაც ჩამოყალიბებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში ამიერკავკასიის მშრომელი ახალგაზრდობის კონკრეტული საბრძოლო ამოცანები.

მენშევიკური დიქტატურის წინააღმდეგ საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისათვის კომკავშირის „თბილისის ბიურომ“ (ეს ბიურო შეიქმნა საოლქო კონფერენციაზე ადგილზე მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის) მიიღო აქტიური მონაწილეობა. საქართველოს რაიონებში დაიგზავნა კომკავშირის რჩეულნებულები. ბორის ძნელაძე პირადად ხელმძღვანელობდა შეიარაღებული რაზმის შექმნას გურიაში. კომკავშირელები ეწეოდნენ დაზვერვით მუშაობას მენშევიკურ გვარდიასა და არმიაში, სწავლობდნენ მათ ძალებს, შეიარაღებას, არსენალისა და იუნკერთა სკოლის გეგმებს და ზუსტ ცნობებს გზავნიდნენ კომუნისტური პარტიის სამხედრო შტაბში[1].

აჯანყების დამარცხების შემდეგ ბევრი ხელმძღვანელი კომკავშირელი მუშაკი დაპატიმრებულ იქნა. განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მენშევიკური „მთავრობის“ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში ჩაუვარდა კომკავშირული ბიუროს მუშაობის დოკუმენტები, მან სასტიკი დევნა დაუწყო კომკავშირს.

აჯანყებაში დამარცხებამ ვერ გატეხა საქართველოს კომკავშირული ახალგაზრდობის ნებისყოფა და სიმტკიცე. ისინი მეტი მონდომებით შეუდგნენ ახალი და უფრო ორგანიზებული გამოსვლისათვის სამზადისს. კომკავშირის საოლქო კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ახალგაზრდა კომუნისტების წითელი გვარდიის“ შექმნის შესახებ. შეიქმნა გვარდიის მთავარი და საგუბერნიო და სამა-

---

[1] მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფონდი 95, საქმე 28.

ზრო შტაბები, რომელსაც დაეკისრა შეიარაღებული კომკავშირული რაზმების ორგანიზაცია და მათი მომზადება. კომკავშირული წითელი გვარდიის შტაბები ფარულად იძენდნენ იარაღებს, ეწეოდნენ დაზვერვით საქმიანობას, ბეჭდავდნენ პროკლამაციებსა და მოწოდებებს.

1920 წლის 22 მაისს შეიქმნა საქართველოს კომკავშირის დროებითი ცენტრალური კომიტეტი. საქართველოს კომკავშირმა შეძლო დაეარსებინა თავისი საბრძოლო ორგანო — „ახალგაზრდა პროლეტარი", რომელიც საქართველოს რევოლუციური ახალგაზრდობის დარაზმვაში კომუნისტური პარტიის საბრძოლო დროშის გარშემო უაღრესად დიდ როლს ასრულებდა. ამავე წლის 25 აგვისტოს შეიკრიბა საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის მეორე ყრილობა, რომელმაც მენშევიკური საგანგებო რაზმების უხეში ჩარევისა და რეპრესიების მიუხედავად შეიმუშავა კომკავშირული იდეური, პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი. მენშევიკებმა არა მარტო დაარბიეს კომკავშირის ყრილობა, არამედ დააპატიმრეს მის მიერ არჩეული ცენტრალური კომიტეტი.

მენშევიკური მთავრობის განუწყვეტელი დევნის მიუხედავად კომკავშირი სახელოვნად ასრულებდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მითითებებს და წარმოადგენდა მის ღირსეულ თანაშემწეს პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

კომკავშირელმა ახალგაზრდობამ უშუალო აქტიური მონაწილეობა მიიღო კომუნისტური პარტიის მეთაურობით დაწყებულ საქართველოს მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ აჯანყებაში 1921 წლის იანვარში. კომკავშირელთა წითელი რაზმები XI არმიასთან ერთად გმირულ ბრძოლას ეწეოდნენ მენშევიკური მთავრობის არმიის წინააღმდეგ. ისინი ახალი ხელისუფლების ორგანიზაციაში კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწეებს წარმოადგენდნენ.

ამგვარად, საქართველოს ახალგაზრდათა ლენინურმა კომკავშირმა კომუნისტური პარტიის მეთაურობით მენშევიკური კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო, იგი ამ ბრძოლაში გამოიწრთო, დავაჟკაცდა და სავსებით მომზადებული აღმოჩნდა ახალგაზრდობის ხელმძღვანელობის იმ დიდი ამოცანებისათვის, რომელსაც მას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება აკისრებდა.

თავი VII

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში

დენიკინის განადგურების გენიალური გეგმა, რომლის განხორციელება სამხრეთის ფრონტზე კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინს დააკისრა, წარმატებით ხორციელდებოდა ყველა უბანზე.

ორიოლთან და ვორონეჟთან წითელი არმიის წარმატებებმა საფუძველი ჩაუყარა მის შემდგომ წინსვლას სამხრეთისაკენ. მალე წითელმა არმიამ დენიკინის ბანდებისაგან გაათავისუფლა კიევი და კუპიანსკი. „კიევი და კუპიანსკი უკვე ავიღეთ,—შორს აღარ არის ის მომენტი, როცა წითელი დროშები როსტოვსა და ნოვოჩერკასკში აფრიალდება“[1], — წერდა ი. ბ. სტალინი თავის მისალმებაში პეტროგრადის მუშებსა და ბალტიის ფლოტის სახელოვან მეზღვაურებს. მოხალისეთა არმია უწესრიგოდ იხევდა უკან, კარგავდა კავშირსა და მმართველობას, იხრწნებოდა. იანვრის დასაწყისში სისხლისმღვრელ ბრძოლებში წითელმა არმიამ წაართვა დენიკინელებს ორასზე მეტი ქვემეხი, შვიდი ჯავშნიანი მატარებელი, ოთხი ტანკი და დიდძალი დავლა. ტაგანროგი განთავისუფლებულ იქნა. ამის შემდეგ საბჭოთა ჯარები გარს შემოერტყნენ კონტრრევოლუციის კერებს—ნოვოჩერკასკსა და როსტოვს[2]. კონტრრევოლუციის გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად ეს ქალაქებიც განთავისუფლებულ იქნა. 1920 წლის 10 იანვარს ი. ბ. სტალინი ატყობინებდა ვ. ი. ლენინს:

„7 იანვარს ღამით ბუდიონის ცხენოსანი ჯარის ნაწილები სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შეიჭრნენ როსტოვსა და ნოვოჩერკასკში, თანაც როსტოვის მისადგომებზე ხელთ იგდეს 11.000 ტყვე, 7 ტანკი, 33 ქვემეხი, 170 ტყვიამფრქვევი. 8 იანვარს ქუჩის ბრძოლები წარმოებდა როსტოვის სამხრეთ გარეუბნებში. ნადავლის დათვლა გრძელდება“[3].

როსტოვის განთავისუფლების შემდეგ გაიშალა წითელი არმიის გმირული შეტევა ჩრდილო კავკასიაში. პარტიზანული რაზმების

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4. გვ. 309.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 320.
[3] გაზ. „პრავდა“, № 8 (6254), 8 იანვარი, 1935 წ.

აქტიური მოქმედებით კავკასიის მშრომელთა ერთსულოვანი მხარდაჭერის შედეგად საბჭოთა არმიის ნაწილებმა, რომელსაც სათავეში ს. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი ედგნენ, შეძლეს დენიკინელთა ამ უკანასკნელი თავშესაფრის დაკავება. 1920 წლის 30 აპრილს მაგ. დაიკავეს კავკასი. მთელ ჩრდილო კავკასიასა და დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა.

საშინაო ფრონტზე წითელი არმიის უდიდეს გამარჯვებათა შემდეგ კონტრრევოლუციურ მთავრობათა უღლისა და დასავლეთის იმპერიალისტთა თარეშისაგან განთავისუფლების რეალური შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდნენ ამიერკავკასიის მშრომელები.

ამიერკავკასიაში ინასკვებოდა კვანძი კონტრრევოლუციისა და რევოლუციის ძალთა გადამწყვეტი შეჯახებისა. მაშინ როცა, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის მარიონეტული მთავრობანი იმპერიალისტთა ხიშტებით უპირისპირდებოდნენ რევოლუციას, ცხადია, ამიერკავკასიის მშრომელებს მოძმე რუსეთის გმირული წითელი არმია ესახებოდათ როგორც გადამწყვეტი დამხმარე ძალა. ეს ძალა ახლა ამიერკავკასიის საზღვართან იდგა. საჭირო იყო ხელსაყრელი ვითარების მაქსიმალური გამოყენება. კომუნისტური შეუპოვრობა და პრინციპულობა ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმაში.

ითვალისწინებდა რა ამ მდგომარეობას, კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რკპ (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტში სტრუქტურული ცვლილების შესახებ. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიუროს გადაწყვეტილებით 1920 წლის 2 აპრილს შეიქმნა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ლენინისა და სტალინის უახლოესი თანამებრძოლები, საომარ-ალაქო ომის ფრონტზე ნაცადი მხედართმთავრები ს. ორჯონიკიძე და ს. კიროვი.

რა ამოცანები იქნა დასახული რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წინაშე? ს. ორჯონიკიძე კავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში 1921 წ. 12 აგვისტოს შემდეგს მიუთითებდა:

„როდესაც წითელი არმია შევიდა ჩრდილოეთ კავკასიის საზღვრებში, რკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შექმნილ იქნა ცენტრალური კომიტეტის რწმუნებიანი წარმომადგენლობა კავბიუროს სახით კავკასიის პარტიული ორგანიზაციების სახელმძღვანელოდ.

რკპ ცენტრალური კომიტეტის კავბიურომ თავის ძირითად და

მთავარ ამოცანებად დაისახა შემდეგი: 1) კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და განმტკიცება და მტკიცე კომუნისტური პარტიის შექმნა, 2) ნაციონალური მშვიდობის დამყარება და შენარჩუნება. 3) სამიწათმოქმედო საკითხის გადაჭრა, 4) არმიის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება; 5. კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანება ურთიერთ შორის და რსფსრ-სთან ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის შენარჩუნებით და 6. ყოველმხრივი დახმარება მეზობელი კომუნისტური პარტიებისა და რევოლუციური მოძრაობისადმი აღმოსავლეთში"[1].

ამ ამოცანათაგან, ცხადია, პირველსა და მთავარს, ჩრდილო კავკასიის განთავისუფლების შემდეგ, წარმოადგენდა ამიერკავკასიის მშრომელებისადმი ძმური დახმარება, რომლებიც გმირულ ბრძოლებს ეწეოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

ბურჟუაზიულ-მემამულური მუსავატური მთავრობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად აზერბაიჯანის მშრომელთა გმირული ბრძოლის ორგანიზაციასა და გამარჯვებით დაგვირგვინებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აზერბაიჯანის კპ (ბ) I ყრილობას, რომელიც 1920 წლის თებერვალში შეიკრიბა ბაქოში. ყრილობამ დღის წესრიგში დააყენა კონტრრევოლუციური მთავრობის დასამხობად აჯანყების მომზადება და დასახა კიდეც კონკრეტული პროგრამა გამარჯვებისათვის. ყრილობამ მემამულურ-კაპიტალისტური პარტიების პარპაშის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელებს.

ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის სამხედრო სექცია პრაქტიკულად შეუდგა აჯანყებისათვის სამზადისს. აზერბაიჯანის სოფლებში, რომლებსაც გლეხური რევოლუციის ხანძარი ჰქონდა მოდებული, იგზავნებოდა გამოცდილი პირები, იქმნებოდა მებრძოლი რაზმები, მიმდინარეობდა იარაღის შეყიდვა. ამ სამზადისზე ნათლად მეტყველებს ის წერილი, რომელიც ბაქოელმა ბოლშევიკებმა ს. მ. კიროვს გაუგზავნეს:

„ჩვენი გეგმა ასეთია,—წერდნენ ისინი,—ვაძლიერებთ სამხედრო სექციის მუშაობას, რისთვისაც არალეგალურად ვრაზმავთ მებრძოლ ძალებს და ლოდინის მდგომარეობას ვიღებთ. ჩვენი ყველა გამოსვლა უფარდდება ასტრახანიდან შემოტევას, ურომლისოდაც ვერ წარმოგვიდგენია ჩვენი გამოსვლა... ჩვენი ძალები მარტო ქალაქ ბაქოში 20—30 ათას შეიარაღებულ კაცს აღწევს. მუღანის ველზე არის 8—10 ათასი შეიარაღებული ძალა. დაღისტანში ძლი-

[1] Г. К. Орджоникидзе, Избранные статьи и речи, ОГИЗ, 1939, გვ. 113.

ერი სახალხო მოძრაობაა დენიკინის წინააღმდეგ. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობენ ჩვენი მთიელი ამხანაგები. ელიზავეტპოლის გუბერნიის მოსახლეობა განწყობილია რევოლუციურად. ასეთივე განწყობილება იგრძნობა ბაქოს გუბერნიის მოსახლეობაში. გადატრიალების შემთხვევაში ეს ძალები ჩვენს მხარეზე იქნებიან. ჩვენ... გქავს 2.500 შაშხანა, ვაზნები, ბომბები, რევოლვერები და სხვ.

გელოდებით მოუთმენლად.

...ჩვენი გამარჯვების ჟამი, მიუხედავად დღეანდელი ჩვენი მძიმე მდგომარეობისა, ახლოსაა".

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიურო აზერბაიჯანის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს უშუალო ოპერატიულ დახმარებას უწევდა აჯანყების ორგანიზაციაში. კავბიუროს საჭიროდ მიაჩნდა აზერბაიჯანის საზღვრებთან წითელი არმიის ნაწილების მიყვანა, რათა საჭირო შემთხვევაში ძმური დახმარება აღმოეჩინათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი აზერბაიჯანელი მშრომელებისათვის. ეს დახმარება აუცილებელი იყო, რადგან აზერბაიჯანის მუსავატური ხელისუფლება თავისი ქვეყნის მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისათვის ხელს უწვდიდა დასავლეთის იმპერიალისტებს. ეს დახმარება საჭირო იყო კიდევ იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინათ ხანგრძლივი სამოქალაქო ომი და ზედმეტი სისხლისღვრა. ს. მ. კიროვი, რომელიც ამ დროს XI არმიას ხელმძღვანელობდა და ასტრახანს ათავისუფლებდა, უშუალოდ იყო დაკავშირებული აზერბაიჯანის ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობასთან და აძლევდა მას სახელმძღვანელო დირექტივებს ყოველდღიური მოქმედებისათვის. 1920 წლის 9 მარტს მიქოიანისადმი გაგზავნილ წერილში კიროვი მიუთითებდა:

„...მოაწყვეთ რეგულარული კავშირი რაზმებით, გაძლიერებით ამზადეთ რაზმები XI არმიასთან ერთობლივი მოქმედებისათვის, რომლის დაწყების დრო წინასწარ გვაცნობეთ.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ხიდების მოსპობის მომზადებას, რათა მოწინააღმდეგეს ჯავშნიანი მატარებლების წაყვანის საშუალება არ მიეცეს... და საერთოდ დაღესტან-ბაქოს რაიონის მომზადებას სამხედრო მხრივ. გააძლიერეთ დაზვერვა... ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს ვიცოდეთ მოწინააღმდეგის თავმოყრა, საწყობების, ზურგის დაწესებულებათა განლაგება. ჩვენი რაზმების ყველა სერიოზული მოქმედება მოწინააღმდეგის ზურგში შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ჩვენი უახლოესი სარდლობის ნებართვით. ეს საჭიროა ჩვენი სამხედრო მოქმედების შეთანხმებისა და რაზმების

ნაწილ-ნაწილ დამარცხების თავიდან აცილების მიზნით... აუცილებელია მთელი ძალები გამოვიყენოთ რეგულარული კავშირის შესანარჩუნებლად ზღვაზე, რათა საჭირო მომენტში შეგვეძლოს ზუსტი დავალებანი მოგცეთ თქვენ ფრონტის საერთო ამოცანებთან დაკავშირებით".

გმირული XI არმიის მიერ ჩრდილო კავკასიის განთავისუფლების შემდეგ აზერბაიჯანელმა ბოლშევიკებმა მისცეს აჯანყების დაწყების ნიშანი. 28 აპრილს ღამით. აჯანყების დროშა აფრიალდა. ბაქოს პროლეტარიატმა გმირული შეტევით შეძლო მუსავატური ხელისუფლების ჯარებისათვის ხელიდან გამოეგლიჯა ქალაქის საკომანდო პუნქტები. შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც სათავეში ჩაუდგა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გაჩაღებულ ბრძოლას.

მუსავატური მთავრობა შეუდგა აჯანყებისათვის სისხლიანი ანგარიშგასწორებისათვის მზადებას. ეშინოდა რა საკუთარი მუშებისა და გლეხებისა, საკუთარი არმიისა, მუსავატურ-კონტრრევოლუციური ბანდა ამყამადაც ბატონობის შენარჩუნებას ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების დახმარებით აპირებდა. გრძნობდა რა მუსავატური მთავრობის ამ მუხანათურ განზრახვას, სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა გადაწყვიტა დახმარებისათვის მიემართა მოძმე საბჭოთა რუსეთისა და მისი გმირული არმიისათვის.

სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მიმართვა იუწყებოდა:

„ყველას, ყველას, ყველას!

მოსკოვი, ლენინს.

აზერბაიჯანის საბჭოთა დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროებითი სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, რომელიც ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა ქ. ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატისა და აზერბაიჯანის მშრომელი გლეხობის ნება-სურვილით, აცხადებს რა ძველ მუსავატურ მთავრობას ხალხის მოღალატეებად და ქვეყნის დამოუკიდებლობის მტრებად, სწყვეტს ყოველგვარ ურთიერთობას ანტანტასთან და საბჭოთა რუსეთის სხვა მტრებთან.

აზერბაიჯანის დროებითი რევოლუციური კომიტეტი, რომელსაც შესაძლებლობა არ აქვს საკუთარი ძალებით შეაკავოს შინაური და გარეშე კონტრრევოლუციის შეერთებული ბანდების მოწოლა, წინადადებას აძლევს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას ძმური კავშირი შეჰკრას მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის და სთხოვს მას დაუყოვნებლივ

ალმოუჩინოს რეალური დახმარება წითელი არმიის რაზმების ჰოგზავნის გზით"[1].

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უყოყმანებლებოდ არ დატოვა ბაქოელი ბოლშევიკების სამართლიანი მოთხოვნა. წინადადება მიეცათ ს. ორჯონიკიძესა და ს. კიროვს დაეძრათ აჯანყებული აზერბაიჯანელი მშრომელების დასახმარებლად XI არმიის ნაწილები. აზერბაიჯანის მშრომელებისადმი წითელი არმიის მხარდაჭერამ შესაძლებელი გახადა აზერბაიჯანის მუსავატური მთავრობის დამხობა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ამრიგად, აზერბაიჯანის მშრომელებმა დიდი ოქტომბრის მოწინაპოვარი დაიმკვიდრეს დიდი რუსი ხალხისა და მისი პირმშოს—წითელი არმიის ძმური დახმარებით. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია, მისი მებრძოლი შტაბი ჩრდილო და ამიერკავკასიაში—რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით.

1920 წლის 28 აპრილს უკვე ჩამოყალიბდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მიესალმებოდა რა ამ დიდ ისტორიულ მოვლენას აზერბაიჯანელი ხალხის ცხოვრებაში, ვ. ი. ლენინი 1920 წლის 9 მაისის თარიღით აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის სახელზე წერდა:

„სახკომსაბჭო მიესალმება დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მშრომელი მასების განთავისუფლებას და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ თავისი საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკა რსფსრ-სთან ერთად დაიცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მოსისხლე მტრისაგან—იმპერიალიზმისაგან.

გაუმარჯოს აზერბაიჯანის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს აზერბაიჯანის მუშებსა და გლეხებს!

გაუმარჯოს აზერბაიჯანისა და რუსეთის მუშათა და გლეხთა კავშირს!

---

[1] „უწყებები აზერბაიჯანის დროებითი რევოლუციური კომიტეტისა", № 1, 29 აპრილი, 1920, გვ. 1.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი) 1920 წ. 5 მაისი[1].

აზერბაიჯანის კონტრრევოლუციურმა მმართველმა ხროვამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მენშევიკურ საქართველოს შეაფარა თავი. ანტანტის იმპერიალიზმი ჩუმად ლესავდა მახვილს. ასეთ პირობებში საჭირო იყო დაუყოვნებლივი ზომების მიღება მოპოვებული გამარჯვების შესანარჩუნებლად. აზერბაიჯანის მშრომელები პრაქტიკული გამოცდილებით უკვე დარწმუნებული იყვნენ, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ჭეშმარიტად აინტერესებს აზერბაიჯანის ხალხის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, საბჭოთა ქვეყანაა. ცხადია, მემამულეებისა და კაპიტალისტების, დასავლეთის იმპერიალისტებისა და მათი ამიერკავკასიელი აგენტების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა აზერბაიჯანი უნდა დაყრდნობოდა რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკასთან კავშირსა და დახმარებას. ეს კავშირი შეიკრა კიდეც 1920 წლის სექტემბერში. სამოკავშირეო ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ ორივე რესპუბლიკის მთავრობანი უმოკლეს ვადაში გაატარებენ სამხედრო ორგანიზაციებისა და სამხედრო სარდლობის გაერთიანებას, სახალხო მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის ორგანოების გაერთიანებას, მომარაგების, რკინიგზის და სამდინარო ტრანსპორტის, ფოსტა-ტელეგრაფის უწყებათა, ფინანსების გაერთიანებას. ეს იყო საბჭოთა აზერბაიჯანისათვის გაწეული უდიდესი დახმარება, თავისი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნისათვის მებრძოლი აზერბაიჯანელი ხალხის ძალა და იმედი.

აზერბაიჯანის ბოლშევიკური ორგანიზაციების ღონისძიებებს ქვეყნის საბჭოთა რელსებზე მტკიცედ დაყენებისათვის ართულებდა ის მკვეთრი განსხვავება ეკონომიურ ცხოვრებასა და შეგნებაში, რომლითაც ხასიათდებოდა, ერთი მხრივ, მსხვილი სამრეწველო ცენტრი ბაქო და, მეორე მხრივ, უაღრესად ჩამორჩენილი, ნახევრად პატრიარქალურ დონეზე მდგარი აზერბაიჯანული სოფლები. მიუთითებდა რა ბაქოსა და აზერბაიჯანულ სოფლებს შორის დიდ სხვაობაზე განვითარების მხრივ, ი. ბ. სტალინი პარტიის X ყრილობაზე აღნიშნავდა: „ბაქო აზერბაიჯანის წიაღიდან კი არ წარმოშობილა, არამედ ზევიდანაა დაშენებული ნობელის, როტშილდის, ვიშაუს და სხვ. ღონისძიებებით. რაც შეეხება თვით აზერბაიჯანს, ის ყველაზე ჩამორჩენილი პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერ-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 152.

ობის ქვეყანას წარმოადგენს. ამიტომ საერთოდ აზერბაიჯანს მე ვაკუთვნებ იმ განაპირა მხარეთა ჯგუფს, რომელთაც კაპიტალიზმი არ გაუვლიათ და რომელთაც აუცილებლად უნდა შეეუფარდოთ თავისებური მეთოდები, რათა ეს განაპირა მხარეები საბჭოთა მეურნეობის კალაპოტში მოვაქციოთ"[1].

ს. მ. კიროვი ბაქოს საერთო საქალაქო პარტკონფერენციაზე 1920 წლის 5 მაისს გაკეთებულ მოხსენებაში მიუთითებდა, რომ რევოლუცია, რომელმაც ბურჟუაზიული წყობილების საფუძვლები შეარყია, არსებითად ჯერ კიდევ არ მომხდარა, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობის მასები მხოლოდ გაბრუებული არიან იმით, რაც მოხდა. საჭიროა ძალღონის ყოველმხრივ დაძაბვა, რათა მასების აქტიურობა გამოვიწვიოთ და ქმედითი გავხადოთო[2].

ასეთ რთულ პირობებში საჭირო იყო მეტად მოქნილი პოლიტიკა. კავკასიის ბიუროს პოლიტიკურ ანგარიშში ს. ორჯონიკიძე, განსაზღვრავდა რა აზერბაიჯანის ბოლშევიკების წინაშე მდგარ ამოცანებს, ამბობდა: „პარტიის წინაშე იდგა საკითხი ისეთი მოქნილი პოლიტიკის გამომუშავებისა, რომელიც გლეხურ მასებს შთააგონებდა ბაქოს პროლეტარიატის მიერ მათზე იდეური ხელმძღვანელობის აუცილებლობას.

საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილით მოვკიდებოდით აზერბაიჯანის გლეხობის რელიგიურ და საყოფაცხოვრებო პირობებს..."[3]

საჭირო იყო გლეხურ მასებზე პროლეტარიატის ჰეგემონიის მექანიკური მეთოდების უკუგდება, ფართო გლეხური მასების ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში პროლეტარიატის იდეური და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ქვეშ.

ასეთ პოლიტიკას წარმატებით ახორციელებდა კავბიურო; სოფლად აგრარული რეფორმის გატარებამ, რომლითაც მიწა ჩამოერთვათ ბეგებსა და აღალარებს და უსასყიდლოდ გადაეცა ღარიბ გლეხობას, გლეხობაში გაფანტა პირველი ეჭვები საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, გაზარდა მათი შრომითი დაინტერესება. ქვეყნის მმართველობაში წინათ უუფლებო მოსახლეობის ჩაბმამ გააღვიძა მათში საუკუნეებით ჩაკლული შემოქმედებითი ენერგია. „პარტია და წითელი არმია მოვიდა გლეხობის დასახმარებლად, განდევნა მემამულეები და მთელი მათი ქონება გლეხობას გადას-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 50.

[2] С. М. Киров. Избранные статьи и речи, ОГИЗ, 1939. гг. 143.

[3] Г. К. Орджоникидзе, Избранные статьи и речи, гг. 116.

ცა. და მხოლოდ მაშინ დარწმუნდა გლეხობა, რომ ძველი წყობილების აღსასრული დადგა. თუ იმ წელს ბევრი მინდორი დაუთესავი და აუღებელი დარჩა, ხოლო გლეხობა ჯერ კიდევ ვერ გრძნობდა თავის თავს მტკიცედ და ერთადერთ უფროსად, სამაგიეროდ ამ წელს მან მთელი მიწა დათესაო"—მიუთითებდა ს. ორჯონიკიძე 1921 წლის 12 ავგისტოს მოხსენებაში.

ბაქოს პროლეტარულმა ხელისუფლებამ ნავთის სარეწაოები ჩამოართვა კაპიტალისტებს და მუშათა კლასს გადასცა.

ბაქოს ნავთის უშრეტი წყარო, რომელიც აქამდე მუსავატური მთავრობის გამყიდველური პოლიტიკის შედეგად დასავლეთის იმპერიალიზმს ამარაგებდა სათბობით და საწვავით სოციალიზმის ციტადელის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიერიდან სოციალისტური რუსეთის სამხედრო-ეკონომიური განმტკიცების სამსახურში ჩადგა.

1920 წლის ნოემბერში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ბაქოში ჩავიდა ი. ბ. სტალინი. 7 ნოემბერს—დიდი სოციალისტური რევოლუციის III წლისთავზე ბაქოს საბჭოს საზეიმო პლენუმზე სტალინი გამოვიდა თავისი ცნობილი მოხსენებით — „პროლეტარიატის დიქტატურის სამი წელი". აქ ი. ბ. სტალინმა მოხაზა 3 წლის მანძილზე პროლეტარიატის დიქტატურის მიერ ჩატარებული მუშაობა იმპერიალისტური ინტერვენციისაგან საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისა და მისი შინაგანი ეკონომიური განმტკიცების დარგში და დასახა ნათელი პერსპექტივები. ბაქოში ყოფნისას სტალინი უშუალო მონაწილეობას იღებდა კავბიუროს ბაქოს ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში, აძლევდა მათ კონკრეტულ მითითებებს. ამ მითითებებმა დიდი როლი შეასრულეს ამიერკავკასიაში პროლეტარული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში.

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება წარმოადგენდა მხოლოდ პირველ ნაბიჯს ანტანტის კლანჭებიდან ამიერკავკასიის გამოტაცების საქმეში.

როგორც ცნობილია, იმპერიალისტურმა ანტანტამ საბჭოთა რუსეთზე ორგზის კომბინირებული ლაშქრობის დამარცხების შემდეგ შესამედ სცადა შეტევა. ამჟამად მან რუსეთს პანური პოლო-

ნეთი და ერანგელის თეთრგვარდიული არმია ძიუსია. მაგრამ საბჭოთა სახელმწიფოსათვის ანტანტის მესამე ლაშქრობის მოგერიება და დამარცხება უფრო იოლი აღმოჩნდა. პოლონელი ჯარების თავდასხმის პასუხად საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს კონტრშეტევა მთელ ფრონტზე, განდევნეს პოლონელი პანები უკრაინიდან და ბელორუსიიდან, მიაღწიეს ლვოვის ბჭემდე და ვარშავამდე.

იმ დროს, როცა საბჭოთა ნაწილების მეოგარი შეტევის შედეგად პოლონელი პანები სასტიკ დამარცხებას განიცდიდნენ, ანტანტის იმპერიალისტებმა გადაწყვიტეს საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ახალი ფრონტი გაეხსნათ. მათ აგრეთვე განიზრახეს ამიერკავკასიაში ახალი ომის პროვოცირება, რათა ამით საბჭოთა რუსეთის ყურადღება პოლონეთის ფრონტისაგან ჩამოეცილებინათ.

ამიერკავკასიის დაკარგვას ასე ადვილად ანტანტის იმპერიალისტები ვერ შეურიგდებოდნენ. დენიკინის დამარცხებამ, ჩრდილო კავკასიაში, დაღესტანსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ კი ისინი ამ საფრთხის წინაშე დააყენა. ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის მმართველი წრეები და მათი აგენტები ამიერკავკასიაში ისევ ამოძრავდნენ. ი .ბ. სტალინი აღნიშნავს: „აზერბაიჯანის განთავისუფლებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ანტანტის პოზიცია კავკასიაში. ანტანტის წინააღმდეგ თურქეთის ბრძოლამ იგივე შედეგები გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ანტანტა გულს არ იტეხს და კავკასიაში თავის ქსელსა ქსოვს.

თბილისის გადაქცევა კონტრრევოლუციური მუშაობის ბაზად; აზერბაიჯანის, დაღისტნისა და თერგის ოლქის მთიელთა ბურჟუაზიული მთავრობების ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, ანტანტის სახსრებითა და ბურჟუაზიული საქართველოს დახმარებით; ქემალისტებთან ლაციცი და თურქეთის პროტექტორატით კავკასიის ხალხთა ფედერაციის იდეების ქადაგება; სპარსეთში სამინისტროების ოთურმა, რასაც ანტანტა აწყობს, და სპარსეთის ავსება სიპაებით.— ყოველივე ეს და მრავალი ამგვარი რამ იმას მოწმობს, რომ ანტანტის ბებერი მგლები არ თვლემენ. უეჭველია, ანტანტის აგენტების მუშაობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა და ციებცხელების ხასიათი მიიღო ერანგელის განადგურების შემდეგ"[1].

ანტანტის ლაშქრობათა განადგურებამ, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ დაშნაკური სომხეთის მესვეურები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. სომხეთის მშრომელებს, რომლებიც კონტრრევოლუციური დაშნაკებისა და მათ მიერ მოწვეული

---

[1] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 4. გვ. 144—145.

დასავლეთელი ინტერვენტების წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ, ახლა გამარჯვების ურყევი რწმენა ჩაენერგათ. საბჭოთა ხელისუფლების ლოზუნგმა მტკიცედ გაიდგა ფესვი მასებში. 1920 წლის საპირველმაისო დემონსტრანტები, რომლებიც დაიწყო მებრძოლი ლოზუნგებით—„ძირს დაშნაკცუტუნი!", „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!", მალე შეიარაღებულ აჯანყებაში გადაიზარდა. აჯანყების ინიციატივა ხელთ აიღო ალექსანდროპოლის — სომხეთის მაშინდელი ყველაზე მსხვილი სამრეწველო ცენტრის— პროლეტარიატმა. 10 მაისს აჯანყებულებმა განდევნეს დაშნაკური ხელისუფალნი და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. ალექსანდროპოლს გამოეხმაურნენ ყარსის, სარიყამიშის, ნორ-ბაიაზეტის, ზანგეზურის, ყაზახ-შამშადინის მშრომელები. ყველგან დაიწყო ძველი ხელისუფლების მსხვრევა და ძალაუფლების საბჭოებისათვის გადაცემა. მაგრამ სომხეთის სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მთელი რიგი ტაქტიკური შეცდომები დაუშვა. სომხეთის დედაქალაქი ერევანი და მისი ახლომახლო რაიონები დაშნაკებს დარჩათ. დაშნაკებმა შეძლეს სულისმოთქმა და ამერიკა-ინგლისის საინტერვენციო ჯარების დახმარებით საბჭოთა რაიონებზე შეტევა დაიწყეს. რევკომში შეპარულმა გამცემლებმა მოადუნეს მასების სიფხიზლე, ღალატი ჩაიდინეს რევოლუციის წინაშე და ამით დაშნაკებს შესაძლებლობა მისცეს ჩაექრით აჯანყება.

სომხეთის მშრომელთა პირველი იერიში დაშნაკურმა მთავრობამ მოიგერია, მაგრამ იგი ტახტის საძირკვლებს შერყეულად თვლიდა. მათი ერთადერთი მხსნელი—ეს იყო ანტანტა, რომელიც დაშნაკებს უხვ დაპირებას სთავაზობდა. მაგრამ ახლა თვით ანტანტას აღარ სჯეროდა დაშნაკური მთავრობის სიმტკიცის და მის დაცემას ყოველდღე ელოდა. ასეთ ვითარებაში იმპერიალისტებისათვის უფრო საიმედო ძალა აღმოჩნდა თურქეთი, რომელსაც სომხეთის ოკუპაცია უნდა მოეხდინა. დაშნაკურ მთავრობასა და ქემალისტურ თურქეთს შორის ომის გაჩაღება, ანტანტის პოლიტიკოსების გარანტიით, საბჭოთა ჯარებს, იქნებ ამიერ პოლონეთის ფრონტს და ვრანგელს შეება მისცემოდა. ამავე დროს ანტანტას ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაშნაკურ ბარიერზე უფრო საიმედოდ მიაჩნდა თურქეთის ბარიერი. ომის პროვოცირების მიზნით დასავლეთის იმპერიალისტები ფარულად, ორივე მეომარ მხარეს — თურქეთსაც და დაშნაკურ სომხეთსაც — დახმარებას პირდებოდნენ. დაშნაკურმა მთავრობამ, ამ დახმარების რომ სჯეროდა, სომეხი ხალხი 1920 წლის აგვისტოში

თურქეთის წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ომში ჩაება.

თურქეთის ჯარებმა, რომლებიც სექტემბრის ბოლოს შეტევაზე გადავიდნენ, ადვილად გატეხეს დაშნაკური ჯარების წინააღმდეგობა და დაიკავეს სარიყამიში, მერდენეკი. ქემალისტები ამ ომში მიზნად ისახავდნენ თავიანთი დამპყრობლური, პანთურქისტული ყაჩაღური გეგმის განხორციელებას. მათ მთელი ამიერკავკასიის მიტაცება სურდათ, იმედს პანერ პოლონეთსა და ვრანგელზე ამყარებდნენ. მაგრამ ვინაიდან ვერც პილსუდსკის არმიამ, ვერც გენერალმა ვრანგელმა წარმატება ვერ მოიპოვეს, ხოლო საბჭოთა ჯარები კავკასიაში გაცილებით ძლიერი და ბრძოლისუნარიანი იყვნენ, ვიდრე თურქეთისა, ქემალისტებმა ვერ გაბედეს შეტევის ღრმად განვითარება.

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ამ ომში უდანაშაულო სომეხი ხალხის სისხლისღვრის, ანტანტის ფარული ზრახვებისა და თურქი იმპერიალისტების ყაჩაღური გეგმის განხორციელების მეტს არაფერს არ ხედავდა, საკითხის მშვიდობიანად გადასაწყვეტად სომხეთის დაშნაკურ მთავრობას რეალური დახმარება შესთავაზა.

საბჭოთა რესპუბლიკის რწმუნებულმა სომხეთის წარმომადგენელს ოქტომბერში, თბილისში, გადასცა პროექტი ხელშეკრულებისა, სადაც შემდეგი იყო ნათქვამი: „სომხეთის რესპუბლიკა, გამონდინარეობს რა თურქეთის სომხეთის ოლქში,—იმ რაიონებში, სადაც დასახლებულია სომხები, თურქეთის დიდ ნაციონალურ კრებასთან სადავო ტერიტორიული საკითხების მეგობრული და მშვიდი გადაჭრის მისწრაფებებიდან, მზად არის მიიღოს ამ საკითხების გადაწყვეტაში რსფსრ შუამავლობა იმ პირობით: 1. რომ თურქეთის დიდი ნაციონალური კრების მთავრობა ნათელი და განსაზღვრული ფორმით დაუყოვნებლივ დაადასტურებს თავის თანხმობას რსფსრ შუამავლობაზე ამ საკითხების გადაწყვეტაში; 2. რომ ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტაში თურქეთის დიდი ნაციონალური კრება პრეტენზიას არ განაცხადებს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების და ბათუმის კონფერენციის დებულებათა რაიმე ვალდებულებაზე. 3. რომ თურქეთის დიდი ნაციონალური კრება უსიტყვოდ იცნობს სომხეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, რომელიც განსაზღვრული იქნება საბჭოთა რუსეთსა და სომხეთის სამშვიდობო ხელშეკრულებით. რაც შეეხება საფუძვლებს, რომლებიც მიღებული იქნება სომხეთისა და თურქეთის ტერიტორიული გამიჯვნის საკითხების გადაწყვეტის დროს, ისინი დადგინდება ამ საკითხ-

ზე სომხეთისა და თურქეთის მხრივ დამატებით წინადადებათა გაცვლით რსფსრ მთავრობის შუამავლობით"[1].

მაგრამ საბჭოთა მთავრობის ეს წინადადება, რომლის მიღებიმის შეწყვეტის ყველაზე საუკეთესო საშუალება იქნებოდა, დაშნაკურმა მთავრობამ უარყო. სამაგიეროდ დაშნაკებმა თბილისშიმყოფი თავიანთი რწმუნებულის ბეკზადიანის პირით მოლაპარაკება დაიწყეს მენშევიკურ საქართველოსთან. ცხადი გახდა დაშნაკების ვერაგული ზრახვები: მათ ერჩიათ თურქი იმპერიალისტების კლასობრივი მოკავშირეების ბატონობა თავიანთ ქვეყანაში, ვიდრე საბჭოთა რუსეთთან კავშირი. ეს ზრახვები ნათლად გამოსჩვივის ბეკზადიანის იმ პასუხში, რომელიც მან გასცა მენშევიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მიერ დასმულ კითხვაზე იმის შესახებ, თუ ვის წინააღმდეგ სურთ მათ მენშევიკებთან კავშირი—თურქეთის თუ რუსეთის წინააღმდეგ, თუ ორთავეს წინააღმდეგ ერთად. „სამხედრო მინისტრმა საკითხი დასვა გარკვევით — კავშირი ბოლშევიკების წინააღმდეგ"-ო[2] — მიუთითებდა ბეკზადიანი.

მაგრამ საბჭოთა მთავრობა მაინც განაგრძობდა მოლაპარაკებას. საბჭოთა მისია ოქტომბერში თბილისიდან ერევანში გაემგზავრა. ამავე დროს საბჭოთა მთავრობის საქართველოს რწმუნებულთან არსებულმა პრესის ბიურომ რადიოთი განაცხადა, რომ სომხეთის საზღვარზე თურქეთის შეტევა არავითარ შემთხვევაში დაკავშირებული არ ყოფილა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკასთან „...საბჭოთა რუსეთი გამსჭვალულია სომეხი ხალხისადმი ყველაზე მხურვალე გრძნობებით და მას გულწრფელად სურს უკეთესი მომავლისაკენ წარმართოს იგი და ახლო-აღმოსავლეთს მისცეს მტკიცე ზავი"[3].

საბჭოთა მისიამ ვერც ერევანში მიაღწია დაშნაკურ მთავრობასთან შეთანხმებას. ქემალისტური თურქეთი კი, დაშნაკების ბეცური პოლიტიკითა და ანტანტის დახმარებით გათამამებული, კვლავ შეტევას განაგრძობდა. დაშნაკებს არ ჰყავდათ არმია, მაუზერისტები უფრო მეტად დახელოვნებული იყვნენ სომხეთის მშრომელთა ძარცვაში, ვიდრე ნაციონალური მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. თვით დაშნაკური ხელისუფლება დანაშაულებრივ უმოქმედობას იჩენდა

---

[1] საქართ. სსრ ოქტ. რევოლუციის ცენტრ. სახ. არქივი. ფონდი 23. საქმე № 6, გვ 159.

[2] მარქს - ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქ ფილიალი 2. საქმე 354. ფ. 82

[3] საქ სსრ ოქტომბრის რევ. ცენტ. სახ. არქივი. ფ. 23, საქმე 6, გვ. 179.

თავდაცვითი ორგანიზაციის საქმეში[1]. თურქები კი თავდათან ძიძგრებოდნენ ქვეყნის სიღრმეში. მათ დაიკავეს ყარსი, ალექსანდროპოლი და დაემუქრნენ ერევანს.

ასე გაყიდეს დაშნაკებმა სომხეთი და ხელში ჩაუგდეს იგი თურქეთის იმპერიალისტებს. „...დაშნაკური სომხეთი დაეცა, — მიუთითებდა ი. ბ. სტალინი,—უეჭველია, როგორც მსხვერპლი ანტანტის პროვოკაციისა, რომელმაც იგი თურქეთს მიუსია და შემდეგ სამარცხვინოდ მიუტოვა თურქებს საჯიჯგნად. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ სომხეთს არ დარჩენია ხსნის არავითარი შესაძლებლობა, გარდა ერთისა: საბჭოთა რუსეთთან კავშირისა. ეს გარემოება, ეჭვი არ არის, გაკვეთილი იქნება ყველა ხალხისათვის, რომელთა ბურჟუაზიული მთავრობები არ იშლიან მონურად ქედის მოხრას ანტანტის წინაშე, და უწინარეს ყოვლისა,—საქართველოსათვის[2]“.

მართლაც, სომხეთის მშრომელებს, რომელთაც ევროპისა და თვით სომხეთის ბურჟუაზიულ მთავრობათაგან სისხლის წოვის, გაყიდვისა და ებუჩად აგდების მეტი არაფერი უნახავთ, მხოლოდ ერთი გზა, დაუყოვნებლივი აჯანყებისა და საბჭოთა რუსეთისათვის დახმარების თხოვის გზა ჰქონდათ დარჩენილი. სხვა შემთხვევაში მას ამოწყვეტა, გადაშენება ელოდა.

სომხეთის ბოლშევიკებმა მშრომელებს გადამწყვეტი იერიშისკენ მოუწოდეს. დაიწყო აჯანყება. რევოლუციურმა კომიტეტმა გამოიყენა მაისის გაკვეთილები. საბჭოთა არმიას რევკომმა დახმარება სთხოვა. კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კავბიუროს წინადადება მისცა XI არმიის ნაწილებს სომეხი მშრომელებისათვის დახმარება აღმოეჩინათ. 30 ნოემბერს სომხეთის რევკომმა დეპეშით აუწყა ლენინს სომეხი ხალხის ცხოვრებაში ახალი ეპოქის დასაწყისი. საბჭოთა აზერბაიჯანმა საბჭოთა სომხეთთან დაუყოვნებლივ გადაწყვიტა საუკუნეობრივი სადავო საკითხი—ნებაყოფლობით გადასცა სომხეთს ზანგეზურის, ნახჭევანისა და მთიანი ყარაბაღის რაიონები. ერევნის დაშნაკური მთავრობის არმია დადნა. მან შეწყვიტა წინააღმდეგობა. 2 დეკემბერს ს. ორჯონიკიძემ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა დაშნაკური მთავრობის საბოლოო განდევნისა და რევოლუციური კომიტეტის განკარგულებაში სომხეთის ჯარების ნებაყოფლობითი გადასვლის შესახებ.

1920 წლის 29 ნოემბერს ძვური წითელი არმიის ნაწილებთან

---

[1] Куапецова. „Крах турецкой интервенции в Закавказье 1920—1921 г. გვ. 145. Вопросы истории. № 9. 1951 წ.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446.

ერთად სომხეთის მშრომელებმა დაამხეს დაშნაკთა სისხლიანი ბატონობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. საბჭოთა ხელისუფლებამ იხსნა სომეხი ხალხი თურქეთის მონობისაგან[1].

შიუთითებდა რა სომხეთის მშრომელების ხსნის ფაქტზე, ი. ბ. სტალინი თავის მისალმებაში — „გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!" აღნიშნავდა: „განაწამებმა და მრავალტანჯულმა სომხეთმა, რომელსაც ანტანტისა და დაშნაკების წყალობით თავს დაატყდა შიმშილობა, გაღატაკება და ლტოლვილობა,—ყველა «მეგობრის» მიერ მოტყუებულმა სომხეთმა ამჟამად პოვა ხსნა იმაში, რომ თავი საბჭოთა ქვეყნად გამოაცხადა.

ვერც ინგლისის, სომეხთა ინტერესების ამ «საუკუნო დამცველის» ცრუ დაპირებებმა; ვერც ვილსონის ყბადაღებულმა თოთხმეტმა პუნქტმა; ვერც ერთა ლიგის მრავლისაღმთქმელმა დაპირებებმა და მისმა «მანდატმა» სომხეთის მმართველობაზე—ვერ შესძლეს (და არც შეეძლოთ!) ეხსნათ სომხეთი ხოცვა-ჟლეტისა და ფიზიკური მოსპობისაგან. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების იდეამ მოუტანა სომხეთს მშვიდობა და ნაციონალური განახლების შესაძლებლობა...

სომხეთსა და მის გარშემო მცხოვრებ მუსლიმანებს შორის საუკუნო მტრობა გადაწყდა ერთი დაკვრით, სომხეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის მშრომელთა შორის ძმური სოლიდარობის დამყარების გზით"[2].

სომეხი ხალხი თავის ფიზიკურ არსებობას, დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას უმადლის კომუნისტურ პარტიას, დიდ რუს ხალხს, რომელთა ხელმძღვანელობითა და დახმარებით შეძლო მონობის დამსხვრევა და თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრება.

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სომხეთის ბოლშევიკური ორგანიზაციების წინაშე რთული ამოცანები დაისახა. აქაც, ისე როგორც აზერბაიჯანში (თუ არ ჩავთვლით ბა-

---

[1] 25 ნოემბერს ალექსანდროპოლში დაიწყო საბავო მოლაპარაკება დაშნაკებსა და კემალისტებს შორის. თურქეთმა, ცხადია, ანტ ნტის ფარული კარნახით წამოაყენა მეტად მძიმე პირობები. სომხეთი თურქეთის პროტექტორატის ქვეშ ცხადდებოდა (მუხლი 5, 9, 13). ეს ხელშეკრულება სომხეთს ხდიდა იმპერიალისტების საბჭოთა რუსეთზე მომავალი ლაშქრობის პლაცდარმად. მაკრამ, როცა ხელშეკრულების მუხლები უკვე გაფორმდა, სომხეთის ბედის გადაწყვეტას დაშნაკებსა და თურქ იმპერიალისტებს აღარავინ არ კითხავდა. სომეხი ხალხის ინტერესების, უფლებების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცავად იქ იდგა საბჭოთა არმია

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 449—450.

ქოს), არ არსებობდა საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი დასაყრდენი — შეგნებული, ნაწრთობი პროლეტარული ძალა. პროლეტარიატის აბსოლუტური არარსებობა, — მიუთითებს ს. ორჯონიკიძე კავბიუროს პოლიტიკურ ანგარიშში,—თუ არ ჩავთვლით ალექსანდროპოლში რკინიგზის მუშების პატარა ჯგუფს, გლეხური მასების ჩამორჩენილობა—ყველაფერი ეს გვაიძულებდა გაგვეტარებინა მეტად ფრთხილი პოლიტიკა. ამიტომაც რევკომიც შექმნილ იქნა ისეთი ამხანაგებისაგან, რომელთაც დირექტივა მიეცა არ აჩქარებულიყვნენ სომხეთის კომუნიზაციის საქმეში, შეექმნათ სომხეთის სახალხო მთავრობა, არ ჩამოეცილებინათ ინტელიგენციის ფართო წრეები და ა. შ.[1]

სომხეთს, რომელიც დაშნაკთა სამწლიანი თარეშისა და ინტერვენტების მძარცველური პოლიტიკისაგან გაძვალტყავებული იყო და შიმშილისაგან სულს ღაფავდა, საბჭოთა რუსეთმა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით დიდი მატერიალური დახმარება გაუწია. მას მიეცა 1,5 მილიონი მანეთი ოქროთი, მნიშვნელოვანი რაოდენობა თესლისა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები, პროდუქტები და სამრეწველო საქონელი.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაიწყო სომხეთის ძველი სახელმწიფო აპარატის მსხვრევა, მშრომელთა სასიცოცხლო საკითხების დაუყოვნებლივი გადაწყვეტა. ჩატარდა წიაღისეულის, ტყეების, წყლის, ტრანსპორტის, მრეწველობის, ბანკების ნაციონალიზაცია, ღარიბ გლეხებს მიწა უსასყიდლოდ გადაეცათ. ადგილობრივ ორგანოებში ჩაბმულ იქნენ მშრომელი ელემენტები. ხალხის ინიციატივამ ფრთა შეისხა. თავისუფალი ცხოვრების იმედი მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის შეგნებაში. ყოველივე ამან გააორკეცა მათი ენერგია. დაიწყო კომუნისტური შაბათობანი დანგრეული ქალაქებისა და რაიონების აღსადგენად.

მაგრამ დაშნაკური ხროვა ისევ იმედოვნებდა ანტანტის დახმარებით ძველი მდგომარეობის დაბრუნებას. იმპერიალისტურ თურქეთთან დაშნაკური მთავრობის გარიგებას, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში მოხდა, მიზნად ჰქონდა დასახული ერთობლივი ღონისძიებით სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დაემხო და ექსპლოატატორთა ძალაუფლება აღედგინა. 1921 წლის თებერვალში დაშნაკებმა მოაწყვეს კიდეც კონტრრევოლუციური ამბოხება. დროებით ერევანიც კი ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ამავე წლის აპრილის დასაწყისში ერევანში დაშნაკთა ავანტიურა ლიკვიდირებულ იქნა,

---

[1] Г. К. Орджоникидзе, Избр. статьи и речи, გვ. 118.

ხალხი იელიზში დაშნაკები განდევნილი იქნენ ზანგეზურიდანაც.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლება სომხეთში განმტკიცდა. რჩებოდა მენშევიკური საქართველო, სადაც იმპერიალისტური ანტანტა კვლავ თავის ქსელს აბამდა და რომელიც მენშევიკთა სამწლიანი სისხლიანი დიქტატურის შედეგად მიექანებოდა უფსკრულის გზაზე.

* * *

წითელი არმიის მოსვლა საქართველოს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ საზღვრებთან იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის რევოლუციურ ძალებს გვერდში ამოუდგა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში ნაწრთობი ძალა, რომელიც კონტრრევოლუციის უღელქვეშ განაწამები საქართველოს მშრომელებისათვის ძმურ დახმარებას არ დაიშურებდა. გარდა ამისა, მენშევიკებს ხელიდან ეცლებოდათ გარეშე საყრდენი ინგლისელების სახით, რომელნიც დენიკინის მარცხით იძედგაცრუებული საქართველოდან წასვლას იჩქაროდნენ. ანტანტისაგან ჰიტოვებული, შინაგან სიმტკიცეს მოკლებული, ხალხის თვალში გაკოტრებული მენშევიკური მთავრობა აქეთ-იქით აწყდებოდა და გამოსავალს ეძებდა.

მენშევიკების სასოწარკვეთილება კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, როცა ბაქოს პროლეტარიატმა წითელი არმიის დახმარებით, სერგო ორჯონიკიძის, ს. კიროვის, ა. მიქოიანის უშუალო ხელმძღვანელობით, 1920 წლის აპრილ-ნოემბერში დაამხო მუსავატელთა და დაშნაკთა კონტრრევოლუციური სისხლიანი დიქტატურა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

მენშევიკები ხედავდნენ, თუ როგორი სიხარულითა და მბარდაჰერით შეხვდნენ საქართველოს მუშები და გლეხები ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას. მიუხედავად 1919 წლის ოქტომბრის საყოველთაო აჯანყების წარუმატებლობისა, რევოლუციის ძალები არათუ შესუსტდნენ, არამედ უფრო გაიზარდნენ. ამის ნათელი დამადასტურებელი იყო 1920 წლის თბილისის მუშების საპირველმაისო ბოლშევიკური დემონსტრაცია, რომელიც ჩატარდა ლოზუნგით: „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!", „გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!", „მოვითხოვთ დაპატიმრებული ბოლშევიკების განთავისუფლებას!". ბათუმის საპირველმაისო დემონსტრაციაში 10.000-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. მოკლულ იქნა დენიკინელი გენერალი ლიახოვი. ინგლისის საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ შეპყრობილი ბოლშევიკების ჯგუფის დასახსნელად აზიზოვის მოედანზე შეკრებილმა

გრანდიოზულმა მიტინგმ სპეციალური დელეგაცია გაგზავნა ინგლისის სარდლობასთან პატიმარ ბოლშევიკთა გამოთავისუფლების მოთხოვნით. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა.

საქართველოს სოფლებში ბოლშევიკური ეკრედები ხელოვანელობდნენ შეიარაღებული რაზმების შექმნას. მზადდებოდა უფრო ფართო და ორგანიზებული გამოსვლა მენშევიკური ხელისუფლების დასამხობად.

პოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად მენშევიკმა ხელისუფლებმა ახლა საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრა გადაწყვიტეს. საბჭოთა მთავრობა თავიდანვე კარგად იყო დარწმუნებული მენშევიკ პოლიტიკოსთა თაღლითობაში, მაგრამ იგი ამ წინადადების წინააღმდეგი არ წასულა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკა მშვიდობიან ურთიერთობასა და თანამშრომლობას ეყრდნობოდა, მეორეც, ამ ხელშეკრულებით მენშევიკები იძულებული იქნებოდნენ არ გაეტარებინათ საქართველოს ტერიტორიაზე დენიკინის უკანასკნელი და განადგურებული არმიის ნაშთები და ამით საშუალება არ მიეცათ თეთრგვარდიელი გენერლისთვის შეენარჩუნებინა ცოცხალი ძალა.

საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისა და მენშევიკური საქართველოს მთავრობებს შორის დაიდო 1920 წლის 7 მაისს. მენშევიკურმა მთავრობამ ვალდებულება იკისრა ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა რუსეთის კონტრრევოლუციასთან, საქართველოდან განედევნა უცხოელთა სამხედრო ნაწილები, ლეგალური არსებობის უფლება მიეცა ბოლშევიკური პარტიისათვის, გაეთავისუფლებინა ის პირები, რომლებიც კომუნისტური პარტიის სასარგებლო აგიტაციისათვის იყვნენ დაპატიმრებული[1].

ამ ხელშეკრულების ერთგული, ცხადია, მენშევიკები არასოდეს არ ყოფილან. ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან მათ მხოლოდ იმისათვის სჭიროდათ, რომ თავიანთი ბატონობა გაეხანგრძლივებინათ მანამდე, ვიდრე დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთაგან ახალ მფარველს გამონახავდნენ.

რუსეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს შექმნის შემდეგ საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციაში მოხდა სტრუქტურული ცვლილებები. ივნისში იგი გაფორმდა საქართველოს კომუნისტურ პარტიად (ბოლშევიკებისა), შეიქმნა საქართველოს კპ (ბ) დროებითი ცენტრალური კომიტეტი.

Международная политика новейшего времени в договорах и декларациях, ч. III, вып 1, М. 1928 г. гз. 23.

ქართველი კომუნისტები ნათლად ხედავდნენ, რომ საბჭოთა რუსეთთან ზავი მენშევიკური მთავრობის მხრივ იყო თვალთმაქცობა და ისინი თავიანთი მგლური ბუნების გამო მალე ხელშეკრულებას ფარატინა ქაღალდად აქცევდნენ, მაგრამ მხედველობაში იყო მისაღები შემდეგი გარემოება: საზავო ხელშეკრულებამ ბოლშევიკურ ორგანიზაციებს ლეგალური არსებობის შესაძლებლობა მისცა და, ვიდრე მენშევიკები ხელშეკრულების „ერთგული" იქნებოდნენ, ბოლშევიკებს შეეძლოთ ლეგალური არსებობა გამოეყენებინათ ორგანიზაციული გაფართოებისა და განმტკიცებისათვის. მაგრამ ლეგალურ პირობებში შეუძლებელი იყო შეიარაღებულთა აჯანყების პროპაგანდა მასებში და მისი მომზადება. ამას მენშევიკები არ დაუშვებდნენ. ამიტომაც საჭირო შეიქნა მუშაობის ისეთი ფორმების გამონახვა, რომლითაც შენარჩუნებული იქნებოდა პარტიის არალეგალური ბირთვი, როგორც შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციის ხელმძღვანელი ძალა, ამავე დროს ლეგალური მუშაობით მოხერხდებოდა პარტიული უჯრედების რიცხობრივი და ხარისხობრივი ზრდა.

სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტას მიეძღვნა 1920 წლის მაისი. დამლევს თბილისში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის თათბირი, რომელსაც სამაზრო და საქალაქო პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. თათბირმა საჭიროდ ცნო ლეგალური მუშაობის ყველა შესაძლებლობის გამოყენებით ფართო მუშაობის გაჩაღება მუშათა და გლეხთა საბჭოებში, პროფკავშირებში, მუშათა კოოპერატივებში, გლეხთა კავშირებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბჭოთა ხელისუფლების, მეზობელ ხალხებთან თანამშრომლობის, საბჭოთა რუსეთთან სოლიდარობის იდეების პროპაგანდა. ამავე დროს თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება შეენარჩუნებინათ არალეგალური აპარატი და მოხერხებულად შეეხამებინათ იგი ლეგალური მუშაობის ფორმებთან.

თათბირის გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა კომუნისტებმა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში აქტიური მუშაობა გააჩაღეს. საქართველოს კპ (ბ) თბილისის ახლად არჩეულმა კომიტეტმა დაიწყო პარტიის წევრთა ხელახალი აღრიცხვა, დაამტკიცა რაიონული კომიტეტების ახალი შემადგენლობა, ჩაატარა ნაყოფიერი მუშაობა წარმოება-დაწესებულებებში პარტიული უჯრედების აღდგენა-განმტკიცებისათვის. ფართოდ გაჩაღდა პარტიული მუშაობა პროფკავშირებში. არალეგალური „მუშათა ცენტრი" გადაიქცა პროფკავშირთა კომუნისტური ფრაქციების ბიუროდ.

პარტიული საპროპაგანდო და ორგანიზაციული მუშაობის შემ-

დგომი გაფართოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკური გაზეთის გამოცემას. 1920 წლის 3 ივნისს თბილისში ქართულ ენაზე გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური და თბილისის კომიტეტების ორგანო „კომუნისტი". ამ დღიდან გაზეთი „კომუნისტი" განუხრელად ემსახურება ლენინ—სტალინის პარტიის საქმეს, მშრომელთა საქმეს, კომუნიზმის საქმეს.

გამოსვლის დღიდანვე გაზეთმა „კომუნისტმა" გააჩაღა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის იდეების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა. იგი მასების მობილიზაციას ახდენდა ქართველი ხალხის საზიზღარი მტრების—მენშევიკების დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. მიუხედავად დევნისა და შევიწროებისა, „კომუნისტი" ღირსეულად ასრულებდა ქართველი კომუნისტების მებრძოლი თანაშემწის როლს და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა რუსეთმა საქართველოსთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში დანიშნა კავბიუროს წევრი ს. მ. კიროვი—ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანის მშრომელთა განთავისუფლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მგზნებარე ბოლშევიკი და ტრიბუნი. ს. მ. კიროვი თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა კომუნისტური პარტიის ინტერესების დაცვას. იგი თავის გამოსვლებში, მენშევიკური მთავრობისადმი მიმართულ ნოტებში ამხელდა მენშევიკური მთავრობის მიერ შეთითხნილ სიცრუესა და პროვოკაციას საბჭოთა რუსეთის შესახებ. იგი ამავე დროს ყოველმხრივ უწევდა დახმარებას საქართველოს კომუნისტებს, იცავდა მათ მენშევიკების დევნისა და შევიწროებისაგან.

საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების მიუხედავად მენშევიკური მთავრობა განაგრძობდა რუსეთის თეთრგვარდიული კონტრრევოლუციისადმი ფარულ მხარდაჭერას. ვრანგელის არმიას მენშევიკები ამარაგებდნენ იარაღით, ნავთით, საავიაციო ბენზინით. ვრანგელის აგენტები ბათუმსა და თბილისში აგროვებდნენ თეთრგვარდიელ ოფიცრებს და ყირიმში — ვრანგელის მოქმედ არმიაში გზავნიდნენ. ხელშეკრულების ფორმალურად ერთგული მენშევიკური მთავრობა საბჭოთა მთავრობას არწმუნებდა, რომ იგი განახორციელებს ვრანგელის ჯარების ინტერნირებას, თუ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან, მაგრამ ფინამდეილეში საწინააღმდეგოს აკეთებდა. თბილისი წარმოადგენდა აზერ-

ბაიჯანიდან გამოქცეული მუსავატური კონტრრევოლუციის ბუდეს, რომელიც ვრანგელთან და ანტანტის იმპერიალისტებთან შეთანხმებით აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დაცემას ამზადებდა. 1920 წლ. მაისის ბოლოს განჯაში მუსავატელთა მიერ მოწყობილი კონტრრევოლუციური გამოსვლა მომზადებული იყო მენშევიკურ თბილისში. ჩიჩერინი საგარეო საქმეთა კომისარიატის საქმიანობის შესახებ IX პარტიულ ყრილობაზე წაკითხულ ანგარიშში ამბობდა: „საბჭოთა ჯარების ვრანგელის წინააღმდეგ ყირიმში უკანასკნელი ბრძოლების პერიოდი იყო რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთობის უკიდურესი გამწვავების დასაწყისი. ამ უკანასკნელსა და ვრანგელს შორის არსებობდა მჭიდრო კონტაქტი. საქართველოს ნავსადგურები წარმოადგენდნენ ვრანგელის მომარაგების ბაზებს.

რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულების დაპირებანი კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის შესახებ იყო მხოლოდ მოტყუება და საქართველოს მთავრობის მიერ კომუნისტების დევნის თანდათან განვითარებადი სისტემა მათი სრული მოსპობისაკენ არის მიმართული"[1].

კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია, რასაც საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში პარტიული მუშაობის გამოცოცხლება და განმტკიცება მოჰყვა, მენშევიკებისათვის ძნელი მოსანელებელი აღმოჩნდა. ისინი ფორმალურად ვითომ იცავდნენ ხელშეკრულების ამ მუხლს, ფაქტიურად სდევნიდნენ და სხვადასხვა საბაბით აპატიმრებდნენ, ან საქართველოდან აძევებდნენ კომუნისტებს. მენშევიკებმა დახურეს პარტიული ბიუროები სიღნაღში, დუშეთში, თელავში, გორში, ახალციხეში დახვრიტეს 26 ბოლშევიკი-ჯარისკაცი, ადმინისტრაციული წესით მოახდინეს მელითონეთა პროფკავშირის ლიკვიდაცია, ვინაიდან კავშირის უმრავლესობა ბოლშევიკურად იყო განწყობილი. მენშევიკები განგებ ამცირებდნენ შტატებს, რათა სამსახურიდან გაეძევებინათ მათთვის არასაიმედო პირები — კომუნისტები და სხვ.

ს. მ. კიროვი ამხელდა და ენერგიულ პროტესტს აცხადებდა მენშევიკური მთავრობის მიერ ხელშეკრულების მუხლის ამ უხეში დარღვევის გამო.

ახასიათებდა რა მენშევიკების თვალთმაქცობას, ვ. ი. ლენინისადმი მიწერილ წერილში ს. მ. კიროვი აღნიშნავდა:

---

[1] Годовой отчет НСИД IX съезду советов. (1920—1921 гг. М. 1926. Сборн. 31—33. ციტირებულია დ. ენუქიძის შრომიდან „Крах имп. интер. в Закавказьи, გვ. 213).

..ძვირფასო ვლადიმერ ილიასძეო!

თქვენი წინასწარი განკვრეტა აქ მუშაობის შესახებ ბრწყინვალედ და ყოველ ნაბიჯზე დასტურდება... როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენი ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც კომუნისტური პარტიის ლეგალურ არსებობას ითვალისწინებს, ძნელი მოსანელებელი აღმოჩნდა აქაური მენშევიკებისათვის... გაათავისუფლეს რა დაპატიმრებული კომუნისტები და დანარჩენებს საშუალება მისცეს გამოცხადებულიყვნენ, დაუყოვნებლივ დაიწყეს ფართო რეპრესიები კომუნისტთა პარტიის მიმართ. ქართველმა მენშევიკებმა სრულად წარმოუდგენელი, ფანტასტიკური მიზეზებით ხელი მიჰყვეს დაპატიმრებებს და კომუნისტური პარტიის ლიკვიდაციას, და ამჟამად პარტია უაღრესად მძიმე მომენტს განიცდის: გაზეთები დახურულია, მთელი რიგი ორგანიზაციები სრულიად ლიკვიდირებულია, ბევრი ამხანაგი ციხეებშია გამომწყვდეული, ბევრი გადასახლებულია საქართველოდან. მიუხედავად ამისა ადგილობრივი ამხანაგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ასე თუ ისე განაგრძონ ლეგალური არსებობა და არავითარ შემთხვევაში არ ჩაძვრნენ იატაკქვეშეთში. 17 ივლისს ერთსა და იმავე დროს დახურეს ორივე აქაური კომუნისტური გაზეთი, ყველა თანამშრომელი დაპატიმრებულია. დღეს ამხანაგები განცხადებას აძლევენ ახალი გაზეთის გამოშვების შესახებ. თავისთავად ცხადია, ყველაფერს ამას მე სათანადოდ ვეხმაურები"[1].

მენშევიკური მთავრობის რეპრესიების მიუხედავად ბოლშევიკების დამრაზმველი მუშაობა თანდათან ფართოვდებოდა, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ძალები ყოველდღიურად იზრდებოდა. ბოლშევიკური უჯრედების ზრდა შესამჩნევი გახდა აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში. 1920 წლის გაზაფხულზე, როცა საქართველოს ბოლშევიკებს ლეგალური არსებობის საშუალება მიეცათ, სოხუმის კპ (ბ) კომიტეტი გადაკეთდა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) სოხუმის საოლქო კომიტეტად, რომელიც მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების იდეის პრაპაგანდას, ბოლშევიკური უჯრედების მოწყობას და გაფართოებას. ეს მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ მარტო გუდაუთის რაიონში არსებობდა 8 სასოფლო პარტიული ბოლშევიკური კომიტეტი და 14 მებრძოლი რაზმი, რომლებშიც 500-ზე შეიარაღებული კაცი იყო გაერთიანებული. სოხუმის საოლქო კომიტეტი ფარულად აწარმოებდა აჯანყების საბ-

---

[1] С. М. Киров, Избр. статьи и речи, 1939, გვ, 149.

ზადისს. მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკებმა აფხაზეთის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები ციხეებში გამოამწყვდიეს, აჯანყების სამზადისი არ შენელებულა. მებრძოლი რაზმების რიცხვი სწრაფად იზრდებოდა.

1920 წელს ბათუმის საპირველმაისო დემონსტრაციამ ნათელი გახადა მშრომელთა რევოლუციური აქტივობა. შეშინებული ინგლისელი ოკუპანტები ბათუმიდან უკვე ფარულად გზავნიდნენ თავიანთ ნაძარცვ განძეულს, რათა საფრთხის შემთხვევაში გაქცევა უფრო ადვილი ყოფილიყო. ბათუმის პროფკავშირთა საბჭო, სადაც ბოლშევიკები სჭარბობდნენ, მშრომელთა შორის ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობდა. საბჭომ გადაწყვიტა კონტროლი დაეწესებინა უცხოური გემების დატვირთვაზე. ნავსადგურის მუშათა ენერგიული მხარდაჭერით, ინგლისელი ოკუპანტების პროტესტისა და წინააღმდეგობის მიუხედავად ეს კონტროლი მტკიცედ ხორციელდებოდა. პროფკავშირთა საბჭო ბათუმში ფაქტიურად ნამდვილ ხელისუფლებას ვანასახიერებდა და თვით ინგლისელი ოკუპანტები იძულებული იყვნენ საბჭოდან მიეღოთ ნებართვა გემების დატვირთვა-გადმოტვირთვაზე.

საბჭოს ავტორიტეტით გაბოროტებულმა ინგლისელებმა 8 მაისს დააპატიმრეს პროფესიული მოძრაობის აქტიური მუშაკები (18 კაცი) და საქართველოდან კონსტანტინოპოლში გაგზავნეს.

1920 წლის ივლისში, როდესაც საბჭოთა კავშირზე ანტანტის თავდასხმის ყველა გეგმა ჩაიშალა და საბჭოთა სახელმწიფომ ინტერვენტებს ლახვარი ჩასცა, ინგლისელები იძულებული შეიქნენ ბათუმი დაეტოვებინათ. წასვლის წინ მათ თავიანთი სისაძაგლე დააგვირგვინეს ბათუმის გამაგრებული ფორტების აფეთქებითა და საციხოვნო ქვემეხთა გაფუჭებით. ბათუმში მენშევიკების არმია შევიდა.

მენშევიკებმა აჭარის მშრომელებს კისერზე დაადგეს სისხლიანი ბატონობის უღელი. ისინი დევნიდნენ მშრომელთა ინტერესების ჭეშმარიტ დამცველებს—ბოლშევიკებს, აიძულებდნენ მუშებსა და გლეხებს ხმაც კი არ დაეძრათ თავიანთ უკიდურეს გაჭირვებაზე. ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მემამულეებსა და ვაჭრებს ეყვლიფათ მშრომელი ხალხი. ცხადია, აჭარელ გლეხთა მოთმინების ფიალა ივსებოდა. აჭარა მენშევიკური ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ სახიფათო უბანს წარმოადგენდა, სადაც ყოველდღე მოსალოდნელი იყო აფეთქება.

ბათუმელი ბოლშევიკები არალეგალურად ადგენდნენ მეზღვაურების, მუშებისა და გლეხების რაზმებს. ეს რაზმები პარტიზანული

წესით იბრძოდნენ მენშევიკ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ. ზაფხულში პარტიზანულმა რაზმებმა ააფეთქეს კინტრიშის რკინიგზის ხიდი და ბათუმში ჯავშნოსანი არ შეუშვეს. შეფერხდა ნავთის გატანა ბათუმიდან.

ყველაზე დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა სამხრეთ ოსეთში მენშევიკების სისხლიანი ბატონობის მთელ მანძილზე ოსი გლეხობა იარაღით იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად. 1918 წელს აჯანყებულმა გლეხებმა ხელთ იგდეს ცხინვალი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მენშევიკებმა დიდი სამხედრო ძალების გამოყენებით ეს აჯანყება სისხლში ჩაახშვეს. 1919 წლის შემოდგომაზე რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ინიციატივით ოსეთში მოხდა გლეხთა აჯანყება. როკის რაიონში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, მაგრამ მენშევიკებმა ამჟამადაც შეძლეს აჯანყების სისხლში ჩახშობა. ოსეთის გლეხთა შეიარაღებული რაზმების დიდი ნაწილი თოვლიანი უღელტეხილით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა.

სამხრეთ ოსეთის ბოლშევიკური საოლქო კომიტეტი კვლავ მობილიზაციას უკეთებდა ძალებს ახალი უფრო მასობრივი აჯანყებისათვის. შედგენილ იქნა გლეხთა ახალი რაზმები. ამაეე დროს ჩრდილო კავკასიიდან გამოვიდა 1919 წელს გადახვეწილი რევოლუციური რაზმები.

1920 წლ. აჯანყება ოსეთში მომზადებულად დაიწყო და სწრაფად განვითარდა. აღებულ იქნა ცხინვალი, სადაც საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა. მენშევიკებმა ოსეთში დიდი ძალები გადაისროლეს. მენშევიკურმა გვარდიამ ქართველი ხალხის ჯალათის ჯუღელის ხელმძღვანელობით ცეცხლითა და მახვილით აიღო ოსეთის სოფლები. გამხეცებული გვარდიელები და ჯარისკაცები არაფერს არ ინდობდნენ. მსხვერპლი 5.279 კაცს უდრიდა. გვარდიელებმა ცხინვალში მხეცურად დახვრიტეს 13 ოსი კომუნისტი. მენშევიკები ამასაც არ დასჯერდნენ. მათ მიზნად დაისახეს ოსეთიდან მკვიდრი მაცხოვრებლების სავსებით აყრა და ყარაიას ველზე გადასახლება. ეს იყო საშინელი გეგმა, რომელიც მთიანი ოსეთის მოსახლეობას განადგურებას უქადდა. მენშევიკებს არ დასცალდათ ამ გეგმის განხორციელება.

შრომელთა წინააღმდეგ მენშევიკური მთავრობის ასეთი გაბოროტებული ზომები მისი უკანასკნელი გაბრძოლება იყო. „დემოკრატიული“ საქართველო სწრაფად მიექანებოდა უფსკრულის გზაზე. სამეურნეო მოშლილობა, შიმშილი—აი რა სურათი ეშლებოდათ თვალწინ მენშევიკებს მათი სამწლიანი მოღვაწეობის შედეგად.

მენშევიკები მთელი ქვეყნის გასაგონად გაყვიროდნენ, რომ საქართველო წარმოადგენს ნამდვილ დემოკრატიულ სამოთხეს, სადაც დაცულია ადამიანთა ჭეშმარიტი ბუნებრივი უფლებები და ხალხი განცხრომაში ცხოვრობსო. მეორე ინტერნაციონალის ბელადები მათ ბანს აძლევდნენ. მაგრამ, როცა 1920 წლის შემოდგომაზე საქართველოს ეწვია მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია, მათთვის, მათივე სურვილების წინააღმდეგ, ცხადი შეიქნა „დემოკრატიული სამოთხის“ სივალალე. თვით არქირენეგატი, საბჭოთა რუსეთის დაუძინებელი მტერი კაუცკი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ მენშევიკური საქართველო განუხრელად მიექანება ბოლშევიზმისაკენო.

მენშევიკური მთავრობა დასავლეთის იმპერიალისტებში ახალ მფარველს ეძებდა. ეს მფარველი აღმოჩნდა საფრანგეთის „უზენაესი კომისარი“ შევალიე, რომელიც დეკემბრის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა და მენშევიკები გაამხნევა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დახმარების დაპირებით. მაგრამ ვერც შევალიე შველოდა საქმეს, სამეურნეო ცხოვრება სწრაფად ირღვეოდა. ს. მ. კიროვი ლენინისადმი მიწერილ წერილში მოსწრებულად ასახავდა მენშევიკური მთავრობის განსაცდელს: „საქართველოს მთავრობა ძველებურად დგას დაფიქრებული, არ იცის საითკენ სრულად გარკვევით გადაიხაროს—ჩვენსკენ თუ ანტანტისკენ. ამავე დროს კი საქართველოს სამეურნეო ცხოვრება ყოველდღიურად უფრო მეტად და გარკვევით ირღვევა და შორს აღარ არის ის მომენტი, როცა ნოე ჟორდანიას საქართველოს ეგზარხოსთან ერთად მოუხდებათ გალობა „ბაბილონის მდინარეებზე“.

ამავე დროს საბჭოთა რუსეთმა დიდი წარმატებით დაამთავრა სამოქალაქო ომი: მოგერიებულ იქნა ყველა კომბინირებული ლაშქრობა და საბჭოთა სახელმწიფოს პოზიციები შესამჩნევად განმტკიცდა. საქართველო ახლა მეტიდროდ გარშემორტყმული აღმოჩნდა საბჭოთა გარემოცვით.

ასეთია მდგომარეობა, ცხადია, ქართველი ბოლშევიკებისათვის ქმნიდა ხელსაყრელ ვითარებას გარდამწყვეტი მოქმედებისათვის, მით უმეტეს, რომ საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულების ტექსტი მენშევიკების მიერ უხეშად და უბოდიშოდ იყო დარღვეული.

სექტემბრის ბოლოს საბჭოთა ბაქოში საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა მოაწყვეს თათბირი, სადაც დასახულ იქნა ღონისძიებანი საქართველოს ქალაქებში, სოფლად და მენშევიკურ არმიაში პარტიული მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის. აქვე გადაწყდა მოეწვიათ საქართველოს კპ (ბ) ყრილობა.

ნოემბერში, თბილისში, შედგა საქართველოს კპ (ბ) ცენტრ. კომიტეტის არალეგალური თათბირი, სადაც დასახულ იქნა ამოცანები შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციისათვის.

მენშევიკებს არ გამოპარვიათ ეს სამზადისი და რეპრესიები კიდევ უფრო გააძლიერეს. მათ დაიკავეს საქ. კპ (ბ) ცენტრ. კომიტეტის შენობა, დააპატიმრეს საბჭოთა მისიის თანამშრომლები დ. სხვ.

მაგრამ აღარც ეს შველოდა საქმეს. მენშევიკური მთავრობა განწირული იყო. ი. ბ. სტალინი, რომელიც 1920 წლის ნოემბერში სამხრეთში მივლინებიდან დაბრუნდა, „პრავდის" კორესპონდენტთან საუბარში ასე ახასიათებდა მენშევიკური საქართველოს მდგომარეობას:

„საქართველოს კატასტროფული სამეურნეო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა,—ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ტყუილად კი არ ვოხდა, რომ მომაკვდავი II ინტერნაციონალის გახრწნილმა ბელადმა ბ-ნმა კაუცკიმ, რევოლუციის ტალღის მიერ ევროპიდან გატყორცნილმა, თავშესაფარი პოვა დამყაყებულ ანტანტის ბადეში გახვეულ საქართველოში, გაკოტრებულ ქართველ სოციალ-მედუქნეებთან. არა გვგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა"[1].

შეიარაღებული აჯანყების მოწყობის საკითხი საქართველოში დღის წესრიგში დადგა. ყველაფერ ამას კარგად ხედავდა რკპ (ბ) კავკასიის ბიურო, რომელსაც სათავეში ედგა ს. ორჯონიკიძე. 1921 წლის იანვარში კავბიურომ წინადადება მისცა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს მოეწყო საქართველოში საყოველთაო აჯანყება მენშევიკური მთავრობის დასამხობად.

ბოლშევიკების წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ აჯანყება დაიწყო ქვემო ქართლში და იგი ტალღისებურად გადავიდა საქართველოს სხვა რაიონებში.

საქ. კპ (ბ) ცეკამ აჯანყების ხელმძღვანელობისათვის შექმნა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც თავის ხელში აღო შეიარა-

---

[1] ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 446—447.

ღებული გამოსვლის სადავეები. დაიწყო გადამწყვეტი შეჯახება.

რევოლუციური კომიტეტი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. მენშევიკური მთავრობა აჯანყების რაიონში ახალ-ახალ ძალებს გზავნიდა, ამავე დროს ემუდარებოდა ანტანტის იმპერიალისტებს აღმოეჩინათ მისთვის დახმარება. მენშევიკები ამავე დროს დაუკავშირდნენ დაშნაკურ კონტრრევოლუციას და გადასწყვიტეს ერთიანი მოქმედება საქართველოს და სომხეთის რევოლუციური ძალების წინააღმდეგ. ბათუმის ნავსადგურში იმყოფებოდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოთა საზღვაო ხომალდები. ახლა მენშევიკები აღარ შალავდნენ მათ კავშირს იმპერიალისტურ ღასავლეთთან. გაზეთ „ერთობაში" რამიშვილი აცხადებდა: „საქართველო თანდათანობით იპყრობს ევროპის დიდ სახელმწიფოთა ყურადღებას. უკანასკნელთათვის უფრო ნათელი ხდება ის როლი, რომელსაც საქართველო ახლო აღმოსავლეთში ასრულებს. სხვათა შორის ამით აიხსნება ის დახმარება, რასაც ჩვენ გვიწევს საფრანგეთის რესპუბლიკა თავისი ფლოტით". მართლაც საფრანგეთის სამხედრო ხომალდები ეწეოდნენ საზღვაო ბრძოლას აჯანყებული აფხაზეთის მშრომელების წინააღმდეგ. ამგვარად, მენშევიკური მთავრობა თავისი სისხლიანი დიქტატურის შესანარჩუნებლად საკუთარ ჯარებთან ერთად იყენებდა დაშნაკურ კონტრრევოლუციას და საინტერვენციო ძალებს. ცხადია, საქართველოს მუშებს და გლეხებს სრული უფლება ჰქონდათ დახმარება წითელი არმიისაგან, რუსი ხალხისაგან, საბჭოთა ქვეყნისაგან მოეთხოვათ. საქართველოს მშრომელების სახით რევოლუციურმა კომიტეტმა ასე მიმართა ვ. ი. ლენინს: „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ სახალხო მასების აჯანყების ცეცხლსა და კვამლში რომ იშვა, დიდი პროლეტარული რევოლუციის ბელადს აღფრთოვანებით მიესალმება. საერთაშორისო იმპერიალიზმის მხარდაჭერით სამი წლის მანძილზე მენშევიკურმა მთავრობამ მშრომელთა დასამონებლად შექმნა საკუთარი პოლიციური და სამხედრო აპარატი. საერთაშორისო რეაქციის და ქართველი მენშევიკების კოალიციის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მშრომელები უძლურნი აღმოჩნდნენ და ყველა მათი ცდა დაემხოთ მოძალადეთა უღელი, დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ სახალხო მასების ეს უკანასკნელი აჯანყება ძლევამოსილი აღმოჩნდა.

საქართველოს მთავრობის დასახმარებლად ევროპის რეაქციული ძალები მიისწრაფვიან. გაერთიანებულ შავ ლაშქარს წინააღმდეგობას მხოლოდ გაერთიანებული წითელი სოციალისტური ლაშ-

ქარი გაუწევს. ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენ გვჯერა, რომ დიდი პროლეტარული რევოლუციის ქვეყანა, რომელსაც დიდი მატერიალური შესაძლებლობანიც გააჩნია, არ დაგვტოვებს ჩვენ მარტოდ მარტო ამ უთანასწორო ბრძოლაში და თავის დახმარებას აღმოუჩენს ახლად შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას"[1].

აჯანყებულთა წინააღმდეგ მენშევიკებმა გამოიყენეს არმია და გვარდიის ნაწილები. მაგრამ მენშევიკური არმია აღარ წარმოადგენდა სერიოზულ ძალას. მასში დიდი იყო ბოლშევიზმის გავლენა. მთელი რიგი პოლკები აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ. აჯანყების კერა, რომელსაც პირველად ქვემო ქართლი წარმოადგენდა, თანდათანობით გაფართოვდა. შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის მაზრებში, აჭარასა და აფხაზეთში, საქართველოს მთიან რაიონებში. რევოლუციურმა კომიტეტმა რაიონებში დაგზავნა თავისი რწმუნებულები, რომლებიც მუშებისა და გლეხების შეიარაღებულ ბრძოლებს ჩაუდგნენ სათავეში. რევკომმა მგზნებარე მოწოდებით მიმართა ქართველ ხალხს: „დადგა ჟამი თქვენი გათავისუფლებისა. ქართველი მენშევიკების, საერთაშორისო რეაქციული იმპერიალიზმის ერთგული ლაქიების უღლისაგან. სამი წელიწადი ისინი აბუჩად იგდებდნენ საქართველოს მშრომელებს, სამი წელიწადი ისინი ბილწავდნენ საქართველოში მოსახლე ხალხთა სულს, სამი წელიწადი იბრძოდნენ ისინი მშრომელთა რევოლუციის წინააღმდეგ · კონტრრევოლუციისა და იმპერიალიზმის სადიდებლად. მენშევიკების ძალადობას, ურცხვობას და თავხედობას პასუხობდნენ აჯანყებებით, რომლებსაც ისინი ყოველთვის ახშობდნენ შინაური და გარეშე რეაქციული ძალების ხელის შეწყობით...

აჯანყებულნი, რომლებსაც ერთიმეორეს მიყოლებით ნებდებიან მენშევიკური მთავრობის პოლკები, ძლევამოსილად მიიწევენ მენშევიკური კონტრრევოლუციის დედაქალაქ—თბილისისაკენ. მშრომელები ყველგან იარაღს კიდებენ ხელს. აჯანყება ფართოვდება, აჯანყება რაიონიდან რაიონში გადადის... საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, ხელთ იღებს რა მთელ სახელმწიფო ძალაუფლებას, დამბობილად აცხადებს ქართველი მენშევიკების მთავრობას. ამიერიდან საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაა.

ამიერიდან მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მშრომელებს — მუშებს და გლეხებს...

---

[1] Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях, ч. III, зз. 87.

ამხანაგებო, ძმებო—ქალაქისა და სოფლის მშრომელნო! განაწამებ, მენშევიკური რეაქციის ყინულით შეკრულ საქართველოში ამოდის პროლეტარული რევოლუციის მზე. ნუ მივცემთ საშუალებას რეაქციის შავ ძალებს კვლავ დააბნელონ იგი, კვლავ ჯოჯოხეთში ჩააგდონ. დაამხეთ ყველამ მენშევიკების ხელისუფლება. ხელთ აიღეთ ადგილებზე მთელი ძალაუფლება. შექმენით ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები.

ხელი მოჰკიდეთ იარაღს, ამხანაგო მშრომელებო!

წინ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

გაუმარჯოს ახალდაბადებულ, სახალხო აჯანყების ცეცხლს დაკვამლში შობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას"[1].

ეს მგზნებარე მოწოდება საქართველოს მშრომელებში ელვის სისწრაფით გავრცელდა. აჯანყების ხანძარი სხვა რაიონებსაც მოედო. ხალხის მრისხანების ვულკანმა ერთბაშად იფეთქა.

საქართველოს რევკომის მიმართვას ლენინისადმი დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ვ. ი. ლენინის მითითებით ცენტრალურმა კომიტეტმა XI არმიას, რომელიც საქართველოს საზღვართან იდგა, წინადადება მისცა საზღვარი გადაელახა და მენშევიკური დიქტატურის დასამხობად საქართველოს მშრომელთა შეიარაღებულ ბრძოლაში მიეღო უშუალო მონაწილეობა. დირექტივა დაუყოვნებლივ იქნა სისრულეში მოყვანილი. XI არმიის ნაწილები ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით თბილისისაკენ დაიძრნენ.

მენშევიკური არმიის მხრივ დიდი წინააღმდეგობა საბჭოთა მეომრებს არ შეხვედრიათ. მენშევიკური არმიის ნაწილები დამშეული, შიშველ-ტიტველი იყვნენ. ისინი მუქარის ქვეშ ასრულებდნენ თავის სამსახურს. ოპერაციების დაწყების დღიდანვე მენშევიკური არმიის ნაწილებში დაიწყო მასობრივი დეზერტირობა. განაწამებმა ხალხმა სახლს მიაშურა. ჯარისკაცების დიდმა რაოდენობამ იარაღი დაჰყარა, ან საბჭოთა ჯარების მხარეზე გადავიდა. ფოილოსთან, კოჯორთან მცირე მასშტაბის ოპერაციების შემდეგ XI არმიის ნაწილები საქართველოს აჯანყებულ მშრომელებთან ერთად თბილისში შევიდნენ. 1921 წლის 25 თებერვალს, თბილისში, დამხო მენშევიკური დიქტატურა. ქალაქში აფრიალდა წითელი დროშები. ქალაქის მოსახლეობა მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მეომ-

---

[1] ციტირებულია გ. ხაჰაპერიძის წიგნიდან—საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში. გვ. 385—386

რებს და აჯანყებულ მუშათა და გლეხთა რაზმებს, რომელთაც ამ დღეს ქალაქის დაწესებულებანი დაიკავეს. ამავე დღეს ს. ორჯონიკიძემ ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა დეპეშა: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს“[1].

მენშევიკურმა მთავრობამ დატოვა თბილისი, მოასწრო მხოლოდ მისი გაძარცვა: მთავრობის სალაროდან, მუზეუმებიდან, ეკლესია-მონასტრებიდან მათ გაიტაცეს ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი ნივთები, ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ამ საზიზღარი აქტით მენშევიკთა მესვეურებმა ამხილეს თავიანთი თავი როგორც ყაჩაღებმა და მარადიორებმა, რომელთაც ქართველ ხალხს მოსტაცეს ეროვნული სიმდიდრე.

მენშევიკური არმია თანდათან კარგავდა წინააღმდეგობის უნარს. უფრო შეგნებული ჯარისკაცები ან წითელი არმიის მხარეზე გადადიოდნენ, ან ტოვებდნენ ფრონტს და სახლებში მიემგზავრებოდნენ.

ბათუმის მიმართულებით წითელი არმიის ნაწილებმა 27 თებერვლიდან 5 მარტამდე მენშევიკური არმიის ნარჩენებიდან უაწმინდეს მცხეთა, გორი, სურამი. მოსახლეობა აღტაცებით ეგებებოდა საბჭოთა არმიის ნაწილებს. განთავისუფლებულ ქალაქებსა და სოფლებში დაუყოვნებლივ ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ჩამოყალიბება. 6, 7 მარტს, მიუხედავად მუხლამდე თოვლისა, საბჭოთა არმიის ნაწილებმა გადალახეს სურამის უღელტეხილი, ამავე დროს დაიკავეს სურამის გვირაბი, გაათავისუფლეს ხაშური.

წარმატებით ვითარდებოდა ოპერაციები ახალციხის მიმართულებით. 7 მარტს საკავალერიო ნაწილებმა უკვე ბორჯომს ჩაიარწიეს.

საქართველოს მშრომელებისადმი დახმარება რომ უფრო ეფექტური ყოფილიყო და მენშევიკური ბანდების ლიკვიდაცია სწრაფად დამთავრებულიყო, კავბიუროს გადაწყვეტილებით XI არმიის ერთ ჯგუფს დაეკისრა მამისონის უღელტეხილის გადალახვა. საბჭოთა მებრძოლებმა სუსხიანი ზამთრის პირობებში ეს უაღრესად რთული ოპერაცია ბრწყინვალედ განახორციელეს. ღრმა თოვლით გადალესილი გზები მათ სწრაფად გადმოლახეს, დაიკავეს ონი და განავითარეს შეტევა ქუთაისის მიმართულებით.

წარმატებით გაიშალა ოპერაციები აფხაზეთში. აფხაზეთის

---

[1] Г. К. Орджоникидзе, Избр. статьи и речи, გვ. 93.

აჯანყებული მშრომელები წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ზედიზედ ათავისუფლებდნენ ქალაქებსა და სოფლებს მენშევიკური ბანდებისაგან. საბჭოთა არმიის ნაწილებმა დაიკავეს სოხუმი, გადალახეს მდინარე კოდორი, ენგური, დაიკავეს ზუგდიდი, ახალი სენაკი, სამტრედია, ფოთი.

10 მარტს წითელი არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქუთაისი, 11 მარტს აბასთუმანი და შეუდგნენ გოდერძის უღელტეხილს ბათუმის მიმართულებით.

ამრიგად, სულ რაღაც 20 დღის განმავლობაში საბჭოთა არმიის ნაწილებმა საქართველოს შეიარაღებულ მუშებთან და გლეხებთან ერთად შეძლეს მენშევიკური არმიის სასტიკი დამარცხება. მენშევიკებს ბათუმიღა შერჩათ, საიდანაც იმპერიალისტური ანტანტისა და მისი სატელიტების (პირველ რიგში თურქეთის) დახმარებით ვარაუდობდნენ არსებობის შენარჩუნებას.

საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა აფხაზეთში. აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა განთავისუფლებულ აფხაზ მშრომელებს, მისალოცი დეპეშით მიმართა საქართველოს რევკომს:

„მუშურ-გლეხური აფხაზეთი ზეიმობს ბურჟუაზიის ლაქიების ჩაგვრისაგან განთავისუფლებას. საქართველოს სოციალ-გამყიდველები, ხალხის ჯალათები ვერ იხსნეს მათმა მბრძანებლებმა. ანტანტის ფლოტი სანაპიროების დაბომბვითა და გლეხთა ქოხების განადგურებით ცდილობდა თავისი ლაქიების გადარჩენას, მაგრამ უშედეგოდ: მამაცი წითელი არმიის მიერ მთელს აფხაზეთზე აღმართულია საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა აფხაზეთის ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო რევოლუციას!

გაუმარჯოს ყოვლისმძლე საბჭოთა ხელისუფლებას“[1].

სამხრეთ ოსეთში ჩამოყალიბებულ იქნა რევოლუციური კომიტეტი. კავბიუროს დირექტივების საფუძველზე იგი შეუდგა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზაციას და მშრომელთა მონაპოვრის შენარჩუნებისათვის ბრძოლას.

მენშევიკური მთავრობა თავისი არმიის კრახისა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მიუხედავად, მაინც არ კარგავდა ანტანტის დახმარების იმედს. ანტანტა კი მხოლოდ ხმაურობდა, იგი ხედავდა, რომ ყველა მისი

---

[1] „Правда Грузии“, № 14, 18 მარტი, 1921 წელი.

გეგმა საქართველოში წითელმა არმიამ დაამსხვრია და ახალი ავანტიურისაგან თავს იკავებდა. რამდენიმე წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ შავ ზღვაზე ანტანტის ფლოტმა მოქმედება შეწყვიტა, ხოლო ანტანტის წარმომადგენლები ერთმანეთს ასწრებდნენ ბათუმიდან გაპარვას. სამაგიეროდ ანტანტა, განსაკუთრებით ინგლისი, ფარულად აქეზებდა თურქეთის რეაქციულ წრეებს კავკასიის წინააღმდეგ, საქართველოში შექმნილ ვითარებას ხატავდა როგორც პანთურქისტული იდეების განხორციელებისათვის ხელსაყრელ მომენტს.

სწორედ ამ დროს თურქეთი მოლაპარაკებას აწარმოებდა საბჭოთა რუსეთთან ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულების დადების შესახებ. მოსკოვის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1921 წელს 16 მარტს. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ორი ერის ძმურ სოლიდარობას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხალხთა უფლებას თვითგამორკვევაზე, ერთმანეთს შორის გულითადი ურთიერთობისა და განუყოფელი ძმობის დამყარებას, უქმდებოდა ყველა ის წინა ხელშეკრულება (მათ შორის ბრესტისა, სევრისა), სადაც თითოეული მხარის ინტერესები შელახული იყო. ხელშეკრულების თანახმად ბათუმი საქართველოს განუყოფელ ნაწილად რჩებოდა.

და სწორედ ამ დროს ქემალისტები, ანტანტის დაკვეთით, თვით თურქი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ ამზადებდნენ ახალ იმპერიალისტურ ავანტიურას. ანტანტამ განწირულ მენშევიკურ მთავრობას დამხმარედ თურქეთი მიუჩინა. მენშევიკებს კარები უნდა გაეხსნათ თურქეთის ჯარებისათვის, მიეცათ მისთვის ბათუმის, ახალციხის, ოზურგეთის მაზრების ოკუპაციის უფლება. მენშევიკები ვარაუდობდნენ, რომ თურქეთის ჯარების მიერ ამ ადგილების დაკავება გამოიწვევდა საბჭოთა არმიის ნაწილების შეჯახებას თურქეთის არმიასთან, დაიწყებოდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ომი. მაშინ ანტანტაც ჩაერეოდა ომში და მენშევიკური საქართველო თავს დაიხსნიდა.

ამგვარად, მენშევიკებმა ფარული გარიგება მოახდინეს ქემალისტებთან. ეს იყო მორიგი გაუგონარი ღალატი ქართველი ხალხის წინაშე. ქიაზიმ ბეიმ ბრძანება მისცა თურქულ ნაწილებს მოეხდინათ ბათუმის ოკუპაცია.

11 მარტს ბათუმში შეიჭრა თურქეთის არმიის პირველი რაზმი. მენშევიკური არმიის სარდლობა თურქეთის არმიის მეთაურებს შეხვდა მშვიდად, იმ ინსტრუქციის დაცვით, რაც საკუთარი მთავრობისაგან ჰქონდა მიღებული. „შეძლებისდაგვარად დააკმაყოფი-

ლეთ ყველა ძათი მოთხოვნილება“ — ნათქვამი იყო ამ ინსტრუქციაში. თურქებმა დაიკავეს აგრეთვე ახალციხე. მენშევიკურმა ნაწილებმა წინასწარი მითითებით დატოვეს ეს ქალაქი.

მაგრამ მენშევიკებს აღარავინ კითხავდა ბათუმისა და ახალციხე-ოზურგეთის ბედს. საქართველოს მშრომელებს და მის დასახმარებლად მოსულ XI არმიას მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ბათუმი და ახალციხე დაუყოვნებლივ გაეწმინდათ თურქი დამპყრობლებისაგან.

საქართველოს მშრომელთა ამ ერთსულოვანი მისწრაფების სწრაფი განხორციელებისადმი მამობრივ ზრუნვას იჩენდნენ რევოლუციის დიდი ბელადები ლენინი და სტალინი. ითვალისწინებდა რა ანტანტის ხრიკებსა და თურქი იმპერიალისტების მტაცებლურ ზრახვებს, ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ 28 თებერვალს სწერდა ლენინს თურქებისაგან ბათუმის დაცვის აუცილებლობის შესახებ[1].

მენშევიკური ბანდებისაგან თბილისის განთავისუფლების შემდეგ წითელი არმია, როგორც ვიცით, სწრაფი მარშით მიემართებოდა ბათუმისაკენ.

საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა რადიოთი აცნობა ბთელ მსოფლიოს, რომ თურქი იმპერიალისტების მიერ ბათუმის დაკავებაში იგი ხედავს ანტანტის ახალ ავანტიურას, რომელიც შენიღბულია აჭარის თვითგამორკვევის ფარისევლური სიტყვებით, რომ აჭარის თვითგამორკვევა და მშრომელთა ინტერესების ნამდვილი გადაწყვეტა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას შეუძლია. „საქართველოს რევოლუციური კომიტეტი ქართველ მუშებთან და გლეხებთან სრული თანხმობითა და მათი სურვილით ყველას გასაგონად აცხადებს, რომ ყოველი ძალა, რომელიც ბათუმის მიტაცებას შეეცდება, ჩვენის მხრივ შეხვდება ყველაზე მტკიცე წინააღმდეგობას“.

საბჭოთა არმიის ნაწილებმა 8 მარტს ახალციხიდან განდევნეს თურქები და ეს სიმაგრე დაიკავეს. ამის შემდეგ ჯგუფებს, რომლებიც ბათუმის მიმართულებით მოქმედებდნენ, 11 მარტს მიეცა ბრძანება: „ამოცანა წინანდელია — უმოკლეს ვადაში დავეუფლოთ ქუთაისსა და ბათუმს. იმოძრავეთ წინ, ისე რომ ნაწილებს მინიმალური შესვენება მიეცით... მე-18 საკავალერიო დივიზიის მეთაურს: ახალციხისა და მისი რაიონების სათანადო ღონისძიებით უზრუნველყოფის შემდეგ სწრაფი მარშით სამთო გადასასვლელების

---

[1] ი. ბ. სტალინი, თსხ. ტ. 5, გვ. 466.

და სხვა დაბრკოლებების ყველა სიძნელეთა გადალახვით, უმოკლეს ვადაში დაიკავონ ბათუმი"[1].

წითელი არმიის სწრაფმა და ენერგიულმა მოქმედებამ კარაბექირ ფაშა დააფრთხო. ვან XI არმიის შტაბს მიბართა დეპეშით შეეწყვიტათ ბათუმისაკენ წინსვლა და გაეწმინდათ ახალციხის რაიონი. ხოლო თურქეთის არმიის მიერ ამ რაიონების დაკავებას იგი ბრესტის ზავის პირობებით ამართლებდა. შეუძლებელია იმის თქმა, რომ კარაბექირ ფაშამ ამ დროს არაფერი იცოდა მოსკოვში მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ, მაგრამ იგი თავს გაბგებ იყრუებდა.

მენშევიკური „მთავრობა" უსირცხვილოდ ტყუოდა, როცა მალავდა თურქების მიერ ბათუმის ოკუპაციის ფაქტს. იგი თავს იმართლებდა, კვლავ დამოუკიდებლობის შირმით ინიღბებოდა, ამავე დროს ფარულად უხსნიდა კარებს თურქ დამპყრობელთა ახალ-ახალ ძალებს.

მენშევიკური მთავრობა განგებ სთავაზობდა მოლაპარაკებას საქართველოს რევკომს საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. იგი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბათუმისაკენ საბჭოთა ნაწილების წინსვლა შეჩერებულიყო და ქუთაისში დაწყებულიყო მოლაპარაკება. ეს მაშინ, როცა თურქები ბათუმში ახალ-ახალ ძალებს გზავნიდნენ და ამაგრებდნენ. რა თქმა უნდა, მენშევიკების ეს ფანდი მიზნად ისახავდა დროის მოგებას.

საინტერესოა ამ მხრივ მოლაპარაკება საქართველოს რევკომის წარმომადგენელსა და მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელს შორის:

„რევკომის წარმომადგენელი: მართალია თუ არა კარაბექირის ცნობა, რომ თქვენმა მთავრობამ გადასცა მის ჯარებს ბათუმი, ამავე დროს ბათუმი დაკავებულია თურქეთის ჯარების მიერ 11 მარტს?

მენშ. მთავრობის წარმომადგენელი: ტყუილია. ბათუმში მართლაც იმყოფება ანგორელი ჯარების პატარა ჯგუფი, რომელიც შემოშვებულია აქ ჩვენი თანხმობით, მაგრამ როგორც ქალაქში, ისე სიმაგრეებსა და ოლქში ჩვენი სრული დომინაციაა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მხრივ. ანგორელი ნაწილები აქ დარჩებიან მანამ, ვიდრე ჩვენი თანხმობა იქნება.

რევკომის წარმომადგენელი: ასეთ შემთხვევაში, რა მიზანი

---

[1] იხ. С. Кушнецов, Крах турецкой интервенции в Закавказье, 1920—1921 гг., стр. 154, Вопросы истории, № 9, 1951.

აქვს ჩვენს შეხვედრას და რაზედ უნდა მოვილაპარაკოთ, თუ ბათუმის ოკუპაცია, თუნდაც ნებაყოფლობითი, თქვენის მხრივ უკვე ფაქტია.

მენშ. მთავრობის წარმომადგ: კვლავ ვიმეორებ, რომ არავითარი ოკუპაციის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება. იგი შესაძლებელია. შესაძლებელია კარაბექირის სურვილი... ჯარების ეს ჯგუფი სრულიადაც არ არის საოკუპაციო (??) აქამდე ოკუპაცია არ ყოფილა...

რევკომის წარმომადგენელი: რამდენადაც თქვენ თავს მთავრობას უწოდებთ, მაშინ თქვენს მახლობლად თუნდაც ორი შეიარაღებული ანგორელი ასკერის ყოფნა იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ან ოკუპანტები, ან თქვენი მოკავშირეები არიან. ტერიტორიის მთლიანობის საკითხი უმნიშვნელოვანესი საკითხია, მაგრამ თქვენ უკვე ჩაფუშეთ ამ საკითხის სასურველად მოგვარება ბათუმში უცხოური შეიარაღებული ძალების შეშვებით, მით უფრო, რომ მოსკოვში რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე დადებითადაა გადაწყვეტილი საკითხი ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის საქართველოს საზღვრებში დატოვების შესახებ. შეთანხმება ხელმოწერილია საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლის მიხა ცხაკაიას მიერ"[1].

მოლაპარაკების დროს მენშ. მთავრობის წარმომადგენელი ყოველმხრივ ცდილობდა გაემართლებინა ბათუმში ანგორელი ასკერების „პატარა ჯგუფის" შეშვება, ფიცავდა, რომ მენშევიკურ მთავრობას შეუძლია საკუთარი ძალებით შეაჩეროს „აგრესია სამხრეთიდან". მაგრამ მისი ლამაზი სიტყვების იქითაც გარკვევით ჩანდა, რომ მას უფრო მეტად აშინებდა ჩრდილოეთიდან შეტევა, ვიდრე თურქული აგრესია, რომელთანაც მთავრობას უკვე წინასწარი მოლაპარაკება ჰქონდა. ცხადია, ამის შესახებ საქართველოს რევკომშიც კარგად იცოდნენ და რევკომის წარმომადგენლებმა განუცხადა ლორთქიფანიძეს:

„რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობისა და კერძოდ ბათუმის გადარჩენის მიზნით ჩვენ ბათუმის მიმართულებით ჩვენი წინსვლის დაყოვნებას მისი დაკარგვის თანაბარმნიშვნელოვნად ვთვლით, რაც გვაიძულებს დავიწყოთ დაუყოვნებლივი შეტევა ბათუმზე. ერთხელ კიდევ ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენს წინსვლას აქვს მხოლოდ ერთი მიზანი: ბათუმის შენარჩუნება საქართველოსათვის"...[2]

---

[1] „Правда Грузии", № 15, 18 მარტი, 1921 წ.

[2] იქვე.

მენშევიკური „მთავრობა“, საქართველოსათვის ბათუმის შენარჩუნების ინტერესებით რომ ყოფილიყო გამსჭვალული და მას თურქეთთან ფარული შეთანხმება რომ არ ჰქონოდა, ცხადია, იგი მიესალმებოდა კიდეც საბჭოთა ნაწილების შეტევას თურქების მიერ ოკუპირებულ ბათუმზე. მაგრამ ყველაფერი პირუკუ იყო. მენშევიკები, ისე როგორც დაშნაკები, საბჭოთა რუსეთის დახმარების წინააღმდეგი იყვნენ. მათ თურქეთის შემოსევა და საქართველოს დამონება ნაკლებ ბოროტებად მიაჩნდათ, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, რადგან ეს მათი ხელისუფლების გვირგვინს ამსხვრევდა.

მაგრამ მენშევიკური მთავრობის ვარაუდები არც ახლა გამართლდა. მოსკოვის კონფერენციის შემდეგ თურქები თავს იკავებდნენ მენშევიკურ მთავრობასთან აშკარა კავშირისაგან. ამავე დროს საბჭოთა არმიის ნაწილები განაგრძობდნენ გმირულ წინსვლას. ჟორდანია-რამიშვილის ხროვას ხსნის ყოველგვარი იმედები დაეკარგა და ღამით, 17 მარტს, გაიპარა ბათუმიდან. 18 მარტს, დილით, ბათუმში შევიდა 292-ე მსროლელი პოლკი, ხოლო საღამოს — მე-18 საკავალერიო დივიზია. თურქთა ნაწილები ბათუმში დატყვევებულ და განიარაღებულ იქნენ.

ს. ორჯონიკიძემ კარაბექირ ფაშას მიმართა დეპეშით და მოსთხოვა მას მოსკოვის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულება.

დეპეშაში ნათქვამი იყო შემდეგი:

...ვრჩები რა რუსეთ-თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გულწრფელ მომხრედ, მე აშკარად უნდა განვაცხადო, რომ უკანასკნელი მოვლენები ყველა მიღწეულ შეთანხმებას უდიდესი საშიშროების ქვეშ აყენებენ. რას ნიშნავს მართლაც ისეთი შეთანხმება, რომელიც ირღვევა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ასეთ შემთხვევაში ზედმეტია კონფერენციაზე დროის დაკარგვა. როგორ გავიგოთ ერთის მხრივ თქვენი დელეგაციის დაპირება მოსკოვში და თურქეთის დიდი ნაციონალური კრების სრულუფლებიან წარმომადგენლის პატივცემულ ალი ფუადის განცხადება ჩვენი ხელშეკრულების სიწმინდის შესახებ, თუ ეს სამოკავშირეო ხელშეკრულება დაუყოვნებლივ ირღვევა. ...თუ თქვენ გსურთ ჩვენთან გულწრფელი მეგობრული კავშირი, ნუ გადააქცევთ ჩვენს სამოკავშირეო ხელშეკრულებას ქაღალდის ნაგლეჯად. ჩვენ გვსურს დავიცვათ იგი ჩვენი საერთო ინტერესებისათვის...

მენშევიკური მთავრობა აღარ არსებობს. მან თავის თავი დამარცხებულად სცნო და იარაღი დაჰყარა. ჩვენი ჯარები შევიდნენ

ბათუმში და იწყებენ იმ საზღვრების დაკავებას, რომელთა შესახებ თქვენ ანგორაში უკვე გეცნობათ. ამიერიდან ბათუმს ვერავინ ვერ შეგვეცილება. ყოველგვარი გაუგებრობისა და არავისთვის, გარდა ჩვენი მტრებისა, საჭირო შეხლა-შემოხლის თავიდან ასაცილებლად, თქვენ გაგაყაოთ თქვენი ჯარები ბათუმიდან და მისი რაიონებიდან, ამით ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყოფთ ჩვენი შეთანხმების ურღვევობასა და ჩვენს მისდამი თანხმობას[1].

ს. ორჯონიკიძის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ კარაბექირ ფაშა იძულებული შეიქნა გაეყვანა თავისი ნაწილები ახალ საზღვარს იქით. კონფლიქტი აცილებულ იქნა.

ამრიგად, მოსკოვის ხელშეკრულებამ უდიდესი როლი ითამაშა ამიერკავკასიაში მშვიდობის დამყარებისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საქმეში. ჩაიფუშა იმპერიალისტური ინგლისისა და საფრანგეთის გეგმები, დაიმსხვრა სევრის ხელშეკრულებისა და თურქეთის „ახლო აღმოსავლეთის“ პოლონეთად გადაქცევის ვარაუდები. საბჭოთა დიპლომატიამ თურქ აგრესორთა მისწრაფებებს საზღვარი დაუდო. ლენინის გამოთქმით, თურქეთთან საზავო ხელშეკრულებამ გაათავისუფლა საბჭოთა ხელისუფლება კავკასიაში მუდმივი ომისაგან. ეს იყო ხალხთა მშვიდობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გადადგმული ახალი მტკიცე ნაბიჯი.

მენშევიკები ყოველ შარაგზაზე გაყვიროდნენ „ბოლშევიკური რუსეთის აგრესიულობის“ შესახებ და ამ ყვირილს ბანს აძლევდნენ ანტანტის იმპერიალისტები და მეორე ინტერნაციონალის მესვეურები. აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პროპაგანდა „ბოლშევიზმის შემოსევის“ შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთთან მენშევიკურ საქართველოს მშვიდობის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, კიდევ უფრო გაიზარდა. რა ფანტასტიკურ ჭორებსა და საზიზღარ ცილისწამებას არ მიმართავდნენ მენშევიკური გაზეთები, რათა ხალხი დაეშინებინათ, ბოლშევიკებისათვის კაციჭამიობა დაებრალებინათ. მაგრამ მასების გაბრიყვება მენშევიკებს აღარ შეეძლოთ: რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების განთავისუფლების მაგალითზე საქართველოს მუშებმა და გლეხებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ საბჭოთა არმია არა დაპყრობის, ხალხთა და-

---

[1] „Правда Грузии“, № 16, 20 მარტი, 1921 წ.

ჰონების, არამედ მშრომელთა განთავისუფლების არმიაა და იგი მხოლოდ დამხმარე ძალას წარმოადგენს ჩაგვრისაგან ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

საქართველოდან გაპარვის შემდეგ მენშევიკებმა ევროპის საზოგადოებრივი აზრის მოწამვლა სცადეს. ისინი ცხარე ცრემლებს ღვრიდნენ „დამოუკიდებელი საქართველოს“ დაღუპვაზე, „წითელი იმპერიალიზმის“ საშიშროებაზე, ისინი ევროპელ იმპერიალისტებს აცოდებდნენ „პატარა საქართველოს“, რომელმაც თითქოს დაკარგა სისხლით შეძენილი „თავისუფლება და დემოკრატია“. ამ თავხედი ცილისწამების მიზანს შეადგენდა ევროპისა და საბჭოთა რუსეთის წაკიდება, იმპერიალისტთა ახალი ლაშქრობის მოწყობა ამიერკავკასიაში და აქ შეძლებული კლასების ბატონობისა და უცხოეთის პარპაშის აღდგენა.

მიუთითებდა რა წითელი არმიის საქართველოში მოსვლის მიზეზებზე, ს. ორჯონიკიძე სწორედ ამ ბოროტი ცილისწამების წინააღმდეგ 1921 წლის 9 მარტს „გრუზკაროსტის“ თანამშრომელთან საუბარში აღნიშნავდა: „წითელი არმია აქ (საქართველოში) მოვიდა იმისათვის, რომ 1) გაანადგუროს კონტრრევოლუციის კერა, სასტუმრო ბაკები ყოველგვარი თეთრგვარდიელი ვიგინდარებისათვის; 2) გაანადგუროს საქართველოში ბურჟუაზიის ძალაუფლება, რომელმაც ქვეყანა ანტანტის ბრმა იარაღად გადააქცია; 3) გადასცეს ყველა ფაბრიკები და ქარხნები მუშებს; 4) გადასცეს მთელი მიწა გლეხებს; 5) საქართველოს მუშებს და გლეხებს მისცეს სრული შესაძლებლობა ანტანტის საქართველოს ნაცვლად შექმნან ნამდვილად დამოუკიდებელი და თვითმყოფადი მუშურ-გლეხური საქართველო“[1].

საბჭოთა რუსეთს, მის წითელ არმიას სურდათ არა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხელყოფა, რადგან არც ერთი და არც მეორე საქართველოს მშრომელებს მენშევიკების სისხლიანი ბატონობის პერიოდში არ ჰქონიათ, პირიქით, მათ მიზნად ჰქონდათ დასახული თავისუფლების დამკვიდრება საქართველოში, უცხოელი კოლონიზატორებისაგან საქართველოს მშრომელთა დაცვა, მხოლოდ ძმური დახმარების გაწევა ქართველი მუშებისა და გლეხებისათვის, რომლებიც 3 წლის განმავლობაში იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ჰქონდათ თუ არა საქართველოს მშრომელებს უფლება იმისა, რომ თავიანთ განმათავისუფლებელ ბრძოლაში დახმარება ეთხო-

---

[1] Г. К. Орджоникидзе, Избр. статьи и речи, зд. 107—108.

ვათ მოძმე საბჭოთა რუსეთის მუშებისა და გლეხებისათვის, მიცი არმიისათვის, მაშინ როცა მენშევიკები იმპერიალისტურ ანტანტას იწვევდნენ საქართველოში და მათი ჯარისკაცების ტყვიებით ახშობდნენ მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებს? ცხადია, ამის უფლება მათ ჰქონდათ: იმავე საუბარში ს. ორჯონიკიძე აღნიშნავდა: „რაც შეეხება წითელი არმიის მხრივ საქართველოს მუშებისა და გლეხებისადმი დახმარებას, ჩვენ ამას სავსებით ბუნებრივად ვთვლით. აქ ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ, რომ მენშევიკური მთავრობა არაერთხელ მიმართავდა დახმარებისათვის და იწვევდა არა ერთ უცხოეთის ჯარებს. 3 წლის განმავლობაში საქართველოში იყვნენ გერმანელებიც, თურქებიც, ინგლისელებიც, ფრანგებიც, იტალიელებიც და ყველა მათ ორდანიას და რამიშვილის მთავრობა დიდი პატივითა და ზარ-ზეიმით ხვდებოდა. ამრიგად, ჩვენს პირობებში უცხოელთა ჯარების ჩარევაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. წინათ მენშევიკები ეძიებდნენ და იღებდნენ დახმარებას დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისაგან, რომელთა მსახურებსაც ისინი წარმოადგენდნენ. ახლა კი საქართველოს კომუნისტებმა მხარდაჭერა და დახმარება პოვეს რუსეთის მუშურ-გლეხური არმიის სახით, რომელიც მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ამოცანას — გაათავისუფლოს საქართველოს მუშები და გლეხები და შექმნას ნამდვილი დამოუკიდებელი მუშურ-გლეხური საქართველო, და არა მთლიანად ანტანტის თათებში მოქცეული საქართველო"[1].

საქართველოს მშრომელებსა და წითელი არმიის მებრძოლებს ერთიმეორესი საუკეთესოდ გაეგებოდათ. მათ შორის პირველი დღიდანვე განუყოფელი ძმობა და მეგობრობა დამყარდა. საბჭოთა მეომრები პატივს სცემდნენ საქართველოს მშრომელთა სუვერენულ უფლებებს და იქცეოდნენ ისე, როგორც მოკრძალებული სტუმრები, ხოლო საქართველოს მშრომელები საბჭოთა მეომრებში მხსნელ ძალას ხედავდნენ და მათ მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდნენ.

საქართველოს მშრომელთა სუვერენული უფლებებისადმი პატივისცემას ავალებდა XI არმიის მეომრებს ვ. ი. ლენინი თავის დეპეშაში:

---

[1] Г. К. Орджоникидзе Избр. статьи и речи, зз. 105.

„იმის გამო, რომ მეთერთმეტე არმიის ჯარების ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან, წინადადება გეძლევათ სრული კონტაქტი დაამყაროთ საქართველოს რევკომთან და ზუსტად შეუფარდოთ თქვენი მოქმედება რევკომის დირექტიებს, საქართველოს რევკომთან შეუთანხმებლად არ მიიღოთ არავითარი ღონისძიებანი, რომლებსაც შეუძლიათ შელახონ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებული პატივისცემით მოეკიდოთ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინოთ ქართველი მოსახლეობის მიმართ. დაუყოვნებლივ მიეცით სათანადო დირექტივა არმიის ყველა დაწესებულებას, მათ შორის განსაკუთრებულ განყოფილებასაც. პასუხისგებაში მიეცით ყველა, ვინც ამ დირექტივას არღვევს. გვაცნობეთ ხოლმე დარღვევის ყოველი შემთხვევის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან თუნდაც უმცირესი უთანხმოებისა და გაუგებრობის შესახებ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ლენინი“[1].

ამრიგად, მენშევიკებისა და მათი საზღვარგარეთელი მფარველების ღრიანცელს საქართველოს „დაპყრობის“ შესახებ არ ჰქონია არავითარი საფუძველი და ეს ბოროტი მონაჭორი საზოგადოებრივი აზრის მოტყუებისათვის იყო ნავარაუდევი. ლენინისა და სტალინის მითითებით XI არმიას მენშევიკური დიქტატურის ძალადობისაგან უნდა გაეთავისუფლებინა საქართველოს მშრომელები. ეს ამოცანა მან საქართველოს რევოლუციურ მუშებთან და გლეხებთან ერთად ბრწყინვალედ შეასრულა. საქართველოს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ეროვნული ძალების გაფურჩქვნის შესაძლებლობა. ამ დღიდან დაიწყო ახალი, ზრდისა და აყვავების ხანა მათ ცხოვრებაში.

საქართველოს მშრომელებისადმი საბჭოთა არმიის ძმურ დახმარებაში თვალსაჩინოდ გამოვლინდა რუსი და ქართველი ხალხის ისტორიულად ჩამოყალიბებული მეგობრობა. საბჭოთა რუსეთმა საქართველო ანტანტის კლანჭებიდან იხსნა, მას თავისუფლების მზე დაუმკვიდრა.

რაც შეეხება ქართველ მენშევიკებს, ისინი იმპერიალისტებსა და ინტერვენტებს მიეყიდნენ და მთელ თავის იმედს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კონტრრევოლუციურ ომსა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციაზე ამყარებდნენ. ისინი იმპერია-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 35, გვ. 506.

ლისტურ სახელმწიფოთა ჯაშუშები, ფაშიზმისა და იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტები გახდნენ.

* * *

როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი კომუნისტების ტაქტიკა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ? რა თავისებურებების გათვალისწინება იყო საჭირო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში?

ვ. ი. ლენინი თავის ცნობილ წერილში აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ კომუნისტებისადმი (1921 წლ. 14 აპრილი) მიუთითებდა, რომ ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის „...ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამიერკავკასიის კომუნისტებმა შეიგნონ თავიანთი მდგომარეობის, თავიანთი რესპუბლიკების მდგომარეობის თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა, რუსეთის სფს რესპუბლიკის მდგომარეობისა და პირობებისაგან განსხვავებით, შეიგნონ იმის აუცილებლობა, რომ ბრმად კი არ გადაიღონ ჩვენი ტაქტიკა, არამედ მოფიქრებულად შეუფარდონ იგი კონკრეტული პირობების სხვაობას“[1].

რა თავისებურებები ჰქონდა ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს? პირველ ყოვლისა ის, რომ ამიერკავკასია, კერძოდ, საქართველო კიდევ უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს (თუ არ ჩავთვლით ბაქოს, რომელიც, ი. ბ. სტალინის გამოთქმით, ზევიდან არის დაშენებული აზერბაიჯანის ეკონომიკაზე) არ ჰქონიათ ძლიერი სამრეწველო ცენტრები, არ ჰყოლიათ ძლიერი, ბრძოლაში ნაწრთობი, გათვითცნობიერებული სამრეწველო პროლეტარიატი. აქედან გამომდინარე, კლასობრივი შეჯახებები აქ სუსტი იყო რუსეთის სამრეწველო ცენტრებთან შედარებით და რევოლუციურ მოძრაობასაც დახვეწილი ხასიათი არ ჰქონია. წვრილბურჟუაზიული ელემენტების სიჭარბე ერთგვარ ნიადაგს ჰქმნიდა წვრილბურჟუაზიული პარტიების გავლენისათვის. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეს პარტიები სამი წლის განმავლობაში პარპაშობდნენ ამიერკავკასიაში და პროპაგანდის ყველა საშუალება ხელთ ეპყრათ. ამას არ შეიძლებოდა გარკვეული გავლენა არ მოეხდინა მასების შეგნებასა და განწყობილებაზე. საქართველოში მუშების უმრავლესობას დიდხანს სჯეროდა მენშევიკთა თვალთმაქცური დაპირებებისა. ცხადია, ამ

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 397.

წვრილბურჟუაზიულ სტიქიასთან მეტად მოქნილი, ზოგჯერ დათმობითი, სისტემატური დარწმუნებითი პოლიტიკის გატარება იყო საჭირო.

გლეხური მოსახლეობის სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური ჩაბმისათვის საჭირო იყო გლეხების მდგომარეობის დაუყოვნებლივი გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობაში ჩამორჩენის ლიკვიდაცია, ახალი ფართობების ათვისება. „ერთბაშად ეცადეთ გაუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, ააღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას"[1] მიუთითებდა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ნაციონალური შუღლის აღმოფხვრას და ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცებას, როგორც ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკის კომუნისტების საერთო საბრძოლო ამოცანას. „...ნებას ვაძლევ თავს გამოვთქვა იმედი, რომ მათი (ამიერკავკასიის რესპუბლიკების—ა. ს.) მჭიდრო კავშირი შექმნის ბურჟუაზიის დროს არნახულ და ბურჟუაზიულ წყობილებაში შეუძლებელი ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუშს"[2].

ამას უნდა დავუმატოთ ის, რომ საქართველოს იმთავითვე ჰყავდა ძლიერი ინტელიგენცია. ხოლო წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ლიდერებს ეორდანიასა და მის კომპანიას საკმაო გავლენა ჰქონდათ ევროპაში, მეორე ინტერნაციონალში. არ შეიძლებოდა ამ თავისებურების ყურადღების გარეშე დატოვება. საჭირო იყო ქართველი ინტელიგენციის შემობრუნება საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. პრაქტიკული მუშაობით იმის დადასტურება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ხალხის შემოქმედებითი უნარის გაფურჩქვნისა და ეროვნული კულტურის აღორძინებისათვის ყველა პირობას ჰქმნის. „მეტი სირბილე, სიფრთხილე და დამთმობლობა წვრილი ბურჟუაზიის, ინტელიგენციის და განსაკუთრებით გლეხობის მიმართ. ...უფრო ნელი, უფრო ფრთხილი, უფრო სისტემატური გადასვლა სოციალიზმზე — აი რაა შესაძლებელი და აუცილებელი კავკასიის რესპუბლიკებისთვის რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან განსხვავებით"[3]—მიუთითებდა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინი, თ.ხ., ტ 32, გვ. 399—400.

[2] იქვე, გვ. 397.

[3] იქვე, გვ. 398—399.

ამ ამოცანათა განსახორციელებლად ამიერკავკასიის კომუნისტებს მთელი რიგი უპირატესობანიც გააჩნდათ. საქმე ისაა, რომ საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთში, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მოკლებული იყო პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას ყველგან, პირიქით, იგი წლობით აწარმოებდა ომს ანტანტის თავდასხმებისა და ბლოკადის წინააღმდეგ. ამიერკავკასიის რესპუბლიკებს კი ჰქონდათ დახმარება რუსეთის სფს რესპუბლიკისაგან. საბჭოთა რუსეთმა თავის ზურგზე გადაიტანა ანტანტასთან ბრძოლის მთელი სიმძიმე და გაანადგურა მისი ყველა შემოტევა. ანტანტა „დაიწვა" რუსეთზე და მას აღარ შეეძლო ახალი ინტერვენციის მოწყობა. ამიერკავკასიელ კომუნისტებს კი გარედან ყოველდღიური საფრთხის გარეშე, საბჭოთა რუსეთის ძმური დახმარებით, შეეძლოთ დაბრკოლებათა გადალახვა. ეს ძირითადი განსხვავება ქმნიდა დიდ პლუსს ამიერკავკასიელი კომუნისტების პრაქტიკული მუშაობისათვის.

„მეტი დათმობა ინტელიგენციისადმი, მეტი სირბილე წვრილი ბურჟუაზიის მიმართ, მეტი ყურადღება გლეხობის საჭიროებისადმი, ამ უკანასკნელის ჩაბმა საბჭოთა მშენებლობაში — აი ის კურსი, რომელიც ჩვენმა პარტიამ აიღო საქართველოში და ეს აღმოჩნდა სწორი, რადგან იგი არ განსხვავდებოდა იმ პოლიტიკური ხაზისაგან, რომელიც დასახულია ლენინის ცნობილ „წერილში" კავკასიის კომუნისტებისადმი"[1]—წერდა ს. ორჯონიკიძე.

1921 წლის 6 აპრილს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ[2]. დეკრეტით ხდებოდა მემამულეთა მიწების კონფისკაცია და მშრომელი გლეხებისადმი უსასყიდლოდ გადაცემა. ეს იყო უდიდესი ისტორიული აქტი ქართველი გლეხობის ცხოვრებაში, რომელსაც საუკუნეებით ტანჯავდა უმიწობა და მემამულე-კულაკების კაბალა. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში ერთი დაკვრით განახორციელა ის, რისთვისაც ღარიბი გლეხები სისხლს ღვრიდნენ. ცხადია, ამ აქტს საბჭოთა მშენებლობაში გლეხობის აქტიური ჩაბმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

დეკრეტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გაზ. „კომუნისტი" აღნიშნავდა: „საქართველოში ამიერიდან ყველა მიწები მთელი

---

[1] Г. К. Орджоникидзе. Избр. статьи и речи, стр. 119—120.

[2] საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და პროლეტარული ხელისუფლების მშენებლობის საკითხებზე დაწვრილებით იხ. ი. კაჭარავას შრომა „საქართველოში პროლეტარული ხელისუფლების მშენებლობის ისტორიიდან (რევკომის პერიოდი)". საქ. სსრ მეცნიერებათა აკ დეპია. თბილისი, III, 1953 წ.

მშრომელი ხალხის კუთვნილებას შეადგენს. მიწა ყველა მშრომელისათვის ხელმისაწვდომი ხდება. ყველა მსხვილ მემამულეებს მიწა შენობებით, სამეურნეო იარაღით, პირუტყვით უნდა ჩამოერთვათ უსასყიდლოდ და მშრომელი გლეხკაცობის განკარგულებაში უნდა გადავიდეს. ...ღღიდან დეკრეტის გამოქვეყნებისა სოფლებში და სასოფლო საზოგადოებებში ანუ თემებში უნდა შესდგეს ადგილობრივი ღარიბ გლეხებიდან მიწის კომიტეტები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც ამ მიწის ნორმას, რომელიც უნდა ჩამოერთვათ ყოფილ მემამულეებს, ისე ნორმას, რომელიც მიწის ფონდიდან სრულიად უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ გლეხკაცობის ცალკე ოჯახებს. ის ნორმები, რომლებიც დაწესებული იყო მენშევიკების მიერ მსხვილ მიწათმფლობელთათვის, რა თქმა უნდა, უქმდება, უქმდებიან აგრეთვე ყველა ის კანონები მიწის შესახებ, რომლებიც გამოცემული იყვნენ 1921 წლის 25 თებერვლამდე საქართველოში. გარდა ამისა, მენშევიკების მიერ ჩადენილ უსამართლობას რომ ბოლო მოეღოს, საბჭოთა მთავრობა საჭიროდ თვლის, რომ იმ წვრილ და საშუალო გლეხებს, რომლებმაც მიწის ფონდიდან იყიდეს მიწა, გაღებული ფული უკანვე დაუბრუნდეს, და თვით შეძენილი მიწა კი იმათვე სარგებლობაში დარჩეს"[1].

ამგვარად, რევკომის მიერ გამოცემულმა დეკრეტმა სამართლიანად, მშრომელი ხალხის სასარგებლოდ გადაჭრა მიწის საკითხი. მიწის დეკრეტმა ლახვარი ჩასცა მენშევიკ ცილისმწამებლებს, რომლებიც რესპუბლიკის შიგნით ფარულად ჩურჩულებდნენ, ხოლო ევროპაში ხმამაღლა გაყვიროდნენ „დემოკრატიის დაღუპვაზე", ქართველი გლეხკაცობის გაჩანაგებაზე. ქართველმა გლეხკაცობამ ამ დეკრეტში პოვა თავისი სასიცოცხლო ინტერესების პრაქტიკული გადაწყვეტა. რევკომისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში მოკალათებული ნაციონალ-უკლონისტები აფერხებდნენ აგრარული კანონის გატარებას. ნაციონალ-უკლონისტებმა კანონს მიწის ნაციონალიზაციის შესახებ დაურთეს მთელი რიგი „განმარტებანი", „ცირკულარები", რაც ფაქტიურად ხელს უშლიდა ამ კანონის გატარებას ადგილებზე. ნაციონალ-უკლონისტები მენშევიკურ საადგილმამულო პოლიტიკაზე შორს წასვლას არ აპირებდნენ, გლეხობის ამ სასიცოცხლო საკითხის „ევოლუციური" გზით გადაჭრას სთავაზობდნენ პარტიას.

---

[1] გაზ. „კომუნისტი", № 31, 9 აპრილი, 1921 წ.

ყოველივე ამით ისინი ქართველი მშრომელი გლეხობის სამართლიან გულისწყრომას იწვევდნენ.

კომუნისტურმა პარტიამ გამოააშკარაა და სასტიკად დაგმო ნაციონალ-უკლონისტების კულაკური საადგილმამულო პოლიტიკა. სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით ქართველმა კომუნისტებმა უზრუნველყვეს აგრარული კანონის გატარება სწრაფი, რევოლუციური გზით, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო გლეხური მასების აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში[1].

საბჭოთა ხელისუფლებას ამიერკავკასიაში მეტად სავალალო მემკვიდრეობა დახვდა. კონტრრევოლუციური პარტიების (მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების) სამწლიანმა ბატონობამ ამიერკავკასია, რომელიც თვითმპყრობელობის დროს ჩამორჩენილ მხარეს წარმოადგენდა, კატასტროფის პირამდე მიიყვანა. განუწყვეტელი სამეურნეო ნგრევა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ამიერკავკასიაში, თანდათან ღრმავდებოდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების პარპაშის პერიოდში. ამავე დროს გერმანიის, თურქეთისა და ამერიკა-ინგლისის იმპერიალისტები, რომლებიც ამიერკავკასიაში თავიანთ თავს შეუზღუდველ ბატონებად თვლიდნენ, ეზიდებოდნენ ქვეყნის სიმდიდრეს. განადგურებული იყო მრეწველობის ყველა დარგი, გაჩანაგებული იყო სოფლის მეურნეობა, მოშლილი იყო ტრანსპორტი.

ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბატონობამ ამიერკავკასიის მშრომელთა შორის გააღვივა ნაციონალისტური შუღლი და მტრობა. ის ძმური კავშირი, რომელიც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მშრომელებს შორის არსებობდა რუსეთის პირველი რევოლუციისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთელ პერიოდში, მენშევიკმა, დაშნაკმა და მუსავატმა მმართველებმა დაასამარეს თავიანთი შოვინისტური, ბოროტი საქმიანობით. მათ ერთმანეთს წაკიდეს მშვიდობისმოყვარე და ძმურად განწყობილი ამიერკავკასიელი ხალხები. გაიზარდა, გასივდა ნაციონალისტური გველეშაპი. „მე მახსოვს 1905 — 1917 წლები, — ამბობდა ი. ბ. სტალინი საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის

---

[1] ი. კაკარავა, საქართველოში პროლეტარული სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიიდან, გვ. 19.

ორგანიზაციის საერთო კრებაზე 1921 წლის 6 ივლისს, — როცა ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებსა და საზოგადოდ მშრომელებს შორის სრული ძმური სოლიდარობა იყო, როცა ძმური კავშირი ერთ სოციალისტურ ოჯახად აკავშირებდა სომეხ, ქართველ, აზერბაიჯანელ და რუს მუშებს. ახლა, თბილისში ჩამოსვლისას, გამოაცა იმან, რომ ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის აღარ არის წინანდელი სოლიდარობა. მუშებსა და გლეხებში განვითარებულია ნაციონალიზმი, გაძლიერებულა უნდობლობის გრძნობა თავის სხვატომელი ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქართული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბზე ჭარბადაა. ძმური ნდობის ძველი კავშირი გაწყვეტილია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. ჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, რომელნიც თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას ეწეოდნენ და მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთების გასაღვივებლად მუშაობდნენ, ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ამ პატარა ქვეყანათაგანი მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული აღმოჩნდა, რამაც საქართველოსა და სომხეთს მოაკლო რუსეთის პური და აზერბაიჯანის ნავთი, ხოლო აზერბაიჯანსა და რუსეთს—ბათუმით მომავალი საქონელი. აღარას ვამბობ შეიარაღებულ შეტაკებებზე (ქართველ-სომეხთა ომი) და ხოცვა-ყლეტაზე (სომეხ-თათართა შორის), როგორც ნაციონალისტური პოლიტიკის ბუნებრივ შედეგებზე. საკვირველი არ არის, რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა. და რამდენადაც ამ ნაციონალიზმის გადმონაშთები ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მუშებს შორის, ეს გარემოება (ნაციონალიზმი) უაღრესად უშლის ხელს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო (და სამხედრო) ღონისძიებათა გაერთიანების საქმეს"[1]

ამრიგად, ნაციონალურ საკითხში ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურ პარტიათა ბოროტი მემკვიდრეობის სწრაფი ლიკვიდაცია და ამიერკავკასიის ხალხთა შორის ნაციონალური ზავის დამყარება, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის პრინციპების დანერგვა და განმტკიცება, ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი მშრომი-

---

ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 104—105.

ლების დაძმობილება და სოციალისტურ მშენებლობაში მათი კოლექტიური ჰარმონიული ჩაბმა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთ მთავარ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენდა.

ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ მუსავატური, მენშევიკური და დაშნაკური ემართველი ხროვა მათ მფარველებს — ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტებს შეეხიზნა და მათი დახმარებით ლამობდა ბატონობის დაბრუნებას. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ამიერკავკასიის ხალხთა ეს დაუძინებელი მტრები იმისათვის შეიფარეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ახალ ავანტიურას ამზადებდნენ. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1921 წლის დასაწყისში ანტანტამ გადაწყვიტა ამიერკავკასიისათვის თურქეთი მიესია. ლოიდ ჯორჯი თურქეთის დელეგაციის მეთაურთან ბეკირ-სამი-ბეისთან საუბარში მიუთითებდა, რომ თურქეთმა თავის პროტექტორატი უნდა დააწესოს ამიერკავკასიაზე ბაქოს ნავთის წყაროებთან ერთადო[1].

როდესაც ანტანტის გეგმები ჩაიშალა და საბჭოთა ჯარებმა ბათუმი თურქ იმპერიალისტებს ხელიდან გამოგლიჯეს, ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის იმპერიალისტებმა თავისი კალთები გადააფარეს ამიერკავკასიის „მთავრობებს“ და მისცეს მათ ყველა შესაძლებლობა ევროპისა და ამერიკის საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა რუსეთისა და ამიერკავკასიის წინააღმდეგ განეწყოთ, კონტრრევოლუციური შეთანხმებები დაედოთ, ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის დაზვერვის დავალებით ძირგამომთხრელი მუშაობა ეწარმოებინათ.

იმპერიალისტურ ბანაკს შეხიზნული ქართველი კონტრრევოლუციონერები ყოველმხრივ აქეზებდნენ ხარბ მილიარდერებს ბაქოსა და საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობისათვის. მენშევიკური ორგანო „თავისუფალი საქართველო“ (გამოდიოდა საზღვარგარეთ) ინტერვენციისათვის ასეთ წამქეზებელ სტრიქონებს ბეჭდავდა: „ვან, ვისაც სურს ჰქონდეს ბაქოს ნავთი თავის საკუთრებაში, უნდა იცოდეს, რომ ბაქოზე გზა ბათუმ-საქართველოზე გადის. თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ბაქოს ნავთი, მაშინ კეთილინებეთ დაგვეხმარეთ ჩვენ ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებაში“.

ამიერკავკასიის ყოფილი „მთავრობის“ დაქირავებული მჯღაბნელები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა და თურქეთის პრესაში გაყვიროდნენ, რომ ამიერკავკასია ოკუპირებულია,

---

[1] История дипломатии, том III. Огиз, 1945, стр. 100.

რომ იქ არ არსებობს საბჭოთა ხელისუფლება, რომ ხალხი დატანჯულია წითელი არმიის თვითნებობით და განთავისუფლებას ელოდება. ამ ხმაურთან ერთად პარიზში, ლონდონსა და სხვა ქალაქებში იქმნებოდა ფარული ბლოკები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები კავშირს კრავდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დამარცხებულ გენერლებთან, თეთრგვარდიელთა ათასგვარ კომიტეტებთან. ბელგრადში ისინი მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ვრანგელთან და პირდებოდნენ მას ყოველმხრივ დახმარებას ამიერკავკასიაზე ლაშქრობისათვის. ჩამოყალიბდა „კავკასიის გაერთიანებული საჯანყებო ცენტრალური კომიტეტი", რომელშიაც შედიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების ისეთი დაუძინებელი მტრები, როგორიც იყვნენ ჟორდანია, ლორთქიფანიძე, იაკიმოვი, ბაბაევი, ნეიმუდინ ჰაჯი ჰუსეინი, ჰაჯი ალიევი, არტემიანი და სხვ.[1] კომიტეტის „დელეგაცია" მოგზაურობდა კაპიტალისტური ევროპის ქალაქებსა და ქვეყნებში — პრაღაში, ბელგრადში, სოფიაში, პოლონეთში, რუმინეთში. კავშირს აბამდა ადგილობრივ იმპერიალისტურ და რუსეთიდან გადახვეწილ თეთრგვარდიულ ელემენტებთან, მოლაპარაკებას აწარმოებდა იტალიის ფაშისტებთან და ამზადებდა ჯვაროსნულ ლაშქრობას საბჭოთა ამიერკავკასიის წინააღმდეგ. კომიტეტს ახლო კავშირი ჰქონდა „რუსეთის განთავისუფლების შავი ზღვის კომიტეტთან", რომელსაც აფინანსებდნენ როტშილდი, მანთაშევი, იტალიელი კაპიტალისტები.

ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის დაზვერვითი ორგანოების პირდაპირი დავალებით კონტრრევოლუციური „მთავრობები" ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში ფარულად გზავნიდნენ ჯაშუშებს, დივერსანტებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ადგილობრივ მენშევიკურ-დაშნაკურ-მუსავატურ ელემენტებზე დაყრდნობით ეწარმოებინათ ძირგამომთხრელი მუშაობა, შეემზადებინათ ბანდები ამბოხებისათვის, შეეკრიბათ ცნობები და მიეწოდებინათ იმპერიალისტური ქვეყნის მთავრობათათვის. მენშევიკი ბანდიტები — ფავლენიშვილი, ჩოლოყაშვილი, როგორც შემდეგ მათი პირადი წერილებით გამოირკვა, პირდაპირ კავშირში იყვნენ პარიზში მყოფ მენშევიკურ მთავრობასთან და მისი დაკვეთით დათარეშობდნენ საქართველოში, აწიოკებდნენ ხალხს, გზავნიდნენ საჭირო ცნობებს უცხო სახელმწიფოთა დაზვერვით ორგანოებში.

---

[1] იხ. С. С. Багдасарян, „Партия большевиков—организатор ЗСФСР, გვ. 10. ჟურნ. „Вопросы истории" № 8, 1952.

იმპერიალისტური ამერიკისა და ევროპის ფარული ღონისძიებანი, „რუსეთის ხსნის“ ათასგვარი „კომიტეტები“ და ბლოკები იმას მოწმობდნენ, რომ ინტერვენციის საფრთხე სრულებითაც არ შემცირებულა. ამ საფრთხის წინააღმდეგ საჭირო იყო მშრომელთა ძალების გაერთიანება. დამოუკიდებლად ამიერკავკასიის არც ერთ რესპუბლიკას არ შეეძლო იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ გალაშქრება, არ შეეძლო იგი მთლიანად ამიერკავკასიასაც, საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერის გარეშე. ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის საკითხი, სოციალისტური ამიერკავკასიის მშვიდობიანი მშენებლობის საკითხი განუყოფლად იყო დაკავშირებული ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბრძოლო ძალთა გაერთიანების, მოძმე რუს ხალხთან მჭიდრო, მეგობრობისა და თანამშრომლობის საკითხთან. ასეთი მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელი იყო არა მარტო საგარეო საფრთხის ლიკვიდაცია, არამედ იმ შინაგანი სიძნელეების დაძლევა, რაც მშრომელთა ხელისუფლებას ეღობებოდა წინ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. მიუთითებდა რა ურთიერთდახმარების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების აუცილებლობაზე, სერგო ორჯონიკიძე აღნიშნავდა:

„ავიღოთ საბჭოთა საქართველო. განა მას შეუძლია არსებობა რუსეთის პურის გარეშე? განა მას შეუძლია არსებობა აზერბაიჯანის ნავთის გარეშე? განა მას შეუძლია თავისი საზღვრების დაცვა რუსეთის წითელი არმიის გარეშე? განა მას შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი ქართული არმია რუსეთის წითელი არმიის დაუხმარებლად? განა აზერბაიჯანს და სომხეთს შეუძლიათ არსებობა ბათუმის ნავთსადგურის და რუსეთის პურის გარეშე? განა საბჭოთა რუსეთს ბაქოს ნავთი ისე არ ესაჭიროება, როგორც ადამიანს ჰაერი?... განა თუ დონის ბასეინში, ქვანახშირის მოპოვება აგვისტოში 9 მილ. ფუთიდან ოქტომბერში ავიდა 46 მილ. ფუთამდე ერთ თვეში, ამით ბაქოს ნავთისაგან არა ვართ დავალებული, რომელმაც ჩვენ სათბობით უზრუნველგვყო? განა ბაქოს ნავთის მრეწველობაში 10 მილ. ფუთიდან ზაფხულზე 14 და 15 მილ. ფუთამდე აყვანას ჩვენ რუსეთის პურსა და ოქროს არ უნდა ვუმადლოდეთ? როგორ შეიძლება ლაპარაკი ეკონომიური კავშირია უქონლობაზე ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებსა და რუსეთს შორის?“[1].

1921 წლის 11 აპრილს ბაქოს საბჭოს გაფართოებულ სხდო-

---

[1] Г. К. Орджоникидзе. Избр. статьи и речи, 130.

ბაზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. ორჯონიკიძე. დაახასიათა რა ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციური პარტიების სამშლიანი პარპაშის ბოლო შედეგები, ს. ორჯონიკიძემ მიუთითა სამივე რესპუბლიკის სამეურნეო ღონისძიებათა დაუყოვნებლივი გაერთიანების აუცილებლობაზე. ს. ორჯონიკიძემ ხაზი გაუსვა ამიერკავკასიის რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების შესახებ აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის პლენუმის გადაწყვეტილების უდიდეს მნიშვნელობას.

ამავე სხდომაზე ს. მ. კიროვმა თავის მოხსენებაში, დაახასიათა რა ორი ბანაკის შეურიგებელი ბრძოლა, გარდამტეხი მომენტი გლეხის ცხოვრებაში, სამეურნეო სიძნელეთა ხასიათი, მიუთითა ამიერკავკასიის მშრომელი მოსახლეობის ძალთა გაერთიანებისა და საბჭოთა რუსეთთან ძმური კავშირის აუცილებლობაზე.

სხდომის რეზოლუციაში ნათქვამია შემდეგ: „მოისმინა რა ამხ. ამხ. ს. ორჯონიკიძისა და კიროვის მოხსენებანი, ბაქოსა და მისი რაიონული საბჭოების და ბაქოსა და მისი რაიონების პროლეტარული ორგანიზაციების გაერთიანებული სხდომა თვლის, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში ომიდან მშვიდობიანობაზე გარდამავალი მომენტი, დაკავშირებულია რა დიდ საშიშროებებთან და ურთულეს სიძნელეებთან, მოითხოვს მუშათა კლასის ავანგარდის უდიდეს გამძლეობას, შემჭიდროებასა და ორგანიზებულობას.

საერთაშორისო კაპიტალის ახალი ლაშქრობის საშიშროების წინაშე, კაპიტალისა, რომელიც ცდილობს ააფეთქოს საბჭოთა ხელისუფლება შიგნიდან, აუცილებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა ძალების გაერთიანება.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანები სამეურნეო აღორძინების, საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიური ძლიერების აღდგენისათვის საგარეო ვაჭრობის გამოყენების საქმეში...

საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებისათვის ამიერკავკასიაში აუცილებელია ყველა საბჭოთა რესპუბლიკის სამეურნეო გაერთიანება თითოეულ მათგანში ნაციონალური დამოუკიდებლობის თვითმოქმედების, ენისა და კულტურის სრული შენარჩუნებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბაქოს საბჭო მხურვალედ მიესალმება აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებას ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობის, რკინიგზების გაერთიანების შესახებ...

..ბაქოს საბჭო დარწმუნებულია, რომ ამიერკავკასიის მშრომელი მასები ამ მოწოდებას გამოეხმაურებიან და მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ძალ-ღონით საბჭოთა რესპუბლიკები ამჟამადაც, ისე როგორც ყოველთვის, ახალ ფრონტზეც გამარჯვებას მოიპოვებენ.

გაუმარჯოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირს!"[1]

აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ ინიციატივას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ საქართველოსა და სომხეთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ამ ერთსულოვან გამოხმაურებას მალე მოჰყვა აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შეთანხმება რკინიგზის გაერთიანებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კომისარიატის შექმნის შესახებ.

ხელშეკრულებაში რკინიგზების გაერთიანების შესახებ ნათქვამი იყო შემდეგი: „1) ყველა საექსპლოატაციო რკინიგზები, რომლებიც კი იმყოფებიან საბჭოთა რესპუბლიკების აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის საზღვრებში, ერთდებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რკინიგზების ერთ ქსელში. 2) ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რკინიგზების მთელ ქსელს სათავეში უდგას ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ერთიანი სამმართველო, რომელიც იმყოფება ქ. თბილისში. 3) ამიერკავკასიის რკინიგზებისა და შავი ზღვის და კასპიის საზღვაო ნავსადგურთა შორის ადგილობრივ გადაზიდვის საქმის მოსაწესრიგებლად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან მისი უფროსის თავმჯდომარეობით არსდება ამიერკავკასიის ბიურო გადაზიდვის საქმისა"[2].

ამრიგად, გადადგმულ იქნა პირველი ნაბიჯები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანებისათვის. რკპ (ბ) კავბიურო ამ მხრივ განუხრელად ახორციელებდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სადირექტივო მითითებას. გავიხსენოთ ვ. ი. ლენინის დეპეშა სერგო ორჯონიკიძისადმი 1921 წლის 9 აპრილის თარიღით: „მივიღე თქვენი დაშიფრული დეპეშა, რომ სურსათის მხრივ ამიერკავკასიაში საშინელი მდგომარეობაა. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, ცოტაოდენი ოქრო მივეცით სომხეთს, დავადასტურეთ სასურსათო კომიტეტისათვის მიცემული ყოველგვარი დავალებანი. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ აქ ძალიან გვიჭირს და ვერ შევძლებთ დაგეხმაროთ. დაბეჯითებით მოვითხოვ

---

[1] „Правда Грузии", № 41, 20 აპრილი. 1921 წ.

[2] კომუნისტი, № 41, 21 აპრილი, 1921 წ.

შექმნათ საოლქო სამეურნეო ორგანო მთელი ამიერკავკასიისა-თვის...“[1]

ამრიგად, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საშინაო და საგარეო ვითარება ცხოვრების წინაშე აყენებდა დაუყოვნებლივ ამოცანას: ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო და პოლიტიკური კავშირის, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის ამოცანას.

როგორც ცნობილია, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ბოლშევიკურ პარტიას ხალხთა განთავისუფლების შემდეგ მათი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ყველაზე საუკეთესო ფორმად მიაჩნდა ფართო ავტონომია ერთ მთლიან სახელმწიფოში. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ლენინმა და სტალინმა წამოაყენეს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ახალი ფორმა—საბჭოთა ფედერაცია, „როგორც ერთ-ერთი გარდამავალი ფორმა სრული ერთიანობის გზაზე“. რით იყო გამოწვეული ბოლშევიკური პარტიის შეხედულების ასეთი ევოლუცია ნაციონალური ორგანიზაციის საკითხებში?

ი. ბ. სტალინი აღნიშნავს:

„ეს ევოლუცია ჩვენი პარტიის შეხედულებებისა სახელმწიფოებრივი ფედერაციის საკითხზე უნდა აეხსნათ სამი მიზეზით.

ჯერ ერთი, იმით, რომ ოქტომბრის გადატრიალების დროისათვის რუსეთის მთელი რიგი ეროვნებანი ნამდვილად აღმოჩნდნენ ერთი მეორისაგან სრული გამოყოფისა და სრული მოწყვეტის მდგომარეობაში, რის გამო ფედერაცია აღმოჩნდა წინ გადადგმული ნაბიჯი ამ ეროვნებათა მშრომელი მასების დაქსაქსულობიდან მათი დაახლოებისაკენ, მათი გაერთიანებისაკენ.

მეორეც იმით, რომ თვით ფორმები ფედერაციისა, რომლებიც საბჭოთა მშენებლობის მსვლელობაში დაისახა, ისეთი აღმოჩნდნენ, რომ იმდენად როდი ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის ეროვნებათა მშრომელი მასების ეკონომიური დაახლოების მიზნებს, როგორც ეს შეიძლებოდა გვგონებოდა წინათ, ანდა სრულებითაც არ ეწინააღმდეგებოდნენ ამ მიზნებს, როგორც შემდეგში პრაქტიკამ დაგვანახა.

მესამეც, იმით, რომ ნაციონალური მოძრაობის ხვედრითი წონა გაცილებით უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ხოლო ეროვნებათა გა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ, 35, გვ. 510.

ერთიანების გზა — გაცილებით უფრო რთული, ვიდრე ეს შეიძლებოდა გვგონებოდა წინათ, ომამდელ პერიოდში, ან ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში"[1].

პროლეტარიატის დიქტატურის ახალი ფორმა — საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც ყველა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან შედარებით ყველაზე უფრო ინტერნაციონალურ ორგანიზაციას წარმოადგენს, ყოველგვარ ნაციონალურ ჩაგვრას სპობს და სხვადასხვა ეროვნებათა მშრომელების ძმურ თანამშრომლობას ეყრდნობა, იძლეოდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ტიპის ფედერაციის მოწყობის სრულ შესაძლებლობას.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა საფუძველზე რკპ (ბ) ც. კ-ის კავკასიის ბიურომ ს. ორჯონიკიძის და ს. მ. კიროვის მეთაურობით გააჩაღა ენერგიული მუშაობა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ერთ ფედერაციულ კავშირში გაერთიანებისათვის.

ამიერკავკასიაში ფედერაციის მშენებლობის საკითხის წარმატებით გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ი. ბ. სტალინის ჩამოსვლას ამიერკავკასიაში. 1921 წლის ივნისის დამლევს ი. ბ. სტალინი ნალჩიკიდან მიემგზავრება თბილისს და უშუალო მონაწილეობას იღებს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მუშაობაში.

3 ივლისს შედგა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს გაერთიანებული პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მთიელთა რესპუბლიკის კ პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრები, თბილისის და ბაქოს კომუნისტური პარტიის საქალაქო კომიტეტების, პროფესიული კავშირების საბჭოს პრეზიდიუმისა და არმიის რევოლუციური საბჭოს წევრები. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ ი. ბ. სტალინი და ს. კ. ორჯონიკიძე.

პლენუმმა განიხილა საკითხი საქართველოსა და ამიერკავკასიაში კომუნიზმის მშენებლობის მორიგ ამოცანებზე და მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებისა და რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას შორის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ:

1. დაადასტურეს ამიერკავკასიის რესპუბლიკების (საქარ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 33—34.

თველო, აზერბაიჯანი და სომხეთი) დამოუკიდებლობის ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა.

2. ვინაიდან ურთიერთ შორის სამხედრო და სამეურნეო დახმარება აბსოლუტურად აუცილებელია აღნიშნულ რესპუბლიკებისათვის, რომლებსაც იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი უკავიათ, აუცილებლად იქნას ცნობილი ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და რსფსრ შორის ნებაყოფლობით საფუძვლებზე სამხედრო, საკავშირო და სამეურნეო-საფინანსო კონვენციის დადება.

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ

1. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, სოვპროფებს (პროფესიული კავშირის საბჭოებს) დორპროფსაბჭოებს (რკინიგზის პროფესიული კავშირის საგზაო კომიტეტებს) გამოსცენ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებისადმი ცირკულარული წერილები საგარეო ვაჭრობის და რკინიგზის გაერთიანებული ორგანოებისადმი ყოველმხრივი მხარდაჭერის შესახებ, განუმარტონ ასეთი მხარდაჭერის მთელი მნიშვნელობა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საწარმოო ძალების აღდგენის საქმეში.

2. შექმნან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო საქმიანობის გაერთიანების კომისია, დაავალდებულონ იგი ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი ასეთი გაერთიანების კონკრეტულ ღონისძიებებზე, პირველ რიგში მელიორაციისა და ელექტროფიკაციის დარგებში.

3. კავბიურო აღნიშნავს რა ნაციონალიზმისაკენ გადახრის ფაქტებს, რამაც თავი იჩინა ისეთ საკითხებში, როგორიცაა საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რესპუბლიკათა ტერიტორიული გამიჯვნა, საბაჟოებისა და საკონტროლო პუნქტების გაუქმება, წინადადებას აძლევს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს მტკიცედ ჩააგონონ პარტიის ყველა წარმომადგენელს, რომ ასეთი საკითხების გადაჭრის დროს უნდა გამოდიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამ რესპუბლიკათა მშრომელი მასების ძმური კავშირის ინტერესებიდან.

პარტიული აგიტაციის ხასიათის შესახებ.

1. ნაციონალურ საკითხში.

საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ნაციონალისტური ფთავრობების (მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების) საქ-

მიანობამ შექმნა ურთიერთ ნაციონალური შუღლის ატმოსფერო და მოწამლა მშრომელი მასების შეგნება ბურჟუაზიული ნაციონალიზმით. ძმობისა და მეგობრობის კავშირი, რომელიც ადრე 1905—17 წწ. აკავშირებდა ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ და რუს მუშებს ერთ სოციალისტურ ოჯახად, — გაწყვეტილ იქნა. შოვინისტური მუშაობის, მტრობისა და უნდობლობის კვალი დღემდე არ არის აღმოფხვრილი მასებში. ყოველივე ამას არ შეუძლია არ დაამუხრუჭოს ამიერკავკასიის რესპუბლიკების მუშებისა და გლეხების კომუნისტური აღზრდის საქმე. ამის გამო კომუნიზმის მშენებლობის გადაუდებელი ამოცანები ამ რესპუბლიკებში იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივი, დაჟინებითი აგიტაციით ამოვძირკვოთ ურთიერთ უნდობლობის, ნაციონალური მტრობის შხამიანი გადანაშთები და ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი მუშებისა და გლეხების ძმური თანამშრომლობის ნიადაგზე შევქმნათ ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფერო სამეურნეო მშენებლობისა და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების საქმეში.

2) სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე.

ომის ლიკვიდაციისა და სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, პარტიის წინაშე დაისახა გადაუდებელი ამოცანა—გააძლიეროს აგიტაცია ფართო მასებში ომის მიერ დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენის საქმეში, სასურსათო კრიზისის დაძლევისა და კოოპერაციის გაძლიერებული განვითარების საფუძველზე სოფელთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწესრიგების საქმეში.

აგიტაცია პარტიისა, ისე როგორც პროფკავშირებისა, აუცილებლად შევსებულ იქნას პრაქტიკულ-კონკრეტული საკითხების შინაარსით: მუშებისა და გლეხების ყოფაცხოვრების გაუმჯობესება და სამეურნეო აღორძინება; თავი უნდა შეიკავოთ ზედმეტი თეორეტიზაციისა და მეურნეობის შესახებ საერთო, მოწყვეტილი ტრაქტოვკებისაგან.

პარტიის წმენდისა და განმტკიცების შესახებ

კომუნისტურ პარტიაში, როგორც მმართველ პარტიაში, შესვლისაკენ მიისწრაფვიან ანგარებითი და კარიერისტული მიზნებით პროლეტარიატისათვის უცხო ელემენტები, რომელთაც მასში შეაქვთ გახრწნისა და მეშჩანურ ინტელიგენტური ნაციონალიზმის სულისკვეთება.

ცენტრალური კომიტეტის კავბიურო, ურჩევს რა პარტიულ

ორგანიზაციებს სისტემატურად გასწმინდონ თავიანთი რიგები ასეთ უვარგის ელემენტებისაგან, წინადადებას აძლევს მათ დააწესონ ყველაზე მკაცრი წესები პარტიაში ახალი წევრების მიღების დროს. ორგანიზაციები განმტკიცებულ უნდა იქნან დისციპლინის ამაღლების, ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების და მათს ანგარიშზე ქალაქად და სოფლად პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ელემენტების გაფართოების გზით[1].

კავბიუროს 2 ივლისის გაფართოებული სხდომის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც, უეჭველია, ი. ბ. სტალინის მითითებითა და უშუალო მონაწილეობითაა შედგენილი, თავის გაშლასა და დასაბუთებას პოულობს ი. ბ. სტალინის ისტორიულ მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე 1921 წლის 6 ივლისს.

ი. ბ. სტალინმა მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში" გენიალურად მოხაზა სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ შექმნილი ვითარება რუსეთში და, კერძოდ, ამიერკავკასიაში, დასახა ამ ვითარებიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი ამოცანები და მიუთითა მათი განხორციელების გზებსა და საშუალებებზე.

სამოქალაქო ომის დაწყებიდან,—მიუთითებდა ი. ბ. სტალინი,—მსოფლიო ორ მოპირდაპირე ბანაკად გაითიშა: იმპერიალისტურ ბანაკად ანტანტის მეთაურობით და სოციალიზმის ბანაკად საბჭოთა რუსეთის მეთაურობით. ორი ბანაკის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იმპერიალისტურმა ანტანტამ მარცხი განიცადა. ორი სისტემის ბრძოლა დამთავრდა მათი მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროით დაზავებით. დაზავებამ კი საბჭოთა ქვეყანას მისცა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის შესაძლებლობა.

თუ სამოქალაქო ომის პერიოდში პარტიის ლოზუნგი იყო „ყველაფერი ომისათვის", და ამიტომ სამეურნეო მშენებლობას ჯეროვანი ყურადღება ვერ ეცეოდა, ახლა, დროებითი დაზავების შემდეგ, ომის შეწყვეტის შემდეგ საბჭოთა ქვეყანა მშვიდობიან

---

[1] იხ. მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართ. ფილ. საარქ. ფონდი № 12, საქმე, № 1. გვ. 18—19. ეს დოკუმენტი გამოქვეყნებულია გაზეთებში „Правда Грузии", № 108, 13 ივლისი, 1921 წ. და გაზ. „კომუნისტი" № 108, 14 ივლისი, 1921 წ. „კომუნისტში" რეზოლუციის ტექსტი თარგმნილია ცუდად, რის გამო მთელი რიგი ადგილები დამახინჯებულია. რეზოლუციის ტექსტი შესულია აგრეთვე წიგნში „Образование СССР. Сборник документов. 1917—1924, გვ. 273—274.

მუშაობაზე გადავიდა და ლოზუნგი „ყველაფერი ომისათვის“ შეიცვალა ლოზუნგით „ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის“. ახლა პარტიამ მთელი თავისი ძალები უნდა გადაისროლოს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, სასურსათო საქმეში, კოოპერაციაში, ტრანსპორტის საქმეში და სწრაფად უზრუნველყოს სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაცია.

ომით დანგრეული საწარმოო ძალების აღდგენისა და მომავალი სოციალისტური სახალხო მეურნეობის ტექნიკურ-სამრეწველო ბაზის შექმნის საქმეში პარტიას მოუხდება დროებით შეუთანხმდეს დასავლეთის ცალკეულ კაპიტალისტურ ჯგუფებს და თავისი საკუთარი ქვეყნის წვრილ ბურჟუაზიას. მაგრამ ეს შეთანხმება, შეთანხმების ეს ტაქტიკა როდი იქნება ისეთი, როგორსაც მენშევიკური პარტია ადგა. ამ ორ ტაქტიკას შორის მთელი უფსკრულია. მენშევიკურ პარტიას ბურჟუაზიასთან შეთანხმება სურდა მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში კაპიტალისტები იდგნენ, ამასთან ეს შეთანხმება და კაპიტალისტებისადმი ზოგიერთი დათმობანი ასუსტებდა პროლეტარიატს, განამტკიცებდა ბურჟუაზიის პოზიციებს, მენშევიკების შემთანხმებლური პოლიტიკა პროლეტარიატზე ბურჟუაზიული გავლენის პოლიტიკა იყო.

შეთანხმების ბოლშევიკურ ტაქტიკას სრულიად საწინააღმდეგო ხასიათი აქვს, რადგან იგი გულისხმობს სხვაგვარ ვითარებას, სხვაგვარ შეთანხმებას. ეს შეთანხმება ხდება იმ დროს, როცა ხელისუფლების სათავეში პროლეტარიატია. ასეთმა შეთანხმებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს „ერთი მხრივ, პროლეტარული ხელისუფლების განმტკიცება, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის დაშლა და მისი ცალკეული ჯგუფების მოშინაურება“[1].

ამრიგად, ახალი ვითარებით ნაკარნახევი პირველი, უმნიშვნელოვანესი და საბჭოთა ქვეყნისათვის საერთო საბრძოლო ამოცანაა, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, „გადაისროლონ ყოველი ცოცხალი ძალა სამეურნეო ფრონტზე, ამასთან გამოიყენონ შეთანხმებათა წესით ცალკეული ბურჟუაზიული ჯგუფები, მათი სახსრები, მათი ცოდნა, მათი ორგანიზაციული ჩვევები მეურნეობის ასაღორძინებლად“[2].

ამ საერთო ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკას თავისებური ტაქტიკა სჭირდება, რაც ამ ქვეყნის სპეციფიკური პირობებიდან უნდა გამომდინარეობ-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 101.

[2] იქვე, გვ. 102.

დეს. „თვითეული ცალკე საბჭოთა ქვეყნის კომუნისტების ტაქ-ტიკა, რომ განსაზღვრო,—აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი,—საჭიროა კიდევ გაითვალისწინო ამ ქვეყნების არსებობის კერძო, კონკრეტული პირობები"[1].

როგორი სპეციფიკა აქვს საქართველოს და როგორი უნდა იყოს, აქედან გამომდინარე, მისი კომუნისტების ტაქტიკა? საბჭოთა საქართველოს ტერიტორიულად პატარა რესპუბლიკის განმარტოებული არსებობა დღევანდელ ვითარებაში, მტრული კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, შეუძლებელია. საქართველო საკუთარი ძალებით ვერც იმპერიალისტური ბანაკის შემოტევას გაუძლებს და სამხედრო თვალსაზრისით დამარცხდება, ვერც მოახერხებს საკუთარი სახსრებით დანგრეული მეურნეობის აღდგენას და კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება. დღევანდელ ვითარებაში, როცა იმპერიალისტური ბანაკი გაერთიანებული ღონისძიებებით მოქმედებს, საჭიროა საბჭოთა ქვეყნების ურთიერთ კავშირის განმტკიცება, ურთიერთდახმარება როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო დარგებში.

საქართველოს საკუთარი პური არ ჰყოფნის, მას რუსეთის პური ესაჭიროება, საქართველოს თხევადი სათბობი არ გააჩნია, მას აზერბაიჯანის ნავთი ესაჭიროება, საქართველოს საექსპორტო ფონდები აკლია და მას რუსეთის ოქრო ესაჭიროება.

ამიერკავკასია ერთი სამეურნეო ერთეულია. საერთო ღონისძიებით, საბჭოთა რუსეთის დახმარებით მას ადვილად შეუძლია სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაცია, დანგრეული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა. ეს კონკრეტული, სპეციფიკური პირობები საქართველოს, ისე როგორც სომხეთისა და აზერბაიჯანის, კომუნისტებს ავალებს „დაამყარონ ერთმანეთთან სამეურნეო საქმიანობის ერთგვარი ერთიანობა, ერთგვარი გაერთიანება სამეურნეო ღონისძიებებისა, ვთქვათ, ტრანსპორტის გაძლიერების, საგარეო ბაზრებზე ერთობლივი გამოსვლის, სამელიორაციო სამუშაოთა მოწყობის (მორწყვა, დრენაჟი) და სხვ. ხაზით. აღარას ვამბობ იმაზე, რომ საჭიროა ურთიერთდახმარება და კავშირი როგორც ამიერკავკასიის დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, ისე ამ რესპუბლიკებისა საბჭოთა რუსეთთან, თუ აუცილებელი შეიქმნა გარეშე თავდასხმებისაგან თავდაცვა"[2].

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისიძებათა

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5. გვ. 102.
[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 103.

გაერთიანება სრულებითაც არ უპირისპირდება ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობას. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარია. მათი სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება, პირიქით, დაეხმარება, განამტკიცებს თითოეულის დამოუკიდებლობას, რადგან გაფანტავს ურთიერთ უნდობლობას, შეამჭიდროებს ამიერკავკასიის მშრომელთა ძმურ კავშირს და დააჩქარებს სოციალიზმის მშენებლობის პროცესს.

ამიერკავკასიის მშრომელთა შორის ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის ჩასახვის წლიდანვე არსებობდა სოლიდარობა, ერთსულოვნება, მაგრამ ნაციონალისტური პარტიების 3-წლიანმა ბატონობამ ეს კავშირი შეასუსტა და გააძლიერა ანტიქართული, ანტისომხური, ანტითათრული, ანტირუსული ნაციონალიზმი. ნაციონალიზმის შხამი ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი და ეს ხელს უშლის ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო და სამხედრო ღონისძიებათა გაერთიანების საქმეს. ასეთი გაერთიანება კი აუცილებელია.

„ამრიგად, აღმოფხვრან ნაციონალისტური გადმონაშთები, გახურებული შანთით ამოწვან ისინი და ურთიერთნდობის ჯანსაღი ატმოსფერო შექმნან ამიერკავკასიის ეროკნებათა მშრომელებს შორის, რათა გაადვილდეს და დაჩქარდეს ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების საქმე (ურომლისოდაც შეუძლებელია საბჭოთა საქართველოს სამეურნეო აღორძინება), ამავე დროს კი შეინარჩუნონ საბჭოთა საქართველოს დამოუკიდებლობა,—ასეთია საქართველოს კომუნისტების მეორე მორიგი ამოცანა, რომელიც გვიკარნახებენ ამ ქვეყნის არსებობის კონკრეტული პირობები"[1].

მესამე საბრძოლო ამოცანად ი. ბ. სტალინმა საქართველოსა და ამიერკავკასიის კომუნისტებს დაუსახა არასაიმედო, პროლეტარული სულისკვეთებას მოკლებული, კარიერისტული ელემენტებისაგან პარტიის რიგების გაწმენდა.

„შეინარჩუნოს თავისი პარტიის სიმტკიცე და სიწმინდე, არ გამოეკიდოს პარტიის წევრთა რაოდენობას, სისტემატურად აუმჯობესოს პარტიის ხარისხობრივი შემადგენლობა, დაიცვას პარტია ინტელიგენტურ-მეშჩანური ნაციონალისტური ელემენტების შო-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 107.

ზღვავებისაგან,—ასეთია საქართველოს კომუნისტური პარტიის მესამე და უკანასკნელი მორიგი ამოცანა"[1].

ი. ბ. სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ, სადაც გენიალურად არის გაშუქებული ამიერკავკასიის კომუნისტების წინაშე მდგარი უახლოესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანები კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, უდიდესი როლი ითამაშა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის ბრძოლის გაძლიერების, ნაციონალიზმის გეელეშაპის გასრესისა და კომუნისტური პარტიის სიწმინდის დაცვის საქმეში. ეს ისტორიული სიტყვა წარმოადგენდა იმ გეზს, თეორიულ ლამპარს, რომლითაც საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები გზას ინათებდნენ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა-განმტკიცების გზაზე.

ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკად გაერთიანების ისტორიული საქმის პროპაგანდას დაუღალავად ეწეოდნენ ამიერკავკასიელი კომუნისტები. ამ პროპაგანდას მშრომელთა შორის უდიდესი წარმატება ჰქონდა და ფედერაციის იდეა ღრმად იდგამდა ფესვს მშრომელთა შეგნებაში.

მაგრამ ფედერაციის ლენინურ-სტალინურ იდეას წინ აღუდგნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტურ ორგანიზაციაში მოკალათებული მემარჯვენე ოპორტუნისტები, ნაციონალ-უკლონისტები, რომლებიც, გამოხატავდნენ რა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მენშევიკური ელემენტების ზემოქმედებას ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ცალკეულ ფენებზე, ასახავდნენ რა თავადაზნაურთა და კულაკთა ინტერესებსა დ მოთხოვნებს, ატარებდნენ შემტევი შოვინიზმის პოლიტიკას და ძირს უთხრიდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის განმტკიცების საქმეს, სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ჯგუფი (ბ. მდივანი, კ. ცინცაძე, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, ლ. დუმბაძე და სხვ.) წინ აღუდგნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის იდეას.

ნაციონალ-უკლონისტები ამიერკავკასიის რესპუბლიკათა რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების ლონისძიების წი-

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 10ი.

ნააღმდეგ გამოვიდნენ. ისინი ყოველმხრივ აფერხებდნენ გაერთიანებული ორგანოების მუშაობას. ქართველი უკლონისტები. წინააღმდეგ ლენინ—სტალინის მითითებისა, მოითხოვდნენ ბათუმის ნავთის რეზერვუართა დენაციონალიზაციას და მათ საკონცესიოდ გადაცემას ნავთის იმპერიალისტური კონცერნისათვის—„სტანდარტოილისათვის“. ნაციონალ-უკლონისტებს ორიენტაცია აღებული ჰქონდათ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტურ სახელმწიფოებზე. მათი ვერაგული პოლიტიკა საქართველოს მშრომელებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიურ უღელს უმზადებდა. ისინი ყბედობდნენ საქართველოს „პრივილეგიებსა“ და „უპირატესობებზე“ მოძმე რესპუბლიკებს შორის და არ სურდათ თანასწორობის საფუძველზე სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება.

ნაციონალ-უკლონისტები თავიანთი ოპორტუნისტული პოლიტიკით თანდათან ეშვებოდნენ მენშევიზმის პოზიციებზე. რევკომმა, მართალია, დროულად გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ რევკომის შემადგენლობაში, მიწსახკომში მოკალათებული უკლონისტები მთელ რიგ რაიონებში რეფორმის პრაქტიკულ განხორციელებას აჭიანურებდნენ. მიწა ისევ მემამულეთა და თავადაზნაურთა ხელში რჩებოდა. უკლონისტების პოლიტიკა აგრარულ საკითხში წარმოადგენდა კულაკურ საადგილმამულო პოლიტიკას, რაც ძირს უთხრიდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტს გლეხურ მოსახლეობაში.

ქართული ნაციონალ-უკლონიზმი ნამდვილად პირწავარდნილ შოვინიზმში გადაიზარდა და წამოაყენა საბჭოთა ხელისუფლებისა პირობებში გაუგონარი პრეტენზიები და მოთხოვნები — მოისურვა შეექმნა პრივილეგიები ქართველებისათვის აზერბაიჯანისა და სომხეთის ხარჯზე.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტები აგრეთვე გამოვიდნენ საქართველოს ნაციონალურ უმცირესობათათვის — აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთათვის — ავტონომიის მიცემის წინააღმდეგ, რაც იმ პირობებში ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელ და გადაუდებელ ღონისძიებას წარმოადგენდა.

ნაციონალ-უკლონისტების ოპორტუნისტული პრაქტიკული საქმიანობის შედეგად, მიუხედავად რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებისა, ამიერკავკასიის რესპუბლიკათა შორის მაინც ვერ ხერხდებოდა მჭიდრო სამეურნეო თანამშრომლობის მოგვარება. თითოეული რესპუბლიკა კიდევ განაგრძობდა კარჩაკეტილ ცხოვრებას, საკუთარი ფულის ნიშნებით და საბაჟოთა ზღუდეებით.

ცხოვრება და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების ინტერესები ამიერკავკასიაში კი პირველ ამოცანად აყენებდნენ ამ კარჩაკეტილობის მოსპობას, სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანებას, ფედერაციული კავშირის შექმნას.

1921 წლის 3 ნოემბერს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს პლენუმმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ვ. მ. მოლოტოვი, მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია შემდეგი:

„ამიერკავკასიის რესპუბლიკათა განცალკევებული სახელმწიფოებრივი არსებობა აუძლურებს მათ კაპიტალისტური და ბურჟუაზიული ქვეყნების წინაშე, რესპუბლიკათა მტკიცე პოლიტიკური კავშირი იქნება მტკიცე გარანტია კონტრრევოლუციის მხრივ მათზე ყოველგვარი ხელყოფისაგან და განამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლებას ახლო აღმოსავლეთის საზღვრებზე.

პოლიტიკური გაერთიანება ამ რესპუბლიკებს შესაძლებლობას მისცემს ურთიერთ შორის დაამყარონ ნამდვილი მჭიდრო სამეურნეო კავშირი, რომლის დადების ცდა არაერთხელ იყო. ამასთანავე სამეურნეო განკერძოებულობა აღრმავებს კავკასიის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, სიღარიბეს და მშრომელი მასების სიღატაკეს და იწვევს მთელ რიგ გაუგებრობას რესპუბლიკათა შორის.

კავკასია წარმოადგენს თავისთავად ერთ სამეურნეო ერთეულს და მისი ეკონომიური განვითარება შეიძლება წარიმართოს მხოლოდ საერთო კავკასიური სამეურნეო გაერთიანების ნიშნით.

დაბოლოს, მრავალრიცხოვანი ნარკომატებისა და დაწესებულებათა არსებობა რესპუბლიკებში ნთქავს ბევრ ძალასა და სახსრებს, ბევრი ორგანოს მუშაობაში ჰქმნის არასაჭირო პარალელიზმს, ამიტომაც საერთო ძალებით ადმინისტრირება სახელმწიფოებრივ ცხოვრების მთავარ უმნიშვნელოვანეს დარგებში გააძლიერებს და გააჯანსაღებს საბჭოთა მუშაობას.

...კავბიუროს მიაჩნია: 1) გადაუდებელი და აუცილებელია რესპუბლიკებს შორის ფედერატიული კავშირის შეკვრა, უწინარეს ყოვლისა სამხედრო, სამეურნეო, საფინანსო მუშაობისა და საგარეო პოლიტიკის დარგში.

2) აუცილებლად ჩაითვალოს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა

ადმინისტრაციულ-ეკონომიური ცენტრის (სამოკავშიერო საბჭო) შექმნა"[1].

ლენინი და სტალინი იყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები, რომელთაც ყველაზე ღრმად გაეგებოდათ ამიერკავკასიის მშრომელთა ძმური თანამშრომლობის მოგვარების ღონისძიების დიდი მნიშვნელობა.

ვ. ი. ლენინი, რომელიც ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენდა ამიერკავკასიის მშრომელთა ინტერესებისათვის და თავის სახელმძღვანელო მითითებებში კავკასიის კომუნისტებს საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობის გეზს აძლევდა, ამჟამადაც უშუალოდ გამოეხმაურა ფედერაციის საკითხს და ი. ბ. სტალინს გაუგზავნა თავისი წინადადების პროექტი:

„1) ცნობილ იქნას ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნა პრინციპულად აბსოლუტურად სწორ და უეჭველად განსახორციელებელ საქმედ, მაგრამ დაუყოვნებლივ პრაქტიკული განხორციელების აზრით ნაადრევად, ე. ი. ისეთ საქმედ, რაც მოითხოვს რამდენიმე კვირას განხილვისა, პროპაგანდისა და ქვემოდან გატარებისათვის;

2) წინადადება მიეცეთ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ცხოვრებაში გაატარონ ეს გადაწყვეტილება"[2].

ვ. ი. ლენინის ამ წინადადებას ი. ბ. სტალინი მხარს უჭერს; მხოლოდ საპასუხო წერილში ლენინს რჩევას აძლევს, რომ ამ საკითხში აჩქარება საჭირო არაა, ადგილობრივ მუშაკებს დროის ერთგვარი პერიოდი (2—3 თვე) მივცეთ ფედერაციის ქვევიდან გასატარებლად.

ვ. ი. ლენინმა მიიღო სტალინის შესწორება[3].

ნაციონალ-უკლონისტები თანდათან აღრმავებდნენ ბრძოლას ფედერაციის წინააღმდეგ. ისინი ამახინჯებდნენ ლენინისა და სტალინის მითითებებს, ხელოვნურად უპირისპირებდნენ ერთმანეთს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და კავბიუროს ღონისძიებებს, აბრკოლებდნენ რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანების საქმეში კავბიუროს დადგენილებათა რეალიზაციას, ამიტომ იყო, 1921 წლის განმავლობაში მხოლოდ ამიერკავკასიის

---

[1] მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფ. 1. საქმე № 1, გვ. 48.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 5, გვ. 252—253.

[3] იქვე.

რკინიგზებისა და საგარეო ვაჭრობის კომისარიატების გაერთიანების განხორციელება მოხერხდა.

რკპ (ბ) კავბიურო და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკური ორგანიზაციები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ ნაციონალ-უკლონისტების წინააღმდეგ. ამიერკავკასიის ფედერაციის საკითხები იხილებოდა მრავალრიცხოვან კრებებსა და მიტინგებზე. ეს იდეა თანდათან პოპულარული ხდებოდა მასაში და იქცეოდა თვით მშრომელი ხალხის საბრძოლო ლოზუნგად.

ფედერაციისათვის ბრძოლას, ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ამიერკავკასიაში სათავეში ედგნენ ს. ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი. ისინი ლენინ—სტალინის რკინის ლოგიკით ასაბუთებდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის აუცილებლობას და ნიღაბს ხდიდნენ ნაციონალ-უკლონისტების მენშევიკურ-ოპორტუნისტულ ბუნებას, მათ შემტევ შოვინიზმს, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხები ისევ ერთმანეთისათვის უნდა წაეკიდებინა.

1921 წლის 3 ნოემბერს, ბაქოში, რკპ (ბ) კავბიუროს პლენუმზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კიროვი, აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წევრები, ბაქოს კომიტეტის პრეზიდიუმი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნის შესახებ.

ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა კრებამ. ცხადია, ნაციონალ-უკლონისტების სურვილის წინააღმდეგ, რომლებიც, როგორც ცნობილია, ებრძოდნენ რა ამიერკავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის პოლიტიკას, საქართველოს შესვლას ამიერკავკასიის ფედერაციაში უყურებდნენ როგორც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოთხრას, საბჭოთა ხელისუფლების ბუნებისადმი შეუგუებელ ღონისძიებას.

ქართველი ნაციონალ-უკლონისტების ამ ცილისმწამებლურ ბრალდებას გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა და ამიერკავკასიისათვის ფედერაციის აუცილებლობა შესანიშნავად დაასაბუთა ს. ორჯონიკიძემ 1921 წლის 22 ნოემბერს საქართველოს კპ (ბ) თბილისის ორგანიზაციის საქალაქო კრებაზე.

თავის მოხსენებაში „ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ“, ანალიზი გაუკეთა რა საერთაშორისო ვითარებას, ს. ორჯონიკიძემ მსოფლიო დაახასიათა როგორც ორი ბანაკი — იმპერიალისტური ბანაკი და საბჭოთა ბანაკი.

მსოფლიო გათიშულია ორ ბანაკად. მათ შორის ზავი არ არის,

ბრძოლა მიმდინარეობს. თითოეული მოქალაქის მოვალეობაა გაერკვეს ამ დიდ ბრძოლაში და გარკვეულად დადგეს ან მარცხნივ, ან მარჯვნივ. საშუალო არ არსებობს და ის, ვინც ლაპარაკობს რომ „მე შუაში ვარ“, „არც ერთ, არც მეორე ჯგუფს არ ვემხრობი“, ის ან უიმედო დაბნეულობაშია, ან პოლიტიკური შარლატანია. ასევე უნდა ითქვას ამა თუ იმ სახელმწიფოს შესახებ. აქ არ შეიძლება იყოს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ნეიტრალიტეტის პოზიცია უჭირავს. არ შეიძლება იყოს ასეთი სახელმწიფო ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე.

დაახასიათა რა მენშევიკური საქართველო, როგორც დამოუკიდებლობის ნიღაბქვეშ იმპერიალისტური ანტანტის კოლონია, ს. ორჯონიკიძემ განმარტა, თუ როგორ ესმის დამოუკიდებლობა ბოლშევიკურ პარტიას, როგორი დამოუკიდებლობა მოუტანა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებამ „...მას შემდეგ, როდესაც საქართველომ დაამხო მსოფლიო კონტრრევოლუციის სამარცხვინო უღელი და საბჭოთა ქვეყანა გახადა, მან თავისი ბედი განუხრელად დაუკავშირა საბჭოთა ქვეყნის ბედს. მას სრული დამოუკიდებლობა აქვს თავისი შინაგანი ცხოვრების დარგში, მშობლიური ენის, ლიტერატურის, კულტურის დარგში, სრული დამოუკიდებლობა კონტრრევოლუციისაგან და განუწყვეტელი პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი ყველა საბჭოთა რესპუბლიკასთან. ეს აბსოლუტურად აუცილებელი და გარდაუვალია. საერთო ქვაბი, საერთო მწუხარება და საერთო ბედნიერება ყველა საბჭოთა რესპუბლიკისა, საქართველომ უნდა გაიზიაროს, თუ კვლავ არ სურს იყოს კონტრრევოლუციის შავბნელ ქვეყანაში.

ასე გვესმის ჩვენ დამოუკიდებლობა“[1].

ს. ორჯონიკიძემ ილაპარაკა საბჭოთა ხელისუფლების პირველ ღონისძიებაზე ამიერკავკასიაში და ცხადყო, თუ როგორ დაამყარა საბჭოთა ხელისუფლებამ ნაციონალური მშვიდობა ამიერკავკასიის ხალხთა შორის და მიუთითა ამიერკავკასიელი ბოლშევიკების უმთავრეს ამოცანაზე... „ამიერკავკასიაში ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების პირველი რიგის ამოცანად ჩვენ ვთვლით — დაუნდობელი ბრძოლის წარმოებას სამარცხვინო წარსულის ნაშთებთან, გავარვარებული რკინით, ი. ბ. სტალინის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამოვწვათ ნაციონალიზმის ნაშთები. ამიერკავკასიის მშრომელთა სოლიდარობა, ამიერკავკასიის მშრომელთა ძმობა — აი ჩვე-

---

[1] Г. К. Орджоникидзе. Избр. статьи и речи, гг. 130—131.

ნი დეკიზი, რასაც ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ უნდა მიუძღვნას მთელი თავისი ენერგია, მთელი თავისი გავლენა"[1].

ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მოხერხებულ ფორმად ს. ორჯონიკიძემ აღიარა ამიერკავკასიის ფედერაცია. „საერთო გეგმიანი მეურნეობა, საერთო ეკონომიური ორგანო საბჭოთა რესპუბლიკებისათვის აბსოლუტურად აუცილებელია და, რაც უფრო ადრე შეიქმნება ეს ორგანო, მით უკეთესია ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის"[2].

1921 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პროფესიული კავშირების პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა ს. მ. კიროვი, რომელმაც ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნა გადაუდებელ ამოცანად და ამიერკავკასიაში მშრომელთა მშვიდობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების გადამწყვეტ პირობად აღიარა.

„თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ამიერკავკასიას, — ამბობდა ს. კიროვი, — ეკონომიკის თვალსაზრისით, იგი ყოველთვის ერთიანი იყო. იგი დაყოფილი იყო ნაწილებად არა იმისათვის, რომ იგი ნაკარნახევი იყო მისი მშრომელი მასების რეალური ინტერესებით, არამედ იმიტომ, რომ ასეთი იყო აქაური პოლიტიკა. წარსულის, აწმყოს, მომავლის სახელით ამიერკავკასიამ უნდა გააერთიანოს თავისი მეურნეობა ერთ მთლიანობად, და მხოლოდ ამ საერთო მეურნეობის ნიადაგზე შეიძლება დადებითად გავავითაროთ თვითეული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

...ნუ დაუცდით, როცა ჩვენ „გვთხოვენ" გაერთიანებას, ეს ჩვენ თვითვე გავაკეთოთ — როგორც არ უნდა ვუწოდებდეთ ასეთ გაერთიანებას. თუ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე პატარა ცდაც იქნება— ჩვენ საერთო მტერს დავარტყამთ გაერთიანებული ძალით, და ჩვენი დამოუკიდებელი არსებობა ამით ყველაზე უკეთ იქნება უზრუნველყოფილი"[3].

ქართველი ნაციონალ-უკლონისტების საპირისპიროდ ფედერაციის იდეა ღრმად იჭრებოდა მასებში. თბილისისა და საქართველოს რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს გამოჰქონდათ ფედერაციის მხარდამჭერი რეზოლუციები, სადაც ხაზს უსვამდნენ ამიერკავკასიის მშრომელთა ძმური თანამშრომლობის აუცილებლობას. მიესალმებოდნენ ამ ღონისძიებას აგრეთვე აჭარის, აფხაზეთისა და

---

[1] Г. К. Орджоникидзе. Избр. статьи и речи, гз. 132.
[2] იქვე.
[3] Образование СССР. Сборник документов 132.

ადმინის ტრაციულ-ეკონომიური ცენტრის (სამოკავშირეო საბჭო) ორგანიზაციები[1].

25 ნოემბერს თბილისის ყველა საწარმოში ჩატარდა სპეციალური კრებები და მიტინგები, რომლებიც ფედერაციის შექმნის საკითხს მიეძღვნა. მუშებმა და მოსამსახურეებმა რეზოლუციაში გამოხატეს თავიანთი ერთსულოვანი მხარდაჭერა კავბიუროს დადგენილებისადმი[2].

აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებში ფედერაციის შექმნის იდეამ საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა. ბაქოს პროლეტარიატი, რომელიც ფედერაციისათვის ბრძოლის ავანგარდში იდგა და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის მედროშის როლს ასრულებდა, თავის მხურვალე მოწოდებებში აზერბაიჯანის მშრომელებს რაზმავდა ფედერაციის პრაქტიკული განხორციელებისათვის. ბაქოში, ნახჭევანში, აზერბაიჯანის მაზრებში ჩატარებულ კრებებზე, რომელიც ფედერაციის საკითხისადმი იყო მიძღვნილი, გამოჰქონდათ ფედერაციის მხარდამჭერი რეზოლუციები. ნახჭევანიდან მიღებულ დეპეშაში იტყობინებოდნენ: „...გლეხები და მშრომელი მოსახლეობა სიხარულით მიესალმება ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციულ გაერთიანებას და აღფრთოვანებულია აზრით კავკასიის ხალხთა ძმური გაერთიანების შესახებ"[3].

1921 წლის 24 ნოემბერს ერევნის ბოლშევიკური ორგანიზაციების, ერევნის რევკომის, სომხეთის კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ერევნის კომიტეტის, პროფკავშირული კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე მოწონებულ იქნა ფედერაციის შექმნის საკითხზე რკპ (ბ) კავბიუროს რეზოლუცია. ფედერაციის სასარგებლოდ ფართო აგიტაცია გაჩაღდა ერევანსა და სომხეთის რაიონებში. მშრომელებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ფედერაციის ლენინურ-სტალინურ იდეას.

ამიერკავკასიის ფედერაციისადმი მიძღვნილმა კამპანიამ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში გვიჩვენა, რომ მშრომელები მიესალმებოდნენ ფედერაციას, მხარს უჭერდნენ, მათ ამიერკავკასიის ხალხთა მჭიდრო სამეურნეო და პოლიტიკური თანამშრომლობა ოქტომბრის მონაპოვრის დასაცავ ერთადერთ ღონისძიებად მიაჩნდათ და დაჟინებით მოითხოვდნენ

---

[1] „Правда Грузии", 1921 წლ. 29 და 30 ნოემბრის ნომრები.
[2] „Правда Грузии", 29 ნოემბერი. 1921 წ.
[3] „Бакинский рабочий", 5 დეკ. 1921 წ.

ფედერაციის იდეის, რაც შეიძლება სწრაფ პრაქტიკულ განხორციელებას.

ამიერკავკასიელმა ნაციონალ-უკლონისტებმა საპარლამენტო მარცხი განიცადეს. მშრომელებმა მათ ზურგი შეაქციეს. ისინი განცალკევებული, მხოლოდ ერთეულები აღმოჩნდნენ.

ამიერკავკასიის მშრომელთა ამ ერთსულოვნობას რომ ეყრდნობოდა, კავბიურომ ფედერაციის შექმნის საკითხში წინ გადადგა ახალი პრაქტიკული ნაბიჯი. ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მეორე თათბირმა 1921 წლის 7 დეკემბერს გამოიტანა გადაწყვეტილება ფედერაციის შექმნის საკითხში პრაქტიკული მუშაობის დაწყების შესახებ[1].

ამავე საკითხს მიეძღვნა სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის საბჭოების რესპუბლიკური ყრილობები, სომხეთსა და საქართველოს კპ (ბ) პირველი და აზერბაიჯანის კპ (ბ) მეორე ყრილობები. თითოეულმა ამ ყრილობამ მოიწონა რკპ (ბ) კავბიუროს გადაწყვეტილება ფედერაციის შექმნის შესახებ და თხოვნით მიმართა კავბიუროს დაექჩარებინა ეს მუშაობა.

1922 წლის 18—22 თებერვალს, თბილისში, ჩატარდა ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების პირველი ყრილობა, რომელზედაც აღიარებულ იქნა, რომ ფედერაციის მომზადების საკითხი დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფედერაციის იდეამ მასებში პოვა დიდი მხარდაჭერა და ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ამ ღონისძიების გატარება აუცილებელია. ყრილობაზე სასტიკად იქნა გაკიცხული ნაციონალ-უკლონისტების გამთიშველური საქმიანობა, მიმართული ფედერაციის წინააღმდეგ. ყრილობამ ამავე დროს დაამტკიცა სამოკავშირეო ხელშეკრულებათა ძირითადი დებულებანი და ამიერკავკასიის ეკონომიური საბჭოს დებულება[2].

ამავე წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილმა კონფერენციამ დაამყარა ამიერკავკასიის სოციალისტური რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირი. ამ კონფერენციაზე მიღებულ და ხელმოწერილ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც შეიქმნა საკავშირო საბჭო და ეკონომიური საბჭო.

კონფერენციაზე არჩეულ იქნა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედე-

---

[1] Известия кавказского бюро ЦК КП (б) № 1. зз. 4—5.

[2] იხ. Стенографический отчет I съезда коммунистических организаций Закавказья. Тифлис, 1922 г.

ციის საკავშირო მთავრობა (საკავშირო საბჭო). ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების კონფერენციამ აირჩია უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

ფედერაციის მუშაობას ყოველმხრივ აბრკოლებდნენ ნაციონალ-უკლონისტები საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში. საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, სადაც მოკალათებული იყვნენ ნაციონალ-უკლონისტები, ფედერაციის ლიკვიდაციის გადაწყვეტილებაც კი გამოიტანა, მაგრამ ამიერკავკასიის კომუნისტებმა ლენინისა და სტალინის მეთაურობით, ს. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის უშუალო ხელმძღვანელობით, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ნაციონალ-უკლონიზმს ამიერკავკასიაში და უზრუნველყვეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირის განხორციელება.

ფედერაციამ უდიდესი როლი შეასრულა ამიერკავკასიის რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის წარმატების საქმეში. ამიერკავკასიის ხალხთა შორის აღმოფხვრა უნდობლობა, შუღლი და ქიშპობა. გაერთიანდა მათი ძალები წყეული კაპიტალიზმის ნაშთების დასაძლევად ეკონომიკასა და შეგნებაში. ლენინ—სტალინის ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი განხორციელებით ამიერკავკასიის კომუნისტებმა განამტკიცეს ოქტომბრის მონაპოვარი და ააშენეს სოციალისტური საზოგადოება.

* * *

როგორია, ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე მოკლე დასკვნები?

მენშევიკურმა პარტიამ, რომელსაც საქართველოში სამი წლის განმავლობაში ეჭირა ხელისუფლების სათავეები, ვერ განახორციელა ვერც ერთი ისეთი ღონისძიება, რომლებიც მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარეობდნენ და რომელთა განხორციელება სავსებით შესაძლებელი იყო. მან კაპიტალისტების ხელში დასტოვა მრეწველობა, მემამულეებს შეუნარჩუნა მიწები, ხოლო მუშათა და გლეხთა კანონიერ მოთხოვნათა ჩახშობას ხელი მიჰყო საკუთარი და დაქირავებული ხიშტების საშუალებით. მენშევიკური მთავრობა, რომელიც მხოლოდ სიტყვით იყო დემოკრატიული, სინამდვილეში მიზნად ისახავდა ბურჟუაზიული დიქტატურის განმტკიცებას. მენშევიკები სოციალიზმის ნიღაბქვეშ კაპიტალისტებისა და მემამულეების საქმეს აკეთებდნენ. ისინი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს კაპიტალისტების მაროდიორობას, მემამულეთა თვითნებობას, ბანკების ფარულ მაქინაციებს, კომერციულ საიდუმლოებათა დაცვას და ხაზინის ქურდობას. ისინი ყოველ-

მხრივ უწყობდნენ ხელს მსხვილ მრეწველთა საბოტაჟს, ახშობდნენ ხალხის ინიციატივას პროდუქტის წარმოებისა და განაწილების საქმეში. ყოველივე ამას აკეთებდნენ იმიტომ, რომ დამოკიდებული იყვნენ კაპიტალისტებსა და მემამულეებზე, რომელთაც რევოლუციის ჩახშობა სურდათ და სამეურნეო კრიზისების პირობებში უკეთ შეეძლოთ მოეხერხებინათ მოგების მიღება.

მენშევიკები ერთგული აღმოჩნდნენ ძველი, ძირმომპალი, ხრწნის პროცესში მყოფი კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობისა, რომელიც უკვე დიდი ხანია წინ ეღობებოდა და ახშობდა საწარმოო ძალთა განვითარებას. ამიტომ მენშევიკთა სამწლიანი ბატონობის პერიოდი იყო საწარმოო ძალების გაჩანაგების პერიოდი, მზარდი ეკონომიური კატასტროფის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაკნინების, კულტურისა და მეცნიერების დაცემის პერიოდი. ცდილობდნენ რა შეეფერხებინათ საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის ეკონომიკური კანონის მოქმედება, მენშევიკები კავშირს აბამდნენ ყოველივე ძველთან, დრომოჭმულთან, რეაქციულთან ახლისა და მზარდის, რევოლუციურისა და პროგრესულის წინააღმდეგ.

მენშევიკური პარტია — მემამულეებთან და კაპიტალისტებთან შეთანხმების პარტია, რომელმაც სოციალიზმის იდეები მაუდქვეშ ამოსდო და პრაქტიკაში ბურჟუაზიული დიქტატურის განხორციელებას შეუდგა, ბუნებრივი მოკავშირე აღმოჩნდა საერთაშორისო რეაქციისა, რომელმაც თავისი მახვილი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ აღმართა. სოციალისტური რევოლუციის ვულკანზე მსხდომ მენშევიკებს, რომელთა ნიადაგი შეუჩერებლივ ირყეოდა რევოლუციის ძალთა ზემოქმედების გამო, ერთ დღესაც არ შეეძლოთ დამოუკიდებელი არსებობა. ისინი ხან თურქ და გერმანელ, ხან ინგლისელ, ფრანგ და ამერიკელ იმპერიალისტებს სთავაზობდნენ საქართველოს, როგორც კოლონიას, საფასურად იმ სამსახურისა, რომელსაც ამ სახელმწიფოთა ხიშტები ეწეოდნენ საქართველოს მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობის დათრგუნვის, მენშევიკური დიქტატურის შენარჩუნების საქმეში. ქართველმა ხალხმა მენშევიკების დროს დაკარგა თავისი სუვერენიტეტი. საბჭოთა რუსეთს იძულებით მოწყვეტილი, იგი დასავლეთის იმპერიალისტთა უღელქვეშ მოქცეული აღმოჩნდა. „დამოუკიდებელი“ საქართველო ისეთივე ფიქცია იყო, როგორც „დემოკრატიული საქართველო“. საქართველო მენშევიზმის ბატონობის მთელ მანძილზე წარმოადგენდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა

კოლონიას და პლაცდარმს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართველი საზოგადოების მომაკვდავი ძალების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ჩვენში მაინც იკაფავდა გზას ახალი ძალა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სახით. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში საქართველოს პროლეტარიატს გვერდში ამოუდგა ქართველი მშრომელი გლეხობა. კომუნისტური პარტიის ძლევამოსილი საბრძოლო დროშის ქვეშ დარაზმული, ეს ძალა თანდათანობით იზრდებოდა და მტკიცდებოდა. მენშევიკებმა ვერავითარი საშუალებებით ვერ ჩააქრეს მშრომელი მასების რისხვა, რომლის ტალღები მზარდი სიმძლავრით ურტყამდა ძირმომპალი ბურჟუაზიის შენობის საფუძვლებს. სოციალისტური რევოლუციისათვის მუშათა კლასისა და გლეხობის გმირულ საბრძოლო გზაზე ჩაუქრობლად ენთო შუქი ოქტომბრის ქარიშხალში შობილი საბჭოთა რესპუბლიკისა, რომლის დიადი პრაქტიკული საქმენი და დაუშრეტელი მამაცობა გამარჯვების ურყევ რწმენას ნერგავდა მებრძოლთა გულში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება რუსეთში ძირითადი პირობა გახდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან გასათავისუფლებლად. რუსეთის პროლეტარიატმა სამოქალაქო ომის მკაცრ წლებში არა მარტო დაიცვა საბჭოთა რესპუბლიკა, არამედ უცხოელი იმპერიალისტებისა და ადგილობრივი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების მძიმე უღლისაგან გაათავისუფლა უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის, ამიერკავკასიის ხალხები. საბჭოთა რუსეთის, მისი გმირული წითელი არმიის მხრივ უშუალო დახმარება რომ არ ყოფილიყო, საქართველო დიდი ხნით იმპერიალიზმის მონობისათვის იქნებოდა განწირული.

საქართველოს მუშათა კლასისა და მის მხარდამხარ მჭიდროდ დარაზმული მშრომელი გლეხობის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის სათავეში ედგა საქართველოს კომუნისტური პარტია. მშრომელი მასები ხანგრძლივ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლებში, სასტიკ კლასობრივ შეჯახებებში საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ ბურჟუაზიული, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, შემთანხმებლური პარტიების თვალთმაქცობაში, დარწმუნდნენ იმაში, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტია ასახავს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, მხოლოდ მას შეუძლია განმათავისუფლებელი ბრძოლის ბოლომდე მიყვანა. ამიტომ მასები თანდათანობით ჩამოსცილდნენ შემთანხმებლებს და კომუნისტური პარტიის საბრძოლო დროშის ქვეშ გაერთიან-

დნენ. კომუნისტური პარტიის საბრძოლო ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება საბჭოებს! — აღმოჩნდა ის მძლავრი ბერკეტი, რომელმაც ხელი შეუწყო სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის ფორმირებას. საქართველოს კომუნისტური პარტია, სათავეში ედგა რა საქართველოს მშრომელთა განთავისუფლების საქმეს, წარმატებას აღწევდა იმიტომ, რომ განუხრელად ატარებდა ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებს, რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის, მისი მოწაფისა და თანამებრძოლის ი. ბ. სტალინის მითითებებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეპოქა. საბჭოთა ხელისუფლებამ დაამსხვრია ძველი წარმოებითი ურთიერთობა, რომელიც გზას უხშობდა საწარმოო ძალთა განვითარებას. მრეწველობის, ტრანსპორტის, ბანკების ნაციონალიზაციამ მემამულეთა მიწების კონფისკაციამ და მშრომელი გლეხობისათვის გადაცემამ, ექსპლოატატორული კლასების დათრგუნვამ და ახალი საბჭოთა სახელმწიფო ორგანოების შექმნამ,—გზა გაუხსნეს ხალხის წიაღში დაგუბებულ უდიდეს შემოქმედებით ძალებს. მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების სადავეების დაპყრობამ მუშათა კლასისა და გლეხობის საბრძოლო კავშირი კიდევ უფრო განამტკიცა. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დეკრეტებში მშრომელმა გლეხობამ იგრძნო, რომ მისი სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მხოლოდ პროლეტარულ სახელმწიფოს შეუძლია და ამ სახელმწიფოს მოწოდებას იგი მხურვალედ გამოეხმაურა. საბჭოთა ხელისუფლების ბრძნულმა პოლიტიკამ საშუალო გლეხის მერყეობასაც ბოლო მოუღო. საშუალო გლეხობა დარწმუნდა, რომ მუშათა კლასი მისი უერთგულესი მოკავშირე და დამცველია, რომ მხოლოდ მუშათა კლასის მეთაურობით შეუძლია მას საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესება. საშუალო გლეხობის მასობრივმა მობრუნებამ საბჭოთა ხელისუფლებისაკენ კიდევ უფრო განამტკიცა სოფლად პროლეტარული სახელმწიფოს პოზიციები, გააფართოვა სოციალისტური ქვეყნის მშენებელთა არმია.

საქართველოს მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის მეთაურობით გლეხობასთან განუყოფელ კავშირსა და მეგობრობაში, ექსპლოატატორული კლასების ნაშთების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში, გადალახა რა უდიდესი სიძნელეები, განვლო ზრდისა და აყვავების გიგანტური გზა, ძირფესვიანად შეუცვალა სახე თავის სამშობლოს, ძირფესვიანად შესცვალა თავისივე ცხოვრება.

მუშათა კლასმა გლეხობის განუწყვეტელი მხარდაჭერით ხუთ-

წლედების განმავლობაში საქართველო ძლავრ ინდუსტრიულ რესპუბლიკად გადააქცია. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორი დაბალი იყო მრეწველობის ხვედრითი წონა საქართველოში ცარიზმის დროს, როგორ ღაფავდა იგი სულს მენშევიკების დიქტატურის პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში მრეწველობა სწრაფი აღმავლობის გზაზე დადგა. გაჩნდნენ მრეწველობის სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებელი, ქიმიური, კვების, საფეიქრო და მრ. სხვა. სამრეწველო გიგანტები აღიმართა წინათ უკაცრიელ ადგილებში. ქვანახშირისა და მარგანეცის მრეწველობამ ახალი სოციალისტური ტექნიკის ბაზაზე ერთი ათად და კიდევ მეტად გაზარდა თავისი პროდუქცია. მწყობრში ჩადგნენ მძლავრი ელექტროსადგურები — ზაჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი და მრ. სხვა. საქართველომ ომისშემდგომ ხუთწლედებში შექმნა საკუთარი მეტალურგიული მრეწველობა. ახლა საკავშირო მასშტაბითაა ცნობილი ქართული ფოლადი და ქართული თუჯი, რომელთა გამოდნობა განუწყვეტლივ იზრდება. შეიქმნა აგრეთვე საავტომობილო მრეწველობა. რესპუბლიკა დაისერა რკინიგზების ხშირი ქსელით, წარმატებით ხორციელდება რკინიგზების ელექტროფიკაცია. სწრაფად იზრდება მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგები. მშრომელთა მუდამ მზარდი მატერიალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებიან ათეულობით კომბინატები, ფაბრიკა-ქარხნები, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს.

საქართველოს გლეხობამ მუშათა კლასის ძმური დახმარებით ბრწყინვალე შედეგები მოიპოვა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. წვრილი, დაქსაქსული გლეხური მეურნეობანი კოლექტიურ მეურნეობად გარდაიქმნა, მოწინავე ტექნიკის გამოყენებამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დიდად ასწია მოსავლიანობა და შრომის ნაყოფიერება. საქართველოში აღმოცენდა სოფლის მეურნეობის ახალი დარგები. დიდ განვითარებას მიაღწია მებაღეობა-მევენახეობამ. ქართული ჩაი, ციტრუსები, თამბაქო ცნობილი გახდა მთელს საბჭოთა ქვეყანაში. ჭაობების ამოშრობისა და საირიგაციო სამუშაოთა წარმატებით განხორციელების შედეგად ათვისებულ იქნა ათასობით ჰექტარი ახალი ფართობი. კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნობებში, საკოლმეურნეო მეცხოველეობაში დამკვიდრდა შრომის მექანიზაცია, გაფართოვდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ქსელი. წარმატებით ხორციელდება სოფლების ელექტროფიკაცია. იმატა საკოლმეურნეო ხვავმა და

ბარაქამ. ხალისიანი, მსუყე, ბედნიერი ცხოვრება დამკვიდრდა ყველა სოფელში.

ქართველი ხალხის უძველესმა და მდიდარმა კულტურამ შემდგომი გაფურჩქვნისა და აყვავების ნამდვილი შესაძლებლობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში პოვა. საქართველო დაისერა დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი სასწავლებლების ხშირი ქსელით, იგი წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა გახდა. ქართული უნივერსიტეტი, მენშევიკების დიქტატურის წლებში რომ კერძო შეწირულებით ძლივს არსებობდა, ამჟამად რესპუბლიკის კადრების ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ სამეცნიერლოს და მეცნიერების კერას წარმოადგენს. საქართველოს აქვს მეცნიერების საკუთარი შტაბი—რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემია მრავალ საკვლევ-სამეცნიერო ინსტიტუტებით. ქართველი მეცნიერების წარმატებანი ცნობილი გახდნენ მთელ მსოფლიოში. ქართველი ხალხის სულიერი კულტურის მაღალი დონე შესანიშნავად ვლინდება ქართულ მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, რომელიც თავის ქმნილებებში ასახავს ქართველი ხალხის მგზნებარე პატრიოტიზმს, ხალხთა ურღვევ მეგობრობას, კომუნიზმის მშენებლობაში მუშებისა, საკოლმეურნეო გლეხობისა და ინტელიგენციის შრომითს გმირობას.

საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია დაუღალავ მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობების განუხრელი აღმავლობისათვის. პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი, მიმართული სოფლის მეურნეობის, საკოლმეურნეო მეცხოველეობის, ვაჭრობის, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების საქმეში, უახლოეს ხანში უკვე გამოავლენენ თავის ბრწყინვალე შედეგებს. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი სოციალისტური წყობილების გამარჯვების შედეგია.

მეტად დიდი და მრავალფეროვანია საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოციალისტური წყობილების გამარჯვების შედეგად ქართველი ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებანი. მათი ჩამოთვლა ჩვენი ნაშრომის ფარგლებს სცილდება. ამ გამარჯვებათაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს შევეხეთ, ისიც ზოგადად, რათა ერთგვარი შედარება მოგვეხდინა საქართველოს წინასაბჭოურ და საბჭოურ ცხოვრებას შორის. ეს შედარებაც, ვფიქრობთ, ნათელყოფს, რომ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განხორციელდა, ქართველი ხალხი არა მარტო დაღუპვისაგან გადაარჩინა, არამედ მატერია-

ლურად და სულიერად ააღორძინა, საქართველო გარდაქმნა მძლავრ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტურ ერთა ძმურ ოჯახში ერთი მოწინავეთაგანია.

რაში მდგომარეობს სოციალისტური საქართველოს განუხრელი წინსვლისა და გიგანტურ გამარჯვებათა ძირითადი უშრეტი წყაროები?

ყველა ეს გამარჯვება, პირველ ყოვლისა, სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი წყობილების ბუნებიდან .მომდინარეობს. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამ და ხალხის განთავისუფლებამ სოციალური, პოლიტიკური და ნაციონალური ჩაგვრისაგან, მშრომელი მასების სასიცოცხლო საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტამ შრომა, რომელიც წინათ, ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების პირობებში იძულებითი იყო, დამცირებისა და შეურაცხყოფის საგანს წარმოადგენდა, გადააქცია ღირსებისა და სახელის საქმედ. სოციალისტურმა წყობილებამ გამოავლინა ხალხში აქამდე დაფარული უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, წარმართა იგი ერთი დიადი ამოცანის—სოციალიზმის აშენების ამოცანის გადასაწყვეტად. ცნობილია, რომ ხალხის ერთსულოვან, გეგმაზომიერ, პერსპექტივიან თავისუფალ შრომას შეუძლია სასწაულები მოახდინოს. მან მოახდინა კიდეც ასეთი სასწაულები.

ამ გამარჯვებათა უშრეტი წყაროა მუშათა კლასისა და საკოლმეურნეო გლეხობის მჭიდრო კავშირი, მათი განუყოფელი მეგობრობა. „უდიდესმა დახმარებამ, რაც სოციალისტურმა ქალაქმა, ჩვენმა მუშათა კლასმა აღმოუჩინა ჩვენს გლეხობას მემამულეებისა და კულაკების ლიკვიდაციის საქმეში, განამტკიცა ნიადაგი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირისათვის, ხოლო გლეხობის და მისი კოლმეურნეობების პირველხარისხოვანი ტრაქტორებითა და სხვა მანქანებით სისტემატურმა მომარაგებამ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი მათ მეგობრობად გადააქცია"[1]. მუშათა კლასი და საკოლმეურნეო გლეხობა, მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მეგობრული კლასები ჩვენი ისტორიის შემოქმედს წარმოადგენენ.

ამ გამარჯვებათა უშრეტი წყაროა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა ურღვევი მეგობრობა, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი. სოციალისტური ქვეყნის ეს სამი ნიშან-

---

[1] ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში. გვ. 28.

დობლივი თვისება, რომელიც ერთნაირი სიმძლავრით ვლინდებოდა სოციალიზმის მშვიდობიანი მშენებლობის ყველა ეტაპზე, თუ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ იმპერიალისტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში, სოციალიზმის დიადი მონაპოვარი და ამავე დროს ჩვენი ქვეყნის უძლეველობის გარანტია არის.

ქართველი ხალხი საბჭოთა სახელმწიფოს ერთიან ძმურ ოჯახში ყოველთვის განიცდიდა მოძმე ხალხების დახმარებას და მზრუნველობას. განსაკუთრებით დიდი დახმარება მას აღმოუჩინა დიდმა რუსმა ხალხმა. საბჭოთა ხუთწლედების დიადი წარმატებანი საქართველოში, მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლების მოწინავე საბჭოთა ტექნიკით აღჭურვა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობა და ქართველი ხალხის დაცვა გერმანელ-ფაშისტი აგრესორების შემოჭრისაგან საქართველოს საზღვრებში,—შედეგია საბჭოთა ხალხების და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის განუწყვეტელი დახმარებისა. ეს დახმარება და მზრუნველობა რომ არ ყოფილიყო, თამამად შეიძლება ითქვას, ჩვენ ასეთი გამარჯვებანი ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე არ გვექნებოდა.

ეს დიადი გამარჯვებანი მოპოვებულ იქნა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ ლენინურ-სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის განუხრელი გატარების შედეგად. კომუნისტური პარტიის მიერ ნაციონალ-უკლონიზმის საბოლოო განადგურებამ, ნაციონალიზმის გველეშაპისათვის თავის გასრესამ, ამიერკავკასიის ხალხთა ძმური თანამშრომლობის შენობის—ფედერაციის წარმატებით გატარებამ ჩვენი ცხოვრების განსაზღვრულ ეტაპზე, ხელი შეუწყო ამიერკავკასიის ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის დიდ წარმატებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება. მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის ფედერაციამ შეასრულა თავისი როლი, 1936 წელს, ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით იგი გაუქმებულ იქნა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ისე როგორც ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკები, უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

ქართველი ხალხის ყველა წარმატება განუხრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელთან, მის ბრძნულ ცენტრალურ კომიტეტთან. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მითითებათა განუხრელი გატარების შედეგად საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განახორციელა დიადი სოცი-

ალისტური გარდაქმნები, ჩამორჩენილი, აგრარული საქართველო— ცარიზმის ტიპიური კოლონია, მენშევიკების დროს დაღუპვის პირას მყოფი, სულ რაღაც სამი ათეული წლის განმავლობაში გარდაქმნა მძლავრ ინდუსტრიულ-აგრარულ სახელმწიფოდ, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს მასშტაბით იამაყოს თავისი მძლავრი ეკონომიკით, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური მაღალი კულტურით, თავისი შემოქმედი, შრომაში დაუღალავი, ბრძოლაში ნაცადი ადამიანებით. კომუნისტური პარტია ყველა სოციალისტური ერის, მათ შორის ქართველი ერის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

ეს უშრეტი წყაროები, რომლის შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით ახლა, როცა, საბჭოთა ხალხი დიად კომუნისტურ საზოგადოებას აშენებს, სჩქეფენ მეტის სიმძლავრით. ეს უშრეტი წყაროები კომუნიზმის მშენებლობის დიად გზაზე ქართველი ხალხის მორიგ გამარჯვებათა საწინდარია.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
შესავალი	3—25
თავი I. 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში	26—58
თავი II. საქართველოს ბოლშევიკები სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის მომზადებისათვის ბრძოლაში	59—134
1. სოციალისტური რევოლუციის ლენინური სტრატეგიული გეგმა	59—66
2. საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები თებერვლის რევოლუციის შემდეგ	66—86
3. საქართველოს მუშათა კლასი ოქტომბრის გზაზე	86—98
4. ქართველი უღარიბესი გლეხობა მიწისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში	98—109
5. კავკასიის არმიის ჯარისკაცები სოციალისტური რევოლუციის გზაზე	110—123
6. კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების საოლქო ყრილობა	123—134
თავი III. საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის კონტრრევოლუციური კომისარიატისა და სეიმის პერიოდში	135—189
1. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური ძალების ბლოკი ოქტომბრის რევოლუციის წინააღმდეგ	135—143
2. რევოლუციური სიტუაციის მომწიფება საქართველოში 1917 წ. ბოლოს და 1918 წ. დასაწყისში	143—189
თავი IV. სამეურნეო ნგრევა მენშევიკურ საქართველოში	190—214
თავი V. „დემოკრატიული" საქართველო დასავლეთის იმპერიალისტთა ბრეწყალებში	215—291
1. გერმანელ-თურქი ოკუპანტები საქართველოში	215—249
2. ინგლის-ამერიკელი ოკუპანტები საქართველოში 1918—1920 წწ.	250—291
თავი VI. საქართველოს კომუნისტური პარტია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციისა და უცხოური ინტერვენციის წინააღმდეგ მშრომელი კლასების ბრძოლის სათავეში 1918—1920 წლებში	292—333
თავი VII. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში	334—410

რედაქტორი ლ. გორგილაძე
კორექტორი ვ. მალანია

გადაეცა წარმოებას 13/VII 54 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XI-54 წ.
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი—23,22. სასტამბო თაბახი—25,75.
შეკვეთა № 724. ტირაჟი 2000. უე 17226.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობი
სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის ქ., 1.